

ГИВИ ДАВИДОВИЧ ЧАНУКВАДЗЕ

**К Р И Т И К А
БУРЖУАЗНОЙ ВУЛЬГАРНОЙ
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЭКОНОМИИ**

ЧАСТЬ III

**КРИТИКА ЗАПАДНОГЕРМАНСКОГО
НЕОЛИБЕРАЛИЗМА**

(На грузинском языке)

GIWI TSCHANUKWADSE

**KRITIK DER BÜRGERLICHEN
VULGARÖKONOMIE**

8. Teil

KRITIK DES WESTDEUTSCHEN NEOLIBERALISMUS

(In Georgisch)

**Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси**

**Verlag
«Sabschota Sakartwelo»
Tbilissi**

1964

გ. ჭანუყვიანი

ვესტაგული
გუგუგული
ჟოლიტოგული
ეკონომიკის
კარიტის

ნაწილი კესკე

დასავლეთგერმანიული ნეოლიბერალიზმის
კრიტიკა

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1964

ნეოლიბერალიზმი და თანამედროვე ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის სხვა სკოლები ცდილობენ სასიკედილოდ ავადმყოფი კაპიტალისტური სისტემის „მკურნალობისა“ და გაძლიერების შესაძლებლობის დასაბუთებას. ნეოლიბერალიზმი დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგიური იარაღია.

ეს წიგნი მიზნად ისახავს მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან ზოგიერთი დასავლეთგერმანული ნეოლიბერალური თეორიის („ინტეგრაცია“, ნეოკოლონიალიზმის აპოლოგეტური თეორიები, „სოციალური საბაზრო მურნეობა“, „სოციალური პარტნიორობა“, „საერთაშორისო საბაზრო მურნეობა“, „ეკონომიური ჰუმანიზმი“, „სახალხო აქცია“, „ანტიმონოპოლიზმი“, „შეჭიბრების წყობილება“ და სხვ.) კრიტიკას.

ავტორი განიხილავს ნეოლიბერალიზმის თეორიისა და პრაქტიკის „აქტუალურ“ პრობლემებს. იგი შეეცადა თავისი შრომით მცირე წვლილი შეეტანა თანამედროვე ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის, განსაკუთრებით კი დასავლეთგერმანული ნეოლიბერალიზმის მარქსისტული კრიტიკის საქმეში.

• • •

Неолиберализм и другие школы современной вульгарной политической экономии пытаются обосновать возможность «лечения» и укрепления смертельно больной капиталистической системы. Неолиберализм — идеологическое оружие западногерманского монополистического капитализма.

Эта книга имеет своей целью критику с позиций марксизма-ленинизма некоторых западногерманских неолиберальных теорий («интеграция», апологетические теории неокolonialизма, «социальное рыночное хозяйство», «экономический гуманизм», «народная акция», «антимонополизм», «строй соревнования» и др.).

Автор рассматривает «актуальные» проблемы теории и практики неолиберализма. Он имеет своей целью внести свой скромный вклад в дело марксистской критики современной вульгарной политэкономии вообще, особенно в дело марксистской критики западногерманского неолиберализма.

• • •

Der Neoliberalismus und andere Schulen der modernen Vulgärökonomie wollen nachweisen, daß das todkranke kapitalistische System „geheilt“ und gefestigt werden könne. Der Neoliberalismus ist eine ideologische Waffe des westdeutschen monopolistischen Kapitalismus.

Das Buch verfolgt das Ziel die einigen westdeutschen apologetischen neoliberalen Theorien (monopolistische „Integration“, apologetische Theorien des Neokolonialismus, „soziale Marktwirtschaft“, „internationale Marktwirtschaft“, „Wirtschaftshumanismus“, „Volksaktie“, „Antimonopolismus“, „Wettbewerbsordnung“ und andere) vom Standpunkt des Marxismus-Leninismus zu kritisieren.

Der Verfasser kritisiert die „aktuellen“ Probleme der Theorie und Praxis des Neoliberalismus. Der Autor hat mit seiner Arbeit einen bescheidenen Beitrag zur marxistischen Kritik der modernen Vulgärökonomie und insbesondere des westdeutschen Neoliberalismus geliefert.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ზოგიერთი ნეოლიბერალური თეორიის კრიტიკის ცდას. ჩვენი მიზანია, მკითხველს ქართულ ენაზე მივცეთ დასავლეთგერმანული ნეოლიბერალიზმის აპოლოგეტური თეორიების კრიტიკა. ამდენად იგი შეიძლება ჩაითვალოს 1962 წ. ჩვენს მიერ გამოქვეყნებული შრომის „ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის“ (ნაწილი I) გაგრძელებად.

ნეოლიბერალიზმის თეორიებსა და პოლიტიკას დიდი ადგილი ეთმობა ეკონომიურ ლიტერატურაში. ამ საკითხებს განიხილავენ არა მარტო ეკონომისტები, არამედ სოციოლოგები, იურისტები, ფილოსოფოსები. ნეოლიბერალიზმის კრიტიკისათვის საჭირო სახელმძღვანელო დებულებები მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებში, კომუნისტური და მუშათა პარტიების საპროგრამო დოკუმენტებში.

პრობლემის სირთულემ, ამ საკითხზე გამოკვლევათა და თეორიების სიმრავლემ დიდი სიძნელეების წინაშე დაგვაყენა. ამიტომ ამომწურავ კრიტიკას ნეოლიბერალიზმის ყველა თეორიის გარშემო აქ, ცხადია, ვერ ვიძლევი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შრომის გამოცემა თავდაპირველად გათვალისწინებული იყო უფრო დიდი მოცულობითა და სხვაგვარი სტრუქტურით, რაც არ მოხერხდა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ნეოლიბერალიზმის — თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი მიმართულებების — თეორიისა და ეკონომიური პოლიტიკის სირთულე. უცხო ენებზე გამოცემული ლიტერატურის მრავალფეროვნება, რაც ზოგჯერ იმდენად საგრძნობი გახდა, რომ სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდით. მოსალოდნელია და ბუნებრივიც, რომ ამ გარემოებებმა თავისებური დადი დასვა ჩვენს შრომასაც.

ამრიგად, შრომა დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისა და ნაკლო-

ვანებებისაგან. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, იგი ერთგვარ დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, მარქსიზმ-ლენინიზმის სალამოს უნივერსიტეტის მსმენელებს, პოლიტიკური ეკონომიისა და ეკონომიურ მოძღვრებათა პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველებს.

ამ შრომის (ხელნაწერის) სხვადასხვა ნაწილები წაიკითხეს და სასარგებლო რჩევები მომცეს: პროფ. ს. ბერაძემ, დოცენტებმა დ. ქორიძემ და ვ. ადვაძემ და უფროსმა მასწავლებელმა ი. კრავცოვმა, რომლებსაც ავტორი სიამოვნებით უცხადებს მადლობას.

აქვე მადლობა უნდა მოვახსენო აგრეთვე პროფესორებს: ნ. ქოიავას, ნ. კარატაევს, ა. ფანცხავას, ვ. ჩანტლაძეს, ვ. ბახტაძესა და ა. ნუცუბიძეს იმ რჩევებისათვის, რომლებსაც მათგან ვლებულობდი წინამდებარე შრომაზე მუშაობის პერიოდში.

**„სახალხო კაპიტალიზმის“ აკოლოგიური
თეორიის გერმანული ვარიანტები და მათი კრიტიკა**

თ ა ვ ი I

**დასავლეთგერმანული ნეოლიბერალიზმის მოძღვრება
„მეურნეობის იდეალური ტიპების“ — „სოციალური
ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობისა“ და
„ცენტრალურ-მართული ეკონომიკის“ — შესახებ :**

1. ლოპტინა „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ

დასავლეთ გერმანიის ნეოლიბერალიზმის „თეორიული აპარატი-სათვის“ დამახასიათებელია სამი მომენტი: 1. განსაკუთრებული მოძღვრება ეკონომიური (სამეურნეო) წყობილების შესახებ; 2. „თავისუფალი სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიის“ პროპაგანდა და 3. მოძღვრება „სოციალური პარტნიორობისა“ და „სახალხო აქციების“, როგორც „სახალხო კაპიტალიზმის“ ნეოლიბერალური ვარიანტის, შესახებ.¹

ამრიგად, ნეოლიბერალიზმის თეორიულ არსენალში დიდი ადგილი უკავია „კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის“, „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდას. განსაკუთრებით დიდი ხმაური ატეხა დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიულმა პრესამ „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ ვ. ოიკენის მოძღვრების გარშემო. ვ. ოიკენმა მიზნად დაისახა კაპიტალიზმის დაცვა თანამედროვე პირობებში. ამისათვის იგი იყენებს წინამორბედი ვულგარული ეკონომისტების შეხედულებებსა და ღოგმებს და ერთგვარი კორექტი-

ვები შეაქვს ძველ, ტრადიციულ ვულგარულ თეორიებში. ვ. ოიკენს საჭიროდ მიაჩნია ავსტრიული სკოლისა („ზღვრული, ანუ საზღვრითი სარგებლიანობის თეორია“) და ისტორიული სკოლის („ისტორიული მეთოდი“) სინთეზი. ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ამ ორი სკოლის სინთეზი მას წარმოუდგენია, როგორც თეორიული აბსტრაქციის მეთოდისა და ისტორიული ანალიზის გაერთიანება.

თვითონ ნეოლიბერალები დიდ თეორიულ მიღწევად სთვლიან საბაზრო მეურნეობისა და ცენტრალურ-მართული მეურნეობის „იდეალური ტიპების“ აღმოჩენას. თუმცა მათ თეორიულ ბაზასა და მეთოდს, მთელი გერმანული ისტორიული სკოლის მსგავსად, არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან. ნეოლიბერალები ვერ გასცილდნენ თავიანთ წინამორბედებს — ჰილდებრანდს, ბიუხერს და ისტორიული სკოლის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც აყენებდნენ მსგავს თეორიებს სამეურნეო განვითარების სტადიების შესახებ. წარპოებითი ურთიერთობების, სოციალურ-ეკონომიური ფორმაციების ანალიზი იცვლება „იდეალური ტიპების“ შიშველი აბსტრაქციით და არსებითად წარმოადგენს ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედების ანალიზის უარყოფას.² გერმანელი ნეოლიბერალების მეთაური ვ. ოიკენი და მასთან ერთად მთელი ნეოლიბერალური მიმართულება გამოდის იქიდან, რომ „საზოგადოების სოციალური და სამართლებრივი სტრუქტურა, აგრეთვე ამ სტრუქტურის ცვლილებანი მიეკუთვნებიან „ფაქტორებს“, რომელთა არსებობა მეცნიერებამ უნდა აღიაროს, მაგრამ მეცნიერებას არ ძალუძს მათი გაანალიზება და ახსნა“³.

გფრ-ის ნეოლიბერალიზმის მთავარი თეორეტიკოსი ვ. ოიკენი დამახინჯებულად, აპოლოგეტურად ხსნის სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების არსებობას. იგი საზოგადოების ეკონომიური განვითარების ისტორიის კლასიფიკაციას საფუძვლად უდებს ანტიმეცნიერულ, გამოგონილ პოსტულატებს. ვ. ოიკენი და მისი მიმდევრები გვერდს უვლიან იმ ჭეშმარიტებას, რომ პოლიტიკური ეკონომია უნდა შეისწავლიდეს წარმოებით ურთიერთობათა ხუთ ძირითად ტიპს. ვ. ოიკენმა მარქსიზმის მოძღვრებას საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ დაუპირისპირა „მეურნეობის იდეალური ტიპების“ დოქტრინა, რომლის იდეური ფესვები მ. ვებერის „საზოგადოების იდეალური ტიპების“ კონცეფციებშია. ვ. ოიკენი უარყოფს ისტორიაში ცნობილ წარმოებით ურთიერთობათა ხუთი ძირითადი ტიპის (პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური) არსებობას, ე. ი. უარყოფს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის არსებობასაც და მარქსიზმს „მოძველებულად“ აცხადებს. ემყარება რა

იდეალისტურ ფილოსოფიას, ოიკენი გვერდს უვლის ისტორიულ ქვეყნობებს და ხელოვნურად, სუბიექტურად აკონსტრუირებს „მეურნეობის (ეკონომიკის) იდეალურ ტიპებს“. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები აღიარებენ მეურნეობის ორი „წმინდა მოდელის“ არსებობას. ამ არამეცნიერული, იდეალისტური კონცეფციიდან აკეთებენ დასკვნას, რომ მეურნეობა დაჰყარებული კონკურენციაზე („თავისუფალ, პატიოსან კონკურენციაზე“) თავისუფალია ეკონომიური კრიზისებისაგან და მთელი საზოგადოების კეთილდღეობას იწვევს. მეურნეობის ამ „მოდელს“ ნეოლიბერალები უწოდებენ „სოციალურ, ანუ თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს კაპიტალისტურ საქონელწარმოებას და „სახალხო კაპიტალიზმის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორიის დასავლეთგერმანული ვარიანტია.

ნაცვლად საკუთრების ფორმებისა და წარმოებითი ურთიერთობებისა ვ. ოიკენი და მისი მიმდევრები ლაპარაკობენ „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ და პოლიტიკური ეკონომიის მთავარ საგნად აცხადებენ სწორედ ამ „იდეალური ტიპების“ გამოკვლევას. ეკონომიკის „იდეალური ტიპები“ წარმოდგენილია, როგორც მეურნეობის მუდმივი და უცვლელი ტიპები. ვ. ოიკენის მოძღვრება „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ წარმოადგენს ნეოლიბერალიზმის ქვაკუთხედს.

ნეოლიბერალიზმის „ახალი მეცნიერული მეთოდი“ იმაში გამოიხატება, რომ ვ. ოიკენი და მისი მომხრეები უგულვებელყოფენ საკუთრებისა და წარმოებითი ურთიერთობების ანალიზს და მთავარ საკითხად აცხადებენ „ეკონომიური პროცესების მიმართულების ფორმებს“. გერმანელი ნეოლიბერალების მთელი მოძღვრების გამოსავალ დებულებას შეადგენს არა წარმოებითი ურთიერთობის ტიპები, არამედ „მეურნეობის მართვის ფორმები“, „მეურნეობის იდეალური ტიპები“. „ვულგარული პოლიტიკური ეკონომია სინამდვილეში მხოლოდ იმას აკეთებს, რომ დოქტრინერულად განმარტავს, სისტემაში მოჰყავს და იცავს ბურჟუაზიული წარმოების იმ აგენტების წარმოდგენას, რომელნიც შებოჭილი არიან ამ წარმოებითი ურთიერთობით. ამიტომ ვერ გაგვეკვირვებს ის, რომ სწორედ ეკონომიური ურთიერთობის გამოვლინების ფორმაში, რომელიც განშორებულია მისგან და რომელშიც იგი *prima facie* უაზრო და წინააღმდეგობით აღსავსე ხასიათს ღებულობს — ყოველი მეცნიერება კი ზედმეტი იქნებოდა, თუ გამოვლინების ფორმა და საგანთა არსი უშუალოდ ერთმანეთს დამთხვეოდნენ, — რომ სწორედ აქ გრძნობს ვულგარული პოლიტიკური ეკონომია თავს თავის ტაფაში;

ეს ურთიერთობა მას მით უფრო თავისთავად გასაგებად ეჩვენება, რაც უფრო დაფარულია მასში შინაგანი კავშირი და რაც უფრო მარტივად ეჩვენება იგი მოარულ წარმოდგენას.⁴ ასე მოქმედებენ დღეს ნეოლიბერალები. მათ სიმძიმის ცენტრი გადააქვთ არაარსებითზე, მეორეხარისხოვან საკითხებზე. ისინი თავიანთ კლასიფიკაციაში უგულებელყოფენ იმ პრინციპულ განსხვავებას, რომელიც არსებობს მეურნეობის კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის. ნეოლიბერალები წინა პლანზე აყენებენ ეკონომიკაზე სახელმწიფო ხელმძღვანელობის მეთოდებს და მხედველობის გარეშე ტოვებენ ძირეულ კრიტერიუმს — წარმოების საშუალებებზე საკუთრების ხასიათს, წარმოებით ურთიერთობებს. გერმანელ ნეოლიბერალებს ბანს აძლევენ ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი ნეოლიბერალები და სხვა ყაიდის ბურჟუაზიული ეკონომისტებიც. „მარქსიზმი, როგორც ეკონომიური თეორია, — აღნიშნავს ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ვ. ლეონტიევი, — წარმოადგენს განუსაზღვრელი კერძო ინიციატივის და არა ცენტრალიზებულ-მართული ეკონომიკის თეორიას.“⁵

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები უგულებელყოფენ აგრეთვე ეკონომიური კანონების მოქმედებას. ვ. ოიკენი გაიძახის, რომ „არ არსებობს არავითარი კანონები“. ამავე თვალსაზრისზე დგანან: ფ. ბემი, ა. მიულერ-არმაკი და სხვები. ნეოლიბერალები ეკონომიური კანონებისა და კატეგორიების აპოლოგეტურად ახსნიან დროსაც არ არიან თანმიმდევრული. როგორც „ძველი ლიბერალიზმის“ „შთამომავლები“, ისინი უნდა აღიარებდნენ ეკონომიური კანონების მოქმედებას (მოვიგონოთ ძველი ლიბერალიზმის „ბაზრის კანონი“, „წონასწორობის კანონი“ და სხვ.). ზოგჯერ ამ ფაქტს აღიარებენ, მაგრამ როგორც კი იწყებენ „მეურნეობის იდეალური ტიპების“ პროპაგანდას, მაშინვე უარყოფენ, ზაერთოდ, ეკონომიური კანონების მოქმედებას და აშკარად დგანან სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე.

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა აზრით, თუ ყოველდღიურ ეკონომიურ პროცესს, ეკონომიურ ცხოვრებას წარმართავს, მართავს ცენტრალური ორგანო, მაშინ მეურნეობის ტიპი არის „ცენტრალურ-მართული“, ხოლო როცა სამეურნეო ცხოვრებას ცენტრალური ორგანო არ მართავს და ცალკეული ადამიანები იღებენ საკუთარ გადაწყვეტილებას — ცენტრალური ორგანოს გარეშე, მაშინ არის „საბაზრო მეურნეობა“, „თავისუფალი მეურნეობა“. ვ. ოიკენის თანამოაზრემ ნეოლიბერალმა ვ. რეპკემ თავის შრომაში „ჰუმანური საზოგადოება“ დიდი ადგილი დაუთმო „მეურნეობის იდეალური ტიპების“ განსაზღვრასა და პროპაგანდას. მისი განმარ-

ტებით „საბაზრო მეურნეობის“ არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელისუფალთა გეგმითა და კანონით ეკონომიური პროცესის რეგულირების ადგილზე დგას რეგულირება თავისუფალი ფასების მექანიზმის საშუალებით. „ცენტრალურ-მართული ეკონომიკის“ არსებას ვ. რეპკე ხედავს „ცენტრალურ-ეკონომიურ ხელმძღვანელობაში, რომელიც გამოირიცხავს ბაზარს, საკუთრებას და ფასწარმოქმნას“. ნეოლიბერალი ალ. რიუსტოვი კი ასეთ განსაზღვრას იძლევა: „საბაზრო მეურნეობის ქვეშ იგულისხმება ეკონომიური წყობილება უპირატესად მეურნეობის მოძრავი ხასიათით; გეგმიანი მეურნეობის ქვეშ — ეკონომიური წყობილება უპირატესად მეურნეობის ცენტრალურ-მართული ხასიათით“.⁶

ამრიგად, მეურნეობის მართვის ფორმებიდან ნეოლიბერალებს გამოჰყავთ „ეკონომიკის იდეალური ტიპები“: 1. „ცენტრალურ-მართული მეურნეობა“ და 2. „საბაზრო მეურნეობა“. ნეოლიბერალიზმის აპოლოგეტური ხასიათი აშკარად ჩანს. ნეოლიბერალები განგებ უვლიან გვერდს მთავარს: საკუთრებისა და წარმოებითი ურთიერთობების საკითხებს. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ხელოვნურად მიჩქმალონ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების ექსპლოატატორული ბუნება. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები გამოდიან იმ „რწმენიდან“, რომელიც ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს, ქვემარტებას, საზოგადოების განვითარების მთელ გამოცდილებას. ნეოლიბერალური მოძღვრება „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ უსაფუძვლოა, მოგონილია, რასაც ამხელს ყველა ქვეყნის, მათ შორის თვით გერმანიის განვითარების გამოცდილებაც.

ნეოლიბერალური დოქტრინა „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ მოიცავს მეურნეობის „ცენტრალურ-მართული იდეალური ტიპისა“ და „თავისუფალი კონკურენციის იდეალური ტიპის“, ანუ „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ აპოლოგეტურ ანალიზს.⁷

სამეურნეო ფორმების მთელი მრავალსახეობა ოიკენსა და მის მიმდევრებს დაყვანილი ჰყავთ ორ ძირითად „იდეალურ ტიპამდე“: „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“, რომელშიც კავშირურობა ცალკეულ მეურნეობათა და საწარმოთა შორის მყარდება ბაზრის დახმარებით და „ცენტრალურ-მართული მეურნეობა“, სადაც ცალკეული მეურნეობა, საწარმო ექვემდებარება ერთიან ხელმძღვანელ და მმართველ ცენტრს. აქ ყველაფერი დაყვანილია ცალკეულ დაწესებულებათა და საწარმოთა შორის ორგანიზაციულ ფორმებამდე, ხოლო მთავარი უგულებელყოფილია. ასეთია ვ. ოიკენისა და მისი მიმდევრების „დიდებულნი კლასიფიკაცია“.

რომელსაც ისტორიული რეალობისა არა სცხია რა. იგი ემყარება მხოლოდ მეურნეობის მართვის ნეოლიბერალურ ფორმებს. იმდენად ზერელე და უსაფუძვლოა ნეოლიბერალური დოქტრინა „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ, რომ მას ღირიჟისტი ე. ჟამსიცი იწუნებს და უარყოფს. ე. ჟამსი მიუთითებს, რომ ვალტერ ოიკენი უარს აცხადებს: „ევოლუციის კანონების გამოკვლევასზე“ და ცალკეული ეკონომიური სისტემის შესწავლაზე. ოიკენი წინადადებას იძლევა გამოძებნილ იქნეს ლოგიკური კლასიფიკაციის პრინციპი და გვერდი ავუაროთ ორგანიზაციის აბსტრაქტული სისტემის შესწავლა. ოიკენი განასხვავებს ეკონომიკას, რომელიც ცენტრალიზებულ მართვას ექვემდებარება და თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკას — წერს ე. ჟამსი.⁸

ნეოლიბერალების დოქტრინა „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ დამახინჯებულად და აპოლოგეტურად აშუქებს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა აზრით, ყოველთვის იყო და არის „ცენტრალურ-მართული მეურნეობა“ ან „საბაზრო მეურნეობა“. მათთვის არ არსებობს პირველყოფილი, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური წარმოების წესი. ისინი აღიარებენ მეურნეობის მხოლოდ ორ „იდეალურ ტიპს“. ა. რიუსტოვის აზრით, არსებობს „საბაზრო მეურნეობა ან გეგმიანი მეურნეობა“⁹.

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მოსავენ „უახლეს მოდაზე შეკერილი კოსტუმით“ და, ბუნებრივია, ცდილობენ საქონელი შნოიანად გვიჩვენონ, კაპიტალიზმი დასავლეთ გერმანიაში გამოაცხადონ „სოციალურ, ანუ თავისუფალ საბაზრო მეურნეობად“, „სოციალურ პარტნიორობად“, „სახალხო კაპიტალიზმად“.

ნეოლიბერალები, ერთი მხრივ, ასახელებენ გეგმიან მეურნეობას, „ცენტრალურ-მართულ მეურნეობას“, რომელსაც უწოდებენ აგრეთვე „ღირიჟისმს“, „პროტექციონიზმს“, „ტოტალიტარიზმს“. ზოლო მეორე მხრივ — „საბაზრო მეურნეობას“, „საბაზრო ავტომატიზმს“, „ლიბერალიზმს“. მათი განცხადებით — „გეგმიანი მეურნეობა“ — „საბაზრო მეურნეობა“; „ღირიჟისმი — საბაზრო ავტომატიზმი“; „პროტექციონიზმი — ლიბერალიზმი“ არის ანტი-თეზა.¹⁰

ნეოლიბერალები „მეურნეობის იდეალური ტიპების“ აპოლოგეტური თეორიით ილუზიებს თესავენ მშრომელ მასებში. ისინი განგებ არ ლაპარაკობენ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების, კაპიტალისტური წარმოების შესახებ და კაპიტალისტურ

დასავლეთ გერმანიას აცხადებენ „თავისუფალი საბაზრო მეურნეობისა“ და „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილების“ ქვეყნად. ნეოლიბერალები შლიან ზღვარს და არსებით განსხვავებას ექსპლოატატორულ და სოციალისტურ წარმოებში ურთიერთობებს შორის, გეგმიან სოციალისტურ მეურნეობასა და „რეგულირებად კაპიტალიზმს“ შორის. მათი მსჯელობიდან გამოდის, რომ „ცენტრალურ-მართული მეურნეობის“ ფორმას წარმოადგენს გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა (ვ. რეპკეს გამოთქმით კი „რუსული ტიპის“ გეგმიანი სოციალისტური მეურნეობა — „პოლიტიკური და ეკონომიური დესპოტია“ — „კოლექტივიზმი“)¹¹ და ნაციტური გერმანიის მილიტარისტული ეკონომიკა. დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის თეორეტიკოსებისათვის „ფაშიზმი არის ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი ფორმა“. ისინი „ტოტალიტარიზმის“ ფორმად აცხადებენ აგრეთვე გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას (ბოლშევიზმს¹²). აი, სოციალური დემაგოგიის კიდევ ერთი ნიმუში. რეაქციონერთა ძველ ხერხთან გვაქვს საქმე. ნეოლიბერალები იმეორებენ ამ ხერხს: ჯერ დაამახინჯო სოციალიზმი, გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა, — მიაწერო მას უაზრობა, შემდეგ კი ძლევაში ილაღა და აკრიტიკო საკუთარი უაზრობა. გერმანელმა ნეოლიბერალებმა და ბურჟუაზიულმა სოციოლოგებმა (ფ. კანტუსი, გ. პრენდტი და სხვები) „მეურნეობის იდეალური ტიპების“ დოქტრინაზე დაყრდნობით გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას უწოდეს „ტოტალური მეურნეობა“, ხოლო სოციალისტურ სახელმწიფოს — „მონოპოლისტური კაპიტალისტი“.

მეურნეობის პირველ ტიპად — „ცენტრალურ-მართულ მეურნეობად“ ნეოლიბერალები ასახელებენ: მონათმფლობელურ წყობილებას (მონათმფლობელური ლატიფუნდიები, ძველი ეგვიპტის ფარაონთა მეურნეობა), ფეოდალურ მეურნეობას, ფაშისტურ ეკონომიკასა და გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკასაც კი. აი, რისთვის სჭირდებათ კაპიტალიზმის აპოლოგეტებს ნეოლიბერალური მოძღვრება „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ.

„მეურნეობის იდეალური ტიპების“ მეორე ნაირსახეობად ნეოლიბერალები ასახელებენ „საბაზრო მეურნეობას“, თავისუფალ და „პატიოსან კონკურენციაზე“, უფრო სწორად, „შეჯიბრებაზე დამყარებულ მეურნეობას“. მეურნეობის ამ მეორე ტიპის ნაირსახეობად ისინი ასახელებენ მეურნეობას განვითარებული საქონელწარმოებით, ე. ი. კაპიტალისტურ ეკონომიკას, მაგრამ ცნებას კაპიტალიზმი ნეოლიბერალები არც კი იყენებენ. მათი აზრით, კაპიტალიზმიც „საბაზრო მეურნეობის“ ფორმა ყოფილა, მაგრამ „ისტორიული

ფორმა“ და „დამახინჯებული ფორმა“. ბურჟუაზიული წყობილების აპოლოგიის მიზნით ნეოლიბერალები „გმობენ“, „აკრიტიკებენ“ კაპიტალიზმს და მას უწოდებენ „საბაზრო მეურნეობის“ დამახინჯებულ ფორმას. ნეოლიბერალები იძულებული ხდებიან აღნიშნონ, რომ არ შეიძლება არსებობდეს „წმინდა საბაზრო მეურნეობა“ და „წმინდა ცენტრალურ-მართული მეურნეობა“. მაშასადამე, ისინი ფაქტურად ემხრობიან „ეკონომიური ჰიბრიდიზაციის“, „საზოგადოება ჰიბრიდისა“ და „შერეული ეკონომიკის“ აპოლოგეტურ თეორიებს.

ამრიგად, ნეოლიბერალურ „მეურნეობის იდეალურ ტიპებში“ ვაქრა, აღარ ჩანს კლასები და კლასობრივი ბრძოლა. ისინი „საბაზრო მეურნეობას“ ხატავენ თავისუფლების, ეკონომიური დემოკრატიის, სამოთხის სამყაროდ, ხოლო გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას — „ცენტრალურ-მართულ მეურნეობად“, „პოლიტიკურ და ეკონომიურ დესპოტიად“. ვ. ი. ლენინი პარტიის IX ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ერთპიროვნულობასა და დიქტატურას, რომ კლასის ნებას ხანდახან ახორციელებს დიქტატორი, რომელიც ზოგჯერ მარტო უფრო მეტის გამკეთებელია და ხშირად უფრო აუცილებელიც“¹³.

ნეოლიბერალისტები „საბაზრო მეურნეობას“ უწოდებენ ეკონომიური თავისუფლების განსახიერებას, ხოლო იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ მარქსიზმს, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას სთვლიან „ცენტრალურ-მართულ მეურნეობად“ და აყენებენ მას მონათმფლობელური ლატიფუნდიებისა და ფაშისტური კორპორაციული სახელმწიფოს, ნაციისტური იძულებითი ეკონომიკის გვერდით. ნეოლიბერალები განზრახ არ განასხვავებენ ფაშისტურ ტოტალურ ეკონომიკასა და გეგმიან სოციალისტურ მეურნეობას. ბურჟუაზიულ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმსა და დემოკრატიულ ცენტრალიზმს. „ჩვენ ვემხრობით დემოკრატიულ ცენტრალიზმს და ნათლად უნდა შევიგნოთ, — წერს ვ. ი. ლენინი, — რა დიდად განსხვავდება დემოკრატიული ცენტრალიზმი, ერთი მხრით. ბიუროკრატიული ცენტრალიზმისაგან, მეორე მხრით — ანარქიზმისაგან... იმაზე მცდარი არა არის რა, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმის არევა ბიუროკრატიზმსა და შაბლონიზაციაში“¹⁴.

საკმარისია ნეოლიბერალების დოქტრინას „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ დავუპირისპიროთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება წარმოებით ურთიერთობათა ძირითადი ტიპების შესახებ და ნეოლიბერალიზმის კონცეფციაც საპნის ბუშტივით გასკდე-

ბა. ცნობილია, რომ წარმოების საშუალებათა საკუთრებას ფორმა განსაზღვრავს წარმოებითი ურთიერთობის ხასიათს, მეურნეობის ტიპს კი -- ადამიანთა ურთიერთობა წარმოების პროცესში. ე. ი. წარმოებითი ურთიერთობა. რით განისაზღვრება მეურნეობის ტიპი? რა თქმა უნდა, ადამიანთა ურთიერთობით წარმოების პროცესში. წარმოებითი, ეკონომიური ურთიერთობების ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ბაზისი კი მოიცავს: 1. წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმებს; 2. სწავლას სოციალური ჯგუფების მდგომარეობას წარმოებაში, მათ ურთიერთდამოკიდებულებას და 3. წარმოების პროდუქტების განაწილების წესებს. ნეოლიბერალები კი განგებ უვლიან გვერდს წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმებს. ადამიანებს თავიანთი სურვილით როდი შეუძლიათ ამოირჩიონ საკუთრების ფორმები¹⁵ და, მაშასადამე, „მეურნეობის იდეალური ტიპებიც“. ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობები მატერიალური ურთიერთობებია. ისინი არსებობენ ადამიანთა შეგნებისა და ნების გარეშე, ე. ი. ობიექტურად. წარმოებითი ურთიერთობანი მატერიალური წარმოების პროცესში იქმნებიან და იცვლებიან საწარმოო ძალთა განვითარების გავლენით.

ნეოლიბერალური „მეურნეობის იდეალური ტიპები“ კი უგულვებელყოფს წარმოებით ურთიერთობათა როლს. ჩქმალავს კაპიტალისტური საქონელწარმოების ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს. ნეოლიბერალური „საბაზრო მეურნეობა“ კაპიტალისტური საქონელწარმოებითა და კონკურენციით ფაქტიურად არის არა თანასწორობა და ეკონომიური დემოკრატია, არამედ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დემაგოგიური დაცვა. „ზოგადი ფრაზები თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის შესახებ სინამდვილეში უდრის იმ ცნებათა ბრმა განმეორებას, რომლებიც სასაქონლო წარმოების ურთიერთობის ასლს წარმოადგენენ...

ენგელსმა დიდი ხანია განმარტა „ანტი-დიურინგში“, რომ თანასწორობის ცნება, როგორც სასაქონლო წარმოების ურთიერთობის ასლი, იქცევა ცრურწმენად. თუ თანასწორობას კლასების მოსპობის აზრით არ გაეივებთ. ამ ანბანურ ჰუმბრაიტებას იმ განსხვავების შესახებ, რომელიც თანასწორობის ბუჩუქაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ გაგებას შორის არსებობს. მუდამ ივიწყებენ¹⁶. ისინი მარქსიზმს სწორედ იმიტომ აცხადებენ „მოდველებულად“. რომ მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა სწორ წარმოდგენას წარმოებითი ურთიერთობების, საკუთრების, ბაზისის, საზოგად-

დოკტრინა-ეკონომიური ფორმაციებს, კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ.

ნეოლიბერალების აზრით, „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ აიას ეკლასო საზოგადოება, „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილება“. მათ ერთი ხელის დაკვრით „მოსპეს“ კლასები და კლასობრივი ბრძოლა იმით, რომ მიმოქცევაში გაუშვეს დოქტრინა „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ. ცნობილია, რომ „კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს. რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, და, მასმასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ ხელთ აქვთ. კლასები, ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილის განსხვავების მეოხებით.“¹⁷

კლასების მოსპობა ნეოლიბერალური „მეურნეობის იდეალური ტიპების“ მოშველეობით შელოცვებს ჰგავს. კლასების მოსპობისა და თანასწორობისათვის საჭიროა: ჯერ ერთი, მემამულეებისა და კაპიტალისტების. ყველა ექსპლოატატორის ბატონობის დამხობა, მათი საკუთრების გაუქმება; მეორე, განსხვავების მოსპობა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, რასაც ვ. ი. ლენინი სთვლიდა ყველაზე უძნელებს და რთულ ამოცანად. „ეს არის ამოცანა, რომლის გადაჭრა რთულივე კლასის დამხობით შეუძლებელია. მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციული გარდაქმნით, ერთეული, განცალკევებული, წვრილი სასაქონლო მეურნეობიდან მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე გადასვლით.“¹⁸ ნეოლიბერალების „საბაზრო მეურნეობა“ კი „საყოველთაო კეთილდღეობას“ ქმნის „თავისუფალი, პატიოსანი კონკურენციისაკენ“ უკან დაბრუნებით კაპიტალისტური საქონელწარმოების პირობებში. ნეოლიბერალური პროგრამა ძალაში ტოვებს კერძო საკუთრებას და „საბაზრო მეურნეობით“ იცნებობს უკლასო საზოგადოების — „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილების“ შექმნას. მეტიც, დასავლეთ გერმანია, ნეოლიბერალების განცხადებით, არის „ეკონომიური ჰუმანიზმის“ განსაზიერება, სადაც კლასების ადგილი დაუკავებია „სოციალურ პარტნიორებს“, ხოლო კლასობრივი ბრძოლისა — „პარტნიორობას“. აი, როგორ „მოსპეს“ კლასები კაპიტალისტურ დასავლეთ გერმანიაში და როგორ შექმნეს.

„თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“. წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება კი, რა თქმა უნდა, ხელუხლებელია, ფაბრიკა-ქარხნები კაპიტალისტების საკუთრებას შეადგენენ. „ცხადია, კლასების სრული მოსპობისათვის საჭიროა არა მარტო დავამხოთ ექსპლოატატორები, მემამულეები და კაპიტალისტები, არა მარტო გავაუქმოთ მათი საკუთრება, საჭიროა გავაუქმოთ აგრეთვე წარმოების საშუალებათა ყოველგვარი კერძო საკუთრება, საჭიროა მოვსპოთ როგორც განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, ისე განსხვავება ფიზიკური შრომის ადამიანთა და გონებრივი შრომის ადამიანთა შორისაც. ეს მეტად ხანგრძლივი საქმეა“,¹⁹ — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

ამრიგად, მოძღვრება „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ მოკლებულია მეცნიერულ საფუძვლებს. იგი გამოიზნულია იქით-ქენ, რომ ჩინური კედელი გაავლოს ნაციისტურ ეკონომიკასა და დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს შორის და სახელი გაუტეხოს გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას. ნეოლიბერალური დოქტრინა „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ ხასიათდება ანტიმეურნეო მიმართულებით და მეტყველებს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის იდეურ სიდატაკეზე, ნეოლიბერალიზმის გაკოტრებაზე. ნეოლიბერალები ხარბად ეტანებიან ძველ ვულგარულ დოგმებს, ეწევიან ფარისევლობას. სპეკულაციას, დემაგოგიას და აქე იცავენ სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს. „კლასობრივი ბრძოლის უარყოფა ან მიჩქმალვა პოლიტიკაში ფარისევლობის უცუდესი სახეა, ეს არის სპეკულაციის გაწევა ხალხის იმ ყველაზე განუვითარებელი ფენების, წვრილი მეპატრონეების (გლეხების, ხელოსნებისა და სხვ.) უმეცრებითა და ცრურწმენით, რომლებიც ყველაზე დაშორებული არიან კლასთა უაღრესად მწვავე და პირდაპირ ბრძოლას... ეს ლიბერალური ინტელიგენტებისათვის მარჯვე საშუალებაა ხალხის გასარყვნელად და მონობაში დასატოვებლად“.²⁰

2. „სოციალური საბაზრო მეურნეობა“

ვ. ოიკენის თანამოაზრემ, ყოფილმა ნაციისტმა პროფ. ა. მიულერ-არმაკმა, ემყარებოდა რა ნეოლიბერალურ მოძღვრებას „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ, შეაკოწიწა და ხმარებაში გაუშვა აპოლოგეტური ლოზუნგი „სოციალური მეურნეობა“. მან დაწერა წიგნი „სამეურნეო მართვა და საბაზრო მეურნეობა“²¹, რომელიც 1948 წელს გამოვიდა ჰამბურგში. ამ წიგნში ეკლექტიკურადაა შეზავებული ვულგარული ფრატრედერობისა და ნეოლიბერალიზმის

იდეები, „თავისუფალი მეწარმეობისა“ და „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ პრინციპები. სხვადასხვა ვულგარულ-აპოლოგეტური დოგმების გამოყენებით შეთხზა ნეოლიბერალმა ა. მიულერ-არმაკმა „ახალი“ ტერმინი „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, ამის წყალობით კი ხმარებიდან ამოაგდო „კაპიტალიზმი“.

„ბაზრის კანონი“, სეის რეალიზაციის „კანონი“, „წონასწორობის კანონი“ შეაკეთა და შეავსო ა. მიულერ-არმაკმა. მან წინა პლანზე დააყენა ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა და ამ გზით მიიღო „სოციალური საბაზრო მეურნეობა“.

ჯერ კიდევ 1940 წელს, მიუნსტერში ჩამოაყალიბეს საერთო და საფეიქრო საბაზრო ეკონომიკის საკვლევე ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტს სათავეში ედგა სახალხო მეურნეობის ისტორიის პროფესორა, სოციოლოგი, ფილოსოფოს-ისტორიკოსი და სახელმწიფო საკითხების თეორეტიკოსი ალფრედ მიულერ-არმაკი. დაახელებულ ინსტიტუტს კავშირი ჰქონდა ფართო მოხმარების საგნების ეკონომიკის ინსტიტუტთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა დ-რი ლუდვიგ ერპარდი.

ფაისტური გერმანიის განადგურების შემდეგ ნეოლიბერალებმა შეიცვალეს ტაქტიკა, გამოიყენეს ფართო მასების ანტიჰიტლერული განწყობილება და, ნაცვლად ტოტალიტარული ნაციისტური ეკონომიკისა, დაიწყეს „საბაზრო მეურნეობის“ შექმნა. პროფესორი მიულერ-არმაკი ითვლება „სოციალურ-საბაზრო ეკონომიკის“ ტერმინის გამომგონებლად. „სოციალურ-საბაზრო ეკონომიკა“ მოიწონა ლ. ერპარდმა და არა მარტო ერპარდმა, არამედ ქრისტიანულ-დემოკრატთა კავშირმა. ნეოლიბერალური „სოციალურ-საბაზრო ეკონომიკა“ გახდა ქრისტიანულ-დემოკრატთა კავშირის ოფიციალური ეკონომიური პლატფორმა. ა. მიულერ-არმაკმა დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ლ. ერპარდმა მას 1952 წ. თვალსაჩინო ადგილი გამოუყო ეკონომიკის ფედერალურ სამინისტროში, ხოლო 1958 წელს დაინიშნა იგი სტატს-მდივნად.²²

„სოციალური საბაზრო მეურნეობა“ („სოციალურ-საბაზრო ეკონომიკა“) თეორიულად დაამუშავა და სრულყო ნეოლიბერალიზმის სკოლამ („ფრაიბურგის სკოლა“, „ორდოს წრე“), რომლის მთავარი თეორეტიკოსები არიან: ვ. ოიკენი, ვ. რეპკე, ა. რიუსტოვი, ფრ. ბემი, ლ. მიკში და სხვ. პროფ. ვ. ოიკენის გარდაცვალების შემდეგ ნეოლიბერალურ სკოლას სათავეში უდგას ვ. რეპკე, რომელსაც ვ. ბერჩი თვლის ფრაიბურგის სკოლის ფუძემდებლად.²³

დოქტრინა „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ შესახებ, როგორც ნეოლიბერალიზმის მოძღვრება, ცამდე აიყვანეს. „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში გაბატონებული-

ეკონომიური თეორია არის ნეოლიბერალიზმი, რომლის ღერძს წარმოადგენს მოძღვრება „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ შესახებ“²⁴. გამოდის, რომ ნეოლიბერალიზმის საყრდენია ვ. თიქენის მისტიკური მოძღვრება „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ, ხოლო ღერძი — „სოციალური საბაზრო მეურნეობა“. ამ ღერძის გარშემო აბრუნებენ ნეოლიბერალები ძველ და ახალ ვულგარულ დოგმებსა და ნაგავს. სხვა დანარჩენი ნეოლიბერალური თეორიები და დოგმები შეადგენენ ნეოლიბერალიზმის ორნამენტს. ასეთია ნეოლიბერალების თეორიული და ტერმინოლოგიური საქანელას მექანიზმი.

ნეოლიბერალიზმის მოძღვრებაში გამოყენებულია: ერთი მხრივ, პალეოლიბერალიზმის „წონასწორობის, მოთხოვნა-მიწოდების კანონი“, „თავისუფალი, პატიოსანი კონკურენცია“ და ვულგარული ლიბერალიზმის სხვა დოგმები; მეორე მხრივ, კეინსელობის, „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ იდეები სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს (პოზიტიური) ჩარევის შესახებ და სხვ.

„საბაზრო მეურნეობას“ ქადაგებდნენ პალეოლიბერალებიც და დღესაც ქადაგებენ. ნეოლიბერალიზმის თეორეტკოსმა ა. მიულერ-არმაკმა, რომელიც იყენებს ძველი, ვულგარული ლიბერალიზმის იდეებსაც, შესაძლებლად ჩასთვალა სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა. რაკი აღიარა და მოითხოვა სახელმწიფოს ჩარევა, რა თქმა უნდა, შეცვალა ძველი ლიბერალიზმის დოგმაც, ნაცვლად „საბაზრო ეკონომიკისა“ იგი გაიძახის „სოციალური საბაზრო მეურნეობა“.

ვულგარული ლიბერალიზმის „საბაზრო მეურნეობას“ ა. მიულერ-არმაკმა დაუმატა სიტყვა „სოციალური“, რადგან სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიურ ცხოვრებაში საჭიროდ ჩასთვალა, და ასე მიიღო „სოციალური საბაზრო მეურნეობა“. „ნეოლიბერალი ა. მიულერ-არმაკი, რომელმაც გამოიგონა ახალი ტერმინი „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, აცხადებს, რომ ეს „თავის ნებაზე მიშვებული ლიბერალური საბაზრო მეურნეობა კი არაა, არამედ შეგნებულად წარმართული და, სახელდობრ, სოციალურად წარმართული საბაზრო მეურნეობა“²⁵ არისო.

ამრიგად, ნეოლიბერალიზმის „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ განსხვავდება პალეოლიბერალიზმისაგან (ძველი ლიბერალიზმი-საგან) იმით, რომ საჯაროდ არის ცნობილი სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა, რეფორმების, სოციალური „ლონისძიებების“ გატარება. აშკარად ჩანს „კეინსური ეპიდემიის“ გავლენა ნეოლიბერალიზმის მოძღვრებაზე. ვ. ი. ლენინი შრომაში „მარქსიზმი და

რეფორმიზმი“ წერდა: „ევროპაში რეფორმიზმი სინამდვილეში ნიშნავს მარქსიზმის უაჩყოფას და მის შეცვლას ბურჟუაზიული „სოციალური პოლიტიკით“.26 ამჟამად მარქსიზმს ცვლიან „სოციალური პოლიტიკით“ და „სოციალური საბაზრო მეურნეობით“ გერმანიის მემარჯვენე სოციალისტები, რომლებიც ნეოლიბერალური ეკონომიური თეორიისა და პოლიტიკის მიმართ შეადგენენ „მემარცხენე ფრთას“.

ნეოლიბერალების მოძღვრებაში, „საბაზრო მეურნეობაში“ ჩამატებული „სოციალური“ მოასწავებს სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის ნეოლიბერალურ დოზას, ფორმასა და მასშტაბს. მთელი ნეოლიბერალური მოძღვრება „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ შესახებ არის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტიკა. ამიტომაც „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ლოზუნგი გამოცხადებული გფრ-ის ოფიციალურ სახელმწიფო დოქტრინად. ამ დოქტრინას ქადაგებენ ნეოლიბერალები — თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები, და მემარჯვენე სოციალისტების თეორეტიკოსებიც. „სოციალური, ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ პროპაგანდა, რომელიც აყვანილია ოფიციალური სახელმწიფოს დოქტრინის რანგში, სხვათა არ შეიძლება წარმოადგენდეს, თუ არა უძლიერესი მონოპოლისტური ჯგუფების მიერ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის გაძარცვის თავისუფლებას.²⁷

„სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ნეოლიბერალური თეორია მიმართულია მუშათა კლასის, მისი მსოფლმხედველობის მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ. გერმანელმა ნეოლიბერალმა ა. რიუსტოვმა შრომაში „სოციალური საბაზრო მეურნეობა, როგორც კომუნიზმისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ მიმართული კონტრპროგრამა“²⁸ ცილისმწამებლური გამოხდომები გააკეთა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ. ნეოლიბერალიზმის თეორია და პროგრამა მთელი ნიაღვარია რეაქციული სიბინძურისა, რომელიც ნეოლიბერალებმა გადაასხეს მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიას. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები არც კი ფარავენ თავიანთ სიძულვილს მეცნიერული სოციალიზმისადმი. ა. რიუსტოვმა „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ თეორია და პოლიტიკა დაუპირისპირა მეცნიერულ პოლიტიკურ ეკონომიას და ნეოლიბერალური მოძღვრება დაახასიათა, როგორც კომუნისტური იდეოლოგიის საპასუხო და საპირისპირო პროგრამა. „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ აპოლოგეტური თეორიის გამოგონებით გფრ-ის მონოპოლისტები სიხარულით ცას

ეწიენ. ეს ბუნებრივია, რადგან „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ დოქტრინა ფაქტიურად მონოპოლიების ინტერესებს გამოხატავს.

ნეოლიბერალები განგებ აცხადებენ, რომ „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ არც კაპიტალისტურია და არც სოციალისტურია. ისინი დემაგოგიურად აკრიტიკებენ კაპიტალიზმს, უწოდებენ მას „საბაზრო მეურნეობის დამახინჯებულ ფორმას“, და ფაქტიურად იცავენ კაპიტალისტურ საქონელწარმოებას. ნეოლიბერალი ვ. რეპკე სიტყვა კაპიტალიზმს ზმარობს ბრჭყალებში და აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმი „საბაზრო მეურნეობის გაუარესებული და გაფუჭებული ფორმა“ არისო. წიგნში „კუმანური საზოგადოება“ ვ. რეპკე „აკრიტიკებს“ და „აძაგებს“ კაპიტალიზმს და გაიძახის, რომ „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ — „შეჯიბრების წყობილება“ ანტიკაპიტალისტურია და მას რევოლუციური ხასიათი აქვსო. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს სწორედ ჯამბაზობაა, მეცნიერული ნაგავია და არა მეცნიერება. „თუ მეცნიერულად გამოვიყენებთ ტერმინებს „სოციალური“ და „მეურნეობა“, მაშინ ნათელი გახდება, რომ გამოთქმა „სოციალური მეურნეობა“ წარმოადგენს ტავტოლოგიას. ყოველგვარი მეურნეობა, მისი ისტორიული ფორმისაგან დამოუკიდებლად, წარმოადგენს სოციალურს, რამდენადაც იგი დამყარებულია ადამიანთა თანამშრომლობაზე და გულისხმობს ადამიანთა შორის განსაზღვრულ წარმოებით ურთიერთობას. არასოციალურ მეურნეობად შეიძლება მხოლოდ რობინზონის მეურნეობის ჩათვლა“.²⁹

„სოციალური საბაზრო მეურნეობის“ აპოლოგეტურ-ტავტოლოგიური ცნება, რომლის გამომგონებელია ა. მიულერ-არმაკი.³⁰ ძალიან მოეწონა კ. ადენაუერს. მან ხარბად გამოიყენა აღნიშნული ცნება ნეოლიბერალ ვ. რეპკეს წიგნის „სწორია გერმანიის ეკონომიური პოლიტიკა?“ წინასიტყვაობის დაწერის დროს. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატი კავშირის (რომლის თავმჯდომარეა კ. ადენაუერი) თეორეტიკოსები, მემარჯვენე სოციალისტები და რევიზიონისტები — „გალაქული სოციალისტები“ ერთმანეთს ეჯიბრებიან „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ პროპაგანდის საქმეში. პირველ ხანებში მემარჯვენე სოციალისტები თითქოს გამოდიოდნენ „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ წინააღმდეგ, ხოლო ამჟამად ისინიც იმას აკეთებენ, რასაც ადენაუერის პარტიის თეორეტიკოსები. ქება-დიდებას ასხამს „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ დოქტრინას ლ. ერჰარდი. „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ თეორიასა და პოლიტიკას, რომელსაც ემყარება ბონის მთავრობა, იგი სთვლის მთელი საზოგადოების კეთილდღეობის, „სა-

ყოველთაო კეთილდღეობის წყობილებს“ შექმნის აუცილებელ პირობად. პროფ. ლ. ერპარდმა „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ ეტაპებად დაპყ. პირველი ეტაპი დამთავრებულა 1957 წელს, მეორე ეტაპზე კი ლ. ერპარდი ოქროს მთებს, საყოველთაო კეთილდღეობას ჰპირდება ყველას. ქრისტიან-დემოკრატი კავშირის ჰამბურგის ყრილობაზე (1957 წ.) ერპარდმა ხმამაღლა და მედიდულად განაცხადა, რომ გფრ შევიდა „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მეორე ეტაპში. ტიპიურ სოციალურ დემოკრატთან, მინისტრულ ფრაზებთან გვაქვს საქმე. სწორედ ასეთ განცხადებებს უწოდებდა ვ. ი. ლენინი მდაბიო ხალხის მოსატყუებელ ფრაზებს. „უნდა გავარჩინოთ ერთმანეთისაგან ბურჟუაზიული პარტიების პროგრამები, ლიბერალური კარიერისტების საბანკეტო და საპარლამენტო სიტყვები მათი ნამდვილი მონაწილეობისაგან ნამდვილ სახალხო ბრძოლაში. სიტყვიერად ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული პოლიტიკანები, ყველა პარლამენტურ ქვეყანაში, ყოველთვის თავს დებდნენ დემოკრატიისათვის და ამავე დროს დალატობდნენ ამ დემოკრატიას.“³¹

წლები გავიდა ერპარდის განცხადებიდან (მაშინ იგი იყო ეკონომიკის ფედერალური მინისტრი), ხოლო დასავლეთ გერმანიაში გაძლიერდა მონოპოლისტური კაპიტალის დიქტატურა, რომლის საჭე ამჟამად თვით ერპარდის ხელშია. კიდევ უფრო გაძლიერდა საგაფიცვო მოძრაობა და გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ქვეყანაში. ნეოლიბერალური თეორიის და პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას, ბუნებრივია, არ შეეძლო „საყოველთაო კეთილდღეობის“ შექმნა, კლასობრივი ბრძოლის მოსპობა. „სოციალურმა, ანუ თავისუფალმა საბაზრო მეურნეობამ“ სრული თავისუფლება მისცა რეკარტელიზაციას, რემილიტარიზაციასა და შეიარაღების ეკონომიკის განვითარებას.

„სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ნიმუშად ნეოლიბერალები კვლავ აცხადებენ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. განსაკუთრებით ხმაურობდნენ დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალები, რომელთა წარმომადგენელს პროფ. ლ. ერპარდს კანცლერის სავარძელი უკავია. „დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამცველები, ამტკიცებენ, რომ გფრ-ში შექმნილია „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, რომლის საფუძველს, ნეოლიბერალების აზრით, წარმოადგენს თავისუფალი კონკურენცია, რომელსაც მხარს უჭერს სახელმწიფო.“³² ბურჟუაზიის ნეოლიბერალების მსგავსი თეორეტიკოსების ამგვარი მოქმედების შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „ეს ნიშნავს, შორს გადაპყარო საზოგადოდ ყოველგვარი მეცნიერული

კანონები, რელიგიური კანონებისათვის ადგილს გასაწმენდად; ეს ნიშნავს — აამთახროვო მაღალმეცნიერული ნაყარნუყარი და ნაგა-
ვი, მოსწავლე ახალგაზრდობის თავების გამოსატენად.

თუ ყოველივე ეს გაცილებით ტლანქად გამოგვივა, ვიდრე გერ-
მანიის ბურჟუაზიულ მეცნიერებს, — არც ესაა დიდი უბედუ-
რება“³³.

„სოციალური საბაზრო მეურნეობის“ თეორეტიკოსები უგუ-
ლებელყოფენ შრომითი ღირებულების მეცნიერულ თეორიას, უარ-
ყოფენ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას „საბაზრო მეურ-
ნეობაში“ და დემაგოგიური ხრიკებით ეწევიან კაპიტალისტური
საქონელწარმოების მისტიფიკაციას. ისინი გაიძახიან, რომ „პატიო-
სანი კონკურენცია“, „თავისუფალი ბაზარი“ წარმოადგენს ეკონო-
მიკაში დემოკრატიის — „ეკონომიური დემოკრატიის“ ცხოვრებაში
გატარებასო, ხოლო გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა („ცენტ-
რალურ-მართული ეკონომიკა“) პიროვნების თავისუფლებას უარ-
ყოფსო. კ. ლენელი ნეოლიბერალების წელიწდეულში წერს: „გეგ-
მიანი მეურნეობის ნამდვილი სახე არ არის „თავისუფალი
მეურნეობა“, „შეჯიბრების წყობილება“³⁴.

ნეოლიბერალი ეკონომისტი ა. პაულზენი კაპიტალისტურ ანარ-
ქიულ წარმოებას იმით იცავს, რომ აცხადებს — ვითომ ადამიანს.
პიროვნებს თავისუფლების განსახიერება ეკონომიურ ცხოვრებაში
იყოს „პატიოსანი კონკურენცია“, „თავისუფალი შეჯიბრება“, „თა-
ვისუფალი ბაზარი“, ე. ი. კონკურენცია და წარმოების ანარქია,
ძლიერების მიერ სუსტების დამარცხება, სამუშაო ძალის ექსპლოა-
ტაცია. „აქედან გასაგებია: — აღნიშნავს კ. მარქსი, — თუ რა გა-
დამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ძალის ღირებულებისა და
ფასის გარდაქმნას ხელფასის ფორმად. ე. ი. თვით შრომის ღირებუ-
ლებად და ფასად. ამ გამოვლინების ფორმაზე, რომელიც უხილავად
ხდის ნამდვილ ურთიერთობას და სწორედ მის პირდაპირ საწინააღმ-
დეგო ურთიერთობას გვიჩვენებს, დამყარებულია როგორც მუშის,
ისე კაპიტალისტის ყველა იურიდიული წარმოდგენა, კაპიტალის-
ტური წარმოების წესის ყველა მისტიფიკაცია, ყველა მისი თავი-
სუფლების ილუზია და ვულგარული ეკონომიის ყველა აპოლოგე-
ტური ხრიკი“³⁵.

დღესაც ასე მოქმედებენ ბურჟუაზიული ეკონომისტები და
მათი პარტნიორები — მემარჯვენე სოციალისტები, რევიზიონისტე-
ბი. კაპიტალისტური საქონელწარმოების მისტიფიკაცია არის დღე-
საც ნეოლიბერალიზმის „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ვულ-
გარული თეორიის საბოლოო და ნამდვილი დანიშნულება.

ნეოლიბერალები. ქადაგებენ რა „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“ და „პატიოსან კონკურენციას“ — „შეჯიბრების წყობილებას“, უარყოფენ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას, გვერდს უვლიან იმას, რომ კაპიტალისტური მოგების წყაროა დაქირავებული შრომით შექმნილი ზედმეტი ღირებულება. მათი აზრით, მოგებას ქმნის „შეჯიბრებაზე დამყარებული თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“. „დასავლეთ გერმანიის თანამედროვე ეკონომიკას ნეოლიბერალები ახასიათებენ, როგორც „თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“ და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ აქ ფაქტიურად აღმოფხვრილია მონოპოლიების ძალაუფლება.“³⁶

ქვეშარიტების დამახინჯების აშკარა ფაქტებთან გვაქვს საქმე. შუბი ხალთაში არ დაიმალება. „სოციალური, ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ ნიშნავს თავისუფლებას მონოპოლიებისათვის, მონოპოლისტური კაპიტალის მიერ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის თავისუფლებას. კაპიტალისტური კონკურენცია ან, როგორც ნეოლიბერალები უწოდებენ „პატიოსანი კონკურენცია“ — „შეჯიბრება“, არ შეიძლება იყოს მოგების წყარო. კონკურენციული ბრძოლა კაპიტალისტებს შორის იწვევს თანატოლ კაპიტალთა მოგების ოდენობის გათანაბრებას, რომელსაც კ. მარქსი „კაპიტალისტურ კომუნიზმს“ უწოდებს.

„წარმოების სხვადასხვა სფეროში დაბანდებულ და სხვადასხვა შემადგენლობის მქონე კაპიტალის რაოდენობებს შორის არსებული კონკურენცია კაპიტალისტური კომუნიზმის აკენ ისწრაფვის, სახელდობრ, იქითკენ ისწრაფვის, რომ წარმოების თვითეულ სფეროში დაბანდებული კაპიტალის რაოდენობა მთელი ზედმეტი ღირებულების თავის ხვედრ ნაწილს იღებს იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ის მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის ნაწილს შეადგენს.“³⁷

ამრიგად, „სოციალურ საბაზრო მეურნეობაში“ კაპიტალისტური კონკურენცია არის კაპიტალის მოქმედების თავისუფლება, თავისუფლება ძლიერებისა მოსპონ სუსტები და კიდევ უფრო გაძლიერდნენ. „კონკურენცია ახორციელებს, და ამასთან თავდაპირველად წარმოების ცალკეულ სფეროში, იმას, რომ იგი საქონელთა სხვადასხვა ინდივიდუალური ღირებულებიდან ამყარებს თანაბარ საბაზრო ღირებულებას და საბაზრო ფასს. მაგრამ მხოლოდ კაპიტალების კონკურენცია წარმოების სხვადასხვა დარგებში წარმოშობს წარმოების ფასს, რომელიც ათანატოლებს მოგების ნორმებს სხვადასხვა დარგებს შორის.“³⁸

ვეულგარული ეკონომისტები ყოველთვის იმაზე ოცნებობენ, რომ

მიჩქმალონ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების ნამდვილი ბუნება და „თავისუფალი მეწარმეობის“, „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“, „შეჯიბრების წყობილების“ ყალბი ლოზუნგების ხმაურში შექმნან მოჩვენებითობა, რომ თითქოს კაპიტალიზმი, კაპიტალისტური საქონელწარმოების კოსმოსი „თავისუფლების სამყაროა“. გერმანელმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა ვ. ბერკეფელდმა 1954 წელს ნეოლიბერალების წელიწდეულში გამოაქვეყნა სტატია მყვირალა სახელწოდებით „თავისუფლების გზა“,³⁹ რომელშიც ხოტბას ასხამს ნეოლიბერალურ თეორიებს და „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“ ხატავს „პატიოსან კონკურენციაზე“, „შეჯიბრებაზე დამყარებულ თავისუფლების სამყაროდ“. „თავისუფლების სამეფო სინამდვილეში იქ იწყება, — წერს კ. მარქსი, — სადაც შეწყდება შრომა, რომელიც ნაკარანხევია გაჭირვებითა და გარეგანი მიზანშეწონილობით“.⁴⁰

მკაცრად აკრიტიკებდა ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიული თავისუფლების მოტრფიალე ლიბერალებს — ნეოლიბერალების წინამორბედებს. „ბატონო ბურჟუაზიულო ინდივიდუალისტებო, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სიტყვები აბსოლუტურ თავისუფლებაზე მხოლოდ ფარისევლობაა. ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასები გადატაკებული არიან და ერთი მუქა მდიდრები მუქთახორობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი „თავისუფლება“... ეს აბსოლუტური თავისუფლება ხომ ბურჟუაზიული თუ ანარქისტული ფრაზაა.“⁴¹

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია ნიღაბს ხდის „სოციალური ანუ საბაზრო მეურნეობის“ თეორეტიკოსთა დემაგოგიურ მსჯელობას. მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია თავისუფალ კონკურენციაზე გადასვლა. მართალია, თავისუფალ კონკურენციასაც აქვს ადგილი, მაგრამ ნეოლიბერალური კონკურენცია სპობს განა ექსპლოატაციას? ვულგარული ეკონომისტების მტკიცებას, რომ თითქოს მოგებას ქმნის კონკურენცია, კ. მარქსი უწოდებდა კონკურენციით შექმნილ მოჩვენებითობას. „კაპიტალის“ III ტომის 50-ე თავში „კონკურენციით შექმნილი მოჩვენებითობა“ ვკითხულობთ: „კონკურენციას შეუძლია მხოლოდ გაათანატოლოს მოგების ნორმის უთანატოლობა. მოგების უთანატოლო ნორმის გაათანატოლებისათვის უკვე უნდა არსებობდეს მოგება როგორც საქონლის ფასის ელემენტი. კონკურენცია მას არ ქმნის. იგი მას ასწევს ან დასწევს“.⁴²

ამგვარად, ნეოლიბერალები აყალბებენ კონკურენციისა და მო-

ნოპოლიების მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. ისინი ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავენ წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდის თავისუფალ კონკურენციასა და იმპერიალიზმის სტადიაზე არსებულ კონკურენციას შორის. მეტიც, მონოპოლისტურ კაპიტალიზმს ისინი ხატავენ მონოპოლიებისა და კონკურენციის გარეშე, „თავისუფალ საბაზრო მეურნეობად“.

ცნობილია, რომ თავისუფალი კონკურენცია ემყარებოდა წვრილ და საშუალო კაპიტალისტთა კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციამ წარმოშვა მონოპოლიები, რომლებმაც გაბატონებული ადგილი დაიკავეს. კონკურენცია, ცხადია, არსებობს იმპერიალიზმის დროსაც, მაგრამ გაბატონებული ადგილი უჭირავს მონოპოლიებს, მონოპოლიები შეადგენს იმპერიალიზმის არსს. მაშასადამე, თავისუფალი კონკურენცია უკანა პლანზეა გადასროლილი. ამ ფაქტს ვერც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი წარმომადგენელი უარყოფს. ამიტომ, ბუნებრივია, თვით თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შიგნით გახშირდა ლაპარაკი „მონოპოლისტური კონკურენციის“. „არასრული კონკურენციის“, „დაუსრულებელი კონკურენციის“ (ე. ჩემბერლინი, ჯ. რობინსონი და სხვ.) შესახებ. ამასთან დაკავშირებით დაიწყო კაპიტალისტური კონკურენციის შეცვლა უფრო მოშაქრული ტერმინით „შეჯიბრება“. თვით ნეოლიბერალებმაც კი ხელი მოჰკიდეს „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მოდელის „შეკეთებას“, „შელამაზებას“ და „კრიტიკასაც“ კი (ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსი პროფ. ფ. ბემი, ექსისტენციალისტი კ. იასპერსი და სხვ.). ვ. ოიკენმა თითქმის სულ ამოაგდო ხმარებიდან „კონკურენცია“. „თანამედროვე ტექნიკა, ვ. ოიკენის აზრით, ნიშნავს კონკურენციის მოსპობას“. ⁴³ აქედან ნეოლიბერალებმა გააქეთეს კიდევ ერთი ახალი აღმოჩენა: დასავლეთ გერმანიის ეკონომიკას უწოდეს „შეჯიბრებაზე დამყარებული წყობილება“ — „შეჯიბრების წყობილება“, „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილება.“

3. ნეოლიბერალური „შეჯიბრების წყობილება“ — „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილება“⁴⁴

დასავლეთ გერმანიის ნეოლიბერალები იცავენ სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს. მათ აქვთ კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ — „სახალხო კაპიტალიზმის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიის ორიგინალური ვარიანტები, რომლებიც ემყარება

აგრეთვე ნეოლიბერალურ მოძღვრებას „შეჯიბრების წყობილების“ შესახებ.

გერმანელი ნეოლიბერალეები, ნაცვლად კაპიტალიზმისა, ხმარობენ გამოთქმებს — „სოციალური, ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“, „შეჯიბრების წყობილება“, „შეჯიბრების ეკონომიკა“, „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილება“, „პროპორციული პარტნიორობა“ და სხვ. განსაკუთრებით გახშირდა ლაპარაკი „შეჯიბრების წყობილების“ გარშემო, რომელიც ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ პრაქტიკულ განხორციელებად ითვლება.

ამრიგად, ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა განსაზღვრით. „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ არის „შეჯიბრების წყობილება“, რომელიც განსხვავდება როგორც კაპიტალიზმიდან, ასევე სოციალიზმიდან.

ნეოლიბერალეები ძალიან აქებენ თავიანთ „შეჯიბრების წყობილებას“. მათი დემაგოგია იქამდეც კი მიდის, რომ ისინი „აკრიტიკებენ“, „გმობენ“ ფაშისტურ იძულებით ეკონომიკას — ნაცისტურ ტოტალიტარიზმს და აგრეთვე „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თანამედროვე მოდელებსა და თეორიებს. ნეოლიბერალთა სოციალური დემაგოგიის დადასტურებაა ისიც, რომ მათ — „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ თეორეტიკოსებსა და პროპაგანდისტებს — თავი მოაქვთ „თავისუფლების“, „ეკონომიური თავისუფლების“. „პატიოსანი კონკურენციის“, „ჰუმანიზმის“, „შეჯიბრების წყობილების“ დამცველებად და მონოპოლიების, კაპიტალიზმის „მტრებად“.

ნამდვილად კი ნეოლიბერალეები იცავენ მონოპოლიებს, კერძო საკუთრებას, კაპიტალისტური წარმოების წესს. მათი „შეჯიბრების წყობილება“ და „ანტიმონოპოლიზმი“ ფაქტიურად არის კაპიტალის აპოლოგია. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ იმპერიალიზმის არსს შეადგენს მონოპოლიების ბატონობა. ნეოლიბერალ რეპკეს განმარტებით კი „სოციალური საბაზრო მეურნეობის“, ანუ „შეჯიბრების წყობილების“ (ე. ი. მონოპოლისტური კაპიტალიზმის) „არსია ანტიმონოპოლისტური პოლიტიკა.“⁴⁵ აი, სადამდე მიდიან ნეოლიბერალეები თავიანთი „ანტიმონოპოლიზმითა“ და „შეჯიბრების წყობილებით“. ისინი შენიღბულად და სოციალური დემაგოგიით იმიტომ გამოდიან, რომ შეცდომაში შეიყვანონ ფართო მასები.

...კაპიტალიზმის შენიღბულად დაცვის დიდოსტატია გერმანელი ნეოლიბერალეების ლიდერი ვ. ოიკენი. სწორედ მან შემოიღო და გაავრცელა სახელწოდება „შეჯიბრების წყობილება“. კაპიტალიზმს ოიკენი და მისი მიმდევრები ნიღბავენ გამოთქმებით — „თავისუ-

ფალი, ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობა“, „შეჯიბრების წყობილება“. ვ. ოიკენის „შეჯიბრების წყობილების“ დოქტრინით ნეოლიბერალებმა მოხერხებული ტრამპლინი მიიღეს. ვ. ოიკენმა სპეციალური შრომა დაწერა „შეჯიბრების წყობილების“ შესახებ. რომელიც ნეოლიბერალების ყოველწლიურ ორგანოში „ორდო“⁴⁶ გამოქვეყნდა. სტატიის სახელწოდება ასეთია: „შეჯიბრების წყობილება და მისი განხორციელება“⁴⁷. ვ. ოიკენი მარტო როდია „შეჯიბრების წყობილების“ პროპაგანდის საქმეში. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ფრანც ბემმა დაწერა შრომა სახელწოდებით — „შეჯიბრება და მონოპოლიური ბრძოლა“,⁴⁸ ლ. მიკშმა — „შეჯიბრება, როგორც დავალება“,⁴⁹ ფ. მუტჰეზიუსმა — „შეჯიბრების მეურნეობა“,⁵⁰ გ. შმელდერსმა — „მართვის სისტემა და შეჯიბრების წყობილება“,⁵¹ ა. შმიტმა — „მოძრავი წყობილება შეჯიბრების საშუალებით თუ ძალდატანებით“⁵² ნეოლიბერალების წელიწადულში სისტემატურად იბეჭდება სტატიები, რეცენზიები⁵³ „შეჯიბრების წყობილებისა“ და ამ საკითხზე დაწერილი შრომების შესახებ (მაგალითად, გ. ვიბელისა და სხვ.).

ვ. ოიკენი და მისი თანამოაზრენი ხოტბას ასხამენ „თავისუფალ კონკურენციას“, „საბაზრო მეურნეობას“, „შეჯიბრების წყობილებას“ და „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ განხორციელებისათვის შესაძლებლად თვლიან სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიურ ცხოვრებაში და მას უწოდებენ „ლიბერალურ ინტერვენციონიზმს“ (ვ. რეპკე)⁵⁴. ოიკენი დიდ ადგილს უთმობს ფრიტრედერობის დახასიათებას და ეკონომიური ლიბერალიზმის სხვა საკითხებს. იგი აყენებს კითხვას: „რა არის შეჯიბრების წყობილება?“ და თვითონვე უპასუხებს: „შეჯიბრებაზე დამყარებული წყობილება“.

ვ. რეპკესთვის „ნამდვილი შეჯიბრების წყობილება არის საბაზრო მეურნეობა“.⁵⁵ ნეოლიბერალი პროფესორი ფრ. ბემი კი უფრო ვრცლად განმარტავს „შეჯიბრების წყობილებას“. „ლაბარაკია შეჯიბრების წყობილებაზე, — წერს ფრ. ბემი, — როგორც წყობილების განსაკუთრებულ ტიპზე. წყობილების ეს ტიპი ოიკენს სურდა ლათინური სიტყვით „ორდო“ აღენიშნა. ყველა სოციალური წყობილება არაა „ორდო“ — დაასკვნის იგი.⁵⁶ აქ რამდენიც სიტყვაა, იმდენი სიყალბეა.

ნეოლიბერალები კაპიტალიზმს დასავლეთ გერმანიაში განგებ ხატავენ „ახალ წყობილებად“, „სოციალურ პარტნიორობად“, სადაც თითქოს აღარ არის კაპიტალისტური კონკურენცია და მონოპოლიები, ექსპლოატაცია და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სხვა უბედურებანი. ისინი ამბობენ, რომ დასავლეთ გერმანიაში არც

კაპიტალიზმია და არც სოციალიზმი. მათი მტკიცებით, გფრ-ში არის „სოციალური პარტნიორობა“, „ჭუმანური ურთიერთობა“, „ეკონომიური ჭუმანიზმი“, „სოციალური ანუ, თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ — „შეჯიბრების წყობილება“. ამით ნეოლიბერალები ცდილობენ, ჯერ ერთი, კაპიტალისტური კონკურენციისა და მისი შედეგების უარყოფას და, მეორე, სოციალიზმისათვის, სოციალისტურა შეჯიბრებისათვის სახელის გატეხას, კაპიტალისტური კონკურენციისა და სოციალისტური შეჯიბრების ურთიერთშორის აღრევას.

კიდევ უფრო „შორს“ მიდის ვ. რეპკე — „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობისა“ და სხვა ნეოლიბერალური კონცეფციების თეორეტიკოსი. იგი არ კმაყოფილდება იმით, რომ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში არის „შეჯიბრების წყობილება“, და მოითხოვს „შეჯიბრების წყობილების“ ფარგლების გაფართოებას. ვ. რეპკე თავის სტატიაში — „საერთო ბაზარი და თავისუფალი ვაჭრობის ზონა“ — მოითხოვს „თავისუფალი შეჯიბრების ჰაერის“ შეშვებას კაპიტალისტურ მეურნეობაში და ამ მიზნით ქადაგებს „საერთაშორისო შეჯიბრებას“.⁵⁷ ჰანს ვილგეროდტი კი „ეროვნული“ და „საერთაშორისო ინტეგრაციის“ მსგავსად „საერთაშორისო შეჯიბრებას“, ე. ი. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის კონკურენციისა და სავაჭრო-ეკონომიურ ომებს, განასხვავებს ქვეყნის შიგნით „შეჯიბრებისაგან“. ნეოლიბერალიზმის კონცეფციის შესაბამისად ჰ. ვილგეროდტი კაპიტალისტური ქვეყნის შიგნით ცალკეულ საქონელმწარმოებელთა შორის კონკურენციულ ბრძოლას უწოდებს „ეროვნულ შეჯიბრებას“.⁵⁸

სრული ჭეშმარიტებაა ის ფაქტი, რომ სოციალისტური შეჯიბრება და კაპიტალისტური „შეჯიბრება“ (კონკურენცია) ძირფესვიანად განსხვავდება ერთიმეორისაგან. ნეოლიბერალები განზრახ ამღვრევენ წყალს, რათა ბურჟსში გახვიონ ჭეშმარიტება და სოციალისტური ფრაზეოლოგიით იდეურ ტყვეობაში იყოლიონ მშრომელთა ფართო მასები.

ნეოლიბერალები ამახინჯებენ სინამდვილეს, ფაქტებს და გაიძახიან, რომ სოციალიზმი სპობს შეჯიბრებას, ხოლო „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ გზას უხსნის შეჯიბრებასო. ალფონს შმიტი აყენებს კითხვას: რა არის საჭირო მოძრავი წყობილებისათვის? და თვითონვე უპასუხებს — შეჯიბრებაო. ის, დგას რა ვ. ოიკენის, ფრ. ბემის, გ. შმელდერსის, ფ. მუტჰეზიუსის და სხვ. პოზიციებზე, ამახინჯებს სოციალისტური შეჯიბრების ნამდვილ ბუნებას და აქებს „შეჯიბრებას“ კაპიტალიზმის პირობებში. მისი სტატიის სათაურიც — „მოძრავი წყობილება შეჯიბრების საშუალებით თუ ძალდა-

ტანებთ?“ — ნათლად მეტყველებს თვით ა. შმიტისა და მის თანა-
მოაზრეთა დემაგოგიურ მსჯელობაზე.

ნეოლიბერალ ვ. რეპკესაც ქება-დიდებათ ცამდე აჰყავს „შეჯიბა-
რების წყობილება“ და კაპიტალისტურ წარმოებას განიხილავს, რო-
გორც მეურნეობის საუკეთესო და რევოლუციურ სისტემას. იგი
წერს: „ჩვენი პირველი ამოსავალი პუნქტია ნამდვილი შეჯიბრების
წყობილება, რომელსაც, ამრიგად, აქვს არა კონსერვატიული, არა-
მედ რევოლუციური ხასიათი“⁶⁰. აქ კაპიტალის აპოლოგეტთა ცნო-
ბილ მსჯელობასთან გვაქვს საქმე. „ბურჟუაზიული ეკონომისტები
არა ერთხელ გამოსულან სოციალიზმის საწინააღმდეგო თავიანთ
კრიტიკაში განცხადებით, თითქოს სოციალისტები უარყოფდნენ შე-
ჯიბრების მნიშვნელობას ან ადგილს არ აძლევდნენ მას თავიანთ
სისტემაში, ანდა, როგორც ისინი ამბობდნენ, საზოგადოებრივი
წყობალების თავიანთ გეგმაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რამდე-
ნად უაზროა ეს ბრალდება, რომელიც უკვე არა ერთხელ ყოფილან
გაბათილებული სოციალისტურ პრესაში“, — აღნიშნავდა
ვ. ი. ლენინი⁶¹.

თანამედროვე ეტაპზე სწორედ ნეოლიბერალები გამოდიან სო-
ციალიზმის საწინააღმდეგო ანალოგიური, უკვე რამოდენიმეჯერ გა-
ბათილებული ბრალდებებით. „ჩვენი მტრები ავრცელებენ ბოროტ
მონაჭორს, რომ სოციალიზმმა, რომელმაც მოსპო კერძო საკუთრე-
ბა, კერძო მეწარმეობა და კაპიტალიზმის სხვა მშვენიერებანი,
თითქოს წაართვა საზოგადოებას ცხოველქმედობის სტიმული და
ამიტომ იძულებულია მიმართოს „ტოტალიტარულ მეთოდებს“,
წარმოშვა კონფლიქტი ადამიანსა და წარმოებას შორის, უარყო
„მოპხმარებლის სუვერენიტეტი“, უგულვებლყოფს ადამიანთა მა-
ტერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს, თრგუნავს პიროვნებას.
მაგრამ ვინ მოტყუვდება ასეთი მონაჭორებით სოციალიზმის შესა-
ხებ, რომელმაც მსოფლიო განაცვიფრა ეკონომიური, სოციალური
და სულიერი პროგრესის უმაგალითო ტემპებით, დაიწყო კოსმოსის
ათვისების ერა, გახდა დროშა ასეულ მილიონობით ადამიანის ბრძო-
ლსა ქვეყნად უკეთესი ცხოვრებისა და მშვიდობისათვის! ცუდად
არის ბატონი იმპერიალისტებისა და მათი მეცნიერი ლაქიების საქ-
მე, თუ ისინი იძულებული არიან მიმართონ ასეთ უგუნურ ცილის-
წამებას“⁶².

ბურჟუაზიის დღევანდელ იდეოლოგთა აზრით, გეგმიანი მეურ-
ნეობა და შეჯიბრება, თავისუფლება შეუთავსებელია. კიდევ უფრო
შორს მიდიან „პალეოლიბერალები“, რომლებიც ერთიმეორეში
ურევვენ დემოკრატიულ ცენტრალიზმსა და ბიუროკრატიულ ცენტ-
რალიზმს, სოციალისტურ დაგეგმვასა და დირიჟისტულ „მართულ

ეკონომიკას“, „ღირიყიზმს“, აგრეთვე ნაციისტურ „იძულებით ეკონომიკას“. ნეოლიბერალ რეპკეს ცილისმწამებლური განცხადებით, ფაშისტური იძულებითი ეკონომიკა და გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა „ინტერვენციონისტულ-ღირიყისტული წყობილებას პრინციპს ემყარება.“⁶³

ნეოლიბერალები ერთიმეორეში ურევენ სოციალისტურ შეჯიბრებასა და კაპიტალისტურ „შეჯიბრებას“ (კონკურენციას). მაგალითად, ვ. ტროშკა გამოაქვეყნა სტატია „ქვანახშირი და შეჯიბრება“, რომელშიც აღრეულია შეჯიბრება და კონკურენცია.⁶⁴ მარქსიზმ-ლენინიზმი კი ძირეულ განსხვავებას ხედავს სოციალისტურ შეჯიბრებასა და კაპიტალისტურ კონკურენციას შორის. „როგორც ყოველთვის, ბურჟუაზიული ეკონომისტები კაპიტალისტური საზოგადოების თავისებურებათა საკითხს ურევენენ შეჯიბრების ორგანიზაციის სხვანაირი ფორმის საკითხში. სოციალისტების თავდასხმა არასოდეს არ ყოფილა მიმართული შეჯიბრების, როგორც ასეთის წინააღმდეგ, არამედ მიმართული იყო მხოლოდ კონკურენციის წინააღმდეგ. კონკურენცია კი განსაკუთრებული ფორმაა იმ შეჯიბრებისა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებას მოსდგამს და რომელიც მდგომარეობს ცალკეულ მწარმოებელთა ბრძოლაში ლუკმა პურისათვის, ბაზარზე გავლენისა და ადგილისათვის. მოსპობა კონკურენციისა, როგორც მხოლოდ მწარმოებელთა ბაზართან დაკავშირებული ბრძოლისა, სრულიადაც არ ნიშნავს შეჯიბრების მოსპობას, — პირიქით, სწორედ სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის მოსპობა გაუხსნის გზას შეჯიბრების ორგანიზაციის შესაძლებლობას არა მხეცურ, არამედ ადამიანურ ფორმებში“,⁶⁵ — წერს ვ. ი. ლენინი.

ოიკენს არ მოსწონს და მისთვის ხელსაყრელი არც არის შეჯიბრებისა და კაპიტალისტური კონკურენციის ნამდვილი, მეცნიერული, ე. ი. მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრა. მეტიც, იგი „კონკურენციის კრიტიკოსთა“ შორის — სისმონდისა და სენ-სიმონისტების გვერდით ასახელებს კ. მარქსს, ამით კი ხელოვნურად ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს.⁶⁶ ცნობილია, რომ კ. მარქსი მთელი მეცნიერული სიღრმით ააშკარავებდა კაპიტალისტური კონკურენციის ბუნებას, ხოლო წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი სისმონდი კმაყოფილდებოდა კაპიტალიზმისა და კაპიტალისტური კონკურენციის სენტემენტალური კრიტიკით. კ. მარქსი კაპიტალისტური წარმოებისა და კონკურენციის მეცნიერული ანალიზიდან აკეთებდა რევოლუციურ დასკვნებს, ხოლო სისმონდის მოძღვრება ატარებდა აშკარად რეაქციულ-უტოპიურ ხასიათს.

ნეოლიბერალი ფრ. ბემი ან მალა აყენებს კაპიტალისტურ „შეჯიბრებას“, ან განზრახ ჩქმალავს კაპიტალისტური „შეჯიბრების“ ანტაგონისტურ ბუნებას, იგი ახასიათებს „შეჯიბრებას, როგორც ეკონომიური კოოპერირების ობიექტურ ფორმას“.⁶⁷

მაშასადამე, სოციალისტურ შეჯიბრებასთან არაფერი აქვს საერთო ნეოლიბერალების „შეჯიბრებას“ და მასზე დაფუძნებულ „შეჯიბრების წყობილებას“. ნეოლიბერალების „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“, „შეჯიბრების წყობილება“ ემყარება წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას და გულისხმობს მხეცურ კონკურენციასა და ექსპლოატაციას. „ასე თი კაპიტალიზმის დროს კონკურენცია ნიშნავს მოსახლეობის მასის, მისი უდიდესი უმრავლესობის, მშრომელთა ოთხმოცდაცხრამეტი მეასედის თაოსნობის, ენერჯის, გაბედული წამოწყების გაუგონრად მხეცურ ჩახშობას, ნიშნავს აგრეთვე შეჯიბრების შეცვლას ფინანსური თაღლითობით, დესპოტიზმით, მლიქვნელობით სოციალური კიბის ზედაფენებში“⁶⁸. სოციალისტური შეჯიბრება კი ემყარება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას და იგი მოითხოვს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების გატარებას.

სოციალისტური შეჯიბრება სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდია. ემყარებოდა რა ვ. ი. ლენინის დებულებებს შეჯიბრებისა და კონკურენციის შესახებ, ჯერ კიდევ პარტიის XVI კონფერენციამ სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნა სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. კაპიტალისტური კონკურენციის პრინციპია: ზოგის (სუსტების) დამარცხება და სიკვდილი, ზოგის (ძლიერების) გამარჯვება და ბატონობა. სოციალისტური შეჯიბრების პრინციპია: ამხანაგური დახმარება ჩამორჩენილებისადმი მოწინავეთა მხრივ, რათა მიღწეულ იქნას საერთო აღმავლობა. კონკურენცია ანადგურებს ჩამორჩენილებს, რათა ბატონობა დაიმკვიდრონ ძლიერებმა. სოციალისტური შეჯიბრება იწვევს საერთო აღმავლობას. ახლა მოვეუსმინოთ ვ. ოიკენს, და ვნახოთ, თუ როგორ ფერებში ხატავს იგი კონკურენციულ ბრძოლას კაპიტალისტური საქონელწარმოების პირობებში. შეჯიბრება სრული კონკურენციის, ე. ი. კაპიტალიზმის დროს, ოიკენის აზრით, არ ნიშნავს „ადამიანის წინააღმდეგ ადამიანის ბრძოლას“, არამედ იგი „მიმდინარეობს პარალელური მიმართულებით“. „ის არ არის შეზღუდვა“, დაბრკოლება, არამედ იგი ყოფილა წარმატებათა პირობა. ასეთია ვ. ოიკენის დემაგოგიური მსჯელობა და შესაბამისი აპოლოგეტური დასკვნები.⁶⁹ აი, როგორ შემოაპარა კაპიტალისტური კონკურენცია „შეჯიბრებაში“ ვ. ოიკენმა. ასე იქცევა ა. რიუსტოვიც; იგი აიგივებს

ეკონომიურ შეჯიბრებას და კონკურენციას.⁷⁰ ალფონს შმიტი კი უფრო მეტ „სიფრთხილეს“ იჩენს. იგი აყენებს კითხვას: „ჰოდა, რა უნდა იყოს მისი სიმართლა „შეჯიბრების წყობილების“? მხარეზეა. ფრ. ბემი კი თავის სტატიას — „შეჯიბრების თავისუფლება და კარტელის თავისუფლება“ — ამთავრებს მოწოდებით: „შეჯიბრების თავისუფლება — კი, კარტელის თავისუფლება — არა!“⁷²

თავისი შრომის — „შეჯიბრების წყობილება და მისი განხორციელება“ — მეორე თავში დასმულ კითხვას — „რა არის შეჯიბრების წყობილება?“ — ვ. ოიკენი უპასუხებს, რომ ეს არის „სრულ კონკურენციაზე“ დამყარებული წყობილება.⁷³ ვ. ოიკენის მხარდა მხარ დგას ფ. ბემი და იძლევა „შეჯიბრების წყობილების“ მკვირალა განმარტებას. იგი წერს: „ლაპარაკია შეჯიბრების წყობილებაზე, როგორც წყობილების განსაკუთრებულ ტიპზე“. ფრ. ბემი ხოტბას ასხამს ვ. ოიკენის „შეჯიბრების წყობილებას“ და აკეთებს დემაგოგიურ დასკვნას, რომ „შეჯიბრების წყობილებას“; ე. ი. კაპიტალიზმს, დასავლეთ გერმანიაში ხატავს ადამიანური ღირსების შესაბამის წყობილებად. ხოლო გ. შმელდერსი სსრ კავშირის გეგმიან სოციალისტურ მეურნეობას უწოდებს „ტოტალურ სახელმწიფო ვეკჰინან მეურნეობას“⁷⁴ და ხოტბას ასხამს აგრეთვე „შეჯიბრების წყობილებას“.

ვ. ოიკენი სიტყვებით თამაშობს. ზოგჯერ ამბობს „კონკურენციას“, ზოგჯერ კი „შეჯიბრებას“. „ის საბაზრო ფორმა, — წერს ვ. ოიკენი, — რომელიც შეჯიბრების წყობილებაში ბატონობს, არის „სრული კონკურენციის“ საბაზრო ფორმა“.⁷⁵ ამის შემდეგ იგი გადადის „სრული კონკურენციის“ განმარტებაზე. „რა არის სრული კონკურენცია? — აყენებს კითხვას ვ. ოიკენი და თვითონვე უპასუხებს: — ის არის განსაზღვრული, ზუსტად დეფინირებული საბაზრო ფორმა და არა ლესე ფერ-ის შესაბამისი“.⁷⁶

ძნელი დასადგენი არაა, თუ როგორ ესმის ვ. ოიკენს კონკურენცია, კონკურენციული ბრძოლა კაპიტალიზმის დროს. „სრული კონკურენციის“ ანალიზის მხრივ ვ. ოიკენი ბევრს ვერაფერს დაიკვივხნის. თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატურაში დიდი ხანია გახშირდა ლაპარაკი „წმინდა კონკურენციის“, „დაუსრულებელი, ანუ მონოპოლისტური კონკურენციის“ (ე. ჩემბერლინი, ჯ. რობინსონი და სხვ.) და სხვათა შესახებ. ვ. ოიკენსაც თავისი წვლილი შეაქვს კონკურენციისა და მონოპოლიების თანამედროვე ბურჟუაზიულ-აპოლოგეტურ თეორიებში. ეს „წვლილი“ იმაში გამოიხატება. რომ ოიკენი „სრულ კონკურენციას“ განიხილავს მონოპოლის-

ტურ გაერთიანებებს შორის გააფთრებული ბრძოლის გარეშე. ვ. ოიკენის „სრული კონკურენცია“, როგორც „შეჯიბრების წყობილების“ არსებობის პირობა, განსხვავდება მონოპოლიებს შორის არსებული კონკურენციული ბრძოლისაგან. „სრული კონკურენცია არის რაღაც სრულიად სხვა, ვიდრე მონოპოლიური ბრძოლა“⁷⁷ ვ. ოიკენი იძულებულია აღიაროს ტექნიკის განვითარება, წარმოების კონცენტრაცია და მონოპოლიების წარმოშობა. მონოპოლიების გაბატონება რომ თავისუფალ კონკურენციას სპობს, ამას გვერდს ვერ უვლის ოიკენი. მისი „ანტიმონოპოლიზმიც“ იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფოს ჩარევით ოცნებობს „მონოპოლიების ძლიერების განეიტრალებაზე“. თანამედროვე ტექნიკა ოიკენს მიაჩნია კონკურენციის მოსპობად⁷⁸.

ვ. ოიკენი არსებითად ცდილობს იმ ჰეშმარიტი ფაქტის უარყოფას, რომ კონკურენციას ადგილი აქვს მონოპოლიების შიგნით, მონოპოლიებს შორის, მონოპოლიებსა და არამონოპოლიზებულ საწარმოებს შორის. ვ. ოიკენს არ სურს იმის დანახვა, რომ იმპერიალიზმის დროს არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს „წმინდა კონკურენცია“ — „სრული კონკურენცია“, „პატიოსანი კონკურენცია“. „კონკურენცია ცალკეულ საწარმოთა შორის საკითხს მხოლოდ ასე აყენებს — ან თვითონ უნდა გაიჩანადე, ან სხვები უნდა გააჩანაგო; კონკურენცია ცალკეულ ქვეყნებს შორის საკითხს მხოლოდ ასე აყენებს — დარჩე მეცხრე ადგილზე და მუდამ ბელგიის ბედი მოგელოდეს თუ გააჩანაგო და დაიპყრო სხვა ქვეყნები და გაიკვლიო ადგილი „დიდ“ სახელმწიფოთა შორის“⁷⁹. აი, როგორ განსაზღვრავდა ვ. ო. ლენინი კაპიტალისტურ კონკურენციას და მის შედეგებს როგორც ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნის მასშტაბით, ასევე ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. ამას თვალნათლივ ადასტურებს ცხოვრება. გააფთრებული, მხეცური კონკურენციაა თვით მილიონერებსა და მილიარდერებს შორის. მულტიმილიონერ სტინესის — „ასურეთის მეფის“ კონცერნი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მონოპოლისტური გაერთიანება იყო. მაგრამ იგი ჩაყლაპეს უფრო ძლიერებმა⁸⁰. ან კიდევ „პატიოსანი კონკურენცია“ ინგლისსა და გფრ-ს შორის, აშშ-სა და „საერთო ბაზარს“ შორის და სხვ.

მიუხედავად ფაქტებისა ვ. ოიკენი და მისი მიმდევრები მართო თეორიულ-აბსტრაქტული მსჯელობით როდი კმაყოფილდებიან. ოიკენი სპეციალურად განიხილავს „შეჯიბრების წყობილების შექმნის“ ძირითად პრინციპებს და პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებსაც იძლევა. მას განხილული აქვს შემდეგი საკითხები: „სავალუტო-

პოლიტიკა“, „ღია (თავისუფალი) ბაზრები“, „პასუხისმგებლობა“ და სხვ. განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება იგი საკითხზე — „მონოპოლიის პრობლემა შეჯიბრებების წყობილებაში“. ცხადია, ვ. თიკენი ახალს ვერაფერს ამბობს. ნეოლიბერალიზმის მამამთავარი იმით კმაყოფილდება, რომ „სრული კონკურენციისა“ და „შეჯიბრების წყობილების“ შექმნისათვის მოითხოვს კონტროლის დაწესებას მონოპოლიების საქმიანობაზე, ე. ი. „ლიბერალურ ინტერვენციონიზმს“.

თავის შრომას — „შეჯიბრების წყობილება და მისი განხორციელება“ — ვ. თიკენი ამთავრებს ასეთი დასკვნით: „სახელმწიფოებრივი დაგეგმვა საკადრის საზღვრებში, შეზღუდულად, ე. ი. ისე, რომ მიმართული იყოს „შეჯიბრების წყობილების“ შესაქმნელად, — კი; მეურნეობის პროცესის სახელმწიფოებრივი დაგეგმვა და მართვა — არა“⁸¹. ცნობილი გაცვეთილი დებულებაა, რომელიც „ანტი-მონოპოლიზმის“, „ანტიტრესტული კანონებისა“ და „დეკარტელიზაციის“ აპოლოგეტური ლოზუნგების ნეოლიბერალურ ფარგლებს არ სცილდება. უდავო კეშმარიტებაა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო არის მონოპოლიების საქმეთა მართვის კომიტეტი, ე. ი. მონოპოლიები უწყვეტ კონტროლს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და არა პირიქით.

ნეოლიბერალები „შეჯიბრების წყობილების“ პროპაგანდით მიზნად ისახავენ სახელი გაუტეხონ გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას. მათი განცხადებებით, გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა აქრობს შეჯიბრებას, პიროვნებათა თაოსნობას, თავისუფლებას, ხოლო „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ გზას უხსნის შეჯიბრებას. გერმანელი ნეოლიბერალები ბევრს ხმაურობენ „შეჯიბრების წყობილების“ გარშემო. ალბერტ ლაუტერბახმა გამოაქვეყნა წიგნი — „დაგეგმვა და თავისუფლება“, რომელშიც აცხადებს. რომ საბჭოთა „სამეურნეო გეგმა არ ტოვებს ადგილს ინდივიდუალური ინიციატივისთვისო“. პროფ. ადოლფ ვებერმა კი 1959 წ. გამოაქვეყნა წიგნი — „საბჭოთა მეურნეობა და მსოფლიო ეკონომიკა“, რომელშიც აქებს „თავისუფალ მეწარმეობას“. „შეჯიბრების წყობილებას“ და ამახინჯებს, ვულგარულად განიხილავს გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას.⁸² ასე იქცევა აგრეთვე პანს პირში, რომელმაც 1958 წელს ტიუბინგენში გამოსცა წიგნი — „რაოდენობრივი დაგეგმვა და ფასების დაგეგმვა საბჭოთა კავშირში“.⁸³ ფრ. ბემი კი შეჯიბრების განსახიერებად ასახელებს ნეოლიბერალურ „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“. შეჯიბრება — წერს ფ. ბემი, — არის თავისუფალი ეკონომიური წყობილების ცენტრალური პირო-

ბა⁸⁴. საკმარისია ნეოლიბერალების ცილისმწამებლურ გამოხდომებს დავუპირისპიროთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება შეჯიბრებისა და კონკურენციის შესახებ, ე. ი. სინამდვილე, რომ ნეოლიბერალების „თეორიდან“ არაფერი აღარ დარჩეს. ვ. ი. ლენინი სტატიაში — „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება“ — გარკვევით მიუთითებს, რომ კაპიტალისტური კონკურენცია ნიშნავს მოსახლეობის მასის, მისი უდიდესი უმრავლესობის, მშრომელთა 99%-ის თაოსნობის, ინიციატივის, ენერჯის, გაბედული წამოწყების გაუგონარ და მხეცურ ჩახშობას. „სოციალიზმი არათუ არ აქრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად, შესაძლებლობას, ნამდვილად გამოყვანილ იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოააშკარაონ ნიჭი, რომელიც ხალხში უღევია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჰქეღავდა და ახშობდა“.⁸⁵ ვ. ი. ლენინის ამ დებულების სისწორე დაადასტურა სოციალიზმის წარმატებით აშენებამ ჩვენს ქვეყანაში და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ. ამის დანახვა კი არ სურთ „შეჯიბრების წყობილების“ თეორეტიკოსებს. სამაგიეროდ, ისინი რჩევა-დარიგებებს იღებენ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ციტადელიდან — აშშ-იდან.

ჰენრიხ კრონშტაინმა (ვაშინგტონი) საკმაოდ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა „შეჯიბრების წყობილებასთან“ დაკავშირებით.⁸⁶ სტატიის სახელწოდება ასეთია: „შეჯიბრების პოლიტიკა აშშ-ში“. ამერიკელი კოლეგა გამოცდილებას უზიარებს გერმანელ ნეოლიბერალებს, თუ როგორ გააბრუნონ მასები „შეჯიბრების წყობილების“ პროპაგანდით. ცხოვრება, ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ნეოლიბერალური „შეჯიბრების წყობილების“ აპოლოგეტური თეორიის ადგილია ისტორიის სანაგვე ყუთი.

ნეოლიბერალ თეორეტიკოსებს არ სურთ იმის გაგება, რომ ისევე, როგორც შეუძლებელია არსებობდეს აბსოლუტური მონოპოლია, წმინდა იმპერიალიზმი, შეუძლებელია აგრეთვე თანამედროვე კაპიტალისტური საქონელწარმოების დროს „პატიოსანი თავისუფალი კონკურენცია“, ე. ი. კონკურენცია მონოპოლიების გარეშე. მცდარია აგრეთვე ნეოლიბერალების შეხედულება იმის შესახებ, რომ თითქოს „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ წარმოადგენს „შეჯიბრებაზე დამყარებულ წყობილებას“, ე. ი. საქონელწარმოებას კაპიტალისტური კონკურენციისა და მონოპოლიების გარეშე. ცნობილია, რომ საქონელწარმოების დროს, როცა წარმოების საშუალებ-

ბათა კერძო საკუთრებაა, აუცილებლად მოქმედებს კონკურენციის ობიექტური კანონი, რომლის გარდაქმნა „პატიოსან კონკურენციად“. „შეჯიბრებად“ და, მით უმეტეს, მოსპობა ნეოლიბერალებს არ ძალუძთ. ფ. ენგელსი თავის შრომაში — „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ — ცალკე გამოყოფს საკითხს — „კონკურენცია“. იგი წერს: „კონკურენცია არის თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში გაბატონებული ომი ყველასი, ყველას წინააღმდეგ, ყველაზე უფრო სრული გამოხატულება“.⁸⁷ კაპიტალისტური კონკურენციისა და მონოპოლიების მოსპობისათვის აუცილებელია კერძო საკუთრებისა და კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის ლიკვიდაცია. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა და სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამარჯვება გზას უხსნის შეჯიბრებას.

4. ნეოლიბერალური „მესამე გზა“

გფრ-ის ნეოლიბერალების „მესამე გზის“ აპოლოგეტური თეორიის თანახმად, „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ — „ეკონომიური ჰუმანიზმი“ არც კაპიტალისტურია და არც სოციალისტური. მონოპოლისტური კაპიტალის თეორეტიკოსები „მესამე გზის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორიის პროპაგანდით ცდილობენ კაპიტალიზმის დახატვას „მესამე სისტემად“, „ორიგინალურ წყობილებად“. ნეოლიბერალიზმის მოძღვრებაში დიდი ადგილი უკავია „მესამე სისტემად კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის“ საკითხებს. ნეოლიბერალური „ეკონომიური ჰუმანიზმი“ — „სოციალურა საბაზრო მეურნეობა“ თითქოს შეიცავს „საუკეთესოს კაპიტალიზმიდან და სოციალიზმიდან“, რაც თურმე ნეოლიბერალური „მესამე გზის“ გავლით ყოფილა შესაძლებელი.

„სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიის დასავლეთგერმანული ვარიანტის პირველი საფეხური იყო „სოციალური, ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ თეორია. ამასთანავე, არსებით საკითხებში „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ და „სახალხო კაპიტალიზმი“ ერთი და იგივეა. ორივე შემთხვევაში იქმნება ილუზია კლასთა ჰარმონიისა და კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის შუალედური საზოგადოების განვითარების მესამე გზის შესაძლებლობის შესახებ“.⁸⁸ ნეოლიბერალმა ა. რიუსტოვმა სპეციალური სტატია დაწერა საზოგადოების ეკონომიური განვითარების „მესამე გზის“ საკითხებზე. სტატიის სახელწოდება ასეთია: „კაპიტალიზმს და კომუნისმს შუა“.⁸⁹ იგი ხოტბას ასხამს პროფ. ლ. ერჰარდს — „სოცია-

ლური საბაზრო მეურნეობის“ შექმნელს და ცილისმწამებლური გამოხდომებით გამოდის მეურნეობის სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ. ა. რიუსტოვს არც ძველი ლიბერალიზმი — „მანჩესტერული ლიბერალიზმი“ მოსწონს. მისი იდეალია „ლიბერალური ინტერვენციონიზმი“ და „საბაზრო მეურნეობა“.

ა. რიუსტოვის სტატიაში ცალკე საკითხადაა გამოყოფილი „მესამე გზა“. ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში და „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ შექმნა — აი, ის გზა — „მესამე გზა“, რომელიც ნეოლიბერალებს განცხადებით ქმნის „ახალ წყობილებას“, „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილებას“, „ჰუმანურ საზოგადოებას“.

ე. ბეტხერი — ჰამბურგის საერთო ეკონომიური პრობლემების ინსტიტუტის თანამშრომელი — კიდევ ერთ ახალ „აღმოჩენას“ აკეთებს და აცხადებს, რომ გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკაც გადადის „მესამე გზაზე“. არგუმენტად კი ასახელებს სსრ კავშირში მრეწველობის მართვის საქმეში მომხდარ რეორგანიზაციას. ეს ღონისძიება მას მიაჩნია, როგორც ნაბიჯი უკან „ცენტრალურ-მართული მეურნეობიდან“ ნეოლიბერალურ „საბაზრო მეურნეობისაკენ“.

ნეოლიბერალების მთავარი თეორეტიკოსი ვ. ოიკენი იძლევა „საბაზრო მეურნეობის“ ეკონომიური პოლიტიკის დახასიათებას. იგი სთვლის, რომ „სოციალური ანუ, თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ ეკონომიური პოლიტიკა განსხვავდება ძველი ეკონომიური ლიბერალიზმის, აგრეთვე „ცენტრალურ-მართული მეურნეობის“ პოლიტიკისაგან. ამ ახალ ნეოლიბერალურ პოლიტიკას იგი უწოდებს „საშუალო გზის ეკონომიურ პოლიტიკას“.⁹⁰ ვ. ოიკენს ფეხდაფეხ მიყვება ვ. რეპკე. თავის რეცენზიაში ე. პრაიზერის წიგნზე „ჩვენი ეკონომიური წყობილების მომავალი“ იგი ნეოლიბერალურ „მესამე გზას“ განიხილავს, როგორც „სოციალიზმისა და ლიბერალიზმის შუა გზა“.⁹¹

„მესამე გზის“ აპოლოგეტურ თეორიას გფრ-ის ნეოლიბერალები იმავე მიზნებით ქადაგებენ, როგორითაც ინგლისელი, ამერიკელი, ფრანგი ნეოლიბერალები. „მესამე გზა“ ძველი ნაცნობი სურათია. ამას თვით ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტიც აღნიშნავს. მაგალითად, ინგლისელმა ნეოლიბერალმა ი. ე. მილმა გამოაქვეყნა წიგნი „დადგეგმა და ფასების მექანიზმი“. რომელშიც აცხადებს, რომ მისი შეხედულებები ემთხვევა გფრ-ის ნეოლიბერალების, უ. ლიპმანის (აშშ) და სხვათა იდეებს. ამ წიგნში „საბაზრო მეურნეობა“ გამოცხადებულია აგრეთვე „მესამე გზად“. რა თქმა უნდა, ამას იწონებენ გერმანელი ნეოლიბერალები. ნეოლიბერალი ჰენრიხ

იბმლერი (მაინის ფრანკფურტიდან) სპეციალური სტატიით გამო-
ეხმაურა მიიღის წიგნს. მან ნეოლიბერალების წელიწდეულში და-
ბეჭდა სტატია „მესამე გზა“.⁹² ტერმინმა „სასუქლო გზა“ დიდი
გავრცელება ჰპოვა ერთ დროს აშშ-ში შვეციის კოოპერატივების
სახოტბო წიგნის წყალობით, რომელიც მარკიზ ჩაილდსის პიერაა
დაწერილი“⁹³ — აღნიშნავდა კალიფორნიის უნივერსიტეტის პრო-
ფესორი ა. ბრეიდი.

ერთში არ ცდებიან ნეოლიბერალური „მესამე გზის“ თეორეტი-
კოსები. „მესამე გზას“ მართლაც არაფერი აქვს საერთო შვეციე-
რულ სოციალიზმთან. „მესამე გზა“ არის „სახალხო კაპიტალიზმის“
პროპაგანდა. „ბურჟუაზიული წყობილების დამცველები ცდალობენ
იყოლიონ მასები სულიერ ტყვეობაში და იგონებენ სულ ახალ
„თეორიებს“, რომლებიც ნიღბავენ ბურჟუაზიული წყობილების
ექსპლოატატორულ ბუნებას, ცდილობენ შეაღამაზონ კაპიტა-
ლიზმი.“⁹⁴

ბურჟუაზიული ეკონომისტების მხარდამხარ დგანან გერმანიის
მემარჯვენე სოციალისტები. ისინი პირველ ხანებში „აკრიტიკებ-
დნენ“ „მესამე გზის“ ნეოლიბერალურ თეორიას. ფაქტებით დას-
ტურდება, რომ საზოგადოების განვითარების „მესამე გზა“ არის
„დემოკრატიული სოციალიზმის“ რეფორმისტული თეორია ნაირ-
სახეობა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გოდესბერ-
გის პროგრამის ეკონომიური ნაწილი არც კი განსხვავდება ბურჟუა-
ზიული მოძღვრებისაგან. „ის ფაქტი, რომ გსდპ გოდესბერგის
პროგრამა, როგორც შინაარსით, ასევე ფორმით, წარმოადგენს ბურ-
ჟუაზიულ-ლიბერალურ პროგრამას, აღინიშნება, როგორც კომუ-
ნისტურ ასევე ბურჟუაზიულ პრესაში.“⁹⁵

ნეოლიბერალების „მესამე გზას“ ადის „მეშინური სოციალიზ-
მი“ სუნი, მას იდეური ნათესაობა აქვს არა მარტო „კაპიტალიზმის
ტრანსფორმაციის“, „სახალხო კაპიტალიზმის“ დოქტრინასთან, არა-
შედ „მეშინურ სოციალიზმთანაც“, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი
წერდა: „მეშინური სოციალიზმი — ეს არის წვრილი მეპატრონის
ოცნება იმაზე, რომ როგორმე მოსპოს განსხვავება მდიდართა და
ღარიბთა შორის. მეშინური სოციალიზმი ფიქრობს, რომ შესაძლე-
ბელია ყველა ადამიანი გავხადოთ „გათანაბრებულ“ წვრილ მეპატ-
რონიებად. არც ღარიბებად და არც მდიდრებად. მეშინური სო-
ციალიზმი წერს საყოველთაო გათანაბრებული მიწათსარგებლობის
კანონთა პროექტებს. ნამდვილად კი შეუძლებელია სილატაკისა და
სიღარიბის მოსპობა ისე, როგორც ეს წვრილ მეპატრონეს სურს.
შეუძლებელია მიწის გათანაბრებელი სარგებლობა, ვიდრე

ქვეყნად ფულის ძალაუფლება, კაპიტალის ძალაუფლება არსებობს. ვერავითარი კანონი ქვეყნად ვერ შეძლებს მოსპოს უთანასწორობა და ექსპლოატაცია, ვიდრე რჩება საბაზრო მეურნეობა, ვიდრე არსებობს ფულის ძალაუფლება და კაპიტალის ძალა. ყოველგვარ ექსპლოატაციას ბოლოს მოუღებს მხოლოდ მსხვილი საზოკადოებრივი, ვეგმაშეწონილი მეურნეობის მოწყობა, როდესაც მთელი მიწის, ფაბრიკების, იარაღების საკუთრება მუშათა კლასს გადაეცემა. ამიტომ პროლეტარული სოციალიზმი (მარქსიზმი) ამხელს მემშანური სოციალიზმის ყოველგვარ უსაფუძვლო იმედებს, თითქოს კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი იყოს წვრილი მეურნეობის „გათანაბრება“ ან თუნდაც, საერთოდ წვრილი მეურნეობის შენარჩუნება“.⁹⁶

ნეოლიბერალური „მესამე გზა“, „ეკონომიური ჰუმანიზმი“, „ეკონომიური დემოკრატია“ და „ანტიმონოპოლიზმი“ არის „მემშანური სოციალიზმის“ იდეების გადამღერება ახალ პანგებზე. ნეოლიბერალები დღესაც ცდილობენ დასავლეთ გერმანიის დახატვას მსხვილი კაპიტალისტური წარმოების, მონოპოლიების გარეშე. ნეოლიბერალიზმი ენაწყლიანად იყენებს წვრილბურჟუაზიულ და მემშანურ ლაყბობას. არავითარი მესამე გზა არ არსებობს. ნეოლიბერალური „მესამე გზა“ „მეურნეობის იდეალური ტიპების შესახებ“ ვ. ოიკენის იდეალისტური მოძღვრების მხრებზე დგას. ვ. ი. ლენინი 1921 წ. აღნიშნავდა: „ყოველი ცდა წვრილი ბურჟუაზიისა საერთოდ, გლეხებისა კერძოდ, შეეგნოთ თავიანთი ძალა, თავისებურად წარემართათ ეკონომიკა და პოლიტიკა, კრახით თავდებოდა. ან პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ან კაპიტალისტების ხელმძღვანელობით — საშუალო რამ არ არსებობს. ყველა, ვინც ამაზე ოცნებობს, ფუჟი მეოცნებეა, ფანტაზიორია. მათ აცამტვერებს პოლიტიკა, ეკონომიკა და ისტორია. მარქსის მთელი მოძღვრება გვიჩვენებს, რომ რაკი წვრილ მეპატრონეს წარმოების საშუალებათა და მიწის მესაკუთრედ წარმოვიდგენთ, მათ შორის გაცვლა-გამოცვლიდან აუცილებლად წარმოიშობა კაპიტალი და მასთან ერთად წინააღმდეგობანიც კაპიტალსა და შრომას შორის. კაპიტალის ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ — ეს აუცილებლობაა, ეს კანონია, რომელმაც მთელ მსოფლიოში იჩინა თავი, და ვისაც არა სურს თავი მოიტყუოს, არ შეუძლია ეს არ დაინახოს.“⁹⁷

რა თქმა უნდა, ნეოლიბერალებიც კარგად ხედავენ ამას, მაგრამ ისინი აპოლოგეტები არიან. ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ — „ეკონომიური ჰუმანიზმი“ არის იგივე კაპიტალისტური საქონელწარმოება და ლაპარაკი „მესამე გზის“ შესახებ.

კაპიტალიზმის დაცვა თანამედროვე პირობებში. ნეოლიბერალების სიტყვებით „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ არც კაპიტალიზმი და არც სოციალიზმი. მათ დემაგოგიურ ტერმინოლოგიაში კაპიტალიზმი გამოიყურება, როგორც „საბაზრო მეურნეობის დამახინჯებული ფორმა“. ამრიგად, ნეოლიბერალები წარმოადგენენ მქადაგებლებს რაღაც „ახალი“, „მესამე გზისა“, რომელიც რეპკეს სიტყვებით თითქოს „ძლევს უნაყოფო ალტერნატივას კაპიტალიზმს და კოლექტივიზმს შორის.“⁹⁸

თავიანთი „მესამე გზით“ ნეოლიბერალები კეინსელების მხარდამხარ გამოდიან. ნეოლიბერალური „მესამე გზაც“ მიღის კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციისა“ და „სახალხო კაპიტალიზმისაკენ“. დასავლეთგერმანელ ნეოლიბერალებსაც აქვთ „კეინსური სოციალიზმის“ ტიპური ვულგარულ-აპოლოგეტური თეორია. ნეოლიბერალები როდი ჩამორჩებიან კეინსელებს, ისინიც გაძლიერებით ქადაგებენ საზოგადოების ეკონომიური განვითარების „მესამე გზას“.

„მესამე გზის“ ნეოლიბერალური თეორია და „კეინსური სოციალიზმი“ (ჯ. კოული, დ. ჯეი და სხვ.) ერთ მიზანს ისახავს — არეკვდარევის შეტანა მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა. მაშასადამე, „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ნეოლიბერალური თეორია „კეინსური სოციალიზმის“ ერთტიპიურია, ორივე წარმოადგენს „მესამე გზის“ აპოლოგეტურ დოქტრინას. მათ შორის „განსხვავება“ იმაშია, რომ ნეოლიბერალური „მესამე გზა“ ემყარება მოძღვრებას „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ და მიღის „თავისუფალ საბაზრო მეურნეობისაკენ“, ხოლო „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორეტიკოსთა „მესამე გზა“ — „კეინსური სოციალიზმი“ მიღის კაპიტალისტური ეკონომიკის „დაგეგმვის“ გზით.

კეინსელებისა და ნეოლიბერალების მიერ „მოწესრიგებული ეკონომიური ცხოვრება“, მათი „მესამე გზა“ ხალხის მოტყუებაა. კაპიტალის ბატონობის შენიღბული დაცვაა. „ამერიკაც და გერმანიაც, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ისე „აწესრიგებენ ეკონომიურ ცხოვრებას“, რომ მუშებს (და ნაწილობრივ გლეხებსაც) შეუქმნან სამხედრო კატორღა, ხოლო ბანკირებსა და კაპიტალისტებს — სამოთხე. მათი მოწესრიგება იმაში მდგომარეობს, რომ მუშებს „ხელს უჭერენ“ იმდენად, რომ დამშევამდე მიჰყავთ, ხოლო კაპიტალისტებისათვის უზრუნველყოფენ (მალულად, რეაქციული-ბიუროკრატიულად) ომამდე არსებულზე მეტ მოგებას.“⁹⁹

ნეოლიბერალები კეინსელებისა და მემარჯვენე სოციალისტების რღებებს იზიარებენ და ასე აკოწიწებენ „მესამე გზას“. საკმარისია.

მოვიგონოთ, რომ ინგლისის მემარჯვენე ლეიბორისტების აზრით, რომლებიც „კენსურ სოციალიზმს“ ქადაგებენ, თანამედროვე კაპიტალიზმი „შეცვლილია“, „მოწესრიგებულია“, „გაუმჯობესებულია“. მეტრ. რ. მაკდონალდმა განაცხადა: „კაპიტალისტური სახელმწიფოს შიგნით უკვე ჩნდება სოციალისტური სახელმწიფო“.¹⁰⁰

„სოციალური საბაზრო მეურნეობა“, „მესამე გზა“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორია არის, რომელიც ამერიკული და ინგლისური „სახალხო კაპიტალიზმის“ გერმანული ვარიანტია და მეტი არაფერი. მდგომარეობას არ ცვლის ის გარემოება, რომ ფფრ-ის ნეოლიბერალები „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“, როგორც საზოგადოების ეკონომიური განვითარების გერმანულ „მესამე გზას“, სხვა ბურჟუაზიულ თეორიებზე მაღლა აყენებენ. აქ გასაკვირი არაფერია, ეს ბუნებრივია. ასე იქცევიან „კენსური სოციალიზმის“ თეორიტიკოსები ინგლისში, „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ დამცველები აშშ-ში (ნეოკენსელები) და საფრანგეთში (ღირიესტები).

დასაგლით გერმანიაში. — წერს ო. რაინჰოლდი, — „მესამე გზის“ თეორიებს“ შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებს: „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორია და მისი თავისებური ვარიანტი — „სოციალური საბაზრო მეურნეობა“; კათოლიკების სოციალური მოძღვრება, როგორც კლერიკალური ფაშიზმის იდეოლოგია და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიების შეხედულებანი“.¹⁰¹ გერმანელი ნეოლიბერალები და მათი თანამოაზრეები ფიქრობენ, რომ კაპიტალიზმის „გარდაქმნა“, „გაუმჯობესება“, „ტრანსფორმაცია“ შეიძლება შელოცვით, მაღალფარდოვანი სიტყვებით, „მეურნეობის იდეალური ტიპების“, „სოციალური საბაზრო მეურნეობის“, „მესამე გზის“ გამოყენებით. ისინი ფიქრობენ, რომ ნეოლიბერალური „მესამე გზის“ მეშვეობით კაპიტალიზმი, ასე ვთქვათ, თვითღინებს წესით მოისპობა, ან უკეთეს შემთხვევაში, განთავისუფლდება ანტიგონისტური წინააღმდეგობებისაგან.

გერმანელი ნეოლიბერალი ა. რიუსტოვი, ემყარება რა ვ. ოიკენის იდეალისტურ კონცეფციას „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ, ჩება-დიდებს ასხამს პროფ. ლ. ერჰარდს „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ შექმნისათვის. ნეოლიბერალები ამ შემთხვევაშიც არ დალატობენ იდეალისტურ ფილოსოფიას, რჩებიან სუბიექტური იდეალიზმის ტყვეობაში და „საზოგადოებრივი წყობილების შემქმნელად“ ცალკეულ პირებს ასახელებენ. „მხოლოდ იმ დროიდან. — წერს ა. რიუსტოვი, — როცა ერჰარდმა დაიწყო სოციალური საბაზრო მეურნეობის შექმნა, ბრწყინვალე წარმატებების შემდეგ წარმოიშვა კმათში დამტკიცებული „მესამე გზა“. გფრ წარმოადგენს

დღემდე იმ ერთადერთ ქვეყანას, — განაგრძობს ა. რიუსტოვი, — რომელმაც მიიკრიფა რა ენერჯია და გამბედაობა, დაადგა ამ გზას. ამიტომ ჩვენს შემდგომ ღონისძიებებზეა დამოკიდებული განიმსკვალება თუ არა დანარჩენი სამყარო თანმიმდევრული წარმატებითი მესამე გზის შესაძლებლობის შეგნებით.¹⁰²

თვით ლ. ერჰარდიც აქებს პროფ. ერჰარდს — „სოციალური საბაზრო მეურნეობისა“ და „ეკონომიური სასწაულის“ შემქმნელს. ქრისტიანულ-დემოკრატი კავშირის პროგრამას პროფ. ლ. ერჰარდი უწოდებს „ერჰარდიზმს“, რომელიც პირველ რიგში თვით მას მოსწონს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის დახასიათებისას ლ. ერჰარდმა განაცხადა: „ეს პროგრამა წარმოადგენს ერჰარდიზმისა და ეტატიზმის ნარევს. თუ რაიმე კარგია მასში. — აღნიშნავს ერჰარდი, — ჩემგან ვაპომდინარეობსო“.¹⁰³

გერმანიის ქრისტიან-დემოკრატი და მემარჯვენე სოციალისტების ეკონომიური პროგრამა ძირითადად მართლაც ერთი და იგივეა. მაგრამ ერჰარდის განცხადებაზე შეიძლება კაცმა თქვას: „კულდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას კი ბუზს უგერიებდაო“. მაგრამ რა გაეწყობა, ასე ეკუთვნით მემარჯვენე სოციალისტებსა და რევოიონისტებს. „ასეთია ბედი ყველა ქვეყნის რევოიონისტებისა: მათ ცდას ყოველთვის გაძლიერებით უქერს მხარს და მგრძნობიარედ „იწონებს ბურჟუაზია“.¹⁰⁴

ლ. ერჰარდი კმაყოფილებით აცხადებს, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გოდესბერგის პროგრამა მთლიანად მისგან (ერჰარდისაგან) გამომდინარეობს და „მხოლოდ ფასადია შეფერადებული“. ოლენჰაუერი¹⁰⁵ ბევრი ეცადა, რომ „უკუვედო“ ერჰარდის ასეთი განცხადება, მაგრამ ფაქტი დარჩა ფაქტად. რამდენჯერაც არ უნდა „უკუაგდონ“ მემარჯვენე სოციალისტებმა ნეო-ლიბერალიზმის თეორეტიკოსების დებულებანი, ამით არაფერი არ იცვლება. მათი პროგრამები ერთი და იმავე წყაროებიდან საზრდოობენ. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1912 წელს წერდა: „პარტიების სახელწოდებებს — ევროპაშიც და ჩვენშიც — ზოგჯერ პირდაპირი სარეკლამო მიზნით ირჩევენ, პარტიების „პროგრამები“ ძალიან ხშირად მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების მოსატყუებლად იწერება“.¹⁰⁶

გერმანიის მემარჯვენე სოციალისტები სიმართლეს არ ლაპარაკობენ, როცა ფერ-ს „საყოველთაო კეთილდღეობის“, „შეჯიბრების წყობილების“ ქვეყნად აცხადებენ. რატომ აკეთებენ ამას? იმიტომ, რომ მინისტრის პორტფელები მოიპოვონ ბონის კლერიკალურ მთავრობაში და უკეთ ემსახურონ თავიანთ „სახალხო კაპიტალიზმს“.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის ამგვარი მოლაღატეების შესახებ შეიძლება ითქვას: „არ იცრუებ — ვერ გაყიდო, ასეთია კაპიტალიზმის ლოზუნგი ვაჭრობაში. არ იცრუებ — პარლამენტის მანდატებს ვერ მიიღებო, ასეთია კაპიტალისტური პოლიტიკის ლოზუნგი თავისუფალ ქვეყნებში“¹⁰⁷, — წერს ლენინი. წინასაარჩევნო კამპანია დასავლეთ გერმანიაში ადასტურებს ლიბერალებისა და ნეოლიბერალების მოქმედების დემაგოგიურ ხასიათს. ისინი ყველაფერს ჰპირდებოდნენ თავიანთ ამომრჩევლებს, წამოაყენეს „თავისუფლების“, „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“, „ეკონომიური ჰუმანიზმის“, „სოციალური პარტნიორობის“, „გათანაბრებითი განაწილების“, „მესამე გზის“ და სხვა ათასნაირი ლამაზი სიტყვები და ლოზუნგები, რომელთა მიზანია ხალხის მოტყუება, მუშათა რევოლუციური მოძრაობის დაჩლუნგება, არსებული წყობილების აპოლოგეტიკა.

„მესამე გზა“ იმიტომ გამოიგონეს ნეოლიბერალებმა, რომ სახელი გაუტეხონ რევოლუციურ მოძრაობას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას და იდეურად დაატყვევონ მშრომელი მასები. ვ. ი. ლენინი სტატიაში „ლიბერალიზმი და დემოკრატია“ წერდა: „მასების დამოუკიდებელი პოლიტიკური აზროვნების განვითარება, მათი, როგორც კლასის, თვითმოქმედების განვითარება ლიბერალს არათუ არ ესაჭიროება, არამედ პირდაპირ საშიშიცაა. ლიბერალს ესაჭიროება ამომრჩეველი, ლიბერალებს ესაჭიროებათ მათზე მინდობილი და მათი ამყალი ბრბო... მაგრამ ხალხის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა ლიბერალს ეშინია“¹⁰⁸ არ ღალატობენ თავიანთ წინაპირებებს ნეოლიბერალებიც. ისინი ამ მიზნით ქადაგებენ „მესამე გზასაც“.

საზოგადოების ეკონომიური განვითარების „მესამე გზის“ ნეოლიბერალური თეორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ცნობილ ხერხთან გვაქვს საქმე. ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში ყოველთვის იყო და დღესაც გრძელდება ტენდენცია, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ცალკეული სკოლები, ჯგუფები და მიმდინარეობანი ცდილობენ, რათა მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიასა და ტრადიციულ ეკონომიურ თეორიებზე მალლა დააყენონ საკუთარი კონცეფციები. სწორედ ასე იქცევა „ფრაიბურგის სკოლა“ — „ოიკენის სკოლა“. ანუ ნეოლიბერალური მიმდინარეობა დასავლეთ გერმანიაში. სწორედ ნეოლიბერალები აყენებენ თავიანთ დოგმებს „რეგულირებადი კაპიტალიზმის“, „პალეოლიბერალიზმის“ და მეცნიერული სო-

ციალიზმის თეორიებზე მალა. მათი იდეალია „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, რომელიც მათივე განცხადებით ყველა თეორიისაგან განსხვავდება და, რა თქმა უნდა, მალა დგას. აი, ასე გამონახეს ნეოლიბერალებმა მესამე ხაზი — „მესამე გზა“ პოლიტიკურ ეკონომიაში.

ნეოლიბერალების მთელი მოძღვრება „მესამე გზის“ დასახვის ცდაა, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი ეწვეიან არარსებული „მესამე გზის“ პროპაგანდას, მათი მოძღვრება არის უტოპიური, რეაქციული, ფარისევლური, ანტიმარქსისტული. ის, რასაც ოფიციალურად ლაპარაკობენ ნეოლიბერალები „მესამე გზის“ შესახებ, წარმოადგენს ცარიელ ლაყობას, რომლის დანიშნულებაც ხალხის მოტყუებაა. ის კი, რასაც არაოფიციალურად აკეთებენ — არის ნამდვილი აპოლოგეტური საქმე, რომელიც შენიღბულია ნეოლიბერალიზმის ენაწყლიანი თეორეტიკოსების მიერ.

საღად მოაზროვნე ადამიანისათვის გასაგებია ნეოლიბერალების „მესამე გზის“ ნამდვილი ბუნება. ნეოლიბერალები განგებ აცხადებენ თავიანთ თეორიასა და პრაქტიკას „მესამე გზად“. ისინი ფარავენ სიმართლეს, ბურჟსში ხვევენ სინამდვილეს და დაჟინებით ცდილობენ თავიანთი თეორიების გამოცხადებას ტრადიციული ბურჟუაზიული თეორიებისაგან განსხვავებულ, უპარტიო მოძღვრებად. აპოლოგიის ძველთაძველი ხერხია. „მოვლენათა პოლიტიკური დედაარსის გარკვევას ისე არაფერი უწყობს ხელს, როგორც მათი შეფასება მოწინააღმდეგეთა მხრივ (რა თქმა უნდა, თუ ეს მოწინააღმდეგენი ხელიდან წასული ბრძევები არ არიან)... ძირს უპარტიობა! უპარტიობა ყოველთვის და ყველგან ბურჟუაზიის იარაღი და ლოზუნგი იყო“¹⁰⁹ — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი. ამრიგად, ნეოლიბერალების „მესამე გზა“, მათი მტკიცებები ნეოლიბერალიზმის კონცეფციების უპარტიობის შესახებ, გფრ-ის ბურჟუაზიის იარაღია.

დასავლეთ გერმანია კაპიტალისტური ქვეყანაა, სადაც საზოგადოება დაყოფილია ანტაგონისტურ კლასებად. ცხადია, ნეოლიბერალიზმის მოძღვრება, „მესამე გზა“ კლასობრივი ხასიათის მატარებელია. დასავლეთ გერმანიაში არსებობენ კლასები და პარტიები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი მოძღვრებანი. მაშასადამე, ლაპარაკი ნეოლიბერალური „მესამე გზის“, როგორც უპარტიო, გარეკლასობრივი, ზეკლასობრივი მოძღვრების შესახებ უსაფუძვლოა და მცდარი. ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიული საზოგადოების შესახებ აღნიშნავდა: „თანამედროვე საზოგადოება კლასობრივი საზოგადოებაა, — ძალიან კარგი. მერე, შეიძლება კლასობრივ საზოგადოებაში გარე-

კლასობრივი პარტია იყოს?“¹¹⁰ ვ. ი. ლენინი ლაპარაკს კლასგარეშე. ან ზეკლასობრივი პარტიისა და მოძღვრების შესახებ უწოდებდა ილუზიებს.

ნეოლიბერალებმა თავიანთი „მესამე გზით“ ერთბაშად გადაწყვიტეს უდიდესი პრობლემა — კლასების მოსპობის პრობლემა. მათი აზრით, გფრ მიდის „მესამე გზით“ მეურნეობის იდეალური ტაპისაკენ — „თავისუფალი, ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობისაკენ“, სადაც თურმე უკვე აღარაა კლასები და კლასობრივი ბრძოლა. აი, ნეოლიბერალების მიერ შეთხზული „ახალი“ ილუზია, ნეოლიბერალური უტოპია. თუმცა ეს განა ახალია? ასეთი უტოპიით გამოვიდნენ ლიბერალები 50 წლის წინათ რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. „ლიბერალური უტოპია იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს შესაძლებელი იყოს მშვიდობით და თანხმობით, ვინმესთვის უწყენიანებლად, პურიშკევიჩების გადაუყენებლად, გაათრებულ და ბოლომდე მიყვანილი კლასობრივი ბრძოლის გარეშე, მიღწეულ იქნეს რამდენადმე სერიოზული გაუმჯობესებანი რუსეთში, მის პოლიტიკურ თავისუფლებაში, მშრომელი ხალხის მასების მდგომარეობაში. ეს არის უტოპია... ლიბერალური უტოპია იმაზე ოცნებაა, რომ როგორმე გაიმარჯვონ პურიშკევიჩებზე ისე, რომ არ დაამარცხონ ისინი, როგორმე გატეხონ ისინი ისე, რომ არაფერი ატყინონ. ცაადია, ეს უტოპია მავნეა არა მარტო იმიტ, რომ იგი უტოპიაა, არაჰქედ იმითაც, რომ იგი რ ყ ვ ნ ის მასების დემოკრატიულ შეგნებას“¹¹¹ — წერდა ვ. ი. ლენინი სტატიაში „ორი უტოპია“. ნეოლიბერალური „მესამე გზა“, „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“, „ანტიმონოპოლიზმი“ სწორედ ისეთი თეორია და პოლიტიკა არის, რომელიც ემსახურება კრუპებს, შტუმებს, ტისენებსა და სხვებს. ემსახურება შენიღბულად და თანაც ისე, რომ არაფერი „ატყინოს“ მონოპოლისტურ ბურჟუაზიას.

ნეოლიბერალიზმის „მესამე გზა“ წარმოადგენს იმის მტკიცების ცდას, რომ „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, ე. ი. კაპიტალისტური საქონელწარმოება წარმოდგეს როგორც კაპიტალისტური წყობილებისაგან განსხვავებული, ამასთანავე, „იდეალური ტიპი მეურნეობისა“.

ნეოლიბერალური „მესამე გზა“, ნეოლიბერალების აზრით, არც კაპიტალისტურია და არც სოციალისტური, მაგრამ ორივეზე უკეთესი ყოფილა, რადგან ქმნის „საყოველთაო კეთილდღეობას“. „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“, როგორც მეურნეობის „იდეალურ ტიპს“, აქვს ყოველივე კარგი, დადებითი, რაც მეურნეობის სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს ახასიათებსო — აცხადებენ ნეოლიბერალები. აშკარად ჩანს ნეოლიბერალური „მესამე გზის“

იდეური ნათესაობა „შერეული ეკონომიკისა“ და „ეკონომიური-
ჰიბრიდიზაციის“ აპოლოგეტურ თეორიებთან. როგორც ჩანს, ნეო-
ლიბერალებიც იზიარებენ და ქადაგებენ „შერეული ეკონომიკისა“
და „საზოგადოება ჰიბრიდის“ დოქტრინას, ოღონდ მას უწოდებენ
„სოციალურ საბაზრო მეურნეობას“, „მესამე გზას“. მათი აზრით,
ნეოლიბერალური „მესამე გზით“ შეიძლება საზოგადოება მივიდეს
„სოციალურ საბაზრო მეურნეობამდე“, ისე, რომ არ იყოს არც
კაპიტალიზმი და არც „პლანიზმი“. ამას სხვა არ შეიძლება ეწოდოს,
თუ არა სხვადასხვა ეკონომიური სისტემის „სინთეზის“ „ჰიბრიდი-
ზაციის“, „ეკონომიური ჰიბრიდიზაციის“ ყალბი კონცეფცია.

ამგვარად, „მესამე გზის“ ნეოლიბერალური თეორია არის კაპი-
ტალიზმის „ტრანსფორმაციის“, „დემოკრატიული სოციალიზმის“,
„შერეული ეკონომიკისა“ და „საზოგადოება-ჰიბრიდის“ ნაირსახეო-
ბა, რომელიც ნეოლიბერალურ გარსშია გახვეული. ვ. ი. ლენინის
სიტყვებით რომ ვთქვათ, ნეოლიბერალური „მესამე გზა“ შინაგანად
დამპალი ლიბერალიზმის აპოლოგეტური მოძღვრება და „ავთისე-
ბიანი ავადმყოფობაა“. იგი ლაჩრულად ქადაგებს „კლასობრივ
ზავს“, „სოციალურ პარტნიორობას“, „მოდღვრებათა უპარტიობას“,
„სოციალურ ინტეგრაციას“ და წარმოადგენს დასავლეთ გერმანიის
კაზინოური ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის მოძღვრებათა
სინთეზს, უხამს სიბრძნეს, რადგან „ყველა მოძღვრება არაკლასობ-
რივი სოციალიზმისა და არაკლასობრივი პოლიტიკის შესახებ ფუჭი
ჩმახვა გამოდის.“¹¹²

ნეოლიბერალურ „მესამე გზას“ აკრიტიკებენ თვით გერმანე-
ლი ეკონომისტები (გ. ფაბიუნკე, გ. ჰილერი, ე. რაინჰოლდი, რ. ნაუ-
მანი და სხვები). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნო-
ბილმა ეკონომისტმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის
წევრმა პროფ. ოტტო რაინჰოლდმა 1959 წელს ბერლინში გამო-
აქვეყნა შრომა „მესამე გზა?“¹¹³, რომელშიც ნიღაბი ჩამოხადა ნეო-
ლიბერალურ „მესამე გზას“. რობერტ ნაუმანმა კი ნეოლიბერალურ
„მესამე გზასა“ და „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“ მითი, ზღა-
პარი უწოდა.

6. „შერეული ეკონომიკა“, „ეკონომიური ჰიბრიდიზაცია“,
„საზოგადოება-ჰიბრიდი“

ნეოლიბერალურ „მესამე გზას“ მკიდრო კავშირი აქვს „შერეუ-
ლი ეკონომიკისა“ და „ეკონომიური ჰიბრიდიზაციის“ აპოლოგეტურ
კონცეფციებთან. ნეოლიბერალური „მესამე გზაც“ მიდის „შერე-
ული ეკონომიკისაკენ“ და „საზოგადოება ჰიბრიდისაკენ“.

თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში გახშირდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თითქოს ხდება კაპიტალიზმისა და სოციალიზმის „სინთეზი“. ამ დემაგოგიური თეორიის თანახმად სოციალიზმი და კაპიტალიზმი, მიუხედავად მათი ძირეული განსხვავებისა, თითქოს ვითარდებიან ერთი და იმავე მიმართულებით. მაშასადამე, უნდა მოხდეს მეურნეობის ორი სისტემის „სინთეზი“, „შეუღლება“, „შეჯვარება“, „ჰიბრიდიზაცია“ და ერთიანი „შერეული ეკონომიკის“ შექმნა.

„ეკონომიური ჰიბრიდიზაცია“, რა თქმა უნდა, გულისხმობს „მესამე გზით“ წასვლას, ე. ი. „სოციალიზმის შინაგანი ცვლილებებისა“ და „კაპიტალიზმის ერთგვარი მოდერნიზაციის“ გზით მოძრაობას. საზოგადოების ისტორიული განვითარების შეგნებულ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე. კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების „ჰიბრიდიზაციისა“ და „სინთეზის“ სახით ჩვენს წინაშეა აშკარა სოციალური დემაგოგია. „მესამე გზის“ პროპაგანდისტები სოციალისტური ტერმინოლოგიით ეწვეიან სპეკულაციას, „ითვისებენ“ სოციალისტური სისტემის ზოგიერთ იდეას, გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის „დადებით მომენტებს“, რათა შექმნან ფსევდოსოციალისტური კონცეფციები და „მესამე გზა“ დააყენონ, როგორც ტრადიციულ ბურჟუაზიულ კონცეფციებზე, ასევე სოციალიზმზე მაღლა.

„საზოგადოება ჰიბრიდის“ შესახებ ლაპარაკს უმატეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დაისვა კაპიტალიზმისა და სოციალიზმს შორის მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი. ინგლისელმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა პ. უილსმა გამოაქვეყნა სტატია — „მოხდება კაპიტალიზმისა და კომუნისმის სპონტანური დამთხვევა ერთ წერტილში?“ „სინთეზირებული საზოგადოების“ თეორეტიკოსთა აზრით, „საზოგადოება ჰიბრიდი“ იქნება კაპიტალიზმისა და სოციალიზმს შორის „შუა გზაზე“.

„ჰიბრიდიზაციის თეორიის“ დამცველებად გამოდიან: აშშ-ში — ჩიეზი, სლიტჩერი, ბერლი, რომლებიც ქადაგებენ „შერეული ანუ კოლექტივისტური ეკონომიკის“ დოგმას. მათი აზრით, „შერეული ეკონომიკა“ არის ოლიგოპოლიის, თავისუფალი კონკურენციისა და სახელმწიფო ჩარევის ერთიანობა; საფრანგეთში — ბლოკ-ლენე, შალანდონი და სხვები. მათი ლოზუნგია „კოორდინირებული ეკონომიკა“; დასავლეთ გერმანიაში კი — პროფ. ლ. ერჰარდი თავისი ნეოლიბერალური მოძღვრებით.

„ჰიბრიდიზაციის“ დოქტრინის იდეებით გამოდიან აგრეთვე

უ. როსტოვი, რ. არონი, ჯ. რაიტი და სხვები. მათი მიზანი ერთია — კაპიტალიზმის დაცვა. ამგვარად, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის „სინთეზის“, „ჰიბრიდიზაციის“ დოქტრინა არის რეაქციული თეორია.¹¹⁴ „საზოგადოება-ჰიბრიდი“, რომელიც „მესამე გზის“ გაფლთით არის ილუზია.

„მესამე გზისა“ და „საზოგადოება-ჰიბრიდის“ კონცეფციების აპოლოგეტური არსის მთელი სიცხადით გამოაშკარავებისათვის საჭიროა განვიხილოთ „შერეული ეკონომიკის“ აპოლოგეტური თეორია, რადგან აქედან იღებს იდეური საზრდოს მნიშვნელოვან ოდენობას „მესამე გზისა“ და „სინთეზირებული საზოგადოების“. ანუ როგორც უ. როსტოვი უწოდებს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“, უახლესი დოქტრინა.

მონოპოლიებისა და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვის ერთ-ერთ გავრცელებულ კონცეფციას წარმოადგენს „შერეული ეკონომიკის თეორია“.

„შერეული ეკონომიკის თეორიის“ იდეური ფესვები „სახელმწიფო სოციალიზმის“, „პრუსიული სახელმწიფო სოციალიზმის“ თეორიაშია. „სახელმწიფო სოციალიზმის“ იდეებით გამოდიოდნენ ლარენც შტეინი, იოჰან კარლ როდბერტუს — იაგეტციკი¹¹⁵ და სხვ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიის ვულგარულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ — ახალმა ისტორიულმა სკოლამ (ა. ვაგნერი, გ. შმოლერი, ლ. ბრენტანო) წამოაყენა „სახელმწიფო სოციალიზმის“ ვულგარული თეორია. „სახელმწიფო სოციალიზმის“ გამანადგურებელი კრიტიკა მოგვცა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა.

„შერეული ეკონომიკის თეორიის“ იდეა პირველად ა. ვაგნერმა ჩამოაყალიბა.¹¹⁶ თავის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებში“ (1876 წ.) ა. ვაგნერი მიუთითებდა კაპიტალისტური მეურნეობის როგორც სამი სხვადასხვა სისტემის ერთიანობაზე. ა. ვაგნერის მიხედვით არსებობს შემდეგი სამეურნეო სისტემები: 1. კერძომეურნეობრივი, 2. საზოგადოებრივ-მეურნეობრივი (სახელმწიფო მეურნეობის ჩათვლით) და 3. კარიტატიული ანუ საქველმოქმედო. ა. ვაგნერი სახელმწიფოს აღიარებდა ისეთ ძალად, რომელსაც შეუძლია ფართოდ გაატაროს სოციალური პოლიტიკა¹¹⁷. მის მიერ შეკოწიწებული „მეურნეობის სისტემა“, „შერეული ეკონომიკა“ მიმართული იყო და არის მარქსიზმის წინააღმდეგ. ბუნებრივია, „შერეული ეკონომიკის თეორიას“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და დღესაც ანიჭებენ კაპიტალიზმის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში. ეს „თეორია“ კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ ერთ-ერთი მოდური ვარიანტია.

„შერეული ეკონომიკის თეორიის“ პროპაგანდას ეწევიან, როგორც ველგარული ბურჟუაზიული ეკონომისტები, ასევე მემარჯვენე სოციალისტები და რევინიონისტები. ისინი ქადაგებენ, რომ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში ვითომ არსებობს ისეთი ეკონომიკა, რომელშიც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ელემენტები ერთმანეთთანაა შეგუებული და შერწყმული. „შერეული ეკონომიკის“ თეორეტიკოსთა მტკიცებით, კაპიტალიზმი ნაწილობრივ კერძო მეურნეობაა, ხოლო ნაწილობრივ — სახელმწიფო მეურნეობა. სახელმწიფო მეურნეობა კი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მათ არ მიაჩნიათ კაპიტალისტურ სექტორად. ამრიგად, კაპიტალიზმი მათი აზრით, არის „სახელმწიფო ეკონომიური სექტორის“ და „კერძო ეკონომიური სექტორის“ ერთიანობა, კომბინაცია, ნარევი.

„შერეული ეკონომიკის თეორიის“ რეფორმისტული ვარიანტი წამოაყენეს ფაბიანელებმა ინგლისში XIX საუკუნის 80-იან წლებში. ფაბიანელთა „მუნიციპალური სოციალიზმი“ „სახელმწიფო სოციალიზმის“ პოლიტიკური ტყუპი და „შერეული ეკონომიკის“ რეფორმისტული ვარიანტია. ფაბიანელების „მუნიციპალური სოციალიზმის“ იდეებს აგრძელებენ ამჟამად ინგლისში ლეიბორისტთა მემარჯვენე ლიდერები. „შერეული ეკონომიკის თეორიის“ იდეური ნათესაობა აქვს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“, „სოციალიზმში კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეზრდისა“ და „დემოკრატიული სოციალიზმის“ რეფორმისტულ-რევინიონისტულ თეორიებთან. „შერეული ეკონომიკის თეორიაში“ უხვადაა მოფენილი კეინსელობისა („რეგულირებადი კაპიტალიზმის“) და „თავისუფალი მეწარმეობის“ დებულებები.

„შერეული ეკონომიკის თეორია“ განსაკუთრებით გავრცელდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისისა და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს. „შერეული ეკონომიკის თეორიის“ პროპაგანდის ცენტრია მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები.

„შერეული ეკონომიკის თეორიის“ წარმომადგენლები, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტები მიზნად ისახევენ სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც სოციალისტური ეკონომიკის აშენების იარაღის ობიექტური აუცილებლობის უარყოფას. საკმარისია „შერეული ეკონომიკის თეორიის“ დაუფიქრებლობით რეალური სინამდვილე, მარქსიზმ-ლენინიზმი და მისი მოძღვრება კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის შესახებ და „შერეული ეკონომიკის“ ყბადაღებული თეორია საპნის ბუშტივით გასკდება. „შერეული ეკონომიკის თეორიის“ მთავარ მანკს შეადგენს: 1. ბურჟუა-

ზიელი „სახელმწიფო მეურნეობის“ დაპირისპირება კერძო მეწარმეობისადმი, 2. ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის დამახინჯებულად, ყალბად ახსნა, 3. ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების დამახინჯებულად გაშუქება.

რას წარმოადგენს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „სახელმწიფო მეურნეობა“? „შერეული ეკონომიკის“ თეორეტიკოსებს რომ ჰკითხოთ, „სახელმწიფო მეურნეობა“ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არაა კერძოკაპიტალისტური მეურნეობა. ცხადია, ესეთ აპოლოგეტურ დასკვნას საფუძვლად უდევს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ვულგარულ-რევიზიონისტული დოქტრინა, ე. ი. მცდარი, ფაქტების საწინააღმდეგო წარმოდგენა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსა და მისი როლის შესახებ. ჭერ კიდევ ფრ. ენგელსმა „ანტი-დიურინგში“ მკაფიოდ დაახასიათა, რომ საწარმოთა გადაცემა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს საკუთრებაში, კერძო საწარმოთა გასახელმწიფოებრიობა კი არ სპობს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, არამედ აძლიერებს მსხვილ, კერძო შესაკუთრებას უფლებებს. სხვაგვარად არც შეიძლება. ბურჟუაზიული სახელმწიფო ემსახურება კაპიტალისტურ ბაზისს. იგი იარაღია გაბატონებული კლასის ხელში, ე. ი. ბურჟუაზიული სახელმწიფო საწარმოები, ბურჟუაზიული სახელმწიფო საკუთრება და მეურნეობა იგივე კაპიტალისტური მეურნეობაა. ბურჟუაზიული სახელმწიფო კაპიტალისტთა სახელმწიფოა, ხოლო სახელმწიფო — მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს ყველაზე მსხვილ კაპიტალისტთა, მონოპოლების საქმეთა მართვის კომიტეტია. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტებს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებენ, თითქოს კაპიტალისტურმა სახელმწიფომ შეიცვალა ბუნება და გადაიქცა მედიატორედ, რაღაც ზეკლასობრივ ძალად. მათი აზრით, თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოა“, რომელიც თითქოს ერთნაირად იკავებს კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს. შრომისა და კაპიტალის ინტერესებს, მეურნეობის „სახელმწიფო სექტორსა“ და „კერძო სექტორს“. სრულიად საწინააღმდეგოს ადასტურებს ფაქტებიცხოვრება.

ბურჟუაზიული სახელმწიფო, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ფინანსური იმპერიების ბატონობაა და მეტი არაფერი. სახელმწიფო ძალაუფლება არასოდეს არ ყოფილა თავმოყრილი მილიონერებისა და მილიარდერების ისეთი ვიწრო ჯგუფის ხელში, როგორც ამჟამად არის მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ავიდეთ აშშ, დასავლეთ გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი. ვის ხელშია რეალური ხელისუფლება აშშ-ში? პასუხი მხოლოდ ასეთია: 8 მთა-

ვარ ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფის ხელში, 60-მდე მილიონერისა და მილიარდერის ოჯახის ხელში. აწმ სოციალური უთანასწორობის პირამიდაა, რომლის მწვერვალზე უოლსტრიტელი მაგნატები, მულტიმილიონერები და „ტაიკუნები“ სხედან. ასევეა დასავლეთ გერმანიაში, ინგლისსა და სხვ. ქვეყნებში. მონოპოლისტურმა კაპიტალმა მთლიანად იგდო ხელთ ძირითადი მატერიალური საშუალებანი. იგი არავის არ უზიარებს პოლიტიკურ ძალაუფლებას, მან დაამყარა თავისი დიქტატურა — უმრავლესობაზე უმცირესობის დიქტატურა, საზოგადოებაზე კაპიტალისტური მონოპოლიების დიქტატურა.

სახელმწიფო მეურნეობა და საკუთრება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იგივე კაპიტალისტური მეურნეობაა, რადგან წარმოებითი ურთიერთობა იგივე რჩება და ექსპლოატაციაც ძალაშია, ხოლო კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი უკიდურესად გამწვავებულია.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მეურნეობის ტიპი განისაზღვრება წარმოების საშუალებებზე არსებული საკუთრების ფორმით. წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრება უდევს საფუძვლად ექსპლოატაციისა და ბატონობის ურთიერთობებს — კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებს.

მაშასადამე, სახელმწიფო საკუთრება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არის ყველაზე მსხვილი კაპიტალისტების, მონოპოლისტების, მილიონერებისა და მილიარდერების კერძო საკუთრება და ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მეურნეობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თითქოს კერძო მეწარმეობის საწინააღმდეგოა, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და მასების მოსატყუებლადაა გამიზნული.

მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მეურნეობის ტიპი განისაზღვრება წარმოების საშუალებებზე არსებული საკუთრების ფორმებით. მაშასადამე, მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ბუნება არ შეიძლება შეიცვალოს იმით, წარმოების საშუალებათა მესაკუთრედ ერთი კაპიტალისტი, კაპიტალისტთა ჯგუფი, მონოპოლიური გაერთიანებაა თუ ბურჟუაზიული სახელმწიფო, ე. ი. მონოპოლიების სახელმწიფო. დაქირავებული მუშა ექსპლოატაციას განიცდის როგორც კერძო კაპიტალისტურ საწარმოში, ასევე სააქციო საზოგადოებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს საწარმოებში.

ე. ი. ლენინმა მკაფიოდ გაუკეთა ანალიზი სახელმწიფო კაპიტალიზმისა და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის საკითხებს. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამცველები ერთიმეორეში ურევენ ორ სრულიად სხვადასხვა მოვლენას. მათი აზრით, „შერეული ეკონომიკა“ კაპიტალისტურ ქვეყნებში იგივეა,

რაც ჩვენში იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში. ცხადია, აქ ისტორიული სინამდვილის აშკარა დამახინჯებას აქვს ადგილი. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „თეორიულად ექვი არ არის, რომ კაპიტალიზმსა და კომუნისმს შორის ძვეს ერთგვარი გარდამავალი პერიოდი. ეს არ შეიძლება არ აერთიანებდეს საზოგადოებრივი მეურნეობის ორივე ამ წყობის ნიშნებს: ან თვისებებს. ეს გარდამავალი პერიოდი არ შეიძლება არ იყოს პერიოდი ბრძოლისა მომავლად კაპიტალიზმსა და წარმოშობის პროცესში მყოფ კომუნისმს შორის; — ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: დამარცხებულ, მაგრამ ჯერ მოუსპობელ კაპიტალიზმსა და წარმოშობილ, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიად სუსტ, კომუნისმს შორის“.¹¹⁸

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, პროლეტარული ხელისუფლების დამყარებით იწყება კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდი. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა კი მრავალწყობიანია. ჩვენი ქვეყნის გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის დასაბათობისას ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ხუთი ეკონომიური წყობის არსებობის შესახებ: 1. პატრიარქალური გლეხური მეურნეობა, 2. წვრილი საქონელწარმოება, 3. კერძომეურნეობრივი კაპიტალიზმი, 4. სახელმწიფო კაპიტალიზმი და 5. სოციალისტური წყობა. კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის ხუთივე დასახელებული წყობა არაა აუცილებელი. კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში არის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდეგი ძირითადი ფორმები: სოციალიზმი, წვრილი საქონელწარმოება და კაპიტალიზმი.

ისმება კითხვა: რას წარმოადგენს მეურნეობის კაპიტალისტური წყობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ე. ი. გარდამავალ პერიოდში? ამ კითხვაზე ნათელ პასუხს იძლევა მარქსიზმ-ლენინიზმი.

ავალთ სახელმწიფო-კაპიტალიზმის საკითხი. რა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი? ამ საკითხს ბურჟუაზიული ეკონომისტები, მემარჯვენე სოციალისტები და რევოლუციონისტები განგებ აბუნდოვანებენ, ისინი განიხილავენ საერთოდ სახელმწიფო კაპიტალიზმს და არა ისტორიულ-კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. აი ასეთი არასწორი მეთოდის გამოყენებით აიგივებენ ისინი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის მრავალწყობიან ეკონომიკას თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ ე. წ. „შერეულ ეკონომიკასთან“. მათ „შერეული ეკონომიკა“ წარმოუდგენიათ მეურნეობის ისეთ სისტემად, სადაც თითქოს გამო-

რიცხულია ექსპლოატაცია, ლიკვიდირებულია მონოპოლების არსებობა, კარბწარმოების ეკონომიური კრიზისები და კაპიტალიზმისათვის დაპაზასიათებელი სხვა უბედურებანი. ერთი სიტყვით: „შერეული ეკონომიკა“ — გაიძახიან სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ადვოკატები, კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციას“, „ვარდაქმნას“, „გაუქმობებს“ ნიშნავსო. საკმარისია ობიექტურად განვიხილოთ სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხი და „შერეული ეკონომიკის“ თეორეტიკოსთა მსჯელობიდან დარჩება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის შიშველი აპოლოგეტიკა და მეტი არაფერი.

სახელმწიფო კაპიტალიზმი გარდამავალ პერიოდში, ე. ი. პროლეტარული სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში პრინციპულად, ძირფესვიანად განსხვავდება სახელმწიფო კაპიტალიზმისა და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმისაგან ბურჟუაზიის ბატონობისას. ეს განსხვავება, რომ დავინახოთ, „კარგად უნდა გვესმოდეს ს ა ბ ჰ ო თ ა სახელმწიფოს მნიშვნელობა, მისი ეკონომიური განსხვავება ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან... სცადეთ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — და იუნკრულ-კაპიტალისტური სახელმწიფოს ნაცვლად. მემამულურ-კაპიტალისტური სახელმწიფოს ნაცვლად, იგულისხმეთ რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფო, ე. ი. ისეთი სახელმწიფო, რომელიც რევოლუციურად ამსხვრევს ყოველგვარ პრივილეგიებს, რომელსაც არ ეშინია იმისა, რომ რევოლუციურად განახორციელოს უალრესად სრული დემოკრატიზმი? თქვენ დაინახავთ, რომ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ნამდვილად რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში აუცილებლად, გარდულად ნიშნავს სოციალიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯს“.¹¹⁹

მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ ვ. ი. ლენინმა შექმნა. მან პირველმა გაუსვა ხაზი იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს სახელმწიფო კაპიტალიზმს შორის ბურჟუაზიულ და სოციალისტურ საზოგადოებაში. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში სახელმწიფო კაპიტალიზმი დაქვემდებარებული ეკონომიური წყობაა. წამყვან როლს კი სოციალისტური წყობა ასრულებს. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან წარმოების ძირითადი საშუალებანი საერთო-სახალხო კუთვნილებას შეადგენს. „სახელმწიფო კაპიტალიზმი, რა სახითაც იგი დავამყარეთ ჩვენში, — წერს ვ. ი. ლენინი, — თავისებურ სახელმწიფო კაპიტალიზმს წარმოადგენს. იგი არ შეესაბამება სახელმწიფო კაპიტალიზმის ჩვეულებრივ გაგებას. ჩვენს ხელთ არის ყველა მბრძანებელი მალლობი,

ჩვენს ხელთ არის მიწა, იგი სახელმწიფოს ეკუთვნის... ჩვენი სახელმწიფო კაპიტალიზმი იმით განირჩევა სიტყვასიტყვით გაგებულ სახელმწიფო კაპიტალიზმიდან, რომ ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს ხელშია არა მარტო მიწა, არამედ მრეწველობის ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწილიც¹²⁰. ამრიგად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, სოციალისტური ნაციონალიზაციის გატარება ძირეულად ცვლის „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ ბუნებას.

„შერეული ეკონომიკის თეორიის“ დამკველებიც ბევრს გაპყვირიან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გატარებული ნაციონალიზაციის, „დეკარტელიზაციის“, რეპრიატიზაციის შესახებ. ჯერ ერთი, ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია ძირფესვიანად განსხვავდება სოციალისტური ნაციონალიზაციისაგან. სოციალისტური ნაციონალიზაცია ნიშნავს პროლეტარული ხელისუფლების მიერ რევოლუციური გზით კერძო საკუთრების გადაქცევას სახელმწიფო, სოციალისტურ საკუთრებად. ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია, „დეკარტელიზაცია“ და რეპრიატიზაცია კი კერძო საკუთრებას, მამსახადამე, კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობას, ე. ი. ექსპლოატაციასაც ძალაში ტოვებს, ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი ხელუხლებელი რჩება. სახალხო მეურნეობის ზოგიერთი საწარმოსა და დარგის (ინგლისის ბანკის, ქვანახშირის მრეწველობის, საშინაო ტრანსპორტის. გაზის მრეწველობისა და სხვ.) გასახელმწიფოებრივებით ლეიბორისტმა ლიდერებმა ხელი შეუწყვეს მონოპოლისტებს მაქსიმალური მოგების მიღებაში. ლეიბორისტების ნაციონალიზაცია შეეხო იმ საწარმოებსა და დარგებს. რომლებიც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყვნენ და საჭიროებდნენ დიდ სახსრებს. ეს სახსრები ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ იკისრა და გადასახადების გზით ამოქაჩა მოსახლეობიდან.

ლეიბორისტული ნაციონალიზაცია ნიშნავდა ერთიანი სახელმწიფო-კაპიტალისტური მონოპოლიების შექმნასა და გაძლიერებას. „ნაციონალიზებულ“ საწარმოთა მეპატრონეებმა — მონოპოლისტებმა კომპენსაციის სახით დიდძალი თანხა მიიღეს. ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ კი ისინი „ნაციონალიზებულ“ საწარმოთა დირექტორებად დატოვა. იგივე განმეორდა დასავლეთ გერმანიაში გატარებული „დეკარტელიზაციისა“ და რეპრიატიზაციის გატარებით.

„შერეული ეკონომიკის თეორია“, რა ფერებიც არ უნდა იყოს იგი მორთული, ემსახურება მონოპოლიების აპარატის გამოყენებას მაქსიმალური მოგების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო კაპიტალიზმი პროლეტარული სახელმწიფოს პირო-

ბებში ფაქტიურად აღარაა მონოპოლია, რადგანაც ხელისუფლების სათავეში დგას მუშათა კლასი და ეკონომიკის მბრძანებელი სიმალეებიც სოციალისტური სახელმწიფოს ხელშია. „სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ნამდვილად რევოლუციურდემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში აუცილებლად, გარდუვალად ნიშნავს სოციალიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯს და ნაბიჯებს“. ¹²¹ ხოლო კითხვას: თუ რა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ბურჟუაზიული სახელმწიფოს პირობებში ვ. ი. ლენინი პასუხობს, რომ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი „... ნამდვილად არის სამხედრო-სახელმწიფოებრივი მონოპოლისტური კაპიტალიზმი, ან უფრო მარტივად და უფრო ნათლად რომ ითქვას, სამხედრო კატორღა მუშები-სათვის, კაპიტალისტთა მოგების სამხედრო დაცვა“. ¹²² მით უმეტეს, რა არის სახელმწიფო საკუთრება და სახელმწიფო მეურნეობა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, თანამედროვე ეტაპზე? ბურჟუაზიული სახელმწიფო შრომაზე კაპიტალის ბატონობის იარაღია.

ამრიგად, სახელმწიფო კაპიტალიზმი ძირფესვიანად სხვა არის პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების პირობებში ამზადებს მატერიალურ პირობებს სოციალიზმისათვის. „სოციალიზმს ვერავითარი აჯანყება ვერ შექმნის, — წერს ვ. ი. ლენინი, — თუ იგი ეკონომიურად არ მომწიფებულა... სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის უაღრესად სრული მატერიალური მომზადებაა, მისი კარიბჭეა, ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომელს შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შუა არავითარი შუათანა საფეხური არ არის“. ¹²³ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის უაღრესად სრული მატერიალური მომზადებაა. ¹²⁴ აი, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დახასიათება. ბურჟუაზიის აპოლოგეტები კი სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს თითქმის სოციალიზმად აცხადებენ.

ვ. ი. ლენინი, აკრიტიკებდა რა ბუხარინისა და პრეობრაჟენსკის მცდარ შეხედულებებს, მიუთითებდა იმ ძირეულ განსხვავებაზე, რაც არსებობს სახელმწიფო კაპიტალიზმსა (ბურჟუაზიული საზოგადოების) და პროლეტარიატის დიქტატურის დროს არსებულ სახელმწიფო კაპიტალიზმს შორის. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებულ სახელმწიფო კაპიტალიზმის გაიგივებას კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში არსებულ სახელმწიფო კაპი-

ტალიზმთან ვ. ი. ლენინმა სქოლასტიკა უწოდა. ბუზარინი და პრეობრაჟენსკი ვერ ხედავდნენ ამ განსხვავებას. ამავე შეცდომას იმეორებენ დღეს ბურჟუაზიული ეკონომისტები, შემარჯვენე სოციალისტები და რევოიზიონისტები, „შერეული ეკონომიკის თეორიის“ დამცველები. სახელმწიფო კაპიტალიზმი და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი მათ მიაჩნიათ კერძო საკუთრების საწინააღმდეგო მოვლენად და თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიკას უწოდებენ „შერეულ ეკონომიკას“. ვ. ი. ლენინი პარტიის XI ყრილობაზე აღნიშნავდა: „სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხში. მე ვფიქრობ, საერთოდ ჩვენი პრესა და საერთოდ ჩვენი პარტია იმ შეცდომას სჩადის, რომ ჩვენ ვვარდებით ინტელიგენტობაში, ლიბერალიზმში, ჰკუპას ძალას ვატანთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი, და ჩავცქერით ძველ წიგნებს. იქ კი სრულიად სხვა რამეზე სწერია: იქ სწერია იმ სახელმწიფო კაპიტალიზმზე, რომელიც კაპიტალიზმის დროს არის, მაგრამ არ არის არც ერთი წიგნი, რომელიც დაწერილი იყოს იმ სახელმწიფო კაპიტალიზმზე, რომელიც კომუნისტების დროს არის ხოლმე“¹²⁵. შემდეგ ვ. ი. ლენინი იძლევა სახელმწიფო კაპიტალიზმის დახასიათებას, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებობს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სულ სხვაა, რომ სახელმწიფო კაპიტალისტური საწარმოები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კი ეს იგივე კაპიტალისტური საწარმოებია. ვ. ი. ლენინი საკითხის სრული და ძირფესვიანი განმარტების მიზნით იმასაც კი აღნიშნავს, რომ, მართალია, სახელმწიფო კაპიტალიზმი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში განსხვავდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებული სახელმწიფო კაპიტალიზმისაგან, მაგრამ მას (ვ. ი. სახელმწიფო კაპიტალიზმს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებშიც კი) უწოდებს „არასოციალისტურ ელემენტს“. მიუხედავად ამისა, „შერეული ეკონომიკის“ თეორეტიკოსები თავისას არ იშლიან და სახელმწიფო კაპიტალიზმსა და სახელმწიფო-მონოპოლისტურ საწარმოებს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხატავენ სოციალიზმის ელემენტებად და ასე აკოწიწებენ „შერეული ეკონომიკის“ ვულგარულ-რევოიზიონისტულ თეორიას.

„შერეული ეკონომიკის თეორიის“ მთავარი წარმომადგენლები არიან ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტები ს. ჩეიზი, ე. ჰანსენი, ჯონ მორის კლარკი და სხვები. დასახლებულ „თეორიას“ იზიარებენ და ქადაგებენ გერმანელი ნეოლიბერალები, შემარჯვენე სოციალისტები და მათი თანამოაზრენი.

„შერეული ეკონომიკის“ თეორეტიკოსი, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტი ს. ჩეიზი¹²⁶ დიდი ხანია ოცნე-

ბოზს რეფორმების გზით კაპიტალიზმის „გაუმჯობესებასა“ და „გაჯანსაღებაზე“. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი წიგნი „ტექნოკრატია“. კაპიტალიზმის „გაუმჯობესებისათვის“ ს. ჩეიზმა გამოიყენა ვებლენისტიკის „ტექნოკრატიული უტოპიის იდეები“. კაპიტალიზმის „გაჯანსაღებისა“ და „გარდაქმნის“ მთავარ საშუალებად ჩეიზი თვლიდა ტექნიკურ ინტელიგენციასა და ტექნოკრატიული იდეების ცხოვრებაში გატარებას.

„შერეული ეკონომიკის თეორიის“ პროპაგანდას ს. ჩეიზმა ხელი მოჰკიდა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. 1929 წლის ქარბწარმოების ეკონომიური კრიზისის გავლენით მან დაწერა წიგნები „მთავრობა და ბიზნესი“ და „სიტყვების ტირანია“, რომლებშიც ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი „შერეული ეკონომიკის“ შესახებ.

ს. ჩეიზის შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა კეინსმა და კეინსელობამ. ს. ჩეიზმა ბევრი რამ ისესხა და შეითვისა ჯ. მ. კეინსის „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ ვულგარული თეორიიდან. ს. ჩეიზმა კაპიტალისტური მეურნეობის „სახელმწიფო რეგულირება“ შეუხამა „თავისუფალი მეწარმეობის“ პრინციპებს. ს. ჩეიზი კაპიტალისტური მეურნეობის რეგულირებას მოითხოვს, მაგრამ „თავისუფალ მეწარმეობასაც“ ძალაში ტოვებს.

ამრიგად, ს. ჩეიზის „შერეული ეკონომიკის თეორია“ წარმოადგენს თანამედროვე ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ორი მთავარი მიმართულების („რეგულირებადი კაპიტალიზმისა“ და „თავისუფალი“ მეწარმეობის“) ვულგარულ დოგმათა კონგლომერატსა და სინთეზს, თეორიულ ვინეგრეტს.

თვით ს. ჩეიზმა „შერეული ეკონომიკა“, ე. ი. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი შეადარა კარგად, გემრიელად დამზადებულ კერძს, საჭმელს. აი, როგორ ახასიათებს ს. ჩეიზი სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს: „ყოველგვარი თანამედროვე ეკონომიკა, რასაც არ უნდა ლაპარაკობდნენ მის შესახებ, არის შერეული კერძი, შემზადებული სახელმწიფო საკუთრებითა და კერძო საკუთრებით, შეზავებული და შეკაზმული გარნირით, რომელიც დამზადებულია პროფკავშირების, კოოპერატიული საზოგადოების, გასაყიდი ფასების შესახებ კანონებისა და კოლექციებისა და ეკლესიების იმ უდიდესი ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც მოგება არ მოაქვთ, და საქველმოქმედო ფონდებისაგან“¹²⁷.

აი კიდევ ერთი ნიმუში იმისა, თუ როგორ ავრცელებენ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამცველები, მონოპოლიების იდეოლოგიური სამზარეულოს კულინარები, ახალ-ახალ ვულ-

გარულ თეორიებს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმისა და მონოპოლიების შესახებ. მონოპოლისტური ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები მასების მოტყუების, მათი შეგნების დაჩლუნგებისა და ნებისყოფის მოღუწებისათვის იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა საშუალებას იყენებენ.

ს. ჩეიზმა თავისი შეხედულებები საბოლოოდ იმგვარად ჩამოაყალიბა, რომ შესაძლებლად ცნო კერძო მეწარმეობისა და სახელმწიფო რეგულირების პრინციპების გაერთიანება, შერწყმა. სახელმწიფო რეგულირებისა და თავისუფალი მეწარმეობის გაერთიანებულ მეურნეობას — სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს მან უწოდა „შერეული ეკონომიკა“. მაშასადამე, „შერეული ეკონომიკის თეორიით“ ჯ. ჩეიზი იცავს სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს. ს. ჩეიზსაც არ მოსწონს ცნება „კაპიტალიზმი“. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის სხვა აპოლოგეტებთან ერთად ისიც ცდილობს სიტყვა „კაპიტალიზმის“ შეცვლას „შერეული ეკონომიკით“. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებით და ცნებებით თავაშობა. ვერც „მესამე გზა“ და „შერეული ეკონომიკა“ ვერ შეუცვლის ბუნებას თანამედროვე, სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს. საქმე ეხება არა სიტყვებს, არამედ კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებს. რომ მოსპო კაპიტალიზმის ისეთი უბედურებანი, როგორცაა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უმუშევრობა, ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისები და სხვ. უნდა მოსპო თვით კაპიტალიზმი, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, კაპიტალისტური ბაზისი. კაპიტალიზმისათვის სხვა-ნაირი სახელის გამოძებნა, ცხადია, ვერ შეცვლის კაპიტალისტური წყობილების ბუნებას. კაპიტალიზმისათვის ისეთი სახელები დარქმევა, როგორცაა „შერეული ეკონომიკა“, „საზოგადოება-ჰიბრიდი“ და სხვა. გამოიზნულია მშრომელი მასების მოსატყუებლად, ილუზიების გასავრცელებლად.

„შერეული ეკონომიკის“ თეორეტიკოსები ცნება „კაპიტალიზმს“ თვლიან ცარიელ აბსტრაქციად, მათი აზრით ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფუნქციებში მომხდარმა „რევოლუციამ“ სახე შეუცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს და გადააქცია იგი „შერეულ ეკონომიკად“. მათი მტკიცებით, „შერეული ეკონომიკის“ შექმნა გაპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ადგილი აქვს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიური მოღვაწეობის ზრდას. ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფუნქციების გაძლიერებას.

ფაქტია. რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევა კაპიტალის-

ტური კვლავწარმოების პროცესში ერთგვარ ზეგავლენას ახდენს საწარმოო ძალთა განვითარებაზე, მაგრამ ბურჟუაზიული სახელმწიფო ეკონომიურ ცხოვრებაში თავისი ჩარევით ემსახურება მონოპოლიებს, მონოპოლისტურ კაპიტალიზმს. სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, იმპერიალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ისეთი ობიექტური ეკონომიური კანონების მოსპობა, როგორცაა ზედმეტი ღირებულების, წარმოების ანარქიისა და კონკურენციის, კაპიტალისტური დაკრავების, ჰარბწარმოების ეკონომიური კანონი და სხვა.

მონოპოლისტური კაპიტალიზმი, სახელმწიფო მონოპოლიების შექმნა, კაპიტალისტური კვლავწარმოების პროცესში სახელმწიფოს უშუალო ჩარევა, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების მაღალი დონე, ბურჟუაზიული სახელმწიფოს სხვადასხვაგვარი მარეგულირებელი ღონისძიებები და კაპიტალისტური ეკონომიკის ცალკეული დარგის გასახელმწიფოებრიობა და სხვ. არ ცვლის იმპერიალიზმის არსს. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი არის იმპერიალიზმის სტადიაზე ერთი მუქა მილიონერებასა და მილიარდერების დიქტატურა. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი არ ცვლის იმპერიალიზმის ბუნებას, იგი „ერთმანეთში ურევს“ მონოპოლიებს და თავისუფალ კონკურენციას, მაგრამ იმპერიალიზმს არ შეუძლია მოსპოს გაცვლა-გამოცვლა, ბაზარი, კონკურენცია, კრიზისები და სხვ.“¹²⁸

მაშასადამე, ს. ჩეიზის განცხადება „ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიური მოღვაწეობის გაძლიერების“ შესახებ სრულიადაც არ ნიშნავს კაპიტალიზმის ბუნების შეცვლას.

ს. ჩეიზს „შერეული ეკონომიკის“ ზემოთ დასახელებული პირველი დებულებებიდან გამოყავს მეორე მცდარი დებულება, სახელდობრ, მას ჰგონია, რომ „ბურჟუაზიული სახელმწიფოს ახალი როლი“ მოასწავებს ტრანსფორმაციას კერძო, თავისუფალი მეწარმეობიდან „შერეულ ეკონომიკაში“. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს დებულებაც მცდარია, რადგან იგი ემყარება მცდარ აზრს „ბურჟუაზიული სახელმწიფოს ახალი როლისა და ფუნქციების“ შესახებ.

ს. ჩეიზის შემდეგი სახელმძღვანელო დებულებაა, კაპიტალისტური სახელმწიფოს გამოცხადება „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ“, ხოლო კაპიტალისტური სახელმწიფო სექტორისა — საერთო სახალხო ინტერესებისათვის მზრუნველ სექტორად. ჩეიზის მტკიცებები „შეავსეს“ მისმა თანამოაზრეებმა და საბოლოოდ ჩამოაყალიბეს „საზოგადოება-ჰიბრიდის“, ე. ი. „შერეული ეკონო-

მიკას“ შექმნის სამი ძირითადი ფაქტორი: 1. ეკონომიური დაგეგმვა, 2. მართვის პროფესიონალიზაცია და 3. კეთილდღეობის ზრდა.¹²⁹

„შერეული ეკონომიკის“ თეორეტიკოსებმა კერძო მეწარმეობას დაუპირისპირეს სახელმწიფო კაპიტალიზმი, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი და გამოაცხადეს იგი საყოველთაო კეთილდღეობის სექტორად, სადაც თურმე წარმოების მიზანია არა მოგების მიღება, არამედ ზრუნვა საზოგადოების, მთელი მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ს. ჩეიზი და მისი მომხრენი ერთიმეორისაგან განასხვავებენ კერძო სექტორსა და სახელმწიფო სექტორს, ამათი კომბინაციით, შერწყმით კი გვთავაზობენ „შერეულ ეკონომიკას“.

ს. ჩეიზი თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური სისტემის, „შერეული ეკონომიკის“ მოდელის ოთხ სახეს განიხილავს: მოუწესრიგებელი შერეული სისტემა, მართული შერეული სისტემა, ავტომატური კონკურენციული სისტემა და ავტორიტარული სისტემა სახელმწიფო-ცენტრალიზებული დაგეგმვით. ს. ჩეიზს განსაკუთრებით მოსწონს პირველი ორი სისტემა. მისი აზრით, აშშ-ს ყველაზე უფრო შეესაბამება პირველი ორი სისტემიდან ერთ-ერთი, უფრო მეტად მას მოსწონს „მართული, — რეგულირებადი შერეული სისტემა“. აქ აშკარად ჩანს კენსელობის გავლენა ს. ჩეიზის შეხედულებებზე. ს. ჩეიზი, ე. ჰანსენი, აირესი და სხვ. ამჟობინებენ ნაცვლად „შერეული ეკონომიკისა“ აშშ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს ეწოდოს „წყვილადი ეკონომიკა“, ე. ი. კერძო და სახელმწიფო სექტორების „ნარევი ეკონომიკა“. აირესი ნაცვლად „შერეული ეკონომიკისა“ ლაპარაკობს „შეზღუდული კაპიტალიზმი“, სადაც კაპიტალისტური ეკონომიკის „შემზღუდველ“ ინსტიტუტად თვლის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ამასვე იმეორებენ ლორვინი („ნეოკაპიტალიზმი“), ს. ჰუვერი („ორგანიზებული ეკონომიკა“) და სხვები. ჩეიზის „მოდელები“ ძალიან ახლოს დგას ნეოლიბერალების „მოდელთან“ მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ. განსაკუთრებით თავგამოდებით იცავს „შერეული ეკონომიკის თეორიას“ ჯ. მ. კლარკი.¹³⁰ იგი აერთებს „თავისუფალი მეწარმეობისა“ და „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ იდეებსა და პრინციპებს. მართლაც, თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ორი მთავარი მიმართულების („რეგულირებადი კაპიტალიზმისა“ და „თავისუფალი მეწარმეობის“) შერიგებითა და შერწყმით აგებს იგი „შერეული ეკონომიკის თეორიას“. ამრიგად, „შერეული ეკონომიკის თეორია“ უფრო სწორად წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის

მთავარ მიმართულებათა ნარევს და უმჯობესი იქნება ეწოდოს მას. არა „შერეული ეკონომიკის თეორია“, არამედ „შერეული თეორიების დოქტრინა“, ან „თეორიული ვინეგრეტი“.

ჯ. მ. კლარკიც ს. ჩეიზის, ე. ჰანსენისა და სხვათა მსგავსად გაიძახის, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიური როლი ძალიან გაძლიერდაო და აქედან აკეთებს მცდარ დასკვნას „კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის“ შესახებ. ჯ. მ. კლარკი ბანს აძლევს „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორეტიკოსებს და ირწმუნება, რომ თითქოს უკანასკნელ პერიოდში „ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციებში მოხდა რევოლუცია“. ჯ. მ. კლარკი ბურჟუაზიული სახელმწიფოს შესახებ წერს, რომ თითქოს იგი (ბურჟუაზიული სახელმწიფო) „გადაიქცა პოლიტიკური სახელმწიფოდან პოზიტიურ ეკონომიურ ძალად“. ჯ. მ. კლარკი ამას აკეთებს „შერეული ეკონომიკის თეორიის“ ასაგებად და მარქსიზმ-ლენინიზმის, კომუნიზმის წინააღმდეგ. ამით სურს მას მონოპოლიების ბატონობის შენიღბვა და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა.

ჯ. მ. კლარკი „თავისუფალი მეწარმეობის“ წინააღმდეგ გამოდის იმდენად, რომ ეს უკანასკნელი, მისი აზრით, წარმოშობს უმუშევრობასა და კრიზისებს. უმუშევრობისა და კრიზისების თავიდან აცილება მას შესაძლებლად მიაჩნია კეინსური „რეგულირებადი კაპიტალიზმით“, „ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევით“. აი, ამიტომაც, რომ ჯ. მ. კლარკიც „შერეული ეკონომიკის თეორიას“ აკოწიწებს „თავისუფალი მეწარმეობისა“ და „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ „თეორიების“ ნამსხვრევებსა და წანგრევებზე. ჯ. მ. კლარკი აცხადებს, რომ „შერეულ ეკონომიკაში“ კერძო მეწარმეობაც უნდა იყოს და სახელმწიფო მეურნეობის სექტორიცო. აი რას წერს ამის შესახებ ე. ჟამსი: „ჯ. მ. კლარკი არ თვლის არანომალურად და სახიფათოდ ამერიკის ეკონომიკის, როგორც შერეული ეკონომიკის ხასიათს, რომელშიც ერთდროულადაა შეხამებული სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტები, სახელმწიფო და კერძო მითვისება. ის აღფრთოვანებულია წარმოების ასეთი ფორმით და თვლის, რომ საჭიროა წარმოების ასეთი ფორმის თანდათანობითი სრულყოფა, დაგეგმვასა და მეწარმეობას შორის, ინდივიდუალური ინტერესების თამაშსა და კოლექტიური ხასიათის სტიმულთა თამაშს შორის წონასწორობის მიღწევა.“¹³¹

ს. ჩეიზისა და ჯ. მ. კლარკის შეხედულებებს იმეორებენ გოლბრეისი, ჰარისი, აირესი, ლორვინი, გერმანელი ნეოლიბერალები და სხვები.

„შერეული ეკონომიკის თეორიას“ საფრანგეთშიც ქადაგებენ.

მრავალთაგან დავასახელებთ ე. ჟამსა და ფრანსუა პერუს. ე. ჟამსა იწონებს ფრ. პერუს შეხედულებას კაპიტალიზმის მომავალი ბედის შესახებ. კაპიტალიზმის და კაპიტალისტური საზოგადოების მომავალს ფრ. პერუ ხედავს არა სოციალიზმში, არამედ „შერეულ ეკონომიკაში“. ე. ჟამსა ფრ. პერუს შესახებ წერს: „ავტორის (ე. ი. ფრანსუა პერუს — გ. ჯ.) აზრით, კაპიტალიზმის მომავალი — ეს შერეული ეკონომიკაა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო და კაპიტალისტურ სექტორებს და საბაზრო მეურნეობისა და მეწარმეობის შინაგანი ლოგიკის შესაბამისად აღიარებს სახელმწიფოს მხოლოდ ერთგვარ ჩარევას“.¹³²

მემარჯვენე სოციალისტები და ლეიბორისტები რევიზიონისტებთან ერთად „შერეული ეკონომიკის თეორიას“ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დასაცავად იყენებენ ისევე, როგორც „დემოკრატიული სოციალიზმის“, „სახალხო კაპიტალიზმის“, „მეორე სამრეწველო რევოლუციის“, „სოციალიზმში კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეზრდისა“ და სხვა ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ თეორიებს.

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დასაცავად გაერთიანდნენ ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტები, რევიზიონისტები და მემარჯვენე სოციალისტები. მათი მიზანი ერთაა — გამოძებნონ ახალი იდეოლოგიური იარაღი და საშუალებანი კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მონოპოლისტური კაპიტალის დამცველებს „შერეული ეკონომიკის თეორიით“ სურთ აგრეთვე კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა მიფუჩუჩება, კაპიტალისტურ ქვეყნებში მონოპოლისტურ ბურჟუაზიასა და მშრომელ მასებს შორის კლასობრივი ბრძოლის „გაქრობის“ დამტკიცება. „იმპერიალიზმის იდეოლოგიების, მათი მემარჯვენე სოციალისტი და რევიზიონისტი დამქაშების წინასწარმეტყველებათა მიუხედავად, კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტურ ქვეყნებში კი არ ქრება, არამედ კიდევ უფრო დიდ გაქანებას, სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს. მუშათა კლასის რევოლუციურ გამოსვლებთან ერთად ძლიერდება გლენტა, აგრეთვე საერთო-დემოკრატიული მოძრაობა“,¹³³ — ასეთია ნამდვილი სურათი, მაშასადამე. ლაპარაკი „საზოგადოების ჰიბრიდიზაციის“, „მესამე გზის“, „შერეული ეკონომიკისა“ და კლასთა ბრძოლის „გაქრობის“ შესახებ მოკლებულია რეალურ სინამდვილეს და ლეგენდას წარმოადგენს.

„შერეული ეკონომიკისა“ და „ეკონომიური ჰიბრიდიზაციის“ უახლესი კონცეფციის დახმარებით ბურჟუაზიის იდეოლოგიები ვარაუდობენ ერთდროულად ორი კურდღლის მოკვლას: ჯერ ერთა,

მონოპოლისტური კაპიტალის მტაცებლური არსის შენიღბვა, ანტი-მონოპოლისტური და ანტიკაპიტალისტური ხანძრის განწყობათა ჩაქრობა, ხმარებიდან თვით ცნება „კაპიტალიზმის“ ამოგდება, „ახალი სისტემის“, „საზოგადოება ჰიბრიდის“ მოდელის შექმნა და, მაშასადამე, კაპიტალისტური კერძო საკუთრების მუდმივობის დამტკიცება; მეორე, ნამდვილი სოციალიზმისათვის, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებისათვის ცილისწამება, სოციალისტური სისტემისათვის კაპიტალიზმის მანკიერებათა მინიჭება, სოციალიზმის წარმოდგენა „ცალმხრივ წყობილებად“ რომელიც, მათი აზრით, საჭიროებს „ახალი“ პრინციპებით შევსებას, მის „ჰიბრიდიზაციას“, მაშასადამე, კომუნისმის შეუძლებლობის „დამტკიცებას“.¹³⁴

კაპიტალის თეორეტიკოსთა აზრით, კაპიტალიზმი მიდის ახალი, „მესამე გზით“, რომ თითქოს იგი ამეამად იმყოფება „გარდამავალი წყობილების“ პროცესში. ეს „გარდამავალი წყობილება“ არსებითად წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური სისტემების „შერწყმას“, „შეუღლებას“, „ჰიბრიდიზაციას“. „მესამე გზის“ ავტორთა მტკიცებით „გარდამავალი წყობილება“ არის „შერეული ეკონომიკა“.¹³⁵ მათი აზრით, „გარდამავალ წყობილებაზე“ გადასვლა, ხოლო შემდეგ „საზოგადოება ჰიბრიდის“ შექმნა უნდა მოხდეს კერძო საკუთრებაზე დაყრდნობით. ნეოლიბერალი მუტუჰეიუსი აცხადებს, რომ „მესამე გზა“ აუცილებლად მოათხოვს „შეჯიბრებას“, „შეჯიბრების წყობილება“ კი მას ვერ წარმოუდგენია კერძო საკუთრების გარეშე.¹³⁶

„შერეული ეკონომიკისა“ და „ეკონომიური ჰიბრიდიზაციის“ პროპაგანდისტები აცხადებენ, რომ „მესამე გზით“ მიღებული „საზოგადოება ჰიბრიდა“ ანუ „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოება“ უნდა ემყარებოდეს კაპიტალისტურ საქონელწარმოებას და მიიღოს კაპიტალიზმის ოთხი ელემენტიდან სამი: 1. კერძო საკუთრება, 2. ეკონომიური სტრუქტურები, მოგების მოტივის ჩათვლით, 3. საბაზრო სისტემა, სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის გარეშე. ნეოლიბერალები და „მესამე გზის“ სხვა თეორეტიკოსები სოციალისტურ სისტემას არ ტოვებენ „ყურადღების გარეშე“. სოციალიზმის ოთხი ძირითადი პრინციპიდან, — აღნიშნავენ ისინი, — „სოციალურმა საბაზრო მეურნეობამ“ — „შეჯიბრების წყობილებამ“ უნდა შეითვისოს სამი პრინციპი: 1. თანასწორობის მაღალი დონე (აქ იგულისხმება ნეოლიბერალური „პათოსანი კონკურენცია“, „მოქმედების თავისუფლება“, „ეკონომიური დემოკრატია“, „ეკონომიური ჰუმანიზმი“ და სხვ.), 2. წარმოების პირობებზე მუშათა კონტროლი („მმართველთა საზოგადოება“, მენეჯერიზმი, თანამონაწილეობა,

მონაწილეობა მართვაში და ა. შ., და, ბოლოს, 3. ეკონომიური და გეგმვა, მაგრამ არა ღირიესტული, არამედ ნეოლიბერალური (ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“, „საერთო ბაზარი“, „ლიბერალური ინტერვენციონიზმი“ და სხვ.). ასე გამოიყურება ეგრეთ-წოდებული „შერეული ეკონომიკა“, „სინთეზის პროცესში მყოფი საზოგადოება“ — „საზოგადოება ჰიბრიდი“.

აღნიშნული კონცეფციების პროპაგანდა ხდება არა მარტო მთავარ კაპიტალისტურ, არამედ ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებშიც. „ეკონომიური ჰიბრიდიზაციის“ თეორეტიკოსები თავიანთი იდეების პროპაგანდას ეწევიან იმ ქვეყნებშიც, რომლებმაც პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვეს. მეტიც. უ. როსტოვი აცხადებს, რომ „სოციალიზმი დასავლეთის ქვეყნებისათვის განვლილი გზა არისო“ და მისი „ეკონომიური ზრდის თეორია“ ფაქტიურად ნიშნავს „მესამე გზის“, ე. ი. „შერეული ეკონომიკის“ კონცეფციის პროპაგანდას ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ავიღოთ ინდოეთი, სადაც ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგები კაპიტალიზმს წარმოგვიდგენენ, როგორც „შერეულ ეკონომიკას“. ე. ნ. ვაკილი, ფ. რ. ბრაჰმანანდი, დ. ანარია, თვით ჯ. ნერუც გამოდიან „მესამე გზის“, „შერეული ეკონომიკის“ პროპაგანდით.¹³⁷

ნეოლიბერალური „მესამე გზა“, „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ — „შეჯიბრების წყობილება“, „ეკონომიური ჰიბრიდიზაცია“ წარმოადგენს კაპიტალიზმის დაცვას „თავისუფალი მეწარმეობისა“ და ეკონომიური ლიბერალიზმის პოზიციებიდან. ამიტომ „თავისუფალი მეწარმეობისა“ და ნეოლიბერალიზმის თეორიები, როგორც იმპერიალიზმის დაცვის შენობილი ფორმა, მკაცრად უნდა იქნეს გაკრიტიკებული.¹³⁸

იმპერიალიზმის შენობა საძირკვლიდან მწვერვალამდეა დაავადებული განუკურნავი სენით, ე. ი. მისი „გაჯანსაღება“ ნეოლიბერალური „მეურნეობის იდეალური ტიპების“, „მესამე გზისა“ და სხვა მსგავსი კონცეფციებითა და მოდელებით შეუძლებელია.

**„სოციალური პარტნიორობის“ — „სახალხო
კაპიტალიზმის“ თეორიის გერმანული
ვარიანტის — კრიტიკა!**

I. „სოციალური პარტნიორობა“

**„სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტური თეორიის გერმანული
ვარიანტი**

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიურ არსენალში დიდ როლს ასრულებს „სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტური თეორიები („კაპიტალის დემოკრატიზაციისა“ და „საკუთრების დიფუზიის“, „მმართველობაში რევოლუციის“, „შემოსავლებში რევოლუციის“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“, „სოციალური პარტნიორობის“, „ეკონომიური ჰუმანიზმისა“ და სხვ.).

„სახალხო კაპიტალიზმის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორია აშშ-ში შეაკოწიწეს, საიდანაც იგი გავრცელდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. „სახალხო კაპიტალიზმი“ მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგიური არსენალის ის წისქვილია, რომელიც წყალს იღებს მრავალი მხრიდან, დაწყებული „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ და ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებიდან და გათავებული მემარჯვენე სოციალისტებისა და რევიზიონისტების „თეორიული ნააზრევით“.

„სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტური თეორია მრავალფეროვანია. ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ერთი ჯგუფი სახელმწიფომონოპოლისტური კაპიტალიზმის „ხალხურობის“ დასამტკიცებლად ქადაგებს „კაპიტალის დემოკრატიზაციასა“ და „საკუთრების დიფუზიას“, მეორე ჯგუფი — „მმართველობაში რევოლუციას“ („მმართველთა საზოგადოება“, „მენეჯერიზმი“, „მენეჯმენტი“, „მენეჯერთა რევოლუცია“, „თანამონაწილეობის თეორია“ და სხვ.), მესამე ჯგუ-

ფი — „შემოსავლებში რევოლუციას“ („შემოსავლების გათანაბრება“, „მუშათა მონაწილეობა მოგებაში“, „ხელფასის კაპიტალიზაცია“), მეოთხე ჯგუფი კი — „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ („რევოლუცია ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფუნქციებში“, „სახელმწიფო-ზეკლასობრივი ინსტიტუტი“ და სხვ.).

ბურჟუაზიული ეკონომისტების, მემარჯვენე სოციალისტებისა და რევინიონისტების ერთი ნაწილი თანამედროვე კაპიტალიზმის „ხალხურობის“ დამტკიცებას ცდილობს „სოციალური პარტნიორობის“, „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“, „ეკონომიური ჰუმანიზმის“, „ადამიანური ურთიერთობის“, „ხელფასის კაპიტალიზაციისა“, და სხვა აპოლოგეტური დოგმებით. „სახალხო კაპიტალიზმის“ ყველა აპოლოგეტური თეორიის მიზანი და არსი ერთია — სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა, ცილისმწამებლური გამოხდომები სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ, ბრძოლა კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ნეოლიბერალები იმყოფებიან „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდისტთა ფრონტის წინა ხაზზე და ანე იცავენ გერმანიის მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს. გფრ-ის მონოპოლისტური ბურჟუაზია კარგად ხედავს, რომ „ძველი“ იდეოლოგიით მას არ ძალუძს მუშათა კლასში შეღწევა. ამიტომ დაეძებს იგი მუშათა კლასის მოტყუების განსაკუთრებით მოხერხებულ ფორმებს. დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტურმა ბურჟუაზიამ გადაწყვიტა ამერიკის „გამოცდილების“ გამოყენება და ხელი მოჰკიდა „სახალხო კაპიტალიზმის“ იდეას. დასავლეთ გერმანიის მსხვილი მონოპოლიების გაზეთი „დერ ინდუსტრიკურირი“ 1957 წლის 18 მაისს წერდა, რომ „სახალხო კაპიტალიზმის“ იდეა თანამედროვეობის ყველა აუცილებელი სოციალური იდეებიდან ერთ-ერთი მთავარია. ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ ვ. დრეჟსლერმა კი თავის წიგნში „სახალხო კაპიტალიზმი“ გააკეთა დასკვნა, რომელშიც „სახალხო კაპიტალიზმს“ უწოდა დასავლეთ სამყაროს „სასიცოცხლო საკითხი“ და „ალტერნატივა სოციალიზმთან“.

გფრ-ში „სახალხო კაპიტალიზმის“ ვულგარული თეორიის პროპაგანდა ხდება უმთავრესად „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობისა“ და „სოციალური პარტნიორობის“ სახით.

ამრიგად, „სოციალური პარტნიორობა“ ამერიკული „სახალხო კაპიტალიზმის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორიის გერმანულ ვარიანტია. მოძღვრება „პარტნიორობის“ შესახებ „სახალხო კაპიტალიზმის“ ფორმაა.²

რა თქმა უნდა, „სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინას

სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც ჰყავთ თაყვანისმცემლები. მაგალითად, „სოციალური პარტნიორობის“ კონცეფციის თავგამოდებული დამცველები არიან ინგლისის ლეიბორისტული პარტიის თეორეტიკოსები. კ. ეტლი და მისი თანამოაზრენი სასწრაფოდ ჩაებნენ „სოციალური პარტნიორობის“ მქადაგებელთა გუნდში“.3 ეს თავისთავად გასაგებია. „სოციალური პარტნიორობა“ ხომ „კლასობრივი თანამშრომლობის“, „სოლიდარისტული კლასობრივი პარმონიის“, „პროპორციული პარტნიორობის“, „სოციალური ზავის“, „პარმონიული სოციალ-პარტნიორობის“, „სოციალური კეთილდღეობის საზოგადოების“4 პროპაგანდაა. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებისათვის „სოციალური პარტნიორობა“ ეს იგივე „კლასობრივი ზავია“. „სოციალურ პარტნიორობას“ ქადაგებენ არა მარტო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ლიდერები, არამედ სოციალისტური ინტერნაციონალის მემარჯვენე ხელმძღვანელობაც.

„სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტური თეორიის მსგავსად „სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინასაც ქადაგებენ სახელმწიფო-მონოპოლისტული კაპიტალიზმის ყველა ჯურის თეორეტიკოსები — დირიჟისტები და ნეოლიბერალები, მემარჯვენე სოციალისტთა ლიდერები და რევიზიონისტები. მათ პირდაპირ ენა ექავებათ იმისათვის, რომ რაღაც განსაკუთრებული და გასაკვირველი თქვან. „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდით გამოდიან დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული ეკონომისტები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, კათოლიკე იდეოლოგები, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ლიდერები. განსაკუთრებით აქტიურობენ ნეოლიბერალები და კათოლიკური მოძღვრების თეორეტიკოსები. მათ საერთო მიზანი აქვთ: „კლასობრივი თანამშრომლობის“, „სოციალური ზავის“ პროპაგანდა, კაპიტალიზმის აპოლოგეტიკა, გფრ-ის კლერიკალურ-მილიტარისტული რეჟიმის დაცვა. ნეოლიბერალიზმისა და კათოლიკური მოძღვრების ერთიანობა სრულიად ბუნებრივია. გფრ-ის მმართველ პარტიას წარმოადგენს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, ხოლო ბონის რეჟიმის ოფიციალური სახელმწიფო დოქტრინა არის ნეოლიბერალიზმი. სწორად შენიშნავს ნ. ირიბაჯაკოვი, რომ კათოლიკური ეკლესიის სოციალური მოძღვრება ემყარება ნეოლიბერალიზმისა და სხვა რეაქციულ და ანტიმეცნიერულ შეხედულებებს.5

„სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინას ქადაგებენ დასავლეთ გერმანიის სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, წარმოება-დაწესებულებებში, პრესაში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება

ექცევა ახალგაზრდობის აღზრდას „სოციალური პარტნიორობის“ სულისკვეთებით. „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდა ხდება „სოციალური ინტეგრაციის“, „ადამიანური ურთიერთობის“, „ეკონომიური ჰუმანიზმისა“ და სხვა ნეოლიბერალური ლოზუნგებითა და დოგმებით. „მოსწავლეებმა უნდა დაუჯერონ ბონის ძირითადი კანონის ცრუ მტკიცებებს იმის შესახებ, რომ „ფედერალური რესპუბლიკა წარმოადგენს სოციალურ-სამართლებრივ სახელმწიფოს, რაც იგივეა, რომ პოლიტიკური ინტეგრაცია საჭიროებს სოციალური ინტეგრაციით შევსებას. ამით ხდება კლასობრივი ბრძოლისა და ძველი ლიბერალიზმის სულისკვეთების განუსაზღვრელი კონკურენციის გამორიცხვა და „სოციალური პარტნიორობის“ მოწონება“.⁶

თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თითქმის ყველა მთავარ მიმართულებასა და სკოლას აქვს „სახალხო კაპიტალიზმის“ საკუთარი, „ორიგინალური“ ვარიანტები. თავიანთურად ქადაგებენ „სახალხო კაპიტალიზმის“, კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ იდეებს მემარჯვენე სოციალისტები და რევიზიონისტები. მაგალითად, „სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტურ თეორიას დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული ეკონომისტები და მემარჯვენე სოციალისტები ქადაგებენ „სოციალური პარტნიორობის“ სახით.

„სოციალური პარტნიორობისა“ და „სახალხო კაპიტალიზმის“ ყველა სხვა აპოლოგეტური თეორიის არსი და მიზანი ერთია — სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა. „სახალხო კაპიტალიზმის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიები „ნიღბავენ ბურჟუაზიული წყობილების ექსპლოატატორულ ბუნებას, ცდილობენ შეალამაზონ კაპიტალიზმი. ისინი გვარწმუნებენ, თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმმა შეიცვალა თავისი არსი, გახდა „სახალხო კაპიტალიზმი“, რომელშიც ხდება საკუთრების „დაქსაქსვა“ და კაპიტალის „დემოკრატიზაცია“, ქრებიან კლასები და კლასობრივი წინააღმდეგობანი, „თანაბრდება შემოსავალი“ და ისპობა ეკონომიური კრიზისები“.⁷

„სახალხო კაპიტალიზმის“ ფართო პროპაგანდა დასავლეთ გერმანიაში განსაკუთრებით გაიშალა 1957 წლიდან. ამ დროიდან მოკიდებული სახელმწიფო ორგანოები, პრესა, ბონის პოლიტიკური მოღვაწეები და თეორეტიკოსები ყველა ზომას იღებენ „სახალხო კაპიტალიზმის“ იდეების პოპულარიზაციის მიზნით. ბონის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მარტო 1958 და 1959 წლებში „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდისათვის გამოჰყვეს დაახლოებით 200 000 მარკა. „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ განვითარების ახალმა ეტაპმა, როგორც დასავლეთ გერმანიის ოფიციალურმა სახელმწიფო

იდეოლოგიამ. თავისი გამოხატულება კპოვა „სახალხო კაპიტალიზმის“ იდეაში.

„სახალხო კაპიტალიზმის“ იდეებით გამოდიან მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები. მაგალითად, ბანკირმა ფრ. რაბიშმა გამოაქვეყნა წიგნი „გზა სახალხო კაპიტალიზმისაკენ“,⁸ რომელშიც აღნიშნავს, რომ ამერიკული „სახალხო კაპიტალიზმი“ წარმოადგენს სოციალისტურ ქვეყნებში არსებული სახალხო საკუთრების საპირისპიროს და მიმართულია მის საწინააღმდეგოდ.

„სოციალური პარტნიორობის“ თეორია „სახალხო კაპიტალიზმის“ დოქტრინის მსგავსად, რომელიც ობსკურანტიზმის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს, ემსახურება მონოპოლისტურ ბურჟუაზიას. „სოციალური პარტნიორობის“ დასავლეთგერმანელი თეორეტიკოსებიც ირწმუნებიან, რომ გფრ-ში თითქოს აღარაა კაპიტალისტური ექსპლოატაცია. ისინი აცხადებენ, რომ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის ადგილი გფრ-ში დაიკავა რაღაც „საშუალო“ სოციალურმა ჯგუფებმა, რომელთა შორის ურთიერთობას ხატავენ „აღამიანურ ურთიერთობად“, „ჰუმანურ ურთიერთობად“.

„სოციალური პარტნიორობის“ თეორეტიკოსთა დოქტრინაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია მითს „კლასობრივი ზავის“ შესახებ. „სოციალური პარტნიორობა“ არის „სოციალური ზავის“, „შრომასა და კაპიტალს შორის თანამშრომლობის“, „კლასობრივი ზავის“ დასავლეთგერმანული ინტერპრეტაცია. „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდისტთა აზრით, „პარტნიორობის საფუძველია შრომასა და კაპიტალს შორის თანამშრომლობა“.

ამრიგად, „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდას მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგები მიჰყავს კორპორატიულ-წოდებრივი წყობილების დაცვისაკენ.⁹

„სოციალური პარტნიორობის“ თეორეტიკოსები, უარყოფენ რა კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არსებობას დასავლეთ გერმანიაში, ქადაგებენ კაპიტალიზმის მუდმივობას. რა თქმა უნდა, „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდისტები ვერც კლასთა ბრძოლის საკითხების „გადაწყვეტაში“ დაიჩემებენ ორიგინალობას. მათ ბევრი წინამორბედი მოეპოვებათ თვით გერმანიაში, რომლებსაც კ. მარქსი უვიც რეგენებს უწოდებდა. „ჰაინცენის მსგავსი უვიცი რეგენები, — წერს კ. მარქსი, — რომლებიც უარყოფენ არა მარტო კლასთა ბრძოლას, არამედ თვით კლასების არსებობასაც კი, მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ, მიუხედავად მთელი თავიანთი ცხარე ცრემლებისა და ვითომდა ჰუმანისტური ყმუილისა, მათ საზოგადოებრივი პირობები, რაზედაც ბურჟუაზიის ბატონობაა დამყარე-

ბული, მიაჩნიათ ისტორიის უკანასკნელ პროდუქტად, უკანასკნელ ზღვარად, ამტკიცებენ იმას, რომ ისინი მხოლოდ მსახურნი არიან ბურჟუაზიისა, და რომ ეს მათი სამსახური მით უფრო საზიზღარია, რაც უფრო ნაკლებად გაეგებათ ამ ბრიყვებს თვით ბურჟუაზიული წყობილების სიდიადე და წარმავალი აუცილებლობა“.¹⁰

„სოციალური პარტნიორობის“ თეორეტიკოსები „კლასობრივი ზავის“ თანამედროვე პროპაგანდისტთა ავანგარდში დგანან და გაიძახიან, რომ კლასობრივი ბრძოლა წარსულს ჩაბარდა და აღარ წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერ მოვლენასო. მაგალითად, გერმანიის მემარჯვენე სოციალისტმა გ. ვაისერმა თავის წიგნში „ევროპელი ადამიანი ინდუსტრიალიზაციის გავლენის ქვეშ“¹¹ კლასობრივ ბრძოლას „ჰიპოთეზა“ უწოდა, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება გამოჩენილიყო 100 წლის წინათო, ხოლო ამჟამად კლასობრივ ბრძოლას პრაქტიკულად და თეორიულადაც უარყოფს ვაისერი. აპოლოგეტთა ჩვეულებრივ მსჯელობასთან გვაქვს საქმე. „სინამდვილეში თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარება ადასტურებს, რომ სწორია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებისა და ანტაგონიზმების ზრდის შესახებ, ამ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ“.¹²

„სახალხო კაპიტალიზმის“ ამერიკული აპოლოგეტური თეორია ემყარება სხვადასხვა ვულგარულ-რეფორმისტულ თეორიებსა და დოგმებს, „სოციალური პარტნიორობის“ გერმანული დოქტრინის საყრდენსაც შეადგენს სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული მოძღვრებები, ბურჟუაზიული ეკონომისტების, ლიბერალების, მემარჯვენე სოციალისტებისა და რევიზიონიზმის წარმომადგენელთა აპოლოგეტური ნააზრევი. „სოციალური პარტნიორობის“ აპოლოგეტურ თეორიაში უხვადაა მოფენილი „სოციალური ზავის“, „კოლექტივიზმის“,¹³ ახალი ინდივიდუალიზმის“, „წარმოების სამი ფაქტორის“, „ეკონომიური ჰარმონიებისა“ და სხვა ვულგარულ-აპოლოგეტური კონცეფციები.

„სოციალური პარტნიორობის“ იდეებს გერმანიაში ქადაგებდნენ ჯერ კიდევ ვაიმარის რესპუბლიკის დროს რეფორმისტები. კაპიტალის იდეოლოგები ნაცვლად კლასობრივი ბრძოლისა მოითხოვდნენ „სოციალურ თანამშრომლობას“, „სოციალურ პარტნიორობას“ მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის, კაპიტალსა და შრომას შორის „ასოციაციას“. ბურჟუაზიის ინტერესების დამცველები აყენებდნენ კითხვას: მუშათა კლასის ბრძოლა რევოლუცია თუ სოციალური რეფორმები — „სოციალური პარტნიორობა“?¹⁴ ვულგარულ-

ლი ეკონომისტები, რეფორმიზმის წარმომადგენლები „სახელმწიფო სოციალიზმის“ თეორეტიკოსები, ცხადია, წინა პლანზე აყენებდნენ „სოციალური პარტნიორობის“ იდეებს.

ძნელი გამოსაცნობი არაა ის ფაქტი, რომ „სოციალური პარტნიორობის“ აპოლოგეტური თეორია დაშენებულია, ერთი მხრივ. ძველ ვულგარულ თეორიებზე, მეორე მხრივ, კი იგი მოჩუქურთმებულია ახალი ბურჟუაზიულ-რეფორმისტული დოგმებით. ამიტომ შემთხვევითი არაა ის, რომ „სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინას ქადაგებენ, როგორც ნეოლიბერალები, ასევე კათოლიკური მოძღვრების თეორეტიკოსები, მემარჯვენე სოციალისტები, ყოფილი ნაცისტები. განსაკუთრებით აქტიურობენ ნაცისტების ყოფილი თეორეტიკოსები. მაგალითად, ფლენსბურგის უმაღლესი პედაგოგიური სკოლის პროფესორი თ. ვილჰელმი, რომელიც თანამშრომლობდა ნაციაზმის იდეოლოგიის ბოიმლერის მიერ დაარსებულ ჟურნალში, ამჟამად ამზადებს სკოლებში „სოციალური პარტნიორობის“ გავრცელებისა და სწავლების მასალებს. თანამედროვე ბურჟუაზიული პედაგოგიკის თეორიულ არსენალში დიდი ადგილი უკავია „სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინას. მას იყენებენ კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის აღზრდისათვის ანტიკომუნისტური სულისკვეთებით. თავისი არსით „სოციალური პარტნიორობა“ წარმოადგენს კაპიტალისტურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული „სახალხო კაპიტალიზმის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორიის ერთ-ერთ სახესხვაობას.

ტერმინი „სახალხო კაპიტალიზმი“ მიმოქცევაში გაუშვა ამერიკელმა თომას რიპლაიერმა. თ. რიპლაიერს — აშშ-ის სარეკლამო საბჭოს პრეზიდენტს, ამ გამოგონებისათვის პრემია მიანიჭეს. დასავლეთ გერმანიაში კი, როგორც ვთქვით, „სახალხო კაპიტალიზმის“ იდეების გადამღერება ხდება უმთავრესად „სოციალური საბაზრო მეურნეობის“, „სოციალური პარტნიორობის“, აგრეთვე „ეკონომიური ჰუმანიზმის“ სახელწოდებით. სწორად შენიშნავს გდრ-ის ეკონომისტი ალფრედ კლაინი, რომ დიდი შეცდომა იქნა დაშვებული. რადგან დროზე არ მიაქციეს ყურადღება „სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინის ანალიზსა და კრიტიკასო.¹⁵ ამ საყვედურს ნაწილობრივ საბჭოთა ეკონომისტებიც იმსახურებენ. „სოციალური პარტნიორობის“ მარქსისტული კრიტიკის მხრივ მდგომარეობა ამ ბოლო წლებში გაუმჯობესდა. იმატა ისეთი შრომების გამოცემამ, რომლებშიც გაკრიტიკებულია „სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინა. მაგალითად, „სოციალური პარტნიორობის“ დოგმები გაკრიტიკებულია ალფრედ კლაინის,¹⁶ გ. ჰილერის, რ. ნაუმანის

(გდრ), ნ. ირიბაჯაყოვის, ტ. ვლადიგეროვის (ბულგარეთი), მ. სპინელას (იტალია) და სხვათა შრომებში. „სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინა გაკრიტიკებულია აგრეთვე საბჭოთა მეცნიერების შრომებში.¹⁷ „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის ექსპლოატატორული ბუნება და აპოლოგეტურობა გამოაშკარავებული იქნა ევროპის, ამერიკისა და აზიის რიგი ქვეყნების მარქსისტთა რომის შეკრებაზე 1958 წლის ოქტომბერში. გ. შრეიდერმა (გფრ) ამხილა კაპიტალისტურ საწარმოებში „ადამიანური ურთიერთობის“ ნამდვილი, კლასობრივი არსი.

„სოციალური პარტნიორობის დოქტრინა გაკრიტიკებულია აგრეთვე გდრ-ის ეკონომისტ-მარქსისტთა კოლექტიურ შრომაში „კაპიტალის კლავწარმოება და მუშათა კლასის მდგომარეობა დასავლეთ გერმანიაში“¹⁸. წიგნში სპეციალური პარაგრაფია გამოყოფილი „მუშები და მეწარმეები სრულიადაც არ სხედან „ერთ ნავში“, მათი ბედ-იღბალი სხვადასხვაა“.

„სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინის გაკრიტიკებისათვის აუცილებელია „სოციალურ ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ ნეოლიბერალური თეორიის აპოლოგეტურობის მხილება. „სოციალური პარტნიორობა“ მკიდრო კავშირშია „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ვულგარულ-აპოლოგეტურ თეორიასთან.

გფრ-ის ბურჟუაზიის თეორეტიკოსები „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდის დროს ემყარებიან ნეოლიბერალურ მოძღვრებას „მეურნეობის იდეალური ტიპებისა“ და „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ შესახებ. „დემაგოგია „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ შესახებ მკიდრო კავშირშია დასავლეთ გერმანიაში გავრცელებულ ეგრეთწოდებულ „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდასთან. „სოციალური პარტნიორობა“ თავისებური ვარიანტია „სახალხო კაპიტალიზმის“ ყბადაღებული თეორიისა, რომლის გავრცელების ცენტრს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები“.¹⁹

„სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდისტების მსჯელობაში აღარ გაისმის ასეთი ცნებები: „კაპიტალისტი“, „ფაბრიკანტი“, „პროლეტარი“, „მუშა“, „ექსპლოატაცია“. მათი ადგილი დაიკავა „სოციალურმა პარტნიორობამ“, „კლასობრივმა პარტნიორობამ“ და „სოციალურმა პარტნიორობმა“. „სოციალური პარტნიორობის“ თეორეტიკოსთა მოძღვრებაში მუშა წარმოდგენილია, როგორც „თანასწორუფლებიანი ეკონომიური პარტნიორი“, „ეკონომიური კომპანიონი“, „პარტნიორი“, „თანამონაწილე“, „თანამოზიარე“ და სხვ.

„სოციალური პარტნიორობის“ თეორეტიკოსთა მსჯელობით თანამედროვე პირობებში კაპიტალიზმი „შეიცვალა“, „გარდაიქმნა“, „ტრანსფორმირდა“. თითქოს კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის — ბატონობასა და ექსპლოატაციასზე დამყარებული ურთიერთობის — ნაცვლად სულ სხვაგვარი ურთიერთობაა დამყარებული კაპიტალისტსა და მუშას, დაჰქირავებელსა და დაჰქირავებულს. ექსპლოატატორსა და ექსპლოატირებულს შორის, კაპიტალსა და შრომას, ანტაგონისტურ კლასებს შორის. „სოციალური პარტნიორობის“ თეორიის თანახმად აღარ არიან არც ექსპლოატატორები და არც ექსპლოატირებულნი, არიან მხოლოდ „სოციალური პარტნიორები“, რომლებიც ერთნაირად ყოფილან დაინტერესებული წარმოების ზრდაში. გ. შპინდლერმა სპეციალური წიგნი გამოაქვეყნა სახელწოდებით: „პარტნიორობა კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად“.²⁰

„სოციალური პარტნიორობა“, როგორც ამერიკელი „სახალხო კაპიტალიზმის“ ერთტიპიური ვულგარული თეორია, მიმართულია კაპიტალიზმის დაცვისაკენ. „ამ თეორიის თანახმად მუშები და კაპიტალისტები აღარ არიან მტრული კლასები და გამოდიან „სოციალური პარტნიორების“ სახით, ე. ი. როგორც ერთიანი საწარმოო პროცესისა და საწარმოთა ხელმძღვანელობის მონაწილენი“.²¹ „სახალხო კაპიტალიზმის“ დოქტრინერთა ცნობილი ჰანგია. „სოციალური პარტნიორობის“ თეორეტიკოსთა მტკიცებითაც. უფრო სწორად, მათი მალაღფარდოვანი სიტყვებითა და შელოცვებით, „გამქრალა“ კაპიტალიზმი. „ტრანსფორმირებული“ ანუ „გარდაქმნილი“ კაპიტალიზმის ადგილი, მათი აზრით, დაუკავებია „ახალ“, „უკლასო საზოგადოებას“, რომელსაც უწოდებენ „თავისუფალ, ანუ სოციალურ საბაზრო მეურნეობას“, „პარტნიორთა საზოგადოებას“, „ინტეგრირებულ საზოგადოებას“, „ჰუმანურ საზოგადოებას“.

„სოციალური პარტნიორობა“ მთლიანად კოკლი და დასაჭურისებული დოქტრინაა. „პარტნიორობა“ არის სულელური ფრაზა“.²² სოციალური პარტნიორობის“ აპოლოგეტური თეორიის უსუსურობასა და უნიადგობას ამხელს ცხოვრება. საკმარისია მოვიგონოთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში — აშშ-ში, გფრ-ში, იტალიაში, საფრანგეთსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლის მსვლელობა და მტკიცედ დავრწმუნდებით, რომ „სოციალური პარტნიორობა“ უსაფუძვლო და ყბადღებელი აპოლოგეტური თეორიაა. მივმართოთ ფაქტებს (ცხრილი 1).

გფრ-ში — „სოციალური პარტნიორობის“ კლასიკურ ქვეყანაში, 1963 წლის აპრილ-მაისში მელითონე მუშების გაფიცვაში მონაწილეობდა 350 ათასი კაცი, გაფიცვათა კაცდღეების რაოდენობამ კი

საფაფიკო მოძრაობა გფრ-ში 23

წლები	ის საწარმოები, რომელთაც შეეხო გაფიცვა (რაოდენობა)	გაფიცულთა რაოდენობა (ათასობით)	გაფიცვათა კაც-დღეების რიცხვი (ათასობით)
1950	1344	79	380
1953	1395	51	1488
1954	538	116	1638
1955	866	600	857
1956	268	52	1580
1957	86	45	1072
1958	1483	203	782
1959	55	22	62
1960	28	17	38
1961	106	20.4	60
1962	195	79,2	450,9

2,2 მლნ შეადგინა,²⁴ რაც აგრეთვე მეტყველებს „სოციალური პარტნიორობის“ უსაფუძვლობაზე. თვით დასავლეთის ბურჟუაზიული პრესაც ვერ უვლის გვერდს იმას, რომ „ადენაუერის ერა“ (რომელიც უკვე წარსულს ჩაბარდა), „ერპარდის ეკონომიური სასწაული“ კიდევ უფრო ამწვავებს ანტოგონიზმს კაპიტალსა და შრომას, მონოპოლისტურ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის. დასავლეთ გერმანიის პროფკავშირების ერთ-ერთმა მუშაკმა მელითონე მუშების გაფიცვასთან დაკავშირებით ინტერვიუ მისცა გაზეთ „ზიუდლოიტშე ცაიტუნგს“. კითხვას: თვლის თუ არა იმას, რომ მელითონეთა გაფიცვის შემდეგ იქნება „სოციალური პარტნიორობა“ დისკრედიტებული მუშათა თვალში, დადებითად უპასუხა. დასავლეთ გერმანიის მეტალურგიული მრეწველობის ორგანო „მეტალმა“ აგრეთვე აღნიშნა, რომ „სოციალპარტნიორობა“ არაა გფრ-ში.²⁵

რომელ „სოციალპარტნიორობაზე“ შეიძლება ლაპარაკი, როცა დასავლეთ გერმანიაში ძლიერდება მუშათა ექსპლოატაცია. ევა მიულერის გამოანგარიშებით ზედმეტი ღირებულებების ნორმა შეადგენდა: 1936 წელს 350,3%-ს, ხოლო 1955 წელს 390,5%-ს.

მიუხედავად ფაქტებისა და რეალური სინამდვილისა, „სოციალური პარტნიორობის“ მქადაგებლები ძალებს არ იშურებენ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის შესალამაზებლად. „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდა დასავლეთ გერმანიაში ხდება სხვადასხვა ვარიანტებით. რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია „აღაშიანური ურთიერთობის“ ანუ „ჰუმანური ურთიერთობის“ და „ეკონომიური ჰუმანიზმის“, „თანამონაწილეობის“ ანუ „თანამოზიარეობის“, „მოგებაში მუშების მონაწილეობის“, „მუ-

შათა აქციებისა“ და სხვა ვულგარულ-აპოლოგეტურ კონცეფციებს.

„ადამიანური ურთიერთობისა“ და „ეკონომიური ჰუმანიზმის“, „თანამონაწილეობის“ ანუ „თანამოზიარეობის“, „შრომის ჰუმანიზაციისა“ და სხვა ამგვარი აპოლოგეტური კონცეფციებით ცდილობენ მონოპოლისტური კაპიტალის თეორეტიკოსები „სოციალური პარტნიორობის“ შეყენებას ყავარჯნებზე და გფრ-ის კაპიტალიზმის დახატვას „სახალხო კაპიტალიზმად“. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს „ადამიანური ურთიერთობის“ — „ჰუმანური ურთიერთობის“ დოქტრინა, რომელიც აშშ-დან იქნა შემოტანილი დასავლეთ გერმანიაში. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინას ბევრა საერთო აქვს „სოციალური პარტნიორობის“ თეორიასთან, რომლის გაძლიერებული პროპაგანდაა გფრ-ში. ამასთანავე, — წერს ა. კლანი, „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა მოიცავს საკითხთა უფრო ფართო წრეს და „სოციალური პარტნიორობის“ კონცეფციასთან შედარებით წარმოადგენს უფრო მეტად თანმიმდევრულად დამუშავებულ სისტემას“.²⁶

„ადამიანური ურთიერთობა“ ანუ „ჰუმანური ურთიერთობა“ წარმოადგენს „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდას. „ჰუმანური ურთიერთობის“ კონცეფცია სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ტონზე გადამღერდება ხოლმე. მაგალითად, „ჰუმანური ურთიერთობა მრეწველობაში“, „შრომისა და კაპიტალის ასოციაცია“, „საქარხნო თანამეგობრობა“, „პატერნალიზმი“, „ერთობლივი მეწარმეობა“ და ა. შ.

„ადამიანური ურთიერთობის“, ე. ი. „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდას უმთავრესად კათოლიკე იდეოლოგები ეწევიან. ისინი დასავლეთ გერმანიაში გამოდიან „ჰუმანური ეკონომიკის“, „ეკონომიური ჰუმანიზმის“ ანტიკაპიტალისტური ფრაზეოლოგიით. სწორად შენიშნავს კ. მოლნაუ, რომ „პოლიტიკურ-კლერიკალური სოციალური და სახელმწიფო იდეოლოგია არის არამეცნიერული და ანტიჰუმანისტური. იგი კაპიტალიზმის ლბობის პროცესის ასახვაა“.²⁷

საფრანგეთში მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგები გამოდიან „შრომის ჰუმანიზაციის“ ლოზუნგით. დიდი გავრცელება პოვა „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინამ იტალიაშიც. დასავლეთ გერმანიაში კი „სახალხო კაპიტალიზმის“, მაშასადამე, „ჰუმანური ურთიერთობის“ პროპაგანდა ხდება „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“, „სოციალური პარტნიორობის“ იარლიყით.

„ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდას დიდი ასპარეზი მიეცა აშშ-ში, საიდანაც იგი „სახალხო კაპიტალიზმის“ ვულგარულ თეორიასთან ერთად გავრცელდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ეს ბუნებრივი და ლოგიკურია. სწორედ აშშ წარმოადგენს ბურჟუაზიული ეკონომიური აზრის და არა მარტო ეკონომიური აზრის, არამედ თანამედროვე კაპიტალიზმის იდეოლოგიის ცენტრს. თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების ექსპორტი აშშ-დან ხდება. სხვა ქვეყნებში ამ ვულგარული თეორიებისა და დოგმების მოდიფიკაცია მიმდინარეობს ცალკეული კაპიტალისტური სახელმწიფოს თავისებურებათა შესაბამისად. ამის სანიმუშო მაგალითია სწორედ „სახალხო კაპიტალიზმისა“ და „ადამიანური ურთიერთობის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორიის ექსპორტი გფრ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ამრიგად, „სოციალური პარტნიორობის“ ანუ „სახალხო კაპიტალიზმის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორიის გერმანული ვარიანტის ანალიზი და კრიტიკა უნდა დავიწყოთ სწორედ „ადამიანური ურთიერთობის“ ანუ „ჰუმანური ურთიერთობისა“ და „ეკონომიური ჰუმანიზმის“ განხილვით, რადგან „თავის ზოგადთეორიულ ნაწილში“ „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა „მოწოდებულია შეავსოს“ „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორია, ხოლო „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინასა და „სოციალურ პარტნიორობას“ შორის არსებითად არც არის პრინციპული განსხვავება, ერთი და მეორეც ქადაგებს პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივ თანამშრომლობას.

**2. „ადამიანური ურთიერთობის“ — „ჰუმანური ურთიერთობის“
დოქტრინა „სოციალური პარტნიორობის“ ვულგარულ-აპოლოგეტური
თეორიის მთავარი საყრდენია**

წარმოების პროცესში ადამიანთა ურთიერთობების — წარმოებით ურთიერთობათა მეცნიერულ განსაზღვრას იძლევა მარქსიზმ-ლენინიზმი. წარმოებითი ურთიერთობა გამოხატავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას წარმოების პროცესში, მათ შორის არსებულ კავშირურთიერთობას. წარმოებითი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილებია: წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმები, ადამიანთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მდგომარეობა წარმოებაში, მათი ურთიერთდამოკიდებულება და პროდუქტთა განაწილების ფორმები.

წარმოებითი ურთიერთობანი მოიცავენ წარმოების, გაცვლისა და მატერიალური დოვლათის განაწილების ურთიერთობას. წარმოებითი ურთიერთობის მთავარი ელემენტია წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმები. სწორედ წარმოების საშუალებათა

საკუთრების ფორმები განსაზღვრავს სოციალური ჯგუფების მდგომარეობას წარმოებაში, ხოლო ორივე ერთად — პროდუქტთა განაწილების ფორმებს.

წარმოების საშუალებათა საკუთრება წარმოებითი ურთიერთობის საფუძველია. წარმოების საშუალებათა საკუთრება განსაზღვრავს წარმოებითი ურთიერთობის ტიპის არსს. წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება უდევს საფუძვლად ექსპლოატაციასა და ბატონობაზე დაყარებულ ურთიერთობას. წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, გამორიცხავს რა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, თავისუფალ ადამიანებს შორის ამყარებს თანაპრომლობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობას.

ნეოლიბერალ ვ. ოიკენის „მეურნეობის იდეალური ტიპების“ დოქტრინა გვიჩვენებს, თუ როგორ ამახინჯებენ ბურჟუაზიული ეკონომისტები მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას წარმოებითი ურთიერთობების შესახებ. ნეოლიბერალები, როგორც უკვე აღინიშნა, იძლევიან ეკონომიური განვითარების იდეალისტურ კლასიფიკაციას. ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს „სოციალური პარტნიორობისა“ და „ადამიანური ურთიერთობის“ ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ თეორიებში.

„ადამიანური ურთიერთობის“, ე. ი. „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდისტები უგულვებელყოფენ წარმოებითი ურთიერთობის როლსა და მნიშვნელობას და თანამედროვე კაპიტალიზმს ხატავენ „ჰუმანური ურთიერთობის“, „ეკონომიური ჰუმანიზმის“, „შეჯიბრების წყობილების“, „ჰუმანური კაპიტალიზმის“ განსახიერებად.

„ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა არის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგიური დაცვა. მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგები აღნიშნული დოქტრინის ქვეშ გულისხმობენ კაპიტალისტურ საწარმოებში და მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „ჰუმანურ ურთიერთობას“, სადაც, ცხადია, გამორიცხავენ ექსპლოატაციას. „ადამიანური ურთიერთობის“ ქვეშ, ფართო გაგებით, იგულისხმება „ადამიანთა ურთიერთობა საერთოდ“, ხოლო ვიწრო გაგებით, ეს დოქტრინა მიზნად ისახავს „ადამიანური ურთიერთობის“ შესწავლას ცალკეულ საწარმოში და პაპ პროპაგანდას“.²⁸

გერმანელი ნეოლიბერალების მამამთავარი ვ. ოიკენი თავის შრომაში „ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლები“ გაიძახის. რომ თითქოს ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“ და „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ სპობს ექსპლოატაციას და ქმნის „სოციალ-

პარტნიორებს“ — კაპიტალისტებსა და მუშებს, კაპიტალსა და შრომას შორის“ „წონასწორობას“, „ჭუმანურ ურთიერთობას“. ვ. ოიკენი ძალიან ბევრს ლაპარაკობს „ჭუმანურ სოციალურ მეწარმეებზე“, როგორც მუშების, მუშათა კლასის „თანასწორუფლებიან პარტნიორებზე“.²⁹ „ჭუმანური ურთიერთობის“ სისტემა³⁰ „წარმოადგენს სხვადასხვა თეორიებისა და შეხედულებათა კონგლომერატს, რომელთა თავისებურება აპოლოგეტიკის სხვა სახეებთან შედარებით იმაშია, რომ „ჭუმანური ურთიერთობა“ ორიენტირებას იღებს უშუალოდ ზედმეტი ღირებულების წარმოებაზე საწარმოებში და ამიტომ დაკავშირებულია კონკრეტულ ღონისძიებათა მთელ სისტემასთან, რომელიც მიმართულია ამ ზედმეტი ღირებულების გადიდებისა და შენიღბვისაკენ.“³¹

„ადამიანური ურთიერთობის“ დემაგოგიური ლოზუნგის აღფა და ომეგაა კლასობრივი ბრძოლის დაჩლუნგება, ექსპლოატაციის ფაქტის მიჩქმალვა, ბატონობასა და ექსპლოატაციაზე დამყარებული წარმოებითი ურთიერთობის დახატვა შეფერადებულად და შეღამაზებულად. „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსთა მიზანია „საწარმოთა კოლექტივის“ შექმნა, „პროფესიული სოლიდარობის სულსკვეთების“ გაღვივება, „წარმოების ატმოსფეროს გაჯანსაღება“, „წარმოებრივი ერთობის“ შექმნა და სხვ. „ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდისტები მოითხოვენ, რათა მუშა წარმოებას უყურებდეს „მეწარმის თვალაზრ-ისით“, ფირმას თვლიდეს „მშობლიურ კერად“ და ა. შ. მათი რჩევა-დარიგებაა: „მიადწიეთ იმას, რომ მუშა პირადად იყოს დაინტერესებული „თავისი“ საწარმოს წარმატებებით“. „ამრიგად, „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა თავის „ზოგადთეორიულ“ ნაწილში წარმოადგენს თანამედროვე პირობებში კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ ერთ-ერთ მოდურ ვარიანტს. ამ სახის სხვა თეორიებისაგან იგი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამ ტრანსფორმაციის მიზეზი უმთავრესად განიხილება ცალკეული საწარმოს შიგნით კაპიტალისტებსა და მუშებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებაში“³².

„ჭუმანური ურთიერთობა“ ემსახურება „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდასა და გავრცელებას. „სოციალური პარტნიორობის“ იდეოლოგიასთან ორგანულ კავშირშია სწორედ „ჭუმანური ურთიერთობის“ სისტემა. „ჭუმანური ურთიერთობის სისტემათა კონკრეტული ღონისძიებანი „სოციალური პარტნიორობის“ შემადგენელი ნაწილია.

კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის პირობებში შეუძლებელია ჭუმანური, ადამიანური ურთიერთობის არსებობა. შეუძ-

ლებელია იმიტომ, რომ კაპიტალს და შრომას შორის, კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის, ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობანია. წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება განაპირობებს ბატონობისა და ექსპლოატაციის ურთიერთობების არსებობას. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა ქმნის პირობებს ადამიანთა შორის ამხანაგობისა და ძმური ურთიერთდამოკიდებულების უზრუნველსაყოფად. „კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“, — ასეთია კომუნისმის მშენებელთა მორალურ კოდექსში შემავალი ერთ-ერთი ზნეობრივი პრინციპი.

კაპიტალის აპოლოგეტები განგებ გვერდს უვლიან, ან დამახინჯებულად განიხილავენ მთავარს — წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმებსა და წარმოებითი ურთიერთობის ხასიათს. მათი მიზანია დრომოკმეული წყობილების აპოლოგეტიკა. ამ კუთხით ცდილობენ ისინი საკუთრებისა და წარმოებითი ურთიერთობის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ფალსიფიკაციას. „სოციალური პარტნიორობის“ თეორეტიკოსები აფერადებენ ბატონობასა და ექსპლოატაციაზე დამყარებულ ურთიერთობას იმით, რომ განგებ ჩქმალავენ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების საკითხებს. რაკი ბურჟსშია გახვეული წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმის საკითხები, მაშასადამე, ხდება წარმოებითი ურთიერთობის დამახინჯებულად ახსნაც. „როგორიც უნდა იყოს წარმოების საზოგადოებრივი ფორმები, მუშები და წარმოების საშუალებანი მუდამ მის ფაქტორებად რჩებიან. მაგრამ ერთნიც და მეორენიც, ერთმანეთისაგან გათიშვის მდგომარეობაში მყოფნი, მის ფაქტორებს წარმოადგენენ მხოლოდ შესაძლებლობის მიხედვით. იმისათვის, რომ საერთოდ აწარმოო, ეს ფაქტორები ერთმანეთს უნდა შეუერთდნენ. ის განსაკუთრებული ხასიათი და წესი, რომლითაც ეს შეერთება ხორციელდება, განასხვავებს საზოგადოებრივი სტრუქტურის სხვადასხვა ეკონომიურ ეპოქებს“³³.

აი სწორედ კ. მარქსის ამ ჭეშმარიტი დებულების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და დღესაც გამოდიან მონოპოლისტური კაპიტალის დამცველები. თანამედროვე პირობებში კაპიტალის აპოლოგეტები წლებზე ფეხს იდგამენ იმისათვის, რათა ბურჟსში გაახვიონ წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმების პრობლემა და წარმოებითი ურთიერთობის მარქსისტული გაგება.

მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგები ცდილობენ, ჯერ ერთი, იმის დამტკიცებას, რომ კაპიტალიზმი და კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა დახატონ ექსპლოატაციის გარეშე „პუ-

მანურ ურთიერთობად“, ხოლო დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია — „შრომის ჰუმანიზაციად“. მეორე, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობას დაუპირისპირონ „ადამიანური ურთიერთობა“ — „ჰუმანური ურთიერთობა“ და სახელი გაუტეხონ მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობას. „რეაქციულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას პარტია უპირისპირებს კომუნიზმის მეცნიერულ იდეოლოგიას. ეს იდეოლოგია გამოხატავს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ძირეულ ინტერესებს და ასწავლის მათ იბრძოლონ; იმუშაონ და იცხოვრონ საყოველთაო ბედნიერებისათვის. კომუნისტური იდეოლოგია ყველაზე ჰუმანური იდეოლოგიაა. მისი იდეალებია ადამიანთა შორის, ხალხთა შორის ნამდვილად ადამიანური ურთიერთობის დამკვიდრება, კაცობრიობის განთავისუფლება გამანადგურებელი ომების საფრთხისაგან, დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობისა და ყველა ადამიანისათვის თავისუფალი საამური ცხოვრების დამყარება.“³⁴

ბურჟუაზიული იდეოლოგიის თეორეტიკოსებიც ბევრს ლაპარაკობენ „ადამიანურ ურთიერთობაზე“. „ჰუმანურ ურთიერთობაზე“, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ნამდვილად ადამიანურ ურთიერთობასთან. ისინი ბურჟუაზიულ საზოგადოებას უწოდებენ „ჰუმანურ ეკონომიკას“, „ჰუმანურ კაპიტალიზმს“, „ეკონომიურ ჰუმანიზმს“. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის შემქმნელები პირდაპირ ხაზს უსვამენ, რომ ამ „თეორიის“ ამოცანაა შრომისა და კაპიტალის შერიგება, მუშებში გრძნობის გამომუშავება საწარმოს მუშაობის პასუხისმგებლობის, შრომათი აღმავლობისა და სხვათა შესახებ, ან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. შრომის ინტენსიფიკაციის გაძლიერება.

„სოციალური პარტნიორობის“ და „ჰუმანური ურთიერთობის“ დოქტრინერებმა იმიტომ მიმართეს ცეცხლი პირველ რიგში წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმებისა და წარმოებითი ურთიერთობის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ, რომ სწორედ წარმოებითი ურთიერთობა. რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმები, განსაზღვრავს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მდგომარეობას წარმოებაში და პროდუქტთა განაწილების ფორმებს. „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსები უგულვებელყოფენ წარმოებითი ურთიერთობის მარქსისტულ მოძღვრებას.

„ადამიანური ურთიერთობის“ ანტიმარქსისტული დოქტრინა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგიური იარაღია. ეს დოქტრინა ამჟამად მოდადაა ქვეული კაპიტალის სამყარო-

ში. „ადამიანური ურთიერთობის“ აპოლოგეტურ დოქტრინას ქადაგებენ ბურჟუაზიული სოციოლოგები, ეკონომისტები, რევეზიონისტები.

„ადამიანური ურთიერთობის“ ანუ „ჰუმანური ურთიერთობის“ დოქტრინის პროპაგანდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე დაიწყო. „ჰუმანური ურთიერთობის“ საკითხების ბურჟუაზიული ინტერპრეტაცია დიდ მასშტაბს იღებს მიმდინარე საუკუნის 20—30-იან წლებში. კენსელოზის პარალელურად კაპიტალისტური ეკონომიკის მექანიზმის სრულყოფისათვის იყო გამიზნული „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინაც. ა. კლანინი (ქ. როსტოკი) წერს, რომ „ჰუმანური ურთიერთობა ამავე ღრის წარმოადგენს კენსელოზის დამატებასაცო.“³⁵

„სოციალური პარტნიორობის“, „ჰუმანური ურთიერთობის“ დოქტრინის სულიერ მამებად ამერიკელი ბურჟუაზიული ფილოსოფოსები გამოდიან. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ამერიკელი სოციოლოგის ელტონ მეიოს მოღვაწეობასთან. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის წარმოშობის თაობაზე გერმანელი ეკონომისტი ა. კლანინი წერს: „ის („ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა“ — გ. ჭ.) უშუალოდაა დაკავშირებული ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ელტონ მეიოს სახელთან. თვით ცნება „ადამიანური ურთიერთობა“ ზოგჯერ წინათაც გამოიყენებოდა, მაგრამ მხოლოდ მეიომ და მისმა თანამშრომლებმა გადააქციეს „ადამიანური ურთიერთობა“ მეცნიერულ სისტემად.

მეიო, სწავლობდა რა შრომითი ფსიქოლოგიის პრობლემებს მრეწველობაში, 20-იან წლებში სათავეში ჩაუდგა მრეწველობის შესწავლის განყოფილებას ჰარვარდის უნივერსიტეტში“³⁶.

„მრეწველობის ხელმძღვანელობის ჰარვარდის სკოლას“ აფინანსებს როკფელერის სპეციალური ფონდი. „როკფელერის ფონდის“ სახსრებით ჩამოყალიბდა 1926 წ. ჰარვარდის უნივერსიტეტის „მრეწველობის შესწავლის სპეციალური განყოფილება“. ამ სამუშაოს ხელმძღვანელობდა ე. მეიო. იგი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საკითხის „სოციალურ“ და „ფსიქოლოგიურ“ მხარეებს.

„ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამა შეადგინეს აშშ-ში და არა მარტო შეადგინეს, არამედ 1926—1928 წლებში კიდევაც სცადეს ცხოვრებაში მისი დანერგვა. „ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდა და ცხოვრებაში დანერგვა ხდებოდა ცალკეული კაპიტალისტური საწარმოს მასშტაბით. „ადამიანური ურთიერთობის“

იდეები თავდაყირა დააყენა 1929/33 წლების ქარბწარმოების ეკონომიურმა კრიზისმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ დაიწყო „ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დახატვას „სახალხო კაპიტალიზმად“.

„ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდისტთა ავანგარდში ბურჟუაზიული სოციოლოგები დგანან. „ადამიანური ურთიერთობის“ თეორია წარმოადგენს არა მხოლოდ სოციოლოგიურ დოქტრინას; არამედ ამასთანავე შრომის ორგანიზაციის ბურჟუაზიული სისტემის თავისებურ უახლეს სახესწავობას. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა ამ ნაწილში წარმოადგენს საწარმოებში შრომის ორგანიზაციის ბურჟუაზიული „მეცნიერული“ სისტემის, პირველ რიგში, ტელიორიზმისა და ფორდიზმის პირდაპირ გავრცელებასა და შემდგომ განვითარებას“.³⁷

„ჰუმანური ურთიერთობის“ დოქტრინა გამიზნულია ზედმეტად ღირებულების გადიდებისა და კლასობრივი ბრძოლის შენელების უზრუნველსაყოფად. „ჰუმანური ურთიერთობა“ მიზნად ისახავს მსხვილ მონოპოლისტურ საწარმოებში „პარტნიორობის“ დამყარებას მეწარმეებსა და დაქირავებულ მუშებს შორის, კაპიტალისტური ურთიერთობის რეგულირებას ამ სისტემის მეშვეობით. განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო „ადამიანური ურთიერთობის“ იდეების პროპაგანდამ აშშ-ში, საიდანაც გავრცელდა ისინი სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში (ინგლისში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, იაპონიაში, ინდოეთში, ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და სხვ.). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინას თვალსაჩინო ადგილი უკავია გერ-ში. 1949 წლიდან დაწყებული „ადამიანური ურთიერთობის“ იდეოლოგია და ღონისძიებათა მთელი მისი სისტემა დიდი მასშტაბით ვრცელდება. ტარდება საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები, დისკუტები. რომლებზეც განიხილავენ „ჰუმანური ურთიერთობის“ გავრცელების საკითხებს.

1956 წ. რომში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ადამიანური ურთიერთობის“ საკითხებზე. „ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდით გამოდის აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი დაწესებულებაც. „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ რეფორმისტულმა ფრთამ³⁸ მოაწონა „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა. რომლის მეშვეობითაც ქადაგებს „კლასობრივ ზავს“, ე. ი. ემსახურება ბურჟუაზიას.

„ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტკოსები გაიძახიან, რომ

თითქოს კაპიტალისტური წარმოების მიზანი გახდა ადამიანზე მზრუნველობა. ყველა ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და არა მაქსიმალური მოგების მიღება. ეს ყალბი ლოზუნგი გატარებულია ნოუ-იორკში 1957 წ. გამოქვეყნებულ კრებულში „მრეწველობაში ადამიანური ურთიერთობის გამოკვლევა“.³⁹ ამ კრებულის ერთ-ერთი ავტორთაგანი უორსი ირწმუნება, რომ თითქოს კაპიტალისტთა მიზანია არა მაქსიმალური მოგების მიღება, არამედ ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

„ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა პირველ ხანებში გამოიყენებოდა, როგორც ცალკეულ კაპიტალისტთა, მონოპოლისტთა, მილიონერთა და მილიარდერთა პოლიტიკა -- (სამახსოვრო). ექსპლოატაციის გაძლიერებისა და მოგების გადიდების უზრუნველყოფად. დასახელებული დოქტრინა უმთავრესად წარმოადგენდა ცალკეულ კაპიტალისტურ საწარმოებში „სოციალპარტნიორობის“ და „ინტეგრაციის“ პროპაგანდას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი — კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე და მესამე ეტაპზე, დიდი გაქანება მიეცა „ადამიანური ურთიერთობის“ იდეების პროპაგანდას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ახლა „ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამა განიხილება, როგორც კლასობრივ წინააღმდეგობათა ლიკვიდაციის საშუალება და იმ სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდი, რომლებიც წარმოიშობიან წარმოების სფეროში. პროფ. გ. ფიშერი თავის წიგნში „პარტნიორობა საწარმოში“⁴⁰ განასხვავებს „საქარხნო პარტნიორობას“ და „პარტნიორობას“ საერთოდ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ე. ი. „სოციალპარტნიორობას“, რომლის პროპაგანდაა სწორედ „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა გასცილდა ცალკეულ საწარმოთა, ფირმათა ფარგლებს და მისმა პროპაგანდამ დიდი ადგილი დაიკავა იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიურ არსენალში. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია თანამედროვე ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ თეორიებს შორის.

აშშ-ის თითქმის ყველა უნივერსიტეტში ასწავლიან „ადამიანური ურთიერთობის“ თეორიას, როგორც ცალკე თეორიულ დისციპლინას. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სპეციალური ფაკულტეტიც კი არის, სადაც სწავლობენ „ადამიანური ურთიერთობის“ პრობლემებს. არის სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც. მარტო აშშ-ში 400-მდე მსხვილ სამრეწველო საწარმოსთან

შექმნილია „სოციალური ურთიერთობის“ განყოფილებანი, რომლებიც იკვლევენ ურთიერთდამოკიდებულებას მუშასა და მეწარმეს შორის. ხდება „ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამების შევსება და დაზუსტება. ბურჟუაზიული სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, რომლებიც „ადამიანური ურთიერთობის“ შემსწავლელ სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობენ, ფირმებში ნერგავენ „ადამიანურ ურთიერთობას“.

„ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდას დიდ ყურადღებას აქცევს მრეწველთა ეროვნული ასოციაცია. ამ დოქტრინის დამუშავება და ცხოვრებაში გატარება აშშ-ში პირველად დაიწყო მონოპოლისტური კაპიტალის სხვადასხვა ორგანიზაციებმა. ჯერ კიდევ 1951 წ. მრეწველთა ეროვნულმა ასოციაციამ ნიუ-იორკში ჩაატარა საერთაშორისო თათბირი შრომის ნაყოფიერების საკითხებზე. ამის შემდეგ „ადამიანური ურთიერთობის“ თეორიამ და პრაქტიკამ მიიღო უდიდესი გაქანება. „ადამიანური ურთიერთობის“ მეთოდები გახდა იმ კამპანიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ბრძოლა შრომის ნაყოფიერებისათვის“.

აშშ-ის მაგალითის მიხედვით დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალიც დიდძალ სახსრებს ხარჯავს „ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდასთვის. გფრ-ის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლისტური კაპიტალი იყენებს ამერიკელთა გამოცდილებას. უამრავი სპეციალური კვლევითი ინსტიტუტი და უმაღლესი სასწავლებელია გფრ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, იაპონიაში, რომელთა მთავარი თემაა „ჰუმანური ურთიერთობის“ დოქტრინის „მეცნიერული“ შესწავლა და პროპაგანდა. მარტო დასავლეთ გერმანიაში 1957 წ. გამოდიოდა 441 საქარხნო ჟურნალი და გაზეთი, რომელთა ტირაჟი 5 მილიონს აღწევდა. განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება საქარხნო მრავალტირაჟიან გაზეთებს. გაზეთები ქადაგებენ „ადამიანურ ურთიერთობას“, „სოციალპარტნიორობას“, „სოციალურ ინტეგრაციას“. მსხვილი ფირმები ამავე მიზნებისათვის იყენებენ აგრეთვე საკუთარ რადიოსადგურებს. რადიოთი ტარდება საუბრები, ლექციები „ადამიანური ურთიერთობის“, „სოციალპარტნიორობის“, „სოციალური ინტეგრაციის“ საკითხებზე. ფირმათა ბიბლიოთეკებიც ჩაყენებულია „ადამიანური ურთიერთობისა“ და „სოციალპარტნიორობის“ სამსახურში.

1952 წლის 11 ოქტომბერს გფრ-ში მიღებულ იქნა „კანონი საწარმოებში მუშათა მდგომარეობის შესახებ“, რომელიც კანონმდებლობის წესით ქადაგებს „ადამიანურ ურთიერთობასა“ და „სოციალპარტნიორობას“. ამ კანონის მიხედვით მუშები კერძო მეწარმეთა

„თანასწორუფლებიანი პარტნიორები“ არიან. ფაქტიურად კი ამ კანონის თანახმად წარმოება-დაწესებულებებში აკრძალულია პარტიულ-პოლიტიკური მოღვაწეობა. — წერს ცნობილი გერმანელი კურნალისტი გ. დენგლერი.

„ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდისტები აცხადებენ, რომ ექსპლოატაცია დაშახტაობის იყო. ადრინდელი კაპიტალიზმისათვის. სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს კი ხატავენ ექსპლოატაციის გარეშე. „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსთა აზრით, მუშათა უხეში ექსპლოატაცია, დაქირავებული შრომისადმი არაადამიანური დამოკიდებულება წარსულს ჩაბარდა. თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმში გახდა „პუმანური“, „ადამიანური“, ხოლო კერძო მეწარმეები და დაქირავებული მუშები პარტნიორები, კომპანიონები არიან და მათ შორის დამყარებულია „ადამიანური ურთიერთობა“. ჯერ კიდევ 1949 წელს ამერიკელი ეურნალისტი დ. ს. ვილიამსი იუმორის ტონზე წერდა, რომ ჯიმი (კაპიტალისტი) და ჯო (მუშა) ყველაზე კარგი მეგობრები არიან მათთვის კლასობრივი ბრძოლა ძველი სამყაროს ერთ-ერთი უცნაურობათაგანიაო. ასეთი დემაგოგიური დებულებების პროპაგანდას ისახავს მიზნად „ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამა.

„ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამა მოიცავს: სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო და სოციალური მომსახურების ორგანიზაციას; რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ უნდა ექცეოდეს ადმინისტრაციული პერსონალი მუშებს; „მეგობრული“, „ახანაგური“, „მამობრივი“ ურთიერთობისა და ატმოსფეროს შექმნა ადმინისტრაციასა და მუშებს შორის; უხეში მოპყრობისა და ურთიერთდამოკიდებულების ლიკვიდაცია; მუშების „ჩაბმა“ კაპიტალისტური საწარმოს მართვა-გამგეობაში; მუშების მონაწილეობა საწარმოო პროცესების რაციონალიზაციასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში; კონსულტაციების მიღება მუშებიდან და სხვ.

„ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის დემაგოგიური პროგრამის ღონისძიებები მრავალფეროვანია და მათი დაყოფა შეიძლება რამდენიმე ძირითად ჯგუფად: 1. „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსები მოუწოდებენ, რჩევა-დარიგებებს აძლევენ მეწარმეებს. რათა მუშებში შექმნან რწმენა, რომ თითქოს ისინიც — დაქირავებული მუშებიც, კორპორაციის, ფირმის, კომპანიის მესაუთრეები არიან. ამ მიზნით აწყობენ რადიო-გადაცემებს. საუბრებს. ლექცია-მოხსენებებს. მუშებს აცნობენ და ასწავლიან ფირმის ისტორიასა და ტრადიციას, ფინანსურ მდგომარეობასა და დამოკიდებულებას ბაზართან, ფირმის „მთელ“ საწარმოო საქმიანობას და ა. შ.

სისტემატურად იყენებენ ტელეგადაცემებს, მრავალტირაჟიან გაზეთებს, დიდი ტირაჟით უშვებენ და ავრცელებენ სხვადასხვა ინსტრუქციებს, სამახსოვროებს, ბროშურებსა და სხვ.;

2. „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსები თავიანთ „გეგმას“ ისე წარმოადგენენ, რომ თითქოს მუშა და კაპიტალისტი „ერთ ნაფში სხედან“ და მათი ბედი და მომავალი ერთია. „ქუმანური ურთიერთობის“ პროგრამა რჩევას აძლევს კაპიტალისტებს; რათა მუშებს საჩივრებისა და უკმაყოფილების დაწერის საშუალება მიეცეს. „პროგრამა“ ითვალისწინებს მუშებთან გასაუბრებას და მათი სულისკვეთების გაგებას, „საქმიანი კავშირის“, ანუ „ორმხრივი კომუნიკაციის“ დამყარებას მუშებსა და ფირმის ადმინისტრაციას შორის;

3. „პროგრამა“ ითვალისწინებს აგრეთვე მუშების მიღებას ფირმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან კაბინეტებში, მათთან თავისუფალ საუბარს, და სხვ. აშშ-ის ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანიამ სპეციალური სამახსოვრო შეადგინა ოსტატებისა და ქარხნის ადმინისტრაციისათვის, რომელშიც „ადამიანური ურთიერთობა“ დახასიათებულია, როგორც „ხელოვნება, თუ როგორ მიმართავდნენ ადამიანებს, რათა ისინი თავიანთი კეთილი ნებით იქცეოდნენ სასურველი სახით“. „მიიღეთ მეგობრული გამომეტყველება!“ — ასე მოუწოდებს სოციოლოგი სტრეტერნი ფირმის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს — ოსტატებს, დირექტორებს, მენეჯერებს. აჩვენეთ მუშებს, — განაგრძობს სტრეტერნი, რომ პატივისცემით ხართ განწყობილი მათ მიმართ, მიმართეთ, რომ „ერთად შრომობთ“ და სხვ.

აშშ-ში დაამუშავეს სპეციალური მეთოდმიოთება „უფროსების“ მომზადებისა და სწავლების შესახებ, რომელიც გავრცელებულია ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მსხვილ ფორმებში ჩამოყალიბებულია „ადამიანური ურთიერთობის“ საკითხების გამომკვლევითი განყოფილებები. მსხვილ საწარმოებში არის „სულიერი მამების“ დიდი შტატი. „სულიერი მამების“, „მოძღვრის“ მოვალეობას შეადგენს მუშებთან საუბარი. მუშებისათვის მოსმენა, მუშების დაწყარება, „ადამიანური ურთიერთობის“ დაწერვა. მართო ერთ კომპანია „უესტერნ ელექტრიკში“ მოღვაწეობს მრავალი „მოძღვარი“, საქარხნო ფსიქოლოგი, რომელთა შენახვა წლიურად 250 ათასი დოლარი ჯდება.⁴¹

„ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამა დიდ ადგილს უთმობს ოსტატის მოღვაწეობას. ოსტატის კანდიდატურას მუშები უნდა აყენებდნენ. ოსტატს სადად, მუშების მსგავსად უნდა ეცვას და არ

განსხვავდებოდეს გარეგნულად რიგითი მუშებისაგანო. „ადამიანური ურთიერთობის“ დამყარების საქმეში დიდ როლს აკისრებენ ოსტატს. თუ წინათ ოსტატის მოვალეობას შეადგენდა მუშების დაშინება და მათ ქცევაზე მკაცრი ზედამხედველობა, ამჟამად ოსტატმა უნდა განასახიეროს ადმინისტრაციის „მეგობრული“; „ჰუმანური“ ურთიერთობა მუშებთან. „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსთა თანახმად, ოსტატი უნდა გახდეს მუშების დამრიგებელი, მრჩეველი და ნდობით აღქმური პირი. რომ არ ჩანდეს ოსტატის უფრო მაღალი სოციალური მდგომარეობა და ითვლებოდეს იგი „თავის“ კაცად მუშებში, სწორედ ამიტომ უნდა ეცვას მას ისე, როგორც რიგით მუშებს და არ უნდა ატარებდეს არავითარ განმასხვავებელ ნიშანს, ფორმას.

ამრიგად, ფორმაში გამოწყობილი პოლიციელიდან ოსტატი უნდა გახდეს გადაცმული ჯაშუში;¹²

4. „ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამა უყურადღებოდ არც პროფკავშირებს ტოვებს. იგი მიზნად ისახავს პროფკავშირებისა და ადმინისტრაციის „თანამეგობრობის“ დამყარებას, ე. ი. პროფკავშირების გადაქცევას კლასობრივი ბრძოლის იარაღიდან „კლასობრივი თანამშრომლობის“, „სოციალური ზავის“ საშუალებად. ფირმის ადმინისტრაციას, მენეჯერებს კავშირი უნდა ჰქონდეთ პროფკავშირის ხელმძღვანელებთან და კარგად ეპყრობოდნენ პროფკავშირის ლიდერებს.

ამრიგად, „ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამა მიზნად ისახავს მუშათა არისტოკრატიის შექმნას, მოსყიდვას და პროფკავშირების დასუსტებას, დაუძლეურებას;

5. „ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამა რჩევას აძლევს მეწარმეებს გაითვალისწინონ მუშათა კომუნალური და სოციალური მომსახურება. „პროგრამაში“ შედის მუშათა სასაბილოების შექმნა ფაბრიკა-ქარხნებში, სპორტული მოედნების, კლუბების მოწყობა და სხვ. „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსთა აზრით, ასეთი ღონისძიებები საშუალებას მისცემს კაპიტალისტებს: ჯერ ერთი, შექმნან მუშებში რწმენა, რომ კაპიტალისტება ზრუნავენ მუშებზე, მათ საცხოვრებელ პირობებზე, რომ თითქოს კაპიტალისტები „მამობრივად ზრუნავენ“ მუშებზე და მათ შორის მყარდება „პატერნალიზმი“, „საქარხნო თანამეგობრობა“. მეორე, მუშათა დასვენების ორგანიზაცია ბურჟუაზიული ტრადიციის ჩარჩოებში, მუშებში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავრცელება, მუშების ჩამოშორება რევოლუციური ბრძოლისაგან და სხვ.

„სოციალურ პარტნიორებს“ შორის „ჰუმანური ურთიერთობის“

გასაგრეცლებლად არსებულ კონკრეტულ ღონისძიებათა მთელი სისტემის კრიტიკულ დახასიათებას იძლევა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. გ. მოშენსკი, რომელიც „ადამიანური ურთიერთობის“ ღონისძიებებს (პირობით) სამ ჯგუფად ყოფს.⁴³ დასავლეთ გერმანიისა და აშშ-ის მაგალითებზე იძლევა „ჰუმანური ურთიერთობის“ კრიტიკულ ანალიზს ჰ. ჰერცერი (გდრ) თავის შრომაში „ჰუმანური ურთიერთობა“⁴⁴. გდრ-ის ეკონომისტის ა. კლაინის მიხედვით, ეს „სისტემა“ ითვალისწინებს 5 ძირითად მიზანს: 1. ექსპლოატაციის მიჩქმალვა, კლასებად საზოგადოების დაყოფის უარყოფა; 2. ექსპლოატაციის გაძლიერება და მისი ახალი მეთოდების შემუშავება; 3. მუშების დარწმუნება იმ ღონისძიებათა „სარგებლიანობაში“. რომლებიც თვით მუშების ექსპლოატაციას აძლიერებენ; 4. ცდა იმისა, რომ მუშები დაარწმუნონ თითქოს მუშათა კლასისა და მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესები ერთიმეორეს ერწყმიან და, ამგვარად, მუშების ჩამოცილება რევოლუციური ბრძოლის გზიდან; 5. პროფკავშირების გადაქცევა მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციიდან მეწარმეთა დამცველებად.

აშშ-ის მსგავსად დასავლეთ გერმანიაშიც დიდ ყურადღებას უთმობენ „ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამის დამუშავებასა და გავრცელებას. ფრ. გოსენმა შეიმუშავა ღონისძიებათა მთელი სისტემა⁴⁵ ოსტატებისათვის. ამავე მიზნებს ემსახურება ჰ. გროსის⁴⁶ წიგნიც და მრავალი სხვა. „ჰუმანური ურთიერთობის“ დოქტორის გერმანელი თეორეტიკოსები კვალდაკვალ მიჰყვებიან თავიანთ ამერიკელ მასწავლებლებსა და კოლეგებს. მათ სახელმძღვანელო პრინციპად მიიღეს ე. მეიოს, გ. ვილენსკისა და სხვათა ღებულებები. მიჩიგანის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, „ადამიანური ურთიერთობის“ ერთ-ერთმა თეორეტიკოსმა გ. ვილენსკიმ „ჰუმანური ურთიერთობის“ პროგრამისა და კამპანიის მთავარ ამოცანად გამოაცხადა მუშების დარწმუნება იმაში, რომ, თითქოს კაპიტალისტურ საწარმოში კაპიტალისტებისა და მუშების ინტერესები ერთი და იგივეა, რომ მუშები ფირმას უნდა თვლიდნენ, როგორც „საკუთარ“ საწარმოს და მონაწილეობდნენ მათ მართვაში. ამავეს იმეორებენ დასავლეთგერმანელი (ჰ. გროსი), ინგლისელი (მერიოტი). იტალიელი (ჯ. მორო-ვისკონტი) და „ეკონომიური ჰუმანიზმის“ ყველა სხვა წარმომადგენელი.

„ადამიანურ ურთიერთობაში“ ისინი გულახსმობენ: ჯერ ერთი, ექსპლოატაციისაგან თავისუფალ წარმოებით ურთიერთობას და, მეორე, ისეთ ურთიერთობას, რომელიც თურმე აკმაყოფილებს მუ-

შის ყველა საარსებო „ადამიანურ“ მოთხოვნებს — სულიერ, მორალურ, კულტურულ, ესთეტიკურსა და ა. შ.

ამრიგად, „ადამიანური ურთიერთობა“, ამ დოქტრინის თეორეტიკოსთა და პროპაგანდისტთა მტკიცებით, მოიცავს, როგორც ეკონომიურ მხარეს, ასევე არაეკონომიურ მოთხოვნებს, სულიერ მოთხოვნებს. ამჟამად ჩანს წარმოებითი ურთიერთობის ნეცნაერული ანალიზის შეცვლა ვულგარულ-აპოლოგეტური ჯამბაზობით. „ადამიანური ურთიერთობა“ გვევლინება, როგორც „სოციალპარტნიორობის“; ე. ი. „სახალხო კაპიტალიზმის“ კიდევ ერთი ვარიაცია. ამიტომაც, რომ „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა ცალკეულ ფირმათა „მეცნიერული ხელმძღვანელობის მეთოდიდან“, რომელიც ეხებოდა „მხოლოდ“ ეკონომიურ მხარეს, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე და განსაკუთრებით მესამე ეტაპზე, გადაიქცა მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგიური დაცვის ერთ-ერთ მთავარ და შენიღბულ საშუალებად.

„ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს „ორიგინალურად“ იცავს. მისი თეორეტიკოსები ყოველნაირად ცდილობენ გავლენის მოხდენას დაქირავებული მუშის გონებასა და ფსიქიკაზე, მუშის დარწმუნებას, რომ ვითომდა მონოპოლისტს, მილიონერს, მილიარდერსა და დაქირავებულ მუშას შორის არის „ამხანაგური ურთიერთობა“, „ამხანაგური თანამშრომლობა“, „ჭუმანური ურთიერთობა“ — „სოციალპარტნიორობა“. მონოპოლისტური კაპიტალის ადვოკატები ერთი გასროლით ორი კურდღლს მოკვლას ლამობენ: ჭერ ერთი, მუშების გონების დაჩლუნგება, მათი სულიერი დატყვევება და კლასობრივი ბრძოლის შენელება; „კლასობრივი ზავის“ დამყარება და, მეორე მუშების ფსიქიკურ განცდებზე ზემოქმედება, შრომის ინტენსივობისა და ნაყოფიერების აშღლება, მაქსიმალური მოგების გადიდება. აი, რატომ მიეცა ფართო გავრცელება „ჭუმანური“, ანუ „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინას გფრ-ში. „თანამედროვე პირობებში“ „ადამიანური ურთიერთობის“ პრობლემა გამოყენებითი ბურჟუაზიული სოციოლოგიის ცენტრში დგას. ლიტერატურა ამ თემაზე ძალიან მდიდარია. ცნობილი ავტორებიდან შეიძლება დასახელებულ იქნას ელტონ მეიო — ამ მოძღვრების ფაქტობრივი დამაარსებელი, ფრაც რიოტლისბერგერი, სოლომონ ბარკინი, პიტერ დრაკერი, გლენა ვილმენა, ნორმან მაიერი. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინას მთლიანად ემხრობა ფრანგი სოციოლოგი ჟორჟ ფრილმანი“, „რომელსაც უეჭველად უკავია თვალსაჩინო ადგილი ინდუსტრიულ სოციოლოგიაში“.⁴⁷

ძალიან ბევრი იწერება „ადამიანური ურთიერთობის“ პრობლე-
მებზე დასავლეთ გერმანიაში. „ადამიანური ურთიერთობის“ ერთ-
ერთმა თეორეტიკოსმა ი. ფ. კრონინმა დასავლეთ გერმანიაში გამო-
აქვეყნა წიგნი „ადამიანური ურთიერთობა ეკონომიურ ცხოვრებაში
დღენისათვის“⁴⁸. დიდ გავრცელებას პოულობს დასავლეთ გერმანია-
ში ელტონ მეიოს,⁴⁹ ჟორჟ ფრიდმანისა⁵⁰ და სხვათა ნაწერები.

„ეთიკური სოციალიზმის“ თეორეტიკოსებიც იყენებენ ამერი-
კელი სოციოლოგების მოძღვრებას; პირველ რიგში კი „ადამიანუ-
რი ურთიერთობის“ დოქტრინას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ადამიანური ურთიერთობის“, ანუ
„პუმანური ურთიერთობის“ დოქტრინის სამშობლოა აშშ. ამ დოქტ-
რინის აღმოცენება განპირობებულია ამერიკალიზმის წინააღმდეგო-
ბათა გამწვავებით. ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისის გაღრმა-
ვებით. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის წარმოშობა მრავ-
ალი ფაქტორით აიხსნება, რომელთა შორის შეიძლება დავასახე-
ლოთ, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიური; ასევე საწარმოო —
ტექნიკური მომენტებიც.

მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც წარმოებისა და კაპი-
ტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციამ უმაღლეს დონეს მიაღწია,
დიდი ხანია აყენებენ ცდებს, დაკვირვებებს საწარმოო-ტექნიკურ
მხარეებზე. წარმოების ტექნიკურ და წარმოების მუშაკთა ფსიქო-
ლოგიურ მომენტებზე. ბურჟუაზიული იდეოლოგიების ცნობილ
ხერხთან გვაქვს საქმე. ლაპარაკობენ „ადამიანურ ურთიერთობაზე“
და სინამდვილეში უგულვებელყოფენ წარმოებითი ურთიერთობის
არსს და სიმძიმის ცენტრი გადააქვთ წარმოების ტექნიკურ მხარე-
ებზე (ნაცვლად წარმოების საზოგადოებრივი მხარის შესწავლი-
სა) და ადამიანთა, წარმოების მუშაკთა ფსიქოლოგიურ განცდებზე.
„ბურჟუაზიული სოციოლოგიის მიერ წამოყენებულ „სოციალური
რეფორმირების“ სხვა დოქტრინების მსგავსად, „ადამიანური ურთი-
ერთობის“ პროგრამა საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის
ადგილას მოითხოვს ინდივიდთა ფსიქიკური ცხოვრების მოწესრი-
გებას“.⁵¹

ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ავსტრი-
ული სკოლა (კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ე. ბემ-ბავერკი), „კემბრიჯის
სკოლა“ (ალფრედ მარშალი), ჯ. ბ. კლარკი და სხვებიც „ამახვილე-
ბდნენ“ ყურადღებას წარმოებისა და მიმოქცევის მუშაკთა, ადამიან-
თა ფსიქოლოგიურ განცდებზე, ფსიქოლოგიურ მომენტებზე. სახელ-
მწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგიის ჯ. მ. კეინსის
მოძღვრებაში კი ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია სწორედ

„ფსიქოლოგიურ კანონს“. ამ „კანონზე“ დაყრდნობით აგებდა ჯ. მ. კე-ნსი კაპიტალისტური წარმოებისა და მოხმარების მოდელებს.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე და, განსაკუთრებით მესამე ეტაპზე ძალიან გავრცელდა აგრეთვე წარმოების მუშაკთა „ფსიქოლოგიური მხარეების“ შესწავლა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია. არა მარტო სოციოლოგთა, არამედ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა, — „მოსოციოლოგო ეკონომისტების“ ნაწერებში დიდი ადგილი უჭირავს ფსიქოლოგიზმს. ემპირიულ და გამოყენებით სოციოლოგიას.

„ჰუმანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსთა აზრით (მაგალითად, ე. მეიოს), ბურჟუაზიული ეკონომისტების ერთი ნაწილის შეცდომაა ის, რომ ისინი განსაკუთრებით ამაზვილებდნენ ყურადღებას ეკონომიური დაინტერესების პრობლემებზე, ხოლო ფსიქოლოგიურ მომენტებს უგულვებელყოფდნენ. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა „ავსებს“ ამ ხარვეზს.

ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტის გ. ჰაბერლერის აზრით, არავითარი არსებითი განსხვავება არაა „ეკონომიურ“ და ე. წ. „ფსიქოლოგიურ“ თეორიებს შორის. აქედან ჰაბერლერი აკეთებს კიდევ ერთ არასწორ დასკვნას; სახელდობრ, პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიური მეცნიერების საგნად იგი აცხადებს „ადამიანთა ყოფაქცევის“, „ფსიქოლოგიური თეორიების“ შესწავლას. იგი წერს: „ყოველ ეკონომიურ მოვლენას აქვს თავისი ფსიქოლოგიური ასპექტი. ეკონომიური მეცნიერების საგანია ადამიანთა ყოფაქცევა. უმთავრესად შეგნებული და მოფიქრებული ყოფაქცევა, რომლის დაშორება თავის ფსიქოლოგიურ საფუძველთან შეუძლებელიცაა. ამიტომ ადამიანთა ყოფაქცევის ფსიქოლოგია წარმოადგენს პოლიტიკური ეკონომიის საგნის შემადგენელ ნაწილს“. ⁵² თვით ის ფაქტი, რომ მოსოციოლოგო ეკონომისტები, ბურჟუაზიული სოციოლოგია ასე „ღრმად“ იჭრება პოლიტიკურ ეკონომიაში და ცდილობს ეკონომიურ თეორიებში ეგრეთწოდებული „სოციოლოგიური ფაქტორების“ ჩართვას, ადასტურებს, როგორც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის, ასევე სოციოლოგიის, მთელი ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისის გაღრმავებას. კაპიტალიზმის „სოციოლოგიური“ და „ეკონომიური“ აპოლოგიის გაერთიანების, სინთეზის ტენდენცია, როგორც ახალი მოვლენა, მეტყველებს სახელმწიფომონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავებაზე, თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის იდეურ გამოფიტვაზე.

ამრიგად, „სოციოლოგიზმი“ და „ფსიქოლოგიზმი“ საზოგადოებრივი ურთიერთობის გაგებაში დამახასიათებელია არა მარტო

„ადამიანური ურთიერთობის“ თეორიისათვის, არამედ ის წარმოდგენს ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის, მთელი ბურჟუაზიული სოციოლოგიის მანკს.

იბადება კითხვა: რამ გამოიწვია „ფსიქოლოგიზმის“ გააქტიურება? რა თქმა უნდა, ამის მიზეზია კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გაძლიერება და ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისის გაღრმავება. ტექნიკურმა პროგრესმა, წარმოების მექანიზაციამ, და ავტომატიზაციამ, წარმოების ნაკადური მეთოდების დანერგვამ კაპიტალიზმის პირობებში გააძლიერა მუშის ექსპლოატაცია და სულიერი დამონება. ბურჟუაზიულმა იდეოლოგიებმა — ფსიქოლოგებმა, ფილოსოფოსებმა, ეკონომისტებმა ყურადღება მიაქციეს მუშებზე „სულიერად დაცემას“, აპათიას, მათ პასიურ დამოკიდებულებას წარმოების პროცესის, სამუშაოს მიმართ. ყურადღება მიაქციეს შრომის ნაყოფიერების შემცირების შემთხვევებს. უფრო ზუსტად, მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგიები ჩააფიქრა კაპიტალისტური წარმოების, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის ანტაგონისტური წინააღმდეგობებით გამოწვეულმა სიძნელებმა. ამიტომ მოჰკიდეს ხელი მათ. ე. წ. „სამრეწველო სეველის“ (მრეწველობაში ავტომატიზაციით, ტექნიკური პროგრესით, მრეწველობის განვითარების შედეგად „სეველის მოგვრის“) შესწავლას, „ფსიქოთერაპიას“.

სპეციალური დისციპლინების სწავლებაც კი შემოიღეს „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსებმა. მაგალითად, „ფსიქოტექნიკა“ (შეისწავლის მუშის შინაგან რეაქციას გამომუშავების გადიდებაზე), „შრომითი ფსიქოლოგია“, „წარმოებრივი ფსიქოლოგია“ და მრავალი სხვა. დასავლეთ გერმანიაში დიდი ადგილი უჭირავს „ინდუსტრიული (სამრეწველო) სოციოლოგიის, ანუ ფაბრიკის სოციოლოგიის“ პრობლემებს. წარმოებრივი სოციოლოგია⁵³ დასავლეთ გერმანიაში მთავარ ყურადღებას უთმობს ურთიერთობას „სოციალურ პარტნიორებს (შრომა და მართვა)“ შორის.

ბურჟუაზიული სოციოლოგია ფაქტიურად დანაწილებულია მთელ რიგ დისციპლინებად. მაგალითად, „სამრეწველო სოციოლოგია“, „სოფლის მეურნეობის სოციოლოგია“, „ოჯახის სოციოლოგია“, „შემეცნების სოციოლოგია“, „ელიტის (მმართველი ჯგუფის) სოციოლოგია“, „მცირე ჯგუფების სოციოლოგია“ და სხვ. თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიები საზოგადოებრივი განვითარების ზოგად თეორიებს თითქმის არ სწავლობენ. სოციოლოგთა ერთ-ერთი ჯგუფი სწავლობს მრეწველობის, ფაბრიკა-ქარხნების, მეორე ჯგუფი სოფლის მოსახლეობის, მესამე ჯგუფი ქალაქის მოსახლეობის, ზოგიერთი — შრომის დანაწილების, ოჯახისა და სხვ. საკითხებს.⁵⁴

ზემოთ დასახელებული დისციპლინები შეისწავლის „სულიერ დაძაბულობას“, „სამრეწველო სევდას“ და სხვა მომენტებს, რომლებიც აფერხებენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ეს დისციპლინები ეხმარება ფირმის ხელმძღვანელებს „წარმოებრივი ფსიქოლოგიის“ დარგში და რჩევა-დარიგებებს იძლევა „ჭუმანური ურთიერთობის“ დასაწერგავად.

კაპიტალის იდეოლოგიები განგებ გვერდს უვლიან იმას, რომ წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია უნდა ემსახურებოდეს, აღძვირებს, მაგრამ ეს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის გამო შეუძლებელია. ამის მიზეზია არა „სამრეწველო სევდა“, რომელსაც „ჭუმანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსთა აზრით, ტექნიკის განვითარება იწვევს, არამედ თვით კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა. ბევრი ბურჟუაზიული იდეოლოგი სთვლის, რომ თათქოს მუშათა კლასის, უმთავრესად კი თანამედროვე ახალგაზრდობის „სულიერი კრიზისის“, „სამრეწველო სევდის“ მიზეზს წარმოადგენს ტექნიკური პროგრესი: წარმოების ავტომატიზაცია, ატომური ენერჯის გამოყენება და „მეორე სამრეწველო რევოლუცია“. ასეთი მტკიცებით გამოდის დასავლეთგერმანელი სოციოლოგი მ. ერნატი, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „პირვნების ტრადიციის“, „ინდივიდუალიზმის კრიზისის“, „სამრეწველო სევდის“ მიზეზებს დაექებს არა კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობაში. არამედ ტექნიკის განვითარებაში.

კაპიტალიზმის დროს მუშის ექსპლოატაციის გაძლიერებასა და მოგების გადიდებას ემსახურება შრომის ინტენსიფიკაციის მეთოდები და ტექნიკური პროგრესი. საკმარისია მოვიტანოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები ქანცის გამოცლის „მეცნიერული სისტემების“ შესახებ და დავინახავთ, თუ როგორ მოქმედებს დაქირავებულ მუშებზე ტექნიკური პროგრესი და შრომის ინტენსიფიკაცია. „კაპიტალისტურ საზოგადოებაში ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი ნიშნავს პროგრესს ქანცის გამოცლის ხელოვნებაში“.⁵⁵

ცნობილია, რომ წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია შედარებით ნაკლებ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს მუშისაგან, სამაგიეროდ კი იზრდება მუშის ნერვული დაძაბულობა და დატვირთვა. დასავლეთ გერმანიის ქურნალში „უნივერსიტას“ გამოქვეყნებული იყო სტატისტიკური ცნობები (დოქტორ ფიევეუსის), რომელთა თანახმად: გფრ-ის მუშათა საერთო რაოდენობის 10%-ს აქვს მსუბუქი ნევროზი, ხოლო 20%-ს მძიმე ნევროზი. დოქტორი ფიევეუსი აცხადებს, რომ გფრ-ში ფსიქურად დაავადებულთა რაოდენობა ყოველწლიურად 2%-ით მატულობს. „თავისუფალ სამყაროში“

შეიქმნა „სულიერი ჯანმრთელობის საერთაშორისო ფედერაცია“, რომლის პირველი კონგრესი ჩატარდა 1961 წლის სექტემბერში. კონგრესის დღის წესრიგში იდგა საკითხი: „1960—1961 წლები — სულიერი ჯანმრთელობის წლები“. კონგრესზე ერთ-ერთმა დელეგატმა განაცხადა, რომ „თავისუფალ სამყაროს თავს დასტრიალებს შიზოფრენიის აჩრდილო“. მწარე აღიარებაა. მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის, რომ „ჰუმანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსები „სამრეწველო სეველს“ ნამდვილ მიზეზებს გვერდს უვლიან და ცალმხრივად, აპოლოგეტურად განიხილავენ საკითხს.

მუშა ხედავს, რომ შრომის ინტენსიფიკაციის, ტექნიკური პროგრესის შედეგები ემსახურება წარმოების საშუალებათა კერძო შესაქუთრეს, ამიტომ ბურჟუაზიული იდეოლოგიებიც კი იძულებული არიან „დაინახონ“ ის ფაქტი, რომ მუშებში უკიდურესად იკარგება და ეცემა შრომის ნაყოფიერების გადიდებისადმი ინტერესი. ერთხელ კიდევ შევნიშნავთ, რომ ამის მიზეზია არა ტექნიკური პროგრესი, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, „ინდუსტრიალიზმი“ და აქედან გამომდინარე „სამრეწველო სეველა“, არამედ მანქანების, ავტომატების, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევათა გამოყენების კერძო-კაპიტალისტური მეთოდი, რომელიც ემყარება სწორედ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობას. მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის პირობებში ტექნიკური პროგრესი მუშათა კლასის წინააღმდეგ წარიმართება. მონოპოლიები იყენებენ ახალ ფორმებს და აძლიერებენ მუშათა კლასის ექსპლოატაციას. კაპიტალისტური ავტომატიზაცია ლუკმა-პურს ართმევს მუშას — იზრდება უმუშევრობა და ქვეითდება ცხოვრების დონე. ტექნიკური პროგრესი წვირილ მწარმოებელთა სულ ახალ ფენებს ლუპავს. იმპერიალიზმი ტექნიკურ პროგრესს უმთავრესად სამხედრო მიზნებისათვის იყენებს. იგი ადამიანის გონების მიღწევებს თვით კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართავს⁵⁶ მარტო აშშ-ში ყოველწლიურად ოფიციალური ცნობებით, თანამედროვე ეტაპზე ავტომატიზაცია 1250 ათას მუშას ერეკება ქუჩებში.

„ადამიანური ურთიერთობის“ დოქტორინერები სინაპდვილეს დამახინჯებულად ხსნიან. ისინი განზრახ ურევენ ერთიმეორეში მანქანა-იარაღების გამოყენების სხვადასხვა წესს. მეთოდად. მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგიები ხშირად აყენებენ საკითხს: „ტექნიკა ადამიანის მეგობარია თუ მტერი?“ ეს კაპიტალის იდეოლოგთა ძველი ჰანჯია. „ახალი ჰუმანიზმის“. „ჰუმანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსები ანტაგონიზმს შრომასა და კაპიტალს შორის ცვლიან

ანტაგონიზმით ადამიანსა და ტექნიკას შორის. ამ მოხვედრებით ანტაგონიზმს ასაღებენ რაღაც „ბუნების კანონად“.

„ჰუმანური ურთიერთობის“ — „ახალი ჰუმანიზმის“ წარმომადგენლები ახდენენ ტექნიკის როლის აბსოლუტიზაციას, გაფეტიშებას და უგულბებლყოფენ მთავარს — წარმოებით ურთიერთობას. მონოპოლისტური კაპიტალის თანამედროვე დამცველები იყენებენ ტ. ვებლენის ტექნოკრატიულ იდეებს და ასე ცდილობენ კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციას“. მაგალითად, ვ. რატენაი სთვლის, რომ ტექნიკის ფართოდ დანერგვით შესაძლებელი იქნება კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ლიკვიდაცია, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შეცვლის გარეშე. ვ. რატენაის კიდევ ერთ „ორიგინალურ აღმოჩენას“ შეაღვენს ის, რომ პროლეტარიატი თურმე არსებობს არა მარტო კაპიტალიზმის დროს, არამედ ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში. ასეთ აზრს ატარებს იგი თავის წიგნში „ახალი მეურნეობა“.⁵⁷

ცხოვრება ადასტურებს, რომ ე. წ. „სამრეწველო სევედის“ მთავარი მიზეზია არა ავტომატიზაცია, „ინდუსტრიალიზმი“, არამედ ტექნიკისა და მეცნიერებათა მიღწევების კაპიტალისტური გამოყენება. რა თქმა უნდა, შექანიზაცია და ავტომატიზაცია ამცირებს კუნთური ენერჯიის ხარჯვას, მაგრამ ამაღლებს მუშის ნერვულ დატვირთვას. მუშათა ექსპლოატაციის ნამდვილი მიზეზია თვით კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა, რომლის მოსპობით შეიძლება ნამდვილი ჰუმანიზმის დამყარება. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „სამრეწველო სევედის“ გაფანტვით დაინერგება „ჰუმანურა ურთიერთობა“, ზედმიწევნით ჰგავს შელოცვას.

„ჰუმანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსები ერთიმეორეში ურევენ მანქანა-იარაღებსა და მათი გამოყენებებს მეთოდს. საბოლოო ჯამში ისინი მანქანებს აიგივებენ ეკონომიურ კატეგორიებთან. ამ შემთხვევაში წარმოებით ურთიერთობასთან. კ. მარქაი ჯერ კიდევ 1846 წელს ანენკოვისადმი მიწერილ წერილში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, თუ რა პირობებში გამოიყენება მანქანა. იგი მიუთითებდა, რომ მანქანების კაპიტალისტური გამოყენება ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ-ერთი ურთიერთობათაგანია. „მანქანა ისევე ნაკლებად წარმოადგენს ეკონომიურ კატეგორიას, როგორც ხარბი, რომელიც გუთანს სწევს. მანქანის თანამედროვე გამოყენება ჩვენი თანამედროვე ეკონომიური წყობილების ერთ-ერთი ურთიერთობათაგანია. მაგრამ მანქანების ექსპლოატაციის წესი თვით მანქანებისაგან სრულიად განსხვავებული რამეა. დენთი დენთად რჩება, იმმართ თქვენ მას ადამიანისათვის კრილობას მისაყენებლად თუ მიყენებული კრილობის მოსარჩენად“.⁵⁸

„ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსები ალამაზებენ ბურჟუაზიულ წყობილებას და სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს აცხადებენ „ჰუმანურ ურთიერთობად“. მათი პროგრამა გამიზნულია იმისათვის, რომ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის ადგილას დააყენოს „სოციალური პარტნიორობა“.

„ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამა გამოცხადებულია დემოკრატიის, თავისუფლების, ჰუმანიზმის განსახიერებად და „სამრეწველო სევედის“ განმფანტველ, განმკურნებელ უებარ საშუალებად. აღნიშნული დოქტრინა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის არსებობას უარყოფს და მუშების შრომას უწოდებს „სოციალ-პარტნიორის შრომას“, „შემოქმედებით შრომას“. „ადამიანური ურთიერთობის“ სისტემა მოწოდებულია ძველ „პატერნალიზმს“⁵⁹ შესავსებად და, პირიქით, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის შესანიღბავად, შრომის ინტენსიფიკაციასა და ექსპლოატაციის გასაძლიერებლად. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის შევსება ხდება პატერნალისტური ხასიათის ღონისძიებებით.

ამ ბოლო დროს დიდი ცვლილებები მოხდა ტექნიკისა და მეცნიერების დარგში. ტექნიკურმა პროგრესმა, წარმოების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ აამალა აგრეთვე მუშების პოლიტიკური შეგნება, გამოიწვია ცვლილება მუშის სულიერ და პოლიტიკურ შეგნებაში, გააფართოვა მუშის საერთო ცოდნის დონე. კაპიტალისტური ქვეყნებს მუშათა კლასის შეგნებულობის დონის ამაღლებაზე დიდი გავლენა მოახდინა მარქსიზმ-ლენინიზმის ტრიუმფალურმა სვლამ, მეურნეობის სოციალისტური სისტემის განმტკიცებამ და გაძლიერებამ. ამიტომაც სწორედ, რომ მონოპოლისტური კაპიტალის დამკველებს გაუჩნდათ ახალი თავსატეხი და საზრუნავი. ამ მიზნით გაუშვეს მათ მიმოქცევაში „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინაც, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ჰუმანიზმთან და სოციალური დემაგოგიის ნიმუშთან. „ეს დოქტრინა ნიშნავს მუშათა კლასზე მონოპოლისტური ბურჟუაზიის კონტროლის დამყარების ახალი მეთოდების გამოძებნას“.⁶⁰

სოციალიზმის ახალ-ახალი გამარჯვებები აიძულებს „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსებს, რათა მიმართავდნენ სხვადასხვა ხრიკებს. „ჰუმანური ურთიერთობის“ პროპაგანდისტებს — ინდუსტრიული სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის ბურჟუაზიულ თეორეტიკოსებს თავი „შრომის“ სპეციალისტებად მოაქვთ. ისინი გაიძახიან, რომ უნდა „დაკმაყოფილდეს“ დაქირავებული მუშის

ყველა ადამიანური მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ექსპლოატაციისა და ბატონობაზე დაჰყარებული წარმოებითი ურთიერთობის პირობებში. რაც ობიექტურად შეუძლებელია. „ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამის ყველა მოთხოვნის მიზანია დაქირავებული მუშის ფსიქოლოგიაზე ზემოქმედება და მშრომელი მასების დატოვება სულიერ ტყვეობაში. „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსები ქადაგებენ. რომ საწარმოში შეიქმნას ჯანსაღი ატმოსფერო. ამისათვის კი აუცილებლად თვლიან თვითეული მუშაკი — დაწყებული დამლაგებლიდან და შავი მუშიდან, წარმოებას განიხილავდეს, როგორც „საკუთარ სახლს“, „საკუთარ საწარმოს“.

„ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის არსი მდგომარეობს იმის ცდაში, რომ შეიქმნას თანამშრომლობა მთელი კაპიტალისტური საწარმოს კოლექტივის — დაწყებული მისი მესაკუთრიდან და დირექტორებიდან, დამთავრებული უკანასკნელ შავ მუშამდე, ერთობა.

ბუნებრივია, რომ „ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდა მუშებში რეფორმისტული იდეების გავრცელებას უწყობს ხელს. მაგრამ იგი უძღურია იმ წინააღმდეგობათა წინაშე, რომლებიც არსებობენ კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის, ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის და რომლებიც ღრწიან სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს.

„ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდისტები ყველა ზომას იღებენ იმისათვის, რომ შეანელონ კლასობრივი ბრძოლა, ე. ი. დაიცვან მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესები. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მონოპოლისტები აფინანსებენ „ადამიანური ურთიერთობის“ პრობლემათა შემსწავლელ ცენტრებს. მილიონერები და მილიარდერები სპეციალურ ფონდებს ქმნიან „ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდისათვის, იმისათვის, რათა დაქირავებული მუშა და მილიარდერი წარმოადგინონ „სოციალპარტნიორებად“, ხოლო მათ შორის ურთიერთობა „ჭუმანურ ურთიერთობად“. ამ მხრივ ტონის მიმცემნი არიან ამერიკელი და გერმანელი მეწარმეები. მონოპოლისტურმა გაერთიანებებმა „ჯენერალ ელექტრიკი“, „ჯერენ სტანდარტი“, „ეიტლენტიკ სტილ კომპანი“ და სხვებმა დიდი ხანია დაიწყეს „ჭუმანური ურთიერთობის“ დანერგვა. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინას დიდი სიხარულით შეხვდნენ და გამოეხმაურნენ მეწარმეები, რომლებიც ცდილობენ „მუშის გულის გასაღების“ პოვნას და პროფკავშირების გავლენის შესუსტებას. „ადამიანური ურთიერთობის“, ე. ი. „ჭუმანური“ ანუ „სახალხო კაპიტალიზმის“ სხვადასხვა რეცეპტები ყალიბდება კონკრეტულ

ლონისძიებათა სისტემად და სხვა. მონოპოლიურმა გაერთიანებებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ „აღამიანური ურთიერთობის“ დოქტრინით, წამოაყენეს მუშებთან მეწარმეების შეხვედრის ლოზუნგი: „კლასობრივი ზავი სასარგებლოა მრეწველობისათვის!“

„ეტლენტიკ სტილ კომპანის“ ერთ-ერთ ქარხანაში ადმინისტრაცია უმასპინძლებოდა მუშებს ცხელი ყავით. ამაზე აზმაურდა ბურჟუაზიული პრესა. ეს ფაქტი გამოაცხადეს მუშებზე მეწარმეთა „მამობრივი მზრუნველობის“ — „პატერნალიზმის“ საუკეთესო მაგალითად. სინამდვილეში ქარხნის ადმინისტრაციამ ცხელი ყავის გაცემა მუშებზე დაიწყო გაფიცვების დროს, რათა გაფიცვა შეჩერებულიყო.

„აღამიანური ურთიერთობის“ საკითხებისადმი მიძღვნილ რომის საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვაში გამოსულმა იაპონელმა ი. იონეჰარამ და ს. ტაკაჰარამ ილაპარაკეს, რომ „ჰუმანურ ურთიერთობას“ იაპონიაშიც ნერგავენ. ბერლინის საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ტ. კანზაიასი (იაპონია). რომელმაც აგრეთვე განაცხადა, რომ იაპონიაში ქადაგებენ „სოციალურ პარტნიორობას“ კაპიტალისტებსა და მუშებს შორის, აგრეთვე „საწარმოო და საერთო-სახალხო თანამეგობრობას“.61 ი. იონეჰარამ და ს. ტაკაჰარამ განაცხადეს: ერთ-ერთმა იაპონელმა მეწარმემ ქარხანაში შემოიღო სპეციალური კალენდარი და გაავრცელა მუშებში. კალენდარში თვითეული დღისათვის შედგენილი იყო პენალთა რაოდენობა ნაჩვენებია კერძების კალორიულობა. ფასი და სხვა. ამავე დროს გაცემებულია დასკვნა, რომ მუშებს თავისუფალად შეუძლიათ თავიანთი ხელფასით „მეცნიერულად დასაბუთებულ“ კვების ნორმებით უზრუნველყოფა, კარგად ცხოვრება და რა საჭიროა პროფკავშირები. გაფიცვები და კლასობრივი ბრძოლა.

ანეგდოტურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი იაპონიის კიდევ ერთ ქარხანაში. ფაბრიკანტმა დაამზადებინა თავისი საკუთარი ფიტული, რომელიც დადგეს ქარხნის შესასვლელში. ფაბრიკანტმა მუშებს ნება დართო, როგორც სურთ ისე მოქცეოდნენ ფიტულს. თუ მუშა ფაბრიკანტზე გაბრაზებული იყო, მას შეეძლო ფიტულის ცემა და მასზე მიფურთხებაც კი. ასეთ „მამობრივ“ და „ჰუმანურ“ ზომებზე დათანხმდა ფაბრიკანტი, ოღონდ მუშებმა არაფერი გაბედონ ცოცხალი ფაბრიკანტის — თავიანთი უშუალო ექსპლოატატორის წინააღმდეგო, აი კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ „აკმაყოფილებენ“ მუშის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნებს „აღამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის საშუალებით.

განსაკუთრებით დიდი ხმაური ატყდა ფირმა „სტუდებეკერის“

საქმიანობის გარშემო. აღნიშნული ფირმა ქ. საუტ-ბენდში აღიარებული იყო, როგორც მუშებს და კაპიტალისტებს შორის „ჭუმანური ურთიერთობის“ განსახიერება. ამ ფირმაშიც იფეთქა მუშათა გავრცევა და ქარხანა თვენახევრის განმავლობაში დაკეტილი იყო.

ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთ ქარხანაში ინჟინერმა განზრახ დატოვა ახალ მექანიზმში რომელიღაც ნაწილი გაუმართავი. მუშებმა შეამჩნიეს „ინჟინრის შეცდომა“ და შეასწორეს იგი. „ადამიანური ურთიერთობის“ პროპაგანდისტებმა ამაზეც ბევრი იხმაურეს და ეს თვალთმაქცური ფაქტი გამოიყენეს „ჭუმანური ურთიერთობის“, „სოციალური პარტნიორობის“, „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდისათვის.

რისთვის არის ატეხილი ეს მტვერ-ქარბუქი, ეს ფუქსავატი ჰეკაქუხილი? იმისათვის, რომ მასები დააჯერონ, ვითომც დასავლეთ გერმანიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმი „გარდაიქმნა“, „მოისპო“ და არის „ჭუმანური ურთიერთობა“, „ჭუმანური წყობილება“, „სოციალპარტნიორობა“, „სახალხო კაპიტალიზმი“. ამისათვის შეთხზეს სწორედ და ავრცელებენ ყალბ ლეგენდებს, რომ თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმი „გარდაიქმნა“, ასე ვთქვათ: ხელახლა იშვა, და თითქოს, ახლა უცნაო მისთვის სოციალური კონფლიქტები, „ძველი“ ბურჟუაზიული წყობილების მანკიერებანი, თითქოს მოისპო საზღვრები კლასთა შორის. კაპიტალის იდეოლოგიები გაიძახიან, რომ „ახალმა კაპიტალიზმმა“, „ჭუმანურმა კაპიტალიზმმა“ „სული მოიბრუნა“ და განახორციელა საყოველთაო კეთილდღეობის, პიროვნების თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების იდეალები კერძო საკუთრებისა და საბაზრო მეურნეობის პირობებში.

„ადამიანური ურთიერთობა“ — „სოციალპარტნიორობა“ მოგვანებს ფაშისტების ფსევდოთეორიას „წარმოებრივი ერთობის“ შესახებ, რომელსაც გაძლიერებით ნერგავდნენ ნაცისტები ჰიტლერულ გერმანიაში. ფაშიზმის იდეოლოგიებაც ბევრს გაიძახოდნენ და ქადაგებდნენ „მაღალ შრომით მორალს“, „კორპორაციულ წყობილებას“, „ინტერესთა ერთობას“ (მოიგონეთ ე. წ. „მუშათა ფრონტი) და ა. შ. ისინიც აცხადებდნენ, რომ „ინტერესთა ერთიანობა“ საწარმოს ფიურერსა და მუშებს შორის. დღეს იგივეს იმეორებენ „ადამიანური ურთიერთობის“, „სოციალპარტნიორობის“ თეორეტიკოსები სახეშეცვლილი ფორმით. ნეოლიბერალები ამჯობინებენ ნაცვლად „თავისუფალი მეწარმეობისა“, ილაპარაკონ „სოციალურ საბაზრო მეურნეობაზე“, „სოციალურ პარტნიორობაზე“, „ქარხნულ ოჯახზე“, „ეკონომიურ ჭუმანიზმზე“ და ა. შ.

„სოციალური პარტნიორობისა“ და „ჰუმანური ურთიერთობის“ იდეოლოგიები დიდ იმედებს ამყარებენ კათოლიკურ რელიგიაზე, რომელიც აგრეთვე ქადაგებს „სოციალპარტნიორობას“ და „ეკონომიურ ჰუმანიზმს“ „პატერნალიზმის“ ლოზუნგით. ვ. ი. ლენინი სტატიაში „სოციალიზმი და რელიგია“ ბურჟუაზიული საზოგადოების შესახებ წერდა: „მთელი თანამედროვე საზოგადოება აგებულია მუშათა კლასის უდიდესი მასების ექსპლოატაციაზე მოსახლეობის სულ უმნიშვნელო უმცირესობის მიერ, რომელიც მიწათმფლობელთა და კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის. ეს საზოგადოება მონათმფლობელურია, ვინაიდან კაპიტალისტების მთელ სიცოცხლეში მოკვშევე „თავისუფალ“ მუშებს „უფლება აქვთ“ მხოლოდ ისეთ საარსებო საშუალებებზე, რაც აუცილებელია მოგების შემქმნელი მონების შესანახად, კაპიტალისტური მონობის უზრუნველყოფისა და მარადისობისათვის.

მუშების ეკონომიური ჩაგვრა აუცილებლად იწვევს და წარმოშობს ყოველგვარი სახის პოლიტიკურ ჩაგვრას, სოციალურ დაბეჩავებას, მასების სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების გატლანქებასა და დაბნელებას“. ⁶²

მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგიები — „ადამიანური ურთიერთობის“ თეორეტიკოსები თავიანთი პროგრამებითა და სამახსოვროებით მოგვაგონებენ მონათმფლობელური საზოგადოებისდროინდელ „სახელმძღვანელოებს“. მოვიგონოთ ქსენოფონტეს „ეკონომიკოს“, კატონისა და ვარონის რჩევა-დარიგებები მონათმფლობელური მეურნეობის ორგანიზაციისათვის. კიევის რუსეთის „დოქოსტროი“, „პრავეტელნიცა“ და, ბოლოს, ტელიორიზმი, ფორდიზმი, „რეფა“ და სხვები. ⁶³

ძნელი გამოსაცნობი არაა, რომ „ადამიანური ურთიერთობის“, „სოციალური პარტნიორობის“ პროგრამების არსიც იგივეა. „ადამიანური ურთიერთობის“ მოძღვრება იცავს ექსპლოატაციას კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში, ამიტომ ის უფრო „ცივილიზებულია“, „ჰუმანურია“ მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოების მოძღვრებებთან და „სახელმძღვანელოებთან“ შედარებით. ქსენოფონტესა და კატონის „რჩევა-დარიგებანი“ ემსახურებოდა მონათმფლობელებს მსხვილი ლატიფუნდიების მართვისა და ორგანიზაციის საქმეში და მონობის მსგავსად უხეშ და ტლანქ ხასიათს ატარებდა. „რომაელი მონა მიჯაჭვული იყო თავის მესაკუთრეზე, დაქირავებული მუშა კი უხილავი ძაფებით არის მიბმული მასზე“. ⁶⁴ ასევე „უხილავი და შეუმჩნეველი ძაფებით“ „ადამიანური ურთიერთობა“, შენიღბული „ცივილიზაციითა“ და „ჰუმანიზ-

მიით, ეხმარება მილიონერებსა და მილიარდერებს ექსპლოატაციის გაძლიერებაში თანამედროვე პირობებში. თუ მონათმფლობელურ საზოგადოებაში წარმოების მუშაკის ექსპლოატაციის გაძლიერების მოთხოვნა რჩევა-დარიგებად ჯიხისა და მათრახის გამოყენების ხერხები სჭარბობდა. „ადამიანური ურთიერთობის“ რჩევა-დარიგებებსა და პროგრამებში, რა თქმა უნდა, სჭარბობს შენიღბული, დემაგოგიური ხერხები, „ჰუმანური“, „მამობრივი მზრუნველობა“ წარმოების მუშაკების მიმართ წინა პლანზე გამოყენებული.

კატონიკ ურჩევდა მონათმფლობელებს ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც მეტ შედეგს მოუტანდა (მოვიგონოთ მონების კვება. მონებისათვის სხვადასხვა ავინდში შესაბამისი სამუშაოს გაძიება, ფიზიკურად სუსტი მონების თავიდან მოშორება და სხვა). თუ კატონის რჩევა-დარიგებებს შევადარებთ „ადამიანური ურთიერთობის“ პროგრამებთან, დავრწმუნდებით, რომ ორივე ემსახურება წარმოების საშუალებათა კერძო მესაკუთრეებს, ექსპლოატატორებს. განსხვავება იმაშია, რომ ეს რჩევა-დარიგებანი და პროგრამები ეხება სხვადასხვა ეპოქებს და შესაბამისად ემსახურება ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმებს.

საგულისხმოა „ჯენერალ ფუძ კორპორეიშნის“ მმართველობის თავმჯდომარის კლარენს ფრენსის ცინიკური განცხადება, მისი რჩევა-დარიგება „ადამიანური ურთიერთობის“ თაობაზე. იგი წერს: „ადამიანები შედგებიან სხეულის, ჰკუისა და სულისაგან. თვითთული, ამ შემადგენელი ნაწილიდან, განსაკუთრებით სული. გამოყენებული უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური გადიდების საქმეში დასმული მიზნების მისაღწევად“. კიდევ უფრო „შორს“ წავიდა ჰენრი ფორდ II. „მე ვფიქრობ, — თქვა მან, — თუ ჩვენ გადავწყვეტთ მრეწველობაში ადამიანური ურთიერთობის პრობლემას, მაშინ უახლოესი ათწლეულის განმავლობაში მიველწევთ წარმოების ხარჯების შემცირების ისეთ პროგრესს, როგორც მოვიპოვეთ გასული 25 წლის განმავლობაში მამობრივი წარმოების განვითარების გზით“. ყველაფერი ნათელია და, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია იმაზე, თუ რას გულისხმობს „ადამიანური“ ანუ „ჰუმანური ურთიერთობა“. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინის დანიშნულება იყო და არის შრომის ინტენსიფიკაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება, ექსპლოატაციის გაძლიერება, მოგების ამაღლება.

ტელიორიზმის დანიშნულებას შეადგენდა მუშის იზოლირება ამხანაგებისაგან, მუშის გადაქცევა მანქანის დანამატად. „ჰუმანური ურთიერთობის“ იდეოლოგიები თავიანთ ყურადღებას აქცევენ სა-

კითხის სოციალურ ასპექტს, „საწარმოო კოლექტივს“, „კორპორაციული სულსკვეთების“, „ჯანსაღი ატმოსფეროს“ შექმნას საწარმოებში და, მაშასადამე, „კლასობრივი ზავის“ დამყარებას.

მარქსიზმ-ლენინიზმი ამხელს „ადამიანური ურთიერთობის“ ანუ „ჰუმანური ურთიერთობის“ და მასთან ერთად „სოციალური პარტნიორობისა“ და „სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტური თეორიების ნამდვილ ბუნებას. მარქსიზმ-ლენინიზმი გმობს იმპერიალისტური ბურჟუაზიის „ჰუმანიზმის“ ნამდვილ ბუნებას. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები არა ერთხელ მიუთითებდნენ, რომ ნამდვილი ჰუმანიზმი, ჰუმანური ურთიერთობა შეუძლებელია კერძო საკუთრებისა და კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში. ნამდვილი ჰუმანიზმი და კომუნიზმი კი განუყოფელია. რეალური ჰუმანიზმი, — აღნიშნავდნენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, — ესაა კომუნიზმი. ნამდვილი ჰუმანიზმი მათ მიაჩნდათ კომუნიზმის სინონიმად. კომუნისტური იდეოლოგია თვლის, რომ კომუნიზმის მშენებლობის მორალურ კოდექსში შედის ასეთი ზნეობრივი პრინციპი — „ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ქმარა“.⁶⁵

3. „ჰუმანური ურთიერთობა“ — „ეკონომიური ჰუმანიზმი“ როგორც „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიის ახალი ვარიანტი

„ადამიანური ურთიერთობის“ ანუ „ჰუმანური ურთიერთობისა“ და „ეკონომიური ჰუმანიზმის“ დოქტრინა წარმოადგენს მონოპოლისტურ კაპიტალის აპოლოგეტთა ნიღაბს. ამ დოქტრინით სურთ მათ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა, ქანცის გამოცლის ახალი „მეცნიერული“ სისტემის შექმნა. გფრ-ის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია არ ღალატობს ტრადიციებს და დღესაც ხარბად ეტანება აშშ-იდან გადმოდებულ „მეცნიერულ“ მოძღვრებებსა და სისტემებს. ვ. ი. ლენინი სტატიის „ქანცის გამოცლის“ „მეცნიერული“ სისტემა“ წერდა: „ევროპის ბურჟუაზიას ამერიკიდან გადმოაქვს... მუშის ექსპლოატაციის უახლესი ხერხები“.⁶⁶

აი, სწორედ ერთ-ერთ ასეთ უახლეს ხერხსა და მოძღვრებას წარმოადგენს „ჰუმანური ურთიერთობა“. რაში მდგომარეობს „ჰუმანური ურთიერთობის“, „ეკონომიური ჰუმანიზმის“ უახლესი მოძღვრების არსი? იმაში რომ, შენიღბოს დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია, გააძლიეროს შრომის ინტენსიფიკაცია, გაადილოს მეწარმეთა მოგება და დააჩლუნგოს მუშათა კლასის პოლიტიკური

შეგნება. „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინამ ამჟამად ფართო გავრცელება პოვა ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის ბურჟუაზიულ თეორიასა და პრაქტიკაში. იგი ითვალისწინებს საწარმოებსა და საზოგადოებაში მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ისეთი ურთიერთობის („ადამიანური“) შექმნას, რომლის დროსაც მუშა თითქოს თავის ინტერესებს მთლიანად გააიგივებს იმ საწარმოს ინტერესებთან. რომელშიც იგი მუშაობს.“⁶⁷

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგიებს არ მოსწონთ სიტყვა „კაპიტალიზმი“ და ყოველნაირად ცდილობენ მის შეცვლას, შეფერადებას მიმზიდველი, მაღალფარდოვანი სიტყვებითა და გამოთქმებით. ნათქვამის საილუსტრაციოდ დავასახელებთ კვლავ ლოჯს. მისტერ ჰენრი ლოჯი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას ეწოდოს არა კაპიტალიზმი, არამედ „ეკონომიური ჰუმანიზმი“. მან განაცხადა, რომ იგი არაა სიტყვა „კაპიტალიზმის“ მომხრე და წინადადება შეიტანა, რათა კაპიტალისტებს დაერქვას „ეკონომიური ჰუმანიტები“, ხოლო მონოპოლისტურ კაპიტალიზმს „ეკონომიური ჰუმანიზმი“.⁶⁸

საქმე სიტყვებში და მათ შეცვლაში როდია. კაპიტალიზმის „გარდაქმნა“, „შეცვლა“, „გაუმჯობესება“ შელოცვებითა და მაღალფარდოვანი სიტყვებით წყლის ნაყვია. „განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, თუ რა შორს არის ბურჟუაზიული იდეოლოგიების ამგვარი ბოროტგანზრახული მონაწილანი სიმართლისაგან! ეს სიცრუე მათ მიაპიტი ადამიანების გასაბრძოლებლად შეთხზეს. კაპიტალიზმი არ გარდაქმნილა. იმპერიალიზმი იყო, არის და იქნება მშრომელთა მტერი, სოციალიზმის მტერი. მისთვის ახალი სახელწოდებების ძიება, ისეთისა, როგორც არის „სახალხო კაპიტალიზმი“ ან „ეკონომიური ჰუმანიზმი“, სხვა არა არის რა, თუ არა „ახალი სახელეების შერქმევა დაბერებული ძაღლისათვის“⁶⁹.

„ეკონომიური ჰუმანიზმის“, „ჰუმანური საზოგადოების“ ღრმა მეცნიერული“ დასაბუთება, როგორც უკვე ითქვა, იკისრეს ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებმა. ვ. რეპკემ ნეოლიბერალურ „სოციალურ ანუ თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“ უწოდა სწორედ „ეკონომიური ჰუმანიზმი“, ხოლო ბურჟუაზიულ საზოგადოებას „ჰუმანური საზოგადოება“. ვ. რეპკემ თავის წიგნში „ჰუმანური საზოგადოება“ სიტყვა „კაპიტალიზმი“ თითქმის ამოაგდო ხმარებიდან და იყენებს მხოლოდ ბრჭყალებში.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამცველები მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას ხატავენ ექსპლოატაციისა და კლასობრივი ბრძოლის გარეშე, ხოლო კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობას „ჰუმანურ ურთიერთობად“ და, რა თქმა უნდა,

კაპიტალიზმს „ეკონომიურ ჰუმანიზმად“, „ჰუმანურ ეკონომიკად“. დემოკრატიის განსახიერებად, „სამეურნეო დემოკრატიად“, „ჰუმანურ საზოგადოებად“. ამ რეაქციული და დემაგოგიური ილუზიების ანტიმეცნიერული ხასიათი აშკარაა. ვ. ი. ლენინი, აკრიტიკებდა რა „სამეურნეო დემოკრატიის“ ყბადაღებულ თეორიას, წერდა: „ეს ტერმინი თეორიულად სწორი არ არის. ყოველი დემოკრატია, როგორც საზოგადოდ ყოველი პოლიტიკური ზედნაშენი (აუცილებელი, ვიდრე კლასების მოსპობა არ დამთავრებულა, ვიდრე არ შექმნილა უკლასო საზოგადოება), ემსახურება, საბოლოო ანგარიშით, წარმოებას და განისაზღვრება, საბოლოო ანგარიშით, არსებული საზოგადოების საწარმოო ურთიერთობით. ამიტომ „საწარმოო დემოკრატიის“ გამოყოფა ყოველგვარი სხვა დემოკრატიიდან არაფერს არ გვეუბნება. ეს დომხალი და ლათაიაა“⁷⁰.

აღმავალმა ბურჟუაზიამ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წამოაყენა ჰუმანიზმის იდეები. ჰუმანისტური მიმდინარეობა და მისი იდეები „თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის“ შესახებ დიდ როლს ასრულებდა ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის მოსპობისათვის ბრძოლაში.

ბურჟუაზიული ჰუმანიზმი იმთავითვე კლასობრივ ხასიათს ატარებდა. იგი ემსახურებოდა ახალგაზრდა ბურჟუაზიას და გამოდიოდა ექსპლოატაციისა და კერძო საკუთრების ფეოდალური ფორმის წინააღმდეგ, რაც შეეხება კერძო საკუთრების საკითხს, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული ჰუმანიზმი მას ხსნიდა კაპიტალისტთა კლასის სასარგებლოდ და კერძო კაპიტალისტურ საკუთრებას ბუნებრივ და მუდმივ კატეგორიად აცხადებდა.

ბურჟუაზიული ჰუმანიზმი ეკონომიურ ცხოვრებაში ნიშნავდა „თავისუფალ მეწარმეობას“, „თავისუფალ კონკურენციას“, ფრიტრედერობას, ეკონომიური ლიბერალიზმის დოქტრინის ქადაგებას. ასეთმა იდეებმა, მაშინ, ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლის პერიოდში, დადებითი როლი შეასრულეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიამ დაამარცხა ფეოდალიზმი და კაპიტალისტური წარმოების წესი გაბატონდა, გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, კრიზისი განიცადა ბურჟუაზიულმა ჰუმანიზმმა, ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ადგილი დაიკავა ვულგარულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს ბურჟუაზიის იდეოლოგიები იწყებენ ადრინდელი, „ძველი“ ჰუმანიზმის ვულგარიზაციას. ეს აშკარა გახდა თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტა-

ლიზმიდან მონოპოლიებზე. მონოპოლისტური კაპიტალიზმის — იმპერიალიზმის სტადიაზე გადასვლის პერიოდში. იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიებმა დაიწყეს რუსოს, დიდროს, გოეთესა და სხვათა ვულგარული კრიტიკა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებში რეაქციონერი მწერალი და ფილოსოფოსი ს. კიერკეგორი (დანია) და, შემდეგ, გერმანელი რეაქციონერი ფილოსოფოსი ფრ. ნიცშე გამოდის „ძველი“, ბურჟუაზიული ჰუმანიზმის კრიტიკით. გერმანული ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი ლიდერი კ. იასპერსი „ახალი ჰუმანიზმის“ დამწყებად თვლის კიერკეგორსა და ნიცშეს. კიერკეგორისა და ნიცშეს „ჰუმანიზმი“ სინამდვილეში არც ძველი ბურჟუაზიული ჰუმანიზმის ვულგარიზაცია, მისი კრიზისის განსახიერება. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში კიერკეგორისა და ნიცშეს „ახალ ჰუმანიზმს“ გამოუჩინდნენ ახალი თეორეტიკოსები ო. შპენგლერისა და ექსისტენციალისტების სახით. „ახალი ჰუმანიზმის“ იდეები ხარბად გამოიყენა ჟაშინშმა თავის კაცთმოდულ თეორიებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში. თუ რაში მდგომარეობდა „ახალი ჰუმანიზმის“ არსი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე ამასზე პასუხს იძლევა გერმანელ ფაშისტთა მხეცური, არაადამიანური მოქმედება და მათი „ახალი წესრიგი ევროპაში“.

„ახალი ჰუმანიზმი“ ფართოდ გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიასა და საფრანგეთში. „ახალი ჰუმანიზმის“ მედროშეებად გამოდიან ექსისტენციალიზმის თეორეტიკოსები, რომლებიც აგრძელებენ კიერკეგორისა და ნიცშეს ტრადიციებს. „ახალი ჰუმანიზმი“ არაა ერთგვაროვანი. მას რამდენიმე განშტოება აქვს, რომელთა არსი ერთია — თანამედროვე ბურჟუაზიის დაცვა, კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა. „ჰუმანიზმის პრობლემების განხილვის მხრივ თანამედროვე ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში შეიმჩნევა სამი ძირითადი მიმართულება. პირველი — ფარისევლურ-მოშაქრული ქადაგი კაპიტალისტური წყობილების „ჰუმანიტური“ ხასიათის, „პიროვნების თავისუფლების“, „ადამიანის უფლებათა“ შესახებ. მეორე — აშკარა, ცინიკური პროპაგანდა კაცთმოდულობისა, ნეომალთუსელთა, რასისტების, ატომური ომის აპოლოგეტების, ე. ი. აშკარა ანტიჰუმანიზმის კაციკამიობის ბოღვა. მესამე — „ახალი ჰუმანიზმის“ თეორიები, რომლებიც ცდილობენ კაპიტალიზმის ანტიჰუმანური არსის მიჩქმალვას, „ძველი“ ჰუმანიზმის — აღორძინების ეპოქის ჰუმანიზმის და განსაკუთრებით XVIII საუკუნის განმანათლებლებლისა, რომლებმაც იდეოლოგიურად მოამზადეს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევო-

ლუცია, კრიტიკით“.⁷² საგულისხმოა ჰ. ვაინშტოკის მიერ ჰაიდელბერგში 1954 წელს გამოცემული წიგნი „ჰუმანიზმის ტრაგედია“⁷³. ჰ. ვაინშტოკი თავის წიგნში, უარყოფს რა კაცობრიობის მოძრაობასა და განვითარებას, წერს რომ ჩვენ მივღევართ მომავლისაკენ „დამტყრეული ჰუმანიზმით“.⁷⁴

დასავლეთ გერმანიაში ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებს დიდ დახმარებას უწევს ექსისტენციალიზმის რეაქციული ფილოსოფიური მოძღვრება. განსაკუთრებით გავრცელებულია დასავლეთ გერმანიაში ნეოლიბერალური მოძღვრება კაპიტალისტური წყობილების „ჰუმანური“ ხასიათის შესახებ — „ეკონომიური ჰუმანიზმი“. ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლები „თავისუფალ ანუ სოციალურ საბაზრო მეურნეობას“ აცხადებენ „ეკონომიური ჰუმანიზმის“ განსახიერებად, „ჰუმანურ საზოგადოებად“, ხოლო ბურჟუაზიული გფრ-ის მოქალაქეებს „თავისუფალ პირებად“, კერძო მეწარმეებსა და დაქირავებულ მუშებს კი „სოციალურ პარტნიორებად“.

„ეკონომიური ჰუმანიზმის“ თეორეტიკოსები — ანტიჰუმანიზმის წარმომადგენლები, რევანშისტები და მილიტარისტები ქადაგებენ „ახალი ჰუმანიზმის“ იდეებს. „ახალი ჰუმანიზმისა“ და „ეკონომიური ჰუმანიზმის“ დამცველები დემაგოგიურად, თვალთმაქცურად აკრიტიკებენ, აყალბებენ რენესანსის ეპოქის ჰუმანიზმს. „ძველ“ ჰუმანიზმს. იმპერიალიზმის იდეოლოგიები ამოდ ცდილობენ დაარწმუნონ ხალხი, რომ საზოგადოებრივი განვითარების მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, რომელიც გაკეთებულია „ძველი კაპიტალიზმის“ მაგალითზე, თითქოს აღარ შეესაბამება თანამედროვე მსოფლიოს სურათს. იგი თითქოს უარყო ისტორიის მსვლელობამ და „არაადამიანური“ კაპიტალიზმისა და „ჰუმანური“ სოციალიზმის თეორიები წარსულის კუთვნილებად აქცია. „როგორც კლასიკური კაპიტალიზმი. ისე კლასიკური სოციალიზმიც XIX საუკუნის პროდუქტი იყო და მათ თავისი დრო მოჰყავსო“. — აი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენელთა „აღმოჩენა“.

„ეკონომიური ჰუმანიზმის“ აპოლოგეტური თეორია განსაკუთრებით გავრცელდა დასავლეთ გერმანიაში. ეს ბუნებრივია. გფრ-ში მრმდინარეობს რემილიტარიზაცია, კლერკალიზაცია და ფაშიზაცია ახალი ფორმით — კლერკალურ-ფაშისტურ რეჟიმის სახით. ამიტომ აქ ხდება სწორედ რეაქციულ-აპოლოგეტური თეორიების გაძლიერებული პროპაგანდა და პოპულარიზაცია. „ახალი ჰუმანიზმის“ პროპაგანდის საქმეში აქტიურობენ ექსისტენციალიზმის წარმომადგენლები. მათ „ახალ ჰუმანიზმს“ იზიარებენ პერსონალისტები, ნეო-

ლიბერალები, ბურჟუაზიული სოციოლოგები და სხვ. ექსისტენციალური „ახალი ჰუმანიზმის“ იდეები გავრცელებას პოულობს აიამარტო ბურჟუაზიულ სოციოლოგებსა და ეკონომისტებს შორის, არამედ მხატვრულ ლიტერატურაში, ფერწერაში, კინოსა და თეატრში და საერთოდ ხელოვნებაში. „რაც შეეხება ექსისტენციალიზმს, ის კარგა ხანია გავიდა ფილოსოფიის ფარგლებიდან და ფეხი მოიკიდა მხატვრულ ლიტერატურაში, ფერწერაში --- საერთოდ ხელოვნებაში.“⁷⁵ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ექსისტენციალიზმი დღეს მოდად არის გადაქცეული“⁷⁶.

ექსისტენციალიზმის თანამედროვე თეორიებს იყენებენ ნეოლიბერალები, აგრეთვე რევინიონისტები. ნეოლიბერალებს კვალდაკვალ მიყვებიან რევინიონისტები, მაგალითად, ე. ბლოხი. „განსაკუთრებით ფართო გავრცელებას პოულობს „ახალი ჰუმანიზმის“ ექსისტენციალური კონცეფცია ბურჟუაზიულ ლიტერატურაში. თეატრსა და კინოში. გარდაქმნილი ფორმით შეიარაღდა ამ კონცეფციით ზოგიერთი რევინიონისტი, მაგალითად. ლეფვერი --- საფრანგეთში, ე. ბლოხი --- გერ-ში“.

„ახალი ჰუმანიზმის“ ექსისტენციალურ თეორიათა დამახასიათებელი ნიშანია: ჯერ ერთი, ეს თეორიები გამოდიან ორი ფორმით --- ქრისტიანული (ე. იასპერსი --- დასავლეთ გერმანიაში, მარსელი --- საფრანგეთში) და ეგრეთწოდებული „ათეისტური“ (მ. ჰაიდეგერი დასავლეთ გერმანიაში და სხვ.); მეორე, ისინი ხშირად იძულებულნი არიან შენიღბონ თავიანთი ანტიჰუმანიზმი, პრაქაპიტალისტური, რეაქციული არსი თანამედროვე ბურჟუაზიული სინამდვილის ზოგიერთი მხარის „კრიტიკით“⁷⁷. დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალები --- „ეკონომიური ჰუმანიზმის“ თეორეტიკოსები, მიმართავენ, როგორც ერთ, ასევე მეორე ხერხს. ამისათვის საკმარისია მოვიგონოთ ნეოლიბერალური „შეჭიბრების წყობილება“, „თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობა“, „დეკარტელიზაცია“ და სხვ.

ნეოლიბერალები წინა პლანზე აყენებენ „ეკონომიურ ჰუმანიზმს“, ისინი თავგამოდებით ქადაგებენ „თავისუფალ მეწარმეობას“, „პიროვნების თავისუფლებას“. „თავისუფლება --- დიადო სიტყვაა, --- აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, --- მაგრამ მრეწველობის თავისუფლების დროშით ყოვლად ყაჩაღურ ომებს აწარმოებდნენ, შრომის თავისუფლების დროშით --- მშრომელებს ძარცვავდნენ“⁷⁸. დღესაც ასე დგას საქმე. ნეოლიბერალები და მათი თანამოაზრეები „თავისუფალი მეწარმეობის“, „პიროვნების თავისუფლების“. „ეკონომიური ჰუმანიზმის“ დემაგოგიური იდეებით გამოდიან.

ექსისტენციალიზმი უარყოფს თავისუფლების სოციალურ შინაარსს და ამ პროგრამას განიხილავს ექსისტენციალიზმის სათაყვანებელ იდეალისტურ-ანტროპოლოგიური თვალსაზრისით“. კ. მარკფერსონმა (ფილოსოფიის ბურჟუაზიულმა ისტორიკოსმა) ოქსფორდში გამოაქვეყნა წიგნი „მესაკუთრული ინდივიდუალიზმის პოლიტიკური თეორია ჰობსიდან ლოკამდე“, რომელშიც აქებს „მესაკუთრულ ინდივიდუალიზმს“. „მესაკუთრული ინდივიდუალიზმი“, კ. მარკფერსონის აზრით, განისაზღვრება შემდეგნაირად: „ინდივიდი არის თავისი პიროვნებისა და უნარის მესაკუთრე“, „ინდივიდი თავისუფალია იმდენად, რამდენადაც იგი არის საკუთრების ფუნქცია“ და ა. შ.⁷⁹ ამრიგად, კ. მაკფერსონი დასავლეთგერმანელი ექსისტენციალისტებისა და ნეოლიბერალების მსგავსად იცავს ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის კონცეფციას. ნეოლიბერალები და მათი მიმდევრები ამით, ცხადია, იცავენ კერძო კაპიტალისტურ საკუთრებას, ექსპლოატაციას, კაპიტალიზმს.

ნეოლიბერალური „ეკონომიური ჰუმანიზმი“, „თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობა“, „შევიბრების წყობილება“. „ჰუმანური ეკონომიკა“ საზრდოს იღებს ექსისტენციალური „ახალი ჰუმანიზმიდან“. შემთხვევითი არაა ის ფაქტი. რომ დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალების წელიწადეულში ხშირად ქვეყნდება სტატიები ნეოლიბერალური „თავისუფლებისა“ და ექსისტენციალიზმის ურთიერთკავშირის შესახებ. მრავალთაგან დავასახელებთ კ. ანტონის⁸⁰ და ო. ვაიტის⁸¹ სტატიებს. ექსისტენციალისტების მტკიცებით, თავისუფლებისა და „ეკონომიური ჰუმანიზმის“ განსახიერებას წარმოადგენს „თავისუფალი მეწარმეობა“. ეან პოლ სარტრი თავის ექსისტენციალურ ფილოსოფიას უწოდებს აგრეთვე „ჰუმანიზმს“. „ჰუმანიზმს იმიტომ, აცხადებს სარტრი, რომ ჩვენ მოვავაგონებთ ადამიანებს, რომ მათ არ ჰყავთ სხვა არავითარი კანონმდებელი გარდა თავის თავისა“. აი სწორედ ამას ქადაგებენ ნეოლიბერალები. ისინი გაიძახიან, რომ უნდა არსებობდეს „თავისუფალი მეწარმეობა“, „თავისუფალი კონკურენცია“, „მოქმედების თავისუფლება“ და კიდევ რამდენი „თავისუფლება“, რა თქმა უნდა, კერძო საკუთრებისა და კაპიტალისტური ანარქიული წარმოების პირობებში. განა შესაძლებელია თავისუფლება კაპიტალის, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში? ცხადია, არა.

ამრიგად, ექსისტენციალიზმის ფილოსოფიას იყენებენ ნეოლიბერალებიც, რომლებიც აგრეთვე წინა პლანზე აყენებენ „პიროვნების თავისუფლებას“ და „თავისუფალ მეწარმეობას“, „სამეურნეო

დემოკრატიას“. ექსისტენციალიზმიც ხომ ამართლებს და ხოტბას ასხამს კაპიტალისტურ ინდივიდუალიზმს. ექსისტენციალიზმი სოციალურ უთანასწორობას „ბუნებრივად“ აცხადებს და, მაშასადამე, კაპიტალისტური ინდივიდუალიზმის აპოლოგიას ეწვევა.

ბურჟუაზიული ეკონომისტება, პირველ რიგში ნეოლიბერალები, ხარბად ეწაფებიან ექსისტენციალისტების კ. იასპერსისა და მ. ჰაიდეგერის შეხედულებებს. ნეოლიბერალებს არც მემარჯვენე სოციალისტი თეორეტიკოსები ჩამორჩებიან. ნეოკანტიანელობა, ნეოპოზიტივიზმი და ექსისტენციალიზმი ფილოსოფიური სკოლებია, რომლებსაც უდიდესი გავლენა აქვთ სოციალ-დემოკრატის მემარჯვენე თეორეტიკოსებზე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ნეოლიბერალების წელიწადულში ნეოლიბერალმა პ. მუტჰეზიუსმა გამოაქვეყნა სტატაა „ნეოპოზიტივიზმი და ორდოს იდეები“.⁸²

ექსისტენციალიზმის ლიტერატურა ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, უმთავრესად კა საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში. „უკვე 30 წელზე მეტია, რაც ექსისტენციალიზმი წარმოიშვა და გავრცელება იწყო. მისი წარმოშობა დაკავშირებულია მარტინ ჰაიდეგერის წიგნთან „ყოფიერება და დრო“, რომელიც 1927 წელს გამოქვეყნდა... დასაწყისში ექსისტენციალიზმი იყო ცალკეული ფილოსოფოსების თვალსაზრისი. ის თანდათანობით იწყებს გავრცელებას, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეპიდემიის მსგავსად გავრცელდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში დასავლეთ გერმანიაში — ექსისტენციალიზმის სამშობლოში — და საფრანგეთში“⁸³. ექსისტენციალიზმისა და ექსისტენციალური ჰუმანიზმის მეორე მთავარი წარმომადგენელია კ. იასპერსი, რომლის მოძღვრებას იყენებს ნეოლიბერალიზმი. იასპერსის ექსისტენციალიზმი წმინდა რელიგიურ ხასიათს ატარებს. „კიერკეგორმა და ნიცემე აგვიხილა ჩვენ თვალები“, — აღნიშნავს კ. იასპერსი: იასპერსი გამოდის, როგორც ატომური ომის იდეოლოგი. „კარლ იასპერსი, გერმანული ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი, ამასთან ერთად არის ატომური ბომბის იმპერიალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი წარმომადგენელიც“.⁸⁴ ამიტომ, რომ ასე ხარბად ეტანებიან იმპერიალისტური ბურჟუაზიის წარმომადგენლები ექსისტენციალიზმს — მომაკვდავი კაპიტალიზმის ფილოსოფიას.

„ახალი ჰუმანიზმის“ წარმომადგენლები ცდილობენ ექსისტენციალიზმის ჩაყენებას მილიტარიზმისა და ნეოფაშიზმის სამსახურში. ეს ლოგიკურია. კ. იასპერსი ანტიკომუნისმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და მარქსიზმ-ლენინიზმის დაუძინებელი მტერია. „იასპერსი

ძველი ანტიმარქსისტია. 1931 წელს, როცა ძლიერდებოდა ფაშიზმის საფრთხე, იასპერსი არ გამოსულა მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის მტრის წინააღმდეგ, პირიქით, მან გაილაშქრა მარქსიზმის წინააღმდეგ. „მარქსიზმი. — წერდა ის. — გამოხატავს მხოლოდ რწმენას არარაობაში“.⁸⁵

ექსისტენციალიზმის ფილოსოფიას ემყარება სწორედ ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი, „ეკონომიური ჰუმანიზმის“ „შეფიდეოლოგი“ ვ. რეპკე. ექსისტენციალისტების მხარდამხარ გამოდის იგი და ლანძღავს მარქსიზმ-ლენინიზმს, კომუნისტების მშენებლობას კი მან უწოდა „კომუნისტების სატანისებური ექსპერიმენტი“.

1961 წელს გერმანულ ენაზე გამოვიდა კრებული „სად ვდგევართ ჩვენ დღეს?“⁸⁶ კრებულში მოთავსებულია ექსისტენციალისტ ვ. იასპერსის, სოციოლოგ შელსკის, თეოლოგ ბუბერის და სხვათა სტატიები. აქვეა აგრეთვე ნეოლიბერალ ვ. რეპკეს სტატია, რომელიც სავსეა ანტიმარქსისტული და ანტიკომუნისტური გამოხდომებით. კრებულის ავტორთა ერთი ჯგუფის აზრით, კითხვაზე: „სად ვდგევართ ჩვენ დღეს?“ პასუხის გაცემა შეუძლებელი ყოფილა.⁸⁷

ჩვენ დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ სწორედ ვ. რეპკეა „ეკონომიური ჰუმანიზმის“ მთავარი თეორეტიკოსი, ხოლო ნეოლიბერალური „მესამე გზა“ გამოცხადებულია „ეკონომიური ჰუმანიზმის“ განსახიერებად. ნეოლიბერალების „მესამე გზა“ კიდევ ერთ ახალ სახელწოდებას აძლევს თანამედროვე კაპიტალიზმს და ეს სახელწოდებაა „ეკონომიური ჰუმანიზმი“. ნაცვლად კაპიტალიზმისა ნეოლიბერალები ლაპარაკობენ არარსებული „ეკონომიური ჰუმანიზმის“, „ჰუმანური ეკონომიკის“ არსებობის შესახებ. სწორედ თავიანთ „მესამე გზაზე“ გაჭირვებით გამოაცხვეს ნეოლიბერალებმა „ეკონომიური ჰუმანიზმი“, რომელიც აგრეთვე „სახალხო კაპიტალიზმის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორიის კიდევ ერთი პროტოტიპია.

ნეოლიბერალური „მესამე გზისა“ და „ეკონომიური ჰუმანიზმის“ დამკველთა მიმართ შეიძლება მოვიგონოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომლებითაც იგი მიმართავდა ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიის იდეოლოგებს: ვ. ი. ლენინი სტატიაში „რეფორმიზმი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში“ 1911 წელს წერდა: „კერძო საკუთრების სრული ხელუხლებლობისა და კონკურენციის თავისუფლების გულისთვის სოციალიზმის ყველა ძირითად დებულებასთან აშკარა, პრინციპული, პირდაპირი ბრძოლის ნაცვლად, — ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზია, თავისი იდეოლოგიებისა და პოლიტიკური მოღვაწეების სახით, სულ უფრო და უფრო ხშირად გამოდის ეგრეთწო-

დებული სოციალური რეფორმების დამცველად სოციალური რევოლუციის იდეის წინააღმდეგ. არა ლიბერალიზმი სოციალიზმის წინააღმდეგ. არამედ რეფორმიზმი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ — აი, თანამედროვე „მოწინავე“, განათლებული ბურჟუაზიის ფორმულა“.⁸⁸

ნეოლიბერალებიც ბევრს ლაპარაკობენ „სოციალურ რეფორმებზე“ („დეკარტელიზაცია“, „რეპრიატიზაცია“, „მოგების სოციალიზაცია“, „ხელფასის კაპიტალიზაცია“, „საკუთრება ყველასათვის“ და სხვ.). ისინი ერთიმეორეში აზავებენ ლიბერალიზმის, რეფორმიზმის დოგმებს და ასე — „მესამე გზით“ (ე. ი. ბურჟუაზიული გზით) სურთ „კეთილდღეობა ყველასათვის“ ანუ „ეკონომიური ჰუმანიზმი“.

„ეკონომიური ჰუმანიზმის“ თეორეტიკოსები ბევრს ლაპარაკობენ „საშუალო კლასის“, „საშუალო მესაკუთრის“, პროლეტარიატის „დეპროლეტარიზაციის“, „შრომის ჰუმანიზაციის“ და სხვათა შესახებ. მათი მტკაცებით „ჰუმანურ საზოგადოებაში“ ხდება „საკუთრების დიფუზია“ — „საკუთრების დემოკრატიზაცია“ და „შრომის ჰუმანიზაცია“. „შრომის ჰუმანიზაციისა“ და „დეპროლეტარიზაციის“ დასაბუთებისათვის დაქირავებული შრომის მუშაკებს ისინი ყოფენ ორ ჯგუფად: „მუშაკები ლურჯი საყელოებით“ (აქ გულისხმობენ ფიზიკური შრომის მუშებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში) და „მუშაკები თეთრი საყელოებით“⁸⁹. წარმოების ავტომატიზაციის კვალობაზე იზრდება „თეთრსაყელოიანთა“ რაოდენობა, მასასადამე, ხდება „დეპროლეტარიზაცია“, „შრომის ჰუმანიზაცია“ და მთელი საზოგადოება გადადის „ჰუმანურ ეკონომიკაზე“.

ნეოლიბერალმა ვ. რუპკემ სქელტანიანი წიგნი მიუძღვნა „ეკონომიური ჰუმანიზმის“ დასაბუთებასა და პროპაგანდას. მისი წიგნის სახელწოდებაც „ჰუმანური საზოგადოება“ არის. წიგნის ქვესათაური „საზოგადოებისა და ეკონომიური რეფორმების ძირითადი საკითხები“. ვ. რუპკეს მთელი წიგნის ლეიტმოტივია მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის სახელის გატენა და კაპიტალიზმის გამოცხადება „ჰუმანურ საზოგადოებად“, ე. ი. თანამედროვე კაპიტალიზმის აპოლოგეტიკა. ვ. რუპკე იყენებს ექსისტენციალიზმის ფილოსოფიას და ასე „ასაბუთებს“ და „ამტკიცებს“ „ეკონომიური ჰუმანიზმის“ არსებობას და აუცილებლობას.

ვ. რუპკეს წიგნი „ჰუმანური საზოგადოება“ პირველად 1944 წელს გამოვიდა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ნეოლიბერალებსა და სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის სხვა ყიდის დამცველებს შორისაც. წიგნის შინაარსი მოკლედ ასეთია: იგი

იწყება წინასიტყვაობით პირველი და მეორე გამოცემისათვის და შედგება შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან. წიგნის პირველი ნაწილი „გონებრივი საფუძვლები“ ორი თავისაგან შედგება. მეორე ნაწილი „სახელმწიფო“, რომელიც ოთხი თავისაგან შედგება, მთლიანად ეთმობა ნეოლიბერალიზმის დამოკიდებულებას სახელმწიფოს საკითხებისადმი. აქ რეპკე განიხილავს ასეთ საკითხებს: „ძლიერი და სუსტი (ავადმყოფი) სახელმწიფო“, „სახელმწიფოს საპირისპიროდ“, „მეცნიერება“, „მსაჯი“, „პრესა“ და სხვ.

წიგნის მესამე ნაწილში „საზოგადოება“ ავტორი განიხილავს „პროლეტარიზაციის“ ნეოლიბერალურ თეორიას, ხოლო ბოლო, მეოთხე თავი, რომელიც ოთხი ქვეთავისაგან შედგება, მოიცავს შემდეგ საკითხებს: „ინდუსტრიის დეცენტრალიზაცია“, „სახალხო მეურნეობის სოფლის მეურნეობრივი არსი“, „საბაზრო მეურნეობის ხანგრძლივი სტაგნაცია“. „ახალი მსოფლიო წყობილება“, „მსოფლიო მეურნეობა“, „კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი“ და სხვ.

ვ. რეპკე იწყებს საკითხით „ეკონომიკისა და საზოგადოების ძველი და ახალი ფორმები: კაპიტალიზმი — კოლექტივიზმი — ეკონომიური ჰუმანიზმი“. რა თქმა უნდა, აშკარაა რეპკეს მეთოდის ვულგარულ-აპოლოგეტური მიზანდასახულობა. ვ. რეპკე — ვ. ოიკენის თანამოაზრე და მიმდევარი, უარყოფს ისტორიაში ცნობილ წარმოებით ურთიერთობათა ხუთ ძირითად ტიპს და იძლევა საზოგადოების განვითარების თავისებურ, თვითნებურ კლასიფიკაციას. ამით როდი კმაყოფილდება იგი. რეპკე ცილისმწამებლური გამოხდომებით გამოდის მეურნეობის სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ. წიგნი სავსეა აგრეთვე ანტიკაპიტალისტური და ანტიმონოპოლისტური ფრაზეოლოგიით და ცამდეა აყვანილი ყბადაღებული „ეკონომიური ჰუმანიზმი“. მასში ეკლექტიკურადაა შეერთებული სხვადასხვა კონცეფციები. ცნება „კაპიტალიზმი“ თითქმის ამოაგდო ხმარებიდან რეპკემ და, როცა იყენებს, მაშინაც ბრჭყალებში აქვს ჩასმული. აშკარაა რეპკეს „ანტიკაპიტალიზმისა“ და „ანტიმონოპოლიზმის“ დემაგოგიური ხასიათი.

რეპკეს მტკიცებით კაპიტალიზმი აღარაა დასავლეთ გერმანიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რაც შეეხება მეურნეობის სოციალისტურ სისტემას — სოციალიზმს, იგი რეპკესთვის არის „კოლექტივიზმი“ და „მართული ეკონომიკა“. გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის სახელმწიფოს, სოციალისტურ სახელმწიფოს კი რეპკე უწოდებს „ტოტალიტარულ სახელმწიფოს“. რეპკესეული ანტისოციალისტური ლექსიკონი სავსეა ასეთი გამოთქმებითაც: სოციალიზმი, როგორც „ტოტალიტარიზმი“, „პოლიტიკური და ეკონომი-

ური დესპოტია“⁹¹ და მრავალი სხვა. მსოფლიო სოციალისტურ სისტემას კი იგი უწოდებს „კომუნისტურ დიდ სივრცეს“.

ვ. რეპკეს სათაყვანებელი იდეალა „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“, რომელიც რეპკესავე მტკიცებით, არც კაპიტალიზმია და არც სოციალიზმი. ამრიგად, რეპკე გმობს, წყევლა-კრულვით იხსენიებს სოციალიზმს, მაგრამ არც „კაპიტალიზმი“ მოსწონს თურმე. რეპკეს ანტიკაპიტალისტური დემაგოგია და ფრაზოლოგია აშკარაა. იგი ემყარება ვ. ოიკენის ფსევდოთეორიას „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ.

ნეოლიბერალებს, ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებს ფეხდაფეხ მიჰყვებიან გერმანიის მემარჯვენე სოციალისტებიც. სოციალ-დემოკრატი ეკონომისტი ჰ. პეტერი მიუთითებს, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იდეური საფუძველია „ლიბერალური სოციალიზმის“ თეორია, ბურჟუაზიული ეკონომისტის ოპენჰაიმის „ლიბერალიზმისა და სოციალიზმის სინთეზი“⁹². ნეოლიბერალურ ბურჟუაზიულ ეკონომიურ თეორიებსა და მემარჯვენე სოციალისტთა შეხედულებებს შორის ჰარმონია სუფევს. მემარჯვენე სოციალისტებიც იმეორებენ ნეოლიბერალურ დოგმებს. „სოციალიზმი, რომელიც აშენდა სსრ კავშირში, მათთვის არის არა სოციალიზმი, არამედ „სახელმწიფო კაპიტალიზმი“ და „ტოტალიტარიზმი“, ხოლო მარქსისტულ-ლენინური თეორია მეცნიერება კი არაა, არამედ „ფსევდორელიგია“ და პოლიტიკური მითი“⁹³. გერმანელი ნეოლიბერალების აზრს იზიარებს აგრეთვე ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტი პროფ. გ. ჰაბერლერი. იგი ნეოლიბერალური „ცენტრალურ-მართული მეურნეობის“ ნაცვლად მიუთითებს „ცენტრალიზებულ კომუნისტურ ეკონომიკაზე“. გ. ჰაბერლერი მხოლოდ ერთადერთ „განსხვავებას“ ხედავს მეურნეობის სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის. ეს „ერთადერთი განსხვავება“ თურმე იმაში მდგომარეობს, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემა ვითარდება უმაღლესი ეკონომიური საბჭოს განუწყვეტლობის შესაბამისად, ხოლო კაპიტალისტური — ცალკეული პირების მოქმედებისაგან დამოუკიდებლად, ფასებისა და სარგებლის მექანიზმის დახმარებით.⁹⁴

ვ. რეპკე სოციალისტურ სისტემას, ან როგორც თვითონ უწოდებს — „კოლექტივიზმს“, „ღირიყისტულ-კოლექტივისტურ ინტეგრაციას“, ხოლო მასში შემავალ სოციალისტურ ქვეყნებს „სატელიტ სახელმწიფოებს“⁹⁵, უპირისპირებს „საბაზრო მეურნეობას“. მისი მსჯელობის თანახმად „საბაზრო მეურნეობა“ და „კოლექტივიზმი“ ანტითეზაა.⁹⁶ ნეოლიბერალების მიხედვით ანტითეზაა: „გეგმიანი

ეკონომიკა — საბაზრო ეკონომიკა“; „ღირიყიზში — საბაზრო ავტომატიზმი“; „პროტექციონიზმი — ლიბერალიზმი“⁹⁷. რა თქმა უნდა, სიტყვები და საღებავები არ ყოფნით ვ. რეპკეს და მის თანამოაზრეებს „საბაზრო ეკონომიკის“ — „ეკონომიური ჰუმანიზმის“ შექებისათვის, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების წესის შეფერადებულად და შელამაზებულად დახატვისათვის. იგი, გამოდის რა ექსისტენციალური „ჰუმანიზმიდან“, „ჰუმანურ საზოგადოებად“ აცხადებს „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“, ანუ „თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“, ე. ი. კაპიტალიზმს. კაპიტალისტური კერძო საკუთრება, კონკურენცია, „თავისუფალი მეწარმეობა“, ანარქიული კაპიტალისტური წარმოება მიაჩნია მას „ჰუმანიზმის“, „პიროვნების თავისუფლებას“, „თავისუფალი სამყაროს“ განსახიერებად. სოციალისტური წყობილება კი მას წარმოუდგენია, როგორც „ტოტალიტარიზმი“, „დესპოტია“, სედაც არ არსებობს „თავისუფლება“.

ექსისტენციალიზმის მთავარი წარმომადგენლის კ. იასპერსის მსგავსად ვ. რეპკე გაჰყვირის „ტოტალიტარიზმზე“ და მას უპირისპირებს „თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“ — „ეკონომიურ ჰუმანიზმს“, „ჰუმანურ საზოგადოებას“. ძნელი გამოსაცნობი არაა ის გარემოება, რომ გერმანული ექსისტენციალიზმის „ახალი ეთიკა“ და „ახალი ჰუმანიზმი“, და მასზე აგებული ნეოლიბერალური „ჰუმანური საზოგადოება“, თავისი არსით არის ანტიკომუნისტური და, მაშასადამე, ანტიჰუმანიზმი. „თანამედროვე ბურჟუაზიის ცენტრალური ამოცანა კაპიტალიზმის დაცვაა. იმისათვის, რათა შეინარჩუნონ ეს დრომოკმული წყობილება, რომელიც ხალხის მასებს წირავს ექსპლოატაციის, ჩაგვრის, უმუშევრობისა და გამაპარტახებელი ომებისათვის, ბურჟუაზია აწარმოებს შეტევას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წინააღმდეგ, ქება-დიდებას ასხამს კაპიტალიზმს და მას „თავისუფალ სამყაროს“, „თავისუფალი მეწარმეობის“ სამყაროს უწოდებს, მუშათა კლასის კოლექტივიზმისადმი საპირისპიროდ ეწევა ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის პროპაგანდას, ცილს სწამებს კომუნიზმს“.⁹⁸

ნეოლიბერალური „ეკონომიური ჰუმანიზმის“ დოქტრინის ანალიზი სრული სიცხადით გვიჩვენებს, თუ როგორ იქმნება ახალი ლეგენდები და ილუზიები, რომლებიც „დიდებისა“ და „თავისუფლების“ შარავანდელით მოსავენ დრომოკმულ კაპიტალისტურ წყობილებას, სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს. დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ერთ ნაწილს — წკრილ ხელოსნებს, ნახევრადპროლეტარებსა და სხვ. ზოგჯერ მართლაც სჭერათ ნეოლიბერალური ფრაზეოლოგიისა და დემაგოგიისა „ჰუმანური საზოგადოე-

ბის“ შესახებ. ე. ი. ლენინის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ისინი მს-
დევნენ ლიბერალურ ბურჟუებს, რომლებიც ცდილობენ ჩამოაშორონ
ისინი ბრძოლას, მათ ზურგს უკან კომპრომისს დებენ რეაქციასთან.
რყენიან მათს კლასობრივ შეგნებას და საქმით მათ ინტერესებს არ
იცავენ“⁹⁹.

ნეოლიბერალებმა ბევრი სინონიმი გამოუხანეს კაპიტალიზმს
(„თავისუფალი მეწარმეობის სისტემა“, „სოციალური კაპიტალიზ-
მი“, „ეკონომიური ჰუმანიზმი“, „შეჯიბრების წყობილება“, „სოცია-
ლური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“, „სოციალპარტნიო-
რობა“, „კლასობრივი პარტნიორობა“ და ა. შ.) და, ალბათ, კიდევ
ბევრის გამოძებნა დასჭირდებათ.

განსაკუთრებით მოსწონს ვ. რეპკეს „ეკონომიური ჰუმანიზმი“,
ე. ი. ნეოლიბერალური „მესამე გზა“. იგი წერს, რომ მისი იდეალია
„ისტორიული კაპიტალიზმის მკაცრი კრიტიკა და განკურნება ნა-
ლოვანებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, საბაზრო მეურნეობის პრინ-
ციპების დამყარება“. აქეთყენაა მიმართული რეპკესა და მისი თა-
ნამოაზრე „ნეოლიბერალ-ჰუმანიტების“ მთელი გოდება.

ვ. რეპკე, ნეოლიბერალები თავიანთი იდეალის („ეკონომიური
ჰუმანიზმი“) განხორციელების საუკეთესო საშუალებად თვლიან
ნეოლიბერალურ „მესამე გზას“, რომელიც თურმე, როგორც უკვე
ითქვა, არც კაპიტალისტურია და, რა თქმა უნდა, მეცნიერულ სო-
ციალიზმთან მას საერთო არაფერი აქვს. იმაში უნდა დავეთანხმოთ
ნეოლიბერალებს, რომ მათ „მესამე გზას“ და „ეკონომიურ ჰუმანი-
ზმს“ მართლაც არაფერი აქვს საერთო სოციალიზმთან, ან, რო-
გორც თვითონ უყვართ თქმა, „კოლექტივიზმთან“.

რატომ სჭირდებათ რეპკესა და „ეკონომიური ჰუმანიზმის“,
„ჰუმანიური ეკონომიკის“ სხვა თეორეტიკოსებს კაპიტალიზმის „კრი-
ტიკა!?! მხოლოდ იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ სოციალიზმს,
გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკას და, თანაც, ისე, რომ თავი კა-
პიტალიზმის მტრებად წარმოადგინონ. ვ. რეპკე იქამდეც კი
მივიდა, რომ უარყო სახალხო მეურნეობის გეგმიანი, რაციონალური
განვითარება არა მარტო კაპიტალიზმის დროს (ეს მას დასჭირდა
დემაგოგიური მიზნებისათვის), არამედ სოციალისტური ეკონომიკის
პირობებშიც. ვ. რეპკეს აზრით „კაპიტალის სწრაფი დაგროვების
პერიოდის შემდეგ ასეთი დისპროპორციები გარდუვალია რუსული
ტიპის გეგმიან სოციალისტურ ეკონომიკაში“.¹⁰⁰ ასეთ ხრიკებს
ვ. რეპკე იმიტომ მიმართავს, რომ ნეოლიბერალური „სოციალური
ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ დააყენოს კაპიტალიზმზე და,
წინ უმეტეს, სოციალიზმზე მაღლა, ე. ი. გამოძებნოს არარსებული

„ახალი“, „მესამე გზა“, რომელსაც იგი „ეკონომიურ ჰუმანიზმს“ უწოდებს.¹⁰¹

ვ. რეპკესა და მისი თანამოაზრეების ნეოლიბერალური „მესამე გზა“ ანუ „ეკონომიური ჰუმანიზმი“, რომელიც დაშენებულია ვ. ოიკენის დოქტრინაზე, უტოპიურ-რეაქციული მოძღვრებაა. „მესამე გზისა“ და მისი შესაბამისი „ეკონომიური ჰუმანიზმის“ არსი მდგომარეობს წვრილი წარმოებისა და თავისუფალი კონკურენციის წაქეზებაში იმ დარგებში, სადაც ასე თუ ისე საამისო პირობებია. ხოლო იმ დარგებში, სადაც წარმოების კონცენტრაციას აქვს ადგილი და გიგანტური საწარმოებია, ე. ი. მონოპოლიებია, რეპკე მოითხოვს (მონოპოლიების გასანეიტრალებლად) სახელმწიფოს ჩარევას, სახელმწიფო კონტროლს, „ლიბერალურ ინტერვენციონიზმს“.¹⁰²

შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ვ. რეპკე თავისი წიგნის მეორე ნაწილში „სახელმწიფო“ ყურადღების ცენტრში აყენებს „ლიბერალურ ინტერვენციონიზმსა“ და სხვა საკითხებს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდ როლს აკისრებენ ნეოლიბერალები ბურჟუაზიულ სახელმწიფოს „სოციალური საბაზო მეურნეობის“, „ეკონომიური ჰუმანიზმის“ შექმნის საქმეში. ბურჟუაზიული სახელმწიფო ვ. რეპკეს გამოყავს, როგორც მონოპოლიების საწინააღმდეგო ძალა.

აშკარად ჩანს ნეოლიბერალური „მესამე გზისა“ და მასზე მიმავალი ნეოლიბერალების „ეკონომიური ჰუმანიზმის“ რეაქციული და უტოპიური ხასიათი. თვით ნეოლიბერალებმა ეს გზა იმით უნდა დაამთავრონ, რომ ისტორიის „სანაგვე ყუთში“ გადაისროლონ „ეკონომიური ჰუმანიზმის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორიის ნაყარნუყარი და ნამსხვრევები. აეთია ცხოვრების დიალექტიკა.

ბურჟუაზიული იდეოლოგიები არ ცხრებიან და გაფაციცებით ეძებენ არგუმენტებს მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ. ისინი თეორიებს თეორიებზე ცვლიან. ეს „თეორიები“ — ფსევდოთეორიებში დიდხანს როდი ცოცხლობენ. რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ისტორია დავიწყებული ან ცხოვრებისაგან განადგურებული ჰიპოთეზებისა და თეორიების თავისებური სანაგვე ყუთი და სასაფლაოა. საზოგადოების განვითარების კანონზომიერება მოითხოვს დრომოკმეული კაპიტალიზმის დამხობას და მასთან ერთად, ცხადია, იმ აპოლოგეტური თეორიების გაცამტვერებას, დასამარებას, რომლებიც კაპიტალის აპოლოგეტებმა შეთხზეს დამბლადაცემული კაპიტალიზმის გამოსაჯანსაღებლად.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მკაცრად აკრიტიკებდნენ, როგორც

„პოლიტიკურ ლიბერალიზმს“, ასევე „ეკონომიურ ლიბერალიზმსა“ და ბურჟუაზიის „ჰუმანურ ლიბერალიზმს“. გერმანული ლიბერალიზმის, „პოლიტიკური ლიბერალიზმის“, „ჰუმანური ლიბერალიზმის“ კრატიკა მოცემულია „გერმანულ იდეოლოგიაში“. ბურჟუაზიის აპოლოგეტთა „ჰუმანიზმს“ და ლიბერალიზმს კ. მარქსი და ფრ. ენგელსი უწოდებდნენ ცარიელ მეოცნებობას.¹⁰³ ნეოლიბერალური „ეკონომიური ჰუმანიზმის“, „ჰუმანური ეკონომიკის“ უსაფუძვლობასა და დემაგოგიურ ბუნებას ამხელს მარქსიზმ-ლენინიზმი, მარქსისტ-ლენინელები. ამ ბოლო ხანებში ხშირად გვხვდება „ეკონომიურა ჰუმანიზმის“, „ჰუმანური ეკონომიკის“ დოქტრინის კრიტიკა, როგორც საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთული ქვეყნების მარქსისტთა შრომებში.¹⁰⁴ „ეკონომიური ჰუმანიზმის“ აპოლოგეტური თეორიის კრიტიკა მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმის მასალებში. „ეკონომიური ჰუმანიზმი“ სხვა არ არის რა, თუ არა „ახალი სახელების შერქმევა დაბერებული ძაღლისათვის“ — ნათქვამია პლენუმის მასალებში. ნეოლიბერალურ-კლერიკალური „ახალი ჰუმანიზმი“ უბოროტესი ანტიჰუმანიზმია.¹⁰⁵

**„თანამონაწილეობა“, „ეკონომიური (სამეურნეო)
დემოკრატია“, „ხელფასის კაპიტალიზაცია (ინვესტირება)“
და „ლაზოგვის თეორია“**

I. „თანამონაწილეობა“

„თანამონაწილეობის თეორია“¹ „სოციალური საბაზრო მეურნეობისა“ და „სოციალური პარტნიორობის“ შემადგენელი ნაწილია. კაპიტალისტურ საწარმოთა საქმეებში მუშის ეგრეთწოდებულ „მონაწილეობის“ თეორია წარმოადგენს სოციოლოგიური თეორიებიდან ერთ-ერთს, რომელიც სწავლობს „სოციალური პარტნიორობის“ დასაბუთებას². „თანამონაწილეობის თეორია“ კათოლიკე თეორეტიკოსების, მემარჯვენე სოციალისტებისა და რევიზიონისტების (ო. ნელ-ბროინინგის, მესნერის, ა. შუნჰანის, პ. იოსტის, ბლიუმენტალის) სათაყვანებელი მოძღვრებაა. ამ მოძღვრების საკითხებს სწავლობს და ამუშავებს დასავლეთ გერმანიის 49 სხვადასხვა ინსტიტუტი. არასრული ცნობებით, დასავლეთ გერმანიაში არის 152 რელიგიური ორდენი, 174 კლერიკალური კავშირი და გაერთიანება, 120-დე კათოლიკური ინსტიტუტი, სემინარი და სასწავლო დაწესებულება, 152 კლერიკალური გამომცემლობა, რომლებიც უშვებენ 244-დე კათოლიკურ ჟურნალსა და გაზეთს 8 920 000 ცალი ტირაჟით³; 25 სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, 8 თეოლოგიური ფაკულტეტი, 9 ფილოსოფიურ-თეოლოგიური უმაღლესი სკოლა და მრავალი სხვა. ეგრეთწოდებული „თანამონაწილეობა“ წარმოადგენს საწარმოებში „პარტნიორული ურთიერთობის“ ჩამოყალიბების, „სოციალური წარმოებრივი ატმოსფეროს“ ანუ „სოციალური პარტნიორობის“ შექმნის ცდას.⁴

„თანამონაწილეობის თეორია“ — ეს იგივე „სოციალური საბაზრო მეურნეობისა“ და „სოციალური პარტნიორობის“, ე. ი. „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიის გერმანული ვარიანტის პროპაგანდაა.

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები თავიანთ „საბაზრო მეურ-

ნეობას“ იპიტომაც უწოდებენ „სოციალურს“, რომ მუშები გამხდარან კაპიტალისტების „კომპანიონები“, „პარტნიორები“, წარმოების საშუალებათა „თანამოზიარეები“, „მესაკუთრეები“. მუშების „მონაწილეობა“ მოგებაში, საწარმოს მართვაში, შემოსავლებსა და ა. შ. თურმე „აქცევს კაპიტალისტურ საბაზრო მეურნეობას „სოციალურ საბაზრო მეურნეობად“.⁵ სავსებით სწორად შენიშნავს გდრ-ის ეკონომისტი პროფ. რ. ნაუმანი, რომ „სოციალური პარტნიორობა“, „საკუთრებაში თანამონაწილეობა“, „მოგებაში მონაწილეობა“ და სხვა მსგავსი ცნებები დემაგოგიური ლოზუნგებია.⁶

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის კათოლიკე იდეოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ „სოციალური პარტნიორობის“ ქადაგებას, რომელიც წარმოადგენს დღეს ბურჟუაზიული სოციალოგებისა და რეფორმისტების წამყვან ლოზუნგს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. კათოლიკური იდეოლოგიის მესვეურთა აქტიურობა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგიის საქმეში შემთხვევითი არაა. საკმარისია მოვიგონოთ რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველ პარტიას შეადგენს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და ქრისტიანულ-სოციალური კავშირი. ესაა გერმანიის ბურჟუაზიის პარტია, რომელიც სისხლბორცეულადაა დაკავშირებული დასავლეთ გერმანიის უმსხვილეს მონოპოლიურ გაერთიანებებთან. თვით კათოლიკური ეკლესიაც ითვლება უმსხვილეს მიწათმფლობელად. მარტო დასავლეთ გერმანიაში იგი ფლობს 250 000 ჰა მიწის ფართობს და არის რიგი უმსხვილესი სამრეწველო საწარმოების მთავარი აქციონერი. მიწების უმეტესობა ტყის სავარგულებია. 150 000 ჰა მიწას კათოლიკური ეკლესია იჯარით აძლევს გლეხებს, ეწევა მიწებით ვაჭრობასა და სპეკულაციას. კათოლიკური ეკლესიის ქონებას გფრ-ში განაგებს კ. ადენაუერის უახლოესი მეგობარი ბანკირი გერმან აბსი, რომელიც რომის პაპმა პიი XII 1959 წ. დააჯილდოვა უმაღლესი კათოლიკური ორდენით (გ. აბსი 1945 წელს ითვლებოდა სამხედრო დამნაშავეთა სიაში, მაგრამ ეს იყო ქაღალდზე).

აი რატომ აქტიურობენ კათოლიკური ეკონომიური მოძღვრების თეორეტიკოსები. კლერიკალიზმი, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლერიკალიზაცია ნიშნავს ფაშიზაციას შენიღბულ ფორმებში. „კლერიკალფაშიზმი, როგორც ფაშიზმის გამოვლინების ფორმა“, განსაკუთრებით დიდ მასშტაბს ღებულობს.⁷ „იმპერიალიზმის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება კლერიკალიზმს. იგი არ სჯერდება ეკლესიისა და მისი განშტოებული აპარატის გამოყენებას. მას

ახლა ჰყავს თავისი დიდი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხელისუფლებას უდგანან სათავეში ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში. საკუთარი პროფკავშირული, ახალგაზრდული, ქალთა და სხვა ორგანიზაციების შექმნით კლერიკალიზმი თიშავს მუშათა კლასის რიგებს, მშრომელთა რიგებს. მონოპოლიები უხვად აფინანსებენ კლერიკალურ პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც იყენებენ მშრომელთა რელიგიურ გრძნობებს, მათ ცრუმორწმუნეობასა და ცრურწმენებს.“⁸ აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს გფრ-ის მმართველი პარტია და ბონის კლერიკალურ-მილიტარისტული სახელმწიფო. „გფრ-ში ხელისუფლების, მთავრობის საპესთან დგანან სწორედ კლერიკალურ-ბურჟუაზიული პარტიები. გფრ-ში არის კლერიკალური ფაშიზმი“⁹. ბონის კლერიკალური ფაშიზმი თავისი არსებით იგივეა, რაც ჰიტლერული და მუსოლინის ფაშისტური დიქტატურა. „პოლიტიკური კლერიკალიზმი არის მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზედნაშენი.“¹⁰

გფრ-ში განსაკუთრებით შეიმჩნევა ბურჟუაზიული პოლიტიკურა ეკონომიის კლერიკალიზაცია. კლერიკალიზაციის პროცესმა დიდი მასშტაბი და გაქანება მიიღო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლერიკალიზაციის პროცესი მიმდინარეობს შემდეგ ძირითად ფორმებში: 1. ხორციელდება ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის უკვე ჩამოყალიბებულ მიმდინარეობათა კლერიკალიზაცია (მაგალითად, ნეოლიბერალიზმის, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის ეკონომიური თეორიებისა და სხვ.); 2. წარმოიშობა და ვრცელდება ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის საკუთრივ თეოლოგიური მიმდინარეობანი (მაგალითად, კათოლიკური სოციალური მოძღვრება „თანამონაწილეობის“, „პატერნალიზმისა“ და სხვათა შესახებ); 3. გამოდის ეგრეთწოდებული კათოლიკური რევიზიონიზმი, ე. ი. ხდება მარქსისტული თეორიის რევიზია და გაყალბება კათოლიკური სოციალური მოძღვრების პოზიციებიდან.¹¹

გერმანიაში კლერიკალური მუშათა ორგანიზაციები შეიქმნა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში. კლერიკალური ორგანიზაციების თეორიულ საფუძველს შეადგენდა კათოლიკური სოციალური მოძღვრებები. მათი შემქმნელია გერმანელი კათოლიკე არქი-ეპისკოპოსი კეტელერი. კლერიკალური ორგანიზაციების სახელმძღვანელო გახდა პაპი ლეე XIII-ის ენციკლიკა „რერუმ ნოვარუმ“. გერმანიის ქრისტიან-პროფკავშირთა „მინცის პროგრამა“ (1899), ემყარებოდა რა კათოლიკურ სოციალურ მოძღვრებას, ქადაგებდა

„შრომისა და კაპიტალის ასოციაციას“, კერძო მეწარმეებსა და მუშებს შორის „საქარხნო თანამეგობრობას“. მტკიცება არა სჭირდება იმას, რომ კათოლიკური სოციალური მოძღვრება იკვებებოდა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის დოგმებით და პირიქით. დღესაც იგივე მეორდება. დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტურა კაპიტალიზმის დამცველები კვლავ ძველ დოგმებს იმეორებენ, განგებ ამახინჯებენ ობიექტურ რეალობას, სინამდვილეს, რადგან კაპიტალის ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ — ეს აუცილებელია, ეს კანონია (ვ. ი. ლენინი).

აი სწორედ ამ ობიექტური ქეშმარტების მიჩქმალვასა და უარყოფას ცდილობენ „სოციალური პარტნიორობისა“ და „თანამონაწილეობის“ თეორეტიკოსები. „თანამონაწილეობის თეორია“ არსებითად გამოდის „სოციალური პარტნიორობის“ ბურჟუაზიული თეორიიდან, ე. ი. იქიდან, რომ ქადაგებს შრომისა და კაპიტალის „ასოციაციას“. „ამრიგად, „პარტნიორობა“ ანუ კაპიტალისა და შრომის ორგანული კავშირი არსებითად წარმოადგენს ფაქტების დამახინჯებას ექსპლოატაციის შენიღბვის მიზნით“.¹²

თვით ბურჟუაზიული ეკონომისტების განცხადებით მოთხოვნა, რომ მუშები უნდა მონაწილეობდნენ მართვაში, ემყარება „სოციალური პარტნიორობის“ იდეას.¹³ კლერეკალიზმი დასავლეთ გერმანიაში იყენებს სწორედ ვულგარულ-აპოლოგეტურ მოძღვრებებს, კათოლიციზმისა და ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის დოგმებს. კათოლიკური თეორიები — „პატერნალიზმი“, „პუმანური ურთიერთობა“, „თანამონაწილეობა“ და სხვები ბურჟუაზიულ-ვულგარული თეორიების ტიპურია, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიის იდეოლოგიურ არსენალში.

კათოლიკური მოძღვრების თეორეტიკოსები ავრცელებენ „ადამიანური ურთიერთობის“, „სოციალური პარტნიორობის“, ე. ი. „სახალხო კაპიტალიზმის“ იდეებს სხვადასხვა ვარიანტებით. „კათოლიკური სოციალური მოძღვრების მქადაგებლებთან „სოციალური პარტნიორობის“ კონცეფცია გამოდის სპეციფიკურ ფორმაში — როგორც კაპიტალისტურ საწარმოს საქმეებში მუშების თანამონაწილეობის თეორია“.¹⁴

„თანამონაწილეობის თეორია“ იმავე დანიშნულებისაა, რისიც „ადამიანური ურთიერთობის“ დოქტრინა. „თანამონაწილეობის“ ეს ფორმა დასავლეთგერმანელი მონოპოლისტების ადვოკატთა მიერ ნასესხებია აშშ-დან და გამოიყენება მუშათა კლასობრივი შეგნების მოსაწაპლავად. „თანამონაწილეობის თეორია“ წარმოადგენს მუშე-

ბისა და კაპიტალისტების თანამშრომლობის ქადაგებას თანამედროვე ეტაპზე.

„თანამონაწილეობის თეორიას“ მკიდრო იდეური ნათესაობა აქვს აშშ-ში გავრცელებულ აპოლოგეტურ თეორიებთან „რევოლუცია შემოსავლებში“, „რევოლუცია მმართველობაში“ („მენეჯერიზმი“.¹⁵ „მენეჯმენტი“), „კაპიტალის დემოკრატიზაცია და საკუთრების დიფუზია“ და სხვ. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ნეოლიბერალების წელიწადეულშიც გამოხმაურება პოვა დასახელებულმა აპოლოგეტურმა თეორიებმა. მაგალითად, ჰ. ო. ლენგლმა¹⁶ სპეციალური სტატია მიუძღვნა მენეჯერიზმის თეორეტიკოსის ამერიკელი ბერნჰემის წიგნს „მმართველთა საზოგადოება“ („მენეჯერთა საზოგადოება“), რომელიც ითარგმნა გერმანულ ენაზე.¹⁷ „მენეჯერიზმი“ („მენეჯმენტი“) აშშ-ში წარმოიშვა. იგი უშუალო კავშირშია „დადამიანური ურთიერთობის“ აპოლოგეტურ თეორიასთან. „მენეჯერიზმი“ და „მენეჯმენტის“ თეორია არის მონოპოლისტური კაპიტალის თეორია.

„მმართველთა საზოგადოების“ — „მენეჯერიზმის“ თეორეტიკოსები უარყოფენ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას და კაპიტალისტური წარმოება გამოჰყავთ, როგორც „ეკონომიური ჰუმანიზმი“, „ჰუმანური წყობილება“. ამ აპოლოგეტური თეორიის წარმოშობა კავშირშია „ტიელორიზმთან“ და „ფორდიზმთან“, ტ. ვებ-ლენის „ტიქნოკრატიულ თეორიასთან“.

„თანამონაწილეობის თეორია“, ე. ი. გერმანული „სოციალ-პარტნიორობაც“ საზრდოობს ამერიკული „მენეჯერიზმიდან“, რომლის მთავარი წარმომადგენელი და თეორეტიკოსია ა. ბერლი. ეს ლოგიკურია. ამერიკული „მენეჯერიზმი“ ანუ „მმართველთა საზოგადოება“ წარმოადგენს „სახალხო კაპიტალიზმის“ საყრდენს. ასევე: „თანამონაწილეობის თეორიაც“ გათვალისწინებულია „სოციალური პარტნიორობის“, ე. ი. დასავლეთ გერმანიაში „სახალხო კაპიტალიზმის“ დასაბუთებისათვის.

„სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდა ემსახურება დასავლეთ გერმანიის კლერიკალურ-მილიტარისტულ რეჟიმს. ამიტომ, ბუნებრივია, „თანამონაწილეობის თეორიას“ ქადაგებენ არა მარტო პოლიტიკური კლერიკალიზმის თეორეტიკოსები, არამედ ნეოლიბერალებიც. ნეოლიბერალებს „თანამონაწილეობის თეორია“ სჭირდებათ „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“, „ინტეგრაციისა“ და „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდისათვის.

ნეოლიბერალებს არც დასავლეთ გერმანიის მემარჯვენე სოცია-

ლისტები ჩამორჩებიან. მემარჯვენე სოციალისტებიც იცავენ სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს „დემოკრატიული სოციალიზმის“ დოქტრინით, რომელშიც უხვადაა მოფენილი კათოლიკური და ნეოლიბერალური მოძღვრების მარგალიტები. ასე რომ, დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის სამსახურში დგანან კლერიკალები, ნეოლიბერალები, მემარჯვენე სოციალისტები და მონოპოლისტური ბურჟუაზიის ყველა ყაიდის აპოლოგეტები.

მონოპოლისტური კაპიტალის, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგია საჭიროებს, როგორც ნეოლიბერალურ, ასევე კათოლიკურ და მემარჯვენე სოციალისტი ლიდერების მოძღვრებასაც. ისინი ერთიმეორეს ავსებენ და საბოლოო ანგარიშით ქადაგებენ „კლასობრივ ზავს“, „სოციალურ პარტნიორობას“, სოციალურ ინტეგრაციას“, „სახალხო კაპიტალიზმს“.

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტები თვითონვე ლაპარაკობენ ეკლესიის საჭიროებაზე „სოციალური ინტეგრაციისა“ და „სოციალური პარტნიორობის“ იდეების გასავრცელებლად. კათოლიკური მოძღვრების თეორეტიკოსები „სოციალური პარტნიორობის“ ცხოვრებაში დანერგვას შესაძლებლად თვლიან „სიყვარულისა“ და „პატივისცემის“, „ჰუმანიზმის“ რელიგიური ღოზუნგებით. კათოლიკური რელიგია ეხმარება იმათ, „ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს. რელიგია სააქაო ცხოვრებაში ქველმოქმედებას ასწავლის, მთელი მათი ექსპლოატატორული არსებობის გასამართლებლად ძალიან იაფ საშუალებას აწვდის და ხელსაყრელ ფასად აძლევს ზეციური კეთილდღეობის ბილეთებს. რელიგია ხალხის ბანგა. რელიგია სულიერი მათრობელასმაგვარი რამაა, რომელშიც ახრჩობენ კაპიტალის მონები თავიანთ ადამიანურ სახეს, ადამიანის რაოდენადმე ღირსი ცხოვრების მოთხოვნებს“.¹⁸

კათოლიკურ სოციალურ მოძღვრებასა და ნეოლიბერალიზმს შორის აზრთა ერთიანობაა. ამას თვით ისინი, როგორც ნეოლიბერალები, ასევე კლერიკალიზმისა და რეფორმიზმის წარმომადგენლები, აღიარებენ. მაგალითად, საკმარისია მოვიგონოთ ნეოლიბერალთა გამომხატურება პაპის ენციკლიკებზე¹⁹. დასავლეთ გერმანიის ნეოლიბერალების წელიწადულში დაიბეჭდა კ. პაულ ჰენზელის, ე. კუნენელტ-ლედდინის, ი. ბლესისა და სხვ.²⁰ სტატიები, რომლებშიც განხილულია კათოლიკების სოციალური მოძღვრება და ნეოლიბერალების დამოკიდებულება და კავშირი მასთან.

ღიღი გამომხატურება ჰპოვა მემარჯვენე სოციალისტებში პაპა იოანე XXIII-ის ახალმა სოციალენციკლიკამ (1961 წლის მაისი). ამას-

თან დაკავშირებით დასაკლეთ გერმანიის მემარჯვენე სოციალისტებმა სპეციალური ბროშურა გამოაქვეყნეს სახელწოდებით „კათოლიკე და გოდესბერგის პროგრამა. მატერ ეტ მაგისტრას შემდეგ სიტუაციისათვის“²¹, რომელშიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობა აცხადებს, რომ მისი ახლანდელი ეკონომიური კონცენფციები მთლიანად ეთანხმება და შეესაბამება პაპის სოციალ-ენციკლიკას. მაშასადამე, მემარჯვენე სოციალისტებისა და კათოლიკური სოციალური თეორიის კონცეფციებს შორის არა თუ წინააღმდეგობაა, არამედ აზრთა ერთიანობა, სრული ერთიანობაა.

ნეოლიბერალმა ალ. რიუსტოვმა თავის შრომაში „პალეოლიბერალიზმი, კომუნიზმი, ნეოლიბერალიზმი, „ქრისტიანული პატიოსნება და ნეოლიბერალიზმის სოციალური საბაზრო მეურნეობა“²² განაცხადა: ყველა ქრისტიანული მიმართულება, განსაკუთრებით კათოლიკური ეკლესიის მოძღვრება, ერწყმის ნეოლიბერალიზმს. პრინციპულად არავითარი შეუთანხმებლობა არაა ქრისტიანობას და ნეოლიბერალიზმს შორის; აქედან კი გააკეთა დასკვნა, რომ ყველა შესაძლებლობა არის, რათა შეიქმნას ერთიანი ფრონტი ძველი ლიბერალიზმის, განსაკუთრებით კომუნიზმისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგო.²³

დასავლეთ გერმანიის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლერიკალიზაცია ლოგიკური და, თანაც, უდავო ფაქტია. ეს მოასწავებს აგრეთვე ფაშისტური პროპაგანდის აღორძინებასაც, ნეოლიბერალიზმის ფაშიზაციას.²⁴ ნეოლიბერალიზმისა და მემარჯვენე სოციალისტების რეაქციული თეორეტიკოსები არც კი უარყოფენ კლერიკალიზმის პოზიციებზე გადასვლას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობამ (ბრანდტი, ვენერი) თვითონვე განაცხადა, რომ მომავალშიც გააგრძელებენ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან ძველ კურსს²⁵.

დასავლეთ გერმანიაში მართლაც არის პარტნიორობა მონოპოლიურ გაერთიანებებსა და მათ მსახურებს შორის. „ადენაუერის ერა“ დამთავრდა, მაგრამ ამით არსებითად არაფერი არ შეცვლილა. ერჰარდის კაბინეტი წარმოადგენს მონოპოლიებისა და რევანშისტების კაბინეტს.²⁶ ბონის ახალი მთავრობა, როგორც თვით ერჰარდმა განაცხადა ბუნდესტაგის (პარლამენტის) სხდომაზე 1963 წლის 18 ოქტომბერს, „ესაა კოალიციური მთავრობა დაფუძნებული პარტნიორობაზე გამსჭვალული ნდობით“²⁷.

ნეოლიბერალები, მემარჯვენე სოციალისტები და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თეორეტიკოსები მართლაც პარტნიორები არიან, ისინი ერთად იცავენ გფრ-ის სახელმწიფო-მონოპოლის-

ტურ კაპიტალიზმს. პოლიტიკური კლერიკალიზმის პოზიციებზე დგას ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი ვ. რეპკე. მისი აზრით, პოლიტიკური კლერიკალიზმისა და ნეოლიბერალიზმის კავშირი აუცალებელია „თავისუფალი სამყაროსათვის“ კომუნისმის, კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნეოლიბერალიზმის კავშირი პოლიტიკურ კლერიკალიზმთან მეტყველებს აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკონომიის კრიზისზე. ამას ვერც ნეოლიბერალები უარყოფენ. მაგალითად, ნეოლიბერალმა კენცემ განაცხადა, რომ ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერების უბადრუკი მდგომარეობა აიძულებს მას მიმართოს დახმარებისათვის თეოლოგიას.²⁸

დასავლეთ გერმანიის კათოლიკური მოძღვრების წარმომადგენელმა ო. ნელ-ბროინინგმა თავის წიგნში „ეკონომიკა და საზოგადოება დღეს“²⁹ პირდაპირ განაცხადა, რომ მემარჯვენე სოციალისტების, რევინიონისტებისა და ქრისტიანულ-სოციალურ მოძღვრებებს შორის არავითარი წინააღმდეგობა არაა და აზრთა ერთიანობა სუფევს. რა თქმა უნდა, ნელ-ბროინინგმა არც ნეოლიბერალები დატოვა უყურადღებოდ. თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობს გერმანელი ნეოლიბერალების წელიწდეულში ადასტურებს კავშირსა და თანამშრომლობას ნეოლიბერალებს, მემარჯვენე სოციალისტებს, რევინიონისტებსა და კათოლიკური მოძღვრების თეორეტიკოსებს შორის.³⁰ კათოლიკური სოციალური თეორიის ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა, როგორცაა იეზუიტური პატერი ნელ-ბროინინგი აღიარა, რომ ამჟამად გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის კონცეფციებსა და კათოლიკურ-სოციალურ თეორიებს შორის განსხვავება უფრო ნაკლებია, ვიდრე კათოლიკურ-სოციალურ თეორიებსა და ნეოლიბერალიზმს შორის.³¹

ამრიგად, ლაპარაკია მხოლოდ ზოგიერთი, ფორმალური, არარსებითი ხასიათის განსხვავებაზე. ნეოლიბერალიზმისა და სოციალური კათოლიკური მოძღვრების ურთიერთკავშირზე ისიც მეტყველებს, რომ ლ. ერჰარდის, როგორც ეკონომიკის ყოფილი მინისტრის უშუალო ინიციატივით შექმნილი ჯგუფის („ეკონომიკის ფედერალურ მინისტრთან არსებული მუდმივი ეკონომიური საბჭო“) საქმიანობაში მონაწილეობდა აგრეთვე იეზუიტი პროფესორი ფონ ნელ-ბროინინგი. მან აზრი გამოთქვა ნეოლიბერალური „საბაზრო მეურნეობის“ სხარებლოდ, მხარი დაუჭირა „საბაზრო მეურნეობის“ შექმნის იდეას³². ნელ-ბროინინგი ქადაგებს აგრეთვე „მოგებაში მონაწილეობის“ დოქტრინას, მისი შრომის სახელწოდებაც „საკუთრების წარმოქმნა მუშის ხელში“³³ კი ამაზე მეტყველებს. ნეოლიბე-

რალური „საკუთრება ყველას“ იგეგვა, რაც ნელ-ბროინინგის „საკუთრება მუშათა ხელში“.

მემარჯვენე სოციალისტებმაც საკუთარ პროგრამებში პირდაპირ ჩამოაყალიბეს თავიანთი დამოკიდებულება — „თავისუფალი პარტნიორობა“ რელიგიასთან და საერთოდ პოლიტიკურ კლერიკალიზმთან.

ამრიგად. სრულიად ლოგიკურია და ბუნებრივი, რომ „თანამონაწილეობის“, „პარტნიორობის“, „ინტეგრაციისა“ და სხვა მსგავს აპოლოგეტურ თეორიებს ერთიანი ფრონტით ქადაგებენ კლერიკალიზმის, ნეოლიბერალიზმისა და რეფორმიზმის თეორეტიკოსები.

„თანამონაწილეობის თეორიის“ ფესვები შორს მდებარეობს და იკვებება ძველი და ახალი ვულგარულ-აპოლოგეტური დოგმებით. მას ბევრა საერთო აქვს პალეოლიბერალიზმის იმ იდეებთან, რომლებიც ბურჟუაზიამ წამოაყენა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. „თანამონაწილეობის“ თეორეტიკოსები იყენებენ ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის „სოლიდარიზმის“, „თანამშრომლობის“, „ინტერესთა ერთიანობის“. „ეკონომიური პარპონიებისა“ და ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ ძველ და ახალ იდეებს და მათი პროპაგანდით უპირისპირდებიან მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ.

„თანამონაწილეობის თეორია“ ახალი ზოდია. იგი წარმოადგენს „ინდუსტრიული დემოკრატიის“ დოქტრინის გადამღერებას, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს წამოაყენეს ფაბიანელებმა — ბეატრისა და სიდნეი ვებებმა.³⁴ მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში კი ანალოგიური თეორია შეაკოწიწეს რ. პილფერდინგმა და ფ. ნაფტალიმ. რომელიც ცნობილია „სამეურნეო“ ანუ „საწარმოო დემოკრატიის“, „ეკონომიური დემოკრატიის“ სახელწოდებით.³⁵ თანამედროვე პირობებში კი მას ქადაგებენ არა მარტო მემარჯვენე სოციალისტები, არამედ ნეოლიბერალებიც. მათი აზრით „ეკონომიური დემოკრატია“ არის „მეწარმეთა და სამუშაოს მიმღებთა ეკონომიური თავისუფლება“.³⁶

2. „სამეურნეო დემოკრატია“, „ეკონომიური დემოკრატია“

„სამეურნეო დემოკრატიის“ რეფორმისტული თეორიის პროპაგანდით გამოდიოდნენ ე. ბერნშტეინი და კ. შმიდტი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში.³⁷ ე. ბერნშტეინის „ინდუსტრიული დემოკრატია“ ნიშნავდა კაპიტალისტებისა და მუშების „თანამშრომლობას“, კლასობრივ ბრძოლაზე უარის თქმას, პროფკავშირების გადაქ-

ცევას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაციიდან მუშებისა და კაპიტალისტების „თანამშრომლობის“, ე. ი. „სოციალური ზავის“ შექმნის ორგანოდ.³⁸ „ეკონომიური დემოკრატიის“ თეორია საბოლოოდ ჩამოყალიბდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

„ეკონომიური დემოკრატიის“ ყბადაღებული თეორია 1918 წელს წამოაყენა გ. მიულერმა, ხოლო შემდგომ განავითარა იგი რ. ჰილფერდინგმა, რომელმაც ჰაიდელბერგისა (1925 წ.) და კილის ყრილობებზე „ეკონომიური დემოკრატია“ გამოაცხადა სოციალიზაციის განხორციელების ერთადერთ საშუალებად.³⁹

ამრიგად, „ეკონომიური ანუ სამეურნეო დემოკრატიის“ თეორეტიკოსები იყვნენ ე. ბერნშტეინი, კ. შმიდტი, ფ. ტარნოვი, ფ. ნაფტალი, რ. ჰილფერდინგი და სხვები.

გერმანიის პროფკავშირების ჰამბურგის კონგრესმა (1928 წ.) მიიღო რეზოლუცია, რომელიც ემყარებოდა „სამეურნეო დემოკრატიის“ თეორეტიკოსის ფ. ნაფტალის მოხსენებას. სრულიად გერმანიის პროფკავშირების დავალებით ფ. ნაფტალმა გამოაქვეყნა წიგნი „ეკონომიური დემოკრატია, მისი არსება, გზა და იდეა“.⁴⁰ ფ. ნაფტალის წიგნი პროფკავშირული კონგრესების სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა ბრესლაუსა (1925 წ.) და ჰამბურგში (1928 წ.). „ეკონომიური დემოკრატიის“ თეორეტიკოსები უგულვებელყოფდნენ კლასობრივ ბრძოლას და მოითხოვდნენ პროფკავშირების თანამშრომლობას კაპიტალისტებთან, „კლასობრივ ზავს“. ამგვარად, „ეკონომიური დემოკრატია“ იყო რეფორმისტული იდეა, რომელიც ემსახურებოდა კაპიტალიზმში სოციალიზმის მშვიდობიან „შეზრდას“.

„ეკონომიური დემოკრატიის“ პროპაგანდისტთა მტკიცებით „წარმოების მართვაში კაპიტალისტებთან ერთად მონაწილეობენ მუშებიც“. აი ამას უწოდებენ სწორედ „სამეურნეო დემოკრატიას“.⁴¹

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ დაიწყეს დასავლეთ გერმანიაში „ეკონომიური დემოკრატიის“ პროპაგანდა, მაგრამ ამჟერად „თანამონაწილეობის“, „ეკონომიური ჰუმანიზმისა“ და სხვა ამგვარი დემაგოგიური ლოზუნგებით. 1945 წლის 15 სექტემბერს ფრანკფურტში (მაინის) შეიკრიბა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კონფერენცია, სადაც წამოყენებულ იქნა „ეკონომიური სოციალიზმის“ პრინციპი“,⁴² რომელიც აგრეთვე „ეკონომიური დემოკრატიის“ ერთტიპიურია.

კ. კაუცკის შვილმა ბ. კაუცკიმ „ეკონომიური დემოკრატია“ გა-

მოატბადა „პოლიტიკური დემოკრატიის“ არსებით დამატებად, „ეკონომიურ დემოკრატიას“ უწოდა „დემოკრატიის საფუძველი“.⁴³

ბენედიქტე კაუცი არ ღალატობს მამის ტრადიციებს. ისიც რცავს და ქადაგებს „ეკონომიურ დემოკრატიას“. კ. კაუციკომ „წმინდა დემოკრატია“ წამოაყენა პროლეტარიატის დიქტატურის საპი-ჩისპიჩროდ. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი სტატიაში „დემოკრატიისა“ და დიქტატურის შესახებ“ წერდა: „შეიღმენები და კაუციები .წმინდა დემოკრატიაზე“ ან „დემოკრატიაზე“ საერთოდ ღაპარაკობენ იმიტომ, რომ მოატყუონ მასები და დაუმალონ მათ თ ა ნ ა მ ე ღ რ ო ვ ე დემოკრატიის ბ უ რ ე უ ა ზ ი უ ლ ი ხასიათი... ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია და აუცილებელი დაუმალოს ხალხს თანამედროვე დემოკრატიის ბურჟუაზიული ხასიათი, დასახოს იგი დემოკრატიად საერთოდ ან „წმინდა დემოკრატიად“, და შეიღმენები, აგრეთვე კაუციები, ამას რომ იმეორებენ, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე წ ი სტოვებენ პროლეტარიატის თვალსაზრისს და ბურჟუაზიის მხარეზე გადადიან“.⁴⁴

„სამეურნეო ანუ ეკონომიური დემოკრატიის“ ყალბ ღოზუნგეს ემყარებიან თანამედროვე პირობებში არა მარტო მემარჯვენე სოციალისტები, არამედ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ნეოლიბერალური მიმართულების თეორეტიკოსები. სწორედ ისინი ქადაგებენ დოქტრინას „ეკონომიური ჰუმანიზმი“, „თანამონაწილეობა“, „სოციალპარტნიორობა“ და სხვ.

„მუშების მონაწილეობა მოგებაში“, „მუშათა აქციები“, „მონაწილეობა მართვაში“, „მონაწილეობა საკუთრებაში“, ე. ი. „თანამონაწილეობა“ და „ეკონომიური დემოკრატია“ წარმოადგენს „სოციალური ზავის“ პროპაგანდას თანამედროვე ეტაპზე. „თანამონაწილეობა“, „სოციალური პარტნიორობა“, „ეკონომიური დემოკრატია“, „ეკონომიური ჰუმანიზმი“ ნიშნავდა და ნიშნავს ბურჟუაზიისთან პროლეტარიატის შეთანხმების პოზიციაზე, „სოციალური ზავის“ ანუ ექსპლოატირებულლებთან ექსპლოატატორების შერიგების პოზიციაზე დგომას.⁴⁵

პროფ. ლ. ერპარდი აგრძელებს ძველ ნეოლიბერალურ პოლიტიკას. დასავლეთ გერმანიის მშრომელები კარგად ხედავენ, რომ ერპარდი; მთელი ნეოლიბერალიზმის თეორია და პროგრამა არის ხალხის საწინააღმდეგო, ამიტომ რევოლუციური მუშათა კლასი გმობს ნეოლიბერალურ „სოციალურ პარტნიორობას“ და აშკარად გამოდის ბონის მთავრობის წინააღმდეგ.

ნეოლიბერალებსა და „თანამონაწილეობის“, „პარტნიორობის“, „ეკონომიური ჰუმანიზმის“ თეორეტიკოსებს ახალი არაფერი არ

აღმოუჩინიათ. „ლიბერალები ყოველთვის ამბობდნენ, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი სპობს კლასებს და კლასობრივ დაყოფას. რაკი ხმის უფლება, სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება განურჩევლად ყველა მოქალაქეს აქვსო. ევროპის XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთელი ისტორია, რუსეთის XX საუკუნის დასაწყისის რევოლუციის მთელი ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს. თუ რა უაზროა ამგვარი შეხედულებანი. ეკონომიური განსხვავებანი კი არ სუსტდებიან, არამედ ძლიერდებიან და მწვავედებიან „დემოკრატიული“ კაპიტალიზმის თავისუფლების დროს. პარლამენტარიზმი კი არ სპობს, არამედ აშიშვლებს ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკების, როგორც კლასობრივი ჩაგვრის ორგანოს, არსს“, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი 1908 წ. სტატიაში „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“.46 ასეთივე დახასიათება შეიძლება მივცეთ დღესაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას — კლერიკალურ-მილიტარისტულ რეჟიმსა და მის დამცველებს, რომლებიც დასავლეთ გერმანიას აცხადებენ „თავისუფალ სამყაროდ“, „ჰუმანურ საზოგადოებად“. „ეკონომიური დემოკრატიის“ განსახიერებად, „თავისუფლების რესპუბლიკად“, „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილებად“.

„თანამონაწილეობის თეორია“ ეყრდნობა აგრეთვე ვულგარულ-აპოლოგეტურ დოგმას: „შრომასა და კაპიტალს შორის ასოციაცია“ — „პარტნიორობა“ შრომასა და კაპიტალს შორის თანამშრომლობით“. „შრომისა და კაპიტალის ასოციაციის“ პროპაგანდისტები ცდილობენ მუშებისადმი იმის შთაგონებას, რომ თითქოს კაპიტალისტური საწარმო წარმოადგენს მუშების საწარმოს და, მაშასადამე, საწარმოს წარმატებით მუშაობა და განვითარება იწვევს მუშათა ხელფასის გადიდებასა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

„თანამონაწილეობისა“ და „თანამშრომლობის“ იდეები წამოაყენა გერმანიის 1848—1849 წლების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აღნიშნული იდეებით გამოდიოდნენ ბურჟუაზიულ-ლიბერალური და ქრისტიანულ-კლერიკალური რეფორმიზმის წარმომადგენლები (ნაუმანი, ჰიტცე, ლანგე და სხვ.). კორპორატივიზმის რეაქციული იდეოლოგია გახდა პრუსიული „სახელმწიფო სოციალიზმის“ შემადგენელი ნაწილი. 1891 წელს ვილჰელმ II-ის ინიციატივით რაიხსტაგმა მიიღო „კანონი მუშათა დაცვის შესახებ“, რომლის შესაბამისად წარმოება-დაწესებულებებში შეიქმნა „მუშათა კომიტეტები“. ეს ღონისძიებები ითვალისწინებდა „კლასობრივი ჰარმონიის“, „სოციალური ზავის“ დამყარებას.

1919 წლის ივლისში ვაიმარის ეროვნულმა კრებამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის 165-ე მუხლი აცხადებდა, რომ მუშებს მეურნეობის მართვაში მონაწილეობის უფლება აქვთ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი განსაკუთრებით დიდი გაქანება მიიღო დასავლეთ გერმანიაში „თანამონაწილეობის“ დოქტრინამ. „თანამონაწილეობის“ თეორეტიკოსთა მტკიცებით მუშათა ექსპლოატაციაზე დამყარებული კაპიტალიზმი უკვე აღარ არსებობს, რომ მის ნაცვლად თითქოს არის „ჰუმანური კაპიტალიზმი“, „პატერნალიზმი“, მუშის ღირსებისადმი „პატივისცემა“. კათოლიკური მორალი აუწყებს, რომ მუშებზე არსებობს მეწარმეთა „მამობრივი მზრუნველობა“ („პატერნალიზმი“) და გამორიცხულია ექსპლოატაციაზე დამყარებული მტრული ურთიერთობა მუშებსა და მეწარმეებს. მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორისო.

„თანამონაწილეობის თეორიის“ დამცველთა მტკიცებებით კაპიტალისტურ საწარმოებში სუფევს ურთიერთპატივისცემა, რომ მუშების მატერიალური, სოციალური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ამაღლებისათვის ზრუნავს ფირმის ადმინისტრაცია, წარმოების საშუალებათა კერძო მესაკუთრე. „თანამონაწილეობის“ თეორეტიკოსები გაიძახიან, რომ მუშა „მონაწილეობს“ ფირმის მართვაში, მოგების განაწილებასა და სხვ.

კაპიტალის დამცველთა ასეთი მტკიცებები არ ასახავს სინამდვილეს, რეალურ მდგომარეობას. საკმარისია შევნიშნოთ, რომ მარტო 1949 წლიდან 1960 წლამდე დასავლეთ გერმანიაში, ოფიციალური ცნობებით, 11011 საწარმოში ქონდა ადგილი გაფიცვებს. გაფიცვებში მონაწილეობდა 1.5 მილიონი მუშა და მოსამსახურე. გაფიცულები გამოდიოდნენ ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებით.⁴⁷ იბადება კითხვა: თუკი მუშებზე „მამობრივად ზრუნავენ“ და მუშები თავის მხრივ მონაწილეობენ საწარმოთა მართვასა და მოგების განაწილებაში, მაშინ ვის წინააღმდეგ გაიფიცნენ მუშები და რისთვის? გამოდის, რომ მუშები გაფიცვებს აწყობენ მუშების წინააღმდეგ! კომენტარები ზედმეტია. „თანამონაწილეობის თეორიის“ პროპაგანდის სიყალბე და მიზანი ცხადზე უცხადესია. იგი გამიზნულია დაქირავებული მუშების თვალის ასახვევად, მშრომელთა დატოვებისათვის სულიერ ტყვეობაში, პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების დაჩლუნგებისა და „სოციალური ზავის“ დამყარებისათვის, ე. ი. მონოპოლისტური კაპიტალიზმის დასაცავად. სწორად შენიშნავს ბულგარელი ეკონომისტი ტ. ვლადიგეროვი, რომ „თანამონაწილეობის თეორიის“, „პარტნიორობის“ მიზანია მუშების დამშვიდება, მათი ჩამოშორება კლასობრივი ბრძოლისაგან. ე. ი. იდეური განიარაღება.⁴⁸

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „თანამონაწილეობის“ თეორიაში — გამოყენებულია პაპის ენციკლიკები და კათოლიციზმის სხვადასხვა დოკუმები. პაპი ლევ XIII თავის ენციკლიკაში „რერუმ ნოვარუმ“ (1891 წ.) ჩამოაყალიბა კათოლიკური მოძღვრების სახელმძღვანელო დებულება კლასობრივი ბრძოლის შესახებ. ლევ XIII „მამობრივი მზრუნველობა მუშებზე“, მისი „პატერნალიზმი“ იმაში მდგომარეობს, რომ კლასობრივი ბრძოლა გამოცხადდეს არაარაობად. ხოლო „ასოციაცია შრომასა და კაპიტალს შორის“ — აუცილებელ მოვლენად. „კლასობრივი ზავისა“ და „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდას ეთმობა კათოლიკე არქიეპისკოპოსის გერმანელი ბარონის ფონ კეტელერის წიგნები „მუშათა საკითხი და ქრისტიანობა“ (1844 წ.), „ლიბერალიზმი, სოციალიზმი და ქრისტიანობა“ (1870 წ.). თავის წინამორბედებს არ ჩამორჩება კლემენს ბროკვიოლერი და სხვები, რომლებიც დღესაც იმავეს ქადაგებენ, ოღონდ უფრო შეფერადებულად და შელამაზებულად. სწორად შენიშნავს ამერიკელი პროგრესული ეკონომისტი პ. ბარანი — „მიამიტობაა იმაზე ფიქრი, რომ კერძო ფირმები გახდებიან „კეთილი ძია“ თავიანთი მუშებისა და მომხმარებლებისათვის და ხელს შეუწყობენ მასობრივი მოთხოვნების გადიდებას.“⁴⁹ გდრ-ის ეკონომისტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი იურგენ კუჩინსკი⁵⁰ თავის მრავალტომიან შრომაში თვით კაპიტალისტური გერმანიის ცხოვრებიდან აღებული ნამდვილი ფაქტებით გვიჩვენებს მუშათა კლასის ექსპლოატაციის ნამდვილ სურათს, რაც თავდაყირა აყენებს „თანამონაწილეობის“ დოქტრინას.

მაშასადამე, „თანამონაწილეობის თეორია“, „ეკონომიური დემოკრატია“ ახალი არაა. მისი ფესვები ძალიან შორსაა წასული. „თანამონაწილეობის“ ლოზუნგი „სამეურნეო დემოკრატის“ რეფორმისტული კონცეფციის შემადგენელი ნაწილია.

„ეკონომიური დემოკრატის“ აბოლოგეტურმა თეორიამ დიდი გაქანება და პოპულარობა მოიპოვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს ფაქტია, მაგრამ თავისთავად წარმოიშობა კითხვა: რამ გამოიწვია ეს? ამაზე პასუხს იძლევა ომის შემდეგდროინდელი დასავლეთ გერმანიის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა.

ნეოლიბერალები და კათოლიკური მოძღვრების თეორეტიკოსები „აკრიტიკებენ“, „გმობენ“ „ძველ კაპიტალიზმს“, ფაშისტურ კორპორაციულ სახელმწიფოს, ტოტალიტარიზმს და ასეთი დემავოგიური გამოხდომებით იცავენ გფრ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს. ერთი მხრივ, ვ. ოიკენის, ვ. რეპკეს, ლ. ერპარდის და მათი მიმდევრების ნააზრევის, მეორე მხრივ, კათოლიკე თეორეტი-

კოსებისა და, მესამე მხრივ, მემარჯვენე სოციალისტების სახით გვაქვს მონოპოლისტური კაპიტალიზმის ერთტიპიური ანალიზი, რომლის არსს შეადგენს აპოლოგეტიკა. ყველა დასახელებული მიმდინარეობა თითქმის ერთნაირად „აკრიტიკებს“ „ძველ კაპიტალიზმს“, უწოდებს მას „ინდივიდუალისტურ“ კაპიტალიზმს და ქადაგებს „ეკონომიურ დემოკრატიას“, „საყოველთაო კეთილდღეობას“, „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილებას“. ნეოლიბერალები უმთავრესად „თავისუფალ ანუ სოციალურ საბაზრო მეურნეობაზე“ აკეთებენ მახვილს, კათოლიკური მოძღვრების თეორეტიკოსები „ეკონომიურ დემოკრატიას“ და „ჰუმანურ ურთიერთობაზე“, „თანამონაწილეობის თეორიაზე“, ხოლო მემარჯვენე სოციალისტები ერთზეც და მეორეზეც.

„თანამონაწილეობისა“ და „თანამოზიარეობის“. „ეკონომიური დემოკრატის“ დოქტრინას მჭიდრო კონტაქტები აქვს „კაპიტალის დემოკრატიზაციის“ აპოლოგეტურ თეორიასთან და, მასმასადამე, ისიც მიზნად ისახავს „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდას.

ფაქტები კი თავდაყირა აყენებს „სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტური თეორიების გერმანულ ვარიანტებსაც. საკმარისია მოვიგონოთ დასავლეთ გერმანიის გაფიცვები. გაფიცვებმა წამოსასხამი ჩამოგლიჯა „სოციალური პარტნიორობის“ მესვეურებს. თვით ლ. ერჰარდი რადიოთი გამოვიდა 1957 წლის 15 თებერვალს და განაცხადა, რომ მუშათა გაფიცვებით იქმნება „მომაკვდინებელი საფრთხე“.⁵¹

გრანდიოზული მასშტაბი მიიღო დასავლეთ გერმანიის მელითონეთა გაფიცვამ, რომელიც 1963 წლის მაისის დასაწყისში მოხდა. 1150 საწარმო უმოქმედოდ იდგა. გაფიცვაში მონაწილეობდა ასეულ ათასობით მუშა და მოსამსახურე. ასეთი დიდი გაფიცვა რურს არ ახსოვს მიმდინარე საუკუნის 20-იანი წლებიდან. გაფიცულმა მუშებმა დემონსტრაციები მოაწყვეს და მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას 8%-ით.⁵² დასავლეთ გერმანიის მუშათა მასობრივმა მოძრაობამ ააფორიაქა ბონი. ლ. ერჰარდმა თავის კაბინეტში მიიწვია გაფიცვის ხელმძღვანელები და მეწარმეთა წარმომადგენლები. მოლაპარაკება მიმდინარეობდა 6—7 მაისს. მელითონე მუშებმა ბრძოლით მიაღწიეს შეთანხმებას ხელფასის მომატებაზე 5%-ით. ხოლო 1964 წლის 1 აპრილიდან კიდევ 2%-ით.

მუშები თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიმართავენ გაფიცვებს, ე. ი. გამოდიან მონოპოლისტების წინააღმდეგ. მასმასადამე, „ეკონომიური დემოკრატია“, „თანამონაწილეობა“, „მოგებაში მონაწილეობა“, „სოციალპარტნიორობა“ და

„სოციალური ზავი“ ყალბი ლოზუნგებია. რომელ „პარტნიორობა-ზე“ და „დემოკრატიაზე“ შეიძლება ლაპარაკი, როცა მუშები ხელფასის მომატებისათვის იბრძვიან, ხოლო მონოპოლისტები, მულტი-მალაონერები ფუფუნებაში და პარაზიტულად ცხოვრობენ. განა შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ მულტიმილიონერები ფლიკები, ტი-სენებია⁵³. კრუპები და მათი მუშები „თანამონაწილეები“, „თანამოზიარეები“. „პარტნიორები“ არიან? რა თქმა უნდა, „პარტნიორობა“ არის დასავლეთ გერმანიაში, მაგრამ არა მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის, არამედ ექსპლოატატორულ ჯგუფებს შორის, მილიონერებსა და მთავრობას შორის. აი როგორია „სოციალური პარტნიორობა“. „სოციალური პარმონია“, „თანამონაწილეობა“, „ეკონომიური დემოკრატია“ დასავლეთ გერმანიაში. „ყველა ეს მე-თოდი — „მონაწილეობა მოგებაში“, „საერთო საკუთრება“, „ერთობლივი მეწარმეობა“, „ხელშეკრულებები პარტნიორობის საფუძველზე“. „მონაწილეობა საწარმოთა მართვაში“ — გამოიყენება აშშ-ში და განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიაში „შრომასა და კაპიტალს შორის თანამშრომლობის“ იდეოლოგიის შემდგომი გავრცელებისათვის. ისინი გამოიყენებიან საწარმოებში მუშათა „ინტეგრაციისათვის“ და ექსპლოატაციის გაძლიერებისათვის“.⁵⁴

„თანამონაწილეობის“, „კოლექტიური საკუთრების“, „თანამოზიარეობის თეორიის“ — ყბადაღებული „ეკონომიური დემოკრატიის“ დანიშნულებას შეადგენს პირველ რიგში კაპიტალისტური ეკრძო საკუთრების დაცვა. „საკუთრების დიფუზიის“ მსგავსად, „თანამონაწილეობის თეორიაც“, — „ეკონომიური დემოკრატია“ ემსახურება „სახალხო კაპიტალიზმის“, ე. ი. „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდას.

დასავლეთ გერმანიაშიც, რა თქმა უნდა, დიდი პოპულარობით სარგებლობს „საკუთრების დიფუზიის“ აბოლოგეტური თეორია, რომლის ნეოლიბერალური ვარიანტია სწორედ რეპრევატიზაცია და „საკუთრება ყველას“. ეს ბუნებრივი მოვლენაა. გფრ-ის გაბატონებული სახელმწიფო დოქტრინაა „სოციალური საბაზრო მეურნეობის“. „სოციალური ინტეგრაციისა“ და „სოციალური პარტნიორობის“ კონცეფცია, როგორც ამერიკული „სახალხო კაპიტალიზმის“ გერმანული ვარიანტები. ამიტომ რა გასაკვირია, რომ კლერიკალურ-მილიტარისტული რეჟიმის იდეოლოგიურ არსენალში „საკუთრების დიფუზიასა“ და „თანამონაწილეობის თეორიას“ — „ეკონომიურ დემოკრატიას“ დიდი პოპულარობა და პატივისცემა ექნება. „საკუთრება ყველას“ ანუ „საკუთრება ყველასათვის“ წარმოადგენს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ერთ-ერთ მთავარ

ლოზუნგსა და „ეკონომიური დემოკრატიის“ პრაქტიკულად განხორციელების ცდას. 1953 წელს კელნში ჩატარდა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სოციალური კომისიების კონფერენცია. კონფერენციამ გამოყო სპეციალური კომისია „საკუთრების შექმნისა“ და, მამასადამე, „ეკონომიური დემოკრატიის“ საკითხებთან დაკავშირებით.

„სააქციო კაპიტალის დემოკრატიზაციის“, „საკუთრების დიფუზიის“, „თანამონაწილეობის“, „საკუთრება ყველასათვის“ ბურჟუაზიულ-რეფორმისტული თეორიები, რომელთა სინთეზს წარმოადგენს „ეკონომიური დემოკრატია“, ანტიმარქსისტულია, ისინი ეწინააღმდეგებიან წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის კანონის მოქმედებას, ე. ი. ობიექტურ რეალობას. ამ ფსევდომეცნიერული თეორიების დანიშნულებაა სახელმწიფო-მონოპოლიტური კაპიტალიზმის აბოლოგეტიკა. მონოპოლისტური კაპიტალის თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ თითქოს ზღვბა კაპიტალისა და მახვილი საკუთრების დემოკრატიზაცია და დეცენტრალიზაცია და ყველა მესაკუთრეა, ე. ი. დამყარებულა „ეკონომიური დემოკრატია“.

გერმანიის მრეწველობის ფედერალური კავშირის კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელიც მსხვილი მესაკუთრეების კარნახით მუშაობს, 1955 წელს ჩამოაყალიბა და გამოაქვეყნა დემაგოგიური ლოზუნგი „ახალი სახალხო საკუთრებისაკენ კერძო საკუთრების საფუძველზე“. აღნიშნულ ლოზუნგს ცხოვრებაში ატარებენ რეპრევაციითა და „სახალხო აქციების“ გამოშვებით, რომელსაც თვლიან „ახალ გზად“ „სახალხო საკუთრებისაკენ“, „ეკონომიური დემოკრატიისაკენ“. ძნელი გამოსაცნობი არაა დასახელებული დემაგოგიური ლოზუნგების მიზანდასახულება. „ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა მარქსისტული დებულება კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროლეტარიზაციის გაძლიერების შესახებ. ექსპროპრიირებული მასებისათვის არ არსებობს საკუთრების დაუფლებინს სხვა პერსპექტივა, გარდა რევოლუციური გზით წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების დაწესებისა, ესე იგი მთელი ხალხის კუთვნილებად მათი გადაქცევისა“.⁵⁵

ამრიგად, „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორეტიკოსთა მტკიცება, რომ თითქოს ადგილი აქვს მსხვილი კაპიტალისა და საკუთრების დაქაჩისვას, დაწვრილურთიერთებასა და ყველა მუშა-მოსამსახურის გადაქცევას მესაკუთრედ, ე. ი. „ეკონომიურ დემოკრატიას“, „საკუთრებაში რევოლუციას“, ეწინააღმდეგება რეალურ სინამდვილეს. „თანამონაწილეობის“, „ეკონომიური დემოკრატიის“. „თანა-

მოზიარეობის“. რეპრევატიზაციის, „მუშათა აქციების“, „საკუთრება ყველასათვის“ და სხვა ამგვარი აპოლოგეტური დოგმებისა და ყალბი ლოზუნგების დანიშნულება იგივეა, რაც „მმართველობაში რევოლუციის“. „კაპიტალის დემოკრატიზაციისა“ და „საკუთრების დიფუზიის“, „დეპროლეტარიზაციის“⁵⁶ აპოლოგეტური თეორიებისა. ყველანი გამიზნულია „საკუთრებაში რევოლუციის“ დამტკიცებისათვის და. მასმასადამე, „სახალხო კაპიტალიზმის“ დასაბუთებისათვის.

დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგებმა, რომლებიც საკუთარი „თეორიული არშინით“ ზომავენ მოვლენას, ყოველნაირად ცდილობენ მსხვილი კაპიტალისტური კერძო საკუთრების შელამაზებას და კერძო საკუთრების მუდმივობის დამტკიცებას. სწორედ ამ მიზნით შეაკოწიწეს მათ „თანამონაწილეობის“, „თანამოზიარეობის“, „საკუთრება ყველასათვის“, „ეკონომიური დემოკრატიისა“ და სხვა მსგავსი კონცეფციები. კერძო საკუთრების მუდმივობა მათ გამოჰყავთ უარგუმენტო, გაცვეთილი, ყალბი მსჯელობიდან. ისინი პირად საკუთრებას განაგებ აიგივებენ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებასთან და ამით ცდილობენ იმის დამტკიცებას, თითქოს მარქსიზმ-ლენინიზმი ყოველგვარი საკუთრების მოსპობას მოითხოვდეს. კაპიტალისა და კერძო საკუთრების აპოლოგეტთა გაცვეთილი ყალბი მსჯელობაა, რომელსაც ნიდაბი ჯერ კიდევ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჩამოხადეს თავიანთ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის დამცველი ი. მენსერი იმეორებს თავისი წინამორბედების ყალბ მსჯელობას. რომ კერძო საკუთრება შეესაბამება და უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, „ეკონომიურ დემოკრატიას“ და მისი მოსპობა თითქოს შეუძლებელი იყოს. კომუნიზმის განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს არა საერთოდ საკუთრების მოსპობა, არამედ ბურჟუაზიული საკუთრების, კერძო კაპიტალისტური საკუთრების მოსპობა — აღნიშნულია „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, რაც დღესაც თავზარს სცემს ი. მენსერის მსგავს თეორეტიკოსებს. „ეკონომიური დემოკრატიის“ თეორეტიკოსები განგებ ხლართავენ საკუთრების საკითხს, რათა სახელი გაუტეხონ მარქსიზმ-ლენინიზმს. კერძო საკუთრებისა და კაპიტალის დამცველები დღესაც აკეთებენ განცხადებებს, თითქოს სოციალიზმი საერთოდ სპობდეს ყოველგვარ საკუთრებას, დემოკრატიას.

არა. მარქსიზმ-ლენინიზმი მოითხოვს კაპიტალისტური კერძო საკუთრების. ბურჟუაზიული დემოკრატიის მოსპობას, რაც, ცხა-

დია, არ მოსწონთ და არც აწყობთ მონოპოლისტური კაპიტალის მსახურებს და ამიტომ იგონებენ ისინი სწორედ ახალ-ახალ „თეორიებს“. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ სიტყვებით გვინდა ჩვენ მივმართოთ მონოპოლისტური კაპიტალისა და კერძო საკუთრების თეორეტიკოსებს: „თქვენ თავზარდაცემული ხართ იმის გამო, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ კერძო საკუთრება. მაგრამ თქვენს დღევანდელ საზოგადოებაში კერძო საკუთრება უკვე მოსპობილია მის წევრთა ცხრა მეათედისათვის; იგი არსებობს სწორედ იმის მეოხებით, რომ არ არსებობს ცხრა მეათედისათვის. მაშასადამე, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ ის საკუთრება, რომელიც აუცილებელ პირობად გულისხმობს საკუთრების არქონას საზოგადოების დიდძალი უმრავლესობის მიერ“.⁵⁷

ქ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ამ სიტყვების სიდიადესა და სისწორეს ადასტურებს ისტორიის მსვლელობა, საზოგადოების განვითარების კანონზომიერება. დღეს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში საზოგადოების სიმდიდრის უდიდესი ნაწილი თავმოყრილია ერთი მუჭა მილიონერებისა და მულტიმილიონერების — მილიარდერების ხელში. მონოპოლისტურმა კაპიტალმა დაამყარა თავისი დიქტატურა აშშ-ში, დასავლეთ გერმანიაში, ინგლისში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ბუნებრივია, რომ სწორედ ამ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებშია გაცხოველებული უახლესი აპოლოგეტური თეორიების შეკოწიწება და პროპაგანდაც.

მონოპოლისტური კაპიტალისა და კერძო საკუთრების ლიკვიდაცია, ირწმუნებიან კაპიტალიზმის აპოლოგეტები, გამოიწვევს პიროვნების თავისუფლების მოსპობას, რომ თითქოს ამით მოიპობა ყოველივე საქმიანობა და საყოველთაო ზარმაცობა გამეფდებოდ. „პალეოლიბერალიზმის“ ერთგული წარმომადგენელი ლ. მიზესი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური კერძო საკუთრებისა და კონკურენციის ლიკვიდაციით სოციალისტური მეურნეობა პრინციპულად შეუძლებელიაო. კაპიტალისტური კონკურენციის მოსპობას ლ. მიზესის აზრით, უნდა გამოეწვია „რაციონალური მეურნეობის“, დემოკრატიის დასასრული. ლ. მიზესი გაიძახოდა, რომ ეკონომიური აღრიცხვა შეუძლებელია საბაზრო ფაქტების გარეშე. ამავე თვალსაზრისზე დგანან დღეს ნეოლიბერალი ვ. რეპკე და სხვები. ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, თუ როგორ დამახინჯებულად აქვს წარმოდგენილი სოციალისტური წარმოების წესი ლ. მიზესს.⁵⁸ სოციალისტურ ეკონომიკას მან უწოდა ანარქიისა და სიზარმაცის ბუდე, სოლო ფასებს ლ. მიზესი, ვ. რეპკე და მათი თანამოაზრეები

სოციალისტურ საზოგადოებაში უწოდებენ „ფიზიკურად ქვაზიფასებს“. „ერზაც ფასებს“ და სხვ. გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა მათი გაგებით არის „გეგმური ფეტიშიზმი“, „შეჭიბრების ჩახშობა“. „საყოველთაო სიზარმაცისა და უსაქმობის ბუდე“. ასეთი ყაიდის თეორეტიკოსებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები უწოდებდნენ „ლიბერალურ ყეყეჩებს“, „ჩერჩეტ ლიბერალებს“. „ეს რომ ასე იყოს, ბურჟუაზიული საზოგადოება დიდი ხანია უნდა დაღუპულიყო ზარმაცობის გამო, ვინაიდან აქ ის, ვინც მუშაობს, არაფერს იძენს, ხოლო ვინც იძენს, არ მუშაობს“.⁵⁹ — ნათქვამია „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“. ამას ემატება ისიც, რომ სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებამ, კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის მოსპობამ არანახული გასაქანი მისცა სოციალისტური ქვეყნების საწარმოო ძალთა განვითარებას. სოციალიზმის წარმატებებმა, მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ და მისმა გიგანტურმა წარმატებებმა თავდაყირა დააყენა კაპიტალიზმის დამცველთა მტკიცებები, რომ თითქოს კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად საყოველთაო სიზარმაცე გამეფდებოდა.

„სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ცხოვრებამ. პრაქტიკამ თვალნათლივ აჩვენა კერძო საკუთრებისა და კაპიტალიზმის კონკურენციის ლიკვიდაციის შემდეგ მეურნეობრივი ცხოვრების „ქრობის“ შესახებ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გულშოდგინე წინასწარმეტყველებათა სრული უსაფუძვლობა“.⁶⁰

ფაქტები ჯიუტია. ამიტომ მონოპოლისტური კაპიტალისა და კერძო კაპიტალიზმის საკუთრების აპოლოგეტებმა ნაწილობრივ შეიცვალეს ტაქტიკა და წამოაყენეს „უფრო ელეგანტური“ ლოზუნგები — „თანამონაწილეობა“, „ეკონომიური ჰუმანიზმი“, „ეკონომიური დემოკრატია“, „თანამოზიარეობა“. „საკუთრება ყველასათვის“ („საკუთრება ყველას“); „საკუთრების დიფუზია“. რეპრივატიზაცია და მრავალი სხვა.

დასავლეთ გერმანიაში ახლა მოდური ლოზუნგია „თანამონაწილეობა“, „ეკონომიური დემოკრატია“. „საკუთრება ყველას“ და სხვ. გფრ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმის დამცველი ო. ნელ-ბროინინგი ხოტბას ასხამს აპოლოგეტურ დოქტრინას „თანამონაწილეობა“ და „საკუთრება ყველას“. იგი ირწმუნება, რომ დასავლეთ გერმანიაში არაა მსხვილი კაპიტალიზმის საკუთრება და, რომ ყველა მესაკუთრე არისო, ყველანი კაპიტალიზმები არიანო. მაშასადამე, აღარავინ აღარაა კაპიტალისტი და აღარაა კაპიტალიზმიო. ტიპიური აპოლოგეტური ლაყბობაა. რომელსაც წაჭ-

დაუწუმ გაყვირიან ამერიკული „სახალხო კაპიტალიზმის“ ტრუბადურები. ნეოლიბერალები, მემარჯვენე სოციალისტები, კათოლიციზმის თეორეტიკოსები და ძმანი მათნი აცხადებენ. რომ დასავლეთ გერმანიაში აღარაა მონოპოლიური გაერთიანებები, მსხვილი მესაყუთრეები და თითქოს მუშები გახდნენ კაპიტალისტურ საწარმოთა „თანამოზიარენი“, რაც იწვევს კლასობრივი განსხვავების მოსპობას კაპიტალისტებსა და მუშებს შორისო. ე. ი. „ეკონომიურ დემოკრატის“.

„თანამონაწილეობის თეორიის“, „ეკონომიური დემოკრატის“ წარმომადგენლები იმიტომ აყენებენ ლოზუნგს „საყუთრება ყველასათვის“, რომ ამით შენაღბონ კაპიტალისტური კერძო საყუთრებისა და ექსპლოატაციის ნამდვილი ბუნება. მუშები და კაპიტალისტები, მუშათა კლასი და ბურჟუაზია გამოაქნადონ პარტნიორებად, ბოლო დასავლეთ გერმანია „სოციალური პარტნიორობის“, „ეკონომიური დემოკრატის“, „სოციალურად ინტეგრირებული და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ“.

ლოზუნგს „საყუთრება ყველასათვის“ ახორციელებენ სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით. ამათ შორის მთავარია: „მუშებან მონაწილეობა საწარმოთა მოგებაში“, „მუშათა აქციების“ ანუ „სახალხო აქციების“ გავრცელება, „ხელფასის კაპიტალიზაცია“, „საყუთრება ყველას დაზოგვის მეშვეობით“, „რეპრივაციზაცია“, „დეკარტელიზაცია“, „ერთობლივი მეწარმეობა“ და ა. შ. „ერთობლივი მეწარმეობა და მონაწილეობა მოგებაში ან შემოსავლებში“ ორ მიზანს ისახავს: ჯერ ერთი, კლასობრივი ბრძოლის მონოლითურობისა და მუშათა საბრძოლო ძალის შესუსტება; მეორე. მაქსიმალური მოგების მიღების უზრუნველყოფა.

„თანამონაწილეობის“ სისტემას არაფერი არ შეუცვლია წარმოების კაპიტალისტურ მართვაში. ამ სისტემის დამახასიათებელი ნიშანია „თანამონაწილეობის“ გამოყენება მუშათა კლასის ზედაფენების. განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატიული და პროფკავშირული ბიუროკრატის მოსყიდვის მიზნით. პრემიები, „მუშათა მონაწილეობა მოგებაში“, „მუშათა აქციები“ და სხვა ამგვარი ღონისძიებები არის მუშათა კლასის ზედაფენის მოსყიდვის ახალი ფორმები.

მონოპოლისტური კაპიტალი კარგად უნაზღაურებს „შრომას“ მუშათა არისტოკრატის წარმომადგენლებს. ამიტომაც, რომ „თანამონაწილეობის“ სისტემის დანერგვა ამუხრუჭებს საგაფიცო მოძრაობის გაშლას. „თანამონაწილეობის“ სისტემა ხელს „უშლის“ მუშათა კლასის რევოლუციურ და საგაფიცო მოძრაობას. „თანა-

მონაწილეობის“ სისტემა, „ხელფასის კაპიტალიზაცია“ ვერ ანთავისუფლებს და ვერც გაანთავისუფლებს კაპიტალიზმს ისეთი მუდმივი თანამგზავრისაგან, როგორცაა უმუშევრობა, ექსპლოატაცია.

ამრიგად, „თანამონაწილეობის“ სისტემა („მუშათა მონაწილეობა მოგებაში“, „ხელფასის კაპიტალიზაცია“ — „ეკონომიური დემოკრატია“) მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ, იგი გამოხატავს მონაპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს.

„თანამონაწილეობის“ სისტემის, „ეკონომიური დემოკრატიის“ შემადგენელი ნაწილია „მუშების მონაწილეობა მოგებაში“. „ადამიანური ურთიერთობის“, „მონაწილეობა მოგებაში“, „სახალხო აქციებისა“ და სხვა უახლესი სისტემები⁶¹ არის მონაპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიური იარაღი მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ა. „მონაწილეობა მოგებაში“, „ხელფასის კაპიტალიზაცია (ინფლაციკაბა)“, „ლაზოგვის თეორია“

„მოგებაში მუშების მონაწილეობა“, „ხელფასის კაპიტალიზაცია“ და „ლაზოგვის თეორია“⁶² დიდ როლს ასრულებს „სოციალური პარპონიის“, „ეკონომიური დემოკრატიის“ პროპაგანდის საქმეში.

„მოგებაში მუშების მონაწილეობა“ მჭიდრო კავშირშია „პარტნიორობის“, „თანამონაწილეობის“, „ეკონომიური დემოკრატიის“ დოქტრინასთან. იგი წარმოადგენს „კაპიტალისა და შრომის პარპონიის“ ძველი ვულგარული დოგმის გადამღერებას უფრო ტყბილ ხმაზე. „მოგებაში მუშების მონაწილეობა ანუ თანამონაწილეობა“ მოგვეგონებს აგრეთვე მემარჯვენე სოციალისტების ფორმულას „შრომისა და კაპიტალის ამხანაგობის“ შესახებ, რომელსაც ინგლისის ლეიბორისტული პარტია ქადაგებდა.⁶³

„შრომისა და კაპიტალის ამხანაგობა“ ემყარება კენსურ მოძღვრებას და გულისხმობს ეგრეთწოდებულ „განვითარების საბჭოების“ შექმნას ნაციონალიზებულ საწარმოებში, ცხადია, „მუშების მონაწილეობით“. ფრიდმანი, მოკი, სტრეჩი და სხვები დემაგოგიური ლოზუნგებით ცდილობენ „კაპიტალის დემოკრატიზაციისა და კოლექტივიზაციის“ დამტკიცებას. ცნობილი ინგლისელი სოციოლოგი ჯორჯ კოული. „ფაბიანელთა საზოგადოების“ თავმჯდომარე და მარქსიზმის გამყალბებელი, „სოციალური პარტნიორობის“ იდეებს იცავდა „დემოკრატიული სოციალიზმი“ ზოზიციებიდან. იგი ყოველთვის ცდილობდა მარქსისტული შრომითი

ღირებულების თეორიის „გაბათილებას“. კოული უარყოფდა კ. მარქსის მიერ აღმოჩენილი კაპიტალისტური დაგროვების კანონის მოქმედებას მონაპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, ქადაგებდა „მუშათა მონაწილეობას მოგებაში, დაგროვებაში“ და ასე იცავდა „კეინსურ სოციალიზაციას“.⁶⁴

იდეები „მუშათა მონაწილეობა მოგებაში, მართვაში, დაგროვებაში“ კოულმა განავითარა წიგნში „საბუთები სამრეწველო პარტნიორობის სასარგებლოდ“ (1957 წ.). როგორც ვხედავთ, გერმანელი ნეოლიბერალები კოულთანაც ვალში არიან. დასავლეთ გერმანიაში გავრცელებული მოდური თეორიები „მუშების მონაწილეობა მოგებაში“, „ხელფასის კაპიტალიზაცია (ინვესტირება)“, „დაზოგვა“ და სხვები ძალიან ახლოს არიან ძველ ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ კონცეფციებთან.

ამ ბოლო დროს ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გახშირდა აზარბაასი არა მარტო „კაპიტალის დემოკრატიზაციისა და კოლექტივიზაციის“ შესახებ, არამედ „დაგროვების კოლექტივიზაციის“ თაობაზეც. კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ კონცეფციებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე „ხელფასის კაპიტალიზაციასა“ და „დაზოგვის თეორიას“, რომლებიც თავს იყრიან „დაგროვების კოლექტივიზაციის“ დოქტრინაში.

„დაგროვების კოლექტივიზაციის“ აპოლოგეტური თეორია ემსახურება კაპიტალისტური დაგროვების ნორმის ამაღლებასა და დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის გაძლიერებას შენიღბულად. „ვეულგარიზატორები თავიანთი აპოლოგეტური თეორიებით ასაბუთებენ მშრომელთა საცხოვრებელ საშუალებებზე შემოვლილი თავდასხმების გზებს“.⁶⁵ ამის მაგალითია სწორედ „მოგებაში მონაწილეობა“. „ხელფასის კაპიტალიზაცია“ და „დაზოგვის თეორია“. ყველა ეს კონცეფცია კი საბოლოოდ თავს იყრის „დაგროვების კოლექტივიზაციაში“.

„დაგროვების კოლექტივიზაციის“ თეორეტიკოსების (ბერლი, სტრეჩი, შმელდერსი, ჰოისი და სხვ.) აზრით, კაპიტალის დაგროვების „კოლექტივიზაციის“ პროცესი მიდის სამი ხაზით: 1. საგადასახადო გამოსაღების ამაღლება და სახელმწიფოს მიერ კაპიტალის დაგროვების ფუნქციის განხორციელება, 2. თვითდაფინანსებისათვის კორპორაციათა შიგნით დაგროვების ზრდის გადიდებით და 3. საკრედიტო-ფინანსური ინსტიტუტების როლის გაფართოებით (მოსახლეობის ფართო მასების დანაზოგების მობილიზაცია; „ხელფასის დაზოგვა და კაპიტალიზაცია“, „სახალხო აქცია“ და სხვ.).

კაპიტალის დაგროვების „კოლექტივიზაცია“ უშუალო კავშირშია გერმანელი ნეოლიბერალის ვ. დრეხსლერის „ხელფასის კაპიტალიზაციის (ინვესტირების)“ კონცეფციასთან. კეინსის ნეოლიბერალმა მოწაფემ ვ. დრეხსლერმა გამოაქვეყნა წიგნი „სახალხო კაპიტალიზმი“⁶⁶. რომელშიც ქადაგებს „ხელფასის კაპიტალიზაციას“. იგი მოითხოვს „მუშათა მონაწილეობას მოგებაში“ და ხელფასის დაყოფას ორ ნაწილად: 1. „სახმარი“ და 2. „კაპიტალიზებული — ანუ ინვესტიციური“. „სახალხო კაპიტალიზმის“ გერმანელი პროპაგანდისტის ვ. დრეხსლერის აზრით, მუშებმა უნდა შეამცირონ პირადი მოხმარება და შეიძინონ აქციები, მონაწილეობა მიიღონ ინვესტიციებში, დაგროვების გადიდებაში.

ამავე აზრისაა ქრისტიან-დემოკრატი ჰოისლერი და კათოლიკური სოციალური მოძღვრების პროფ. ნელ-ბროინინგი. „ჰოისლერის გეგმით“ მუშის ხელფასი უნდა დაიყოს პროპორციით 1:2 (ერთი მესამედი მოხმარებისათვის და ორი მესამედი „კაპიტალიზებისათვის“. „ინვესტირებისათვის“). „დრეხსლერის პროექტით“ კი ნახევარი უნდა წავიდეს როგორც კაპიტალდაბანდება, ხოლო მეორე ნახევარი, როგორც პირადი მოხმარება.

„ხელფასის ინვესტირებისათვის“ და, მამასადამე, კაპიტალის დაგროვების გადიდების მიზნით აუცილებელი ყოფილა: ჯერ ერთი, „მუშათა მონაწილეობა მოგებაში“ და, მეორე, „მუშის მოგების დაზოგვა“. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დასავლეთ გერმანიის „ნაციონალურ ეკონომიაში“ დიდი ადგილი ეთმობა „მუშების მონაწილეობას მოგებაში“, „ხელფასის დაზოგვას“ და „ხელფასის კაპიტალიზაციას“. ეგრეთწოდებული „ხელფასის კაპიტალიზაცია“ არის „ხელუხლებელი დაზოგვის“ თანმიმდევრული ფორმა. აშკარად ჩანს, რომ ნეოლიბერალურ „დაზოგვის თეორიას“ ვულგარული ეკონომისტის სენიორის „თავშეკავეების“ აპოლოგეტური თეორიის სუნი ასდის. განსხვავება იმაშია, რომ სენიორი კაპიტალის დაგროვების წყაროდ აცხადებდა კაპიტალისტთა „თავშეკავებას მოხმარებისაგან“, ხოლო ნეოლიბერალები და მათი თანამოაზრენი „თავშეკავებასა და დაზოგვას“ მოითხოვენ მუშების მხრიდანაც. სენიორი სიტყვა კაპიტალს ცვლიდა „დათმენით“, რომელსაც მკაცრად აკრიტიკებდა კ. მარქსი. „ასევე უაზრო ხდება ფრაზა იმის შესახებ, რომ კაპიტალი წარმოიშვება დანაზოგიდან, რადგან ის, ვინც სპეკულაციას ეწევა, პირიქით, იმას მოითხოვს. რომ სხვებმა დაზოგონ მისთვის“⁶⁷, — აღნიშნავს კ. მარქსი.

თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები სწორედ იმაზე ამხვილებენ ყურადღებას, რომ მუშებმა დაზოგონ კაპიტალისტთა

მოგების გადიდების უზრუნველსაყოფად. რა თქმა უნდა, ამას ისინი აკეთებენ დემაგოგიურად, თითქოს „დაზოგვა“ ემსახურებოდეს თვით მუშების ინტერესებს.

ამრიგად, „დაზოგვის თეორია“⁶⁸, რომელსაც თავგამოდებით ქადაგებენ შმელდერსი, ჰოისი, დრეხსლერი, ფოიგტი, ჰიულე. ჰოისლერი და სხვები, გამომდინარეობს სენიორის, კეინსის, აგრეთვე ოიკენის ფსიქოლოგიურ-აპოლოგეტური დოგმებიდან და ემსახურება კაპიტალის დაგროვების გადიდებას. დასავლეთ გერმანიის ნეოლიბერალები ხარბად იყენებენ კეინსურ რეცეპტებს „დაზოგვისა და ინვესტიციების“ შესახებ. აი აქ, აშკარად ჩანს „კეინსური ეპიდემიის“ გავლენა ნეოლიბერალიზმის მოძღვრებაზე. „კეინსური დაზოგვის თეორია“ და „ნეოლიბერალური დაზოგვა“. მიუხედავად ზოგიერთი გარეგნული განსხვავებისა. ერთტიპიური ვულგარული თეორიაა და ერთ საბოლოო მიზანს ემსახურება.

კეინსის „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის“ თანახმად ადამიანთა შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება მოხმარების გადიდებასთან შედარებით, ე. ი. მატულობს დაზოგვა. რასაც კეინსი თვლიდა ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისების მიზეზად. კეინსი მოითხოვდა დაზოგვის შემცირებას. თითქოს პარადოქსია. კეინსი მოითხოვდა დაზოგვის შემცირებას, ხოლო მისი ნეოლიბერალური მოწაფეები — დაზოგვის გადიდებას. აქ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე პროცესი ხდება. როგორც კეინსი, ასევე ნეოლიბერალები ოცნებობენ ინვესტიციების გადიდებაზე. მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებაზე. კეინსის „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი“ აცხადებს, „რომ ადამიანებს აქვთ მიღრეკილება, როგორც წესი, შემოსავლების ზრდასთან ერთად თავიანთი მოხმარების გადიდებისა, მაგრამ არა იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება შემოსავალი.“⁶⁹

ნეოლიბერალები უფრო შენიღბულად მოქმედებენ. ისინი მოითხოვენ დაზოგვის გადიდებას, მაგრამ საბოლოოდ იმავე, კეინსური მიზნით მის გამოყენებას, ე. ი. ინვესტიციების გადიდებას. ნეოლიბერალები წინააღმდეგი არიან კეინსურ-დირიჟისტული დაზოგვისა და ქადაგებენ „მუშების მონაწილეობას მოგებაში“, „ხელფასის ინვესტიციური ნაწილის გადიდებას“, ინვესტირებული ხელფასის მოქცევას მსხვილი მონოპოლისტებისა და ბანკების ხელში. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები ამას დემაგოგიურად ქადაგებენ. მათი აზრით, „მუშების მონაწილეობა მოგებაში“ და დაზოგვის გადიდება შექმნის „საკუთრებას ყველასათვის“. შმელდერსი, მიულერი, ერლიჰერი და „დაზოგვის“ სხვა თეორეტიკოსე-

ბი აყენებენ დემავოგორ ლოზუნგს: „საკუთრება ყველას დაზოგ-
ვით...“⁷⁰

„დაზოგვის თეორია“, „ხელფასის კაპიტალიზაცია“ მოგვაგონ-
ნებს „კაპიტალის დემოკრატიზაციას“, კეინსურ და, აგრეთვე, ნეო-
ლიბერალურ „სოციალიზაციას“.⁷¹ დასავლეთეგრმანელი ნეოლი-
ბერალები „დაზოგვისა და ხელფასის კაპიტალიზაციის“ აპოლოგე-
ტურ დოგმებს ფარავენ მოშაქრული ლოზუნგებით: „თანამონაწი-
ლეობა“, „მონაწილეობა მოგებაში“, „მონაწილეობა მართვაში“,
„მონაწილეობა დაგროვებაში“, „საკუთრება ყველას“, „საყოველ-
თაო კეთილდღეობა“.

მუშების „მონაწილეობა მოგებაში“, „საწარმოს მართვაში“
და სხვა ნიშნავს „სოციალპარტნიორობის“ დანერგვას, „ინტეგრაცია-
ციის“ გატარებას ცალკეული ფირმების, მონოპოლიური გაერთიანებების მასშტაბით, რომლის საბოლოო მიზანია „ინტეგრაცია“
მეწარმეებსა და მუშებს შორის, ე. ი. „ეროვნული ინტეგრაცია“
ანუ „კლასობრივი ზავის“ დამყარება.

ბურჟუაზიის იდეოლოგები თვლიან, რომ „სოციალური ზავი“
შეიძლება განმტკიცდეს, თუ მუშა შეიგნებს, რომ იგი „მონაწი-
ლეობს მოგებაში“. და ამ მიზნით ქმნიან საწარმოებში „საწარმოო
საბჭოებს“, ირჩევენ „მუშა დირექტორებსა“ და სხვ., მაგრამ ყვე-
ლაფერი ეს კაპიტალისა და კერძო საკუთრების ბატონობის პირო-
ბებში არარაობადაა ქცეული.

„სოციალური პარტნიორობის“ დამკველები ყოველნაირად
ქადაგებენ „პარტნიორობას“, „თანამეგობრობას“ კაპიტალისტებსა
და მუშებს შორის. ამ დოქტრინას ასწავლიან და ნერგავენ საშუა-
ლო და უმაღლეს სასწავლებლებში. კაპიტალის თეორეტიკოსები
ქადაგებენ, რომ თითქოს: ა) იდეალური საწარმო დამყარებულია
მეწარმესა და მუშას შორის პარტნიორობაზე; ბ) ორივე ერთნაირ-
დაა დაინტერესებული საწარმოს, ფირმის წარმატებებში; გ) ორივე
მონაწილეობს საწარმოს მართვასა და მოგების განაწილებაში. „მო-
გებაში მონაწილეობის“ პროპაგანდა ზოგჯერ მიმდინარეობს ლო-
ზუნგით „საპაიო მონაწილეობა“⁷², რაც მოგვაგონებს კ. კაუცკის
ყალბ თეორიას „პოლიტიკური“ ანუ „წმინდა დემოკრატიის“ შესახებ.
კ. კაუცკი იცავდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის „ინტე-
რესთა პარმონიას“. იგი აცხადებდა, რომ სამრეწველო კაპიტალი
ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას და შედეგებს იღებს არა მარტო
კაპიტალისტი, არამედ მუშაკო. აქედან კ. კაუცკი აკეთებდა დასკვნას,
რომ წარმოების აყვავებით მუშებიც ისევე არიან დაინტერესებული.
როგორც კაპიტალისტიც. თანამედროვე ეტაპზე კვლავ

ქადაგებენ იმავეს გფრ-ში ნეოლიბერალები. დასავლეთ გერმანიაში „თანამონაწილეობას“, „სოციალპარტნიორობას“ უწოდებენ „კლასობრივი ზავის ახალ ერას“.73

„სოციალური ინტეგრაციისა“ და „სოციალური პარტნიორობის“ დამცველთა აზრით, კაპიტალისტურ საწარმოებში მუშებისა და კაპიტალისტების ინტერესები კი არ ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს, არამედ „ინტეგრირებულია“, მაშასადამე, სუფევს „პიროვნების თავისუფლება“, „ეკონომიური ჰუმანიზმი“, „დემოკრატია“, „ეკონომიური ჰარმონია“. ამ აბსურდული მტკიცების თაობაზე შეიძლება ვუპასუხოთ მათ ვ. ი. ლენინის სიტყვებით, რუსი ლიბერალებისადმი (ოქტიაბრისტებს, კადეტებსა და სხვ.). „ჩვენ გვინდა ვუთხრათ მათ, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — რომ ლიბერალიზმი და დემოკრატია სხვადასხვა რამაა. ლიბერალებისათვის ბუნებრივია „საზოგადოებრივ აზრად“ მიიჩნიონ ბურჟუაზიის აზრი და არა გლეხებისა და მუშების აზრი.“74

მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგებს „მოგებაში მონაწილეობის“ სხვადასხვა სისტემები — „მუშების მონაწილეობა საკუთრებაში“, „მონაწილეობა შედეგებში“, „მონაწილეობა შემოსავლებში“, „მონაწილეობა შემოსავლიანობაში“, „მონაწილეობა დაგროვებაში“, „ერთობლივი მფლობელობა“, „ანაზღაურება შედეგების მიხედვით“ და სხვა მიაჩნიათ „საზოგადოებრივ აზრად“. მუშათა კლასისათვის სასარგებლო სისტემებად. „მოგებაში მუშების მონაწილეობის“ თეორეტიკოსები სხვადასხვაგვარად განმარტავენ დასახელებულ კონცეფციებს. სწორად შენიშნავს გამოჩენილი გერმანელი ეკონომისტი გ. ჰილერი (გდრ), რომ „რამდენი ავტორიცაა, იმდენივე განსაზღვრება არსებობს“. მართალია. „მოგებაში მონაწილეობის“ განსაზღვრის მრავალი ვარიანტია, მაგრამ ყველა მათგანი ისახავს ერთ მიზანს — „სოციალური პარტნიორობის“ — „სოციალური ზავის“ პროპაგანდას.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, რომ ექსპლოატატორული კლასების მოგება იქმნება დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით. მოგება, სავაჭრო მოგება, სარგებელი და რენტა, ე. ი. ყველა ექსპლოატატორული კლასისა და ჩგუფის შემოსავალი არაშრომითია. ზედმეტი ღირებულება მათი წყარო, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით იქმნება. მოგება, სარგებელი, რენტა ზედმეტი ღირებულების ფორმებია. ზედმეტი ღირებულება კი იქმნება ზედმეტ სამუშაო დროში, რა თქმა უნდა, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით.

კაპიტალის აპოლოგეტთა ბანაკში უხვად მოიპოვებოდა და

მოიპოვება კაპიტალისტური ექსპლოატაციის შემნიღბავი, ანტი-მეცნიერული თეორიები („დათმენის“, „თავშეკავების“, „კაპიტალის წაყოფიერების“, „წარმოების სამი ფაქტორის“ და სხვა ვულგარულ-აბოლოგეტური დოგმები). თანამედროვე ეტაპზეც დასავლეთ გერმანიაში წინა პლანზეა წამოყენებული „მოგებაში მუშების მონაწილეობის“ — „თანამონაწილეობის“ დოქტრინა. ძნელი შესამჩნევი არაა ის ფაქტი, რომ „თანამონაწილეობის“, „თანამოზიარეობის“ დოქტრინა ემყარება ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ძველ დოგმებს. მეტიც, „თანამონაწილეობის“ დოქტრინას იდეური ნათესაობა აქვს ფაშიზმის კაცთმოძულე თეორიებთანაც.

საკმარისია შევნიშნოთ, რომ ნაცისტების პროგრამის მე-14 პუნქტის თანახმად ყველა მსხვილ საწარმოში შემოღებული იყო „მოგებაში მონაწილეობის“ სისტემა. „მოგებაში მონაწილეობის“ აბოლოგეტური დოგმა ნაციონალ-სოციალისტების სოციალური პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო. „თანამონაწილეობა“, „მუშების მონაწილეობა მოგებაში“, „სოციალპარტნიორობა“ ანლო იდეურ ნათესაობაშია ფაშისტურ „საწარმოო ამხანაგობასთან“.75 დღესაც იყენებენ მას დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამცველები, რა თქმა უნდა, ნეოლიბერალებიც, ოღნავ შეფერადებული ფორმით. ეს შეფერადება იმაში გამოიხატება, რომ „მოგებაში მონაწილეობა“, „თანამონაწილეობა“ ხორციელდება ლოზუნგებით: „დაზოგვით საკუთრება ყველას“, „სახალხო აქცია“, „ხელფასის კაპიტალიზაცია“, „დაგროვების კოლექტივიზაცია“ და ა. შ. ნაცისტური თეზისი „საწარმოს ფიურერისა და კოლექტივის ერთიანობა“ ამჟამად შეცვლილია „ახალი“ ნეოლიბერალური თეზისით „სოციალური პარტნიორობის“ ერთიანობა, ე. ი. მუშებისა და კერძო მეწარმეების „ერთიანობა“.76

„მოგებაში მონაწილეობის“ ლოზუნგს იცავს ვ. რეპკე. ვ. ჰუპერტმა სპეციალური ბროშურა⁷⁷ მიუძღვნა „მუშების („სამუშაოს მიმღებთა“) მონაწილეობას“ საწარმოთა მართვასა და შედეგების (მოგების) განაწილებაში. ვ. რეპკე, ვ. ჰუპერტი, ე. ჰოსისი და მათი მიმდევრები უარყოფენ კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის არსებულ ანტაგონიზმს, კლასობრივ ანტაგონიზმს. ე. ჰოისისათვის ნეოლიბერალურ „სოციალურ საბაზრო მეურნეობაში“ ნაცვლად კაპიტალისტისა და მუშისა, არიან „სამუშაოს მიმცემი“ და „სამუშაოს მიმღები“,⁷⁸ ე. ი. „პარტნიორები“. ჩვენ ვხედავთ, რომ ნეოლიბერალები იმეორებენ ძველ ვულგარულ ჯარგონს, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა გერმანიის ბურჟუაზიულ ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიაში.

XIX საუკუნის ვულგარულ ეკონომისტთა მსჯელობას „სამუშაოს მიმცემსა“ და „სამუშაოს მიმღებთა“ შესახებ აბდა-უბდას უწოდებდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „კაპიტალის“ I ტომის მესამე გამოცემის წინასიტყვაობაში ფ. ენგელსი წერს: „რა თქმა უნდა, მე აზრადაც არ მომავლია შემეტანა „კაპიტალში“ ის გავრცელებული ყარგონი, რომლითაც გერმანელ ეკონომისტებს თავიანთი აზრების გამოთქმა ჩვევიათ, — ეს აბდა-უბდა, რომლის მიხედვით, მაგალითად, მას ვინც ნაღდ ფულზე სხვის შრომას იღებს. ეწოდება სამუშაოს მიმცემი, ხოლო ვისაც ბელფასში შრომას ართმევენ — სამუშაოს მიმღები.“⁷⁹ აი, სწორედ ძველი ვულგარულა ყარგონის გამოყენებით ცდილობენ გერმანელი ნეოლიბერალები „მოგებაში მუშების მონაწილეობისა“ და „სოციალური პარტნიორობის“, „კლასობრივი ზავის“ დამტკიცებას. დასავლეთ-გერმანელი ნეოლიბერალები არ ღალატობენ თავიანთ წინაპორბედებს — XIX საუკუნის ვულგარულ ეკონომისტებს. ამ საქმეში ისინი მარტო როდი არიან. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

დიდად გავრცელდა „მოგებაში მუშების მონაწილეობის“ დოქტრინა საფრანგეთშიც. დე გოლმა 1958 წ. დაავალა შრომის მინისტრს ბაკონს მოხსენებოს შედგენა თემაზე: „მუშების მონაწილეობა მოგებაში“. 1959 წ. კი გამოქვეყნდა ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს მუშების მონაწილეობას მოგებაში: 1. მუშების მონაწილეობა საწარმოს მოგებაში, 2. მუშების მონაწილეობა საწარმოს კაპიტალდაბანდებებსა და თვითდაფინანსებაში და 3. მუშების მონაწილეობა და დაინტერესება შრომის ნაყოფიერების ზრდაში.

„თანამონაწილეობის“ თეორეტიკოსები ემყარებიან „სოციალურ ინტეგრაციას“, „სოციალურ პარტნიორობას“ და კაპიტალისტურ საწარმოებს, მსხვილ მონოპოლიურ გაერთიანებებს აცხადებენ „წარმოებრივ ერთობად“, ე. ი. ისეთ საწარმოებად, სადაც თურმე მუშები მონოპოლისტების „თანამონაწილნი“ და „თანამონაწილნი“ არიან. „წარმოებრივი ერთობა“ მათ მიაჩნიათ „პუმანური ურთიერთობის“ განსახიერებად.

„წარმოებრივი ერთიანობისა“ და „თანამონაწილეობის“ შექმნის მიზნით დასავლეთ გერმანიის ბუჩუქუაზიული იდეოლოგებ-აყენებენ შემდეგ მოთხოვნებს: 1. ნდობისა და თანამშრომლობის გაძლიერება კაპიტალისტებსა და მუშებს შორის; 2. იმ რწმენის განმტკიცება მუშებში, რომ კაპიტალისტები ისევე აუცილებელნი არიან წარმოებისათვის, როგორც მუშები; 3. „წარმოებრივი ერთ-

თობის "შექმნის ერთ-ერთ მთავარ პირობად გამოცხადებულია „მოგებაში მონაწილეობა“ და ამ ყალბი ლოზუნგის საფუძველზე მუშების გამოცხადება წარმოების აკარგიანობის პასუხისმგებელ „სუბიექტებად“, ე. ი. მუშების „ერთობლივი პასუხისმგებლობა“ საწარმო-ს შესახებ, მუშებში იმ ცრუ აზრის განმტკიცება, რომ თითქოს ისინი არიან კაპიტალისტურ საწარმოთა მესაკუთრეები⁸⁰, კაპიტალისტთა „თანამოზიარენი“, „თანამონაწილენი“ და სხვ. დასავლეთ გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ „თანამონაწილეობა მოგებაში“ გამოაცხადა, როგორც მთელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისი მოთხოვნა. ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა მესამე ბუნდესტაგის წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარა ლოზუნგით „კეთილდღეობა ყველასათვის! საკუთრება ყველას!“ პროფესორმა ლ. ერპარდმა კი სპეციალური წიგნი — „კეთილდღეობა ყველასათვის“ გამოაქვეყნა.⁸¹

„პარტნიორობა“ და „მონაწილეობა მოგებაში“ მიეკუთვნება „წაქეზების სისტემებს“⁸², რომლებიც გამიზნულია ექსპლოატაციის ფაქტის მიჩქმალვისა და, ამავე დროს, ზედმეტი ღირებულების წარმოების გადიდებისაკენ, რევოლუციური მოძრაობის დაკნინებისა და „კლასობრივი ზავის“ დამყარებისაკენ. მაგალითად, საკმარისია მოვიგონოთ, რომ მუშა გაფიცვაში მონაწილეობისათვის კარგავს „მოგებაში მონაწილეობის“ უფლებას.

ამრიგად, ცრუ თეორია „მუშების მონაწილეობა მოგებაში“ — „თანამონაწილეობა“ მიზნად ისახავს კაპიტალისტური ექსპლოატაციის ფაქტის მიჩქმალვას, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა გამოცხადებას „პარტნიორებად“, „თანამოზიარეებად“, „კომპანიონებად“, რომელთა შორის ურთიერთობა ცხადდება „ჰუმანურ ურთიერთობად“ და, რაც მთავარია, კლასობრივი ბრძოლა იცვლება „კლასობრივი ზავით“, სოციალური რევოლუცია კი „სოციალური ინტეგრაციითა“ და „სოციალური პარტნიორობით“. აი, რატომ მიიღო განსაკუთრებით დიდი მასშტაბი დასავლეთ გერმანიაში „მოგებაში მონაწილეობის“ — „თანამონაწილეობის“ სისტემების პროპაგანდაჲ.

„მოგებაში მონაწილეობის“ სისტემებსაც და მათ პროპაგანდასაც საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში „მოგებაში მონაწილეობის“ იდეებით გამოდიოდა ნ. რ. გილმანი, ბ. გოლდშმიდტი, გ. შმოლერი და სხვები. ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტი გ. შმოლერი წერდა, რომ „მოგებაში მონაწილეობა“ მუშას, რომელსაც სძულს თავისი მეპატრონე, აქცევსო კერძო მეწარმის ამხანაგად და თანა-

მონაწილედ.⁸³ „მოგებაში მონაწილეობის“ სისტემებს ამკერადაც დიდი ადგილი ეთმობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის არსენალში. „საუკუნეზე მეტია „მოგებაში მონაწილეობის“ სისტემებს ეთმობა ინგლისში, აშშ-ში, გერმანიაში გამოშვებული უამრავი ბურჟუაზიული და რეფორმისტული ლიტერატურა“.⁸⁴ ამ ლიტერატურის ავტორები მიზნად ისახავენ იმის დამტკიცებას, რომ თითქოს მუშე-ბიც მონაწილეობენ „მოგების განაწილებაში“ და მუშები ისეთივე „მესაკუთრეები“ და „თანამოზიარეები“ ყოფილან, როგორც კაპიტალისტები. „თანამონაწილეობის“ თეორეტიკოსები საზოგადოებას „სთავაზობენ საწარმოთა „თანამოზიარედ“ მუშების გადაქცევის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. ერთ-ერთ ასეთ ფორმად მესხერი, მაგალითად, თვლის მუშების მონაწილეობას მოგებაში“.⁸⁵

„მოგებაში მონაწილეობის“ აპოლოგეტური დოქტრინით გამოდიოდა ფაშიზმის დროს მუტჰეზიუსი. იგი ამქადა ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა რიგებში დგას და გამალებით ქადაგებს „სოციალპარტნიორობას“ „მოგებაში მონაწილეობის“ მეშვეობით. იგი კვლავ იცავს დემაგოგიურად ძველ ლოზუნგს „საერთო სარგებლობა პირადზე მაღლა“, რომელსაც დიდ ადგილს უთმობს წიგნში „შენ და მეურნეობა“.⁸⁶

„მოგებაში მონაწილეობის“ — „თანამონაწილეობის“ თეორეტიკოსებს რომ დავუჯეროთ, მაშინ გამოვა, რომ მუშები, გარდა ხელფასისა, იღებენ აგრეთვე მოგებასაც, ზედმეტი ღირებულების ნაწილს, „მეორე ხელფასს“ და, მაშასადამე, აღარაა ექსპლოატაცია. გამოდის, რომ რაღაც სასწაული ხდება — არაფერ არ განიცდის ექსპლოატაციას და ყველა იღებს მოგებას. საოცარია ის გარემოება, რომ წარმოების საშუალებათა კერძო მესაკუთრეები — კაპიტალისტები თითქოს ნებაყოფლობით უთმობენ თავიანთი მოგების ნაწილს მუშებს. დავუშვათ, რომ ეს ასეა. იბადება კითხვა: საიდან მოდის ეს მოგება, ვინ ქმნის მას? კაპიტალის აპოლოგეტთა მტკიცებით მოგება იქმნება არა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით, არამედ თვით კაპიტალის მიერ. ეს ხომ მეტისმეტად გაცვეთილი და ძველი დოგმატია. „ბოლოს და ბოლოს „მოგებაში მონაწილეობის“ სისტემა სხვა რაა თუ, არა ადრე დაკავებული ხელფასის ნაწილის გაცემა... „დამატებითი“ ხელფასი, რომელსაც მუშას აძლევენ „მოგებაში ანუ შემოსავალში მონაწილეობის“ შემთხვევაში, სხვა არაფერია თუ არა ადრე დაკავებული ხელფასის ნაწილი.“⁸⁷

„მოგებაში მონაწილეობა“ ფაქტიურად მოგებაში მუშების მონაწილეობას კი არ ნიშნავს, არამედ იგი წარმოადგენს მუშათა

ხელფასის დანაწევრებას (მუდმივი და ცვალებადი ნაწილები). „ამრიგად, „მოგებაში მონაწილეობის“ სისტემა სინამდვილეში არის ხელფასის დანაწევრების სისტემა. რომელშიც ხელფასი იყოფა შეფარდებით მუდმივ და ცვალებად ნაწილად.“⁸⁸ „ხელფასის დანაწევრება“ ხდება და არა „მოგებაში მუშის მონაწილეობა“. ამასთან ერთად, კაპიტალის აპლოგეტები ვითარებას ისე ხატავენ, რომ თითქოს წინასწარ დაკავებული ხელფასის ნაწილის (ცვალებადი ნაწილი) გაცემით ხდებოდეს მუშების. მუშათა კლასის მონაწილეობა ზედმეტი ღირებულების. კაპიტალისტური მოგების მითვისებაში. „ყოველი ზედმეტი ღირებულება. — წერს კ. მარქსი, — რა განსაკუთრებული ფორმითაც უნდა ჩამოყალიბდეს იგი შემდეგ. — მოგების, პროცენტის, რენტისა თუ სხვა სახით, — თავისი სუბსტანციით გადაუხდელი სამუშაო დროის მატერიალიზაციაა. კაპიტალის თვითზრდის საიდუმლოება იმაშია, რომ კაპიტალის განკარგულებაში გადადის სხვისი გადაუხდელი შრომის განსაზღვრული რაოდენობა.“⁸⁹

განსაკუთრებით აქტიურობენ „თანამონაწილეობის“ — „მოგებაში მუშების მონაწილეობის“ დოქტრინის პროპაგანდის საქმეში კათოლიკური მოძღვრების თეორეტიკოსები. ისინი ირწმუნებიან, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მუშებიც გამოვლენ, როგორც „თანასწორუფლებიანი პარტნიორები“, რომ თითქოს ამით მოისპობა უთანასწორობა და ექსპლოატაცია. აი, როგორ გახდნენ მუშები კაპიტალისტთა „თანამონაწილეები“, „თანამოზიარეები“, „თანასწორუფლებიანი პარტნიორები“. სხვას რომ თავი დავანებოთ, ფორმალური თვალსაზრისითაც კი თავდაყირა დგას „თანამონაწილეობის“ და „თანასწორუფლებიანი პარტნიორობის“ დოქტრინა. თუკი კაპიტალი ქმნის მოგებას, და არა დაჭირავებული შრომის ექსპლოატაცია, მაშინ რატომ უნაწილებენ კაპიტალისტები მოგებას მუშებს? კაპიტალის. „სახალხო კაპიტალიზმის“ ზოგიერთ თეორეტიკოსს რომ დავუსვავთ ასეთი კითხვა, გვიპასუხებენ: მუშები უწევენ ექსპლოატაციას ფაბრიკა-ქარხნების მესაკუთრეებსო. დავუშვათ, რომ ასეთი სსს-წაულებიც მოხდა, მაშინ სადღაა ებადაღებული „თანასწორუფლებიანი პარტნიორობა“, „პროპორციული პარტნიორობა“.

მოგებაში მართლაც მონაწილეობს მუშათა კლასიდან გამოსული მცირე ჯგუფი — „მუშათა არისტოკრატია“ და არა მთელი მუშათა კლასი. „გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მაღალი ბიუროკრატია, რომელიც ჯილდოს იღებს ხელფასის ზევით უფასო აქციებისა, ტანტიემისა და სხვათა სახით“. „მონაწილეობა მოგებაში“,

როგორც ყველა სხვა ფრაზა „სოციალური პარტნიორობის“ შესახებ, არ ცვლის კაპიტალიზმის ეკონომიურ არსს.⁹⁰ „მონაწილეობა მოგებაში“, „საქარხნო პენსიები და ბინები“ წარმოადგენს აგრეთვე მუშათა ზედაფენების მოსყიდვისა და „მუშათა არისტოკრატის“ რიგების შექსების სხვადასხვა ხერხებს.⁹¹

დასავლეთ გერმანიაში „მუშათა არისტოკრატის“ მდგომარეობის დახასიათებას იძლევა ოტო ლემანი თავის სტატიაში „ზოგიერთი შენიშვნა გერ-ის პროლეტარიატის შემადგენლობის შესახებ“.⁹² ო. ლემანის ცნობებით, საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს: წვრილი და საშუალო მოსამსახურეებისა და ჩინოვნიკებისა 600-650 მარკას, გამყიდველებისა — 200-300-345 მარკას. „მუშათა არისტოკრატის“ შემოსავალი კი ბევრად უფრო მაღალია. მაგალითად, პროფკავშირთა მემარკვენე ლიდერების. სამეთვალყურო საბჭოს წევრების ხელფასი და ტანტიემი შეადგენს 100-200 ათას მარკას წელიწადში. 1955 წ. დაქირავებული შრომის მუშაკთა საერთო რაოდენობა დასავლეთ გერმანიაში შეადგენდა 15 750 000. აქედან თვიური ხელფასი ჰქონდა: ა) 300 მარკამდე 5 644 000 კაცს (35,8%), ბ) 300-400 მარკა — 4 111 000 კაცს (26,1%); გ) 400-500 მარკა — 3 143 000 (20%) და ა. შ. ე. ი. 500 მარკამდე საშუალო ხელფასს იღებდა დაქირავებული შრომის მუშაკთა საერთო რაოდენობის 82%, ხოლო 500 მარკასა და უფრო ზევით მხოლოდ 18%. მუშათა საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,3% (30 000) იღებდა თვეში 800 მარკაზე მეტს.⁹³ „დი ვირჩაფტში“ სურათი და დიაგრამა იყო მოთავსებული სათაურით „დასავლეთგერმანული „პარტნიორობა“: მუშის დღიური შემოსავალი შეადგენდა 20 მარკას, ხოლო გამგეობის წევრისა — 1 000 მარკას.⁹⁴ ასეთია საზოგადოების სოციალური პირამიდა გერ-ში.

ამრიგად, მოგებაში მონაწილეობს არა მთელი მუშათა კლასი, არამედ „მუშათა არისტოკრატია“ — კაპიტალისტური საწარმოს გამგეობის წევრები, ადმინისტრატორები, დირექტორები, რომლებიც ტანტიემის (ე. ი. წმინდა მოგების განსაზღვრული ნაწილი) სახით დიდ შემოსავალს იღებენ.

„მოგებაში მონაწილეობის“ თეორეტიკოსები გვერდს უვლიან სინამდვილეს, ფაქტებს და აპოლოგეტური დასკვნებით ცდილობენ მუშათა კლასის რევოლუციური შეგნებულობის დაჩლუნგებას, მათ სულიერ დატყვევებას. თეორიული დებულებანი „მოგებაში ანუ შემოსავლებში მონაწილეობის“ და „ერთობლივი მეწარმოების“ შესახებ წარმოადგენს „სოციალური პარტნიორობის“ თეორიის გამოყენების კონკრეტულ ფორმებს. „თანამონაწილეობის“ დოქტრინა

ამერიკელი „სახალხო კაპიტალიზმის“ საყრდენის „მმართველობაში რევოლუციის“ — „მენეჯერთა საზოგადოების“ („მენეჯერიზმი“) ერთტიპიურია, ხოლო ყბადაღებული ლოზუნგი „მუშების მონაწილეობა მოგებაში“ და „ხელფასის კაპიტალიზაცია“ „შემოსავლებში რევოლუციისა“ და „სააქციო კაპიტალის დემოკრატიზაციის“ კონცეფციების გადამღერებაა. ყველა ეს აპოლოგეტური დოქტრინა, გდრ-ის ეკონომისტ გ. ჰილერის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენს „ეკონომიურ შრატს მუშათა კლასის პოლიტიკური სტერილიზაციისათვის“.⁹⁵ „მონაწილეობა მოგებაში“, „მუშათა აქციები“, „თანამონაწილეობა“ და ა. შ. არის სოციალური დემაგოგია „მატერიალურ“ ფორმებში, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის გათიშვისაკენ⁹⁶. „ხელფასის კაპიტალიზაცია (ინვესტირება) არის სახალხო კაპიტალიზმის, კაპიტალსა და შრომას შორის ეგრეთწოდებული პროპორციული პარტნიორობის ახალი ვარიანტი“⁹⁷.

ამრიგად, ნეოლიბერალიზმის თეორიებს „ხელფასის კაპიტალიზაციის“, „დაზოგვის“ და სხვათა შესახებ აქვთ ანტიმუშური ხასიათი..

**ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“ და
„ეკონომიური სასწაული“**

1. ნეოლიბერალური რეპრიზაბიზაცია :

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფორმაა. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს იზრდება კაპიტალისტური სახელმწიფოს საკუთრება. ბურჟუაზიული სახელმწიფო მიმართავს სხვადასხვა ღონისძიებებს. „კაპიტალისტურ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული ეგრეთწოდებული რეპრიზატიზაცია, ესე იგი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ საწარმოთა გადაცემა კერძო ხელში, ჩვეულებრივ. ჩალის ფასად“². რეპრიზატიზაცია ნიშნავს სახელმწიფო საწარმოთა გაყიდვას კერძო მესაკუთრეებზე, მაგრამ არა ყველა საწარმოს, არამედ შალალმომგებიანი საწარმოების გაყიდვას. რეპრიზატიზაცია გადასლართულია „სახალხო კაპიტალიზმის“ კამპანიასთან.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო მონოპოლიების საქმეთა მართვის კომიტეტი გახდა, ე. ი. იგი იმპერიალიზმის სტადიაზე ასრულებს მსხვილი მონოპოლიების ნება-სურვილს. რეპრიზატიზაცია, როგორც ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმის“ ერთ-ერთი ღონისძიება, მსხვილი მონოპოლიების ინტერესებს შეესაბამება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიის კლერიკალურ-ფაშისტური სახელმწიფოს საკუთრებაში აღმოჩნდა უამრავი საწარმოო და მატერიალური ფაქეულობანი. მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაქცევის მხრივ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმად გერმანია მეორე მსოფლიო ომის წინ აშშ-ზე მაღლა იდგა. ნაცისტების ბატონობის წლებში კი განსაკუთრებით გაიზარდა გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ამ ზრდის თვალსაჩინო მაჩვენებელია სახელმწიფო საკუთრების გადიდება. სახელმწიფო საკუთრების ზრდა გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.

ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე გერმანიაში, გარდა რკინიგზებლსა. არსებობდა რიგი სახელმწიფო საწარმოები სამთამადნო და სხვა მრეწველობაში, უმთავრესად სამხედრო მნიშვნელობისა. პირველი მსოფლიო ომის წლებში აშენებულ იქნა სახელმწიფო ელექტროსადგურები. აზოტის ქარხნები, ნავსამუშენები. ფაშისტურმა მთავრობამ მეორე მსოფლიო ომისათვის მზადდები სპერიოდში მათ მიუმბატა სინთეზური სათბობისა და კაუჩუკის, სპირტის, ალუმინისა და მეტალურგიის ქარხნები, საავტომობილო და საავიაციო ქარხნები და მრავალი სხვა. ყველაფერი ეს დარჩა ფედერალურ რესპუბლიკას სახელმწიფო გამგებლობაში, როგორც სახელმწიფო საკუთრება.

1925 წელს გერმანიაში სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებში (საიმპერიო მუნიციპალიტეტებისა და სხვ.) დასაქმებული იყო 300 ათასი კაცი. ხოლო 1958 წელს მარტო ფედერალური მთავრობის საკუთრებაში მყოფ სამრეწველო საწარმოებში დასაქმებული იყო 320 ათასი მუშა¹. ოფიციალური ცნობებით ფედერალური მთავრობის ქონება 1954 წლის 31 მარტისათვის შეადგენდა 68 მლრდ მარკას. სახელმწიფო-მონოპოლისტური სექტორი აერთიანებს 5500-ზე მეტ საწარმოს, ე. ი. გფრ-ის ყველა საწარმოს 7%-ს (ამაში არ შედის სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სარეწაო კომპანიები). გფრ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტური სექტორის საწარმოებში დასაქმებული იყო 2 მილიონზე მეტი კაცი, ანუ მთელ ქვეყანაში დასაქმებულთა 12% (აქ არ შედის სახელმწიფო მმართველობა და სხვადასხვა საზოგადოებრივი მომსახურება, სადაც დასაქმებულია კიდევ 3 მილიონი კაცი). ფედერალური მთავრობის ხელშია 275 ათასი ჰა მიწის ნაკვეთი და სხვ.

1960 წ. გფრ-ის ეროვნული შემოსავლის (214 მლრდ მარკა) 35% (75 მლრდ მარკა დაახლოებით) ეკუთვნოდა სახელმწიფოს².

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო წარმოება დასავლეთ გერმანიაში „აკრძალულ“ იქნა, მაგრამ დროებით. რემილიტარიზაცია მოასწავებდა აგრეთვე სახელმწიფო საკუთრების ზრდასაც. ბონის სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა: 1. სამრეწველო საწარმოთა გაერთიანების სააქციო საზოგადოება („ფიაგი“), რომლის კაპიტალი 200 მლნ მარკის ოდენობით ფედერალური მთავრობის ხელში აღმოჩნდა. ამ კონცერნის ხელში იყო 24 ქალიშვილი საზოგადოების კაპიტალის 50%-ზე მეტი. კონცერნი „ფიაგი“ კონტროლს უწყევდა ალუმინის და აზოტის წარმოებას დასავლეთ გერმანიაში. სააქციო საზოგადოებას საწარმოებში მუშაობდა (1958 წ.) 20 ათასი კაცი; 2. ელექტრო და სამთო გაერთიანებული საზოგადოება („ფება“)

არის აგრეთვე უმსხვილესი სახელმწიფო კონცერნი, რომლის ხელშია სამი უმსხვილესი საწარმოს — „პროისენელექტრა“, „პროისაგ“ და „პიბერნია“, კაპიტალი; 3. სამთო და მეტალურგიული ქარხნების სააქციო საზოგადოება არის სახელმწიფო კონცერნი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა ყოფილი საიმპერიო ქარხნების „გერმან გერინგი“ საფუძველზე და მრავალი სხვა („იფგ“, წყლის ტრანსპორტის სააქციო საზოგადოება, სხვადასხვა ჩჯუფები საწარმოთა, რომლებიც არ შედიან კონცერნებში — გემთშენებელი ქარხანა კილსა და ჰამბურგში, საავტომობილო ქარხანა „ფოლკსვაგენ-ვერკე“ და სხვ.). სამრეწველო კონცერნებთან და საწარმოებთან ერთად დიდმნიშვნელოვანია ფედერალური რკინიგზები და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ რეპრივატიზაციის საკითხი მწვავედ დაისვა⁶. დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და თეორეტიკოსებმა, რომლებიც გამოდიოდნენ „ანტიმონოპოლიზმის“, „თანამონაწილეობისა“ და „საკუთრება ყველას“ ლოზუნგებით, 1954—1955 წლებში მოითხოვეს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების გაყიდვა. 1957 წელს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შეიქმნა სახელმწიფო ქონების სპეციალური სამინისტრო, რომელსაც დაევა საწარმოების გაყიდვა—რეპრივატიზაცია. საკითხი რეპრივატიზაციის შესახებ დასავლეთ გერმანიის პრესაში პირველად 1951—1952 წლებში დაისვა. პროპაგანდა რეპრივატიზაციის გატარების სასარგებლოდ განსაკუთრებით გაძლიერდა 1953 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ და არჩევნების შემდეგაც.

რამ განაპირობა რეპრივატიზაციის კამპანიის დაწყება დასავლეთ გერმანიაში? ამაზე პასუხს იძლევა გერმანიის ომის შემდგომდროინდელი მდგომარეობა. ფაშიზმის განადგურების შემდეგ, როგორც უკვე ითქვა, დეკარტელიზაციის გატარების შემდეგ დიდად გაიზარდა ფედერალური სახელმწიფო საკუთრება. არარენტაბელური კერძო მონოპოლიურ საწარმოთა ხარჯების დაფარვა თავის თავზე აიღო სახელმწიფომ. როცა სახელმწიფო-მონოპოლიურმა საწარმოებმა იწყეს დიდი მოგების მოცემა, მაშინ დღის წესრიგში დადგა საკითხი — სახელმწიფო საწარმოთა კერძო პირებზე მიყიდვის საჭიროების შესახებ. ამით ფედერალური სახელმწიფო — როგორც მონოპოლიების ნება-სურვილის შემსრულებელი, მიზნად ისახავდა: ჯერ ერთი, მონოპოლისტების ხელში მოშვებიან საწარმოთა გადაცემას და, მეორე, დემაგოგიური ნეოლიბერალური ლოზუნგის „ანტიმონოპოლიზმი“, „თანამონაწილეობა“ და „საკუთრება ყველას“ პრაქტიკულად განხორციელებას.

ე. ი. რეპრევატიზაციას ჰქონდა, როგორც ეკონომიური, ასევე პოლიტიკური მიზანდასახულება. აი ამიტომ დაიწყო ბუნდესტაგში გაძლიერებული კამპანია რეპრევატიზაციის ჩატარების შესახებ.

სახელმწიფო საწარმოთა რეპრევატიზაციის პრობლემებს განიხილავდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ყრილობებზე, ბუნდესტაგისა და ფედერალური მთავრობის სხდომებზე, პრესაში.

ნეოლიბერალებმაც დიდი ადგილი დაუთმეს რეპრევატიზაციის საკითხებს. ნეოლიბერალური მიმართულება, როგორც ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის საწინააღმდეგო მიმართულება, რა თქმა უნდა, მოითხოვდა რეპრევატიზაციას და ამ საქმეში სახელმწიფოს ჩარევას — „ლიბერალურ ინტერვენციონიზმს“. ლ. ერჰარდისა და სხვა ნეოლიბერალების იდეას შეადგენს „საბაზრო მეურნეობა“, „თანამონაწილეობა“, „საკუთრება ყველასათვის“ და ამიტომაც მზარს უკერძო ისინი და მოითხოვდნენ რეპრევატიზაციას. სახელმწიფო საწარმოთა არსებობა, სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო საქმეებში დიდი მასშტაბით და ნეოლიბერალური „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ შეუთავსებელია, ამიტომ, ცხადია, რეპრევატიზაციის საკითხი ნეოლიბერალებმა „თეორიულად დაასაბუთეს“. ნეოლიბერალების ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი ფოლკმარ მუტჰეიუსი 1953 წ. წერდა: „ასეთი უზარმაზარი საკუთრება სახელმწიფოს ხელში, როგორცაა ფედერალური მთავრობის სამრეწველო კონცერნები, ძალიან ცუდად უდგება საბაზრო მეურნეობას“. აქედან იგი აკეთებს ნეოლიბერალებისათვის ჩვეულ დასკვნას, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს დიდი მასშტაბით სამეურნეო ცხოვრებაში. „სახელმწიფო არ უნდა მისდევდეს მეურნეობას“, — დაასკვნის მუტჰეიუსი.

ჯერ კიდევ 1946 წ. ჰესენის ლანდტაგმა მიიღო კონსტიტუცია, რომლის 41-ე მუხლის თანახმად უნდა მომხდარიყო სამთავრო მრეწველობის (ქვანახშირი, კალიუმი, მანდელის), შავი მეტალურგიისა და ენერგეტიკული მეურნეობის საწარმოთა, აგრეთვე მთელი რკინიგზის ტრანსპორტის გადაცემა საზოგადოებრივ საკუთრებაში. აღნიშნულ საწარმოებზე კონტროლის განხორციელება ევალებოდა სახელმწიფოს, მაგრამ ეს იყო ხალხის მოტყუება. ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ 1947 წლის 15 ნოემბერს თავის ყრილობაზე უკვე დაიწყო ლაპარაკი სულ სხვა ტონზე, წამოაყენა დემოკრატიული ლოზუნგი „გონივრული სოციალიზაცია“, „ხელები შორს წვრილი საწარმოებისაგან“ და, ბოლოს, რეპრევატიზაცია

ამრიგად, „კანონი სოციალიზაციის“ შესახებ, რომელიც ძალაში უნდა შესულიყო 1948 წლის 1 მაისიდან, არ განხორციელებულა, „ხალხის ნებასურვილი დარჩა ქალაქის ნაგლეჯად“.⁷

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები ახლაც ბევრს ლაპარაკობენ რეპრევატიზაციის შესახებ. ნეოლიბერალური რეპრევატიზაცია მათ მიაჩნიათ „პიროვნების თავისუფლების“, „შეჯიბრების თავისუფლების“, „ანტიმონოპოლიზმის“ აუცილებელ პირობად. ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი ფრ. ბემი მოითხოვს „შეჯიბრების თავისუფლებას“, ამისათვის კი მას აუცილებლად მიაჩნია რეპრევატიზაცია, „კარტელების თავისუფლების მოსპობა“⁸.

ბონის მინისტრი ლინდრატი რეპრევატიზაციას თვლიდა თავისუფლების საფუძველად. იგი აცხადებდა, რომ „რეპრევატიზაცია ქმნის საკუთრებას ყველასათვის“, ხოლო საკუთრება პიროვნების თავისუფლების საფუძველიაო. სწორედ ამ სათაურით გამოაქვეყნა ლინდრატმა სტატია („საკუთრება — თავისუფლების საფუძველი“), როცა იგი სათავეში ედგა რენტაბელურ სახელმწიფო საწარმოთა პრევატიზაციას.

რეპრევატიზაციის კამპანიის ორგანიზატორებად გამოდიოდნენ მსხვილი მონოპოლიები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ იმ რენტაბელურ სახელმწიფო საწარმოთა ხელში ჩაგდებათ. რომლებიც მონოპოლურად მაღალ მოგებას იძლეოდნენ.

რეპრევატიზაციის კამპანიამ დასავლეთ გერმანიაში განვლო ორი ეტაპი:⁹ პირველი ეტაპი (1951—1956 წწ) ხასიათდება იმით, რომ მიმდინარეობს სახელმწიფო საწარმოთა გაყიდვა კერძო პირებს, მონოპოლიებზე. ამ ეტაპზე ბუჩუყაზიული იდეოლოგია და მისი თეორეტიკოსები — ნეოლიბერალები და მათთან ერთად მემარჯვენე სოციალისტები გამოდიოდნენ ლოზუნგით „საკუთრება თვითელს“, „საკუთრება ყველას“, ე. ი. ისინი მოითხოვდნენ, რათა ყველა მოქალაქე გამხდარიყო მესაკუთრე — წვრილი და საშუალო მესაკუთრე. რა თქმა უნდა, კომენტარები ზედმეტია იმაზე. თუ რაოდენ დემაგოგიური და რეაქციულ-უტოპიური იყო და არის ასეთი ლოზუნგი, რომელიც ნიშნავს მსხვილი კერძო საკუთრების დაქუცმაცებას, დაქსაქავას (დიფუზია) და უკან დაბრუნებას წვრილი წარმოებისაკენ, რომელსაც ვ. ი. ლენინმა XIX ს. 90-იან წლებში ეკონომიური რომანტიზმი უწოდა.

რეპრევატიზაციის მეორე ეტაპი დაიწყო 1957 წ. აღნიშნული ეტაპის დამახასიათებელი ნიშანია რეპრევატიზაციის კავშირი „სახალხო აქციებთან“. „მუშათა აქციებთან“ და გაძლიერებული პროპაგანდა „სახალხო კაპიტალიზმისა“, რომელიც დასავლეთ

გერმანიაში, როგორც უკვე ითქვა, მიმდინარეობს „სოციალური პარტნიორობისა“ და „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ დრო-შით. ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ და „სოციალური პარტნიორობა“ აუცილებლად გულისხმობს კერძო საკუთრებასა და კერძო მეწარმეობას, ამიტომ, ბუნებრივია, დასავლეთ გერმანიაში გაბატონებული ნეოლიბერალური მოძღვრება „სოციალური საბაზრო მეურნეობისა“ და „სოციალური პარტნიორობისა“ შესახებ აუცილებლად მოითხოვს რეპრივატიზაციის გატარებას.

ამრავად, რეპრივატიზაციის პროპაგანდის გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა, ნეოლიბერალური მოძღვრების მოთხოვნაა. ცნობილია, რომ ნეოლიბერალები გამოდიან ანტიმონოპოლისტური ფრაზებით და თავი მოაქვთ წვრილ მწარმოებელთა დამცველებად. ამით ისინი სინამდვილეში იცავენ სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს და ნეოლიბერალიზმის გამოცხადება წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკონომიად, ჩვენი აზრით, არაა მართებული. როცა ლ. ერჰარდი და საერთოდ ნეოლიბერალისტები ქადაგებენ „თანამონაწილეობას“, რეპრივატიზაციას, „სახალხო აქციების“ გავრცელებას, „საკუთრებას ყველასათვის“, „დენაციონალიზაციას“, ამით ისინი ფაქტიურად იცავენ არა წვრილი მწარმოებლებს, არამედ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ინტერესებს.

რეპრივატიზაციას პროპაგანდისტთა ავანგარდში დგანან ნეოლიბერალები და ნეოლიბერალიზმის თანამოაზრეები. მაგალითად, ბუნდესტაგში რეპრივატიზაციის იდეებით გამოვიდნენ არა მარტო ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის, არამედ „თავისუფალი დემოკრატიული პარტიის“ და სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერებიც. ეს გასაგებია. რეპრივატიზაცია ნეოლიბერალიზმის მოთხოვნაა, ხოლო ნეოლიბერალიზმი — გფრ-ის სახელმწიფო დოქტრინა.

მხედველობაშია მისაღები ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა კიდევ ერთი უსაფუძვლო მტკიცება: სახელდობრ, ისინი გაიძახიან, რომ დასავლეთ გერმანიაში მოხდა „დემპროლეტარიზაცია“ და ჩამოყალიბდა „საშუალო კლასი“, წვრილ მწარმოებელთა და წვრილ მესაკუთრეთა მრავალრიცხოვანი ფენაო. საკმარისია შევახსენოთ ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებს, რომ თანამედროვე ეტაპზე დასავლეთ გერმანიაში წვრილი ბურჟუაზია შეადგენს გფრ-ის მოსახლეობის არა უმეტეს ერთი მეხუთედსა.¹⁰

„ანტიმონოპოლიზმის“, რეპრივატიზაციის ნეოლიბერალური ლოზუნგით გამოდიან ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და

ქრისტიანულ-სოციალური კავშირის, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თეორეტიკოსები და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ლიდერები, რომლებიც სინამდვილეში იცავენ არა წვრილი ბურჟუაზიის, არამედ მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს.

ცნობილი გერმანელი ეკონომისტი პროფესორი ო. რაინჰოლდი დასავლეთ გერმანიის ცხოვრებიდან აღებული ფაქტებით ამტკიცებს, რომ არ არსებობს არსებითი განსხვავება ბურჟუაზიული პარტიებისა და მემარჯვენე სოციალისტების თეორიებს შორის. რა თქმა უნდა, ეს ეხება რეპრეზენტაციის თეორიასა და პოლიტიკასაც. რეპრეზენტაციითა და სხვა ნეოლიბერალური ღონისძიებებით ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსების მიზანია „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“, ხოლო მემარჯვენე სოციალისტებისა — „დემოკრატიული ეკონომიური წყობილება“. ეს უკანასკნელი კი, — როგორც აღნიშნავს ო. რაინჰოლდი, — წარმოადგენს „მემარცხენე საბაზრო მეურნეობას“.

გერ-ის მმართველი პარტიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლოზუნგს რომ წარმოადგენს რეპრეზენტაცია ამაში გასაკვირი არაფერია, ეს ბუნებრივია და ლოგიკური. თვით ამ პარტიის მთავარი წარმომადგენლები კ. ადენაუერი და ლ. ერჰარდი ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ თეორეტიკოსები და პროპაგანდისტები არიან. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ კ. ადენაუერი და ლ. ერჰარდი ხოტბას ასხამენ „სოციალურ ანუ თავისუფალ საბაზრო მეურნეობასა“ და სხვა ნეოლიბერალურ თეორიებს. რეპრეზენტაციის ნეოლიბერალური პროგრამის აქტიური დამცველია პროფ. ლ. ერჰარდი. მას არც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ჩამორჩებიან. ამ პარტიამ ბუნდესტაგში თავისთავზე აიღო ინიციატივა სახელმწიფო საწარმოთა რეპრეზენტაციის შესახებ. აღნიშნული პარტიის წარმომადგენელმა ბუნდესტაგში ატკენოროტმა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატ ჰაისლერთან ერთად შეიმუშავა რეპრეზენტაციის ღონისძიებათა მთელი სისტემა — „რეპრეზენტაციის გეგმა“. ეს „გეგმა“ ცნობილია აგრეთვე „პოისლერის გეგმის“ სახელწოდებითაც. რომელიც თითქმის არაფერით არ განსხვავდება დრეხსლერის კონცეფციისაგან — „ხელფასის კაპიტალიზაცია როგორც გზა „სახალხო კაპიტალიზმისაკენ“. ამავე პოზიციებზე დგას აგრეთვე პროფ. ნელ-ბროინინგიც. დასახელებული „გეგმა“ ითვალისწინებს სახელმწიფო საწარმოთა გადაცემას კერძო პირთა ხელში აქციების გაყიდვით, ექსპლოატაციის გაძლიერებას შენიღბულად, თვალთმაქცურად.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრმა ვ. შეელმა ბუნდესტაგში განაცხადა: „კერძო საკუთრება და კერძო მეწარმეობა წარმოადგენს ჩვენი საბაზრო მეურნეობის წყობილების უცვლელ საფუძვლებს. კერძო საკუთრების გარეშე ჩვენი წყობილების პრინციპი ჩვეულებრივ წარმოდგენილია... „ჰოისლერის პროექტში“ სახელმწიფო საწარმოთა რეპრივატიზაციის მოთხოვნა ხდება. — და იმ მიზეზით, რომ თითქოს სახელმწიფოს მეწარმეობრივი მოღვაწეობა ეწინააღმდეგება „კონსტიტუციის სულისკვეთებას“ და „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ პრინციპებს“.¹¹

ატენროტი, ჰოისლერი, დრეხსლერი და სხვები გამოდიან „ანტიმონოპოლისმის“, წვრილ მწარმოებელთა დაცვის ყალბი ლოზუნგით, სინამდვილეში კი იცავენ დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს. რეპრივატიზაციის ნამდვილი ორგანიზატორები იყვნენ მსხვილი მონოპოლიები, დასავლეთ გერმანიის ფინანსური ოლიგარქია, რომელთა თეორეტიკოსები სწორედ იმიტომ ინიღბებიან წვრილი მწარმოებლების წარმომადგენელთა სახელით, რომ შეცდომაში შეიყვანონ მასები და თავი გაასაღონ მონოპოლიების მოწინააღმდეგეებად, „ანტიმონოპოლისტებად“. „რეპრივატიზაციის კამპანიის ნამდვილი ორგანიზატორები არიან დასავლეთგერმანელი მონოპოლისტები. ისინი ნიღბავენ თავიანთ ნამდვილ მიზნებს და მხარს უჭერენ ილუზიას, თითქოს დასავლეთ გერმანიის მეურნეობა ნამდვილად წარმოადგენს „თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“, რომელშიც მთავარი ფიგურაა საშუალო მეწარმე. სადაც, თითქოს, მეწარმეობრივ ინიციატივას შეეძლოს თავისუფლად გაშლა, მეურნეობაში სახელმწიფოს ჩარევის უფრო და უფრო შეზღუდვით“¹².

რეპრივატიზაციის გატარებით არავითარი სარგებლობა არ მიუღიათ არც წვრილ მწარმოებლებს — საშუალო ფენებს, ხოლო მუშების სარგებლობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. პირიქით, რეპრივატიზაცია დაეხმარა მსხვილ მონოპოლისტურ გაერთიანებებს მუშათა კლასისა და აგრეთვე „შინაგანი კოლონიების“¹³ ექსპლოატაციის გაძლიერებაში. „შინაგანი კოლონიებს“ წარმოადგენს სწორედ წვრილ მწარმოებელთა სექტორი მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში და მათ შორის დასავლეთ გერმანიაშიც. რეპრივატიზაცია გატარდა ფინანსური ოლიგარქიის კარნახით და, მაშასადამე, აღნიშნული ღონისძიებით მოგებულნი დარჩნენ მხოლოდ მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს.

1954 წლის შემდეგ ფედერალურმა მთავრობამ „დეკარტელიზაციის“ აქტით კრუპნიასგან მიიღო, როგორც სახელმწიფო საკუთრება, ქვანახშირის საწარმო „ემშერ-ლიპპე ბერგბაუ აგ“. აღნიშნული საწარმო იყო ძალიან ცუდ მდგომარეობაში და სწორედ ამით აიხსნება, რომ ფედერალურმა მთავრობამ იკისრა ამ საწარმოს „გაჯანსაღება“. საწარმო შეყვანილ იქნა სახელმწიფო კონცერნის „ჰიბერნია“ შემადგენლობაში. როცა იგი უკვე მომგებიანი გახდა. მაშინ მას წაეპოტინენ მონოპოლისტები. ფედერალურმა მთავრობამ, რეპრიატიზაციის ლოზუნგის გამოყენებით, 1957 წ. გაყიდა „ემშერ-ლიპპე ბერგბაუ აგ“. იგი შეისყიდა ტიენის კონცერნმა.

1956 წლის ზაფხულში სახელმწიფო საწარმო „რაინმეტალ-ბორზიგი“ იყიდა რებლინგის კონცერნმა. 1954 წ. ფლიკის კონცერნმა შეისყიდა სახელმწიფოსაგან ქარხანა „ალუმინიუმ-მეტალ აგ“. ქიმიური ქარხანა „ანორგანა“ ეკუთვნოდა კონცერნს „იგ ფარბენინდუსტრი“. „დეკარტელიზაციის“ თანახმად დაახელებული კონცერნი „დაშალეს“, ქარხანა „ანორგანა“ კი გადაეცა ბავარიის მთავრობას სახელმწიფო საკუთრებაში. 1954 წ. ბავარიის მთავრობამ აღნიშნული ქარხანა კვლავ მიყიდა კონცერნს „იგ ფარბენინდუსტრი“. 1954 წელს სახელმწიფო მანქანათმშენებელი ქარხანა „მაშინენბაუ აგ, კილი“ შეისყიდეს მილიარდერებმა ფრიდრიხ ფლიკმა და ჰუგო სტინესმა (უმცროსი).

სააქციო საზოგადოება „მაკ მაშინენბაუ აგ“, რომლის სააქციო კაპიტალს ნომინალური ღირებულება შეადგენდა 7 მილიონ მარკას, ნაციონალიზებულ იქნა. „შეისყიდეს რა მისი აქციები სახელმწიფოსაგან, სტინეს-უმცროსი და ფლიკი გამოვიდნენ „რეპრიატიზაციის“ მოთავეებად“¹⁴. ამრიგად, „დეკარტელიზებულ“ საწარმოთა რეპრიატიზაციით დიდი მოგება და ქონება ჩაიგდეს ხელში ფლიკმა და სხვა მულტიმილიონერებმა, სამრეწველო-საფინანსო მაგნატებმა.

ყოფილი საიმპერიო კინემატოგრაფიული საწარმოები ბონის ფედერალურმა მთავრობამ მიჰყიდა „დოიტშე ბანკსა“ და „ბერლინერ ბანკს“ და მრავალი სხვა. ბონის მთავრობამ მარტო 1954—1959 წლებში გაყიდა 8 სახელმწიფო საწარმო 25 ქალიშვილი კომპანიებითურთ. რეპრიატიზაციით მიღებული სახსრები 85 მლნ მარკა ფგრ-ის მთავრობამ, რა თქმა უნდა, გამოიყენა მსხვილი მონოპოლიების მიერ ნაკარნახევი მიზნებისათვის. მონოპოლიებმა დაბალ ფასებში შეიძინეს სახელმწიფოსაგან საწარმოები და აქაც მოგებული დარჩნენ იმით, რომ მიისაკუთრეს სახელმწიფო სახსრები 600—800 მლნ მარკის ოდენობით. ასეთია ნეოლიბერალური

„ანტიმონოპოლიზმის“, რეპრევატიზაციისა და „სავალუტო ქირურგის“ ნამდვილი შედეგები.

ბონის ფედერალურმა მთავრობამ დიდი დახმარება გაუწია იმ კაპიტალისტებს, რომელთა საწარმოები იყო გდრ-ის ტერიტორიაზე. ცნობილია, რომ ეს საწარმოები ნაციონალიზებულ იქნა. მათი მესაკუთრეები კი დასავლეთ გერმანიაში გაიქცნენ. რა თქმა უნდა, იქ პოვეს მათ თბილი თავშესაფარი. მაგალითად, კერძო ფირმამ „ელბეო“ სახელმწიფოსაგან იყიდა პერლონის წინდების ფაბრიკა „ტალლი“.

ძნელი დასანახი არაა, თუ რა იმალემა ნეოლიბერალიზმის „ანტიმონოპოლისტური“ რეპრევატიზაციის პროგრამის უკან. რეპრევატიზაციით გაიზარდა მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების ქონება და შემოსავალი, ხოლო მუშათა კლასის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. „დეკარტელიზაცია“ და რეპრევატიზაცია, როგორც ნეოლიბერალიზმის „ანტიმონოპოლისტური“ ღონისძიებები, არ სპობს კერძო კაპიტალისტურ საკუთრებას. დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას აქვს ადგილი როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ფირმებში. პირიქით, რეპრევატიზაციით გამოწვეული ხარჯები ზურგზე დააწვა მშრომელ მოსახლეობას. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ფ. ენგელსი ასე ახასიათებდა: „თანამედროვე სახელმწიფო, როგორც არ უნდა იყოს მისი ფორმა, არსებითად კაპიტალისტურ მანქანას წარმოადგენს, კაპიტალისტების სახელმწიფოს, იდეალურ ერთობლივ კაპიტალისტს. რაც უფრო მეტ საწარმოო ძალას დაეპატრონება იგი, როგორც საკუთრებას, მით უფრო ნამდვილი ერთობლივი კაპიტალისტი გახდება, მით მეტ მოქალაქეს გაუწევს ექსპლოატაციას. მუშები დაქირავებულ მუშებად, პროლეტარებად რჩებიან. კაპიტალისტური ურთიერთობა კი არ ისპობა, არამედ, პირიქით, უაღრესად მწვევდება, უკიდურეს წერტილს აღწევს.“¹⁵

მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის არსა არ იცვლება იმით, წარმოების საშუალებათა მესაკუთრედ ერთი კაპიტალისტი, კაპიტალისტთა ჯგუფი, მონოპოლიური გაერთიანება თუ ბურჟუაზიული სახელმწიფოა. დაქირავებული მუშა ექსპლოატაციას განიცდის, როგორც კერძო კაპიტალისტურ საწარმოში. ანევე სააქციო საზოგადოების ან ბურჟუაზიული სახელმწიფოს საწარმოებში. მიუხედავად ამისა, რეპრევატიზაცია, ე. ი. სახელმწიფო საწარმოების მიყიდვა მსხვილ მონოპოლიებზე, კერძო მწარმოებზე რეაქციული ღონისძიებაა და მას დამატებით კიდევ ბევრი მიწისი აქვს (სახელმწიფო საწარმოებთან შედარებით). „სა-

წარმოო ძალების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არ წარ-
მოდგენს კონფლიქტის გადაჭრას, მაგრამ იგი შეიცავს მის ფორ-
მალურ საშუალებას, მისი გადაჭრის შესაძლებლობას.¹⁶ — აკუ-
თებს დასკვნას ფ. ენგელსი. ამიტომ ვამბობთ, რომ რეპრიატიზა-
ცია რეაქციული ღონისძიებაა.

ნეოლიბერალური რეპრიატიზაციის გატარების შედეგად სა-
ხელმწიფოს მიერ გაყიდული საწარმოები აღმოჩნდა მსხვილი
კაპიტალისტების, მონოპოლიების ხელში. გერმანიის ძველი სამ-
ხედრო მონოპოლიები „ფლიკი“, „ტიანეი“, „იგ ფარბენინდუსტ-
რი“ ნამდვილად მოგებულნი გამოვიდნენ რეპრიატიზაციის კამპა-
ნიისათვის ბრძოლაში. რეპრიატიზაციის კამპანია გარეგნულად
შენიღბული იყო „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ პროპა-
განდის ლოზუნგით. ე. ი. რეპრიატიზაციის თეორეტიკოსები
და პროპაგანდისტები ქადაგებდნენ „ანტიმონოპოლიზმს“, „დეკარ-
ტელიზაციას“, „თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“, სინამდვილეში
კი ხელს უწყობდნენ უმსხვილესი მონოპოლიების კიდევ უფრო
გაძლიერებას. ნეოლიბერალიზმის „ანტიმონოპოლისტური“ რეპრია-
ტიზაცია წარმოდგენს სახელმწიფო საკუთრების გამოყენებას
უმსხვილესი მონოპოლიების ინტერესთა შესაბამისად. რეპრიატი-
ზაციის კამპანიის მთავარი ეკონომიური მიზანია მონოპოლიების
მიერ ყველაზე უფრო მომგებიანი სახელმწიფო საწარმოთა ხელში
ჩაგდება.

რეპრიატიზაციას იმიტომაც მიმართა დასავლეთ გერმანიის
მონოპოლისტურმა კაპიტალმა, რომ მას ეშინია მუშათა კლასის.
მუშათა კლასს შეუძლია მოითხოვოს მსხვილ მონოპოლიურ საწარ-
მოთა ნაციონალიზაცია, ამიტომ ეს რომ არ მოხდეს, მონოპოლი-
ტური ბურჟუაზია მიმართავს მუშათა კლასის იდეური დაჩლუნ-
გების უფრო შენიღბულ და მოქნილ ფორმებს, მაგალითად, „თანა-
მონაწილეობა“, „საკუთრება ყველას“, „ანტიმონოპოლიზმი“ რეპ-
რიატიზაციის გატარებით. დემაგოგიური ლოზუნგი რეპრიატი-
ზაცია, „საკუთრება ყველას“ ანუ „საკუთრება ყველასათვის“ და-
სავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალიზმის თეორეტიკო-
სებმა დაუპირისპირეს სოციალისტურ საერთო სახალხო საკუთრე-
ბას. ისინი ცდილობენ მშრომელი მასების თვალში სოციალისტური
საკუთრებისათვის სახელის გატეხას და უწოდებენ მას „ბიუროკ-
რატიულს“, „ტოტალიტარულს“, „კოლექტივისტურსა“ და სხვ. სა-
მაგიეროდ, ქება-დიდებას ასხამენ რეპრიატიზაციასა და თავიანთ
დემაგოგიურ ლოზუნგს „ანტიმონოპოლიზმი“, „საკუთრება ყვე-
ლას“, „საკუთრება ყველასათვის“.

ნეოლიბერალური „რეპრიატიზაცია“ ერთი შეხედვით თითქოს

მიმართულა მონოპოლიური გაერთიანებების (პირველ რიგში კარტელების) წინააღმდეგ. სინამდვილეში კი „რეპრივატიზაცია“ და ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა სხვა „ანტიმონოპოლისტური“ ლონისძიებები („თანამონაწილეობა“, „საკუთრება ყველას“, „სახალხო აქცია“ და ა. შ.) ემსახურება მონოპოლისტურ კაპიტალს. თვით რეპრივატიზაცია, როგორც უკვე დავინახეთ, გამოხატავს მსხვილი მონოპოლიების, ფინანსური ოლიგარქიის ინტერესებს. „ამიტომ დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზია დაეძებდა რეპრივატიზაციის მიზნების მიღწევისათვის უფრო ემპაქურ და შენიღბულ გზებს. ბურჟუაზიას ჰგონია, რომ ამ ახალი მოტყუების ხელსაყრელ ფორმას წარმოადგენს „სახალხო აქცია“.¹⁷

ჟ. „სახალხო აქცია“

„თანამონაწილეობის“, „საკუთრებაში მონაწილეობის“ (მაშასადამე, „საკუთრების დიფუზიის“) ერთ-ერთი საყრდენია აგრეთვე ეგრეთწოდებული „მუშათა აქციები“ ანუ „სახალხო აქციები“. „მუშათა აქციების“ თეორეტიკოსები მიზნად ისახავენ: ჯერ ერთი, რეპრივატიზაციის გატარებას შენიღბულად, თითქოს და მუშებისა და წვრილი მწარმოებლების „გადასაქცევად“ მესაკუთრეებად; მეორე, „მუშათა აქციების“ გავრცელებით ნეოლიბერალები ირწმუნებიან, რომ ცხოვრებაში ატარებენ „ანტიმონოპოლისტურ“ ლოზუნგებს — „საკუთრება ყველასთვის“, „საკუთრება ყველას“; მესამე, „მუშათა აქციები“ გამიზნულია იქითკენ, რომ დასავლეთ გერმანია გამოცხადდეს „თავისუფალ საბაზრო მეურნეობად“, მუშა-მოსამსახურეები „სახალხო აქციონერებად“, ხოლო მეწარმეები და მუშები „სოციალურ პარტნიორებად“, „სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი“ „უკლასო“, „ჰარმონიულ“, „ჰუმანურ საზოგადოებად“, ე. ი. „სახალხო კაპიტალიზმად“.

ამრიგად, „სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტური თეორიის გერმანული ვარიანტი „სოციალური პარტნიორობა“ ემყარება „თანამონაწილეობას“, ხოლო „თანამონაწილეობა“ ანუ „თანამონაწილეობა“ — „მუშათა აქციების“ გავრცელებას, რომელსაც მოითხოვს რეპრივატიზაციის ნეოლიბერალური პროგრამა. ყუბადაღებული „სახალხო კაპიტალიზმის“ კამპანიასთან მჭიდრო კავშირშია რეპრივატიზაციის ლონისძიებათა სისტემა. ეს სწორედ რეპრივატიზაციის ახალი ეტაპის მთავარი ნიშანია. სახელმწიფო საწარმოთა რეპრივატიზაციის პროგრამის განხორციელების ყველაზე უფრო შენიღბული და თვალთმაქცური ფორმა არის ე. წ. „სახალხო აქცია“, „მუშათა აქცია“¹⁸.

ნეოლიბერალური „სახალხო აქცია“ წარმოადგენს ეგრეთწოდებულ „სახალხო კაპიტალიზმის“ ძირითად ინსტრუმენტს.¹⁹ „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდისტები გაიძახიან, რომ ერთი პატარა აქციის მფლობელიც კი სააქციო საწარმოს მესაკუთრეაო.²⁰

ნეოლიბერალებმა დიდი ხმაური ატეხეს „სახალხო აქციების“ გარშემო.²¹ ცნობილია, რომ ლ. ერჰარდმა ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ ორ ეტაპად დაჰყო. პირველი და მეორე ეტაპის გამყოფ ზღუდედ მან გამოაცხადა 1957 წელი. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე კამბუჯში 1957 წლის გაზაფხულზე ლ. ერჰარდმა განაცხადა, რომ „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მეორე ეტაპი დაიწყო „სახალხო აქციების“ გაცემით. „სახალხო აქციის“ შემოღებით, — აღნიშნა ლ. ერჰარდმა, — გერმანიისათვის იხსნება „სოციალური რატორიის“ ახალი ეპოქაო.“²²

ამრიგად, „სახალხო აქციების“ გავრცელებით იწყება ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მეორე ეტაპი.

„სახალხო აქციების“ ანუ „მუშათა აქციების“ გავრცელება ბუნდესტაგმა დაიწყო სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი მცირე-ლიტრაჟიანი საავტომობილო ქარხანა „ფოლკსვაგენვერკის“²³ რეპრივატიზაციით. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსის, ბონის ერთ-ერთი მთავარი მესაქის ლ. ერჰარდის განცხადების შემდეგ აღენაუერის პარტიამ ბუნდესტაგში შეიტანა კანონპროექტი „ფოლკსვაგენის“ რეპრივატიზაციის შესახებ.

1960 წლის მარტში ბუნდესტაგმა მიიღო კანონი დასახელებული ქარხნის რეპრივატიზაციის შესახებ. გამოუშვეს „სახალხო აქციები“ — 100 მარკის ღირებულებით თვითეული. კანონით აქციების ყიდვა შეეძლო იმათ, ვისაც წლიური შემოსავალი 16 000 მარკას არ აღემატებოდა. საკუთრების „დაქსაქსვის“ — „დიფუზიის“ გატარების მიზნით კანონი ნებას რთავს 5 აქციის ყიდვაზე, ხოლო ვინც ქარხანა „ფოლკსვაგენვერკში“ მუშაობს — 10 აქციას თვითეულს.

„ფოლკსვაგენვერკის“ ნაწილობრივი რეპრივატიზაცია გატარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი კაპიტალის 60% იქნა გაყიდული, როგორც „სახალხო აქცია“, ხოლო დანარჩენი 40% დარჩა მთავრობის ხელში (20% ქვემო საქონლის მთავრობის ხელში, ხოლო 20% ფედერალური მთავრობის ხელში). მოხდა აგრეთვე

კონკერნ „პროისაკის“ ნაწილობრივი რეპრივატიზაცია, რომლის სააქციო კაპიტალის 70% გაიყიდა, როგორც „სახალხო აქცია“.

„ქარბანა ფოლქსვაგენერკის“ გადაცემას უშუალოდ გერმანელი ხალხის, ე. ი. ბევრი ცალკეული პირის ხელში მე ვთვლი აღმკვნებ იდეად“ — განაცხადა ლ. ერპარდმა.²⁴

ფედერალურმა მთავრობამ აუწყა მსოფლიოს, რომ „სახალხო აქციების“ გავრცელებით ყველა გერმანელი მესაკუთრე გახდაო. გფრ-ის მთავრობა აცხადებს, რომ კლასობრივი ბრძოლის მონაწილის ადგილს იკავებს მესაკუთრე, „სახალხო აქციონერი“. „გფრ-ის მთელი მოსახლეობის კეთილდღეობა, მთავრობის აზრით, უნდა მოიტანოს „სახალხო აქციამ“²⁵.

„სახალხო აქცია“ იყო „საკუთრებაში თანამონაწილეობის“ ლოზუნგზე უფრო შენიღბული და დემაგოგიური ლოზუნგი, რომელიც ჰაიმბურგის ყრილობაზე წამოაყენა ლ. ერპარდმა. მან წამოიხროლა ლოზუნგი — „თვითეულს სახალხო აქცია“. ამას მქუხარე ტაშით შეხედნენ გფრ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მსახურნი.

ჰაიმბურგის ყრილობის შემდეგ, მილიონერ პფერდმენგესთან, კელნში შეიკრიბნენ მინისტრები ერპარდი, ლინდრატი, ეტცელი, ბლანკი და მათი მოადგილეები, აგრეთვე ბანკირები აბსი, ბლესინგი და „ფოლქსვაგენერკის“ დირექტორი ნორდსოფი. ბანკირთა და მათი მსახური მინისტრების თათბირის მთავარი თემა იყო „სახალხო აქცია“. მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს „სახალხო აქციების“ გავრცელება ფედერალური მთავრობის მეშვეობით. თათბირის მონაწილემ ფინანსთა მინისტრმა ეტცელმა განაცხადა, რომ „სახალხო აქცია“ აუცილებელია იმისათვის, რათა შეექმნათ „მესაკუთრეთა ფართო ზოლი“. „თუ წინათ, — თქვა ეტცელმა. — გერმანიასა და ევროპას აღმოსავლეთიდან იფარავდნენ ჯვაროსნები და ციხე-სიმაგრეები, ახლა აღმოსავლეთიდან იდეოლოგიური დაცვის სახით საჭიროა მესაკუთრეთა ფართო ზოლის შექმნაო“.²⁶ აი, რისთვის იქნა წამოყენებული ნეოლიბერალური იდეა რეპრივატიზაცია, „სახალხო აქცია“, „ხალხი მესაკუთრე“.

„ხალხი მესაკუთრე“, „საშუალო მოქალაქე“ „საშუალო შემოსავლით“, სადღაა „პატარა ადამიანი“²⁷ — აი ბონის მთავრობის ნეოლიბერალური ლოზუნგები. ბურჟუაზიის იდეოლოგთა მტკიცება „საშუალო კლასის“ შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოკლებულია თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს.

იბადება კითხვა, რატომ გამოვიდა თვით ფეოდალური მთავ-

რობა „საკუთრების დიფუზიის“, რეპრივატიზაციისა და „მუშათა აქციების“ გავრცელების უშუალო გამტარებლის როლში? პასუხი, როგორც უკვე დავინახეთ, მხოლოდ ერთია: მსხვილი მონოპოლიების კარნახით. თვით მონოპოლიურმა გაერთიანებებმა. სააქციო საზოგადოებებმა „მანნესმანმა“, „დემაგმა“ და სხვ. წინათაც სცადეს „კაპიტალის დემოკრატიზაციის“ გატარება და „მუშათა აქციების“ გავრცელება, მაგრამ მან ლოკალური ხასიათი მიიღო და მხოლოდ მუშათა მალალი ვიწრო ფენა მიიზიდა.

მუშათა ფართო მასებმა უკუაგდეს რეპრივატიზაციისა და „სახალხო აქციების“ იდეა. „სახალხო აქციები“ შეიძინა მალალხელფასიანი მუშებისა და ოსტატების მცირე ნაწილმა. მაშინ მონოპოლიებმა აამუშავეს თავიანთი მანქანა — ბონის სახელმწიფო აპარატი. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო „სახალხო აქციების“ გავრცელება ფედერალურმა მთავრობამ, რომელიც „სახალხო აქციას“ თვლეს „საკუთრების დიფუზიის“, რეპრივატიზაციის. ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმის“ გატარების საუკეთესო საშუალებად.

ბონის მთავრობამ, რომლის სახელმწიფო დოქტრინაა ნეოლიბერალიზმი, გამოაცხადა, რომ სახელმწიფო საწარმოები გადაეცემა მუშებს, რომ რეპრივატიზაციითა და „მუშათა აქციების“ გავრცელებით სახელმწიფო საწარმოთა ბედ-იღბალი გადადის „მთელი ხალხის ხელში“. აი, როგორ გახდა ნეოლიბერალების კარნახითა და ბონის მთავრობის ერთი ხელის დაკვრით დასავლეთ გერმანიის ყველა მოქალაქე „მესაკუთრე“, მონოპოლისტთა „პარტნიორი“, „თანამონაწილე“, „კომპანიონი“, ხოლო გფრ „უმონოპოლიო ჰუმანური საზოგადოება“, „სახალხო კაპიტალიზმი“. ნეოლიბერალების მტკიცებით „სახალხო აქციების“ გავრცელებით. „სააქციო საზოგადოებაში მუშების მონაწილეობის გზით მუშები „მონაწილეობენ საკუთრებაში“ და „თანამონაწილეები“ ხდებიან. პროფ. ერპარდმა, როცა იგი გამოდიოდა „სახალხო აქციების“ პროპაგანდით, წამოაყენა „ანტიმონოპოლიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგი „საკუთრების დეკონცენტრაცია“, რომელიც წარმოადგენს მეორე ნეოლიბერალური ლოზუნგის „საკუთრება ყველას“ — წინაპირობას. სინამდვილეში კი გფრ-ში მოქმედებს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ეკონომიური კანონები, ხდება წვრილ მწარმოებელთა და მესაკუთრეთა გაჩანაგება. საკმარისია ითქვას, რომ 1950—1958 წლებში დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 15310 ათასიდან გაიზარდა 18675 ათასამდე. დაქირავებული შრომის არმიის შევსება კი ხდება წვრილ მესაკუთრეთა გაჩანაგე-

ბის ხარჯზე. აი ასეთია ნამდვილი ფაქტები. რომელთა მიჩქმალვას ლამობს მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგია — ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“.

ბონის მთავრობის გადაწყვეტილებით დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში (კელნი, დიუსელდორფსა და სხვ.) შექმნილია „სახალხო აქციების საზოგადოებები“, რომლებსაც დავალებული აქვთ „მუშათა აქციების“ პროპაგანდა და გავრცელება. „საზოგადოებათა“ სათავეში სხედან მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები. ჯერ კიდევ 1956 წლის აპრილში, მონოპოლისტური კაპიტალის კარნახით, დასავლეთ გერმანიაში ჩამოყალიბდა ორი ინვესტიციური ტრესტი. მათ დაევალათ წვრილი აქციების (50—100 მარკის ნომინალური ღირებულებით) გავრცელება. 1958 წელს დამატებით შეიქმნა კიდევ სამი ინვესტიციური ტრესტი. 1956 წლის ბოლოს გაყიდული იყო 130 მილიონი მარკის აქცია. ხოლო 1957 წლის ბოლოსათვის — 250 მილიონი მარკის.²⁸ ამ სახსრებს დაეპატრონა მსხვილი მონოპოლიები.

„სახალხო აქციათა საზოგადოება“, რომლის ადგილსამყოფელია ქ. კელნი, თავის საქმიანობას წარმართავს კონრად ადენაუერის შვილის (კონრად ადენაუერი — უმცროსი) უშუალო ხელმძღვანელობით. ცნობილია, რომ თვით კონრად ადენაუერს (მამა) თბილი ადგილი უკავია გერმანიის უმსხვილეს ბანკში „დოიტშე ბანკ“, აგრეთვე 15 მსხვილი სააქციო საზოგადოებების („დოიტშე ლიუტპანზა“, „რაინიშვესტფელიშე ელექტროციტეტს გეზელშაფტ“ და სხვ.) სამეთვალყურეო საბჭოში. კონრად ადენაუერმა — ბონის მთავრობის ყოფილმა მესაქემ და ნეოლიბერალური მოძღვრების მოტრფიალემ, შეინარჩუნა რა აქციები დასახელებულ სააქციო საზოგადოებებში, თავის შვილს კონრად ადენაუერს (უმცროსი) გადასცა ეს ადგილები. კონცერნ „მანესმანნის“ წარმომადგენელი შმიდტ-შმიდებახი კი სათავეში უდგას „სახალხო აქციათა საზოგადოებას“ დიუსელდორფში და სხვ.

დასავლეთ გერმანიაში არსებული ყველა „სახალხო აქციათა საზოგადოება“ გაერთიანებულია „სახალხო აქციების საზოგადოებათა კავშირში“, რომლის ხელმძღვანელია ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელი რაინფელსი. სწორედ მან დაწერა პროპაგანდისტული წიგნი „ანბანი სახალხო აქციონერთათვის“.²⁹ კ. რაინფელსი ხოტბას ასხამს „სახალხო აქციების“ გამოშვებას. იგი აცხადებს, რომ დიდი მასშტაბი უნდა მიიღოს რეპრივატიზაციამ და „სახალხო აქციების“ გავრცელებამ, ე. ი. სახელმწიფო საკუთრების გადაქცევამ კერძო საკუთრებად.

ამით იგი ოცნებობს იმაზე, რომ „გააბათილოს“ მარქსისტული მოძღვრება კერძო კაპიტალისტური საკუთრების გადაქცევისა საერთო სახალხო საკუთრებად და მის ადგილზე დასვას დემაგოგიური დოქტრინა რეპრივატიზაცია, „სახალხო აქციების“ გავრცელება და „საკუთრება ყველას“, ე. ი. დემაგოგიური „ანტიმონოპოლიზმი“.

ბუნებრივია, დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის თეორეტიკოსები დიდ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებენ „სახალხო აქციების“ გამოშვებასა და გავრცელებას. მათი აზრით, საჭირო არაა წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაცია. ისინი თვლიან, რომ რეპრივატიზაციითა და „სახალხო აქციების“ გავრცელებით შეიძლება გადაწყდეს საკითხი საკუთრების შესახებ. „სახალხო აქციების“ გამოშვება და გავრცელება მათ მიაჩნიათ წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების ახალ ფორმად, საკუთრების საკითხის გადაწყვეტის „ახალ გზად“. მონოპოლისტების განზრახვა, გადააქციონ „სახალხო აქცია“ სოციალიზაციის მიდრეკილებათა საწინააღმდეგო იარაღად, ემთხვევა კათოლიკური ეკლესიის ინტერესებსაც. მონოპოლისტური კაპიტალის პროპაგანდისტებს რეპრივატიზაციით, „სახალხო აქციით“, „ანტიმონოპოლიზმით“ ისურთ მყშათა კლასის „დეპროლეტარიზაცია“.³⁰

მონოპოლისტური ბურჟუაზიის თეორეტიკოსები გაიძახიან, რომ პროლეტარიატის „დეპროლეტარიზაციას“ იწვევს „სახალხო აქციების“ გავრცელებაო. შელსკიმ დასავლეთ გერმანიაში გამოსცა წიგნი „გერმანული ოჯახის თანამედროვე ტრანსფორმაცია“, რომელშიც მიზნად ისახავს გფრ წარმოდგინოს მონოპოლიების გარეშე, როგორც „ნიველარებული წვრილბურჟუაზიულ-საშუალოწოდებრივი საზოგადოება“.³¹ „სახალხო აქციების“ გავრცელება დრეხსლერს, შელსკისა და მათ თანამოაზრეებს მიაჩნიათ „საშუალო ფენებად“, „საშუალო კლასად“ მუშების გადაქცევის, პროლეტარიატის „დეპროლეტარიზაციის“, „მქონებელი ბურჟუაზიის“ დონემდე პროლეტარის ამადლების საშუალებად, ე. ი. „სოციალური მობილურობისა“ („სოციალური მობილურობა“ არის „საშუალო კლასის“ თეორიის ტყუპი)³² და „სოციალური პარტნიორობის“ განსახიერებად.

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსი, გფრ-ის კანცლერი ლ. ერჰარდი ქადაგებს „სახალხო აქციების“ გავრცელებას და აცხადებს, თითქოს „სახალხო აქციების“ გამოშვებით მოხდა „დეპროლეტარიზაცია“ და დასავლეთ გერმანიისათვის დაიწყო „სოციალური რევოლუციის ახალი ეპოქა“. ლ. ერჰარდი მოუწოდებდა მუშებს

კადილონ დაზოგვა, შეამცირონ მოხმარება და დანაზოგებით შეიძინონ „სახალხო აქციები“. სამაგიეროდ იგი შეპირდა ხალხს, რომ 1950 წლისათვის დასავლეთ გერმანიაში ყველანი მდიდრები გახდებანო. გერმანელი ნეოლიბერალები არც ამ საკითხში დალატობენ თავიანთ ამერიკელ კოლეგებს. ნეოლიბერალური „სახალხო აქცია“ ამერიკული „კაპიტალის დემოკრატიზაციის“ ანარეკლია. ნეოლიბერალებიც გაიძახიან, რომ თითქოს რეპრივიატიზაციითა და „სახალხო აქციების“ გავრცელებით „პოლიტიკურ დემოკრატიას“ დაემატება „ეკონომიური დემოკრატია“.

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები სააქციო საზოგადოების მართვის სისტემას განიხილავენ ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და სოციოლოგების მსგავსად. მათი გაგებით: აქციონერები — ამომრჩეველთა ანალოგიაა, მენეჯერთა საბჭო — პარლამენტის, ხოლო მენეჯერები კი მთავრობის ანალოგია არის³². ასე გამოიყურება „სახალხო აქცია“ და ეგრეთწოდებული „სააქციო დემოკრატია“.

მონოპოლისტური ბურჟუაზიის დამცველები, ერთი შეხედვით. „სახალხო აქციების“ გამოშვებით მიზნად ისახავენ: ჯერ ერთი, წარმოების საშუალებების „განსაზოგადოებას“; მეორე, ყველა მოქალაქის, გერმანელი ხალხის გადაქცევას მესაკუთრედ, ხოლო დასავლეთ გერმანიისა — „სახალხო კაპიტალიზმად“; მესამე, სოციალისტური ნაციონალიზაციისა და გდრ-ში წარმოების საშუალებათა გასახელმწიფოებრივებისათვის სახელის გატეხას. მათი აზრით, ნაციონალიზაცია და გასახელმწიფოებრივება მოძველებულია და იწვევს ბაუროკრატიზმს; მეოთხე, სოციალისტური სისტემისათვის სახელის გატეხასა და მშრომელი მასების სულიერ დატყვევებას, მშრომელთა მცირე დანაზოგების თავმოყრას მონოპოლისტური კაპიტალის ხელში და სხვ.

„სახალხო აქციის“ გავრცელების ერთ-ერთმა მთავარმა თეორეტიკოსმა ვ. დრენსლერმა შეიმუშავა ხელფასის კაპიტალიზაციის აპოლოგეტური გეგმა. მისი აზრით, მუშა ძალზე ბევრს მოიხმარს, ამიტომ იგი მოითხოვს მუშის ხელფასის „წანამატის“ დაყოფას ორ ნაწილად: 1. „სახმარი ნაწილი“ და 2. „კაპიტალიზებული“. სწორედ ამ უკანასკნელით მუშამ უნდა შეიძინოს აქცია და მხოლოდ მაშინ გახდება საწარმოს მესაკუთრეო, მონაწილეობას მიიღებს კორპორაციათა მართვასა და მოგების განაწილებაში. ასე, ერთი ხელის დაკვრით, ვ. დრენსლერმა „გარდაქმნა“ კაპიტალიზმი.

„სახალხო აქციების“ პროპაგანდისტები ფაქტიურად აყენებენ გდრ-ის წინააღმდეგ კონტრრევოლუციის დემაგოგიურ პროგრამას.

ისინი აცხადებენ, რომ მუშებმა უნდა შეისყიდონ „სახალხო აქციები“ და გახდნენ „მესაკუთრეები“, „სახალხო აქციონერები“, „თანამონაწილეები“, „თანამოზიარეები“, „პარტნიორები“. ძნელი გასაგები არაა ის ფაქტი, თუ რას იწვევს ე. წ. „სახალხო აქციების“ გავრცელება მუშებში. „სახალხო აქციების“ გავრცელება წარმოადგენს კაპიტალის ცენტრალიზაციას, მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებისა და მსხვილი მონოპოლიების მოგების გადიდების ერთ-ერთ დამატებით და შენიღბულ საშუალებას. ვ. ი. ლენინი სტატიის „კაპიტალისტური სიმდიდრის ზრდა“ ჯერ კიდევ 1913 წელს წერდა: „მსხვილი კაპიტალი, ქვეყნიერების ყველა კუთხეში გაფანტულ აქციონერთა მცირე კაპიტალების წვრალწვრილად შემოერთებით, კიდევ უფრო მეტად ძლიერი გახდა. სააქციო საზოგადოებათა მეშვეობით მილიონერი ახლა ატრიალებს არა მარტო თავის მილიონს, არამედ დამატებითს კაპიტალსაც...

კაპიტალიზმის დამკველი პროფესორები, როცა ხედავენ წვრილ აქციონერთა რიცხვის ზრდას, ყბედობენ. მესაკუთრეთა რიცხვი იზრდებაო. ნამდვილად კი იზრდება ბოხოლა მილიონერების ძალაუფლება (და შემოსავალი) „წვრილფეხათა“ კაპიტალის მიმართ.“³⁴

სწორედ ასეთივე მდგომარეობაა ამჟამადც დასავლეთ გერმანიაში. მსხვილი კაპიტალისტების, მილიონერების შემოსავალი კოლოსალურად იზრდება; ხოლო მუშებისათვის „სახალხო აქციების“ შექმნა შეიძლება იყოს მხოლოდ ნარკოზი მშრომელი მასების იდეური დაჩლუნგებისა და დატყვევებისათვის.

„სახალხო აქციების“ გამოშვებით სურთ მონოპოლისტური კაპიტალის თეორეტიკოსებს „პატარა ადამიანის“ გადაქცევა მსხვილი მესაკუთრეების „თანამონაწილეებად“, „თანამოზიარეებად“. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების წარმომადგენელმა გერმანიის მრეწველობის ფედერალური კავშირის თავმჯდომარემ ფ. ბერგმა³⁵ წამოაყენა პროექტი „აქციის დანაწევრების“ შესახებ. რომლის თანახმად „სახალხო აქციები“ გამოშვებული უნდა იქნეს დაბალი ნომინალური ღირებულებით, რათა „პატარა ადამიანებს“ შესაძლებლობა ჰქონდეთ მათი შექმნისა. წვრილი აქციები იყიდება ინვესტიციური სერტიფიკატების ფორმით. რომლებიც ზოგჯერ ლებულობს „შინაგანი აქციების“³⁶ სახეს. აი ამ „შინაგანი აქციების“ გავრცელებას ქადაგებენ შელავათიან პირობებში. მაგალითად, მაღალხელფასიან მუშებს თავს ახვევენ აქციებს ერთდროული ფულადი დახმარების, პრემიისა და ხელფასზე სხვა „დამატებათა“ სახით.³⁷

დუისბურგში ქარხანა „დემავში“ სცადეს „სახალხო აქციების“ გავრცელება ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით, მაგრამ ამაზეც უარი განაცხადეს მუშებმა. ისინი მიხვდნენ, რომ „სახალხო აქციების“ გავრცელება ნიშნავს მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებასა და კაპიტალისტთა მოგებას გადიდებას.

„სახალხო აქციების“ გავრცელების მიზნით აქციები შეღავათიან ფასებში შესთავაზეს იმ მუშებს, რომელთა წლიური შემოსავალი 16 000 მარკაზე დაბალი იყო. მაგალითად, მათ შეეძლოთ აქციების შეძენა 15—20%-ით ნაკლებ ფასებში საბირჟო კურსთან შედარებით. მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს და „სახალხო აქციების“ გავრცელებამ დასავლეთ გერმანიაში ფაქტიურად კრახი განიცადა.

მეომართოთ ფაქტებს: კონცერნ „მანესმანნის“ რეპრივატიზაციისა და „სახალხო აქციების“ გამოშვების შედეგად აქციები შეიძინა 11 800 მუშამ და მოსამსახურემ. ერთი შეხედვით საკმაოდ დიდი რაოდენობაა, მაგრამ ვნახოთ რა იმალება ამ „დიდი რაოდენობის“ უკან. ყველა ეს 11 800 „აქციონერი“ ფლობდა კონცერნის ძირითადი კაპიტალის მხოლოდ 0,6%-ს. საკონტროლო პაკეტი კი მსხვილი მონოპოლისტების ხელში იყო და დარჩა.

1960 წლის დასაწყისში გფრ-ში დაახლოებით 100 000 მუშასა და მოსამსახურეს (ე. ი. მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 0,5%) შეძენილი ჰქონდა „სახალხო აქცია“. ერთობ „დიდი“ რიცხვია, მაგრამ ყველა ეს „სახალხო აქციონერი“ ერთად აღებულ იქნა ფლობდა აქციებს 60 მილიონი მარკის ოდენობით, რაც მთელი სააქციო კაპიტალის მხოლოდ 0,3%-ს შეადგენდა.³⁸ მთელი სააქციო კაპიტალის 78% დასავლეთ გერმანიაში ხელთ უპყრათ მსხვილ მონოპოლიებს. სააქციო საწარმოებში კაპიტალი არ გამზდარა არც „უფრო საზოგადოებრივი“ და არც „უფრო ჰუმანური“, როგორც ამას გაიძახიან მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგეტები. კომენტარები ზედმეტია. „სახალხო აქცია“ მშრომელი მასების გაძარცვის საშუალებაა. მუშები „სახალხო აქციების“ შეძენით წაგებულნი რჩებიან ეკონომიურად და მოტყუებული პოლიტიკურად. წვრილი აქციონერები შეიძლება იყვნენ მხოლოდ „საზარბაზნე ხორცი“ მონოპოლისტებს შორის კორპორაციაზე კონტროლისათვის ბრძოლაში.

კონცერნ „პროისაგის“ რეპრივატიზაციის შედეგად გამოშვებულ იქნა „სახალხო აქცია“ 100 მარკის ღირებულებით თვითეული. მუშას, რომელიც შეიძენდა სამ „სახალხო აქციას“ (ე. ი. 300 მარკის) 1959 წლისათვის, ჰპირდებოდნენ 8% სარგებელს (ე. ი.

24 მარკას). რეპრივატიზაციის კანონმდებლობის თანახმად მუშას — „სახალხო აქციონერს“ აღნიშნული 24 მარკიდან მეოთხედი, ე. ი. 6 მარკა გადასახადის სახით უნდა მიეცა სახელმწიფოსათვის; მაშასადამე, მას „რჩებოდა“ 18 მარკა. ამრიგად, 100 მარკის ნომინალური ღირებულების აქციის მფლობელმა საშუალოდ წლის განმავლობაში შეიძლება მიიღოს არა უმეტეს 6—6,5 მარკისა.³⁹ დაახლოებით ამდენივე „წლიურ მოგებას“ მიიღებდა ეს მუშა თავისი ფული რომ შეეტანა შემნახველ სალაროში. აქ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კონცერნ „პროისაგის“ რეპრივატიზაციის დროს აქციების გაყიდვის კურსი 145-ს შეადგენდა, ე. ი. 3 აქციისათვის „სახალხო აქციონერს“ უნდა გადაეხადა არა 300, არამედ 435 მარკა.

ისულ სხვაგვარად ხატავს „სახალხო აქციის“, „სახალხო კაპიტალიზმის“, „ხელფასის კაპიტალიზაციის“ სურათებს ვ. დრეხსლერი. მან სპეციალური ცხრილი შეადგინა, რომლის მიხედვით დასავლეთგერმანელ მუშას, რომელმაც 100 მარკა „დაზოგა“ და „სახალხო აქციის“ შექმნით მოახდინა „ხელფასის ინვესტიცია“, ხელთ ექნება კაპიტალი — 10 წლის შემდეგ 3 000 მარკა, 20 წლის შემდეგ 11 000 მარკა, 40 წლის შემდეგ 42 000 მარკა, ხოლო 50 წლის შემდეგ 65 000 მარკა. ამგვარად „ქურტლის მრეცხავი გახდება უნივერსალუბის მეფე“. აი რა სასწაულები ხდება „სახალხო აქციით“⁴⁰.

ც ხ რ ი ლ ი 2

ოფიციალური ცნობები კონცერნ „პროისაგის“ „სახალხო აქციების“ გაყიდვის შესახებ⁴¹

„სახალხო აქციების“ მყიდველები	მყიდველთა რიცხვი	%-ში
1. კონცერნ „პროისაგის“ მუშები და მოსამსახურეები	2384	1
2. ჩინოვნიკები	17752	8
3. მოსამსახურეები	62844	29
4. მუშები	11025	5
5. ხელოსნები და მეწარმეები	16397	7
6. თავისუფალი პროფესიის პირები	27274	13
7. პენსიონერები	22139	10
8. ქალები	56304	27
	216119	100

ცხრილიდან ვხედავთ: ჯერ ერთი, „სახალხო აქციების“ შეძენის სურველი გამოუთქვამს 216119 ადამიანს, აქედან მხოლოდ 2384 (1%) არას თვით „პროისაგის“ მუშა-მოსამსახურე; მეორე, „სახალხო აქციების“ საერთო რაოდენობის მხოლოდ 5% მოდის მუშებზე. ე. ი. „მუშა აქციონერებზე“; მესამე, კონცერნის ხელმძღვანელობაში (სამეთვალყურეო საბჭო) მხოლოდ ერთი „სახალხო აქციონერი“ შეიყვანეს. ხმების საერთო რაოდენობის 90% ეკუთვნოდა ბანკების წარმომადგენლებს. განა შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი შრომისა და კაპიტალის პარიტეტული „თანამონაწილეობის“, „პროპორციული პარტიურობის“, მუშების სრული „თანამონაწილეობის“, თაობაზე? ნეოლიბერალური „სახალხო აქციების“ უსწორობაში „რომ დავრწმუნდეთ, უნდა გავიხსენოთ წესი, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებაში (ისევე როგორც საერთოდ მეცნიერებაში) საქმე ეხება მ ა ს ო ბ რ ი ვ მოვლენებს და არა ცალკეულ შემთხვევებს“.⁴²

წვრილი აქციონერები თავიანთ აქციებს აბარებენ ბანკებს, ბანკები ანგარიშობენ დივიდენდის რაოდენობას, იხდიან გადასახადებს აქციონერთა მაგიერ და აქციონერთა ხმის უფლება აქვთ სააქციო საზოგადოების კრებებზე („ხმის მიცემის დეპოზიტური უფლება“). „ამ წვრილ მენაბრეთა სიმრავლე, — წერს ვ. ი. ლენინი, — მსხვილი კაპიტალის დაქუცმაცებას კი არ ნიშნავს, არამედ მსხვილი კაპიტალის ძლიერების გადიდებას, რომელიც თავის განკარგულებაში იღებს „ხალხის“ დანაზოგთა სულ უმცირეს ნაშთებსაც კი. წვრილი მენაბრე მსხვილ საწარმოში მონაწილეობით უფრო დამოუკიდებელ მეპატრონედ კი არა ხდება, არამედ მსხვილი მეპატრონისგან უფრო და მოკიდებულ პიროვნებად“.⁴³ აი სწორედ ასეთ პროცესს აქვს ადგილი ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმის“ — რეპრეზატიზაციისა და „სახალხო აქციების“ გავრცელების დროს. მშრომელი მასების უმცირეს დანაზოგებსაც კი მონოპოლისტური კაპიტალი განაგებს.

დასავლეთ გერმანიის უმსხვილესი ბანკები „სახალხო აქციების“ გავრცელებით თავიანთ ხელში იგდებენ დიდძალ სახსრებს, ე. ი. რეპრეზატიზაციითა და „სახალხო აქციების“ გამოშვებით კაპიტალის, საკუთრების „დეცენტრალიზაცია“⁴⁴ და „დეკარტელიზაცია“ კი არ ხდება, არამედ, პირიქით, ძლიერდება წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი.

ლაპარაკიც ზედმეტია „სახალხო აქციების“ შეძენის გზით წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების შექმნაზე. „სახალხო აქცია“ „აპოლიტიზაციისა“ და „დენაციონალიზაციის“

საშუალებაა.⁴⁵ „ამრიგად, სააქციო საქმეში დემოკრატიული საწყისი ფიქციას წარმოადგენს. ძლიერდება ავტოკრატია და საზოგადოებრივი საკუთრების მითვისება უმცირესობის მიერ“.⁴⁶

დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასის შეგნებული ნაწილი ხედავს, რომ „სახალხო აქცია“, როგორც დემაგოგიური „ანტიმონოპოლიზმის“ მოთხოვნა, ექსპლოატაციის გაძლიერების შენიღბული ფორმაა და უარს აცხადებს „სახალხო აქციების“ შექმნაზე. მუშები არ ყიდულობენ „შინაგან აქციებს“: „ინვესტიციურ სერტიფიკატებს“ და „სახალხო აქციის“ არც სხვა სახეებს. ამ ფაქტს ვერც დასავლეთ გერმანიის პრესა უვლის გვერდს. მაგალითად, დასავლეთ გერმანიის ინსტიტუტმა, რომელიც მოსახლეობის საზოგადოებრივ აზრს იკვლევს, 1957 წ. გოდესბერგში შეინწავლა „სახალხო აქციების“ გავრცელების პერსპექტივა. 1782 კაცს შეეკითხნენ, აპირებენ თუ არა „სახალხო აქციის“ ყიდვას, მხოლოდ 5%-მა უპასუხა დადებითად, ხოლო 95%-მა უკუაგდო „სახალხო აქციების“ შექმნის იდეა.⁴⁷

მუშები პროტესტს აცხადებენ რეპრივატიზაციისა და „სახალხო აქციების“ წინააღმდეგ და მოითხოვენ ნაციონალიზაციის გატარებას. „სახალხო აქცია“ ერთ-ერთმა გერმანელმა მუშამ უწოდა „სულელების აქცია“. დიდი ხანია მიმდინარეობს გაძლიერებული კამპანია „გოვალდტვერკე აგ“ (ჰამბურგი) რეპრივატიზაციის მიზნით. ყველა მუშას ხელფასთან ერთად კონვერტში ჩაუდეს ფურცელი, რომელიც აგიტაციას უწევს მუშებს მხარი დაუჭირონ ნავსაშენის რეპრივატიზაციასა და „სახალხო აქციების“ გავრცელებას. ჩატარდა გამოკითხვაც, რომელშიც მონაწილეობდა 7830 მუშა. მხოლოდ 4 კაცმა დაუჭირა მხარი ნავსაშენის რეპრივატიზაციასა და „სახალხო აქციების“ გამოშვებას.

რეპრივატიზაციისა და „სახალხო აქციების“ წინააღმდეგ გამოვიდნენ ქარხანა „ფოლკსვაგენვერკის“ მუშებიც. აქაც ყოველი 100 მუშიდან 83-მა გაილაშქრა რეპრივატიზაციის წინააღმდეგ. ქარხნის მუშებმა „სახალხო აქციების“ გამოშვების პროტესტის ნიშნად გაფიცვა მოაწყვეს. ქარხნის 25 562 მუშამ ხელი მოაწერა განცხადებას, რომ წინააღმდეგი არიან ქარხნის რეპრივატიზაციისა და „სახალხო აქციების“ გამოშვებისა. პირადად ლ. ერჰარდმა 36 ათას მუშას მიმართა წერილით, რათა მიეღოთ „სახალხო აქციების“ გავრცელების პროგრამა. ლ. ერჰარდი პირადად ეწვია ვოლფსბურგის მუშებს, მაგრამ ქარხნის საბჭომ უარი განაცხადა მოლაპარაკებაზე რეპრივატიზაციისა და „სახალხო აქციების“ გავრცელებასთან დაკავშირებით. მუშებმა არ მისცეს ხმა რეპრივატიზაციის სასარგებლოდ.

დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასს კომპარტია განუმარტავს, თუ რა არის „სახალხო აქცია“, ნეოლიბერალური, „ანტიმონოპოლიზმი“ და რას ემსახურება იგი. თუ აქცია არსებული კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს არა საკუთრების ტიტულს, არამედ შემოსავალთა ტიტულს, მაშინ ლოგიკურად აქციას არ შეუძლია კოლექტიური საკუთრების შექმნა. მას შეიძლება მხოლოდ პრეტენზია ჰქონდეს მოგებაში მონაწილეობაზე. „მოგებაში მუშების მონაწილეობა“, კი, როგორც უკვე ვნახეთ, არის მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერების შენიღბული ფორმა.

მასასადამე. ეგრეთწოდებული „სახალხო აქცია“, როგორც საკუთრების გაფანტვა „სახალხო აქციების“ მფლობელთა შორის, წარმოადგენს წმინდა წყლის მოტყუებით მანევრს⁴⁸.

გერმანიის კომპარტიამ დაგმო „სახალხო აქციების“ იდეა და მოუწოდა მუშათა კლასს რეპრივაციზაციისა და „სახალხო აქციების“ წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომაც რომ დასავლეთ გერმანიის რევოლუციური მუშები გადაჭრით გამობენ რეპრივაციზაციისა და „სახალხო აქციების“ ლოზუნგს და მოითხოვენ ნაციონალიზაციის გატარებას. მუშები „სახალხო აქციებისა“ და „სოციალპარტიზმის“ წინააღმდეგ იმიტომაც გამოდიან, რომ აქციის შექმნით ისინი მიჯაჭვული ხდებიან იმ საწარმოზე, რომლის აქციაც შეიძინეს. თუ ისინი მოისურვებენ საპუშო ადგილის შეცვლას, მაშინ დაკარგავენ უმნიშვნელო „შემოსავალსაც“ კი. მუშების უმრავლესობა გამოდის „პარტიზმის“ საშუალებით მუშების ერთ ადგილზე მიჯაჭვის წინააღმდეგ და არ სურს „სახალხო აქციების“ შექმნა.⁴⁹

რეპრივაციზაციისა და „მუშათა აქციების“ წინააღმდეგ გამოსვლებმა ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ რიგ საწარმოებში „სახალხო აქციების“ მესვეურები იძულებული გახდნენ უკანვე შეესყიდათ მუშებზე მიყიდული „სახალხო აქციები“. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ქარხანაში „ოიზენვერკფუნკე“, რომელიც ეკუთვნის „მანესმანის“ კონცერსს.

ახალი კანცლერი ლ. ერჰარდი ექსკანცლერ კ. ადენაუერზე კიდევ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმის“ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას, დასავლეთ გერმანიის მშრომელი მასები კი, ბუნებრივია, ამ პროგრამის წინააღმდეგ გამოდიან. კანცლერის პოსტზე დადგომის 16 დღის შემდეგ 8000 მუშა გამოვიდა ქუჩაში ლ. ერჰარდის ნეოლიბერალური პროგრამის საწინააღმდეგო დემონსტრაციით.⁵⁰ მუშათა კლასთან ერთად ბონის რეჟიმის პოლიტიკის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს აგრეთვე მშრომელი გლეხობაც.

ამრიგად, „მუშების მონაწილეობა მოგებაში“. „საკუთრება ყველას დაზოგვით“, „ხელფასის კაპიტალიზაცია“, „პროპორციული პარტნიორობა“, „სახალხო აქცია“ და სხვ. „სახალხო კაპიტალიზმის“ სხვადასხვა ვარიანტებია. ისინი მიმართულია იქითკენ, რომ მუშის ხელფატი შემცირდეს შენიღბულად, შელამაზებულად, მამასადამე, ამალღდეს მსხვილ მეწარმეთა მოგება.

8. ნეოლიბერალური „დეკარტელიზაცია“ და „ანტიმონოპოლიზმი“

ნეოლიბერალიზმის პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების გადაჭრას საქმეში „სახალხო აქციებთან“ ერთად დიდ იმედებს ამყარებდნენ ე. წ. ნეოლიბერალურ „დეკარტელიზაციაზე“, როგორც „ანტიმონოპოლისტური ღონისძიების“ გატარებაზე. „სოციალური საბაზრო მეურნეობისა“ და „სოციალური პარტნიორობის“ პროგრამა მოიცავს აგრეთვე „დეკარტელიზაციას“ — ნეოლიბერალიზმის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემას მიმართულს მონოპოლიების, მონოპოლიური გაერთიანებების „წინააღმდეგ“. ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმის“ დემაგოგიური პოლიტიკის გატარება დასავლეთ გერმანიაში დაიწყო აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფალთა უშუალო მხარდაჭერითა და წაქეზებით. დიდი ხმაური ატყდა ნეოლიბერალური „დეკარტელიზაციის“ გარშემო. „გერმანიის მილიტარიზმის საფუძვლებს — მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მოსაპობის ნაცვლად აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა გაატარეს ზოგიერთი მონოპოლიური გაერთიანების ეგრეთწოდებული „დეკარტელიზაცია“ ანუ „დაქუცმაცება“. რომელიც წარმოადგენდა ძველი მონოპოლიების შეცვლას ახალი მონოპოლიებით, მათში ძველი ხელმძღვანელობის შენარჩუნებით.⁵¹

ნეოლიბერალური „დეკარტელიზაციის“ პრაქტიკული განხორციელებისათვის შერჩეულ იქნა ოკუპაციის ამერიკული, ინგლისისა და საფრანგეთის ზონა. სწორედ ამერიკელ ოკუპანტთა მხარდაჭერით შეიმუშავა ვ. ოიკენმა „ახალი ეკონომიური პოლიტიკა“. დასავლეთის სახელმწიფოების საოკუპაციო ხელისუფალთა ინიციატივით უკვე 1947 წ. დაიწყო „დეკარტელიზაციის“ გატარება დასავლეთ გერმანიის ქვანახშირისა და მეტალურგიულ მრეწველობაში.⁵² 1947 წლის დასაწყისიდან მიიღეს ზომები მონოპოლიური გაერთიანებათა „დანაწილების“, „რეორგანიზაციის“ შესახებ. „აკრძალეს“ შეთანხმებანი კარტელებს შექმნის თაობაზე.

ნეოლიბერალიზმის „ახალი ეკონომიური პოლიტიკა“, რომე-

ლიც ნეოლიბერალების მამამთავარმა ვ. ოიკენმა შეიმუშავა, რათქმა უნდა, მოითხოვდა მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების. მსხვილი კაპიტალს „დაშლას“ — „დეკარტელიზაციას“.⁵³ იზაბელა კითხვა: რატომ მოითხოვდა ვ. ოიკენმა და მისმა მოწაფეებმა -- „ოიკენის სკოლამ“ „დეკარტელიზაცია“?

ცნობილია, რომ ნეოლიბერალური „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“, „სოციალური პარტნიორობა“ და მონოპოლიები შეუთავსებელი უნდა იყოს. „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მოთხოვნაა „საკუთრება ყველას“, „თავისუფალი კონკურენცია“ („პატიოსანი კონკურენცია“), „თავისუფალი შეჯიბრება“, „შეჯიბრების წყობილება“, „სოციალპარტნიორობა“. ამიტომ, ბუნებრივია, ნეოლიბერალიზმი გამოდიოდა და გამოდის „ანტიმონოპოლიზმის“, მაშასადამე, „დეკარტელიზაციის“ დემაგოგიური ლოზუნგით. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები მონოპოლიების ადგილას აყენებენ თავისუფალ კონკურენციას, ქება-დიდებას ასხამენ მას.⁵⁴ ნეოლიბერალებმა მონოპოლიური გაერთიანებები გამოაცხადეს „ცენტრალურ-მართული მეურნეობის“ სახესხვაობად და, როგორც „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ საპირისპირო „ტიპი მეურნეობისა“, მოითხოვეს მონოპოლიების „დეკონცენტრაცია“, „დეკარტელიზაციის“ გატარება, „საკუთრების დეკონცენტრაცია“.

ნეოლიბერალური „დეკარტელიზაცია“, როგორც დემაგოგიური „ანტიმონოპოლიზმის“ პროგრამის ორგანული ნაწილი, სინამდვილეში ნიშნავს მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესების დაცვას, კაპიტალის კონცენტრაციის პროცესის დაჩქარებასა და, მაშასადამე, რეკარტელიზაციას.⁵⁵ „დეკარტელიზაციით“, „საკუთრების დიფუზიით“, „საკუთრება ყველას“ და „ანტიმონოპოლიზმის“ სხვა დემაგოგიური ლოზუნგებით ნეოლიბერალისტების გამოსვლა ნიშნავს მონოპოლისტური კაპიტალის დაცვას წვრილბურჟუაზიული პოზიციებიდან. ნეოლიბერალი ვ. რეპკე დემაგოგიურად აცხადებდა, რომ ნეოლიბერალიზმის პროგრამა მიმართულია მონოპოლიების წინააღმდეგ და იცავს წვრილი მესაკუთრეების ინტერესებსო. თავის შრომაში „ქვემანური საზოგადოება“ ვ. რეპკემ ნეოლიბერალური პროგრამა დაახასიათა, როგორც რევოლუციური ხასიათის ღონისძიება, ხოლო ნეოლიბერალური პროგრამის არსებად გამოაცხადა „მონოპოლიების საწინააღმდეგო პოლიტიკა“, „ანტიმონოპოლიური პოლიტიკა“⁵⁶. აი, როგორ დემაგოგიურად გამოიყურება ნეოლიბერალებმა „ანტიმონოპოლისტური“ პროგრამის წვრილბურჟუაზიულობა, რომლის მიზანია ნეოლიბერალიზმის იმპერიალისტური არსის დაფარვა, შენიღბვა.⁵⁷

„სოციალური საბაზრო მეურნეობის“ კერძის, როგორც დ-საველეთ ზონებში ოფიციალური ეკონომიური პოლიტიკის, გატარება დაიწყო ფულს რეფორმით. ნეოლიბერალური „ახალი ეკონომიური პოლიტიკის“ პლატფორმა შემუშავდა ლ. ერპარდის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. ნეოლიბერალური ეკონომიური პოლიტიკის თეორიული საფუძვლების შემუშავებისა და სრულყოფის მიზნით ლ. ერპარდის, როგორც ეკონომიკის მინისტრის, გარშემო შეიქმნა ეკონომისტთა ჯგუფი, რომელიც შემდეგ იწოდებოდა ასეთნაირად: „ეკონომიკის ფედერალურ მინისტრთან არსებული მუდმივი ეკონომიური საბჭო“. „საბჭოში“ შედის დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტების 20-მდე პროფესორი.

1953 წელს, ე. ი. შექმნიდან 5 წლის შემდეგ, „საბჭომ“ ჩამოაყალიბა ნეოლიბერალური პროგრამის შემდგენელი კომისია. მისი მთავარი ამოცანა იყო და არის ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ თეორიული პრობლემების დამუშავება და მისგან გამომდინარე ეკონომიურ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება.

ნეოლიბერალური „ახალი ეკონომიური პოლიტიკის“ ცხოვრებაში გატარება დაიწყო ჯერ კიდევ 1947 წელს. დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო ხელისუფლებმა „დეკარტელიზაციის“ გატარება დაიწყეს 1947 წელს. „დიდი რეფორმა“ გატარდა 1948 წლის 20 ივნისს. ძველი რაიხსმარკები შეიცვალა ახლათ (შეფარდებით 100:10), რითაც, ცხადია, მოგებული დარჩნენ მონოპოლისტები, მსხვილი მესაკუთრეები. მსხვილ მონოპოლიებს საშუალება მიეცათ თავიანთი კაპიტალი ახალ ვალუტაზე გადაეყვანათ შეფარდებით 1:2, 1:3. აღნიშნულმა რეფორმამ შეამცირა მონოპოლიების გადასახადები და ფაქტიურად ხელი შეუწყო მონოპოლისტთა მოგების გადიდებას. „ფულის რეფორმა გატარდა მშრომელთა ახალი, უზარმაზარი გაძარცვის მეშვეობით. ომით გამოწვეული სიძნელენი წარმოების საშუალებათა კერძო მესაკუთრეებიდან გადატანილ იქნა მშრომელებზე.“⁵⁸

1958 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „კანონი კარტელის შესახებ“. „კანონი“ ითვალისწინებდა ნეოლიბერალური თეორიისა და პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. „კანონი კარტელის შესახებ“ მიზნად ისახავდა: მონოპოლიებს „ლიკვიდაციას“, მონოპოლიური გაერთიანებების დაშლასა და „თავისუფალი კონკურენციისაკენ უკან დაბრუნებას“, „პატიოსანი კონკურენციის“, „ეკონომიური ჰუმანიზმის“, ე. ი. „საკუთრება ყველასათვის“, „შეჯიბ-

რების წყობილების“ შექმნასა და „სოციალური საბაზრო მეურ-
ნეობის“ განმტკიცებასა და განვითარებას.

„ანტიკარტელურ“ კანონს მაღალი შეფასება მისცა ბურჟუა-
ზიულმა პრესამ. მაგალითად, ლ. ერპარდმა „ანტიკარტელურ კა-
ნონს“ უწოდა „საბაზრო მეურნეობის“ „დიდი ქარტია“. აშშ-ში
აგრეთვე დიდი ადგილი დაუთმეს „დეკარტელიზაციას“ და შეაფა-
სეს იგი, როგორც „თავისუფალი მეწარმეობის“, „ჯანსაღი და პა-
ტიოსანი კონკურენციის“ განხორციელების საუკეთესო საშუალებ-
ა. რატომ შეხვდა აღფრთოვანებით ამერიკის პრესა „დეკარტე-
ლიზაციის“, „ანტიკარტელური“ კანონის მიღებას დასავლეთ გერ-
მანიაში? მხოლოდ იმიტომ, რომ ნეოლიბერალური „ანტიკარტე-
ლური“ კანონი — „დეკარტელიზაცია“, „ანტიმონოპოლიზმი“
იგივეა, რაც აშშ-ში გატარებული „ანტიტრესტული ღონისძიება-
ნი“. ამერიკული „თავისუფალი მეწარმეობისა“ და „ანტიტრესტუ-
ლი კანონის“ მსგავსად გამოიგონეს გერმანული ნეოლიბერალუ-
რი თეორია და „ანტიკარტელური“ კანონი. ორივე აპოლოგეტური
მოდღერება და მათგან გამომდინარე „კანონი“ ემსახურებოდა და
ემსახურება ბურჟუაზიას. საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ჯერ
კიდევ 1923 წლის 2 ნოემბერს გერმანიაში მიიღეს ეგრეთწოდებუ-
ლი „კანონი კარტელების შესახებ“, რომელიც ატარებდა „ანტი-
მონოპოლისტურ“ ნიღაბს, სინამდვილეში კი გერმანიაში მეორე
მსოფლიო ომის წინ დიდი მასშტაბი მიიღო კაპიტალის კონცენტრა-
ციამ და ცენტრალიზაციამ.

რა თქმა უნდა, დიდი ხმაური ატეხეს „ანტიკარტელური“ კა-
ნონის, როგორც ნეოლიბერალიზმის „ანტიმონოპოლისტური პო-
ლიტიკის“ გარშემო. თვით ნეოლიბერალებმა. ლ. ერპარდმა მას
უწოდა „საბაზრო მეურნეობის ძირითადი კანონი“.

ნეოლიბერალური ანტიკარტელური კანონი არ შეეხო მსხვილ
მონოპოლიურ გაერთიანებებს („ქვანახშიროსა და ფოლადის
ეკროპის გაერთიანება“), ე. ი. რომლებსაც უნდა შეხებოდა პირ-
ველ რიგში. პირიქით, როგორც სწორად შენიშნავს პ. ბერჩი, ნეო-
ლიბერალურმა „დეკარტელიზაციამ“, „დეკონცენტრაციამ“, „ანტი-
მონოპოლიზმმა“ „სემაფორი გაუხსნა“, „მწვანე ქუჩა“ მისცა ოფი-
ციალურ კარტელიზაციას.⁵⁹

ნეოლიბერალი პროფესორი ფრ. ბემიც კი იძულებული გახდა
ელღარებინა. რომ ნაცვლად „შეჯიბრების წყობილებისა“ და „თავი-
სუფალი საბაზრო მეურნეობისა“ გაძლიერდა კარტელიზაცია. კაპი-
ტალის კონცენტრაციის პროცესი.

„სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მესვეურთა მიერ გატარე-

ბული „ანტიმონოპოლიზმის“ შედეგად სააქციო საზოგადოებათა საერთო რაოდენობის 0,3% (8 საწარმო) ფლობს მთელი სააქციო კაპიტალის 25%-ს.⁶⁰

ნეოლიბერალების „ანტიმონოპოლიზმი“, „ანტიმონოპოლიტიკური თეორია“ მიმართულია მუშათა კლასის და წვრილ მწარმოებელთა სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ. ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“ უარყოფს წვრილ მწარმოებელთა გაერთიანებას, მონოპოლიების წინააღმდეგ, იგი ფაქტიურად კანონგარეშე აცხადებს პროფკავშირებს.

ამრიგად, „ანტიკარტელური კანონი“, „ანტიმონოპოლიზმი“, „ანტიმონოპოლური თეორია“ ამერიკული „ანტიტრესტული კანონის“ ერთტიპიურია და მიზნად ისახავს მონოპოლიების დემაგოგიურ დაცვას, წვრილ მწარმოებელთა და მთელი მშრომელი მასების მოტყუებას, იდეურად დატყვევებას.

ამერიკულ „ანტიტრესტულ კანონსა“ და „ნეოლიბერალურ ანტიკარტელურ კანონს“ შორის მკიდრო იდეური ნათესაობაა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ნეოლიბერალების წელიწდეულში ხშირად ქვეყნდება სტატიები „ანტიტრესტული“ თეორიისა და პოლიტიკის გარშემო. მაგალითად, „ორდოში“ გამოქვეყნდა: ე. ჰოსის სტატია „ამერიკული ანტიტრესტული პოლიტიკა ევროპის მონოპოლიებთან ბრძოლის შუქზე“,⁶¹ ე. მესტმეკერის „დეკარტელიზაცია და შეჯიბრება გერმანიის სასამართლო გადაწყვეტილებებში“⁶², ფრ. ბემის „სახელმწიფო სასამართლო და კარტელები“⁶³, კ. მეტელის „კარტელდებატები აგრეთვე შვეიცარიაში“⁶⁴, ჰ. რაშის „კონტროლი მონოპოლიებზე აშშ-ში“⁶⁵, რ. ც. ბერნჰარდის „დიდი საწარმოები და მონოპოლია შეერთებულ შტატებში, ნაციონალ-ეკონომიური და იურიდიული კრიტერიუმი“⁶⁶ და სხვ.

„ანტიკარტელური კანონი“ და „ანტიტრესტული კანონი“ ერთ მიზანს ემსახურება და ორივე დემაგოგიური ხასიათის მატარებელია. ერთიც და მეორეც წარმოადგენს ბურჟუაზიულ-რეფორმისტული „გამწონასწორებელი (გამთანაბრებელი) ძალების თეორიის“⁶⁷ პროპაგანდას.

„ანტიკარტელური კანონის“ გამოცემამდე დასავლეთ გერმანიაში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. ჯერ კიდევ 1947 წელს გამოიცა „კანონი კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ“. „კანონი გერმანიის მეურნეობის მეტისმეტი კონცენტრაციის აკრძალვის შესახებ“ (1947) ატარებდა წმინდა ფორმალურ ხასიათს. სახელწოდებიდან ჩანს, რომ „კანონი“ ითვალისწინებდა მონოპოლიების ძლიერების „შერბილებას“, „დეცენტრალიზაციას“, „დე-

მონოპოლიზაცია“ და „თავისუფალი კონკურენციის“, „თავისუფალი მეწარმეობის“ გაშლას. ნეოლიბერალური თეორეტიკოსები ეშმაკურად მოიქცნენ. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ განსაკუთრებით გაიზარდა ფართო მასების სიძულვილი ნაციისტთა ბატონობისა და ოპს წლებში მსხვილი მონოპოლიებისადმი. ნეოლიბერალებმა დემაგოგიურად გამოიყენეს ეს გარემოება და დაიწყეს მონოპოლიების შენიღბული დაცვა მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლის ყალბი საფარით. „ეს ეგრეთწოდებული „დეცენტრალიზაცია“ ატარებდა ფორმალურ ხასიათს“.68 „დეკარტელიზაცია“ და „დეცენტრალიზაცია“ მონოპოლისტურმა კაპიტალმა გამოიყენა თავისი მიზნებისათვის. ფაქტურად მოხდა არა მსხვილი მონოპოლიების დაშლა, დანაწილება — „დეცენტრალიზაცია“, არამედ, პირიქით, დაშლილი, დანაწილებული და ეკონომიურად დასუსტებული კარტელების, კონცერნების გაერთიანება, ე. ი. რეკარტელიზაცია. მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლებმა რეკარტელიზაციით შეძლეს მეორე მთავლი ოპის შემდეგ დანაწილებული მონოპოლიების გაერთიანება უფრო მსხვილ და კონცენტრირებულ, ცენტრალიზებულ კონცერნებად.

ნეოლიბერალები ფაშისმის განადგურებისთანავე გამოვიდნენ ფაშისტური ტოტალიტარიზმის — „ცენტრალურ-მართული მეურნეობის“ წინააღმდეგ და დაიწყეს პროპაგანდა „თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობის“, როგორც „ცენტრალურ-მართული მეურნეობის“ საწინააღმდეგო „მეურნეობის იდეალური ტიპის“ შექმნისათვის. ამ მიზნით თანამშრომლობდნენ ისინი აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებთან და მათი უშუალო მხარდაჭერით იწყეს „ანტიმონოპოლიურ“ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება.

ნეოლიბერალებმა შეიმუშავეს კანონპროექტი კარტელების შესახებ. 1952 წ. ბუნდესტაგმა განიხილა დასახელებული კანონპროექტი. კანონპროექტის დაზუსტების კომისიაში მოხვდნენ დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები. ეს ლოგიკურიც იყო და აუცილებელი, რადგან ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია — გფრ-ის მმართველი პარტია თვითონ იყო და არის დაკავშირებული მონოპოლისტურ კაპიტალთან, მონოპოლისტურ ბურჟუაზიასთან. იგი ასრულებდა და ასრულებს მონოპოლიების ნება-სურვილს, რაც შეეხება გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერებს — ისინი კანონისადმი კარტელის შესახებ, ისევე როგორც „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მთელი პოლიტიკისადმი, ასრულებენ „მემარცხენე ფრთის“ როლს.

მემარჯვენე სოციალისტებმა დიდი ხანია მიიღეს ნეოლიბერალური თეორეტიკოსების რჩევა-დარიგება. ჯერ კიდევ 1953 წ. მისცა რჩევა ნეოლიბერალმა პროფესორმა ა. რიუსტოვმა მემარჯვენე, სოციალ-დემოკრატებს, რომ უარი ეთქვათ თავიანთ იდეებზე „გეგმიანი ეკონომიკის“ შესახებ და შეექმნათ „საბაზრო მეურნეობის“ მომხრეთა მემარცხენე ფრთა. გერმანიის მემარჯვენე სოციალისტებმა დიდი ხანია დაკარგეს ყოველგვარი დამოუკიდებლობა, როგორც პოლიტიკური, ასევე თეორიულიც. დასავლეთ გერმანიის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატის იდეოლოგიას ბუქსირზე მიათრევს ბურჟუაზიული იდეოლოგია.⁶⁹

საბოლოოდ შეთანხმდნენ კაპიტალის წარმომადგენლები და 1953 წლის 4 მარტს მიღებულ იქნა ეგრეთწოდებული „დეკარტელიზაციის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებდა „ფრიდრიხ კრუპის“ ფირმის დეკარტელიზაციას.

ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა ანტიკარტელური კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარების სპეციალური კომიტეტი — ფედერალური უწყება კარტელების დარგში. ე. გიუნტერი არჩეულ იქნა პრეზიდენტად. „გიუნტერის კომიტეტს“ დაევალა მონოპოლიების ლიკვიდაცია და „ეკონომიური დემოკრატის“, „ეკონომიური ჰუმანიზმის“, „პატოსანი კონკურენციის“ დამყარება დასავლეთ გერმანიაში. ისევე, როგორც ანტიტრესტულმა კანონმდებლობამ აშშ-ში, დასავლეთ გერმანიაშიც „გიუნტერის კომიტეტმა“ თვალი უნდა ადევნოს ეკონომიურ ცხოვრებას და მონოპოლიური გაერთიანების შემთხვევაში აღძრას საქმე სასამართლოში.

„გიუნტერის კომიტეტი“ თავისი „ანტიკარტელური კანონით“ სათამაშო ტიკინაა მსხვილი მონოპოლიების ხელში. ცნობილია, თუ როგორ ჩატარდა და ტარდება აშშ-ში „ანტიტრესტული“ სასამართლო პროცესი, რომელსაც ვ. პერლომ უწოდა „ქინძისთავით ჩხვლეთა“. სწორედ ეს განჰეორდა დასავლეთ გერმანიაშიც. ნაცვლად დეკარტელიზაციისა გაძლიერდა კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. თვით დასავლეთგერმანელმა ეკონომისტმა და პუბლიცისტმა კ. პრიცკოლაიტმა, ვ. პერლოს მსგავსად, გერმანულ „დეკარტელიზაციას“ ფარსი უწოდა, ხოლო „დეკარტელიზაციის“ პოლიტიკას ფუჟი გასროლა.⁷⁰ კ. ბერჩიც აღნიშნავს, რომ „კარტელური კანონმდებლობა აღმოჩნდა წმინდა ფარსი“⁷¹. გდრ-ის ეკონომისტმა პროფ. რ. ნაუმანმა ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა „ანტიმონოპოლაზმი“, „დეკარტელიზაცია“ შეადარა ამერიკულ „ანტიტრესტულ“ ღონისძიებებს და დაახასიათა იგი, როგორც

„მონოპოლიების წინააღმდეგ ნეოლიბერალური მოჩვენებითი ბრძოლა“-72. ნეოლიბერალიზმის ცრუ თეორია მონოპოლიებისა და „ანტიმონოპოლიზმის“ შესახებ გააკრიტიკა გერმანელმა ეკონომისტმა ჰერმან ტურლეიმ. მან სპეციალური შრომა („მონოპოლიის ნეოლიბერალური თეორია და „ანტიმონოპოლიზმი“⁷³) მიუძღვნა ნეოლიბერალიზმის ვულგარულ-აპოლოგეტური თეორიების კრიტიკას.

საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ „ანტიკარტელური კანონმდებლობა“ დასავლეთ გერმანიაში („კანონი თავისუფალი კონკურენციის დაცვის შესახებ“) ემსახურება მსხვილ მონოპოლიებს. მსხვილი მონოპოლიებისა და სააქციო კაპიტალის გაძლიერებას შეუწყო ხელი „დეკარტელიზმაც“.⁷⁴ „ანტიკარტელურმა კანონმა“ ფართო ასპარეზი მისცა გფრ-ის მსხვილ მონოპოლიებს არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მთელ „ინტეგრირებულ ევროპაში“. დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალი „ანტიკარტელურ კანონს“, „კონკურენციის წესებს“ ავრცელებს თავის პარტნიორებთან „საერთო ბაზრის“ ფარგლებშიც. ევროპის ეკონომიური გაერთიანებაც იძულებული გახდა მიეღო გერმანული „ანტიკარტელური კანონმდებლობა“. ეს თავისთავად გაააგებია. „საერთო ბაზრის“ შექმნით უფრო ფართო ასპარეზი მიეცა დემაგოგიურ ლოზუნგს „ანტიმონოპოლიზმის“ შესახებ. „საერთო ბაზრის“ შექმნა უშუალო კავშირშია „სახალხო კაპიტალიზმის“ პროპაგანდის გაძლიერებასთან. ინტეგრატორების „ანტიმონოპოლიზმი“ კი სწორედ ამას ემსახურება.⁷⁵

ახლა მივმართოთ ფაქტებს, თუ რა მოყვა შედეგად „ანტიკარტელური კანონის“ მიღებასა და „დეკარტელიზაციის“ გატარებას. 1958—1959 წლებში „გიუნტერის კომიტეტის“ ინიციატივით „აკრძალულ“ იქნა 4 კარტელი. „კომიტეტმა“ განიხილა ათობით საქმე კარტელების შესახებ, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთი ენებოდა მსხვილ კომპანიას — საავტომობილო კონცერნებს „დაამლერ-ბენცს“ და „აუტო-უნიონს“. მსხვილი მონოპოლისტი ფლიკი ვადაზე ადრე იქნა განთავისუფლებული პატიმრობიდან.⁷⁶ მან გააერთიანა ზემოთ დასახელებული ორივე კომპანია და სულ მოკლე ხანში ფლიკი გახდა დასავლეთ გერმანიაში ყველაზე მდიდარი ადამიანი. „გიუნტერის კომიტეტმა“ „შეისწავლა“ ეს საქმე და ფაქტის კონსტატაციით დამთავრდა ყველაფერი.

ამრიგად, „დეკარტელიზაციის“ კანონის გატარების შედეგად ფლიკის კონცერნში „არ მომხდარა არავითარი რადიკალური გარდაქმნები“ — წერს ცნობილი დასავლეთგერმანელი ეკონომისტი და

პუბლიცისტი კ. პრიცკოლატი. მართლაც, ფლიკის კორცერნი „ფრიდრიხ ფლიკ კგ“ (დიუსელდორფი) კვლავ ფრიდრიხ ფლიკის ხელშია, ხოლო კონცერნის კომანდიტისტები არიან მისი შვილები: ოტო ერნსტ ფლიკი და ფრიდრიხ ფლიკი.⁷⁷ აი ნეოლიბერალური „დეკარტელიზაციის“ ბრწყინვალე ნიმუში. აი რატომ არის მონოპოლიებისა და თავისუფალი კონკურენციის ნეოლიბერალური წარმოსახვა ყალბი მტკიცება, მოგონილი⁷⁸.

დასავლეთ გერმანიის ცხოვრებიდან აღებული ნამდვილი ფაქტები საბოლოოდ ააშკარაებენ ლეგენდას „სოციალური საბაზრო მეურნეობის“, „სოციალური პარტნიორობის“, „თავისუფალი კონკურენციის“, მონოპოლიების ლიკვიდაციის შესახებ. „კარტელირების პროცესი დასავლეთ გერმანიაში გრძელდება, რამდენადმე შეიცვალა მხოლოდ მისი ფორმები. ამავე დროს საბანკო კაპიტალის გადახლართვა სამრეწველო კაპიტალთან სააქციო საწყისებზე უფრო მეტად ძლიერდება.“⁷⁹

ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ გატარებულყო ნაციონალიზაცია, დასავლეთ გერმანიაში, მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგებმა წამოაყენეს ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგები „დეკარტელიზაცია“, „რეპრივატიზაცია“, „თანამონაწილეობა“, ხოლო კაპიტალისტური კერძო საკუთრება ხელუხლებელი დარჩა.

ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმის“ თეორეტიკოსებს დოქტრინა — „მუშების მონაწილეობა საწარმოთა მართვაში“ — მიაჩნიათ აგრეთვე ბურჟუაზიული ნაციონალიზაციის შემცველ სისტემად.⁸⁰ მიუხედავად ამისა, დღესაც ბევრს ლაპარაკობენ ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები (რიუსტოვი, მიკში, რეპკე და სხვ.) იმაზე, რომ გაძლიერდეს სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი მონოპოლიებზე. „მონოპოლიებზე მკაცრი კონტროლის დაწესება და ინდუსტრიული წარმოების დეცენტრალიზაცია“⁸¹ წარმოადგენს ნეოლიბერალებისათვის „სოციალური საბაზრო მეურნეობის“, „შეჯიბრების წყობილების“, ე. ი. „სახალხო კაპიტალიზმის“ შექმნის აუცილებელ პირობას. ფაქტიურად კი ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები ოიკენი, რეპკე, ერპარდი, ბემი, ლუტცი და სხვები თავიანთი ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმით“ იცავენ დასავლეთ გერმანიის მულტიმილიონერების პფერდმენგესის, აბსის, ბერგის, კრუპისა და სხვა მონოპოლისტების ინტერესებს. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან „ნეოლიბერალიზმი არის, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის მომავლდავი კაპიტალიზმის პროდუქტი. მისი შექმნელები არიან, უპირველეს ყოვლისა, გერმანელები. ნეოლიბერა-

ლიზმს აქვს განსაკუთრებული დავალება: კაპიტალიზმის გადარჩენა და იმპერიალიზმის გაჯანსაღება გერმანიაში.⁸²

ნეოლიბერალური პროგრამა „დეკარტელიზაცია“ და რეპრე-ვატიზაციის შესახებ მიმართულია დამბლადაცემული კაპიტალიზ-მის „გაჯანსაღებისათვის“. დასავლეთ გერმანიაში გატარებული ნეოლიბერალური „დეკარტელიზაცია“ წარმოადგენს მსხვილი მო-ნოპოლიური გაერთიანებების გაძლიერების კამპანიას, რომელმაც ფართო მასშტაბი მიიღო ფაშისტური რეჟიმის დამხობის შედეგად. ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“ და „დეკარტელიზაცია“ საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ დაეხმარა ნეოლიბერა-ლური მოძღვრება მონოპოლისტებს კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციის პროცესის დაჩქარებაში. „ამრიგად, ეგრეთწოდე-ბულმა დეკარტელიზაციამ სინამდვილეში საფუძველი ჩაუყარა კონცენტრაციის ახალ პროცესს, რომლის მსგავსი გერმანიას არ აჩსოვს 20-იანი წლების „დიდი ინფლაციის“ შემდეგ“⁸³.

ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმის“ დემაგოგიური ხასია-თი უკვე დიდი ხანია ფაქტი გახდა. დასავლეთ გერმანიის სათავეში დგას „ბონის ელიტა“, რომელიც შეიარაღებულია ნეოლიბერალიზ-მის მოძღვრებით და, ბუნებრივია, გამოხატავს მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს. გფრ-ის ახალი ფედერალური კანცლერი ლ. ერჰარდი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აქტიურად იმოქმედებს და შეეცდება „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ განმტკიცებას „ანტიმონოპოლიზმის“ შენიღბული დროშით. სავსებით სწორად შენიშნავდა ვაზეთი „ტრიბიუნე“, რომ ერჰარდი არის მონოპოლიე-ბის კანცლერი, ხოლო ერჰარდის კაბინეტი — მონოპოლიებისა და რევანშისტების კაბინეტი.⁸⁴

ლ. ერჰარდი, მისი „სოციალური საბაზრო მეურნეობა“, მთელი ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლისტური“ პროგრამა ემსახურება დასავლეთ გერმანიის მსხვილ ფინანსურ კაპიტალს. „ისეთ პირო-ბებში, — წერს გერმანელი ეკონომისტი მარქსისტი გ. ტურლეი, — როცა სულ უფრო და უფრო აშკარადდება თანამედროვე კაპიტა-ლისტური მონოპოლიების დამლუპველი როლი, სრულიად გასაგე-ბია ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის ჩარჩოებში ისეთი თეორიე-ბის წარმოშობა, როგორიცაა ნეოლიბერალების ანტიმონოპოლიზ-მი“.⁸⁵ კ. ადენაუერი, ლ. ერჰარდი, ვ. ჰალშტაინი, ბრენტანო და სხვები უშუალოდ არიან დაკავშირებული მსხვილ მონოპოლისტურ კაპიტალთან. ამიტომ, ბუნებრივია, ბონის რეჟიმის სახელმწიფო ოფიციალური დოქტრინა, რა საღებავებითაც არ უნდა იყოს იგი შეფერადებული („დეკარტელიზაცია“, „ანტიმონოპოლიზმი“, „თა-

ნამონაწილეობა“, „საკუთრება ყველას“, „სახალხო აქცია“, „სოციალპარტნიორობა“ და სხვ.), დგას მონოპოლისტური კაპიტალის სამსახურში. „დეკარტელიზაციის ფარსი უკვე დავიწყებას მიეცა. კონცერნების ძალაუფლება ახლა მეტია, ვიდრე ოდესმე. დასავლეთ გერმანია ეკუთვნის ეკონომიკის მაგნატებს, ძველ მლადარ ოჯახებს.“⁸⁶

აპრიგად, აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების წაქეზებითა და დახმარებით დასავლეთ გერმანია აღმოჩნდა კვლავ უმსხვილესი მონოპოლიების ხელში. პოტსდამის ხელშეკრულებით⁸⁷ გათვალისწინებული იყო გერმანიის ეკონომიკის დეცენტრალიზება, კარტელების, სინდიკატების, ტრესტების და სხვ. მონოპოლიური გაერთიანებების დაშლა, ფაქტიურად კი დასავლეთ გერმანიაში კიდევ უფრო გაძლიერდა რეკარტელიზაციის, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციის პროცესი.⁸⁸ დასავლეთ გერმანიაში ძალაუფლება ხელში აქვს აღებული 300 მულტიმილიონერს, კონცერნების მფლობელებს, ბანკებისა და მძიმე მრეწველობის მეფეებს — კრუპებს, ტისენებს, ფლიკებსა და ა. შ.

ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“ თავისი არსით დემაგოგიურია და მოგვაგონებს ფაშისტთა „ანტიმონოპოლიზმს“. ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“ გამოაყენება რევოლუციური მუშათა პროფკავშირების, სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ. ნეოლიბერალების მთავარი თეორეტიკოსები ვ. ოიკენი, ლ. ერპარდი, ვ. რეპკე და სხვები თვლიან, რომ პროფკავშირებიც „მონოპოლისტური ორგანიზაციაა“. მათი აზრით. პროფკავშირებს შრომის ბაზარზე აქვთ „მონოპოლიური მდგომარეობა“. რა თქმა უნდა, ნეოლიბერალები მოითხოვენ პროფკავშირებს. როგორც „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ საწინააღმდეგო ორგანიზაციების. დაშლასაც. აი, როგორ გამოიყურება ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“.

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსი ვ. რეპკე წერს: „საბაზრო მეურნეობად იწოდება ბაზრის თავისუფლება, თავისუფალი ფასები და ელასტიური ხარჯები... მას ეწოდება მონოპოლიისა და კონცენტრაციის უარყოფელი“.⁸⁹ ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის („გამწონასწორებელი ძალების“ თეორეტიკოსთა, ლონდონის სკოლის წარმომადგენელთა) ცნობილი ჰანგია და მეტი არაფერი.

გერმანელი ნეოლიბერალები უარყოფენ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციას და მონოპოლიების წარმოშობას. ისინი

არასწორად განმარტავენ თვით მონოპოლიას და ამერიკელი ბურ-
ჟუაზიული ეკონომისტის ე. ჩემბერლინის თვალსაზრისს იზიარებენ.⁹⁰ გერმანელი ნეოლიბერალების აზრით, მონოპოლია არის „გადახრა თავისუფალი კონკურენციიდან“. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ მონოპოლია არის საბაზრო კატეგორია, მიმოქცევის კატეგორია. ამრიგად, მათი მტკიცებით, მონოპოლია დამახასიათებელია არა იმპერიალიზმისათვის, არამედ ყველა დროისათვის: ი. შუმპეტერი მსჯელობს „ალ. მაკედონელის იმპერიალიზმზე“, „ცეზარის იმპერიალიზმზე“, „ნაპოლეონის იმპერიალიზმზე“ და სხვ.⁹¹ ვ. ოიკენის განმარტებით, კარტელი არის „კოლექტიური მონოპოლია“, რომელიც თურმე არსებობდა საშუალო საუკუნეებში.

ნეოლიბერალები ახალ „ლაშქრობას“ აწყობენ მონოპოლიების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ისინი „აძაგებენ“ კარტელებს, მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, მოითხოვენ კარტელების დაშლას და „პატიოსან კონკურენციას“, „პატიოსან შეჯიბრებას“, ე. ი. „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“. ნეოლიბერალი ფრ. ბემი — ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმის“ ერთ-ერთი მთავარი მედროშე, აყენებს ლოზუნგს: „შეჯიბრების თავისუფლება — კი, კარტელის თავისუფლება — არა“.⁹² აი, როგორი დემაგოგიური შინაარსის მატარებელია ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმი“. ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ აღნიშნავდა: „ნახევარი საუკუნის წინათ, როდესაც მარქსი თავის „კაპიტალს“ წერდა, ეკონომისტების დიდ უმრავლესობას თავისუფალი კონკურენცია „ბუნების კანონად“ მიაჩნდა. კაზიონური მეცნიერება შეეცადა სიჩუმის შეთქმულებით ჩაეკლა მარქსის თხზულება, რომელმაც კაპიტალიზმის თეორიული და ისტორიული ანალიზით დაამტკიცა, რომ თავისუფალი კონკურენცია წარმოშობს წარმოების კონცენტრაციას, ხოლო ეს კონცენტრაცია თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მონოპოლიას იწვევს.“⁹³

ამრიგად, ნეოლიბერალური „ანტიმონოპოლიზმიც“, როგორც „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიის ერთ-ერთი გერმანული ვარიანტი, ეწინააღმდეგება საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, მაშასადამე, უნიადაგაო.

4. ნეოლიბერალური „ეკონომიური სასწაული“ და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელაწიფო“

ნეოლიბერალებმა დასაუფლეთ გერმანიას უწოდეს „ეკონომიური სასწაულის“ ქვეყანა, „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილება“,

ხოლო ბონის კლერიკალურ მთავრობას — „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“.

ამრიგად, ნეოლიბერალური „ეკონომიური სასწაული“ და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ არის „სახალხო კაპიტალიზმის“ კიდევ ერთი დასავლეთგერმანული ვარიაცია. პროფ. ლ. ერპარდი „სახალხო აქციების“ კამპანიის დაწყების პირველსავე ეტაპზე აცხადებდა, რომ „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ შედეგი იქნება „ეკონომიური სასწაული“ — „საყოველთაო კეთილდღეობა“. დასავლეთ გერმანიის ნეოლიბერალების ამგვარ მსჯელობას შეიძლება დაეუპირისპიროთ ფრანგი მწერლის ყიულ რენარის⁹⁴ ერთ-ერთი განცხადება. ნეოლიბერალების ეკონომიური სასწაულებისა და საყოველთაო ბედნიერების მსგავსი ფანტაზიების შესახებ იგი დაცინვით წერდა: კაცობრიობა რომ ბედნიერების სახლს აშენებდეს, მაშინ ყველაზე დიდი ოთახი მოსაცდელი დარბაზისათვის უნდა გამოყოსო.

ნეოლიბერალიზმის თეოერტიკოსებმა დიდი ხანია განაცხადეს, რომ „საყოველთაო ბედნიერების სახლს“ წარმოადგენს მათი „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ და „ეკონომიური სასწაული დასავლეთ გერმანიაში“. აქედან უნდა ელოდებოდეს ხალხი კიდევ დიდხანს საყოველთაო კეთილდღეობას, რომელიც კერძო საკუთრებისა და კაპიტალის ბატონობის პირობებში ფუჭი ოცნება და მითია. ნეოლიბერალური მოძღვრების იდეოლოგები წინა პლანზე აყენებენ „ეკონომიურ სასწაულსა“ და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“, რომლის უსაფუძვლობას ამხელენ და აკრიტიკებენ გდრ-ის ეკონომისტები და ფილოსოფოსები⁹⁵. „ეკონომიური სასწაულისა“ და „საყოველთაო კეთილდღეობის“ იდეოლოგია, როგორც იმპერიალისტური აპოლოგიის⁹⁶ უახლესი ფორმა, წინა პლანზეა წამოწეული.

ნაციისტური რეჟიმის, ფაშისტური იძულებითი ეკონომიკის ძირფესვიანი ლიკვიდაცია არ მომხდარა დასავლეთ გერმანიაში. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ იქ კაპიტალისტური კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და წარმოებითი ურთიერთობანი ძალაში დარჩა. მეტიც, კაპიტალიზმის დაცვა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ იწყო ფაშისტური ტოტალიტარიზმის კრიტიკისა და თავისუფალი მეწარმეობის ყალბი საფარით.

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ უნდა მომხდარიყო გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება იალტიისა და პოტსდამის კონფერენციებზე გამომუშავებული პრინციპების შესაბამისად. მაგრამ ასე არ მოხდა. აშშ-ის, ინგლისისა და

საფრანგეთის მმართველი წრეები კვლავ ძველ გზას დაადგენენ, იწყეს გერმანიის გათიშვა და დასავლეთ გერმანიაში მონოპოლისტური კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის აღორძინებისათვის ხელშეწყობა.

1946 წლის დეკემბერში აშშ-ისა და ინგლისის მთავრობები დებენ შეთანხმებას თავიანთი საოკუპაციო ზონების გაერთიანების ბაზაზე „ბიზონის“ შექმნისათვის. სწორედ აქედან იწყება დასავლეთ გერმანიის მოწყვეტა აღმოსავლეთისაგან. 1948 წლის ზაფხულში „ბიზონიას“ შეუერთეს საფრანგეთის საოკუპაციო ზონაც და ანე შეიქმნა „ტრიზონია“. რა თქმა უნდა, ამან ხელი შეუწყო იმპერიალიზმის აღდგენას დასავლეთ გერმანიაში. 1949 წლის აპრილში დამტკიცებულ იქნა „საოკუპაციო სტატუტი“, რაც საფუძვლად დაედო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას (1949 წ.).

ამრიგად, 1949 წლიდან დაწყებული დასავლეთ გერმანია წარმოადგენს დიდ კაპიტალისტურ ქვეყანას, განვითარებული მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით. არაფერი არ შეცვლილა დასავლეთ გერმანიის ბაზისსა და ზედნაშენში. საოკუპაციო ხელისუფალთა მხარდაჭერითა და წაქეზებით დასავლეთ გერმანია კვლავ ჩადგა მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების რიგში. დასავლეთ გერმანიის მრეწველობა სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. მრეწველობის განვითარების პირველ ეტაპზე (1945—1949), რა თქმა უნდა, არ ქონდა ადგილი ზრდას. ამ პერიოდში სამრეწველო პროდუქციის დონე ბევრად დაბალი იყო ომამდელთან შედარებით.

1950 წლიდან იწყება დასავლეთ გერმანიის მრეწველობის განვითარების მეორე ეტაპი. აი სწორედ ამ პერიოდში ხდება მრეწველობის სწრაფი ზრდა და მონოპოლისტური კაპიტალის პოზიციების გაძლიერება. 1950 წლის ბოლოსათვის დასავლეთ გერმანიის მრეწველობამ უკვე მიაღწია ომამდელ დონეს. იგი 1937 წელთან შედარებით შეადგენდა: 1950 წელს 99%-ს, 1955 წელს 176%-ს, 1960 წელს 246%-ს, 1961 წელს 260%-ს და 1962 წელს 273%-ს⁹⁷. მრეწველობის სწრაფი ტემპით ზრდა აუცილებლად გულისხმობს კაპიტალდაბანდებათა მატებასაც. კაპიტალდაბანდებები დასავლეთ გერმანიის მრეწველობაში (1950 წლის ფასებით) შეადგენდა: 1936 წელს 2326 მილიონ მარკას, 1942 წელს 5819 მილიონ მარკას, 1951 წელს 5268 მილიონ მარკას და 1961 წელს 13501 მილიონ მარკას.⁹⁸ მართლაც, ფაქტია ომისშემდგომდროინდელი დასავლეთ გერმანიის მრეწველობის ზრდის მაღალი ტემპები (8—9% წლის განმავლობაში). აი ამ ფაქტს ჩასჭიდეს ხელი ნეოლიბერალიზმის თეორეტიკო-

სებმა და მონათლეს იგი, როგორც „ეკონომიური სასწაული“, „მუდმივი ეკონომიური აყვავების ერა“. „დასავლეთგერმანული სასწაული“ საფუძვლად მათ გამოაცხადეს ლ. ერჰარდის მიერ შექმნილი „თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობა“.

იბადება კითხვა: რამ განაპირობა მრეწველობის სწრაფი ტემპებით ზრდა ომისშემდგომ პერიოდში და მისი საფუძველი მართლაც ხომ არ იყო ნეოლიბერალური „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა?“ რა თქმა უნდა, არა. დასავლეთ გერმანიაში წარმოების სწრაფი ტემპებით ზრდა გამოწვეულია რიგი ფაქტორებით, რომელთაგან აღვნიშნავთ ზოგიერთს.

1. მრეწველობის სწრაფი ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო სამრეწველო მოწყობილობათა მნიშვნელოვანი განახლება და გაფართოება, მრეწველობის ძირითად დარგებში ახალი ტექნიკის. დანერგვა, ე. ი. ძირითადი კაპიტალის განახლება და გაფართოება, რის საჭიროებაც ყველაზე უფრო სწორედ დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა ნაცისტური რეჟიმის განადგურების შემდეგ;

2. დასავლეთ გერმანიის გამოყოფამ, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიური რაიონი, დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფალთა დისკრიმინაციულმა სამეურნეო პოლიტიკამ, განსაკუთრებით კი ავტარკიის პოლიტიკის გატარებამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ევროპის სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ დაარღვია შრომის დანაწილება გერმანიის აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონებს შორის, რომელიც ტრადიციულად არსებობდა. ამან, ცხადია, მოიტხოვა მრეწველობის ახალი დარგების შექმნა და არსებულის გაფართოება;

3. კაპიტალის დაგროვების ნორმის ამაღლებას ხელი შეუწყო მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებამ. გერმანელი მუშების ექსპლოატაცია 1,5 — 2-ჯერ გაიზარდა ომამდელთან შედარებით. მხედველობაში მისაღებია ისიც. რომ შრომის ნაყოფიერების დონის მხრივ დასავლეთ გერმანია ერთ-ერთი პირველთაგანია, ხოლო მუშათა ხელფასის დონე ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნებს და დასავლეთ გერმანია ბევრად დაბლა იდგა ამ მხრივ;

4. რა თქმა უნდა, ბონის მთავრობის მიერ გატარებულმა ლონისძიებებმა (რეპრიატიზაცია, „სახალხო აქცია“, „თანამონაწილეობა“, „ხელფასის კაპიტალიზაცია“ და სხვა) ხელი შეუწყო კაპიტალის ცენტრალიზაციის გაძლიერებას, დაგროვების ნორმის ამაღლებას.

5. გფრ ომისშემდგომ პირველ წლებში თითქმის არ იყენებდა საკუთარ სახსრებს სამხედრო საჭიროებისათვის. მაშასადამე, კონ-

ცერნებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ეროვნული შემოსავლის ეს ნაწილიც გამოეყენებინათ ინვესტიციებისათვის;

6. დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე ექსპორტის ზრდამ. მსოფლიო ბაზარზე ომის შემდგომ წლებში გაიზარდა მოთხოვნა სამრეწველო ნაწარმზე. ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, კაპიტალის მასობრივი განახლებით კაპიტალისტურ ქვეყნებში და, მეორე მხრივ, მანქანა-მოწყობილობებზე მოთხოვნის გადიდებით ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების მხრიდან, რომლებმაც იწყეს ინდუსტრიალიზაციის გატარება;

7. დასავლეთ გერმანიის მრეწველობის ზრდას უდავოდ ხელი შეუწყო აშშ-ის კაპიტალმა;

8. მრეწველობის, პირველ რიგში კი სამხედრო წარმოების გაფართოებას ხელი შეუწყო მილიტარიზაციის გაძლიერებამ, ბუნდესვერის ზრდამ, ახალმა შეიარაღებამ;

9. გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის კონცენტრაციას და სამრეწველო წარმოების ზრდას ერთგვარი ბიძგი მისცა აგრეთვე „საერთო ბაზარმა“, იმპერიალისტურმა „ინტეგრაციამ“ დასავლეთ ევროპაში და სხვა.

გამალებული შეიარაღება არ არის არც ომის შემაკავებელი ფაქტორი, არც მოსახლეობის სრული დასაქმებისა და საყოველთაო კეთილდღეობის ფაქტორი. იგი ომს იწვევს. გამალებული შეიარაღებით დაინტერესებულია მხოლოდ მონოპოლისტებისა და სამხედრო სპეკულანტების უმნიშვნელო ჯგუფი⁹⁹. მილიტარიზმის აღორძინებამ დასავლეთ გერმანიაში მხოლოდ დროებითი ბიძგი მისცა წარმოების ზრდას მაღალი ტემპებით. დაწყებული 1958 წლიდან ადგილი ქონდა დასავლეთ გერმანიაში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპების შენელებას. მრეწველობის რიგ დარგებში (ქვანახშირის, შავი მეტალურგიის, დაზგათმშენებლობის, საფეიქრო) კი დაეცა განვითარების ტემპები. სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური მატება (1953—1962 წლებში) შეადგენდა 7,8%-ს; 1961 წელს 1960 წელთან შედარებით 9,4%-ს; 1962 წელს 1961 წელთან შედარებით 8,3%-ს, ხოლო 1963 წელს 1962 წელთან შედარებით მხოლოდ 4,8%-ს.¹⁰⁰

მრეწველობის განვითარების ტემპების შენელებასთან ერთად, რა თქმა უნდა, შემცირება იწყო ეროვნული პროდუქტის (სოციალური პროდუქტის) ზრდის ნორმებმაც.¹⁰¹ ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ბრუტო-სოციალპროდუქტი) ზრდის ტემპები 1961—1964 წლებში შესამჩნევად დაეცა. მაგალითად, ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა: 1961 წ. 10%. 1962 წ. 8,8%. 1963 წ.

6.2%.¹⁰² მეურნეობის მილიტარიზაციამ და ცალმხრივმა, მახინჯმა განვითარებამ შექმნა არამყარი „დაშლილი კონიუნქტურა“, ხოლო ჯერ-ის ინდუსტრიამ კვლავ მიიღო შეიარაღების ეკონომიკის¹⁰³ სახე. ამრიგად, „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ განვითარებამ დასავლეთ გერმანიაში შექმნა არა „ეკონომიური სასწაული“ და „საყოველთაო კეთილდღეობა“, არამედ შეიარაღების ეკონომიკა.¹⁰⁴ კოველწლიურად მატულობს ანიგნებანი სამხედრო წარმოებისა და შეიარაღების გაფართოების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, 1950 წელს დასავლეთ გერმანიის „ბრუტო-სოციალპროდუქტში“ შეიარაღების პირდაპირი ხარჯები შეადგენდა 6287 მლნ მარკას (4%), ხოლო 1962 წელს 16378 მლნ მარკას (4,9%).¹⁰⁵

აშკარად ჩანს, თუ რას ემსახურება ნეოლიბერალური „თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობა“ და „ანტიმონოპოლიზმი“. იგი წარმოადგენს შეიარაღების ეკონომიკის შექმნის შენიღბულ გზას და ემსახურება მონოპოლიების ინტერესებს.¹⁰⁶ გერმანელი ნეოლიბერალები კი დასავლეთ გერმანიის ეკონომიკას უწოდებენ „ეკონომიური სასწაულისა“ და „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილებას“, ხოლო ბონის რეჟიმს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“. ლ. ერჰარდი თვლის, რომ თითქოს „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ საბოლოოდ ძლევს ძველ კონსერვატულ სოციალურ სტრუქტურას, დარიბებს აქცევს მდიდრებად, ხოლო მონოპოლიებს სპობს.¹⁰⁷ „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორეტიკოსთა ჰანგია: „ისინი თესავენ ილუზიებს, თითქოს კაპიტალისტური სახელმწიფო უპირისპირდება მონოპოლიებს და შეუძლია მიადწიოს სოციალურ ჰარმონიასა და საყოველთაო კეთილდღეობას. მაგრამ ხალხის მასები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო მონოპოლიების მორჩილი იარაღია, ხოლო ხოტბაშესხმული „კეთილდღეობა“ ფინანსური კაპიტალის მაგნატების კეთილდღეობაა და აქედან მილიონობით მშრომელი ადამიანის ტანჯვა-ვაებაა“.¹⁰⁸ სხვაგვარად შეუძლებელია სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს.

ბურჟუაზიული მთავრობები, გამოდიან რა ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ფრაზებით, ემსახურებიან კაპიტალისტური ბაზისის განმტკიცებას. ყველა მთავრობა, — წერდა ფ. ენგელსი, — თვით ყველაზე აბსოლუტისტურნიც კი, საბოლოო ანგარიშით იმ ეკონომიური აუცილებლობის აღმსრულებელნი არიან, რომელიც მათი ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარეობს. თავიანთ საქმეს ისინი სხვადასხვანაირად აკეთებენ — კარგად, ცუდად თუ განურჩევლად; აჩქარებენ თუ აყოვნებენ ეკონომიურ განვითა-

რებს მისგან გამომდინარე პოლიტიკური და იურიდიული შედეგებით. სულ ერთია, საბოლოო ანგარიშით ისინი ამ განვითარებას უნდა გაჰყვნენ¹⁰⁹. ასე ხდება დღეს დასავლეთ გერმანიაშიც. თვითომის შემდეგდროინდელი გერმანიის მდგომარეობამ განსაზღვრა ბონის რეჟიმის თეორია და პოლიტიკა. გფრ-ის სახელმწიფო სწორედ იმ ეკონომიური აუცილებლობის აღმსრულებელია, რომელიც კაპიტალისტური დასავლეთ გერმანიის ომის შემდეგდროინდელ მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

დასავლეთგერმანული ნეოლიბერალიზმის მოძღვრებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საკითხს სახელმწიფოს ეკონომიური როლის შესახებ. ნეოლიბერალები დასავლეთ გერმანიის კლასობრივი საზოგადოების სახელმწიფოს უწოდებენ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“¹¹⁰. ასე იყო 1919—1923 წლებშიც, როცა გერმანიის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგიები სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკას უწოდებდნენ „ანტი-ეტატისტურს“¹¹¹.

ნაციისტებიც თავიანთ იძულებით ეკონომიკას და ფაშისტურ დიქტატურას აცხადებდნენ „საერთო სიკეთის“ მომტან სახელმწიფოდ. ფაშისტები თავიანთ სახელმწიფოს უწოდებდნენ „კორპორაციულ სახელმწიფოს“, რომელშიც ვითომ ლიკვიდირებული იყო კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, კლასები და კლასობრივი ბრძოლა. თავისი არსით ნეოლიბერალური სახელმწიფოც იმავე მიზნებს ემსახურება. იგი წარმოადგენს იარაღს გაბატონებული კლასის ხელში ექსპლოატირებულ მასებზე ბატონობის შესანარჩუნებლად. ამიტომაც, რომ ნეოლიბერალიზმის მოძღვრება დიდ ადგილს უთმობს სახელმწიფოს საკითხებს, დემაგოგიურად განიხილავს ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების სახელმწიფოს რაობას. აზრთა ერთგვარი სხვადასხვაობაა ნეოლიბერალებს, ღირიყისტებსა და პალეოლიბერალებს შორის. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სამივე მიმდინარეობის წარმომადგენლები ერთ ამოცანას ისახავენ — კაპიტალისტური წყობილების დაცვას. მათ შორის არის ზოგიერთი ტაქტიკური ხასიათის უთანხმოება და იგი პირველ რიგში ეხება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ეკონომიური როლისა და ფუნქციების შეფასების საკითხებს. წინააღმდეგობის მთელი ფოკუსი იმაშია, თუ რა მასშტაბითა და ზომით, რა შემთხვევაში და როგორ უნდა ერეოდეს ბურჟუაზიული სახელმწიფო სამეურნეო ცხოვრებაში.

კავათი, აზრთა სხვადასხვაობა, თეორიული „ღუელი“ ნეოლიბერალებს, ღირიყისტებს, ნეოკეინსელებს, პალეოლიბერალებს და

მემარჯვენე სოციალისტების თეორეტიკოსებს შორის კაპიტალიზმის საერთო კრიზისითაა გაპირობებული და წარმოდგენს შინაგან ბრძოლას, „სამოქალაქო ომს“, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამცველთა ბანაკში.

ცნობილია, რომ ეკონომიური ლიბერალიზმის წარმომადგენლები კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისა. მათი იდეა იყო „თავისუფალი მეწარმეობა“, „თავისუფალი ვაჭრობა“. ეკონომიური ლიბერალიზმი, როგორც ბურჟუაზიული ეკონომისტების შეხედულებათა სისტემა, მოიცავს წარმოების, განაწილების, მიმოქცევის, ვაჭრობის საკითხების ახსნას და დასაბუთებას ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ეკონომიური ლიბერალიზმის მოძღვრება დიდ სამსახურს უწევდა აღმავალ ბურჟუაზიას და მიმართული იყო ფეოდალიზმის ნაშთების, ფეოდალური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ბურჟუაზია იყენებდა „სამერთიან ფორმულას“ („თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“), ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობას. ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ ბურჟუაზიამ „გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ, ძველი ბატონყმური წესების წინააღმდეგ თავისუფლების ლოზუნგით, მაგრამ ეს იყო თავისუფლება იმისთვის, ვინც საკუთრებას ფლობს.“¹¹²

ეკონომიური ლიბერალიზმის მოძღვრებამ დიდი სავსახური გაუწია აღმავლობის გზაზე მდგომ ბურჟუაზიას თავისუფალი კონკურენციის ეპოქაში. თავისუფალი კონკურენციის პერიოდის კაპიტალიზმისათვის ძირითადად დამახასიათებელი იყო ლიბერალიზმი, ე. ი. სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკა. მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე გადასვლამ განაპირობა ეკონომიური ლიბერალიზმის პრინციპების კრიზისი. „ახალი ეკონომიკის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის (იმპერიალიზმი — მონოპოლისტური კაპიტალიზმი) პოლიტიკურ ზედნაშენს წარმოადგენს მობრუნება დემოკრატიიდან პოლიტიკური რეაქციისაკენ. თავისუფალ კონკურენციას დემოკრატია შეესაბამება. მონოპოლიას პოლიტიკური რეაქცია შეესაბამება“¹¹³ — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი.

იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში უპირატესი როლი მიენიჭა „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ იდეებს, ხოლო „თავისუფალი მეწარმეობის“, ეკონომიური ლიბერალიზმის პრინციპები უკვე ველარ პასუხობდნენ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მოთხოვნებს. 1929/33 წლების ჭარბწარმოების ეკონომიურმა კრიზისმა საბოლოოდ განაპირობა ეკონომიური ლიბერალიზმის პრინციპების, პირველ რიგში კი

ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის, კრიზისი. ბურჟუაზიული ეკონომისტების წინაშე ახლებურად დადგა სახელმწიფოს ეკონომიური როლის პრობლემა. „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორეტიკოსებმა — კეინსმა და კეინსელებმა შეუტიეს ეკონომიური ლიბერალიზმის ძველ პრინციპებს და წამოაყენეს ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის ლოზუნგი. „კეინსური ეპიდემია“ მოედო ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სხვადასხვა სკოლებსა და მიმართულებებს. დაიწყო „ლიბერალიზმის რევიზია სახელმწიფოს საკითხში“.¹¹⁴

„ლიპმანის კოლოკვიუმის“¹¹⁵ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის საკითხი. „უ. ლიპმანი ცდილობდა შეერთებინა ახალი პოლიტიკის პრინციპები, რომლებიც შეესაბამებოდა ლიბერალურ იდეალებს, მაგრამ მისმა წიგნმა ისეთი გამოძახილი პოვა ატლანტიკის ორივე მხარეს, რომ 1938 წელს დასავლეთ ევროპის ნეოლიბერალები შეიკრიბნენ, რათა განესაზღვრათ თავიანთი პოზიციები დიდი ეკონომიური პრობლემების მიმართ. ამიტომ თავიანთ კრებას უწოდეს „ლიპმანის კოლოკვიუმი“,¹¹⁶ წერს ე. ჟამსი. „ლიპმანის კოლოკვიუმის“ მნიშვნელოვანმა ნაწილმა უარყო ძველი ეკონომიური ლიბერალიზმის იდეა ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის შესახებ და მოითხოვა სახელმწიფოს ჩარევა („ლიბერალური ინტერვენციონიზმი“). პარიზის შეკრების მონაწილეთა მცირე ჯგუფი კი კვლავ დარჩა ძველ პოზიციებზე და დღესაც იცავს „პალეოლიბერალიზმის“ იდეას ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის შესახებ.

ნეოლიბერალებმა ჩამოაყალიბეს ღონისძიებათა სისტემა („აენ-და“)¹¹⁷, რომელშიც მოცემულია ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბი და ხასიათი. „ლიპმანის კოლოკვიუმის“ მკერ შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემა ბურჟუაზიული სახელმწიფოს შესახებ მოიცავს შემდეგ მუხლებს: 1. სახელმწიფო უნდა განსაზღვრავდეს და იცავდეს ეკონომიური განვითარების წესებსა და ჩარჩოებს; 2. სახელმწიფოს ეკისრება ისეთი წესების დადგენა და დაცვა, რომლებიც არ უპირისპირდებიან თავისუფალ კონკურენციასა და საბაზრო მეურნეობას; 3. ნეოლიბერალები სახელმწიფოს ჩარევას სამეურნეო ცხოვრებაში მოითხოვენ იმ შემთხვევაში, თუ დაირღვევა „მოთხოვნა-მიწოდების ელასტურობა“, ე. ი. საბაზრო მეურნეობის მექანიზმი; 4. ნეოლიბერალები წინააღმდეგი არიან „ფასების ტაქსირების“ და სახელმწიფოსაგან მოითხოვენ საბაზრო ავტომატიზმის დაცვას, შენარჩუნებას; 5. ნეოლიბერალთა

კოლოკვიუმში შიშს გამოთქვამს იმაზე, რომ სახელმწიფოს მეტა-
მეტ ჩარევას შეუძლია „შეცვალოს ეკონომიური კურსი“, ამიტომ
წინააღმდეგია საბაზრო მეურნეობის რეგულირების და სხვ.

„ლიპმანის კოლოკვიუმის“ ღონისძიებათა სისტემა ბურჟუაზიუ-
ლი სახელმწიფოს ფუნქციების შესახებ ემსახურება კაპიტალიზმის
დაცვას, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის გაჯანსაღე-
ბას, გაუმჯობესებას, ე. ი. „გარდაქმნილი კაპიტალიზმის“ — „სა-
ხალხო კაპიტალიზმის“ შექმნას.

ამრიგად, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში, განსა-
კუთრებით კი მეორე და მესამე ეტაპზე, ბურჟუაზიული სახელმწი-
ფოს როლის თაობაზე ერთმანეთისაგან განსხვავდება კეინსელების
(ნეოკეინსელების), ნეოლიბერალებისა და პალეოლიბერალების
შეხედულება. ეს განსხვავება, როგორც უკვე ვთქვით, არაა არაებო-
თი ხასიათის. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ
აღნიშნულ საკითხში ნეოლიბერალებს უკავიათ „შუა ხაზი“ კეინსე-
ლებსა და პალეოლიბერალებს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში ნეო-
ლიბერალიზმის თეორეტიკოსები უფრო ახლოს დგანან კეინსელებ-
თან და ნეოკეინსელებთან, ეწინააღმდეგებიან პალეოლიბერალიზ-
მის — ძველი ლიბერალიზმის შეხედულებებს და პირიქით. ასე
მაგალითად, ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები დიდ ადგილს
უთმობენ „კეინსურ რევოლუციას“ და „გმობენ“ პალეოლიბერა-
ლიზმს. არის საწინააღმდეგო შემთხვევაც. სახელმწიფოს როლს
შეფასების საკითხში ნეოლიბერალები ზოგჯერ წინ აყენებენ პალე-
ოლიბერალების დოგმებს („ლიბერალური ინტერვენციონიზმი“) და
გაიძახიან ეკონომიური ლიბერალიზმის „რენესანსზე“ და „ანტიკე-
ინსურ რევოლუციასზე“. ამ შემთხვევაში ნეოლიბერალები თავიანთ
მოძღვრებას აყენებენ, როგორც პალეოლიბერალიზმის, ასევე კეინ-
სელობისა და ნეოკეინსელობაზე მალა. რა თქმა უნდა, ლაპარაკი
ზედმეტია, როგორც ნეოლიბერალური „ანტიკეინსური რევოლუ-
ციის“, ასევე ეკონომიური ლიბერალიზმის „რენესანსის“ შესახებ.
ფაქტიურად ნეოლიბერალურმა მიმართულებამ ბურჟუაზიული სა-
ხელმწიფოს როლის საკითხებში შეითვისა „რეგულირებადი კაპი-
ტალიზმისა“ (კეინსელობა) და „თავისუფალი მეწარმეობის“ (ეკო-
ნომიური ლიბერალიზმი) პოპტულატები. მაშასადამე, ნეოლიბერა-
ლიზმის მოძღვრება ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის შეფასე-
ბის საკითხებშიც ზხვდასხვა ბურჟუაზიული ეკონომიური დოგმე-
ბის კონგლომერატს, სინთეზს წარმოადგენს.

რაც შეეხება ძველ ლიბერალიზმს — პალეოლიბერალიზმს,
რომლის მთავარი თეორეტიკოსია ლ. მიზესი, იგი გამოდის როგორც

კენსელობისა და ნეოკენსელობის, ასევე ნეოლიბერალიზმის წინააღმდეგ. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კენსელობისა და ნეოლიბერალიზმის კრიტიკა პალეოლიბერალისტების მხრიდან დემაგოგიურია და აპოლოგეტური მიზნებითაა გამაჰკვალული, ე. ი. არქირეაქციული მოძღვრებაა და ისიც კაპიტალისტური წარმოების წესს იცავს ძველი, კონსერვატიული მეთოდებით. პალეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები კვლავ წინააღმდეგი არიან სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისა და ქადაგებენ ცხოვრების მიერ გაცატეკრებულ თეორიებს („ბაზრის კანონი“, „წონასწორობის თეორია“, „საბაზრო ავტომატიზმი“ და სხვ.). მათი აზრით, სახელმწიფო არის „ღამის გუშავი“ და იგი არ უნდა ერეოდეს სამეურნეო ცხოვრებაში. პალეოლიბერალები კვლავ იცავენ აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს კაპიტალიზმს შეეძლოს ავტომატური რეგულირება, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარება.

მარქსიზმ-ლენინიზმი ააშკარავებს ნეოლიბერალიზმის, კენსელობისა და პალეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა ყალბ, აპოლოგეტურ შეხედულებას ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის შესახებ. ცხოვრება ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური წარმოება ანარქიულია, რომლის მუდმივი თანამგზავრია ქარბწარმოების ეკონომიური კრიზისები. მამსადაამე, პალეოლიბერალიზმის მოძღვრებაც უსაფუძვლოა. ჭევე უნიადაგოა კენსელებისა და ნეოლიბერალების მოძღვრებაც. ბურჟუაზიული სახელმწიფო, მართალია, ემსახურება კაპიტალისტურ ბაზისს, მაგრამ იგი უძლურია კაპიტალიზმის მანკიერებათა (წარმოების ანარქია და კონკურენცია, მონოპოლიზაცია, ქარბწარმოების ეკონომიური კრიზისები და სხვ.) წინაშე. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ შეუძლია კაპიტალიზმის „გარდაქმნა“, „გაჭანსალება“, განთავისუფლება ანტაგონისტური წინააღმდეგობებისაგან.

ამრიგად, ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის შეფასების საკითხებში ნეოლიბერალები თითქმის კენსელობის პოზიციებზე დგანან. თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ორივე ძირითადი მიმართულება კენსელობა და ნეოლიბერალიზმი ბურჟუაზიულ სახელმწიფოს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ უწოდებს. ორივე მიმართულება მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიურ ცხოვრებაში „საყოველთაო კეთილდღეობისათვის“. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობა და აზრთა უთანხმოება, თუნდაც ტაქტიკური ხასიათისა, მაინც რჩება. საქმე იმაშია, რომ ნეოლიბერალები და კენსელები (აგრეთვე ნეოკენსელები — „რე-

გულირებადი კაპიტალიზმის“ თანამედროვე თეორეტიკოსები) სხვადასხვა ზომით მოითხოვენ სახელმწიფოს ზემოქმედებას წარმოებაზე. გარდა ამისა, უთანხმოება ნეოლიბერალებსა და კეინსელებს შორის გაპირობებულია თვით იმ წინააღმდეგობებით, რომლებიც არსებობენ მონოპოლისტური კაპიტალის სხვადასხვა ჯგუფებს, აგრეთვე იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის.

ისივეა კითხვა: რატომ გახდა დასავლეთ გერმანია ნეოლიბერალიზმის — თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის საერთაშორისო მიმდინარეობის ცენტრი, რატომ მიეცა ნეოლიბერალურ იდეებს საერთოდ, კერძოდ კი — სახელმწიფოს „ლიბერალური ინტერვენციონიზმის“ იდეებს დასავლეთ გერმანიაში ფართო ასპარეზი? ამაზე პასუხს იძლევა კაპიტალისტური გერმანიის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა მეურნეობის მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში. ამაზე ლაპარაკი უკვე გქონდა. ამჟამად კვლავ გავამახვილებთ ყურადღებას იმაზე, თუ რატომ დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა პოზიტიური ნიადაგი ბურჟუაზიული სახელმწიფოს „ლიბერალური ინტერვენციონიზმისათვის“ და არა „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ (კეინსელობა, დირიჟიზმი, ნეოკეინსელობა) თეორიებისათვის.

კაპიტალისტური გერმანია იყო პროტექციონიზმი და ზეპროტექციონიზმის კლასიკური ქვეყანა. აქ ყოველთვის ნაკლებად ვრცელდებოდა ეკონომიური ლიბერალიზმის, თავისუფალი მეწარმეობის იდეები. განსაკუთრებით გაძლიერდა იმპერიალისტური პროტექციონიზმი — ზეპროტექციონიზმი გერმანიაში ნაცისტების დიქტატურის პერიოდში. ფაშისტური სახელმწიფოს დესპოტურმა წარევამ ქვეყნის ეკონომიკაში კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ფაშისტური იძულებითი ეკონომიკა — ტოტალიტარული წყობილება და შესაბამისი სახელმწიფო აპარატი, ნაცისტური დიქტატურა ძვირად დაუჯდათ ევროპის ხალხებს, პირველ რიგში კი — თვით გერმანელ ხალხს. ფაშისტური სახელმწიფოც მიმართავდა ანტიმონოპოლისტურ დემაგოგიას და ნაცისტები იმპერიალისტურ გერმანიას „სოციალიზმის“ ქვეყნად ასალებდნენ, ხოლო პირსისხლიან ფაშისტურ დიქტატურას — „საერთო სიკეთის სახელმწიფოდ“.

ნაცისტური რეჟიმის დროს, აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოების მიერ დასავლეთ გერმანიის ოკუპაციის წლებშიც ძალიან გავრცელდა გერმანიაში „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორიები, კეინსის მოძღვრება. ამის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში, რა თქმა უნდა, ძნელი იყო კვლავ „რეგულირებადი კაპიტალიზმის“, „მართული (დირიჟისტული) ეკონომიკის“ თეორიების პროპაგანდა.

ამიტომ დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგებმა შეიცვალეს ტაქტიკა და დაიწყეს „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორიებს, ფაშისტური ტოტალიტარიზმის კრიტიკა. გერმანიის ბურჟუაზიის თეორეტიკოსებმა გამოიყენეს გერმანელი ხალხის ანტიფაშისტური განწყობილება, „გაკრიტიკეს“ ფაშისტური ტოტალიტარული სახელმწიფო და მონოპოლისტური კაპიტალის დაცვა იწყეს „ეკონომიური თავისუფლების“, „თავისუფალი მეწარმეობის“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ყალბი იდეებს პროპაგანდით. დასავლეთგერმანული ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები ვ. ოიკენი, ლ. ერჰარდი, ფ. ბემი, ა. რიუს-ტოვი, ა. მიულერ-არმაკი და სხვები „ითვალისწინებენ, რომ ჰიტლერული მთავრობის, შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოებს საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ ეკონომიური ცხოვრების მკაცრი სახელმწიფოებრივი რეგლამენტირების პრაქტიკამ მეტისმეტად გაუტეხა სახელი „რეგულირებადი ეკონომიკის“ იდეა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ფართო მასების თვალში“.¹¹⁸ აი რატომ შეიცვალა მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგიის ხერხი დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ.

ამრიგად, მიზანი უცვლელია, შეიცვალა მხოლოდ მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგიის ხერხები და ფორმები. ნეოლიბერალიზმმა „დაგმო“ რეგულირებადი, მართული ეკონომიკა, ტოტალიტარიზმი, ბურჟუაზიული სახელმწიფოს მეტისმეტი „რეგულირება“ და ასე დაიწყო „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ პროპაგანდა.

ჩვენ უკვე გვეონდა ლაპარაკი იმის გარშემო, თუ რაოდენ ყალბია „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილებისა“ და „ეკონომიური ჰუმანიზმის“, აგრეთვე „სოციალური პარტნიორობის“ კონცეფციები. თვით დასავლეთ გერმანიის ცხოვრებიდან აღებული ფაქტები აშკარად ადასტურებენ, რომ გფრ-ში არის არა „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილება“ და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“, არამედ მონოპოლისტური ბურჟუაზიის ბატონობა, რომლის საქმეთა მართვის კომიტეტია ბონის კლერიკალურ-მილიტარისტული სახელმწიფო.

დასავლეთ გერმანია სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ტიპური ქვეყანაა, სადაც საზოგადოება დაყოფილია ანტიგონისტურ კლასებად, მამასადამე, ლაპარაკი „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ შესახებ არის სოციალური დემაგოგია. გფრ-ის სახელმწიფო ისევეა საყოველთაო კეთილდღეობის სახელ-

მწიფო, როგორც ნეოლიბერალური „საბაზრო მეურნეობა“ არის „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილება“.

დასავლეთ გერმანიაში გაბატონებული მდგომარეობა უკავია სიმენსის, ჰანეილს, მანესმანს, კრუპის, ფლოკის, კლიეკენერის კონცერნებს. ნეოლიბერალური „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მიერ გამოწვეული „ეკონომიური სასწაული“ იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთ გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის განადგურების შემდეგ კვლავ შეიქმნა შეიარაღების ეკონომიკა, რომლის საჭუთან დგას ბონის მთავრობა. ბონის სახელმწიფო აპარატი ემსახურება უმსხვილეს მონოპოლიებს. გფრ-ის სახელმწიფო გამოდის, როგორც მონოპოლისტური კაპიტალის გაბატონებული წრეების წარმომადგენელი.¹¹⁹

ნეოლიბერალიზმისა და მემარჯვენე სოციალისტების თეორეტიკოსები განგებ ამახინჯებენ სინამდვილეს და მონოპოლიების ძლიერების განმტკიცებას, წარმოების მილიტარიზაციას დასავლეთ გერმანიაში ხატავენ „ეკონომიურ სასწაულად“. მათი აზრით, ბონის კლერიკალურ-მილიტარისტულმა სახელმწიფომ შექმნა „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილება“, რომ თითქოს გფრ-ში დაიწყო „მუდმივი ეკონომიური აყვავების“ ერა.¹²⁰ გფრ-ის ეკონომიკის სამინისტრომ გამოსცა სტატისტიკური კრებული, რომლის ქვესათაურია „აღდგენითი სამუშაოების შედეგები გფრ-ში“.¹²¹ კრებული გამსჭვალულია მხოლოდ ერთი მიზნით — რეკლამა გაუწიოს დასავლეთ გერმანულ „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“ და გამოაცხადოს იგი „ეკონომიურ სასწაულად“, ხოლო ბონის სახელმწიფო — „თავისუფლებისმოყვარე პოლიტიკის“, „პატიოსანი შრომისა და კონკურენციის (შეჯიბრების)“ დამცველად.¹²²

საკმარისია თვალი გადავავლოთ ობიექტურ მოვლენებს დასავლეთ გერმანიაში და დაეინახავთ, თუ რას წარმოადგენს ბონის „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“. იგი არის დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის სახელმწიფო, მონოპოლიების კაბინეტი, მილიტარისტულ-კლერიკალური დიქტატურა,¹²³ რომელიც იყენებს ფაშინაციის ძველ და ახალ ფორმებს, ფაშისტურ სოციალურ დემაგოგიას.¹²⁴ გფრ-ის სახელმწიფო აპარატი ემყარება ნეოლიბერალიზმის მოძღვრებას და „ახალ ფორმებში“ „აკრიტიკებს“ „მანჩესტერულ სკოლას“ (ძველი ლიბერალიზმის — ერთ-ერთი განშტოება), „ლიბერალიზმს“, „კაპიტალის დიქტატურას“, ქადაგებს „სოციალურ პარტნიორობას“, „ეკონომიურ ჰუმანიზმს“, „საყოველთაო კეთილდღეობას“. ბონის ოფიციალურ სახელმწიფო დოქტრინას უკვე აღარ აკმაყოფილებს დასავლეთ

გერმანიის სახელმწიფოს მიერ მოხდენილი „ეკონომიური სასწაული“ და მას ავსებს „კლასობრივი ზავით“ და ასე ქადაგებს „სოციალურ სასწაულს“. ამრიგად, გფრ-ის სახელმწიფო გამოდის, როგორც „ეკონომიური სასწაულისა და სოციალური სასწაულის“ შემოქმედი, სადაც თურმე აღარაა კაპიტალის ბატონობა. ვინმე ე. მიუღერი თავის წიგნში „რომის პაპების სოციალური მოძღვრება“ წერს, რომ „კაპიტალის დიქტატურა ისევე ამორალურია, როგორც პროლეტარიატის დიქტატურა“.¹²⁵

გერმანიის მონოპოლისტური ბურჟუაზია დიდ იმედს ამყარებს თავის სახელმწიფო აპარატზე არა მარტო როგორც „ეკონომიური სასწაულისა და სოციალური სასწაულის“ მესაჭეზე, არამედ როგორც მშვიდობისა და თავისუფლების „დამცველზე“.

ამრიგად, ბურჟუაზიული სახელმწიფო ნეოლიბერალების მოძღვრებაში გამოიყურება, როგორც „ეკონომიური სასწაულის“ („სოციალური საბაზრო მეურნეობა“), „სოციალური სასწაულის“ („სოციალური პარტნიორობა“, „კლასობრივი სოლიდარიზმი“). ე. ი. „საყოველთაო კეთილდღეობის“ შემქნელი და „კომუნისტური საფრთხისაგან თავდაცვის ორგანიზატორი“. კომენტარები ზედმეტია. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორეტიკოსები ახდენენ ფაშიზმის რეაბილიტაციას. ეს ბუნებრივია. დასავლეთ გერმანიაში დღეს რვა კონცერნი (კრუპის, ტისენის, ფლიკის, ჰანიელის, მანესმანის, რაინსტალის, კლიეგერისა და ჰენსტის) ორ სახელმწიფო-მონოპოლისტურ საწარმოსთან ერთად ფლობს გფრ-ის შავი მეტალურგიის 95%-ს და ფოლადის წარმოების 94%-ს. სწორედ ამ კონცერნების დახმარებით ჩაუდგა პიტლერი ნაცისტურ დიქტატურას სათავეში.¹²⁶ რა თქმა უნდა, ბონის კაბინეტიც ამ უმსხვილესი კონცერნების ნებას გამოხატავს, მაშასადამე, ლაპარაკი დასავლეთ გერმანიაში „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ არსებობის შესახებ ეწინააღმდეგება სინამდვილეს.

ბონის კლერიკალურ-მილიტარისტული სახელმწიფო ემსახურება კვლავ იმ მონოპოლიებს. რომლებსაც ნაცისტური დიქტატურა ემსახურებოდა. შეიცვალა აპოლოგიის ფორმები — ფაშისტური ცენტრალურ-მართული ეკონომიკის ადგილი დაიკავა „სოციალურმა საბაზრო მეურნეობამ“, სვასტიკისა — ჯვარმა, „მართული ეკონომიკის“ თეორიებისა — ნეოლიბერალურმა მოძღვრებამ, ფაშისტური დიქტატურისა — კლერიკალურ-მილიტარისტულმა დიქტატურამ, ხოლო ნაცისტური „გერმანული სოციალიზმისა“ — „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილებამ“ — „ეკონომიურმა ჰუმანიზმმა“. განა შეიძლება თქმა იმისა, რომ გფრ-ში არის „საყოველ-

თაო კეთილდღეობის სახელმწიფო“? თუკი დასავლეთ გერმანიაში აღარაა კლასები და კლასობრივი ბრძოლა და სახელმწიფო მთელი საზოგადოების ინტერესებს ემსახურება, მაშინ რატომ ხდება გაფიცვები, რატომ აკრძალა ადენაუერის მთავრობამ კომუნისტური პარტია, გერმანიის თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირი, ქალთა დემოკრატიული კავშირი, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტი და სხვა პროგრესული ორგანიზაციები? აეთია ფაქტები, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში ნეოლიბერალური „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“.

გფრ არის მონოპოლიების სახელმწიფო. საკმარისია თვალი გადავაკლოთ ბონის ბუნდესტაგს, არჩევნებს ბუნდესტაგში და დავინახავთ, რომ დასავლეთ გერმანიაში არაა „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ და არც შეიძლება არსებობდეს იგი ანტიკონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში. ადენაუერის ოთხივე კაბინეტში შედიოდნენ მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები. ავიღოთ ბოლო, მეოთხე ბუნდესტაგის შემადგენლობა. 500 დეპუტატიდან 100 არის მსხვილი კაპიტალისტი ან კონცერნების წარმომადგენელი. თვით დასავლეთ გერმანიის პრესაშიც მითითებული იყო, რომ ბუნდესტაგში არჩეულ იქნა მხოლოდ ხუთი მუშა და ერთი პენსიონერი.¹²⁷

ბუნდესტაგში არჩეულია რვა პროფესორი, რა თქმა უნდა, ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებიც (პროფ. ლ. ერჰარდი, პროფ. ფრ. ბემი). ბუნდესტაგში არაა არჩეული არც ერთი დეპუტატი წვრილი გლეხური მეურნეობიდან. სამაგიეროდ, ბუნდესტაგში ბევრია მსხვილი კაპიტალისტი და მიწათმფლობელი (ფრ. ბერგი, თავადი ოტო ფონ ბისმარკი, ნაცისტი გენერალი გ. ჰაიე და სხვ.). ექსკანცლერი კ. ადენაუერი და კანცლერი ლ. ერჰარდი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ფინანსურ მაგნატებთან. ლ. ერჰარდი და მისი კაბინეტიც მჭიდრო კავშირშია მონოპოლისტურ კაპიტალთან. ეს ბუნებრივია, რადგან კანცლერი ლ. ერჰარდის მიერ შედგენილი მთავრობაც (1963 წ. ოქტომბერი) დაკომპლექტებულია ორი პარტიის — 1. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირისა და 2. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებსაგან. ერჰარდის მთავრობაში პოსტები შეინარჩუნა ზოგიერთმა მინისტრმა, რომლებიც შედიოდნენ ადენაუერის უკანასკნელი კაბინეტის შემადგენლობაში. საგარეო საქმეთა მინისტრია გ. შრედერი. ეს ის შრედერია, რომელიც ადრე იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, სწორედ მაშინ გამოიცა კანონი გერმა-

ნის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ. შრედერი არის პფერლენგენის კაცი. იგი ნაცისტური პარტიის აქტიური წევრი იყო. 1945 წლიდან კი მიემხრო ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს.

ფონ ჰასელს თავდაცვის მინისტრის პოსტი უჭირავს. ხოლო გერმან ხეხერლი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. ხეხერლი შტრაუსისა და ადენაუერის ახლო მეგობარია. ერჰარდის კაბინეტში ვიცე-კანცლერისა და სრულიად გერმანიის საკითხთა მინისტრის პოსტი დაიკავა დოც. ერის მენდემ — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრმა, ეკონომიკის მინისტრისა — კურტ შმიუგერმა, ხოლო ახლადგადმოსახლებულების მინისტრის პოსტი — ჰანს კრიუგერმა. ახლა თვით ლ. ერჰარდის შესახებ.

ლუდვიგ ერჰარდი (დაიბადა 1897 წ.) ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსია. მან 1924 წ. დაამთავრა ფრანკფურტის უნივერსიტეტი და მიიღო იურიდიულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დოქტორის წოდება. 1930—1942 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ნიურნბერგის კონიუნქტურული კვლევის ინსტიტუტს, ხოლო 1942 წლიდან ფართო მოხმარების საქონლის ეკონომიკის ინსტიტუტს. ლ. ერჰარდი ჯერ იყო „თავისუფალი დემოკრატების“ ბანაკში, 1949 წელს კი გახდა ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წევრი. 1945 წლის სექტემბერში ამერიკის სამხედრო გუბერნატორმა იგი დანიშნა ბავარიის ეკონომიკის მინისტრად, სადაც დაჰყო 1946 წლის დეკემბრამდე. 1947—1948 წლებში იგი მეთაურობდა საკრედიტო-საფინანსო სამმართველოს, რომელიც ამზადებდა ფულის რეფორმის განხორციელებას დასავლეთის საოკუპაციო ზონებში. 1948—1949 წლებში ერჰარდს ეკავა ინგლის-ამერიკის გაერთიანებული ზონის (ბიზონია) მეურნეობის მთავარი სამმართველოს დირექტორის სავარძელი. 1949 წელს იგი აირჩიეს ბუნდესტაგის დეპუტატად. ადენაუერის კაბინეტში მას ეკავა ეკონომიკის მინისტრის პოსტი, ხოლო 1957 წლიდან აგრეთვე ვიცე-კანცლერის პოსტიც. 1963 წლის 16 ოქტომბერს კი აირჩიეს ფფრ-ის კანცლერად. ერჰარდს ხმა მისცა 279 დეპუტატმა, მისი კანდიდატურის წინააღმდეგ კი — 180 დეპუტატმა.

ლ. ერჰარდი 1952 წლის ივლისში დაინიშნა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის დასავლეთგერმანულ მმართველად. იგი არის აგრეთვე ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების, ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროპის ეკონომიური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოების წევრი.

ლ. ერპარდი აქტიურად მოღვაწეობდა ნაციისტთა ბატონობის წლებში. ჯერ კიდევ 1932 წელს ჟურნალში „ტაგებუხ“ ლ. ერპარდმა გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მიმართული იყო ი. შახტის ნაწარმოების „გერმანიის ეკონომიური პოლიტიკის პრინციპები“ წინააღმდეგ. ამ პერიოდში ლ. ერპარდი გამოდიოდა ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ, იგი წყველიდა სახელმწიფოს ჰამეურნეო ბიუროკრატიზმს და საზოგადოებრივი ორგანოების ჩარევას ეკონომიკაში და, მაშასადამე, გამოდიოდა ლიბერალიზმის იდეებით. ნაციისტების ბატონობის წლებში კი შეიცვალა მან პოზიციები, ხოლო მეორე მათელით ომის შემდეგ მიემხრო ნეოლიბერალურ მიმართულებას და რასაც აკრიტიკებდა წინათ, ამჟამად იმას თვითონვე თავგამოდებით იცავს.

პროფ. ლუდვიგ ერპარდი არა მარტო ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსი და ბონის მთავრობის მესაქეა, არამედ მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენელიც არის. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს უფილიყო. იგი ახორციელებს გერმანიისა და აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალის კავშირს. ერპარდი მრავალი მონოპოლიური გაერთიანების წევრია. ჯერ კიდევ ფაშისტური დიქტატურის პერიოდში იგი მეთაურობდა მსხვილ სამხედრო საწარმოს მიუნხენში და ამავე დროს იყო ნიურნბერგის ოლქის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის გაულაიტერის ეკონომიური მრჩეველი. ერპარდი ამჟამადაც არის უმსხვილესი რადიო-სატელევიზიო კომპანიის მესაკუთრე.¹²⁸

რა თქმა უნდა, არავითარ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ბონის ოფიციალურმა პროპაგანდამ ერპარდი გამოაცხადა ყბადაღებული „ეკონომიური სასწაულის“ „მამად“, ხოლო შემდეგ მონოპოლისტური კაპიტალის კარნახით იგი სათავეში ჩაუდგა ბონის სახელმწიფოს. აი, როგორ გამოიყურება ნეოლიბერალების სათაყვანებელი „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“, რომლის მართვა-გამგეობა მონოპოლისტური კაპიტალის კარნახს ემორჩილება.

ნეოლიბერალური „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მიერ გატარებული კრიზისის საწინააღმდეგო ღონისძიებები და „ანტიმონოპოლიზმი“ (დეცენტრალიზაცია, „დემონოპოლიზაცია“, რეპრივატიზაცია, „სახალხო აქცია“, „დეკარტელიზაცია“ და სხვ.) სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვას, მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს ემსახურება. ნეოლიბერალური „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ თავისი „სოციალური საბაზრო მეურნეობით“ კეთილდღეობას ქმნის მოსახლეობის უმცირესი ჯგუფისა და არა ყველათვის.¹²⁹

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა მიერ ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის საჭიროების აუცილებლობა აიხსნება კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გაძლიერებით, ეკონომიურა ლიბერალიზმის კონცეფციების სრული გაკოტრებით. ნეოლიბერალიზმის თეორია „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილებისა“ და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ შესახებ მიზნად ისახავს მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის დაკნინებას. „სოციალური ზავის“ პროპაგანდას. დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის საქმეშიც დიდ როლს ასრულებს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ დოქტრინა, როგორც „სახალხო კაპიტალიზმის“ კიდევ ერთი ვარიანტი.

„საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ბურჟუაზიულ-რეფორმისტული თეორიის დასავლეთგერმანული ვარიანტიც, „სოციალური პარტნიორობის“, „საყოველთაო კეთილდღეობის წყობილების“, „ეკონომიური ჰუმანიზმისა“, და სხვა აპოლოგეტურ თეორიებთან ერთად, ემსახურება სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, მონოპოლიებს. „თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფო საწარმოო ძალების განვითარებაში, შრომის განსაზოგადობაში მიღწეული პროგრესის უზურპაციას ახდენს მონოპოლიების ინტერესებისათვის“.¹³⁰

მაშასადამე, ნეოლიბერალიზმის დოქტრინა „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ შესახებ უნიადაგოა. „სახელმწიფო ფორმა, — წერს ფ. ენგელსი, — ისევე აუცილებლად გამომდინარეობს მეურნეობის ფორმიდან და მისი სათანადო გამოყენებებიდან, როგორც ბავშვი მამაკაცისა და დედაკაცის შეუღლებიდან იბადება“.¹³¹

**იმაპარიალისტური „ინტეგრაციის“ თეორია და
პოლიტიკა**

თ ა ვ ი ო

**იმაპარიალისტური „ინტეგრაციის“ გურუაზიულ-
პოლოგებური თეორია და მისი პრიტიკა**

„ინტეგრაციისა“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ უახლესი ბურჟუაზიული სოციალ-ეკონომიური თეორია ფართო-დაა გავრცელებული და დიდ როლს ასრულებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის იდეოლოგიურ არსენალში. უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე, ბურჟუაზიული ეკონომიური და პოლიტიკური ლიტერატურა სულ უფრო მეტ ადგილს უთმობს „ეკონომიური ინტეგრაციის“ პრობლემებს.

კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობა სისტემატურად ცვლის ძალთა თანაფარდობას და უკიდურესად ამწვავებს წინააღმდეგობებს იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის სფეროს შემცირებასთან ერთად ძლიერდება ანტაგონისტური წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ამ წინააღმდეგობათა ერთ-ერთი მთავარი რგოლია ბაზრის პრობლემა. თვით „ინტეგრაცია“ იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა, პირველ რიგში კი ბაზრის პრობლემის გამწვავების ახალი, სპეციფიკური ფორმაა. „თანამედროვე კაპიტალიზმმა უაღრესად გაამ-

წვა ბაზრის პრობლემა. იმპერიალიზმი უძლურია გადა-
ქრას ეს პრობლემა, რადგან მისი კანონზომიერებაა მშრომელთა
გადახდისუნარიანი მოთხოვნის ჩამორჩენა წარმოების ზრდისაგან.
იგი აგრეთვე აფერხებს სუსტად განვითარებული ქვეყნების ინდუს-
ტრიულ განვითარებას. მსოფლიო კაპიტალისტური ბაზარი ვიწროვ-
დება უფრო სწრაფად მზარდ საწარმოო შესაძლებლობებთან
შედარებით. იგი დასერილია აურაცხელი საბაჟო ზღუდეებით და
შემზღუდველი ბარიერებით, დაყოფილია კარჩაკეტილ სავალუტო-
ფინანსურ ზონებად. იმპერიალიზმის ბანაკში წარმოებს მწვავე კონ-
კურენციული ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, კაპიტალის გამო-
ყენების სფეროებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის. მას მით
უფრო მწვავე ხასიათი ეძლევა, რომ კაპიტალიზმის ბატონობის
ტერიტორიული სფერო მკვეთრად შემცირდა.“¹

იმპერიალიზმი უძლურია კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინა-
აღმდეგობათა წინაშე. „ეკონომიური და პოლიტიკური განვითარე-
ბის უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია“². „დასავ-
ლეთ ევროპის ინტეგრაცია წარმოადგენს კაპიტალიზმის ეკონომიუ-
რი და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმე-
დების სპეციფიკურ გამოვლინებას საზოგადოების განვითარებაზე
სოციალიზმის განმსაზღვრელი გავლენის პირობებში“, — წერს
გარ-ის ეკონომისტი ე. ჰაკი.³ ამიტომ, ბუნებრივია, აღნიშნული
კანონისა და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სხვა ეკონომი-
ური კანონების მოქმედებით გამოწვეული წინააღმდეგობების ლი-
კვიდაცია სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს არ ძალუძს.
მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგიები იგონებენ ახალ აპოლო-
გეტურ თეორიებს, რათა მიჩქმალონ ან შეაღამაზონ იმპერიალიზ-
მის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, მომაკვდინებელი წყლუ-
ლები და მანკიერებანი. ისინი „ინტეგრაცია“ პოლიტიკით ეძიებენ
ეკონომიურ და სოციალურ შერყევათა საწინააღმდეგო საშუალე-
ბებს, ვარაუდობენ მისი დახმარებით გაემიჯნონ კაპიტალიზმის ობი-
ექტური ეკონომიური კანონების მოქმედებას, მის ორგანულ მანკი-
ერებებსა და სნეულებებს.

მაგრამ კაპიტალისტური „ინტეგრაცია“ არ წყვეტს და არც
შეუძლია გადაწყვიტოს თანამედროვე კაპიტალიზმის წინააღმდეგო-
ბათა დაძლევის პრობლემები.⁴

იმპერიალიზმის თანამედროვე აპოლოგეტურ თეორიებს შორის
დიდ იმედებს აყარა იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და
„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ აპოლოგეტურ თეორიებ-
ზე, რომლებსაც ახლო იდეური ნათესაობა აქვთ კაუცკიანურ

„ულტრაიმპერიალიზმის თეორიასა“ და „ევროპის შეერთებულა შტატების“ ლოზუნგთან. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ უშუალო კავშირშია აგრეთვე ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის სხვადასხვა აპოლოგეტურ თეორიებსა და კონცეფციებთან, რომლებიც ეხებიან შრომის საერთაშორისო დანაწილებას. საგარეო ვაჭრობასა და სავაჭრო პოლიტიკას. კაპიტალის გატანას. სამუშაო ძალის მიგრაციას⁵, ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებსა და სხვა საკითხებს.

„ეკონომიური ინტეგრაციის“ ბურჟუაზიული თეორია, იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ დასავლეთ ევროპაში და მისი პირში „საერთო ბაზარი“ ემყარება ძველ, გაკოტრებულ, ცხოვრების მიერ გაცამტვერებულ ანტიმარქსისტულ თეორიებსა და დოგმებს. განსაკუთრებით ბევრი საერთო აქვს იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“ კ. კაუცკის „ულტრაიმპერიალიზმის“ ანტიმარქსისტულ თეორიასთან.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა ერთი ჯგუფი „ინტეგრაციას“ აცხადებს, როგორც კაპიტალიზმის „ახალ სიტყვას“ კომუნისტური იდეოლოგიის, მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში. ვხვდებით მეორე უკიდურესობასაც. მაგალითად, ზოგიერთი ბურჟუაზიული იდეოლოგი „გაერთიანებული ევროპის იდეას“ დაეძებს შორეულ წარსულში და „პოულობს“ კიდევაც. ევროპის „ინტეგრაციის“ ისტორიულ ფესვებს ისინი ხედავენ ძველ რომში, კარლოს დიდის იმპერიაში⁶ და სხვ. ცხადია, არც ერთია სწორი და არც მეორე. „ევროპის ინტეგრაციის“ იდეა არ არის ახალი. ახალია ის პრაქტიული ნაბიჯები, რომლებიც გადადგა საერთაშორისო იმპერიალიზმმა „ინტეგრაციის“ განსახორციელებლად და რომლებიც შესაძლებელი შეაქმნა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების შედეგად.⁷

ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა იმპერიალიზმის მარქსისტული თეორია, ამხილა და გამოააშკარავა „ულტრაიმპერიალიზმის“ ანტიმარქსისტული თეორიის უსაფუძვლობა და პოლიტიკურად მანვე ხანიათი. ვ. ი. ლენინმა ცხოვრებიდან აღებული ობიექტური ფაქტების მარქსისტული გაანალიზების შედეგად დაამტკიცა, რომ მცდარია კ. კაუცკისა და მისი მიმდევრების შეხედულებები იმპერიალიზმზე. იმპერიალიზმის ლენინური თეორია, „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგის ეკონომიური და პოლიტიკური ბუნების ლენინური დახასიათება იძლევა გააღებს იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიების არსის გაგებისათვის.

II ინტერნაციონალის ბელადები რ. პილფერდინგი, კ. კაუცკი

ანტიმარქსისტულ („ორგანიზებული კაპიტალიზმისა“ და ულტრა-იმპერიალიზმის“) თეორიებში ირწმუნებოდნენ, რომ უმსხვილესი მონოპოლიური გაერთიანებების მიერ მსოფლიო ბაზრების დანაწილება, ფინანსური კაპიტალის, მონოპოლიური გაერთიანებების ბატონობა თითქოს ასუსტებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს.⁸ რ. ჰილფერდინგი აცხადებდა, რომ თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიებით მოასწავებს გადასვლას „ორგანიზებულ კაპიტალიზმზე“. მისი მცდარი დასკვნა „ფინანსური კაპიტალის ისტორიული ტენდენციის“, „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ შესახებ არის კ. კაუცკის ულტრაიმპერიალიზმის ანტიმარქსისტული თეორიის დიდი და.⁹ ულტრაიმპერიალიზმის პრაქტიკული ნიმუში იყო სწორედ „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგი, რომელსაც ტროცკი იცავდა, ზუხარინმა და პიატაკოვმა იმპერიალიზმი განსაზღვრეს, როგორც „იმპერიალისტური ეკონომიზმი“.¹⁰ კ. კაუცკი ოცნებობდა „ერთი მსოფლიო ტრესტის“, მთელი მსოფლიოს იმპერიალიზმთა გაერთიანების“, „ნაციონალურ-ფინანსურ კაპიტალთა ურთიერთბრძოლის განდევნის“ და სხვ. შესახებ. „წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით — წერს კაუცკი, — შეუძლებელი როდია, რომ კაპიტალიზმმა განვლოს კიდევ ერთი ახალი ფაზა. კარტელების პოლიტიკის გადატანა საგარეო პოლიტიკაზე, ფაზა ულტრაიმპერიალიზმისა“, ე. ი. ზეიმპერიალიზმისა, მთელი მსოფლიოს იმპერიალიზმთა გაერთიანებისა და არა მათი ბრძოლისა, კაპიტალიზმის დროს ომების შეწყვეტის ფაზა, „ინტერნაციონალურად გაერთიანებული ფინანსური კაპიტალის მიერ მსოფლიოს საერთო ექსპლოატაციის“ ფაზა...—აი კაუცკის თეორია,—აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — რასაც საერთო არაფერი აქვს მარქსიზმთან“.¹¹

ვ. ი. ლენინმა იდეურად გაანადგურა „ულტრაიმპერიალიზმის“ ანტიმარქსისტული თეორია და დაამტკიცა, რომ კაპიტალი ინტერნაციონალური და მონოპოლისტური გახდა, მაგრამ მონოპოლიების ბატონობა კი არ ასუსტებს კონკურენციას, წინააღმდეგობებს იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, არამედ აძლიერებს ამ წინააღმდეგობებს. „ეჰვი არ არის, — წერს ვ. ი. ლენინი, — რომ განვითარება მიდის იმ ერთადერთი მსოფლიო ტრესტის მიმართულებით. რომელმაც უნდა ჩანთქას უკლებლივ ყველა საწარმო და უკლებლივ ყველა სახელმწიფო. მაგრამ განვითარება აქეთკენ მიდის ისეთ პირობებში, ისეთი ტემპით, ისეთ წინააღმდეგობათა, კონფლიქტთა და შერყევათა, — სრულიადაც არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ, ეროვნულ და სხვ. და სხვ., — პირობებში, რომ უეჭველია, უფრო ადრე, ვიდრე საქმე ერთ მსოფლიო ტრესტამ-

დე, ნაციონალურ-ფინანსურ კაპიტალთა „ულტრა-იმპერიალისტურ“ მსოფლიო გაერთიანებამდე მივიდოდეს, იმპერიალიზმი აუცილებლად უნდა გასკდეს“.¹²

„ულტრაიმპერიალიზმის“ ანტიმარქსისტული თეორიის ერთ-ერთ მანკს ის შეადგენს, რომ მისი შემქმნელი კ. კაუცკი და კაუცკელებიც გვერდს უვლიდნენ და ამჟამადაც გვერდს უვლიან წინააღმდეგობებს მონოპოლისტურ გაერთიანებებს, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. მიუხედავად ისტორიის მწარე გაკვეთილებისა, იმპერიალისტური ბურჟუაზიის აპოლოგეტები დღესაც იმეორებენ კაუცკიანურ დოგმას „საერთაშორისო ინტეგრაციის“ ლოზუნგის სახით და ასე ცდილობენ კატასტროფის წინაშე მყოფი იმპერიალიზმისა და მისი კოლონიური სისტემის შენარჩუნებას.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიით გამოდიან არა მარტო ბურჟუაზიული ეკონომისტები, არამედ მემარჯვენე სოციალისტები და რევოიონისტები, ყველა ჯურის ანტიმარქსისტები. მონოპოლისტური „ინტეგრაციის“ ნიადაგზე გაერთიანდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბურჟუაზიული პარტიები. იმპერიალისტურმა რეაქციამ საერთო პლატფორმა დაიხადა ანტიკომუნისმის იდეოლოგია. ბრძოლა სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ, დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებისათვის.

„ინტეგრაციის“ დამცველთა გუნდში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ხმები სოციალ-დემოკრატიული ლიდერებისა, რომლებსაც უნარი არ აღმოაჩნდათ წამოეყენებინათ მშრომელთა ინტერესების დასაცავად მოქმედების რაიმე პროგრამა. ბურჟუაზიის ლაქები და აგენტები მუშათა მოძრაობაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს ეგრეთწოდებულნი „ევროპის იდეით“ ცვლიან, აქტიურად უჭერენ მხარს „ტრესტების ევროპას“, უგულბელყოფენ მუშათა კლასის ძირეულ ინტერესებს, ამკარად აიღეს ხელა სოციალიზმისათვის ბრძოლაზე“.¹³

დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“, „საერთო ბაზარი“ — ესაა „ევროპა ტრესტებისა“, ევროპა „ტრესტების — კოსმოპოლიტების“, ფინანსური მაგნატების იმპერია. მარქსიზმ-ლენინიზმი, მარქსისტულ-ლენინური პარტიები მუდამ იყვნენ და არიან „იმპერიალისტური სახელმწიფოების გაერთიანების“ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგი.

სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერებმა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ წამოაყენეს ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების გაერთიანების ოპორტუნისტული გეგმა — „ევროპის

შეერთებული შტატების“ შექმნა. ვ. ი. ლენინი სტატიაში — „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“ (1914 წ.) — წერდა: „ევროპის სოციალ-დემოკრატების უახლესი პოლიტიკური ლოზუნგი უნდა იყოს ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების შექმნა“.¹¹ ამასთანავე ვ. ი. ლენინი განმარტავდა ამ ლოზუნგის („ევროპის შეერთებული შტატები“) სიყალბესა და უაზრობას კაპიტალიზმის პირობებში.

„ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგი იმდენად „აქტუალური“ იყო, რომ საღისკუსიო გახდა. ეს საკითხი სპეციალურად განიხილა რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენციამ, რომელიც ბერნში მიმდინარეობდა 1915 წლის 24 თებერვლიდან 4 მარტამდე. კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი. ის იყო მომხსენებელი კონფერენციის დღის წესრიგის ძირითად საკითხზე — „ომი და პარტიის ამოცანები“. კონფერენციაზე ვ. ი. ლენინმა ილაპარაკა „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგის საკითხზე და განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მის ეკონომიურ მხარეზე. „დავძენთ, რომ „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგის საკითხზე დისკუსიამ ცალმხრივი პოლიტიკური ხასიათი მიიღო, და გადაწყდა საკითხი გადადებულებით, ვიდრე პრესაში განხილული არ იქნებოდა საქმის ეკონომიურ მხარე“¹⁵, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ მე-4 ნომერში გამოცხადდა რსდმპ საზღვარგარეთული სექციების ბიუროს კონფერენციის გადაწყვეტილება „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგის განხილვის შესახებ. ამ კონფერენციაზე დისკუსიამ „ევროპის შეერთებული შტატების“ შესახებ ცალმხრივი ხასიათი მიიღო. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში ასეთი ლოზუნგი ნიშნავს ბურჟუაზიის ინტერესებს და ცვას, რომ ასეთი ლოზუნგი უაზრო, ყალბი და მავნეა მუშათა კლასისათვის. მარქსისტულად შეაფასა რა „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგი, ვ. ი. ლენინმა დააკეთა დასკვნა: „იმპერიალიზმის ეკონომიური პირობების თვალსაზრისით, ე. ი. „მოწინავე“ და „ცივილიზებული“ კოლონიური სახელმწიფოების მიერ კაპიტალის გატანისა და მსოფლიოს გაყოფის თვალსაზრისით, ევროპის შეერთებული შტატები, კაპიტალიზმის დროს, ან შეუძლებელია, ან რეაქციულია“¹⁶.

ვ. ი. ლენინი არ უარყოფდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებას. მონოპოლისტურ გაერთიანებებს შორის დროებით შეთანხმებას კოლონიების, გავლენის სფეროების, ბაზრების გაყოფის მიზნით. „ევროპის შეერთებული შტატები“ იმპერიალიზმის დროს ვ. ი. ლენინმა დაახასიათა, როგორც „რეაქციის ორგანიზაცია“, როგორც

„ევროპის კაპიტალისტების“ დროებითი „შეთანხმება“. სტატიაში — „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ — ვ. ი. ლენინი წერდა: „კაპიტალიზმი არის წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და წარმოების ანარქია... კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია ცალკეულ მეურნეობათა და ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიური განვითარების თანაზომიერი ზრდა. კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია დროდადრო დარღვეული წონასწორობის აღდგენის სხვა საშუალებანი, თუ არა კრიზისები მრეწველობაში. ომები პოლიტიკაში.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია დროებითი შეთანხმებანი კაპიტალისტებს შორის და სახელმწიფოებს შორის. ამ აზრით შესაძლებელია ევროპის შეერთებული შტატებიც, როგორც ევროპის კაპიტალისტების შეთანხმება... რაზე? მხოლოდ იმაზე, როგორმე ერთად დათრგუნონ სოციალიზმი ევროპაში, ერთად დაიკვიან ნაძარცვი კოლონიები...“¹⁷ მონოპოლისტური გაერთიანებები. იმპერიალისტური სახელმწიფოები, სადაც ანლა გაათრებული კაპიტალისტური კონკურენცია ბაზრებისათვის, სადაც მილიონობით უმუშევარია, კვლავ აწყობენ მძლავრ კაპიტალისტურ კავშირებს. აწყობენ ლაშქრობას მუშათა კლასის წინააღმდეგ¹⁸.

ვ. ი. ლენინის სწორი, მარქსისტული ანალიზის შემდეგ რსდმპ ცენტრალურმა ორგანომ გააკეთა განცხადება, რომ „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგი რეაქციულია და მას შეიძლება მუშათა კლასისათვის მხოლოდ მავნე შედეგები მოჰყვეს. ლენინურ დებულებებს ემყარებოდა „სოციალ-დემოკრატის“ 44-ე ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია, რომელიც გამობდა „ევროპის შეერთებული შტატების“ იდეას და ააშკარავებდა მის სიყალბეს. „ვ. ი. ლენინმა ამხილა „ევროპის შეერთებული შტატების“, „მსოფლიო ტრესტის“ კაუცკისებური, ტროცკისტული მტდარობა, უნიადაგობა და დასაბუთა საერთაშორისო მონოპოლისტურ გაერთიანებათა არაძვიარი მდგომარეობა“¹⁹.

ვ. ი. ლენინის გენიალური დებულებების სისწორე დაადასტურა ცხოვრებამ. შეთანხმებას იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, მონოპოლისტურ კავშირებს ჰქონდა და აქვს დროებითი ხასიათი. სხვაგვარად არც შეიძლება. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ — „საერთო ბაზარაჲ“, როგორც დასავლეთ ევროპის 6 კაპიტალისტური სახელმწიფოს შეთანხმებას, შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ დროებითი ხასიათი.

კომუნისტური და მუშათა პარტიები, შეიარაღებულნი იმპერიალიზმის ლენინური თეორიით, თანმიმდევრულად, პრინციპულად

იბრძვიან დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ. ისინი განუმარტავენ მასებს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დამლუპველ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ შედეგებს, „ინტეგრაციის“ ლოზუნგის სიყალბეს.

თანამედროვე ეტაპზე „ინტეგრაციის“ იმპერიალისტური პოლიტიკა ამხილეს მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პარტიებმა. კომუნისტური პარტიები აერთიანებენ ანტიმონოპოლისტურ ძალებს და ბრძოლის ახალი მეთოდებითა და ფორმებით აიარაღებენ მუშათა კლასს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ ბრძოლაში. კომუნისტები აცხადებენ, რომ „მუშათა კლასის მოქმედებისა და შეკავშირების საბრძოლო ერთიანობაზე, ყველა მშრომელის აქტიურ გამოსვლებზე დამოკიდებულია „საერთო ბაზრის“ ქვეყნების შემდგომი განვითარების მიმართულება, დამოკიდებულია ის, თუ რა გზით წავა იგი — მონოპოლისტების ბატონობის განმტკიცების გზით, თუ ღრმა დემოკრატიული გარდაქმნების გზით, რომლებიც აადვილებენ სოციალიზმზე გადასვლას“²⁰.

კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ფინანსური ოლიგარქიის დროებით შეთანხმებას, იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“ დაუბრისპირეს მშრომელი მასებებს საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლის თანმიმდევრული პროგრამა, ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ. ამ პროგრამის მოთხოვნებია: 1) მონოპოლიების იზოლაცია და გარიყვა, მონოპოლიების ბატონობისათვის ძირის გამოთხრა; 2) კაპიტალისტურ ქვეყნებში დემოკრატიის გაფართოება, ძალაუფლების გადასვლა ანტიმონოპოლისტური ფრონტის მთავრობების ხელში; 3) მრეწველობის ნაციონალიზაციის გატარება, ნამდვილი დემოკრატიული კონტროლის შემოღება სახელმწიფოს ქონებასა და ნაციონალიზებულ საწარმოებზე; 4) მშრომელთა და მათი კლასობრივი ორგანიზაციების უფლებათა გაფართოება საწარმოებში; 5) იმპერიალიზმის საომარი გეგმების ჩაფუშვა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა და სხვ.

კომუნისტური და მუშათა პარტიები, მარქსიზმ-ლენინიზმი იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამედროვე ეტაპზე. ეს გასაგებია. „ევროპის ინტეგრაციის“ სოციალურ-ეკონომიური შეფასება მოცემულია ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის ეკონომიური გაერთიანების მონაწილე ექვსი ქვეყნის კომუნისტური პარტიების ერთობლივ განცხადებებში. ამ განცხადებებში ნათქვამია, რომ „საერთო ბაზარი“, განსაკუთრებით ეფექტური იარაღია, რომელიც მონოპოლიებმა შექმნეს ეკონომიკის მთავარ დარგებში კონცენტრა-

ციის დასაჩქარებლად და მონოპოლისტური კაპიტალის სხვა ინტერესებს შესაბამისად²¹.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსებს — „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგის დღევანდელ პროპაგანდისტებს, თავი ინტერნაციონალიზტებადაც კი მოაქვთ. ისინი არ კმაყოფილდებიან დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციით“ და „საერთაშორისო ინტეგრაციაზე“ ოცნებობენ. „საერთაშორისო ინტეგრაციის“ აუცილებლობას შვედი ბურჟუაზიული ეკონომისტი გ. მიურდალი იმით „ასაბუთებს“, რომ იმუქრება — მოსახლეობა სწრაფად იზრდება, განსაკუთრებით „არაინტეგრირებულ ქვეყნებში“, ამიტომ, მისი აზრით, უნდა მოხდეს სუსტად განვითარებული ქვეყნების „ინტეგრირება“ და მაშინ მოსახლეობის ზრდას გაუსწრებს წარმოების ზრდა. გ. მიურდალი „ეკამათება“ მალთუსელებს, მაგრამ თვითონაც საჭიროდ თვლის „საერთაშორისო ინტეგრაციის“ მოხდენამდე „დროებითი სტერილიზაციის“ გატარებას. მიუხედავად ასეთი იდეებისა, გ. მიურდალს თავი „ინტერნაციონალიზტადაც“ კი მოაქვს. აშკარაა, რომ გ. მიურდალისა და მის თანამოაზრეთა „ინტერნაციონალიზმს“ არაფერი აქვს საერთო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებთან. გ. მიურდალისა და სხვა „ინტეგრაციონალისტების“ „ინტერნაციონალიზმი“ მდგომარეობს „ინტეგრაციის“, ე. ი. იმპერიალისტური ქვეყნების, მონოპოლისტთა კავშირების გაერთიანებისა და შეთანხმების აღიარებაში. „ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მასობრივი წარმოების მეთოდების, ავტომატიზაციის დაწერვა მოითხოვს გასაღების ბაზრების უდიდეს გაფართოებას, აძლიერებს სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციას, ხელს უწყობს წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციის განვითარებას. ეს პროცესი იმპერიალიზმის პარობებში მახინჯ, რეაქციულ ფორმებს იღებს. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა იმპერიალისტური „ინტეგრაცია“, რომლის განვითარებაშიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ფინანსური კაპიტალის ინტერნაციონალური გადახლართვა და, კერძოდ, ახალი ტიპის საერთაშორისო კარტელური გაერთიანებების შექმნა, რომლებიც დამყარებული არიან შეთანხმებაზე წარმოების სპეციალიზაციის შესახებ უმსხვილეს კონცერნებას და ტრუსტებს შორის. მონოპოლიების მისწრაფება — ასარგებლონ ტექნიკური პროგრესის, საერთაშორისო სპეციალიზაციის ნაყოფით თავიანთი ზემოების გასაღიდებლად, საფუძვლად უძევს ეკონომიური „ინტეგრაციისაკენ“ მიმართულ ღონისძიებებს და წარმოშობს ტენდენციას საბაჟო გამოსაღების შემცირებისაკენ კარდახშულ ზონაში, რომელსაც სახელმწიფო

მონოპოლისტური შეთანხმებანი მოიცავენ. მესამე ქვეყნისათვის მაღალი საბაჟო ბარიერი შექმნისავენ“.²²

მაშასადამე, იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ — „ინტეგრაციონალიზტების“ ნამდვილი მიზანია მონოპოლისტური კაპიტალის სამსახური, დეზორგანიზაციისა და არევ-დარევის შეტანა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. „ინტეგრაციონალიზტთა ინტერნაციონალიზმი“ და მათი „ინტეგრაცია“ არის „ანტიკომუნისტური ინტერნაციონალი“. „ინტეგრაციონალიზტები“ ხოტბას ასბამენ იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“, „ინტეგრირებულ“ ქვეყნებს, ვ. ი. იმპერიალისტურ ქვეყნებს, და მათ ხატავენ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოებად“, „სახალხო კაპიტალიზმად“. „ინტეგრაციონალიზტებს“ აზრით „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში კლასობრივი განსხვავება „გამქრალია“, მუშები აღარ არიან პროლეტარები და თურმე არც კლასობრივი ბრძოლა წარმოებს („სოციალურ სტრატეფიკაცია“). გ. მიურღალი გაიძახის, რომ ცნობილი დებულება — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — მითიანო, და აკეთებს „ახალ აღმოჩენას“. იგი წერს: „მარქსის იდეა, რომ არსებობს საფუძველი ყველა ქვეყნის ლატაკთა საერთაშორისო სოლიდარობისათვის, ყოველთვის იყო მართი. ამჟამად პრაქტიკულმა აღამიანებმა, რომლებიც რიგ ქვეყნებში ხელმძღვანელობენ მუშათა პარტიებს, უკუაგდეს ეს იდეა მითის სახითაც კი. „საერთაშორისო მუშათა მოძრაობა სინამდვილეში არ არსებობს“.²³ აი გ. მიურღალის „ახალი აღმოჩენა“!

აქ არაფერია გასაკვირი. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსებს თავი მოაქვთ „ინტერნაციონალიზტებად“. მათი „ინტერნაციონალიზმი“ კი, როგორც უკვე დავინახეთ, ნიშნავს საერთაშორისო რეაქციული ძალების გაერთიანებას, მონოპოლისტური კავშირების, იმპერიალისტური სახელმწიფოების გაერთიანებას. რათა, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთად დათრგუნონ სოციალიზმი ევროპაში“.

„კაპიტალი საერთაშორისო ძალაა. მის დასამარცხებლად საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა.

ჩვენ ეროვნული მტრობის, ეროვნული შუღლის, ეროვნული განცალკევებულობის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ საერთაშორისო სოლიდარობის მომხრენი, ინტერნაციონალიზტები ვართ. ჩვენ მივიწწრავით მსოფლიოს ყველა ერის მუშებისა და გლეხების მჭიდრო გაერთიანებისა და სრული შეერთებისაკენ ერთიან მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკად“²⁴, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი. ამიტომაც, რომ მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგებს არ მოსწონთ ლო-

ზუნგი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და აყენებენ თავიანთ ლოზუნგებს — „საერთაშორისო ინტეგრაცია“, „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“, „ეკპრობის ლიბერალიზაცია“ და სხვ., რაც „ევროპის შეერთებული შტატების“ ყალბი და მავნე ლოზუნგის, აგრეთვე ეკონომიური ლიბერალიზმის დოქტრინის გადამღერება და მეტი არაფერი. ნეოლიბერალიზმის ცნობილი თეორეტიკოსის ვ. ოიკენის აზრით, „ინტერნაციონალიზმი არის ლეჲე ფერ-ის²⁵ პოლიტიკის გაგრძელება და გაძლიერება“.²⁶

ნეოლიბერალებისა და „ინტეგრაციონალისტების“ „ინტერნაციონალიზმი“ არის ანტიკომუნისტური. ამაში რომ დავრწმუნდეთ. საკმარისია მოვიგონოთ ადენაუერის პარტიის — ქრისტიან-დემოკრატიის კავშირის — წინასაარჩევნო ლოზუნგი „სჯობს წითლად ყოფნას სიკვდილი“, რომელიც მოფიქრებულ იქნა ესენის საეპისკოპოსოს სასახლეში²⁷.

სწორედ ვ. ოიკენმა და გ. მიურდალმა და მათი ტიპის აპოლოგეტებმა — ნეოლიბერალებმა, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა, რევიზიონისტებმა და რეფორმისტებმა — სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაქირავებულმა ნოქრებმა — გამოაცხადეს მარქსიზმის დებულებები მითად. მათგან აბა სხვას რას შეიძლება მოველოდეთ? მემარჯვენე სოციალისტები, რევიზიონისტები და რეფორმისტები, მათი თეორიები და პოლიტიკა იმპერიალიზმის აგენტურას შეადგენს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. „კაპიტალიზტებსა და მათს დიპლომატებს ახლა ბურჲუაზიის სწორედ ასეთი „სოციალისტური“ მსახურნი ესაჭიროებათ, რომელნიც ხალხს გააბრუებენ, გააბრიყვებენ და მიამჩნებენ ფრაზებით „დემოკრატიულ ზავზე“, ამ ფრაზებით მიჩქმალავენ ბურჲუაზიის ნამდვილ პოლიტიკას, გაუძნელებენ მასებს დაინახონ ამ პოლიტიკას არსი, ჩამოაშორებენ მასებს რევოლუციურ ბრძოლას“²⁸.

გერმანელი ოპორტუნისტი გერჲარდ ჰილდებრანდი იმპერიალიზმს იცავდა „დასავლეთ ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგით. დღეს კი ჰილდებრანდის მიმდევრები — „ინტეგრაციონალისტები“ — იცავენ მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს. ნეოკოლონიალიზმს. „გერმანელი ოპორტუნისტი გერჲარდ ჰილდებრანდი, რომელიც თავის დროზე გამორიცხული იყო პარტიიდან იმპერიალიზმის დაცვის გამო, ახლა კი შეიძლება იყოს ყოფილიყო, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გერმანიის ეგრეთწოდებული „სოციალ-დემოკრატიული“ პარტიის ბელადი, კარგად შეავსებს ჰობსონის აზრს, როდესაც ქადაგებს „დასავლეთ ევროპის შეერთებულ შტა-

ტებს“ (ურუსეთოდ) „გაერთიანებული“ მოქმედებისათვის... აფრიკელი ზანგების წინააღმდეგ, „დიდი ისლამისტური მოძრაობის წინააღმდეგ“, „ძლიერი ჯარისა და ფლოტის შესანახად.“²⁹

ვ. ი. ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა გ. პილდებრანდს, ჰობსონს. კაუცკისა და სხვებს იმპერიალიზმის დამახინჯებულად განსაზღვრის გამო. ბურჟუაზიული რეფორმიზმისა და პაციფიზმის ტიპური წარმომადგენელი ჰობსონი სოციალ-ლიბერალი იყო, რომელიც ფაქტებზე აიძულა ელიარებინა „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგს ჩამდვილი როლი და მიზანდასახულება³⁰. „კაუცკიმ ულტრა-იმპერიალიზმი ანუ ზე-იმპერიალიზმი უწოდა იმას, რასაც ჰობსონმა 13 წლას წინათ ინტერ-იმპერიალიზმი, ანუ იმპერიალიზმ-თაშორისო უწოდა“³¹.

ინგლისელმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა ჯონ აქტინსონ ჰობსონმა (1858—1940) წვრილბურჟუაზიული პოზიციებიდან სცადა იმპერიალიზმის გაკრიტიკება. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ჯ. ჰობსონი აბოლოგეტურად იცავდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმს და ქადაგებდა „მსოფლიო სახელმწიფოს თეორიას“. მის წიგნში „იმპერიალიზმი“ (1902 წ.) ლაპარაკია „ანგლოსაქსონურ კავშირზე“, „პანგერმანულ იმპერიაზე“ და სხვ. ჯ. ჰობსონი შესაძლებლად თვლიდა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების გაერთიანებას, ოღონდ იგი ლაპარაკობდა არა „ევროპის შეერთებულ შტატებზე“, „ულტრაიმპერიალიზმზე“, არამედ „ინტერ-იმპერიალიზმზე“, „დიდი სახელმწიფოების ევროპის ფედერაციაზე“³². ჰობსონის „ინტერ-იმპერიალიზმი“ ანუ „იმპერიალიზმთაშორისი“ ნიშნავდა კაპიტალიზმის „გაუმჯობესების“ პროპაგანდას, მშვიდობიანი შეთანხმების შესაძლებლობას იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. ჯ. ჰობსონის „ინტერ-იმპერიალიზმს“ სახელწოდება შეუცვალა კ. კაუცკიმ, რომელიც ქადაგებდა „ულტრაიმპერიალიზმის“ თეორიას. თითქმის იმავეს იმეორებენ დღეს „ინტეგრაციონალისტებიც“. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები იცავენ მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს და მონოპოლიების დიქტატურას ნიღბავენ მაღალფარდოვანი სიტყვებით.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პროპაგანდას დროს „ინტეგრაციონალისტები“ ყველა ხერხს მიმართავენ. აცხადებენ. რომ არიან „ინტერნაციონალისტები“, „თავისუფლების დამცველები“. „დემოკრატიის მედროშენი“, „ხალხთა შორის თანასწორობისათვის მებრძოლი“ და ა. შ. ისინი მიმართავენ სოციალურ დემაგოგიას და განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ „ინტერნაციონალიზმზე“ — იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დიდმნიშვნელოვან როლზე.

საკმარისია ინტეგრაციონალისტების მოძღვრებას დაეუპირისპიროთ მარქსიზმ-ლენინიზმი და აშკარა გახდება იმპერიალისტური ინტეგრაციის აბოლოგეტური ბუნება და რეაქციული არსი. „იმპერიალისტთა საერთაშორისო შეთანხმებას მუშათა კლასი უპირისპირებს თავის მძლავრ იარაღს — ინტერნაციონალურ ერთიანობას. „ინტეგრაციის“ მიერ წარმოშობილი საერთო პრობლემების არსებობა ევროპის ქვეყნებში წარმოქმნის ობიექტურ შესაძლებლობებს მუშათა კლასის ეროვნული რაზმების საერთო მოქმედების შემუშავებისა და შეთანხმებისათვის“³³.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ექსპანსიონისტურ ბუნებას ააშკარავებენ კომუნისტური პარტიები, ინდუსტრიაული და ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების პროგრესული ძალები. „მეტროპოლიების შეგნებული მუშები თანმიმდევრულად იბრძოდნენ იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული ერების თვითგამორკვევისათვის, შეგნებული ჰქონდათ რა, რომ „არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს“. ახლა, როცა ეს ხალხები ადგებიან ეროვნული დამოუკიდებლობის გზას, კაპიტალიზმის ინდუსტრიაულად განვითარებული ქვეყნების მუშებისა და მთელი დემოკრატიული ძალების ინტერნაციონალური მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მათ მხარი ბრძოლაში იმპერიალისტებსა წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მისი განმტკიცებისათვის, დაეხმარონ მათ ეკონომიური და კულტურული აღორძინების ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში, როცა ასე იქცევიან, ისინი ამით იცავენ თავიანთი ქვეყნების ხალხის მასების ინტერესებს“³⁴.

მონოპოლიები, რა თქმა უნდა, ახერხებენ „მუშათა არისტოკრატის“ მოსყიდვას. „მუშათა არისტოკრატია“ მხარს უჭერს „ინტეგრაციას“, რათა მასაც შეხვდეს ნამცეცები.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პროპაგანდისტთა მსჯელობას „ინტერნაციონალიზაციის“ შესახებ არაფერი აქვს საერთო პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან. ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა იმას, რომ მონოპოლისტური კაპიტალის ინტერნაციონალური გაერთიანება შეიძლება ხდებოდეს არა მარტო საერთაშორისო მონოპოლიების ფორმით, არამედ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჯგუფური შეთანხმებების ფორმითაც. საწარმოო ძალთა განვითარება მართლაც ქმნის იმის ტენდენციას, რომ მოხდეს მსოფლიო მეურნეობათა ინტერნაციონალიზაცია, ე. ი. ეროვნული კარჩაქეტილობის ლიკვიდაცია და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია. მეურნეობრივი ურთიერთობისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის

ტენდენცია ობიექტური კანონზომიერებაა. ამ ტენდენციას აძლიერებს მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო ბაზრის განვითარება და გაფართოება. კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში იმდენად გაძლიერდა, რომ დიდო ხანია გასცილდა ეროვნულ სახელმწიფოთა ჩარჩოებს. წარმოების უაღრესად დიდი განსაზოგადოების პროცესი ძლიერდება. კაპიტალიზტა მონოპოლისტური კავშირები უწინარეს ყოვლისა ინაწილებენ საშინაო ბაზარს, მაგრამ საშინაო ბაზარი კავშირშია საგარეო ბაზართან. კაპიტალიზმმა დიდი ხანია შექმნა მსოფლიო ბაზარი, შეიქმნა საერთაშორისო კარტელები. „ეს არის, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — კაპიტალისა და წარმოების მსოფლიო კონცენტრაციის ახალი საფეხური, შეუდარებლად უფრო მაღალი, ვიდრე წინანდელი“³⁵. კაპიტალის კონცენტრაციის, ცენტრალიზაციის, ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი უაღრესად მკაფიო გამოხატულებაა საერთაშორისო კარტელებისა და სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანებანი. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ კიდევ უფრო აძლიერებს კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესს. „კაპიტალისტური „ინტეგრაციის“ დიალექტიკა იმაშია, რომ „ინტეგრაცია“, რომელიც შედეგია კაპიტალისა და წარმოების მსოფლიო კონცენტრაციის განსაკუთრებით მაღალი საფეხურისა, თავის მხრივ სტიმულს აძლევს და აჩქარებს კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას ადრე არნახული მასშტაბით“³⁶.

ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში — „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“ — წერდა: „განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი იცნობს ორ ისტორიულ ტენდენციას ნაციონალურ საკითხში. პირველი: ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გაღვივება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ქარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ და სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს“³⁷.

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციასა და მისი განხორციელების იმპერიალისტურ გზებსა და მეთოდებს შორის, ვ. ი. სამეურნეო ცხოვრებასა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციასა

და იმპერიალისტურ „ინტეგრაცია“ შორის შეუეროებელი წინააღმდეგობაა. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1915 წ. წერდა: „გაცვლა-გამოცვლის ზრდა, მსხვილი წარმოების ზრდა — აი ეს ძირითადი ტენდენციები... გაცვლა-გამოცვლამ შექმნა სამეურნეო ურთიერთობათა ისეთი ინტერნაციონალიზაცია და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, მსხვილი წარმოება იმდენად მსხვილ წარმოებად იქცა, რომ დაიწყო თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიით... მსოფლიოს ტიპური „მეუფე“ გახდა უკვე ფინანსური კაპიტალი, რომელიც განსაკუთრებით მოძრავი და მოქნილია. განსაკუთრებით გადახლართულია, ქვეყნის შიგნით და ინტერნაციონალურად, — განსაკუთრებით უპიროვნოა და მოწყვეტილია უშუალო წარმოებას, განსაკუთრებით ადვილად ახერხებს კონცენტრაციას და უკვე განსაკუთრებით შორსაა წასული თავისი კონცენტრაციის მზრვი, ასე რომ მთელი მსოფლიოს ბედი მართლაც რამდენიმე ას მილიარდერსა და მილიონერს უჭირავს ხელში.

თუ აბსტრაქტულ-თეორიულ მსჯელობას გავყვებით, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიღეთ, რომელთანაც მივიდა კაუცკი: — რომელიც ცოტა სხვანაირად, მაგრამ მაინც გამოეთხოვა მარქსიზმს, — სახელდობრ: უკვე არცთუ ძალიან შორს არის კაპიტალის ამ მაგნატების მსოფლიო გაერთიანებაც ერთიან მსოფლიო ტრესტად, რომელიც სახელმწიფოებრივად განცალკევებული ფინანსური კაპიტალების მეტოქეობასა და ბრძოლას ინტერნაციონალურად გაერთიანებული ფინანსური კაპიტალით შეცვლის. მაგრამ ასეთი დასკვნა იმდენადვე აბსტრაქტული, გამარტივებული და არასწორია. რამდენადაც ჩვენი „სტრუქტურებისა“ და „ეკონომისტების“ ანალოგიური დასკვნა გასული საუკუნის 90-იან წლებში...“³⁸

ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა „ულტრაიმპერიალიზმის“, „წმინდა იმპერიალიზმისა“ და სხვა ანტიმარქსისტულ თეორიებს; რომლებსაც დღესაც იშველიებენ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დამცველები. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ პარტიის VIII ყრილობაზე აღნიშნავდა: „წმინდა იმპერიალიზმი კაპიტალიზმის ძირითადი ბაზის გარეშე არასოდეს არ არსებობდა, არაად არ არსებობს და არც არასოდეს იარსებებს. ეს არის არასწორი განზოგადება ყოველივე იმისა, რაც ნათქვამი იყო სინდიკატების, კარტელების, ტრესტების, ფინანსური კაპიტალიზმის შესახებ, როცა ფინანსურ კაპიტალიზმს ისე სახავდნენ, თითქოს მას ძველი კაპიტალიზმის არავითარი საფუძველი არ ჰქონდეს.

ეს არ არის სწორი. ეს სწორი არ იქნება მეტადრე იმპერიალისტური ომის ეპოქისათვის და იმპერიალისტური ომის შემდგომი ეპოქისათვის“³⁹.

ცხოვრებამ დაადსტურა ვ. ი. ლენინის დებულებათა სისწორე. მიუხედავად ამისა, იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები ფაქტების, კემპარიტების წინააღმდეგ გამოდიან და კვლავ ცდილობენ ცხოვრების მიერ გაცამტყერებული „ულტრაიმპერიალიზმის“, „ინტერ-იმპერიალიზმის“, „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ და „წმინდა იმპერიალიზმის“ ანტიმარქსისტული თეორიების ფეხზე წამოყენებას, ე. ი. იმის დამტკიცებას, რაც ვერ დაამტკიცეს მათმა წინამორბედებმა და რის დამტკიცებაც საერთოდ შეუძლებელია. შეუძლებელია იმითომ, რომ იგი („წმინდა იმპერიალიზმი“, „ულტრაიმპერიალიზმი“, „ორგანიზებული კაპიტალიზმი“) ობიექტურად არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, ე. ბერნშტეინი, კ. კაუცკი, რ. ჰილფერდინგი და მათი მიმდევარნი ამტკიცებდნენ, რომ მსხვილ სააქციო საზოგადოებათა წარმოშობით წარმოიქმნება „საყოველთაო კარტელები“ და დადგება „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ ერა⁴⁰. კაუცკის, ჰობსონის, ჰილფერდინგისა და მათი თანამოაზრეების „შორსმჭვრეტელობა“, „თეორია“ დაამსხვრია პირველმა მსოფლიო ომმა⁴¹. ცხოვრებამ შემდგომშიც გამოაშკარავა „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ უნიადაგობა და შეუძლებლობა.

სახელმწიფოებრივად განცალკევებულ იმპერიალიზმთა ინტერნაციონალურ გაერთიანებას, მონოპოლიების „უკონფლიქტო“ გაერთიანებას ვ. ი. ლენინმა უწოდა „ულტრაიმპერიალიზმის“ ანტიმარქსისტული თეორია, რომელშიც „მარქსიზმის ნატამალიც კი არ არის“ (ვ. ი. ლენინი). ვ. ი. ლენინი აკეთებდა დასკვნას, რომ აბსტრაქტულად შესაძლებელია წარმოიდგინო კაპიტალიზმის ახალი ფაზა იმპერიალიზმის შემდეგ, რასაც კაუცკი „ულტრაიმპერიალიზმს“ უწოდებდა. „ამგვარი ფაზის წარმოდგენა აბსტრაქტულად შესაძლებელია, ოღონდ პრაქტიკაში ეს ნიშნავს გახდენისეთი ოპორტუნისტი, რომელიც მომავალ არამწვავე ამოცანებზე ოცნებას ვულისთვის უარყოფს თანამედროვეობის მწვავე ამოცანებს. თეორიაში კი ეს ნიშნავს არა იმ განვითარებაზე დაყრდნობას, რომელიც სინამდვილეში მიმდინარეობს, არამედ ამ განვითარებისაგან თვითნებურად მოწყვეტას ხსენებულ ოცნებათა გულისთვის“⁴².

ვ. ი. ლენინის ამავე სიტყვებით შეგვიძლია მივმართოთ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსებს, მონოპოლისტური ბურჟუაზიის ნოქრებს — ვულგარულ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, რევოიონისტებსა და ოპორტუნისტებს, რომლებიც იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“ „უკონფლიქტო“ კაპიტალიზმად, „საყოველთაო კეთილდღეობის სამყაროდ“, „სამოთხედ“ ხატავენ.

კაპიტალის კონცენტრაცია, ცენტრალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია, კოსმოპოლიზაცია კიდევ უფრო აძლიერებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, უფრო კონფლიქტურს ხდის კაპიტალისტურ სისტემას. „კაპიტალის კოსმოპოლიზაცია სრულიადაც არ სპობს ნაციონალური კაპიტალების ბრძოლას, იგი მხოლოდ ფორმას ამ ბრძოლისა. ეს ბრძოლა წარმოებს და გაგრძელდება აგრეთვე „ზენაციონალური“ ორგანოების ნიადაგზეც“⁴³.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ წარმოადგენს მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგეტთა უხეირო ცდას — შეარიგონ მეურნეობის კერძო კაპიტალისტური ფორმა და გზარდილი საწარმოო ძალები, ე. ი. შეარიგონ შეურიგებელნი. „ინტეგრაცია“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და მოღუერი სიტყვაა დასავლეთის პოლიტიკურ ჟარგონში; „ინტეგრაცია“ არის მონოპოლიების ყოველგვარი სახის გაერთიანება; „ინტეგრაცია“ კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიური ბლოკების შექმნას ეწოდება⁴⁴.

იმპერიალიზმს კაპიტალისტური ქვეყნები მიჰყავს წარმოების უაღრესად ყოველმხრივი განსაზოგადოებისაკენ, მაგრამ მითვისება კვლავ კერძოკაპიტალისტური რჩება. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დამახასიათებელ ძირითად ნიშანს შეადგენს წინააღმდეგობა ორ საპირისპირო ტენდენციას შორის — ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის ტენდენციასა და მის საწინააღმდეგო ტენდენციას შორის, რომელსაც ქმნის ეკონომიკის მილიტარიზაციის სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანება.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები გვერდს უვლიან, ჩქმალავენ „ინტეგრაციის“ კლასობრივ მიზანს, იმპერიალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს და „ინტეგრაციას“ სახავენ კეთილშობილურად „ინტერნაციონალიზაციად“. მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგეტთა ამგვარ მოქმედებას ე. ი. ლენინი „საექსპორტო ინტერნაციონალიზმს“ უწოდებდა. საწარმოო ძალებმა იმპერიალიზმის ეპოქაში განვითარების ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ ვიდრე მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა „უკონფლიქტო“, „ულტრაიმპერიალისტურ გაერთიანებამდე“ მივიდოდეს, იმპერიალიზმი უნდა გასკდეს. იმპერიალისტურ ბურჟუაზიას „უნარი აღარ შესწევს დაიმორჩილოს საწარმოო ძალები, რომლებიც იმდენად გზარდილან, რომ თავს აღარ უდებენ მას; ესაა კლასი, რომლის ხელმძღვანელობით საზოგადოება დაღუპვისაკენ მიექანება, როგორც ორთქლმავალი, რომლის მემანქანეს ძალა არ შესწევს მცველი სარქველი გახსნას“⁴⁵.

მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი დამან-

გრევლად მოედო კაპიტალიზმს საფუძვლიდან მწვერვალამდე: მის ეკონომიურ და სახელმწიფოებრივ წყობილებას. პოლიტიკასა და იდეოლოგიას. იმპერიალიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის კრიზისის დადასტურებაა „ინტეგრაციის“ აპოლოგეტური თეორიის შეკოწიწებაც.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ლოზუნგით წარმოშობილმა სახელმწიფოთაშორისმა ორგანიზაციამ „საერთო ბაზარმა“ ახალი პრობლემები წარმოაყენა მუშათა კლასის, მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინაშე. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ აპოლოგეტური თეორიასა და პოლიტიკას მუშათა კლასმა და მისმა ავანგარდმა კომუნისტურმა პარტიამ დაუპირისპირეს იმპერიალიზმის ლენინური თეორია. მუშათა კლასი ამხელს „ინტეგრაციის“ იმპერიალისტურ ბუნებას და რაზმავს მასებს ანტიმონოპოლისტურ ნაკადად. ანტიმონოპოლისტური ფრონტის წამყვანი ძალაა მუშათა კლასი და მისი ავანგარდი მარქსისტულ-ლენინური პარტია. „ინტეგრაციის“ დემაგოგიური დროშით მონოპოლიების შემოტევას მუშათა კლასი უპასუხებს საგაფიცვო ბრძოლის გაძლიერებით. მონოპოლისტურა კაპიტალის იდეოლოგიები გაიძახიან, რომ „ინტეგრაცია“ საყოველთაო კეთილდღეობას ქმნისო. ასეთი განცხადება მოგონილი ზღაპარია, მითია, რომელიც მიზნად ისახავს მასების იდეოლოგიურ დაჩაღვებას. „ინტეგრირებული“ ევროპის მონოპოლისტური კაპიტალი სინამდვილეში აძლიერებს მშრომელი მასების ექსპლოატაციას. ავიღოთ საფრანგეთი და იტალია, სადაც რეალური ხელფასი 1960 წელს 8—10%-ით უფრო დაბალი იყო 1958 წელთან შედარებით. ე. ი. „საერთო ბაზარში“ იტალიის შესვლამდე. ცხოვრების დირეზულიება 1953 წლიდან 1961 წლამდე გადიდდა: საფრანგეთში — 38%-ით, ჰოლანდიაში — 23%-ით, იტალიაში 18%-ით. გერ-ში — 14%-ით, ბელგიაში — 11%-ით⁴⁶.

ისმება კითხვა: თუკი „ინტეგრაცია“, კაპიტალისტური ქვეყნების გაერთიანება „საყოველთაო კეთილდღეობას“ ქმნის და იწვევს კლასების ლიკვიდაციას (ე. წ. „სოციალური სტრატეფიკაცია“), მაშინ რატომ ხდება მუშათა გაფიცვები ეგრეთწოდებულ „ინტეგრირებულ ქვეყნებში“? მუშათა კლასი მოითხოვს სამუშაო დღის შემცირებას, ხელფასის გადიდებას, დისკრიმინაციულ ღონისძიებათა აღკვეთას ემიგრანტი მუშების მიმართ, დათხოვნილი მუშების მოწყობას სამუშაოზე, მუშებისათვის სრული კომპენსაციის გადახდას იძულებითი უმუშევრობის მთელ პერიოდში, მიწების გადაცემას მათთვის, ვინც ამუშავებს მიწას, საგადასახადო შეღავათებს წვრილი მწარმოებლებისათვის, გლეხური მეურნეობის მოდერნიზაციისათვის ხელის შეწყობას და სხვ.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“, „საერთო ბაზარი“ კი არ სპობს მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, არამედ აძლიერებს მათ. იგი ემსახურება ერთი მუქა მონოპოლების ინტერესებს, გამიზნულია მონოპოლისტთა მოგების გასადიდებლად, სოციალიზმისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ. საკმარისია მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში კვლავ დიდი მასშტაბით გრძელდება მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები. მარტო 1956 წ. გაფიცულთა რაოდენობამ „საერთო ბაზრის“ ბევრ ქვეყანაში — „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში შეადგინა 2,9 მლნ (მთლიანად კაპიტალისტურ ევროპაში კი — 4,2 მლნ); 1960 წ. გაფიცულთა რაოდენობა ავიდა 20,8 მლნ, ხოლო კაპიტალისტურ ევროპაში — 22,8 მლნ; 1961 წ. ევროპის „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში გაიფიცა 35,6 მლნ კაცი, ე. ი. 12-ჯერ მეტი 1955 წელთან შედარებით (მთლიანად ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში გაფიცულთა რაოდენობამ შეადგინა 37,4 მლნ).

თვითცალკე ცნობებით, უკანასკნელ წლებში გაფიცვების შედეგად დაკარგული სამუშაო დღეების რაოდენობამ საშუალოდ ერთ წელიწადში შეადგინა: იტალიაში — 5,5 მლნ, საფრანგეთში — 3 მლნ, გფრ-ში — 1 მლნ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ცნობით კი მარტო 1963 წელს გაფიცვების შედეგად დაკარგული კაცდღეების რაოდენობამ დასავლეთ გერმანიაში შეადგინა 2,2 მლნ⁴⁷. თვით ბურჟუაზიული სტატისტიკაც ვერ უვლის გვერდს აღნიშნულ ფაქტებს. მიუნხენის ბურჟუაზიულმა ჟურნალმა „რევიუმ“ გამოაქვეყნა დიაგრამა, რომელშიც აღნიშნულია, რომ გფრ-ში სწრაფად მატულობს დაკარგული სამუშაო დღეების რაოდენობა. მაგალითად, იგი შეადგენდა: 1960 წელს — 38000-ს, 1961 წელს — 64 000-ს, ხოლო 1962 წელს — 451 000-ს.

1962 წლის 8 მარტს „ინტეგრირებულ“ ქვეყანაში — იტალიაში მოეწყო ახალი საერთო-ეროვნული გაფიცვა. მასში მონაწილეობდა 50 ათასი გემთმშენებელი მუშა. გაფიცვები ჩატარდა პალერმოში, მილანსა და იტალიის სხვა ქვეყნებში. საერთო ეროვნული (24-საათიანი) გაფიცვა მოაწყვეს იტალიის ცემენტის ქარხნის მუშებმა 1963 წლის 11 მაისს⁴⁸.

1962 წლის აგვისტოში გაიფიცნენ ბარის (სამხრეთი იტალია) მშენებელი მუშები. მათ მოაწყვეს მანიფესტაცია და მოძრაობა შეაჩერეს ქუჩაში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ პოლიციას მიმართეს. პოლიციამ გამოიყენა ცრემლმზღენი გაზი. პოლიციასა და გაფიცულ მუშებს შორის შეჯახება რამდენიმე საათს გრძელდებო-

და. დანიჭრა 40 კაცი. მათ შორის პოლიციელებიც. გაფიცვას მოჰყვა მასობრივი დაპატიმრებანი.

1962 წლის ოქტომბერში იტალიის „სამრეწველო დედაქალაქი“ მილანში გაიფიცა 300 ათასი კაცი. მოეწყო 300 000-კაციანი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე მილანის პროვინციის მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშები. ამ გაფიცვას მხარი დაუჭირა იტალიის სხვა ქალაქების 700 ათასმა მუშამ. გაფიცვებს აწყობს გლეხობაც. 1963 წ. მაისში გაიფიცა აპულიის რაიონის 150 ათასი გლეხი.

გაფიცვები ზდება საფრანგეთში, გფრ-ში, ბელგიაა და სხვა ქვეყნებში. 35 დღეს გრძელდებოდა (1963 წ. მარტი-აპრილი) საფრანგეთის მალაროელთა გაფიცვა, რომელსაც მხარს უჭერდა მთელი მუშათა კლასი. გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა. მალაროელთა გაფიცვის დაწყება განაპირობა საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებამ — „საერთო ბაზრის“ ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად ლიკვიდაცია ეყო ქვანახშირის მრეწველობისათვის.

7-დღიანი გაფიცვა მოაწყვეს 1962 წლის მაისში დასავლეთ გერმანიის ქვანახშირის უდიდესი აუზის — საარის მუშებმა. გაფიცვა ამჯერადაც მუშების გამარჯვებით დამთავრდა. 1963 წლის დასაწყისში მონოპოლების, ბონის რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიდნენ დასავლეთ გერმანიის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის მუშები. დასავლეთ გერმანიის (შტუტგარტი, კარლსრუე, ესლინგენი და სხვ.) 140 ათასამდე მელითონე გაიფიცა 1963 წ. აპრილის ბოლოს. ეს გაფიცვა მოედო გფრ-ის სხვა რაიონებსაც და 400 ათასამდე კაცი მოიცვა. ეს ფაქტები, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მეტყველებენ, რომ იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ კიდევ უფრო ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას, წინააღმდეგობას კაპიტალსა და შრომას შორის.

როგორც უკვე დავინახეთ, „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში საგაფიცვო მოძრაობა ატარებს, ჯერ ერთი, მასობრივ ხასიათს; მეორე, მატულობს გაფიცულთა სოციალური შემადგენლობა. გაფიცვებში მონაწილეობენ არა მარტო მუშები, არამედ მოჯამაგირეები, კავშირგაბმულობისა და სხვადასხვა უწყებების მოსამსახურეები, ექიმები, მასწავლებლები და საზოგადოების სხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები; მესამე, იზრდება პოლიტიკურ გაფიცვებში მონაწილეთა რაოდენობა. საკმარისია ითქვას, რომ 1956—1961 წლებში გაფიცულთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 202,6 მლნ, აქედან პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა რაოდენობამ — 131 მლნ. 1962 წ. კაპიტალისტურ სამყაროში გაფიცულთა რაოდენო-

ბამ შეადგინა 56—62 მლნ, აქედან იმპერიალიზმის ქვეყნებში - - 42—44 მლნ. მარტო 1961 წ. გაფიცვათა რაოდენობამ იტალიაში შეადგინა 3502, ხოლო 1961 წ. ოფიციალური ცნობებით გაფიცულთა საშუალო თვიური რაოდენობა (რეგისტრირებული) უდრიდა: საფრანგეთში 112 000-ს, ბელგიაში 128 000-ს, იტალიაში 1407 000-ს⁴⁹. 1961 წლს დასაწყისიათვის 10 მილიონამდე დასავლეთგერმანელი მშრომელი მონაწილეობდა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. გაფიცულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით ორი მესამედი მონაწილეობდა პოლიტიკურ გაფიცვებში. პოლიტიკური გაფიცვებიდან საყურადღებოა იტალიელი (1960 წ.) და ფრანგი მშრომელების (1960—1962 წწ.) პოლიტიკური ბრძოლა. ბოლოს, საგულსხმმა ის ფაქტიც, რომ „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში გახშირდა საერთო-ეროვნულ გაფიცვები, რასაც მოსდევს შეტაკება გაფიცულებსა და პოლიციას შორის და სხვ. ასეთია „ინტეგრირებული“ ევროპის ნამდვილი სურათი.

აი, როგორ ესმით „კლასობრივი ბრძოლის გაქრობა“, „საყოველთაო კეთილდღეობა“, „ინტეგრაცია“ და „უკონფლიქტო კაპიტალიზმი“ მონოპოლისტური კაპიტალის თეორეტიკოსებს — „ინტეგრაციონალისტებს“. ბუნებრივია დაისვას კითხვა: თუ იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ სპობს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს და ქმნის „უკონფლიქტო“, „ინტეგრირებულ“ ევროპას, მაშინ რისთვის მიმართავენ გაფიცვებს საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიისა და სხვა „ინტეგრირებული“ ქვეყნების მუშება? იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსებს ეს კითხვა ჩინში ამწყვედევს.

ამგვარად, „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა ლოზუნგებისა და ნამდვილი საქმიანობის არსი ნათელია.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ — მონოპოლისტური კაპიტალის თეორიისა და პოლიტიკის — მარქსისტულ-ლენინური შეფასება მოცემულია კომუნისტური და მუშათა პარტიების საპროგრამო დოკუმენტებში. ხელმძღვანელობენ რა იმპერიალიზმის ლენინური თეორიით, მხოლოდ კომუნისტური და მუშათა პარტიები ამხელენ და განუმარტავენ მშრომელ მასებს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ნამდვილ მიზნებსა და ექსპლოატატორულ ბუნებას. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ აგრესიულ და ულტრარეაქციულ არსს, რომელიც ნათლად არის ნაჩვენები მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პროგრამულ დოკუმენტებში, ადასტურებს ცხოვრება, მოვლენათა მსვლელობა.

იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და „საერთო ბაზრის“ პრობლემებზე განხილავენ კომუნისტური და მუშათა პარტიები. დიდი ყურადღება დაუთმო „საერთო ბაზრის“ საკითხებს ინგლისის, საფრანგეთის, დანიის, იტალიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ექსპე-ულია“ — ფერ-ის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ბელგიის, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიების თათბირს, რომელიც ბრიუსელში მიმდინარეობდა 1959 წლის 1—2 აპრილს.

1959 წ. იტალიის კომუნისტების ინიციატივით რომში ჩატარდა აგრეთვე „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირი. ამ ბოლო დროს ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს საფრანგეთისა და ბელგიის, ბელგიისა და იტალიის კომპარტი-ებმა, აგრეთვე ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა⁵⁰.

1963 წლის 4—6 მარტს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების მოძმე კომპარტიების წარმომადგენლები. დელეგაციებს ხელმძღვანელობდნენ ი. ლედვონი (გერმანიის კომპარტია), ე. ბლუმი (ბელგია), რ. გიუიო (საფრანგეთის კომპარტია), ჯ. პაიეტა (იტალიის კომპარტია), ეან კილი (ლუქსემბურგის კომპარტია) და ტ. იაგერი (ნიდერლანდების კომპარტია). თათბირს ესწრებოდა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის წარმომადგენელი ჯ. კემბელი. თათბირმა მიიღო დეკლარაცია⁵¹.

მარქსისტული პარტიები ხელმძღვანელობენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების დოკუმენტე-ბით. „ახალი სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც „ინტეგრაციის“ ლოზუნგით წარმოიშობიან, სინამდვილეში იწვევენ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა და ბრძოლის გაძლიერებას, წარმოადგენენ კაპიტალისტთა მსხვილ კავშირებს შორის მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის გაყოფის ახალ ფორ-მებს, სუსტი პარტნიორების ეკონომიკაში უფრო ძლიერი იმპერია-ლისტური სახელმწიფოების შეღწევის ახალ ფორმებს“⁵², — ასეა დახასიათებული იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ კომუნისტურა და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის თათბირის მასალებში

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ საკითხების განხილვას მიეძ-ღვნა მარქსისტთა 1962 წლის საერთაშორისო კონფერენცია⁵³. აზრ-თა ურთიერთგაზიარება ჩატარა ეურნალმა „პრობლემი მირა ი სო-ციალიზმა“ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტმა.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის ეკონომიური კომიტეტის მოხსენებაში დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ შემდეგნაირადაა დახასიათებული: „რომის ხელშეკრულებისა და „საერთო ბაზრის“ ეკონომიური არსი იმაში მდგომარეობს, რომ ემსახუროს გიგანტური მონოპოლიების ინტერესებს საზოგადოების დანარჩენი ნაწილსა და ყოფილი კოლონიების ხარჯზე“. დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა 1962 წ. 7 ოქტომბერს ქ. ლიდსში ჩატარებულ მიტინგზე ხალხს გააცნო 5 წინადადება, რომლებშიც მხილებულია იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ნამდვილი მიზანდასახულობა და ის შედეგები, რაც მოჰყვება ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“.

1962 წლის 25 — 26 აგვისტოს ჩატარდა დანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება „საერთო ბაზარში“ დანიის შესვლის წინააღმდეგ. პლენუმმა მოწოდებით მიმართა კომუნისტებს, მშრომლებს, რათა არ დაუშვან „საერთო ბაზარში“ დანიის „ინტეგრირება“.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორიისა და პოლიტიკის წინააღმდეგ მოუწოდებს მშრომელ მასებს საფრანგეთის კომპარტია. პარტიის XV ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში „საერთო ბაზარი“ გამოცხადებულია, როგორც „ტრესტების ევროპა“. მოხსენებაში მითითებულია, რომ იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ მოქმედებისა და აღვირახსნილობის სრულ თავისუფლებას ანიჭებს უმსხვილეს მონოპოლიებს და, მაშასადამე, მიმართულია მშრომელი მასების ინტერესთა საწინააღმდეგოდ. საფრანგეთის კომპარტიის პლენუმმა (1957 წ. თებერვალი) თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა, რომ უმსხვილესი მონოპოლიების მიერ შექმნილი „მცირე ევროპა“ ფაქტიურად არის „ტრესტების ევროპა“. კომუნისტებმა დაგმეს კაპიტალისტური „ინტეგრაცია“ პარლამენტში გამართული დისკუსიის დროსაც. ვაიიან-კუტიურიემ განაცხადა, რომ „მცირე ევროპა“ მოგვეგონებს „პიტლერის ევროპასა და პეტენის საფრანგეთს“⁵⁵.

„საერთო ბაზრის“ წევრია იტალიაც. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ იტალიის უმსხვილესი მონოპოლიური გაერთიანებების ინტერესებსაც შეესაბამება. ამიტომ იტალიის კომპარტია მშრომელ მასებს განუმარტავს, რომ აუცილებელია იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა. იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა: „საერთო ბაზარი“... ემსახურება იმას, რომ მონოპოლისტურად დიდი დასავს დასავლეთ ევროპის საწარმოო ძალთა განვითარებას“⁵⁶.

თავდადებულად და უშიშრად, მძიმე პირობებში იბრძვიან იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორიისა და პოლიტიკის წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიის კომუნისტები. მათ არ აშინებთ ბონის რეჟიმი, დასავლეთ გერმანიის უმსხვილესი მონოპოლიების ნებასურვილის შემსრულებლის ბონის კლერიკალურ-ფაშისტური დიქტატურის⁵⁷ რეპრესიები. გერმანელი კომუნისტები ააშკარავენ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ექსპანსიონისტურ მიზნებს და მოუწოდებენ მასებს მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლასაკენ. „რას მიღწევასაც მეორე მსოფლიო ომის დროს ძალადობის გზით ცდილობდნენ გერმანელი იმპერიალისტები, იმავეს ცდილობენ ისინი აშკამად ნატოს, ევროპის ეკონომიური გაერთიანების და ა. შ. დახმარებით“⁵⁸, — ნათქვამია გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ბარათში, რომელიც განიარაღების უნევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს დაეგზავნა.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ თეორიასთან ერთად ბონის მთავრობის ოფიციალური სახელმწიფო დოქტრინაა. აღენაუერის პარტიის — ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის X ყრილობაზე (1961 წლის აპრილი) კელნში სიტყვით გამოვიდა პარტიის თავმჯდომარის მოადგილე გერსტენმაიერი — ბონის მმართველი პარტიის მთავარი იდეოლოგი⁵⁹. მისი მოხსენების თემა იყო: „რას არის გერმანული სამშობლო?“⁶⁰. „ჩვენი, ე. ი. ბუნდესკანცლერის მიერ ძირითადი კანონის 65-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული, პოლიტიკა უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში იყო შეგნებულად და განზრახ ინტეგრაციული პოლიტიკა“, — ასეთია გერსტენმაიერის დასკვნა⁶¹. გერმანელი „ინტეგრაციონალისტები“ განგებ უვლიან გვერდს სინამდვილეს. განა მათ არ იციან, რომ ფერ-ში მარტო 1961 წ. ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა საშუალო თვიური რაოდენობა 161 ათას უდრიდა?⁶².



„ინტეგრაციის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორია თანამედროვე კოლონიალიზმის — ნეოკოლონიალიზმის შენიღბული იდეოლოგიური დასაბუთებაა. „ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალი ძალთა ახალი თანაფარდობის საფუძველზე ცდილობს ძლიერ და შორის მსოფლიოს

დანაწილებას ეკონომიურადაც და ტერიტორიულადაც. „ინტეგრაცია“ არსებითად არის ამ დანაწილების ახალი, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპის შესაბამისი ფორმა“⁶³. ახალი მეთოდებით, ახალი აპოლოგეტური თეორიებით ცდილობს მონოპოლისტური კაპიტალი თავისი ბატონობის შენარჩუნებას, ხალხთა ექსპლოატაციის გაძლიერებას. სწორედ ამიტომაც, რომ დასავლეთ ევროპის გაერთიანების, ე. წ. „ინტეგრაციის“, „საერთო ბაზრის“ პროპაგანდამ დიდი ადგილი დაიკავა იმპერიალიზმის იდეოლოგიურ არსენალში, მონოპოლისტური კაპიტალის თეორიებსა და პოლიტიკაში.

დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ — „საერთო ბაზარი“ მონოპოლისტური კაპიტალის, ფინანსური ოლიგარქიის ნაშეიკრია კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ ე. წ. „ეკონომიური ინტეგრაციის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიის ერთ-ერთი პირშეშა. თვით „ინტეგრაცია“ კი თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის. პირველ რიგში — ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი მოდური, უახლესი აპოლოგეტური თეორიაა.

„ეკონომიური ინტეგრაციის“ ცნებად იგულისხმება განცალკევებული სახელმწიფო-მონოპოლისტური ბლოკების შექმნა. „ეკონომიური ინტეგრაცია“ ნიშნავს კარდახშული ბლოკების, „საერთო ბაზრების“ შექმნას უმსხვილესი მონოპოლიური გაერთიანებების კარნახით. „ინტეგრაცია“ წარმოადგენს მსოფლიოს კაპიტალისტური ნაწილის ეკონომიური დანაწილებისა და გადანაწილებისათვის ბრძოლის სახელმწიფო-მონოპოლისტურ ფორმასა და სხვას არაფერს“⁶⁴. „ეკონომიური ინტეგრაცია არის შეთანხმება მსხვილი მონოპოლისტური მმართველი წრეების ინტერესების სასარგებლოდ მუშათა კლასის, წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ხარჯზე. იგი მიმართულია იქითკენ, რათა გააერთიანოს მონოპოლისტური კაპიტალის პოტენციალი და დაუპირისპიროს იგი სოციალიზმის სისტემას“⁶⁵. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორია არის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგეტიკა. კაპიტალიზმის აპოლოგეტები კი მონოპოლიების მიერ დაჭირავებული შრომის ექსპლოატაციას ასაღებენ „კოლექტივიზმად“, „ინტეგრაციად“ ანუ „თანამშრომლობად“⁶⁶.

„ეკონომიური ინტეგრაციის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიის ერთადერთ მეცნიერულ განმარტებას იძლევა მარქსიზმ-ლენინიზმი. ბურჟუაზიული ეკონომისტები და მემარჯვენე სოციალისტები, რევზიონისტები კი დამახინჯებულად. დემაგოგიურად,

აპოლოგეტურად განიხილავენ „ინტეგრაციას“. შვედი ეკონომისტი გ. მიურდალი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისიის (ევროპისათვის) ყოფილი აღმასრულებელი მდივანი, „ინტეგრაციის“ ცნებას ასე განსაზღვრავს: „ეკონომიური ინტეგრაციის“ ტერმინი წარმოადგენს ერთ-ერთს იმ გამოთქმებიდან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვნენ, როგორც ახალი პოპულარული ლოზუნგი. ამ ლოზუნგის წამოყენება ხდებოდა საერთაშორისო საკითხებზე გამართულ პოლიტიკურ დისკუსიებში...

„ინტეგრაცია“, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, წარმოადგენს ნაწილების გაერთიანებას ერთ მთლიანად და არა სხვა რაიმეს. მეორე მსოფლიო ომამდე ეს ტერმინი გამოიყენებოდა სოციოლოგებისა და ეთნოგრაფების მიერ საზოგადოებრივ მეცნიერებაში⁶⁷.

სიტყვა-სიტყვით „ინტეგრაცია“⁶⁸ მართლაც გაერთიანებას ნიშნავს. კაპიტალიზმის თეორეტიკოსები კი „ინტეგრაციას“ აპოლოგეტურად იყენებენ სოციოლოგიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში. ამ ტერმინში თვითნებურად გულისხმობენ ისეთ შინაარსს, რომელიც ობიექტურად შეუძლებელია. მაგალითად, „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსების აზრით, შესაძლებელია სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანება, მონოპოლიების, კაპიტალისტური ქვეყნების „ინტეგრირება“ ერთ მთლიან ჰარმონიულ, სამეურნეო-პოლიტიკურ ერთეულად⁶⁹. როგორც ვხედავთ, „ინტეგრაცია“ არის კ. კაუცკისა და რ. ჰილფერდინგის ანტიმარქსისტული თეორიების გადამღერება, „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგის დაცვა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე.

„ინტეგრირებული“ ანუ „გაერთიანებული“, ერთიანი ევროპა“ სხვა არაფერია, თუ არა „ევროპის შეერთებული შტატების“ ყალბი და მავნე ლოზუნგის „მეორე გამოცემა“. ამას ბურჟუაზიის იდეოლოგებიც ვერ უარყოფენ; მაგალითად, ფ. ეტცელმა (გფრ) აშკარად განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპის „ეკონომიური ინტეგრაცია“ მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპის პოლიტიკური ინტეგრაციის გზაზე, რომლის საბოლოო მიზანია „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნა⁷⁰. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა სპეციალური კომიტეტი ჟან მონეს მეთაურობით, რომელსაც დაევა ლონისძიებათა შემუშავება „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის მიზნით⁷¹.

ჯერ კიდევ 1946 წლის 5 მარტს უ. ჩერჩილმა ქ. ფულტონში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ შექმნილა „ის ევროპა, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძო-

დითო“. ზერჩილს მოსვენებას არ აძლევს ის, რომ კაპიტალისტური ევროპა დანაწილებულია ურთიერთსაწინააღმდეგო ბლოკებად, ამიტომ მან სხვებზე უფრო ადრე მოითხოვა „ინტეგრირებული ევროპის“ შექმნა.

გ. მიურდალი ცდილობს განასხვავოს თანამედროვე „ინტეგრაცია“ იმ „ინტეგრაციისაგან“, რომელსაც წინათ ჰქონდა ადგილი. გ. მიურდალი დასძენს, რომ თუ ძველად „ინტეგრაცია“ „ეკონომიური წონასწორობის“, „სტატიკის“ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული, თანამედროვე ეტაპზე „ინტეგრაცია“ კავშირშია „ეკონომიური დინამიკის“ თეორიასთან. ასეთივე აზრისაა ტინბერგენი, დომარი, ჰაროდი და სხვა „დინამისტები“.

ამრიგად, „ინტეგრაციისა“ და „ეკონომიური დინამიკის“ თეორიის შეუღლებით ცდილობს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია იმპერიალიზმის წყლულებისა და მანკიერებათა ლიკვიდაციას, კაპიტალისტური ევროპის დახატვას სამოთხედ. პროფესორმა ვ. ჰალშტაინმა, „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა, 1962 წლის აპრილში განაცხადა: „ჩვენ ვახორციელებთ რევოლუციას. ახლა ფეხზე დადგა ევროპა, მოისაზრა თავისი წარსული უმეცრება და დასახა განვითარების უფრო ბრძნული გზები. ახლა მოხდა ევროპის ეკონომიური გარდაქმნა. „ძველ სამყაროს ამჟამად უმჯობესია ეწოდოს „ახალი ევროპა“⁷². ერჰარდის „ახალი ევროპა“, მისი „ეკონომიური სასწაული“ სინამდვილეში არის „ტრესტების ევროპა“. ინტეგრირებულ“ გფრ-ში ფაქტიურად სამოთხეა მონოპოლიებისათვის⁷³. რამდენიც უნდა ილაპარაკონ ერჰარდებმა, ჰალშტაინებმა „ინტეგრირებულ ევროპაზე“, „ინტეგრაცი-აზე“ — „უკონფლიქტო იმპერიალიზმზე“, ნათელია, რომ იმპერიალიზმისტური „ინტეგრაცია“ არის მონოპოლიების, იმპერიალიზმის სახელმწიფოების დროებითი შეთანხმება, რომელიც უძღვრება კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა წინაშე. მეტიც: იმპერიალიზმური „ინტეგრაცია“ წინააღმდეგობათა ახალ კვანძებს ქმნის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის შიგნით და უკიდურესად ამწვავებს იმპერიალიზმის წინააღმდეგობებს.

ამგვარად, იმპერიალიზმური „ინტეგრაცია“, რანაირი საღებავებითაც უნდა იყოს იგი შეფერადებული, მიმართულია მშრომელი მასების ინტერესების წინააღმდეგ, ამიტომ მუდამ გმობს მას მარქსიზმ-ლენინიზმი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდშიც ქადაგებდნენ მას ბურჟუაზიის თეორეტიკოსები. მაშინ იმპერიალიზმური ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდნენ „ევროპის შეერთებული შტატების“ ლოზუნგით, რომელიც ვ. ი. ლენინ-

მა დაახასიათა, როგორც რეაქციული, მავნე და ყალბი ლოზუნგი. „ეს ან არის კაპიტალიზმის დროს განუხორციელებელი მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს მსოფლიო მეურნეობის გეგმაზომიერების დამყარებას ცალკეულ ქვეყნებს შორის კოლონიების, გავლენის სფეროების და სხვათა გაყოფის დროს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ანდა ეს არის რეაქციული ლოზუნგი, რომელიც ნიშნავს ევროპის დიდ სახელმწიფოთა დროებით კავშირს კოლონიების უფრო წარმატებით დასაჩავრავად“⁷⁴.

იმპერიალისტური ქვეყნების დროებითი შეთანხმება თანამედროვე ეტაპზე „ინტეგრაციის“ საფარით სრულიადაც არ სპობს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს. იგი, პირიქით, აძლიერებს მათ. „იმპერიალიზმი ართულებს და ამწვავებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს. „ერთმანეთში ურევს“ მონოპოლიებს და თავისუფალ კონკურენციას, მაგრამ იმპერიალიზმს არ შეუძლია მოსპოს გაცვლა-გამოცვლა, ბაზარი, კონკურენცია, კრიზისები და სხვ“⁷⁵. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორიისა და პოლიტიკის უნიადაგობა, უსუსურობა თვით კაპიტალიზმის წინააღმდეგობებითაა განპირობებული. „საერთო ბაზრის“ თვითეული წევრი მიილტვის საკუთარი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებისაკენ. „ინტეგრირებული“ ქვეყნების კერძო ინტერესები ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. თვითეული „ინტეგრირებული“ ქვეყანა „საერთო ბაზრის“, „ინტეგრაციის“ ლოზუნგის გამოყენებას ცდილობს საკუთარი მიზნებისათვის პარტნიორების, ე. ი. სხვა „ინტეგრირებული“ ქვეყნების ხარჯზე. ასე მოქმედებენ გფრ, საფრანგეთი, იტალია და სხვები.

ამრიგად, იმპერიალისტურ „ინტეგრირებულ“ ქვეყნებს შორის ინტერესთა მუდმივი ერთიანობა და ჰარმონია შეუძლებელია. მართალია, ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიან მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური სისტემის, მუშათა კლასის წინააღმდეგ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს წინააღმდეგობასა და ბრძოლას მათ შორის. „ინტეგრირებული“ ქვეყნების ბრძოლა — ესაა ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ.

მონოპოლისტური ბურჟუაზია „ინტეგრაციის“ ლოზუნგით ცდილობს ახალი, თავისებური კოლონიური იმპერიის შექმნას, მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაძლიერებასა და თავისი ბატონობის შენარჩუნებას. მაგალითისათვის დავასახელებთ დასავლეთ გერმანიას. სადაც ნეოლიბერალიზმი და მისი თეორიები ოფიციალური სახელმწიფო დოქტორინაა. გფრ-ის მმართველი პარტია — ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი — თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას მასების ეგრეთწოდებული „ინტეგრაციის“ გატარებაში ხედავს⁷⁶.

„საერთო ბაზარი“ ახალ მოვლენას წარმოადგენს კაპიტალიზმის ეკონომიკის განვითარებაში. თანამედროვე ეპოქაში — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში — კაპიტალიზმის სოციალური და ეკონომიური წინააღმდეგობანი მკვეთრად გამწვავდნენ. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე კიდევ უფრო გაღრმავდა კონფლიქტი საწარმოო ძალების განვითარების დონესა და წარმოების ურთიერთობას შორის, კიდევ უფრო მწვავე გახდა ბაზრის პრობლემა მთლიანად კაპიტალისტურ სამყაროში და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში“⁷⁷. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ „ეკონომიური ინტეგრაციის“ („ეკონომიური გაერთიანების“) ბურჟუაზიულ-პოლოგეტურ თეორიას, „ინტეგრაციის“ საკითხებს დიდი ადგილი უჭირავს საერთაშორისო რეაქციის, იმპერიალისტური ქვეყნების — აშშ-ის, დასავლეთ გერმანიისა და სხვ. იდეოლოგიურ და პოლიტიკურ არსენალში.

განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ გფრ-ის მმართველი პარტიის — ადენაუერის პარტიის (ქრისტიან-დემოკრატი კავშირი/ ქრისტიანულ-სოციალური კავშირის) საქმიანობაში, კათოლიციზმის იდეურ არსენალში. „გერმანიის კათოლიციზმის საფუძველს, როგორც დღეს, ასევე მომავალში წარმოქმნის პოლიტიკური კათოლიციზმის, „ევროპის ინტეგრაციისა“ და ანტიკომუნისტური განუყრელი კავშირი ერთიმეორესთან“⁷⁸

საკმარისია თვალი გადაავლოთ ბურჟუაზიულ ლიტერატურას, რომ დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგები „ინტეგრაციის“ თეორიისა და პოლიტიკის საკითხებს. იმპერიალისტური ბურჟუაზიის თეორეტიკოსებისათვის მოდად იქცა „ინტეგრაციის“ საკითხებზე წერა და იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პროპაგანდა. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პროპაგანდით გამოდიან არა მარტო ბურჟუაზიული ეკონომისტები, არამედ კაპიტალიზმის ყველა ჯურის თეორეტიკოსები — დიპლომატები, სოციოლოგები, იურისტები და ა. შ. „ეკონომიური ინტეგრაცია“, გ. მიურდალის აზრით, არის არა მარტო ეკონომიური, არამედ სახელმწიფო სამართლის, სოციალიზმისა და ფსიქოლოგიის პრობლემა.

განსაკუთრებით აქტიურობენ „ინტეგრაციის“ პროპაგანდის საქმეში ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები (ი. ტინბერგენი, კ. ჰერჩეგი, მ. ალე, გ. ჰაბერლერი, პ. ჰოფმანი, ე. ბენუა, რ. სანვალდი, ე. შტილერი, ა. ფილიპი, ფ. შტერნბერგი და სხვ.). ისინი განგებ უვლიან გვერდს „ინტეგრაციის“ სოციალურ-ეკონომიურ არსს, განგებ ჩქმალავენ და აფუჩჩებენ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ სოციალურ-კლასობრივ ბუნებას.

საინტერესოა „ინტეგრაციის“ ბურჟუაზიული განმარტებანი. მონოპოლისტური „ინტეგრაციის“ ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსია პაულ ჰოფმანი — „მარშალის გეგმის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. აშშ-ის საქმიანი წრეების წარმომადგენელი, საავტომობილო კომპანია „სტუდებეკერის“ პრეზიდენტი. ჰოფმანი არის აგრეთვე ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარების სპეციალური ფონდის ადმინისტრატორი. ტერმინი „ეკონომიური ინტეგრაცია“ ადრეც არსებობდა, მაგრამ დღევანდელი მისი მნიშვნელობით იგი გავრცელებულ იქნა 1950 წლის თებერვალში პ. ჰოფმანის მიერ⁷⁹. პ. ჰოფმანმა „ინტეგრაცია“ განსაზღვრა, როგორც „ევროპის საერთო ბაზრის“ შექმნა, რომლის ჩარჩოებში უნდა მოსპობილიყო საქონლის თავისუფალი მოძრაობის შეზღუდვანი, სავალუტო დაბრკოლებანი და ბაჟები. ჰოფმანის მიზანდასახულობა ნათელია. ასე ცდილობდა იგი „მარშალის გეგმის“ ორგანიზაციასა და ცხოვრებაში გატარებას. ამას უკარნახებდა მას „დიდი ბიზნესი“, უმსხვილესი მონოპოლიური გაერთიანებები.

„ინტეგრაციის“ ცნების განსაზღვრის გარშემო კამათი ბურჟუაზიულ ეკონომისტებსა და სოციოლოგებს შორის დღესაც გრძელდება. ნეოლიბერალური მიმართულების წარმომადგენლები თვლიან, რომ საერთაშორისო ეკონომიური „ინტეგრაციის“ მთავარი მიზანი და არსი არის საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობის აღდგენა ქვეყნებს შორის⁸⁰.

ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტი, პროფ. გ. ჰაბერლერი, რომელმაც „ინტეგრაციის“ თეორიას მიუძღვნა სპეციალური წიგნი⁸¹, „ინტეგრაციას“ განსაზღვრავს, როგორც „რეგიონალურ თავისუფალ ვაჭრობას“. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ემილ ბენუკი იძლევა „ინტეგრაციის“ უფრო ვრცელ განმარტებას. „ინტეგრაცია“, მისი აზრით, არის ეკონომიური გაერთიანება სავაჭრო შეზღუდვების მოსპობის, კაპიტალდაბანდებათა და მოსახლეობის მოძრაობის, ეკონომიური განვითარების და ეკონომიური პოლიტიკის ჰარმონიზაციისა და სხვა ღონისძიებათა საშუალებებით.

როგორც ვხედავთ, „ინტეგრაციის“ ბურჟუაზიული განსაზღვრებანი ერთტიპიურია და აპოლეგეტურ მიზნებს ისახავს. ყველა განსაზღვრისათვის საერთოა ის, რომ უგულვებელყოფილია „ინტეგრაციის“ სოციალ-ეკონომიური არსი, მისი იმპერიალისტური ბუნება. „ინტეგრაციის განსაზღვრის ფორმულირებებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, თავიანთი არსით ყველა ერთტიპურია. ამ განსაზღვრებებში შეგნებულადაა გამოტოვებული მონოპოლიების,

როგორც თანამედროვე კაპიტალისტური განვითარების არსის, ანალიზი“ 82.

განსხვავების მთავარი ფოკუსი მდგომარეობს „რეგულირებადი კაპიტალიზმისა“ (კეინსელობა, დირიჟიზმი) და ნეოლიბერალიზმის წარმომადგენელთა აზრების სხვადასხვაობაში. ნეოლიბერალები „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განხორციელებას მოითხოვენ ეკონომიური ლიბერალიზმის მოდერნიზებული ლოზუნგებით, ხოლო დირიჟისტები — ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევით, „მსოფლიო სახელმწიფოსა“ და „მსოფლიო დაგეგმვის“ მეშვეობით⁸³.

„ინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა და პროპაგანდისტთა მიზანი ნათელია — ანტიმონოპოლისტური ფრონტის დასუსტება მონოპოლიების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების რიგებში დეზორგანიზაციის შეტანით. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები კარგად ზედავენ, რომ მუშათა კლასი მთავარ დარტყმას მონოპოლიების წინააღმდეგ მიმართავს. მონოპოლიებმა ყოვლისშემძლეობის ლიკვიდაციით დაინტერესებულთა ერის ყველა ძირითადი ფენა. ამიტომაც, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტებმა მიმოქცევაში გაუშვეს „ახალი“ ლოზუნგი — „ეკონომიური ინტეგრაცია“. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა მიზანია სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის, უმსხვილესი საერთაშორისო მონოპოლიების იდეოლოგიური დაცვა. „ინტეგრაციის“ აპოლოგეტიკის არსი მდგომარეობს „ინტეგრაციის“ პროცესის (როგორც ეკონომიურ, ასევე პოლიტიკურ გეგმაში) ვიწრო კლასობრივი შინაარსის გამოცლაში, „ინტეგრაციას“ წარმოსახვენ უბრალოდ, როგორც რაციონალურ-სამეურნეო პროცესს⁸⁴.

ამკარად ჩანს, რომ „ინტეგრაციის“ ვულგარულ-აპოლოგეტური თეორია უახლესი მოდური ვარიანტია საყოველთაოდ ცნობილი „კაპიტალიზმის ტრანსფორმაციისა“ და „სახალხო კაპიტალიზმის“ ყბადღებული თეორიებისა.

წიგნები, სტატიები, მოხსენებები „ინტეგრაციის“ ქება-დიდებას შესახებ სწრაფად მრავლდება⁸⁵.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსებმა თითქოს იპოვეს „გამოსავალი“ კაპიტალიზმის წინააღმდეგობებისაგან თავის დასაღწევად. მათი აზრით, „ინტეგრაცია“ „სკობს“ იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობას, „სახეს უცვლის“ თანამედროვე კაპიტალიზმს, „აჯანსაღებს“ მას.

განსაკუთრებით ბევრს წერენ „ეკონომიური ინტეგრაციის“ საკითხებზე დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ბურჟუაზიული ეკონო-

მისტები. სოციოლოგები, ფილოსოფოსები, დიპლომატები, სახელმწიფო მოღვაწეები. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს. ევროპის „ინტეგრაცია“ პროპაგანდის დარგში ძალიან აქტიურობენ დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, პირველ რიგში კი — ნეოლაბერალები და მემარჯვენე სოციალისტები. 1957 წ. მაინის ფრანკფურტში გამოვიდა გ. ჰაბერლერის წიგნი — „ევროპის ეკონომიური ინტეგრაცია“⁸⁶ 1958 წ. დიუსელდორფში გამოქვეყნდა კ. ჰერჩეგის წიგნი — „მსოფლიო მეურნეობის მომავალი“⁸⁷ ა. პრედელმა კი თავისი წიგნი — „მსოფლიო მეურნეობა და ევროპის ინტეგრაცია“⁸⁸ — 1960 წ. გამოაქვეყნა მიუნსტერში, ხოლო ჰ. ფიშერის წიგნი — „გზა ევროპისაკენ“⁸⁹ ჯერ კიდევ 1953 წ. გამოვიდა მიუნხენში. „ინტეგრაცია“ საკითხებს დიდი ადგილი ეთმობა გფრ-ის ნეოლიბერალების წელიწდეულში, მაგალითად, ასეთია შრომები ფ. ა. მაიერისა — „საერთაშორისო წყობილებას პრობლემებისათვის“⁹⁰ ე. ჰოისისა — „კლასიკური თავისუფალი ვაჭრობა თუ ინტეგრაცია?“⁹¹ ვ. რეპკესი — „ეკონომიური სისტემა და საერთაშორისო წყობილება“⁹² და სხვ. ნეოლიბერალების წელიწდეულის მთელი მეათე წიგნი⁹⁴ ეხება იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პრაქტიკული განხორციელების შექებასა და თეორიულ „დასაბუთებას“. მაგალითად, მასში მოთავსებულია სტატიები „საერთო ბაზარი და თავისუფალი ვაჭრობის ზონა“ (ვ. რეპკე), „ბრუნვიდან გადასახადი და ვაჭრობის ოპტიმუმი საერთო ბაზარში“ (ჰ. ვილგეროდტი), „ევრატომი და სოციალური საბაზრო მეურნეობა“ (ჰ. მუტეზიუსი) და სხვ.

ძალიან ბევრს წერს ამ საკითხებზე ბურჟუაზიული სოციოლოგი, რეფორმისტი ფ. შტერნბერგი. მან უკანასკნელ ხანებში ბევრი წიგნი და სტატია გამოაქვეყნა არა მარტო გერმანიაში (გერმანულ ენაზე), არამედ აშშ-სა და ინგლისშიც, მაგალითად, „მეორე სამრეწველო რევოლუცია“⁹⁵ „სამხედრო და სამრეწველო რევოლუცია“⁹⁶ „მარქსი და თანამედროვეობა“⁹⁷ და სხვ.

იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და „საერთო ბაზრის“ საკითხები რომ გერმანელი ნეოლიბერალების ყურადღების ცენტრში დგას, შემთხვევითი არ არის. „ინტეგრაცია“, „საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია“, „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“, „ინტეგრაციული პოლიტიკა“ და სხვ. ნეოლიბერალიზმის თეორიული და იდეოლოგიური არსენალის „მარგალიტებია“. ბევრი აქვთ დაწერილი აღნიშნულ საკითხებზე გფრ-ის ნეოლიბერალების მამამთავარს ვ. ოიკენს, ნეოლიბერალიზმის ცნობილ წარმომადგენლებს ლ. ერჰარდს, ვ. რეპკესა და სხვებს. მაგალითად, „ეკო-

ნომიური პოლიტიკის საფუძვლები“,⁹⁸ „გერმანიის დაბრუნება მსოფლიო ბაზარზე“,⁹⁹ „სწორია გერმანიის ეკონომიური პოლიტიკა?“,¹⁰⁰ „მსოფლიო მეურნეობის ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია“ და სხვ.¹⁰¹

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნეოლიბერალიზმი და ნეოლიბერალური თეორიები („ეკონომიური ინტეგრაცია“, „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის თეორია“, ვაქრობის „ლიბერალიზაცია“ და სხვ.) განსაკუთრებით გავრცელდა დასავლეთ გერმანიაში და ეს შემთხვევითი არ არის.¹⁰² გფრ-ის იმპერიალისტური ბურჟუაზია გამოდის ევროპის „ინტეგრაციის“ მთავარ პროპაგანდისტად. იბადება კითხვა: რატომ? იმიტომ, რომ გერმანია მეორე მსოფლიო ომში სასტიკი დამარცხება განიცადა. ომის შემდეგ დასავლეთი გერმანია დაეძებდა ომის შედეგებით გამოწვეულ შეზღუდვათა და აკრძალვათა გაუქმების, საგარეო ბაზრების დაპყრობის შენიღბულ და მოხერხებულ ფორმას. ეს კი იპოვა იმპერიალისტურ „ინტეგრაციის“, „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“, „ვაქრობის თავისუფლების“ დემაგოგიურ-აპოლოგეტური თეორიების სახით. „ეკონომიური ინტეგრაციის“ საფარით დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები განთავისუფლდნენ სამრეწველო წარმოებისა და ექსპორტის შეზღუდვებისაგან, ნაცვლად „დეკარტელიზაციისა“ გაძლიერდა კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაცია¹⁰³. აი რატომ სარგებლობს დიდი პატივისცემით იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორია გფრ-ში. „დეკარტელიზაციის“ ფარსი თითქმის უკვე დავიწყებულია. კონცენტრაციის ძლიერება ახლა მეტია, ვიდრე ოდესმე. დასავლეთი გერმანია ეკუთვნის ეკონომიკის მაგნატებს“,¹⁰⁴ — ასე დაახასიათა „დეკარტელიზაცია“ ცნობილმა დასავლეთგერმანელმა ეკონომისტმა და პუბლიცისტმა კურტ პრიცკოლიატმა.

ევროპის „ინტეგრაციის“ აქებენ ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტები მ. ალე, ა. ფილიპი, პარიზის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სამართლის პროფესორი დ. ვილეი; ამერიკელი ეკონომისტები ე. ბენუა, მ. ფლორინსკი, დონ ჰემფრი, უ. ლიპმანი; ინგლისელი უ. კიტელინგერი, ჰოლანდიელი ეკონომისტი ი. ტინბერგენა და სხვები.

„ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებამ“ 1956 წ., „ლუქსემბურგში, გამოსცა სპეციალური კრებული სახელწოდებით „ევროპის ინტეგრაციის გზაზე“¹⁰⁵. კოლექტიური შრომა გამოაქვეყნეს რ. სანვალდმა და ი. შტოლერმა — „ეკონომიური ინტეგრაცია“¹⁰⁶. ქ. კელნში ქვეყნდება მასალა სახელწოდებით „ევროპის ინტეგრა-

ცია“, რომელშიც თანამშრომლობენ ლ. ერპარდი, ფ. ბერგი და სხვები. ისინი, რა თქმა უნდა, ხოტბას ასხამენ იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“. ნეოლიბერალიზმის წარმომადგენელი პროფ. ლ. ერპარდი დასავლეთ გერმანიის კანცლერა. იგი, როგორც ნეოლიბერალი პროფესორი და სახელმწიფო მოღვაწე, თავგამოდებით იცავს იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“. ეს ბუნებრივია. „ეკონომიური სასწაულის“ თეორეტიკოსი მკიდრო კავშირშია დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტურ კაპიტალთან, კერძოდ კი „გრუნდიგ-კონცერნთან“ (გრუნდიგის კონცერნი ერთ-ერთი უმსხვილესი და გავლენიანი კონცერნია დასავლეთ გერმანიაში. კონცერნი ჩამოყალიბებულია მაქს გრუნდიგის მიერ). ფირმა „გრუნდიგი“ კონცენტრაციის პროცესის დიდი მასშტაბით არის ცნობილი. გრუნდიგმა 1957 წლის იანვარში დასავლეთ გერმანიის ბანკების მხარდაჭერით შეიძინა სააქციო საზოგადოება „ტრიუმფ-ვერკე აგის“ კაპიტალის უდიდესი ნაწილი.¹⁰⁷ აი რატომ ქადაგებს „ევროპის ინტეგრაციას“ ლ. ერპარდი¹⁰⁸.

თავის სახალწლო სიტყვაში (1963 წ.) აშშ-ის პრეზიდენტმა კენედიმაც განაცხადა, რომ „თავისუფალი ევროპა“ — „ინტეგრირებული ევროპა“ (ე. ი. „ტრესტების ევროპა“) თავისი ისტორიის ახალ შესანიშნავ ფაზაში შევიდაო. მან იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ დახატა, როგორც კოლონიური ექსპანსიის, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა და მეტოქეობის ლიკვიდაციის საშუალება, და აქედან გააკეთა კიდევ ერთი მცდარი დასკვნა, რომ თურმე კ. მარქსის წინასწარმეტყველებათა საწინააღმდეგოდ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები ერთიანი მიზნებით არიან გამსჭვალული¹⁰⁹. კენედიც ფაქტების, სინამდვილის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. ისტორიის მსვლელობამ დაამტკიცა კ. მარქსისა და ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველება. თვით კენედიც კი ფაქტებმა აიძულეს, რომ ელაპარაკა იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც „ინტეგრირებულ ევროპასა“ და აშშ-ს შორის დღითიდღე ძლიერდება. მაშასადამე, „ინტეგრაცია“ წინააღმდეგობათა გამწვავებას გარეშე კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია.

„ინტეგრაციის“ პროპაგანდისტები განგებ ხვევენ ბურჟუაზია იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ნამდვილ ბუნებას, მის ექსპანსიონისტურ და ექსპლოატატორულ ხასიათს. ისინი წინა პლანზე აყენებენ „ინტეგრაციის“, საერთაშორისო ვაჭრობის „ლიბერალიზაციის“ პრაქტიკულ და მეორეხარისხოვან მხარეებს. ინტეგრაციონალისტების ლოზუნგი „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“, „თავისუფალი ვაჭრობის“, ბაყების ლიკვიდაციის, კაპიტალისა და სამუშაო

ძალის „თავისუფალი გადაადგილები“, „თავისუფალი და თანასწორი კონკურენცია“ შესახებ იქითეენ არის მიმართული, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი წარმოგვიდგინოს „ტრანსფორმირებულ“, ე. ი. „გარდაქმნილ“, „გაუმჯობესებულ“ კაპიტალიზმად, სადაც თითქოს არის ვაჭრობის, მოქმედების თავისუფლება, თავისუფალი კონკურენცია.

„ინტეგრაციული პოლიტიკის“¹¹⁰ მეშვეობითაც სურთ მათ თანამედროვე კაპიტალიზმის გამოცხადება „თავისუფალ სამყაროდ“. სინამდვილეში კი ცნობილია, რომ მონოპოლიების ბატონობა, მონოპოლიების დესპოტური დიქტატურა მოითხოვს არა თანასწორობასა და ვაჭრობის თავისუფლებას საერთოდ, არამედ სრული თავისუფლების მინიჭებას მონოპოლისტური კაპიტალის განუსაზღვრელი ბატონობისა და მოქმედებისათვის. აშშ-ისა და დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების ინტეგრაციული პოლიტიკა რ. ნაუმანმა დაახასიათა, როგორც ხალხებისა და ქვეყნების გაძარცვა და ჩაგვრა, სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა¹¹¹. „საერთო ბაზარში“ თავს იჩენს კლასობრივი სოლიდარობა იმპერიალისტებისა, რომლებიც ურთიერთმტრობის მიუხედავად, ცდილობენ გაერთიანდნენ და განამტკიცონ კაპიტალიზმის პოზიციები საერთაშორისო სახელმწიფო-მონოპოლისტური კავშირების დახმარებით. ვანკერნონ ან შეარპილონ მანც კაპიტალიზმის წყლულები და მანკი (წარმოების ანარქია; კრიზისები). ფინანსური ოლიგარქია ისწრაფვის „ინტეგრაციის“ განვითარებაში მონახოს თავისებური „პასუხი“ მსოფლიო სოციალიზმის ძლიერების ზრდაზე. სოციალიზმისა, რომელიც კაცობრიობის გადამწყვეტ ფაქტორად იქცევა; იგი ცდილობს „საერთო ბაზრის“ დახმარებით იმპერიალიზმის ორბიტაში შეინარჩუნოს ყოფილი კოლონიური და ნახევრად კოლონიური სამყარო, შეასუსტოს კონკურენციული ბრძოლა მსოფლიო ბაზრებზე და მიაღწიოს იმპერიალისტური ბანაკის კონსოლიდაციას. მაგრამ ყველა ეს ცდა ამაოა¹¹². იმპერიალისტური სახელმწიფოების ცდა საერთაშორისო „ინტეგრაციის“ შესახებ („კაპიტალის“ სახელმწიფოებრივ გატანასა და მსოფლიო მეურნეობის „რეგულირებისათვის“ სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციის შექმნის ცდასთან ერთად) არის მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგთა ღონისძიება — გადაარჩინონ მეურნეობის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა. რომელიც ღრმა კრიზისს განიცდის¹¹³.

„ინტეგრაციის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტურ თეორიას ამოღებლად უჭებთან როგორც კენისელები და ღირჯისტები, ასევე ნეოლიბერალები და ეკონომეტრიკოსები, რეფორმისტები და რევიზიონისტები.

„რევულირებადი კაპიტალიზმის“ წარმომადგენელთა აზრით, „ინტეგრაცია“ შესაძლებელს ხდის მთელი კაპიტალისტური მეურნეობის „დაგეგმვას“. სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები „ინტეგრირებული“ ქვეყნების ერთიანი სავალუტო პოლიტიკისა და მათი ეკონომიკის „ერთიანი დაპროგრამების“ შესახებ. პოლანდიელმა ეკონომისტმა, ეკონომეტრიკოს წარმომადგენელმა იან ტინბერგენმა მოუხშირა ლაპარაკს „მსოფლიო ინტეგრაციისა“ და „მსოფლიო რევულირების“ შესახებ. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეში ისეთი ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებას, როგორც „ინტეგრირებული“ პოლანდია. „ინტეგრაციის“ პროპაგანდისტ ი. ტინბერგენის იდეას შეადგენს „რევულირებადი კაპიტალიზმის“ — კენსელობისა და ეკონომეტრიკის შერწყმა და ამის საფუძველზე მთელი კაპიტალისტური ეკონომიკის დაგეგმვა. ი. ტინბერგენი ეკლექტიკოსია. იგი იზიარებს და იყენებს როგორც „რევულირებადი კაპიტალიზმის“. ისე „ეკონომიური ლიბერალიზმის“ თეორიებს. ი. ტინბერგენი აღტაცებულია „ინტეგრაციის“ პრაქტიკული შედეგებით, „ინტეგრაციის“ მიერ გამოწვეული კაპიტალისტური ეკონომიკის „დინამიზმით“.

ი. ტინბერგენი და სხვა ეკონომეტრიკოსებიც „ინტეგრაციის“ პრაქტიკულ განხორციელებას შესაძლებლად თვლიან მაშინ, თუ გამოყენებული იქნება ეკონომეტრია. ეკონომეტრიკას ი. ტინბერგენი განსაზღვრავს, როგორც მათემატიკისა და სტატისტიკის შეხამებას, შერწყმას. მან სპეციალური მოდელიც კი შეადგინა, რომელშიც ცდილობს კაპიტალისტური ეკონომიკის დაგეგმვის პრაქტიკული განხორციელების დასაბუთებას. ცხადია, ტინბერგენის მოდელმა „ინტეგრაციისა“ და კაპიტალისტური ეკონომიკის დაგეგმვის შესახებ მაღალი შეფასება დაიმსახურა თვით ბურჟუაზიულ ლიტერატურაში¹⁴.

„ინტეგრაციის“ დამცველები ემყარებიან კაპიტალის კონსოლიდაციის ზრდას და უსაფუძვლოდ აცხადებენ, რომ შესაძლებელი ხდება „ინტეგრირებული ევროპის“ ერთიანი ეკონომიური დაგეგმვა¹⁵. მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის „გეგმების“ და მოდულების რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს, მაგრამ ეს „გეგმები“ ჰაერშია გამოკიდებული. პროფ. გ. ჰაბერლერი წერს: „თავდაპირველი მოდულები იყო წრფივი, მაგრამ მალე გამოჩნდა არაწრფივი მოდულები „მინიმალური განტოლებებით“, „ჭერებით“, „ასიმეტრიებით“, „სტიქსტიკური სიდიდეებით“ და „ეკზოგენური შერყევებით“. ცალკეული მეცნიერების კაბინეტებიდან და სტატი-

სტიკური ლაბორატორიებიდან ავტომობილების ნაკადის მსგავსად. რომლებიც კონვეიერიდან ჩამოდიან, გამოდის არა მარტო მათემატიკური სქემები, არამედ სრულიად დამთავრებული ეკონომეტრიკული მოდელები სტატისტიკურად გამოთვლილი კონსტანტებითა და პარამეტრებით, რომლებიც მოაცავენ ცალკეულ ქვეყნებს ან ვიელ მსოფლიოსაც კი¹⁶⁶. ერთში აუცილებლად მართალია გ. ჰაბერლერი. მსოფლიო „ინტეგრაციისა“ და „დაგეგმვის“ ეკონომეტრიკული მოდელი მართლაც ბევრია,¹¹⁷ მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვა ობიექტურად შეუძლებელია.

ი. ტინბერგენი და მისი თანამოაზრენი განგებ უვლიან გვერდს „ინტეგრაციის თეორიის“ კლასობრივ აჩსს და წინ სწევენ „ინტეგრაციის“ ტექნიკურ მხარეებს. მათი აზრით, „ინტეგრაცია“ შესაძლებლობას იძლევა, რათა მიღწეულ იქნეს მათემატიკური კაპიტალიზტური ეკონომიკის „ობტიმალური დაგეგმვა“. მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის „დაგეგმვისათვის“ ტინბერგენი მოითხოვს სახელმწიფო საზღვრების გადალახვას და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სახალხო მეურნეობის კოორდინაციას. ტინბერგენმა და „ინტეგრაციის“ სხვა თეორეტიკოსებმა „ინტეგრაციის თეორია“ გამოაცხადეს „ყველაზე საუკეთესო ეკონომიური პოლიტიკის“ განსახიერებად. სანამდვილეში კი დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ — „საერთო ბაზარი“ — არის ევროპის ფინანსური მაგნატების დროებითი შეთანხმება, დასავლეთ ევროპის ფინანსური მაგნატების იმპერია. „ინტეგრირებული“ ქვეყნების მონოპოლიები მტრები არიან არა მარტო მეშათა კლასისა, არამედ გლეხობის. ხელოსნებისა, ქალაქისა და სხვა წვრილი მეცაკუთრეებისა, მოსამსახურეებისა. ინტელიგენციის უმრავლესობისა და საშუალო კაპიტალისტების ნაწილისაც კი. მაშაადამე, დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ — „საერთო ბაზარი“. მასში გაერთიანებული 43 უმსხვილესი მონოპოლია მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესთა წინააღმდეგ გამოდის. „მონოპოლიები იყოფენ „საერთო ბაზრის“ ღვეზელს“¹¹⁸ — ლაკონურად შენიშნავდა პიერ ეიუკენი ჟურნალში „კაიე დიუ კომიუნისმი“¹¹⁹.

„ამრიგად, „ინტეგრაციამ“, რომელიც თვითონ გაიზარდა მონოპოლიზაციისა და უმსხვილეს ტრესტებს შორის კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიური განაწილების პროცესიდან, თავის მხრივ მძლავრი ბიძგი მისცა კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის შემდგომ განვითარებას. ეკონომიური და ფინანსური ძლიერების კიდევ უფრო მეტად თავმოყრას ერთი მეჭა გიგანტი მონოპოლიების ხელში. მან გააძლიერა ინტერესთა წინააღმდეგო-

განი არა მარტო მონოპოლისტურ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის. ანამედ ავრეთვე, ერთი მხრივ, მონოპოლიებსა და, მეორე მხრივ, ქალაქისა და სოფლის წვრილ და საშუალო ბურჟუაზიას შორის“¹²⁰.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ არის ყველაზე მსხვილი მონოპოლიებია თეორია და პოლიტიკა. რომელიც ხელს უწყობს კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას. თუმცა ტინბერგენი აღიარებს ეკონომიური კრიზისებისა და უმუშევრობის არსებობას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, მაგრამ „ინტეგრაციითა“ და „ოპტიმალური დაგეგმვით“ ის შესაძლებლად თვლის კაპიტალიზმის „განკურნვას“.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსებს არ სურთ გაიგონ, რომ „კაპიტალისტური“ ინტეგრაციას“ ობიექტური საზღვრები აქვს. საერთაშორისო ეკონომიური კომპლექსის მასშტაბებით სამეურნეო ცხოვრებას რეგულირების ამოცანას ეწინააღმდეგებიან მისი გადაჭრის კაპიტალისტური საშუალებანი. ფინანსური ოლიგარქია ცდილობს იმე შეარბილოს მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამახასიათებელი ანტაგონიზმი, რომ არ შეიცვალოს საკუთრების ურთიერთობა. დარჩეს სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების ნიადაგზე. მაგრამ ამ მიზნის შესრულება აშკარად შეუძლებელია. თუ სამეურნეო ცხოვრების სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირება სერიოზულ და გადაუტკრელ წინააღმდეგობებს იწვევს ცალკეული ქვეყნების მასშტაბით, ასეთი რეგულირების ცდები რამდენიმე სახელმწიფოს მასშტაბით ამ წინააღმდეგობებს კიდევ უფრო მწვავე ხასიათს აძლევს. „საერთო ბაზარს“, რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს კაპიტალისტური წესრიგი და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება. წარმოების ანარქიის გამო, იმპერიალიზმის დროს, განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედების გამო, უნარი არ შესწევს უზრუნველყოს ეკონომიკის ჰარმონიული ზრდა, უძლურია აღმოფხვრას კლასობრივი ანტაგონიზმები“¹²¹.

მამასადამე, „ინტეგრაციის“ აპოლოგეტური თეორიის დამცველები გამოდიან ობიექტური ეკონომიური კანონების წინააღმდეგ, კემარტების წინააღმდეგ და იმპერიალისტური „ინტეგრაციით“ ცდილობენ მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგობისა და წყლულების შერბილებასა და მოშუშებას. ვერც „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორიები, ვერც „ინტეგრაციის თეორია“ ვერ იხსნიან კაპიტალიზმს დაღუპვისაგან. ამას თვით „ინტეგრაციონალისტებიც“ ხედავენ, მაგრამ მათ, მონოპოლისტური კაპიტალის

თეორეტიკოსებს, თავიანთი კლასობრივი მდგომარეობა აიძულებს აქონ და პოპულარიზაცია უყონ იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“.

„ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები — მონოპოლისტური კაპიტალის ნოქრები — სისხლბორცეულად არიან დაკავშირებული ფინანსური მაგნატების იმპერიასთან, ამიტომ, რა თქმა უნდა, იცავენ და ქადაგებენ „ინტეგრაციის“ აპოლოგეტურ თეორიას. თვით ი. ტინბერგენი აგრეთვე ახლოს დგას პოლანდიის მმართველ წრეებთან. კაპიტალისტური პოლანდია „საერთო ბაზრის“ მონაწილეა. ე. ი. ისიც „ინტეგრირებული“ ქვეყანაა. ბუნებრივია, ტინბერგენიც იცავდა და დაიცავს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორიას.

ძვირად უჯდებათ „ინტეგრირებული“ პოლანდიის მშრომელებს „საერთო ბაზარი“ — იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პარმშო. განსაკუთრებით გამანადგურებლად მოქმედებს „საერთო ბაზარი“, „ინტეგრაცია“ პოლანდიელი გლეხების მდგომარეობაზე. პოლანდიის ბევრ რაიონში ფერმერთა შემოსავალი 1962 წ. 2-ჯერ შემცირდა 1961 წელთან შედარებით. 1962 წლისათვის უმუშევრების საშუალო თვიური რაოდენობა „ინტეგრირებულ“ პოლანდიაში 30 ათასს შეადგენდა¹²².

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ აპოლოგეტურ თეორიას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს აგრეთვე საფრანგეთში. არც ეს არის გასაკვირი. საფრანგეთიც ხომ „საერთო ბაზრის“, „ინტეგრირებული ევროპის“ ერთ-ერთი ლიდერია. საფრანგეთის მონოპოლისტებს საკუთარი მიზნები ამოძრავებთ „საერთო ბაზარში“. ამ კუთხით ეწვეიან ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტები იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პროპაგანდასა და პოპულარიზაციას. მრავალთავან დავასახელებთ დანიელ ვილეისა და მორის ალეს.

დანიელ ვილეი, პარიზის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და სამართლის პროფესორი, ევროპის „ინტეგრაციის“ ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგი არის. იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს „პოლიტიკურ ინტეგრაციას“. „გაერთიანების იდეა, — წერს დ. ვილეი, — არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ საქონელგაცვლის კუთხით. იგი ემსახურება უფრო მჭიდრო თანამშრომლობის — პოლიტიკური ფედერაციის მადწევას“. ვილეი მოითხოვს ავტორიტარული რეჟიმის გაძლიერებას საფრანგეთსა და დაახლოებით ევროპაში. მისი მთავარი საზრუნავია კაპიტალისტური ევროპის „სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაცია“.

„საერთო ბაზარში“ შესვლას წინ დაეცა საფრანგეთის IV რესპუბლიკა და დამყარდა V რესპუბლიკის¹²⁴ რეჟიმი. „ინტეგრაციის“

პროცესმა დააჩქარა ავტორიტარული რეჟიმის დამყარება საფრანგეთში, ამ უკანასკნელში კი ხელი შეუწყო კაპიტალისტური ევროპის სამხედრო-პოლიტიკურ „ინტეგრაციას“.

ფრანგი მარქსისტი ანრი კლოდი თავის შრომაში — „გოლიზმი და მსხვილი კაპიტალი“ — დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ დე გოლის რეჟიმი მსხვილი კაპიტალის დიქტატურის თავისებური ფორმაა¹²⁵.

მ. ალე ნეოლიბერალიზმის წარმომადგენელია; ამიტომ, ბუნებრივია, ისიც დაიცავს და ხოტბას შეასხამს „ინტეგრაციის“ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტურ თეორიას. მორის ალე „ეკონომიური ლიბერალიზმის“ ისეთი წარმომადგენელია, რომელმაც განიცადა „კეინსური ეპიდემია“ და, ამგვარად, მის შეხედულებებში ეკლექტიკურადაა შეზავებული როგორც „ეკონომიური ლიბერალიზმის“. ასევე დირაჟიზმის იდეები. ასეთი ეკლექტიზმით მივიდა მ. ალე ნეოლიბერალიზმამდე, რაც ავალდებულებს მას იცავდეს „ვაქრობის ლიბერალიზაციას“, „ვაქრობის თავისუფლებას“, „თავისუფალ კონკურენციას“, რომელთა სინთეზს ემყარება სწორედ „ინტეგრაციის“ აპოლოგეტურ-ვულგარული თეორია.

მ. ალე „ინტეგრაციის“ განხორციელებას მოითხოვს, მაგრამ სარგებლის დონის დაწვევს მომხრეა და, ბოლოს, მიდის მუქთა კრედიტის მოთხოვნამდე, ე. ი. ამ საკითხში იგი ერთგვარად პრუდონისაყენ იხევს უკან. ამისათვის კიდევაც „აკრიტიკებენ“ მ. ალეს „ძმანი მისნი“. „არის რა ერთგვარად პრუდონის მიმდევარი და გამოდის სარგებლის დაბალი დონის უპირატესობის აღიარებიდან. მორის ალე ამიტომ მოითხოვს უფასო კრედიტს“¹²⁶, — წერს მ. ალეს თანამემამულე, დირიჟისტი ე. ჟამსი.

მ. ალე იმდენად გატაცებულია ნეოლიბერალიზმის აპოლოგეტური იდეებით, რომ „ეკონომიური ინტეგრაცია“ მიაჩნია „მშრომელი მასების ცხოვრების დონის ამაღლების საშუალებად“. ეს, ცხადია. მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგიის ტიპური ნიმუშია და მეტი არაფერი. მორის ალე ეკონომისტია და კარგად იცის, რომ „ინტეგრირებულ“ საფრანგეთში უმუშევრობაა და ძლიერდება საგაფიცო მოძრაობა. იქნებ დაავიწყდა მ. ალეს, რომ 1962 წ. საფრანგეთში უმუშევართა საშუალო თვიური რაოდენობა 123 ათასს უდრიდა, ხოლო მარტო ერთი (იმავე) წლის განმავლობაში 1882 გაფიცვა მოხდა¹²⁷.

„საერთო ბაზარში“ საფრანგეთის შესვლის მომზადების სპეციალურ კომიტეტს სათავეში ედგა პალეოლიბერალიზმის¹²⁸ წარმომადგენელი, უკიდურესად რეაქციული ეკონომისტი ჟაკ რიუეფი.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ აპოლოგეტური თეორია განსაკუთრებით გავრცელებულია დასავლეთ გერმანიაში, რაც აგრეთვე ლოგიკური და ბუნებრივია. ცნობილია, რომ ნეოლიბერალიზმი გფრ-ის მონოპოლისტური კაპიტალის ოფიციალური სახელმწიფო დოქტრინაა. ნეოლიბერალიზმის იდეურ საგანძურში კი დიდი პატივისცემით სარგებლობს „ინტეგრაცია“ და მასთან უშუალო კავშირში მყოფი „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ აპოლოგეტური თეორიები. დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალები ძველი ეკონომიური ლიბერალიზმის აბრას ეფარებიან და ქადაგებენ „ვაჭრობის თავისუფლებას“, „ეროვნული ბაზრების გაერთიანებას“, „კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას“, „თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“, „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობას“, ე. ი. იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“. „ევროპის ინტეგრაცია“ არის დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმისა და მისი იდეოლოგიის — ნეოლიბერალიზმის ყველაზე უფრო გავრცელებული ლოზუნგი... ევროპის „ინტეგრაცია“, — წერს ერჰარდი, — ახლა უფრო აუცილებელია, ვიდრე წინათ ოდესმე. მეტიც: „ევროპის ინტეგრაციამ“ დაიგვიანა კიდევ¹²⁹.

ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენელს ვ. რეპკეს, რომელიც ამჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს, „მსოფლიო ეკონომიური წყობილების“ შექმნის აუცილებელ წინამძღვრად მიაჩნია „ვაჭრობის ლიბერალიზაცია“, „თავისუფალი ვაჭრობა“. ნეოლიბერალების ვ. ოიკენის, ლ. ერჰარდის, ვ. რეპკეს, ვ. ბემისა და სხვათა აზრით, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, „ეკონომიური ინტეგრაცია“ სპობს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, ანეიტრალებს მონოპოლების ძლიერებას და ასუბტებს კონცენტრაციის პროცესს. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსთა მტკიცებიდან გამოდის, რომ მათი ლოზუნგები „ბაზრის თავისუფლების“, „ფასების თავისუფლების“, „ხარჯების ელასტიკურობის“ შესახებ, ე. ი. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ მონოპოლიებისა და კონცენტრაციის ნეგაციაა¹³⁰. აი, როგორი დემაგოგიური მიზნებით იყენებს ნეოლიბერალიზმი „ინტეგრაციის“ აპოლოგეტურ თეორიას. ნაცვლად იმისა, რომ აღიაროს „ინტეგრაციის“ იმპერიალისტური და ექსპანსიონისტური ბუნება, პირიქით, „აკრიტიკებს“ კაპიტალიზმის წყლულებს და „ინტეგრაციას“ ხატავს მონოპოლიზაციისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციის საწინააღმდეგო პროცესად.

ვ. რეპკე „ვაჭრობის ლიბერალიზაციას“, „ღია კარების პოლიტიკას“¹³¹ იმიტომ ქადაგებს, რომ გზას უხსნის მონოპოლისტური კაპიტალის აღვირახსნილ მოქმედებას, ექსპანსიას, კაპიტალის მიერ

სუსტი პარტნიორებისა და სუსტად განვითარებული ქვეყნების ექსპლოატაციის თავისუფლებას. მან სტატია გამოაქვეყნა დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალების წელიწდეულში და დიდი ადგილი დაუთმო „ეკონომიურ ინტეგრაციას“. ვ. რეპკე პირველ რიგში დიდ ყურადღებას აქცევს ევროპის „ეკონომიური ინტეგრაციის“ პრობლემას და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.¹³² ვ. ი. ოიკენსა და ვ. რეპკეს კვალდაკვალ მიჰყვება კ. ლ. პერჩევიცი. იგი თავის წიგნში — „მსოფლიო ეკონომიკის მომავალი“¹³³ — აცხადებს, რომ „ინტეგრაცია“ უზრუნველყოფს „ერთიანი ეკონომიკის მშენებლობას“. ჰერჩევიცი წინა პლანზე აყენებს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ტექნიკურ და მეორეხარისხოვან მხარეებს, ხოლო „ინტეგრაციის“ სოციალურ-კლასობრივ ხასიათს უგულვებლყოფს. „ეკონომიური ინტეგრაციის“ აუცილებლობა მას გამოჰყავს ახალი ტექნიკის მიღწევათა ცხოვრებაში გატარების საჭიროებიდან. ჰერჩევის აზრით, თანამედროვე ტექნიკის მიღწევათა ცხოვრებაში პრაქტიკული განხორციელება მოითხოვს დიდ კაპიტალს, რაც ერთი ქვეყნის ფარგლებში შეუძლებელია (მაგალითისათვის იგი ასახელებს ატომური ენერჯის გამოყენებას). ამიტომ, დასაცვნის ჰერჩევი, აუცილებელია სხვადასხვა ქვეყნების გაერთიანება, „ინტეგრაცია“, რათა მიღებულ იქნეს ეფექტური შედეგები. ამ „ეფექტურ შედეგებში“, ცხადია, იგულისხმება კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის მილიტარიზაცია, ახალი, ატომური ომის მომზადება, მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაძლიერება. ნეოლიბერალი პ. მუტჰეიუსი თავის სტატიაში „ევრატომი და სოციალური საბაზრო მეურნეობა“ — აცხადებს, რომ „ევრატომი არის ეკონომიური პოლიტიკა“¹³⁴.

„საერთო ბაზრის“ წინამორბედის „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების“ პრესბიურომაც ქება-დიდება შეასხა ევროპის „ინტეგრაციას“. პრესბიურომ სპეციალური კრებულის¹³⁵ გამოაქვეყნა „ინტეგრაციის“ საკითხებზე, რომელმაც გვერდი აუარა აგრეთვე „ინტეგრაციის“ პოლიტიკურ მხარეს, მიჩქმალა მისი იმპერიალისტური ბუნება. კრებულში „ინტეგრაცია“ განხილულია როგორც ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარების (ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, წარმოებისა და გასაღების სწორი ორგანიზაციისა და სხვ.) და ცხოვრების დონის არსებითი ამაღლების საუკეთესო საშუალება.

„ეკონომიური ინტეგრაციის“ აპოლოგეტურ არსს, კლასობრივ ბუნებას გ. მიურდალიც ჩქმალავს. „ეკონომიური ინტეგრაციის“ საკითხების განხილვისას ისიც წინა პლანზე აყენებს „ეკონომიურ

მხარეს“. „ეკონომიური ინტეგრაცია“, გ. მიურდალის აზრით, ამალ-
ლებს შრომის ნაყოფიერების დონეს, ამიტომ ყოველმხრივ უნდა
დაეუქიროთ მხარი „ინტეგრაციის“ განხორციელებასო. „ეკონომი-
ური თვალსაზრისით, — წერს გ. მიურდალი, — უფრო მჭიდრო
ეკონომიური ინტეგრაციის მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი მიგვი-
ყვანს უფრო მაღალ (შრომის) ნაყოფიერებამდე“¹³⁸. აი, რა ყოფი-
ლა „ეკონომიური ინტეგრაციის“ მიზანი — „შრომის ნაყოფიერე-
ბის დონის ამაღლება“, „საყოველთაო კეთილდღეობა“ და...
„სამოთხე“.

როგორც ვხედავთ, იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“ იდეური
ნათესაობა აქვს არა მარტო კაუცკის „ულტრაიმპერიალიზმის“
ანტიმარქსისტულ თეორიასთან, არამედ „სახალხო კაპიტალიზმის“
თანამედროვე ბურჟუაზიულ-აპოლოგეტურ დოქტრინასთანაც.
„ინტეგრაციონალიზმითა“ მსჯელობიდან გამოდის, რომ „ინტეგრი-
რებულ ქვეყნებში“ აღარაა კლასები და კლასობრივი ბრძოლა,
არც კაპიტალიზმი და არც იმპერიალიზმი. იგი თურმე ყოფილა
„ინტეგრირებული ეკონომიკა“, სადაც გამორიცხულია კაპიტალი-
ზმის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი. კ. კაუცკიც ასე მსჯე-
ლობდა. ის აცხადებდა, რომ იმპერიალიზმის შემდეგ არის ახალი
ფაზა — „ულტრაიმპერიალიზმის“ ფაზა. მონოპოლისტური კაპი-
ტალის თანამედროვე დამცველები კაუცკიანური „ულტრაიმპერი-
ალიზმის“ ანტიმარქსისტული თეორიის ადგილას აყენებენ „ინტე-
გრაციის“ აპოლოგეტურ თეორიას, ხოლო „ულტრაიმპერიალიზმის
ფაზის“ მავივრად — „ინტეგრირებულ ეკონომიკას“.

თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები — სახელმწიფო-
მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტები — ხელოვნურად
ჩქმალავენ კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, მათ
გამწვავებდას კაპიტალიზმის საერთო კრაზისის მესამე ეტაპზე და
„ინტეგრაციას“ თვლიან კაპიტალისტური ეკონომიკის „პარამონიუ-
ლი“, „უკრიზისო“, „გეგმიანი“, „უკონფლიქტო“ განვითარების
განსახიერებად. ვ. ი. ლენინი, აკრიტიკებდა რა „ულტრაიმპერი-
ალიზმის“ ანტიმარქსისტულ თეორიას, რომელსაც ბევრად ემყარება
იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დოქტრინა, 1916 წ. წერდა:
„ზოგიერთი ბურჟუაზიული მწერალი (მათ შორის ამჟამად შეუერთდა
კ. კაუცკიც, რომელმაც სრულებით უღალატა თავის მარქსისტულ
პოზიციას, მაგ., 1909 წლისას) იმ აზრს გამოთქვამდა, რომ საერთა-
შორისო კარტელები, როგორც კაპიტალის ინტერნაციონალიზაცი-
ის ერთ-ერთი უაღრესად მკაფიო გამოხატულება, შესაძლებლობას
იძლევიან ვიქონიოთ იმის იმედი, რომ კაპიტალიზმის დროს ხალხ-

თა შორის დამყარდება მშვიდობა. ეს აზრი თეორიულად სრული სისულელეა, ხოლო პრაქტიკულად საფიზშია და უცუდესი ოპორტუნიზმის უპატრონოდ დაცვის საშუალება“¹³⁷.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის გაძლიერებაა, რომელიც აუარესებს მშრომელი მასების მდგომარეობას. ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ კი არ სპობს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს, ე. ი. წინააღმდეგობას კლასებს შორის, როგორც „ინტერნაციონალისტებს“ სურთ ეს წარმოგვიდგინონ. არამედ კიდევ უფრო ააშკარავებს კაპიტალიზმის წყლულებსა და მანკიერებებს. იგი აღრმავებს საზოგადოების კლასობრივ პოლარიზაციასა და კლასობრივ ბრძოლას.

„ინტეგრაცია“ ბურჟუაზიული აპოლოგეტიკის უახლესი დოგმაა, რომელიც ფაქტების, სინამდვილის დამახინჯებით გვიხატავს ვითარებას. „ინტეგრაცია“ პირველ რიგში მშრომელი მასების ნების წინააღმდეგ გამოიყენება. „ინტეგრაციის“ პროპაგანდისტები კი მას თვლიან „საყოველთაო კეთილდღეობის“ მიღწევის საშუალებად¹³⁸. „ინტეგრირებული ქვეყნების“ („საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების) სამრეწველო წარმოება 1958 — 1962 წწ. მართლაც გაიზარდა 32%-ით,¹³⁹ ხოლო ექსპორტის მოცულობა 50%-ით. „ინტეგრირებული ევროპის“ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები უფრო მაღალი იყო მთელ კაპიტალისტურ სამყაროსთან შედარებით. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ მესვეურნი ყოველივე ამას „საერთო ბაზრის“ ზემოქმედებას მიაწერენ. სინამდვილეში კი წარმოებისა და საქონელბრუნვის ზრდა განპირობებულია იმით, რომ „საერთო ბაზარში“ შემავალი ქვეყნების (გფრ, იტალია, საფრანგეთი და სხვ.) წარმოება ისედაც სწრაფად ვითარდებოდა, რაც ძირითადი კაპიტალის მასობრივი განახლებით აიხსნება. წარმოების ტემპების ამაღლებას ხელი შეუწყო „ინტეგრირებული“ ქვეყნების მუშათა დაბალმა ხელფასმა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ აღრმადელ ფიტაზე გფრ-ს არ ჰქონდა დიდი სამხედრო ბარჯები და სხვ.

რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები თვით „საერთო ბაზრის“ გავლენაც, რომელმაც ერთგვარად ხელი შეუწყო, დააჩქარა წარმოების განვითარება და საქონელბრუნვა, კაპიტალდაბანდობათა ზრდა. გფრ-ის მონოპოლისტურმა კაპიტალმა სათარეშო სარბიელი კპოვა სუსტი პარტნიორების ბაზარზე.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ინტეგრაციამ“ მოსპო ან შეაბილა კაპიტალიზმის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი? იმპერია-

ლისტური „ინტეგრაცია“ თეორეტიკოსებს თუ დაუსვამთ ასეთ კითხვას, გაძახუებდენ, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი ლიკვიდირებულია არა მარტო „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში, არამედ მათ შორისაც. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პროპაგანდისტების აზრით. „ინტეგრირებული ევროპა“, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა, უფსკრულისაკენ კი არ მიექანება, არამედ პარამონიისა და კლასობრივი ზავისაკენ. „ინტეგრაცია“ დამცველთა ასეთ მტკიცებებს არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან.

აბსოლუტური ქეშმარიტებაა ის ფაქტი, რომ წინააღმდეგობა მზარდ სოციალიზმსა და მომაკვდავ კაპიტალიზმს შორის, კომუნისტურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის, ვერ აქარწყლებს და ვერც გააქარწყლებს იმ ღრმა წინააღმდეგობებს, რომლებაც ღრდნიან ე. წ. „თავისუფალ კაპიტალისტურ სამყაროს“. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ კიდევ უფრო ამწვავებს კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს. დასავლეთ ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური „ინტეგრაცია“ იმპერიალისტებს, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა ახალი კვანძია. „საერთო ბაზარმა“ ვერ გამოიწვია და არც შეიძლებოდა გამოეწვია „უკონფლიქტო“, „პარამონიული“ დასავლეთ ევროპის შექმნა. დასავლეთ ევროპა მწვავე ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანხმოებათა, წინააღმდეგობათა, კონფლიქტთა ასპარეზად რჩება“¹⁴⁰. „ინტეგრაცია“ და მის წინაშე მონოპოლისტური კაპიტალის მიერ დასმული ამოცანები თვით იმპერიალიზმის ბუნებასთან არის მწვავე, შეურტიგებელ წინააღმდეგობაში. ამიტომ, ბუნებრივია, „ინტეგრაციის“ პრაქტიკული შედეგები კიდევ უფრო აძლიერებს იმპერიალიზმის წინააღმდეგობებს.

საიდუმლო როდია ის ფაქტი, რომ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორიასა და პოლიტიკაზე დამყარებული ყველა გაერთიანება მიზნად ისახავს მონოპოლისტური კაპიტალის სამსახურს. ეს გაერთიანებები, სავაჭრო-ეკონომიური ბლოკები წარმოადგენენ შეთანხმებების „ახალ“, შენიღბულ ფორმას, რომელიც მიზნად ისახავს სუსტად განვითარებული და კოლონიური ქვეყნების, ეკონომიურად სუსტი პარტნიორების, მთელი მშრომელი მოსახლეობის ექსპლოატაციის გაძლიერებას.

კაპიტალისტთა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანებები აძლიერებენ სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციას, საერთაშორისო დაძაბულობას, „ცივი ომის“ პროპაგანდას და მიმართული არიან სოციალიზმის, მშვიდობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. სრულიად აშკარა გახდა, რომ

„საერთო ბაზარი“. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის ეკონომიურ ბაზას წარმოადგენს.

მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგეტები — ბურჟუაზიული ეკონომისტები, მემარჯვენე სოციალისტები, რევინიონისტები და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბელადებმა ცდილობენ „ინტეგრაცია“ გადააქციონ რეაქციის ერთგვარ „სამღეთო კავშირად“ სოციალიზმის, მუშათა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საერთო-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. განამტკიცონ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ეკონომიური ბაზა ევროპაში. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ გამოდის, როგორც „ცივი ომის“, საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღი¹⁴¹.

მოკლედ განვიხილოთ დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზრის“, ე. ი. კაპიტალისტურა ევროპის „ინტეგრაციის“ პირველი სოციალურ-ეკონომიური შედეგები:

1. კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაციამ“ და „საერთო ბაზრის“ შექმნამ კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი კი არ შეარბილა, როგორც ამას ვარაუდობდნენ „ინტეგრაციონალისტები“, არამედ ისინი, და პირველ რიგში ბაზრის პრობლემა, კიდევ უფრო გაამწვავა. ფრანგული მარქსისტული თეორიული ჟურნალი „ეკონომიი ე პოლიტიკა“ აღნიშნავდა, რომ „საერთო ბაზრის“ პოლიტიკის პირველი შედეგია ნაციონალური და საერთაშორისო კაპიტალის დაჩქარებული კონცენტრაცია¹⁴². ამავე ჟურნალში ე. დესომ ჩამოაყალიბა ხუთი ძირითადი თეზისი: ა) კონცენტრაციის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა „საერთო ბაზრის“ შექმნა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა კონცენტრაციის პროცესი; ბ) კაპიტალის დაჩქარებული კონცენტრაცია ამჟამად მოიცავს იმ სექტორებსაც, რომლებშიც წინათ (უკიდურეს შემთხვევაში საფრანგეთში მაინც) სუსტი იყო კონცენტრაცია; გ) საფრანგეთში უკანასკნელი წლები-სათვის, შესაძლოა, კონცენტრაცია იყო უფრო სწრაფი; დ) კონცენტრაციის მოვლენის არსი მდგომარეობს გაბატონებულ მონოპოლიურ გაერთიანებათა გაძლიერებაში; ე) კონცენტრაცია უფრო მეტად საერთაშორისო ხასიათს ღებულობს¹⁴³.

განსაკუთრებით ძლიერდება კონცენტრაციის პროცესი გერმანიაში. „საერთო ბაზარმა“ ერთგვარად უზრუნველყო „ექვსეულის“ მონოპოლიური გაერთიანებებისათვის ბაზრების დროებითი გაფართოება, მაგრამ ეს უმთავრესად მოხდა სხვა კაპიტალისტურა ქვეყნების, უფრო სუსტი პარტნიორების ხარჯზე.

ამრიგად, დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“, ანუ „ევროპა

ტრესტებისა“ უმსხვილესი ფინანსური მაგნატების იმპერიას, სადაც წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციამ უმაგალითო მასშტაბი მიიღო. „საერთო ბაზარში“ შემავალი ერებს ცხოვრებაზე ფაქტიურად უმსხვილესი მონოპოლიები ბატონობენ. ეს მკაფიოდ ჩანს გფრ-ის მაგალითზე. „მონოპოლიების ძლიერება ჯერ არნახული მასშტაბით გაიზარდა. ისინი დღეს ბატონობენ ფედერაციული რესპუბლიკის მთელ ეკონომიურ ცხოვრებაზე“¹⁴⁴.

2. „საერთო ბაზრის“ შექმნამ გააძვირა პირადი მოხმარების საფუძვლები, გააუარესა მშრომელი მანების ცხოვრების პირობები და კოლოსალურად გაზარდა მონოპოლიების, პოლიონერთა და მილიარდერთა მოგება. „საერთო ბაზარში“ „ინტეგრირებული“ 35 უმსხვილესი ტრესტის წმინდა მოგება 1957—1961 წლებში 2,7-ჯერ გადიდდა.

მუშათა კლასის ცხოვრებას დონეზე უარყოფითად მოქმედებს „საერთო ბაზრის“ მიერ გატარებული ღონისძიებები („მაკრატული“ შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასს შორის, ხელფასისა და შრომის პირობების თანდათანობითი „შეთანასწორება“-ხელფასის „გაყინვა“ და სხვ.). მონოპოლიების მიზანია ხელფასისა და სოციალური დახმარების „გათანაბრება“ ყველა „ინტეგრირებულ“ ქვეყანაში იმე, რომ „ექვსეულის“ ქვეყნების მუშები ხელფასს იღებდნენ იმ „ინტეგრირებული“ ქვეყნის მუშის ხელფასის მიხედვით, სადაც ის ყველაზე დაბალია. ეს აწვევს მუშათა კლასის ბრძოლის გაძლიერებას, ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

3. „ინტეგრაცია“ კაპიტალისტურ ევროპაში აძლიერებს წვრილმწარმოებელთა ექსპროპრიაციის პროცესს. საბაჟო ბარიერებისა და „საერთო ბაზრის“ ფარგლებში კაპიტალის მოძრაობის შეზღუდვათა შემცირებამ წვრილი საწარმოები ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ მათ გამანადგურებელ კონკურენციას უწევს უკვე არა მარტო ადგილობრივი, არამედ უცხო ქვეყნის კაპიტალი.

„ინტეგრირებულ“ მონოპოლიებთან კონკურენციულ ბრძოლაში იღუპებიან ათეულ და ასეულ ათასობით ხელოსნები. წვრილი მეწარმეები, ვაჭრები. საფრანგეთში მარტო 4 წლის მანძილზე 27%-ით შემცირდა წვრილ საწარმოთა რაოდენობა ვაჭრობაში; ხოლო მსხვილი საწარმოებს წელი საქონელბრუნვაში 50%-ით გადიდდა; გფრ-ში ხელოსნურ საწარმოთა რიცხვი (1957—1961 წწ.) 20 ათასზე მეტით შემცირდა; იტალიაში უკანასკნელ ხუთ წელიწადში 500 ათასზე მეტმა გლეხმა და მოჯამაგირემ დატოვა სოფლის მეურნეობა ცხოვრების პირობების გაუარესების გამო. ასეთივე სუ-

რათს აქვს ადგილი სხვა „ინტეგრირებულ“ ქვეყნებშიც. დასავლეთ ევროპის სოფლის მეურნეობის „ინტეგრაციის“ გეგმის ავტორი, ევროპის ეკონომიური კომისიის ვიცე-პრეზიდენტი მანსპოლტიც კი იძულებული ვახდა ელიარებინა, რომ მომავალში „საერთო ბაზარის“ ქვეყნებში 8 მილიონი გლეხი გადატყავდება. ასეთია ფაქტები, რომელთა უარყოფა „ინტეგრაციონალისტებსაც“ არ შეუძლიათ. ცხოვრება აღასტურებს პროლეტარიზაციის გაძლიერების მარქსისტულ დებულებას.

4. კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაციის“ მთავარი ღერძია გფრ-ისა და საფრანგეთის სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანება, შეთანხმება, რომელიც არ შეიძლება აგრეთვე ხანგრძლივი და მყარი იყოს. ევროპის „ინტეგრაციის“ საყრდენია ბონის კლერიკალურ-მილიტარისტული დიქტატურის კავშირი გენერალ დეგოლის ავტორიტარულ რეჟიმთან.

„საერთო ბაზარში“ ასოცირებული მონოპოლისტური კაპიტალი სულ უფრო ცხადად ამქლავნებს თავის რეაქციულ, ანტიდემოკრატიულ არსს. ისედაც შეკვეცილი და არარაობამდე დაყვანილი ბურჟუაზიული დემოკრატია კიდევ უფრო იკვეცება, არჩევით დაწესებულებათა უფლებები ქარწყლდება, მონოპოლისტური კაპიტალი არავის არ უზაარებს პოლიტიკურ ძალაუფლებას. მან დაამყარა შეუზღუდველი დიქტატურა — მთელ საზოგადოებაზე უმსხვილესი „ინტეგრირებული“ მონოპოლიების დიქტატურა.

ამგვარად, იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“ თან სდევს პოლიტიკური რეაქციის გაძლიერება, სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ავტორიტარული რეჟიმების ხელში. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ წარმოშობს ფაშიზმის იდეოლოგიას.

5. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პოლიტიკური შედეგია „სახელმწიფოსზედა“, „ეროვნულსზედა“, ე. ი. „ინტეგრირებული“ ქვეყნების „ხელახელმწიფო“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ და აგრესიული, სამხედრო-პოლიტიკური „ინტეგრაციის“ გაძლიერება. სამხედრო-პოლიტიკური „ინტეგრაცია“ მონოპოლისტთა მფარველი ლოზუნგია მსოფლიოზე გაბატონებისათვის. „პოლიტიკური ინტეგრაცია“ მიმართულია არა მარტო „ინტეგრირებულ“ ქვეყნების ფართო მასების, არამედ სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

6. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ კოლონიური ექსპლოატაციის ახალი ფორმებია და მეთოდების იარაღია. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ საერთაშორისო იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიური იარაღია, რომელიც მიზნად ისახავს მასების

დაჩლუნგებას, გონებრივ და სულიერ დატყვევებას. „საერთო ბაზარი“, იმპერიალიზტური „ინტეგრაცია“ ნეოკოლონიალიზმის იარაღია.

ამიტომ არის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი გმობს იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“ და პროგრესული ძალები მიჰყავს „ტრესტების ინტეგრაციის“ წინააღმდეგ. „კომუნისტები, მთელი პროგრესული ძალები თანმიმდევრულად იბრძვიან იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გამოყენებულ იქნას „ინტეგრაცია“ აგრესიული იმპერიალისტური მიზნებისათვის, ამზილებენ მის საწინააღმდეგეებს ხალხთა მასებისათვის“¹⁴⁵.



მიუხედავად იმისა, რომ „ინტეგრაციამ“ ერთგვარი ბიძგი მისცა „ინტეგრირებული“ ქვეყნების წარმოების განვითარებას, დასავლეთ ევროპის კაპიტალიზტური ქვეყნების სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები 1961—1962 წლებში საგრძნობლად დაეცა. სხვაგვარად არც შეიძლება კაპიტალიზმის, კაპიტალიზტურა წარმოების დროს, რომელიც ციკლურად ვითარდება. „ინტეგრაციამ“ თავიდან ვერ აიცილა ეკონომიური ვითარების გაუარესება და მით უმეტეს ვერ გადაჭრა თანამედროვე კაპიტალიზმის უმწვავესი ეკონომიური პრობლემა — ბაზრის პრობლემა. წინააღმდეგობა წარმოებასა და გადამხდელუნარიან მოთხოვნილებას შორის ეროვნულ ფარგლებს სცილდება და არა მარტო კვლავ რჩება ცალკეულ ქვეყნებს შიგნით, არამედ კიდევაც ძლიერდება და მოქმედებს „საერთო ბაზრის“ უფრო ფართო საზღვრებში“¹⁴⁶.

იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა დაფარვა შეუძლებელია; ამიტომ „ინტეგრაციის“ თეორეტკოსთა ერთი ნაწილი იძულებული ხდება აღიაროს კაპიტალიზმის მანკიერებანი და წყლულები. „ინტეგრაციის“ ისეთი დიდი თეორეტკოსიც კი, როგორც გ. მიურდალია, იძულებული გახდა ელაპარებინა კაპიტალიზტური სისტემის წინააღმდეგობანი. „ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ, — წერს გ. მიურდალი, — რომ არასაბჭოთა სამყარო მოძრაობს ეკონომიური ინტეგრაციის უფრო მაღალი დონის მიმართულებით. უმეტესად განვითარება მიდის საწინააღმდეგო მიმართულებით“¹⁴⁷. კაპიტალიზტური სამყაროს გამოჩენილი ეკონომისტი გ. პაბერლერიც კი იძულებული ხდება აღიაროს, რომ სინამდვილეში „ინტეგრაციის“ პროცესი ძალიან ნელა, უმნიშვნელოდ ან თითქმის არ ხორციელდება. „სხვაგვარად დვას საქმე ნამდვილ სამყაროში. — წერს

ივი. — რომელიც შედეგება სხვადასხვა ფულადი სისტემებისა და პოლიტიკის მქონე სახელმწიფოებისაგან, ზადაც კაპიტალია და სამუშაო ძალის მოძრაობა ერთი ქვეყნიდან მეორეში ან უმნიშვნელოა, ან სრულიად არ არის...“¹⁴⁸

გ. მიურდალი — სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორი — „სტოკჰოლმის სკოლის“¹⁴⁹ წარმომადგენელია. 1956 წელს ნიუ-იორკში ინვლისურ ენაზე გამოვიდა მისი წიგნი „მსოფლიო ეკონომიკა“. წიგნი ითარგმნა ესპანურ, შვედურ, რუსულ და სხვა ენებზე. წიგნის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია სწორედ „ეკონომიური ინტეგრაცია“. ამ წიგნში მიურდალი მიზნად ისახავს ახსნას, თუ „საითკენ მივდივართ“, ე. ი. რა გზით მიდის კაპიტალისტური ეკონომიკა, კაპიტალისტური სამყარო.

მსოფლიოს გ. მიურდალი ყოფს ასე: 1) „საბჭოთა სამყარო“, რომელშიც იგულისხმება სოციალიზმის სისტემა და 2) „არასაბჭოთა სამყარო“ — მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა. „არასაბჭოთა სამყარო“ მას წარმოდგენილი აქვს მსოფლიოს იმ ნაწილად, რომელშიც შედიან „მაღალი ერები“ და „დაბალი ერები“. „მაღალი ერები“, „ინტეგრირებული ქვეყნები“ მიურდალის გაანგარიშებით შეადგენენ „არასაბჭოთა სამყაროს“ მთელი მოსახლეობის 12—15% -ს; ისინი აწარმოებენ „არასაბჭოთა სამყაროს“ მთელი ეროვნული შემოსავლის თითქმის 3/4-ს¹⁵⁰. „დაბალი ერები“ (ასე უწოდებს გ. მიურდალი ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს) — „არაინტეგრირებული ქვეყნები“ განწირული არიან მუდმივი სტაგნაციის გამო. გ. მიურდალი გამოსავალს ხედავს „საერთაშორისო ინტეგრაციაში“.

„არასაბჭოთა სამყაროს“ გ. მიურდალი უწოდებს „თავისუფალ სამყაროს“. თავისუფლებაც, რა თქმა უნდა, თავისებურად, აბოლოგეტურად ესმის მას. „თავისუფალი სამყარო“, კაპიტალისტური სამყარო. არის მონოპოლისტური კაპიტალის მოქმედების თავისუფლების, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის თავისუფლება.

ეგრეთწოდებულ „თავისუფალი სამყაროს“ თეორეტიკოსები თავისუფლებად სხვას არაფერს გულისხმობენ, თუ არა კაპიტალისტური წრეების გამდიდრების თავისუფლებას, — შენიშნავს ფინელი მარქსისტი ტუურე ლეჰენი¹⁵¹.

„თავისუფალი სამყარო“ და „ინტეგრირებული სამყარო“, როგორც ტყუპები, ძალიან მოსწონთ „ინტეგრაციის“ დამცველებს. მაგრამ ზოგიერთი მათგანი იძულებული ხდება აღიაროს მწარე სინამდვილე. მაგალითად, გ. მიურდალი იძულებული გახდა გაეკეთე-

ბინა შენიშვნა, რომელიც თავდაყირა აყენებს „თავისუფალი სამყაროსა“ და „ინტეგრირებული სამყაროს“ იღებებს. გ. მიურდალი კმაყოფილდება იმით, რომ „თავისუფალი სამყაროსა“ და „ინტეგრირებული სამყაროს“ შექმნას მომავლისათვის ვარაუდობს. „თავისუფალი სამყარო, როგორც იდეალა, ისე შორსაა სინამდვილისაგან, როგორც ინტეგრირებული სამყარო... გამოთქმა „თავისუფალი სამყარო“ მეცნიერულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: ჩვენი თვის სასურველი მიმართულების განვითარების აღსანიშნავად და არა საგანთა ფაქტიური მდგომარეობის აღნიშვნისათვის“¹⁵²; — მწარედ მოსთქვამს გ. მიურდალი. მისი ეს გოდება იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ კრიზისზე მეტყველებს. ამ ნამდვილი ფაქტის „განეიტრალებას“ „ინტეგრაციის“ აპოლოგეტური თეორიის დამცველთა ერთი ნაწილი იმით ცდილობს, რომ კიდევ უფრო „შორს მიდის“ „ახალი აღმოჩენისაგან“. ეს „ახალი აღმოჩენა“ მდგომარეობს თავისუფლების უარყოფაში სოციალიზმის დროსაც. ესეც ტიპიური ცილისმწამებლური გამოხდომაა სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ, რომლის მიზანია კაპიტალიზმის წინააღმდეგობაა „შერბილება“, „შელამაზება“

გ. მიურდალი წერს: „საბჭოთა ორბიტაში შემავალი ქვეყნები. დემოკრატიის ჩვენი ნორმების თანახმად, არ არიან თავისუფალნი“¹⁵³. ნაცვლად „დემოკრატიის ნორმებისა“, რომლებიც გულისხმობს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, კაპიტალს მიერ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციისა და სხვ. თავისუფლებას, სოციალისტურ ქვეყნებში მოსპობილია ბურჟუაზიული დემოკრატიის, ბურჟუაზიული „თავისუფლების“ ნორმები.

გ. მიურდალის კონცეფცია სრულიად ნათელია, მაგრამ მცდარია. იგი „ეკონომიური ლიბერალიზმის“ პოზიციებიდან ცდილობს თავისუფლებისა და ეკონომიური განვითარების საკითხების გაშუქებას. „ეკონომიური ინტეგრაცია“ — აი მთავარი იდეა. რომელსაც წინა პლანზე აყენებს გ. მიურდალი. „ეკონომიური“ ინტეგრაციის“ იდეა რომ ახალი არაა, ამას გ. მიურდალიც აღიარებს. „ეკონომიური ინტეგრაცია — ესაა დასავლეთის მიერ წამოყენებულ შესაძლებლობათა თანაწილობის ძველი იდეალის განხორციელება. ამ იდეალის არსებითი ელემენტი, როგორც ჩვეულებრივ ჩვენ გვესმის ისეთ შემთხვევაში, როცა ეს იდეალი დაკავშირებულაა ქვეყნის შიგნით სოციალურ ურთიერთობასთან, ნიშნავს შესუსტებას სოციალური შებოქილობისა, რომელიც ხელს უშლის ინდივიდებს თავიანთი ცხოვრებისა და სამუშაოს პირობების თავისუფალი არჩევაში. ეკონომიკა არაა ინტეგრირებული; თუ თვითულისა-

თვის არ არის გახსნილი ყველა გზა, თუ ანაზღაურება მწარმოებ-
ლური მომსახურებისათვის არაა ყველასათვის ერთნაირი, მიუხე-
დავად რასობრივი, სოციალური და კულტურული განსხვავები-
სა“¹⁵⁴. აი „ეკონომიური ინტეგრაცია“ გ. მიურდალის გაგებით!

„ეკონომიური ინტეგრაცია“, „ქვეყნის ინტეგრირება“¹⁵⁵ („ერო-
ვნული ინტეგრაცია“) და „ინტეგრირებული ქვეყნების ინტეგრა-
ცია“ („საერთაშორისო ეკონომიური ინტეგრაცია“ ანუ „საერთა-
შორისო საბაზრო მეურნეობა“) — „საერთაშორისო ინტეგრაცია“;
ნეოლიბერალებისა და სხვა „ინტეგრაციონალისტების“ აზრით,
„პროტექციონიზმის საწინააღმდეგო პოლიტიკა“¹⁵⁶.

გ. მიურდალი და დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალები ერთ-
ში მართალნი არიან, სახელდობრ, იმაში, რომ „თანასწორობის
იდეა“ („ინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა გაგებით) ნამდვილად ძვე-
ლია და მოგვაგონებს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის
მიერ წამოყენებულ ლოზუნგს: „თავისუფლება, თანასწორობა,
ძმობა“¹⁵⁷. მაშინ, ფეოდალიზმის წინააღმდეგ აღმავალი ბურჟუაზი-
ის ბრძოლის პერიოდში, „ვაჭრობის თავისუფლება“ (ფრიტრედე-
რობა) ერთგვარ პროგრესულ როლს ასრულებდა. თანამედროვე
ეტაპზე კი ეკონომიური ლიბერალიზმის ძველი პრინციპების მო-
დერნიზაცია „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“, „საერთაშორისო
ინტეგრაციის“, „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ ლოზუნ-
გების სახით, გამიზნულია მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპო-
ლოგეტიკისათვის.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ინტეგრაციის“ ბურჟუაზიულ განსა-
ზღვრებათა შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, თავიანთი
არსით ისინი ერთტიპიურია. ამ განსაზღვრებაში შეგნებულად არის
გამოტოვებული მონოპოლიების, როგორც თანამედროვე კაპიტა-
ლისტური განვითარების არსის, ანალიზი. ამიტომაც ხდება „თავი-
სუფალი ვაჭრობის“ კონცეფციის აღორძინება, რომელიც კანონ-
ზომიერი იყო XIX საუკუნისათვის, მაგრამ არავითარ შემთხვევა-
ში — კაპიტალისტური განვითარების მონოპოლისტური სტადიისა-
თვის“¹⁵⁸. განა შეიძლება თავისუფლება, შესაძლებლობის თანასწო-
რობა არსებობდეს როგორც ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნე-
ბის შიგნით, ასევე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის? ცხადია, არა.
თავისუფლება, თავისუფალი კონკურენცია, შესაძლებლობათა თა-
ნასწორობა და „ბურჟუაზიული დემოკრატიის სხვა ნომრები“ კერ-
ძო კაპიტალისტური საკუთრების, მონოპოლიების ბატონობის პა-
რობებში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს საზოგადოების
უდიდესი უმრავლესობისათვის. ამას ბურჟუაზიული ეკონომისტე-

ბის ზოგიერთი წარმომადგენელიც ვერ ფარავს. მაგალითად, ფრანგი ეკონომისტი ე. ჟამსი, როგორც ღირიყისტი, ეკონომიური ლიბერალიზმის ზოგიერთი პრინციპის გაკრიტიკების დროს პირდაპირ წერს, რომ „ხალხის გაძარცვა შესაძლებელია თავისუფალი ეკონომიკის ფარგლებშიც“¹⁵⁹.



„ინტეგრაციის“ აპოლოგეტური თეორია იმდენად გავრცელებული და პოპულარულია ბურჟუაზიულ ლიტერატურაში, რომ მისი პროპაგანდა ხდება სხვადასხვა სახელწოდებებით. „ინტეგრაციის თეორია“ მოიცავს „ეკონომიურ ინტეგრაციას“, „აგრარულ ინტეგრაციას“, „პოლიტიკურ ინტეგრაციას“, „სოციალურ ინტეგრაციას“, „ინტეგრაციას საწარმოში“, „ეროვნულ ინტეგრაციას“, „საერთაშორისო ინტეგრაციას“, „სამხედრო ინტეგრაციას“ და ა. შ.

ბურჟუაზიული სოციოლოგები, ეკონომისტები, ფილუსოფოსები განასხვავებენ „ინტეგრაციის“ შემდეგ სახეებს:

1. „ინტეგრაცია“ კაპიტალისტურ საწარმოთა შიგნით, რომლის თანახმად იგულისხმება, რომ დაქირავებული მუშებისა და კაპიტალისტების ინტერესები ერთნაირია, ჰარმონიულია, რომ თითქოს კაპიტალისტურ საწარმოებში „ჰუმანური ურთიერთობა“ და „ინტერესთა ჰარმონია“ სუფევს. კაპიტალის აპოლოგეტები ამას უწოდებენ „სოციალურ ინტეგრაციას“. იგი განსაკუთრებით გავრცელებულია აშშ-ში, დასავლეთ გერმანიაში („სოციალური პარტნიორობა“)¹⁶⁰ და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

„ინტეგრაცია საწარმოში მიმართულია აგრეთვე მუშათა კლასის ორგანიზაციების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად ისეთ ორგანიზაციებად ყოფნას, რომლებიც დაიცავენ მეწარმეთა ინტერესებს“¹⁶¹. „სოციალური ინტეგრაციის“ პროპაგანდისტები უარყოფენ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არსებობას და აცხადებენ, რომ კაპიტალისტებისა და მუშების ინტერესები გაერთიანებულია. მათი ლოზუნგია „ბიზნესისა და ხალხის კავშირი“, „დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის თანამშრომლობა“, „პარტნიორობა“, „ჰუმანური ურთიერთობა“. „იმპერიალისტური ბურჟუაზიის თანამედროვე იდეოლოგები განადიდებენ კერძომესაკუთრულ ურთიერთობას, როგორც აღამიანთა ურთიერთობის მარადიულ ნორმას. ისინი მისწრაფვიან თეორიული ბაზა შეუქმნან ბურჟუაზიული პროპაგანდის გაცვეთილ მტკიცებას. რომელიც კაპიტალიზმს აცხადებს „სოციალური ინტეგრაციის“

ანუ ერთიანობის წყობილებად, სინამდვილეში არსებული სოციალური კონფლიქტები გადააქვთ ცნობიერების სფეროში და მათ ფესვებს ეძებენ ადამიანთა მიერ ერთი და იმავე სიტყვების განსხვავებულ გაგებაში“¹⁶².

2. ერავენული „ინტეგრაცია“ და 3. „საერთაშორისო ინტეგრაცია“, რომელსაც დასავლეთ გერმანიის ნეოლიბერალები „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობას უწოდებენ“.

გარდა ამისა, ეკონომიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება აგრეთვე გამოთქმები: „პოლიტიკური ინტეგრაცია“, „სამხედრო ინტეგრაცია“, „კულტურული ინტეგრაცია“ ანუ „ინტეგრირებული“ სოციალურ-კულტურული სისტემები“ და მრავალი სხვა¹⁶³. „ინტეგრაციის“ აპოლოგეტურ თეორიებში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს „ეკონომიურ ინტეგრაციას“¹⁶⁴.

„ინტეგრაციას“, როგორც სოციალურ-აპოლოგეტურ თეორიას, აქვს როგორც ეკონომიური, ასევე პოლიტიკური მხარე. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ როგორც წმინდა ეკონომიური მოვლენის განხილვა მცდარი აზრია; ამას აკეთებენ კაპიტალიზმის აპოლოგეტები. „ინტეგრაციაში“ ხდება ორივე ელემენტის — ეკონომიურისა და პოლიტიკურის შეხამება. ეს გამომდინარეობს თვით იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ბუნებიდან. საქმე ეხება სახელმწიფოთაშორის მონოპოლისტურ გაერთიანებას. „ინტეგრაციის“ პროცესში პოლიტიკა არ არის პასიური. იგი დომინირებს როგორც „ინტეგრაციის“ ფაქტორი¹⁶⁵. „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი მთავარ ყურადღებას აქცევს „ეკონომიურ ინტეგრაციას“, ხოლო ზოგიერთი — „პოლიტიკურ ინტეგრაციას“. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ყველა მხარე (ეკონომიური, პოლიტიკური) და ფორმა ისახავს ერთ საერთო მიზანს — სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას, სახელმწიფო-მონოპოლისტურა კაპიტალიზმის დაცვას. „ინტეგრაციონალისტთა“ მტკიცება, რომ კაპიტალისტები და მუშები, იმპერიალისტური და სუსტად განვითარებული ქვეყნები „პარტნიორები“ არიან, რომ თითქოს ისინი სხედან „ერთ ნავში“,¹⁶⁶ სოციალური დემაგოგიის ნიმუშია.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ მიზნად ისახავს, ჯერ ერთი, სუსტად განვითარებული ქვეყნების მორჩილებაში ყოფნას, მსხვილი მონოპოლიებისათვის ბაზრების თავისუფლებას, კაპიტალის მიერ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის გაძლიერებას. მონოპოლისტური მოგების უზრუნველყოფას. მეორეც, იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პოლიტიკური მიზანია კლასობრივი ბრძოლის უარყოფა, მარქსიზმის გამოცხადება „მოძველებულად“, საერ-

თაშორისო მუშათა მოძრაობაში არეგ-დარევის შეტანა, ახალი ომის მომზადება, ანტიკომუნისტური პროპაგანდა.

ცნობილი შვედი ეკონომისტი, „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსი გ. მიურდალი თითქოს ილაშქრებს კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, მოითხოვს სუსტად განვითარებული ქვეყნების განვითარების დაჩქარებას, მაგრამ საერთაშორისო ვაჭრობის „ლიბერალიზაციის“, „ეკონომიური ინტეგრაციის“, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პოზიციებიდან. ამ საკითხებზე მან მოხსენება გააკეთა ჰერ კიდეც 1954 წ. კოლუმბიის უნივერსიტეტში. ეს მოხსენება შემდგომ დაამუშავა, გააფართოვა და ცალკე წიგნად გამოსცა. კოლუმბიის უნივერსიტეტმა თავისი არსებობის 200 წლისთავზე მოაწყო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მთავარი თემა იყო „ეროვნული პოლიტიკა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ კეთილდღეობის მიღწევის მიზნით“. გ. მიურდალის მოხსენების თემა კი იყო „თავისუფალი სამყაროს უფრო მჭიდრო ინტეგრირებული ეკონომიკისაკენ“.

გ. მიურდალი აცხადებს, რომ მისი მეთოდი, რომელსაც თვითონ უწოდებს „ანალიტიკურ მიდგომას“, იდეალისტურია. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომის შედეგად „ინტეგრაცია“ მან გამოაცხადა „მორალურ პრობლემად“, სოციოლოგიურ ცნებად. მეთოდოლოგიური საკითხები უფრო ფართოდ და სპეციალურად აქვს განხილული გ. მიურდალს 1955 წ. გამოქვეყნებულ წიგნში „ეკონომიური თეორია და სუსტად განვითარებული ქვეყნები“.

გ. მიურდალის შეხედულებათა დახასიათებაზე ასე ვერცლად ჩვენ იმიტომ ვჩერდებით, რომ იგი ფართოდ განიხილავს „ინტეგრაციის“ საკითხებს. მისი წიგნებიც ამ საკითხების გაშუქებას ეძღვნება. მაგალითად, მიურდალის წიგნი „მსოფლიო ეკონომიკა“ 14 თავისა და დანართებისაგან შედგება. პირველ თავში — „საერთაშორისო ეკონომიური დეზინტეგრაცია“¹⁶⁷ — ავტორი განსაზღვრავს და განასხვავებს „ინტეგრაციას“ და „დეზინტეგრაციას“. II თავისათაურია „თვალსაზრისი“. III თავში — „ეროვნული ინტეგრაცია“ განხილულია სუსტად განვითარებული ქვეყნების, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ საკითხები, IV თავში კი — „ეროვნული ინტეგრაცია საერთაშორისო ინტეგრაციის წინააღმდეგ“.

განსაკუთრებით დაღ ყურადღებას აქცევენ „ინტეგრაციონალისტები“ „დეზინტეგრაციასა“ და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

„დეზინტეგრაცია“ არ არის მეცნიერული ცნება.¹⁶⁸ ბურჟუაზიული ეკონომისტები „დეზინტეგრაციის“ დელიკატური ცნებით

ცდილობენ კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა მიჩქმალვას. „ინტერაციონალიზმები“, მართალია, აღიარებენ „დეზინტეგრაციას“, ე. ი. „ინტეგრაციის“ საწინააღმდეგო პროცესს, მაგრამ შესაძლებლად თვლიან იმპერიალიზმის წყლულებისა და მანკიერებათაგან კაპიტალიზმის განთავისუფლებას, „გაჯანსაღებას“. რა თქმა უნდა, „ინტეგრაციისა“ და „დეზინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა შორის არის ერთგვარი განსხვავება. მაგალითად, გ. მიურდალი უმთავრესად ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პოზიციებიდან განიხილავს დასახელებულ საკითხებს და ზოგჯერ გამოთქვამს კიდევაც საინტერესო ხასიათის მოსაზრებას, როგორც „ინტეგრაციის“, ისე „დეზინტეგრაციის“ შესახებ. დიდ ადგილს უთმობს „ინტეგრაციისა“ და „დეზინტეგრაციის“ ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს ნეოლიბერალი ვ. რეპკე. ვერც იგი უარყოფს „დეზინტეგრაციის“ ფაქტს ნაცვლად „ინტეგრირებულის“ ევროპისა.¹⁶⁹ „დეზინტეგრაციას“ აღიარებს აგრეთვე ე. პოისი¹⁷⁰ და სხვ.

გ. მიურდალის წიგნის მომდევნო, V თავში ლაპარაკია დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ მნიშვნელობაზე, VI-ში — საერთაშორისო გადასახლებაზე, VII-ში — სამუშაო ძალის მობილურობაზე, VIII-ში — კაპიტალის მობილურობაზე, IX-ში — საერთაშორისო დახმარებაზე, X-ში — ცივი ომის შედეგებზე, XI-ში — განხილულია მოძრაობა დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის, XII-ში — ეროვნული ინტეგრაცია სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, XIII-ში — სუსტად განვითარებული ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკა და, ბოლო, XIV თავში — მსოფლიო, რომელიც მიცურავს ტალღების ბედის ანაბარა.

გ. მიურდალი ერთიმეორისაგან განასხვავებს 1. „ეროვნულ ინტეგრაციას“, ე. ი. „ინტეგრაციას“ ერთი ქვეყნის მასშტაბით, ქვეყნის შიგნით, რომელსაც უწოდებს აგრეთვე „ქვეყნის ინტეგრირებას“; 2. „საერთაშორისო ინტეგრაციას“ — მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის მასშტაბით — ყველა კაპიტალისტური ქვეყნის („არასაბჭოთა სამყარო“) „ინტეგრირებას“, ერთ მთლიან ეკონომიურ ერთეულად გაერთიანებას. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსი ვ. რეპკეც განასხვავებს „ეროვნულ ინტეგრაციასა“ და „საერთაშორისო ინტეგრაციას“. „ეროვნული ინტეგრაციის“ ცნება რეპკესთან გვხვდება სახელწოდებით „ინტეგრაცია ქვეყნით“¹⁷¹.

„ეროვნული ინტეგრაციის“, ე. ი. ცალკეული ქვეყნის ჩარჩოებში გატარებული „ინტეგრაციის“ ქვეყნად, „ინტეგრირებულ ქვეყნად“ მიურდალი ასახელებს ჩრდილო-დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს, აგრეთვე ავსტრალიასა და ახალ

ზელანდიას, რომლებსაც, გ. მიურდალის აზრით, უკვე გაუვლიათ „ინტეგრაციის“ პროცესი. „ყველა ამ ქვეყანამ შედარებით სრულ ინტეგრაციას ახლახან მიაღწია. 100 წლის წინათ არც ერთი ეს ქვეყანა არაფრით არ იყო ახლოს სოციალურ და ეკონომიურ ინტეგრაციასთან, მაგრამ უკანასკნელ 50 წელიწადში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა“¹⁷².

თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიასა და სოციოლოგიაში ძალიან გახშირდა ლაპარაკი „ეროვნულ ინტეგრაციაზე“, „ინტეგრაციაზე ქვეყნის შიგნით“. ამ ტერმინმა ფართო გავრცელება პოვა დასავლეთ გერმანიაში. გერმანელი ფაშისტებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ „ინტეგრაციას“ და ამ ცნებად გულისხმობდნენ იდეების, ორგანიზაციების უნიფიკაციას, გაერთიანებას, კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის „გაქრობას“.¹⁷³

თანამედროვე ამერიკელი ბურჟუაზიული სოციოლოგები დრუკერი და მეიო აცხადებენ, რომ „საზოგადოების ნორმალურ მდგომარეობას წარმოადგენს „ინტეგრირებული“ მდგომარეობა“.¹⁷⁴ ისინი გამორიცხავენ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არსებობას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და ქადაგებენ „სოციალურ ინტეგრაციას“. „სოციალური ინტეგრაცია“ მოგვაგონებს ფაშისტური სისტემის კონცეფციებს „საწარმოო ერთიანობის“, „უნიფიკაციის პოლიტიკის“, „ფიურერებისა და მათი ხელქვეითების გაერთიანებისა“ და სხვათა შესახებ. „თუ ფაშისტის დროს ამის მიღწევას ცდილობდნენ ძალადობით, ამჟამად „ინტეგრაციის“ დახმარებით ცდილობენ ყოველი მოქალაქის დამორჩილებას არა მარტო იმ საწარმოს ინტერესებისადმი, რომელშიც მოქალაქე მუშაობს, არამედ მთელი მონოპოლისტური წყობილებისადმი“.¹⁷⁵ „სოციალური ინტეგრაცია“, ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და სოციოლოგების ტერმინოლოგიით, არის „ერის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობა“.¹⁷⁶ მათივე განცხადებით „სრულყოფილი ინტეგრაცია“ ჭერჭერობით არაა მიღწეული. „საზოგადოების ფუნქციონალური თეორიის“ დამცველები, ბურჟუაზიული სოციოლოგები და ეკონომისტები თვითონვე აღიარებენ, რომ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება, ან როგორც ისინი უწოდებენ „თავისუფალი სამყარო“ შორსაა „სრულყოფილი ინტეგრაციისაგან“, „სოციალური ინტეგრაციისაგან“ და გაჟღენთილია „დეზინტეგრაციით“.¹⁷⁷

ძნელი შესამჩნევი არაა ის ფაქტი, რომ „ინტეგრაციას“ გ. მიურდალი უკავშირებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის — იმპერიალიზმის სტადიას. „ინტეგრირებული“, „ცივილიზებული“ ქვეყნების განვითარების მამოძრავებელ ფაქტორად იგი აცხადებს

პროტესტანტიზმს, ლუთერიანობასა და კალვინიზმს. ისე გამოდის-
რომ ის ქვეყნები. სადაც მოსახლეობის უმრავლესობას პროტეს-
ტანტები შეადგენენ. აუცილებლად „მაღალინტეგრირებული“ ქვეყ-
ნები არიან.

იაპონია ინდუსტრიული ქვეყანაა. გ. მიურდალის სიტყვებით
რომ ვთქვათ, იაპონია „მაღალინტეგრირებული“ ქვეყანაა, მაგრამ
იაპონელები (უმრავლესობა) არც პროტესტანტები, არც კალვინის-
ტები და არც ლუთერიანელები არიან. იაპონიის მოსახლეობიდან
(90 მილიონიდან) 56 მილიონი სინტოსტები¹⁷⁸ არიან, ხოლო
30 მილიონი — ბუდისტები.¹⁷⁹ აი როგორ „საყრდენებზე“ დგას
„ინტეგრაციის“ აპოლოგეტური თეორია.

„ეროვნული ინტეგრაციის“, „ზეინტეგრირებული“ ქვეყნების
ტიპურ მაგალითად გ. მიურდალი ასახელებს თავის ქვეყანას შვე-
ციას, სადაც თურმე „ინტეგრაციამ“ მოსპო სილატაკე, აღარაა კლას-
ები და კლასობრივი ბრძოლა. „ინტეგრაციის“ თეორიაზე დაყრდ-
ნობით გ. მიურდალი მიდის კლასთა ბრძოლის უარყოფამდე, „სა-
შუალო ფენის ნიველირებული საზოგადოების“ აღიარებამდე. იგი
კლასობრივ წინააღმდეგობათა და კონფლიქტების „გაქრობას“
აღნიშნავს ტერმინით „ეკონომიური ინტეგრაცია“, — წერს.
5. ირიბაჩაკოვი.¹⁸⁰

მიემართოთ ფაქტებს. შვეცია ინდუსტრიულ-აგარარული ქვე-
ყანაა, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ზოგიერთი მომენტი.
სახელდობრ, საცალო ფასები შვეციაში 1957 წელს 10%-ით გაი-
ზარდა 1953 წელთან შედარებით, ხოლო ცხოვრების ღირებულე-
ბა — 13%-ით; მარტო 1957 წ. შვეციაში იყო 23500 უმუშევარი
(მოსახლეობის საერთო რაოდენობა 7368 ათასია); მარტო 1955
წელს 17-ჯერ მოხდა გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა 3 800
შვედი მუშა, ხოლო 10 წლის მანძილზე (1948—1957 წწ.) გაფიც-
ვათა რაოდენობამ 231-ს მიაღწია. იქნებ გვისაყვედურონ, რომ ეს
წველი ცნობებია. მაგრამ ეს ცნობები ეხება იმ პერიოდს, როცა
მიურდალის წიგნი გამოქვეყნდა (1956 წ.), მოგვეყავს აგრეთვე უახ-
ლესი ცნობებიც.

1963 წ. დასაწყისში გაიფიცნენ ნორვეგიელი მეთევზე მუშები.
რომლებიც მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, შრომის პირობე-
ბის გაუმჯობესებას. ნორვეგიელ კაპიტალისტებს დახმარება
აღუთქვა შვეციამ. შვეციის მმართველმა წრეებმა ვალდებულება
იკისრეს თევზი მიეწოდებინათ ნორვეგიისათვის შვეციიდან, მაგრამ
შვეციის მუშათა კლასი, შვეციის მეთევზეები პროტესტით გამოვი-
დნენ. მათ განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ „თავიანთ ნორ-
ვეგიელ კოლეგებს“.

1962 წელს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა სა-
შუალო თვიური რაოდენობა 10 ათასს¹⁸¹ შეადგენდა. 1963 წლის
ნოემბრის ბოლოს გაფიცვა მოაწყო შვეციის ხელოვნების მუშაკთა
დიდმა ჯგუფმა. მათ უარი განაცხადეს მუშაობაზე, თუ 1 დეკემბრი-
დან არ მოემატებოდათ ხელფასი. როგორც ვხედავთ, შვეცია „სა-
ყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ კი არ არის, არამედ ტი-
პური კაპიტალისტური ქვეყანაა, რაშიც შეიძლება დავიმოწმოთ
თვით გუნარ მიურდალის თანამემამულე იან მიურდალი — შვედი
პროგრესული მწერალი და პუბლიცისტი. იგი აღნიშნავს, რომ შვე-
ცია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანაა, რომელიც კრიზი-
სის წინაშე დგას. ქვეყნის პროლეტარიატი შედის კლასობრივი
ბრძოლის ახალ ფაზაში. „შვეციის პროლეტარიატს მეტი აღარ
შეუძლია მოითმინოს უმუშევრობა“, შვეციაში ადგილი აქვს კაპი-
ტალის კონცენტრაციას, მილიტარიზაციას; „დგება საკითხი ხელი-
სუფლების რევოლუციის შესახებ“, — დასკვნის იან მიურდალი¹⁸².
ასე ესმით „ინტეგრირებული ქვეყანა“ „ეროვნული ინტეგრაციის“
თეორეტიკოსებს.

„ეროვნული ინტეგრაციისაგან“ განასხვავებენ „საერთაშორისო
ინტეგრაციას“¹⁸³. „საერთაშორისო ეკონომიური ინტეგრაცია“, —
წერს გ. მიურდალი, — წარმოადგენს თანაბარ შესაძლებლობათა
იმავე იდეალის განხორციელებას სხვადასხვა ეროვნების ხალხთა
შორის“¹⁸⁴.

გ. მიურდალი, განასხვავებს რა „ეროვნულ ინტეგრაციასა“ და
„საერთაშორისო ინტეგრაციას“, წერს, რომ „ეროვნული ინტეგრა-
ცია“ ზოგჯერ ეწინააღმდეგება „საერთაშორისო ინტეგრაციას“,
ხელს უშლის ამ უკანასკნელის განხორციელებას. იგი მოითხოვს
„ეროვნული ინტეგრაციის“ სწრაფად განხორციელებას, ხოლო „სა-
ერთაშორისო ინტეგრაცია“ მომავლის იდეალად მიაჩნია. გ. მიურ-
დალი ერთიმეორეს უპირისპირებს „ეროვნულ ინტეგრაციასა“ და
„ეკონომიურ ნაციონალიზმს“. მისი აზრით, „ეროვნული ინტეგრა-
ცია“, ე. ი. „ინტეგრაცია“ რომელიმე ქვეყნის შიგნით, იწვევს „ეკონ-
ომიურ ნაციონალიზმს“ და ამით ხელს უშლის „საერთაშორისო
ინტეგრაციის“ პროცესის განხორციელებას. „ეკონომიური ნა-
ციონალიზმის“ გაძლიერებას კი ხსნის 1929—1933 წლების ჭარბ-
წარმოების ეკონომიური კრიზისის მიერ გამოწვეული წინააღმდე-
გობებით.

გ. მიურდალი სინანულს გამოთქვამს, რომ დიდი დეპრესიის (ასე
უწოდებენ 1929—1933 წლების ჭარბწარმოების ეკონომიურ კრი-
ზისს) დაწყების შემდეგ კაპიტალის. საქონლის, მუშახელისა და

სხვათა თავისუფალი გადანაცვლება და მოძრაობა ერთი რაიონიდან მეორეში შეიზღუდა ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ გატარებული პროტექციონისტული პოლიტიკით. ამას იგი უწოდებს „დეზინტეგრაციას“. „დეზინტეგრაციის“ საწინააღმდეგო და „ინტეგრაციის“ უზრუნველყოფის ერთ-ერთ ღონისძიებად მიურდალი თვლის საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ფრიტრედერობაზე გადასვლას. ვ. რეპკე დაეინებით მოითხოვს „ექსპედიციისა“ და „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ გაერთიანებას¹⁸⁵.

ამრიგად, „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განხორციელების პირობად „ინტეგრაციონალისტები“ ფრიტრედერული პოლიტიკის გატარებას თვლიან, ხოლო პროტექციონიზმის პოლიტიკა „დეზინტეგრაციის“ გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორად მიაჩნიათ. ამიტომ, ბუნებრივია, „ინტეგრაციონალისტთა“ მოთხოვნაა პროტექციონიზმის შეცვლა „ვაჭრობის თავისუფლების“ ლოზუნგით ანუ, როგორც ხშირად უწოდებენ მას, სავაჭრო პოლიტიკის „ლიბერალიზაციით“¹⁸⁶. პროტექციონიზმის შეცვლა „ვაჭრობის თავისუფლებით“, „ეკონომიური ნაციონალიზმისა“ — „ეროვნული ინტერესების კონსოლიდაციით“, „დეზინტეგრაციის“ დაძლევა — აი ის გზა, რომლითაც „ინტეგრაციონალისტები“ ცდილობენ „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განხორციელებას.

„საერთაშორისო ინტეგრაციის“ გატარების მიზნით „ინტეგრაციონალისტები“ (მაგალითად, ვ. რეპკე) მოითხოვენ ეროვნული სახელმწიფოების საზღვრების წაშლას და, მაშასადამე, „მსოფლიო სახელმწიფოს“ — „ზესახელმწიფოს“¹⁸⁷ — „ინტეგრირებული სამყაროს“ შექმნას. ზოგჯერ იქმნება მოჩვენებითი შთაბეჭდილება, რომ თითქოს „ინტეგრაციის“ ზოგიერთი პროპაგანდისტი, მაგალითად, გ. მიურდალი, ვიწრო ნაციონალისტური შეზღუდულობის წინააღმდეგია და ინტერნაციონალიზმის მომხრე. მიურდალი „დეზინტეგრაციისა“ და „ავტარკიის“¹⁸⁸ მტერია. იგი წერს: „საერთაშორისო დეზინტეგრაცია ასაზრდოებს ნაციონალურ ავტარკიას, რომელიც თავის მხრივ მოქმედებს საერთაშორისო დეზინტეგრაციის შემდგომი გაძლიერების მიმართულებით, ეს პროცესი ატარებს კუმულაციურ ხასიათს“¹⁸⁹.

გ. მიურდალი წინააღმდეგობაში ვარდება. ჯერ ერთი, იგი იწოდებს „ინტეგრაციას“ და ამ მიზნით მოითხოვს საერთაშორისო ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“. მეორე, და რაც აგრეთვე მთავარია, „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განხორციელებას საქმეში იგი განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიოს დიდ ქვეყნებს, 5 უმსხვილეს ინდუსტრიულ სახელმწიფოს. იგი აყენებს წინადადებას:

მოხდეს სოციალისტური სისტემისა და კაპიტალისტური სისტემის ბაზრების გაერთიანება ერთ მსოფლიო ბაზრად. „გაერთიანებული მსოფლიო ბაზრის შექმნაზე მუშაობა უსარგებლოა, — აცხადებს გ. მიურდალი, — თუ ეს ხუთი ქვეყანა არ იქნება თანახმა გახსნან საზღვრები სამრეწველო ნაწარმის იმპორტისათვის“¹⁹⁰.

აქ გ. მიურდალი სწორია ერთ რამეში, სახელდობრ, იმაში, რომ აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერ, განსაკუთრებით კი აშშ და „საერთო ბაზარი“ წინააღმდეგია სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებისა. იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა ბაზაზე შექმნილი კარდანშული ბლოკები ხელს უშლიან საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას. ამ კარდანშული ბლოკებით შექმნილ წინააღმდეგობებზე ლაპარაკობს გ. მიურდალი, მაგრამ ამას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. იგი იძლევა ღონისძიებათა სისტემას, რომლის საშუალებით ცდილობს „დეზინტეგრაციის“ დაძლევისა და „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განხორციელებას. „ჩვენ უნდა გავაკეთოთ დასკვნა, — წერს გ. მიურდალი. — რომ საერთაშორისო ინტეგრაცია თანამედროვე ეპოქაში მოასწავებს ეროვნული ბარიერების ლიკვიდაციას და მეტს არაფერს“.

იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგები სიტყვით საერთაშორისო ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“ მოითხოვენ, საქმით კი საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოების წინააღმდეგნი არიან. ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსი ვ. რეპკე — საერთაშორისო „ინტეგრაციისა“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ პროპაგანდისტი — პირდაპირ აცხადებს, რომ იგი წინააღმდეგია სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის გაშლისა და გაფართოებისა. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობას რეპკე თვლის „მომაკვდინებელ მტრად“. თავის სტატიაში — „კომუნისტური მეურნეობა“¹⁹¹ — იგი გამოდის საერთაშორისო ვაჭრობის გაშლისა და დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ.

სახელმწიფოთა შორის ეროვნული საზღვრების წაშლა, კოორდინაცია, ვაჭრობის თავისუფლება, მუშახელისა და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლება — აი „ინტეგრაციულ“ ღონისძიებათა სისტემა, რომლითაც ცდილობენ „საერთაშორისო ინტეგრაციის“ გატარებას. გ. მიურდალი, აღნიშნავს რა წინააღმდეგობას „ეროვნულ ინტეგრაციას“ (რომელიც აძლიერებს „ეკონომიურ ნაციონალიზმს“) და „საერთაშორისო ინტეგრაციას“ შორის, თავს იმით იმშვიდებს, რომ ასეთ ანალოგიას აკეთებს ლიტერატურულ რეცენზიასთან, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ ვაღიარებთ, რომ თვითეული პოემა ცალკე აღებული სუსტია, მაგრამ მთელ კრებულს, ერ-

თად აღებულს, შეიძლება წარმატება ჰქონდეს“. ეს, — დაასკვნის გ. მიურდალი, — ინტეგრაციისადმი მეტისმეტი რწმენის სიმბოლო-ზაციაა¹⁹².

მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ღრმა კრიზისის ერთ-ერთი გამოვლინებაა ამ მეურნეობაში ყველა ხალხის გაერთიანების ტენდენციის შეცვლა საწინააღმდეგო ცენტრიდანული ტენდენციით, რაც გამოიხატება ეროვნულ და რეგიონალურ განკერძოებულობაში¹⁹³. მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში არის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: ერთი — გაერთიანებისა, „ინტეგრაციისა“ — და მეორე — განკერძოებულობისა, ავტარკიისა, „დეზინტეგრაციისა“, ე. ი. მოქმედებენ როგორც ცენტრისკენული ძალები, ასევე ცენტრიდანული ძალები. ამ ძალებიდან უფრო ძლიერია ცენტრიდანული, რაც აიხსნება კაპიტალიზმის საერთო კრიზისით გამოწვეული ანტაგონისტური წინააღმდეგობებით. რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერდება „დეზინტეგრაცია“, რომელიც ძლევს „ინტეგრაციას“. მართალია, არის „ინტეგრაციის“, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მეურნეობის ერთ მთლიან ერთეულად გაერთიანების ტენდენციაც, მაგრამ, ე. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ ეს მოხდებოდეს, „იმპერიალიზმი უნდა გასკდეს“. გარდა მიურდალისა, სხვებიც (ე. რეპკე, ე. ჰოისი) თვლიან, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი „დეზინტეგრაციის“ პროცესშია. მწარე, მაგრამ სწორი აღიარებაა. ისინი მოითხოვენ „დეზინტეგრაციის“ საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას, „დეზინტეგრაციის“ დაძლევას. ზოგიერთი მათგანი დიდ როლს აკისრებს საერთაშორისო ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“, „ვაჭრობის თავისუფლებას“, ფრიტრედერული პოლიტიკის გატარებას. უ. ლიპმანი „არასაბჭოთა სამყაროს“ ქვეყნების „ინტეგრირებისათვის“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „თავისუფალ მეწარმეობასა“ და „თავისუფალ ვაჭრობას“. ეკონომიური ლიბერალიზმის მოდერნიზებული პრინციპებით ოცნებობს იგი „ერთიანი ლიბერალური და პროგრესული ეკონომიური“ სისტემის შექმნაზე. „მე მგონია, — წერდა იგი 1962 წლის დასაწყისში, — რომ უახლოეს თვეებში ჩვენ ხელს მოვკიდებთ ხანგრძლივი, რთული, ამავე დროს შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტას — ყველა იმ სავაჭრო ქვეყნის ერთ მთლიან ლიბერალურ და პროგრესულ ეკონომიურ გაერთიანებად, რომლებიც არ ეკუთვნიან კომუნისტურ ბანაკს“¹⁹⁴.

„ინტეგრაციის“ საკითხების მეორე სპეციალისტი გ. მიურდალი, მართალია, ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“ დიდ როლს აკისრებს, „საერთაშორისო ინტეგრაციის“ საქმეში, მაგრამ ეს ღონისძიება

არ მიაჩნია საკმარისად. „არ შეიძლება მოველოდეთ, რომ მარტო საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია საკმარისია, რათა რადიკალურად შეიცვალოს აშკარა საერთაშორისო დეზინტეგრაციის მდგომარეობა“¹⁹⁵.

უფრო „მემარცხენე“ იდეებით გამოდის ლ. ერჰარდი. იგი „აკრიტიკებს“ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ზოგიერთ მხარეს. ლ. ერჰარდი, როგორც ნეოლიბერალური სკოლის წარმომადგენელი. უკმაყოფილოა იმით, რომ „საერთო ბაზარი“ მეტისმეტად „ბიუროკრატიულია“ და მეტად მცირედაა ლიბერალური. მას „ინტეგრაციის“ საკუთარი გეგმა აქვს. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ გეგმის ერჰარდისეული ვარიანტი გულისხმობს „საერთო ბაზრის“ სტრუქტურის შეცვლას უფრო მეტად ლიბერალური მიმართულებით¹⁹⁶.

„ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა კომისიებსა და ორგანოებს „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განხორციელების საქმეში. მაგალითად, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ „საერთაშორისო სავალუტო ფონდს“ (1947 წ.), „სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას“¹⁹⁷, „ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციას“¹⁹⁸ და სხვ. საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ დასახელებული ორგანიზაციები უმთავრესად ასრულებენ აშშ-ის მიერ ჩაქარნახევ ღონისძიებებს და ემსახურებიან ნეოკოლონიალიზმის დაფარვასა და შენარჩუნებას.

„ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები მიდიან „მსოფლიო სახელმწიფოს“, როგორც „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“, აპოლოგეტური თეორიის აღიარებამდე. გ. მიურდალი თვლის, რომ „ინტეგრირებული“ ქვეყნები სწრაფად მიდიან „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსაკენ“. „ხესახელმწიფოს“, „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნის ერთ-ერთ საფეხურად იგი თვლის „საერთო ბაზარს“ — დასავლეთ ევროპის „ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას“. მას შესაძლებლად მიაჩნია მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის „ინტეგრირება“ და „უკლასო“ „ხესახელმწიფოს“ შექმნა. ნეოლიბერალიზმის ლიდერებიც არ კმაყოფილდებიან „ევროპის შეერთებული შტატებით“ და მოითხოვენ „მსოფლიოს შეერთებულ შტატებს“. „რეპკე, ერჰარდი და სოციალური საბაზრო მეურნეობის სხვა თეორეტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში შეერთებული შტატების უდიდეს მნიშვნელობას“¹⁹⁹.

ვ. ი. ლენინი, აკრიტიკებდა რა „ევროპის შეერთებული შტატე-

ბის“ ლოზუნგს, წერდა, რომ შეუძლებელია კაპიტალისტური მეურნეობისა და ქვეყნების თანაბარი, გეგმაზომიერი განვითარება. ამიტომ „ევროპის შეერთებული შტატებისა“ და, მით უმეტეს, „მსოფლიო შეერთებული შტატების“ იდეა კაპიტალიზმის პირობებში მკაცრად გააკრიტიკა და უკუაგდო ვ. ი. ლენინმა. „მსოფლიოს (და არა ევროპის) შეერთებული შტატები წარმოადგენენ ერების გაერთიანებისა და თავისუფლების იმ სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელსაც ჩვენ სოციალიზმს ვუკავშირებთ, — სანამ კომუნისმის სრული გამარჯვება არ გამოიწვევს ყოველგვარი, მათ შორის აგრეთვე დემოკრატიული, სახელმწიფოს საბოლოოდ გაქრებას... შეუძლებელია კლასების მოსპობა ისე, თუ არ დამყარდა ჩაგრული კლასის, პროლეტარიატის დიქტატურა... ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგი სწორი არ არის... ეს არის რეაქციული ლოზუნგი“²⁰⁰.

ამრიგად, „ევროპის შეერთებული შტატები“ — კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაცია“ — და, მით უმეტეს „მსოფლიო შეერთებული შტატები“ — კაპიტალისტური ქვეყნების „ინტეგრაცია“ — „საერთაშორისო ინტეგრაცია“ შეუძლებელია. მხოლოდ კომუნისმის გამარჯვება მსოფლიოს მასშტაბით შექმნის პირობებს მთელი მსოფლიო ეკონომიკის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარებისათვის.

ამჟამად ჩანს, რომ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ აპოლოგეტურ თეორიას აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური მხარეც. „ინტეგრაციონალისტთა“ ერთი ნაწილი ამ მეორე მხარეს (პოლიტიკურს) გვერდს უვლის და, ზოგორც ვთქვით, ყურადღებას ამახვილებს „ინტეგრაციის“ „ტექნიკურ მხარეებზე“. „ინტეგრაციონალისტთა“ მეორე ნაწილი კი, იმპერიალისტური ბურჟუაზიის, მონოპოლისტური კაპიტალის რეაქციული იდეოლოგები, არც კი ფარავს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პოლიტიკურ მიზანდასახულებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგეტები. ისინი, მოითხოვენ რა მთელი კაპიტალისტური ეკონომიკის გაერთიანებას ერთ მთლიან სამეურნეო ერთეულად — „საერთაშორისო ინტეგრაციად“, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ეკონომიურ გაერთიანებასთან, „ეკონომიურ ინტეგრაციასთან“ ერთად საჭიროა პოლიტიკური გაერთიანებაც, „მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა“.

გ. მიუხრდალნი, რომელიც ამ ბოლო ხანებში იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ კრიტიკითაც კი გამოდის, „საერთაშორისო ინტეგრაციის“ იდეალს უკავშირებს „მსოფლიო დემოკრატიული სახელ-

მწიფოს შექმნას. როგორც ვხედავთ, გ. მიურდალის „საერთაშორისო ინტეგრაციის“ იდეალი იმით განსხვავდება სხვა ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და სოციოლოგების იდეალისაგან, რომ მან „მსოფლიო სახელმწიფოს“ ნაცვლად წამოაყენა „მსოფლიო დემოკრატიული სახელმწიფოს“ იდეა, ე. ი. ჩაუმატა სიტყვა „დემოკრატიული“. „თუ განვიხილავთ საერთაშორისო ინტეგრაციას, როგორც იდეალს, — წერს გ. მიურდალი, — მაშინ შესაბამის პოლიტიკურ ფორმას, დაყვანილს მის ლოგიკურ სრულყოფამდე, წარმოადგენს მსოფლიო სახელმწიფო მსოფლიო მთავრობის ძალაუფლების ქვეშ. ეს მთავრობა კონტროლს გაუწევს უშუალოდ ან არაპირდაპირ მთელ მოსახლეობას დემოკრატიული მეთოდებით“²⁰¹. ასეთია „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნის იდეა, რომელიც „კონტროლს გაუწევს მთელი მსოფლიოს ეკონომიკასა და პოლიტიკას დემოკრატიული მეთოდებით“. ასეთ იდეალზე მიუთითებდა სწორედ ვ. ი. ლენინი, რომ იგი განუხორციელებელი, უტოპიურია. რეაქციულია კაპიტალიზმის პირობებში.

ასეთი „იდეალებით“ იწყებს გამოსვლა გერმანელმა ფაშისტებმაც. ჰიტლერული გერმანიის გიჟური გეგმა „მსოფლიოზე გაბატონებისა“ თითქმის არაფრით არ განსხვავდება იმპერიალისტური „საერთაშორისო ინტეგრაციის“ იდეალისაგან. იდეალები და მიზნები არ შეცვლილა. შეიცვალა მათი პროპაგანდის ფორმები. ცნობილი გერმანელი პუბლიცისტი როლფ გუტერმუტი თავის სტატიაში — „ახალი წესრიგი“ თანამშრომლობის ნიღბის ქვეშ²⁰² — ფაქტებით ამტკიცებს, რომ რაინისა და რურის მაგნატები „მშვიდობიანი“ გზით აღწევენ იმას, რაც ჰიტლერის დროს ვერ მოახერხეს იარაღის ძალით. დასავლეთ გერმანიის კონცერნებისათვის „ინტეგრაცია“ და „ბონ-პარიზის ღერძი“ ფაქტიურად წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შედეგების რევიზიის ცდას. დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალი „ინტეგრაციის“ დროშით ცდილობს „ახალი წესრიგის“ დამყარებას ევროპაში.

ევროპის „ინტეგრაციის“ უშუალო შედეგი შეიძლება იყოს გერმანელების მიერ დასავლეთ ევროპის „ჩუმი“ ოკუპაცია, ე. ი. იქმნება საშისროება ახალ ფორმაში ჰიტლერული „ახალი წესრიგის“ დამყარებისა, — შენიშნავს ჯემს ალენი²⁰³. „რევანშიზმი და დღევანდელი საზღვრების გადასინჯვა ევროპაში ფედერალური რესპუბლიკის ოფიციალური სახელმწიფო დოქტრინა გახდა“²⁰⁴. ახლა გფრ-ის იმპერიალიზმი იმიტომ იცავს თავგამოდებით „ინტეგრაციის“ ლოზუნგს, რომ იგი ეხმარება მას „მშვიდობიანი“ გზით „ახალი წესრიგის“ დამყარებაში. ჰ. ბრენტანომ აღნიშნა, რომ ევროპის

ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელების მეორე ეტაპზე ვართო. პირველი ეტაპი, მისი აზრით, მოიცავს ელბამდე არსებული ტერიტორიის „ინტეგრირებას“ ნატოსთან, ხოლო მეორე ეტაპზე იგი მოითხოვს „ინტეგრირებას“ ოდერამდე²⁰⁵. ასე გამოიყურება „ინტეგრაციონალისტთა“ „ცივი ოკუპაცია“, „მშვიდობიანი საშუალებებით“²⁰⁶.

მონოპოლისტური „ინტეგრაციის“ მედროშემ, დასავლეთ გერმანიის რეაქციული წრეების წინამძღოლმა პროფ. ვ. ჰალშტაინმა, „ურალამდე ევროპის ინტეგრაციის“ თეორეტიკოსმა, წამოროშა კიდევ: დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ ურალის მთებამდე უნდა გავრცელდესო. ცნობილი ჰანგებია. მიზნები ძველი დარჩა, ცვლილება მოხდა მეთოდებში. განსხვავება იმაშია, რომ გერმანელმა ფაშისტებმა ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს მსოფლიოზე გაბატონების თავიანთი გიჟური გეგმის განხორციელება, დასავლეთგერმანელი რევანშისტები კი ჭერჭერობით „ინტეგრაციის“ აპოლოგეტურ თეორიას, „საერთო ბაზრის“ ყალბ დროშას ამოფარებულნი ცდილობენ იმის მიღწევას, რაც მათმა წინამორბედებმა ვერ განახორციელეს. რაც გერმანელ ფაშისტებს სურდათ მეორე მსოფლიო ომის დროს ძალადობის გზით, იმავე მიზნებს ისახავენ ფერის იმპერიალისტები ამჟამად ნატოს, „ევროპის ეკონომიური გაერთიანების“, „ევრატომის“, „ინტეგრაციისა“ და სხვა ამგვარი საშუალებებით.

ვ. ჰალშტაინს არც გენერალი დე გოლი ჩამორჩება. დე გოლის „გეგმითაც“ „ინტეგრირებული ევროპა“ უნდა გრძელდებოდეს „ატლანტიკიდან ურალამდე“. გენერალ დე გოლის მტრობა სოციალისტური სისტემისადმი ახალი არ არის. იგი ჭერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წლის 24 ივნისს, ლონდონში მყოფი თავისუფალი საფრანგეთის დელეგაციისადმი იერუსალიმიდან გაგზავნილ დეპეშაში მიუთითებდა „საბჭოთა რეჟიმის მანკიერებებსა და დანაშაულზე“²⁰⁷. მაშინ დე გოლი აუცილებლად თვლიდა სსრ კავშირთან მეგობრობას გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ომში, ფაშისტებისა, რომლებსაც ეკუთვნით იდეა „ურალამდე ინტეგრაციისა“. დღეს კი ეს დე გოლი თანამშრომლობს და მეგობრობს გერმანელ რევანშისტებთან. იგი მოითხოვს იმას, რასაც მოითხოვდნენ ფაშისტების თეორეტიკოსები და თვით ფაშისტები. ჭერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე „იგ ფარბენინდუსტრის“ ქიმიური იმპერიის შექმნილი დუისბურგი წერდა: „საჭიროა ისეთი მკიდრო ეკონომიური ბლოკის შექმნა, რომელიც გადაჭიმული იქნება ბორდოდან ოდესამდეო“?

ვ. ჰალშტაინმა ბრიუსელის მოლაპარაკებების შემდეგ პირდაპირ განაცხადა, რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანება მოითხოვს აგრეთვე „პოლიტიკურ ინტეგრაციასაც“, „საერთო ბაზრის“ „პოლიტიკურ ზედნაშენს“²⁰⁸. ვ. ჰალშტაინის ასეთი განცხადებები ახალი არ არის და, რაც მთავარია, ეს განცხადებები წარმოადგენენ ბონის მთავრობის ოფიციალურ შეხედულებებს. დასავლეთ გერმანიაში 1950 წ. ყოფილმა ჰიტლერელმა გენერლებმა და ოფიცრებმა შექმნეს ორგანიზაცია „ბრუდერშაფტი“, რომელმაც გამოაქვეყნა თავისი პროგრამა. პროგრამაში მითითებულია, რომ მთავარი მიზანია ევროპის ყველა ხალხის გაერთიანება, რომლებიც ატლანტიკიდან ურალამდე ცხოვრობენ²⁰⁹.

დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმი ახორციელებს კავშირს სხვადასხვა ემიგრანტული ორგანიზაციების რეაქციულ ხელმძღვანელობასთან. ფფრ-ის ტერიტორიაზე არსებობს 100-მდე ემიგრანტული ორგანიზაცია, რომელთა რეაქციული წრეები მოითხოვენ აგრეთვე „ინტეგრაციას ურალამდე“. აი ზოგიერთი ემიგრანტული ორგანიზაციის სახელწოდებაც: „რუსეთის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, „უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია“, „უნგრელი ფრონტელი მეზრძოლების ამხანაგობა“, „რუმინელი ფრონტელი მეზრძოლების კავშირი“ და სხვ²¹⁰.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ვ. ჰალშტაინი ადენაუერის საინფლო პირია და ადენაუერთან ერთად ავენტიც. იგი ევროპის „ინტეგრაციის“ ადენაუერისებური პოლიტიკის მაცნეა²¹¹. პროფ. ვ. ჰალშტაინი ადენაუერის²¹² სტატს-მდივანი იყო, როცა თავის უფროს პარტნიორთან ჩავიდა აშშ-ში და ჭერ კიდეც 1952 წელს წამოაყენა ურალამდე „ევროპის ინტეგრაციის“ გატარების იდეა. „ადენაუერის სტატს-მდივანმა პროფესორმა ჰალშტაინმა 1952 წლის 13 მარტს პრესკონფერენციაზე ვაშინგტონში განაცხადა, რომ ბონის მთავრობა ცდილობს ევროპის გაერთიანებას ურალამდე. ნაცისტური სულისკვეთებით გაუღნითილი პროვოკაცია საბაზი გახდა გაზეთ „პესიშე ნახრიხტენისათვის“ გაეკეთებინა ასეთი განცხადება: „ურალზე ოცნებობდა ერთხელ „დიდი სივრცის“ პოლიტიკის ერთი მომხრე. შედეგი იყო სტალინგრადი“... მაგრამ, მიუხედავად ისტორიის გამოცდილებისა, ბონელი პოლიტიკოსები განაგრძობენ ახალი „სასიცოცხლო სივრცის“ მოთხოვნასა და დაგეგმვას“²¹³. ამის ტიპური მაგალითია სწორედ „ჰალშტაინის დოქტრინა“²¹⁴. მონოპოლიების მსახურმა ვ. ჰალშტაინმა, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს მიღებული ჰიტლერული მთავრობის სხვადასხვა ხელმძღვანელ ორგანოებში, წამოაყენა ფფრ-ის მონოპოლისტური კაპიტალის ინტე-

რესების გამოხატველი იდეა („ჰალშტაინის დოქტრინა“). პროფესორ ჰალშტაინის დოქტრინის მიხედვით გერ-მა უნდა გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც ცნობენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას²¹⁵.

ხალხის მოტყუებისა და გაბრიყვების მიზნით, „ინტეგრაციის“ იმპერიალისტური არსის მისაჩქმალავად დასავლეთ გერმანიის რევანშისტები ხმაურს ტეხენ იმაზე, ვითომდაც მათ ემოქრება საფრთხე აღმოსავლეთიდან. მეტიც, ბონის კლერიკალური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა შრედერმა ამომრჩევლები დააშინა იმით, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი ცდილობს დასავლეთ გერმანიის დაპყრობას. „მას — საბჭოთა კავშირს სურს რური“²¹⁶.

ვ. ჰალშტაინმა, შრედერმა, ლ. ერჰარდმა, შტრაუსმა და თვით კ. ადენაუერმა უმატეს ასეთ განცხადებებს. დასავლეთ ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური „ინტეგრაცია“, ე. ი. ახალი ომის მომზადების დაწყება „ადენაუერის, ერჰარდისა და ქრისტიან-დემოკრატიის კავშირის — ქრისტიან-სოციალური კავშირის ნაცადი გუნდის“²¹⁷ ოცნებაა.

1961 წლის 14 ოქტომბერს ვ. ჰალშტაინი სიტყვით გამოვიდა შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში. მან განაცხადა: „...საერთო ბაზრის საბოლოო მიზნები დაკავშირებულია პოლიტიკურ პრობლემებთან... ევროპის ეკონომიური გაერთიანება მიისწრაფვის ეროვნული პოლიტიკურ-ეკონომიური ინსტიტუტების გაერთიანებისაკენ. ეს მიზანი, ბუნებრივია, — განაგრძობს ჰალშტაინი, — შეეხება კულტურულ და სოციალურ დარგებს, აგრეთვე თავდაცვასაც... სხვაგვარი დაყენება საკითხისა უნდა გამოირიცხოს“²¹⁸.

უფრო შორს იხედება და „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განხორციელებაზე ღღესაც ოცნებობს კ. ადენაუერი. მან ლაკონიურად და კონცენტრირებულად გამოხატა იმპერიალისტური „საერთაშორისო ინტეგრაციის“ მიზნები, როცა სიტყვით გამოვიდა ჰუნდესტაგში. კ. ადენაუერმა განაცხადა: „ევროპის ეკონომიური გაერთიანება, საერთო აზრით, წარმოადგენს ატლანტიკის გაერთიანების არსებით ელემენტს“²¹⁹. მასზე შორს მიდის და „გულახდილია“ ადენაუერის პარტიის ლიდერი გუტენბერგი. „საერთო ბაზარი“ ჩამოყალიბებულ იქნა, როგორც დასავლეთ ევროპის ყველა კაპიტალისტური ქვეყნის პოლიტიკური ბლოკის შექმნის ცდა. „ეკონომიური ინტეგრაციის“ აქვს პოლიტიკური ეფექტი; ეს ეფექტი მოქმედებს „აღმოსავლეთის ბლოკის“ წინააღმდეგ და ნატოს სასარგებლოდ“²²⁰. ახალმა კანცლერმა ლ. ერჰარდმა თავის სიტყვაში ბუნდესტაგის სხდომაზე 1963 წლის 18 ოქტომბერს განაცხადა, რომ

„ნატო არის გფრ-ის პოლიტიკის ქვაკუთხედი“²²¹. განა ამის შემდეგ საჭიროა იმის მტკიცება, რომ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციას“ იმპერიალისტურ-რევანშისტული ხასიათი აქვს? დასავლეთ-გერმანელი რევანშისტები „ინტეგრაციის“ ლოზუნგით ცდილობენ გერმანიის იმპერიალიზმის ძველი, გაკოტრებული აპოლოგეტური თეორიების („გეოპოლიტიკა“, „სასიცოცხლო სივრცის თეორია“, „ახალი წესრიგი ევროპაში“ და სხვ.) აღორძინებას. დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტები არც კი ფარავენ თავიანთ აგრესიულ მიზნებს, რომელთა განხორციელებას აპირებენ სწორედ „ევროპის ინტეგრაციის“ გზით²²².

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ „ეკონომიური ინტეგრაციის“ აპოლოგეტურ თეორიას ბევრი თავყანისმცემელი და დაპყველი ჰყავს „თავისუფალი მეწარმეობის“, განსაკუთრებით ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლებიდან. დასავლეთ გერმანიის ნეოლიბერალების იდეალია „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“. საგარეო ვაჭრობის „ლიბერალიზაცია“, „ძალთა თავისუფალი თავაშაპა“, „საბაზრო კონკურენცია“ და ა. შ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ეკონომიური ინტეგრაციის“ და „თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორია“ ერთი და იგივე არ არის. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ „ეკონომიური ინტეგრაცია“ არის „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ თეორეტკოსთა ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“, „საერთაშორისო ინტეგრაციის“ უზრუნველსაყოფად. „ინტეგრაცია და ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მასთან, ერთობ წინააღმდეგობრივი პროცესია. ერთი მხრივ, აქ არის იმპერიალისტთა მისწრაფება თავიანთ წინააღმდეგობათა შერბილებისა, ერთიანი ფრონტის შექმნისა სოციალიზმის, მუშათა მოძრაობისა და სუსტად განვითარებული ხალხების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ინტეგრაცია არის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის უთანხმოებათა გამწვავებისა და გაღრმავების ბაზა“²²³.

ნეოლიბერალები და „ინტეგრაციის“ სხვა თეორეტკოსები განაგებ გვერდს უვლიან იმ გარემოებას, რომ „ინტეგრაცია“ იმპერიალიზმის პერიოდში განუხორციელებელი ოცნებაა. მათ ავიწყდებათ, რომ „ინტეგრაციით“ იმპერიალიზმი ცდილობს შეზღუდოს ცალკეულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა სსრ კავშირთან და სოციალიზმის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის სფეროში. მოაწყოს საერთო-საგარეო-სავაჭრო აქციები სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ, თავისი დისკრიმინაციული სავაჭრო პოლიტიკით ზიანი მიაყენოს:

შას. ამრიგად, კარდახშული საეაქრო ბლოკები სოციალიზმის წინა-
აღმდეგ იმპერიალიზმის ეკონომიური ომის იარაღი ხდება“²²⁴.

„საერთო ბაზარი“, მონოპოლისტური „ინტეგრაცია“ არის
ანტისოციალისტური, რეაქციული ღონისძიება, ამიტომ მარ-
ქსიზმ-ლენინიზმი, კომუნისტური პარტიები თანმიმდევრულად იბრ-
ძვიან „საერთო ბაზრისა“ და მისი აპოლოგეტების წინააღმდეგ.²²⁵.

კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაცია“ — „საერთო ბაზარი“ როგორც იმპერიალისტებს შორის წინააღმდეგობათა კვანძი

I. „საერთო ბაზარი“ კაპიტალისტური ევროპის გათიშვის დაძლევის იმპერიალისტური გეგმა

„საერთო ბაზარი“ — ანუ ევროპის ეგრეთწოდებული „ინტეგრაცია“ დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვის საქმეში. „დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ მონოპოლისტური კაპიტალის ცდაა „შეარიგოს“ მეურნეობის კერძოკაპიტალისტური ფორმა საწარმოო ძალებთან, რომლებიც თავიანთ ზრდაში ეროვნულ საზღვრებს გასცდნენ. იმპერიალიზმი ცდილობს სახელმწიფო-მონოპოლისტურ ჩარჩოებში შეინარჩუნოს საწარმოო ძალები, რომლებიც გადაჭრით უკარნახებენ სოციალიზმზე გადასვლას“.¹

„ინტეგრაციას“ — „გაერთიანებას“ პრაქტიკულად ახორციელებს რიგი კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლისტური კაპიტალი. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ განხორციელების პრაქტიკული ნაბიჯია „საერთო ბაზრის“ შექმნა. „საერთო ბაზარი“ მონოპოლიების იარაღია. იგი იმპერიალისტთა კლასობრივი სოლიდარობის კონცენტრირებული გამოხატულებაა. „საერთო ბაზარი“² ანუ „ევროპის ეკონომიური გაერთიანება“³ სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანებაა. იმპერიალისტური სახელმწიფოების შეთანხმება გაერთიანების („ინტეგრაცია“) ლოზუნგით წარმოადგენს ბაზრების დანაწილების ახალ ფორმას.⁴ „საერთო ბაზარში“ შედის დასავლეთ ევროპის ექვსი კაპიტალისტური სახელმწიფო: გფრ, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. ამიტომ „საერთო ბაზარი“ ცნობილია „ექვსეულის“⁵ სახელწოდე-

ბითაც. „საერთო ბაზარს“ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში უწოდებენ აგრეთვე „მცირე ევროპას“.⁶ ეს ექვსი ქვეყანა, რომლებიც ევროპის „საერთო ბაზარს“ წარმოადგენენ, კლერიკალურ და „დიდი ბიზნესის“ მთავრობათა ხელში იმყოფება.⁷

შეთანხმება დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“, „ევროპის ეკონომიური გაერთიანების“ შესახებ ხელმოწერილ იქნა 1957 წლის 25 მარტს რომში. ამ შეთანხმებამ ოფიციალური ხასიათი მიიღო 1958 წლის 1 იანვრიდან. შეთანხმება ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც დასახელებული 6 კაპიტალისტური სახელმწიფოს პარლამენტებმა მოახდინეს მისი რატიფიკაცია.

გფრ-ის ბუნდესტაგმა ერთხმად მოიწონა რომის ხელშეკრულება. იტალიაში ხელშეკრულებას მხარი დაუჭირა 311 კაცმა. ხოლო წინააღმდეგი იყო 114, ბელგიაში მომხრე იყო 174, წინააღმდეგი — 4, პოლანდიაში მომხრე — 114 და წინააღმდეგი — 12; ლუქსემბურგში მომხრე — 46 და წინააღმდეგი — 3. საფრანგეთში „საერთო ბაზარში“ შესვლას ხმა მისცა 342 დეპუტატმა (სოციალისტები, კლერიკალები და სხვ.), ხოლო 234 დეპუტატი (კომუნისტები, მემარცხენე რადიკალები, „დამოუკიდებლები“ და სხვ.) წინააღმდეგ გამოვიდა.⁸

ამრიგად, იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პროგრამას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს თვით „ინტეგრირებული“ ქვეყნების პარლამენტებში. გამონაკლისს შეადგენს ბონის რეჟიმი. ესეც ლოგიკურია. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ გფრ-ის ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი მთავარი მოძღვრებაა, ნეოლიბერალიზმი კი ბონის კლერიკალურ-ფაშისტური რეჟიმის ოფიციალური სახელმწიფო დოქტრინაა.

„საერთო ბაზარი“ ანუ ევროპის ეკონომიური გაერთიანება „საერთაშორისო ინტეგრაციისაკენ“ გადადგმული ნაბიჯია⁹. მას წინ უძღოდა მონოპოლისტური კაპიტალის მიერ ნაკარნახევი სხვადასხვა მოსამზადებელი ღონისძიებანი. საკმარისია მოვიგონოთ „მარშალის გეგმა“, რომელიც 1948 წლის გაზაფხულიდან 1952 წლის დასაწყისამდე მოქმედებდა.¹⁰ „მარშალის გეგმის“ განხორციელების პერიოდში იყო იმის ცდები, რომ დასავლეთ ევროპაში შექმნილიყო სხვადასხვა რეგიონალური ეკონომიური კავშირები, ცხადია, სამხედრო-პოლიტიკური მიზნებითაც.

„მარშალის გეგმა“, ხოლო შემდეგ „ერთობლივი უშიშროების უზრუნველყოფის სისტემა“, „საზღვარგარეთული ოპერაციების“ ორგანიზაცია და სხვ. ითვალისწინებდა აგრესიულ მიზნებს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე აშშ-მა დაიწყო

სასწრაფო ზომების მიღება ევროპის „უნიფიკაციისათვის“¹¹ „დაუესიზაციისათვის“¹². „მარშალის გეგმის“ განხორციელების მიზნით 1948 წ. შეიქმნა „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაცია“. მასში გაერთიანდნენ კაპიტალისტური ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, თურქეთი, გფრ (1949 წლიდან), საფრანგეთი, შვეიცია, შვეიცარია. 1950 წლიდან აღნიშნულ ორგანიზაციაში მონაწილეობდნენ აშშ და კანადა. მასში მონაწილეობდა აგრეთვე ესპანეთი; იუგოსლავიას კი ჰყავდა თავისი მეთვალყურე.

„მარშალის გეგმის“ ნამდვილი მიზნები თავიდანვე ამხილა სსრკევირმა. ინგლისმა და საფრანგეთმა აშშ-ის მხარდაჭერით პარიზში 1947 წლის 12—15 ივლისს მოიწვიეს თათბირი. ამ თათბირზე შეიქმნა „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის კომიტეტი“ — „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ წინამორბედი.

„ნაცვლად იმისა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებს წინააღმდეგობა გაეწიათ ამ დამმონავეებელი ამერიკული ღონისძიებებისათვის, ინგლის-საფრანგეთის მთავრობებს ინიციატივით „მარშალის გეგმა“ გამოცხადებულ იქნა დასავლეთ ევროპის ეკონომიური აღდგენის საშუალებად და პარიზში 16 სახელმწიფოს კომიტეტს მიაღებინეს ევროპის აღდგენის ყბადაღებული „ოთხწლიანი გეგმა“¹³.

1948 წლის 16 აპრილს კი პარიზში ჩამოყალიბდა „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაცია“. მის შექმნას ზელი მოაწერეს ავსტრიის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, დანიის, ირლანდიის, ისლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პორტუგალიის, თურქეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის, შვეციის, წარმომადგენლებმა, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლებმა.

1949 წლის ოქტომბერში ჩატარდა „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის“ საბჭოს სესია. სესიაზე „მარშალის გეგმის“ მთავარმა აღმინისტრატორმა პ. ჰოფმანმა განაცხადა, რომ აშშ-ის აღმინისტრაცია თავის თავზე ლებულობს ამერიკის ანიგნებათა განაწილებას ცალკეულ ქვეყნებს შორის და, რომ „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაცია“ მომავალშიც უნდა სწავლობდეს ძირითადად ევროპის „ეკონომიური ინტეგრაციისა“ და „ერთიანი ევროპის ბაზრის შექმნის საკითხებს“¹⁴.

ამრიგად, „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანი-

ზაკიკი დაიწყო „ინტეგრაციის“ განხორციელება. ეს პარტველ რიგში შეეხო საგარეო ვაჭრობას. დაიწყო იმპორტის „ლიბერალიზაცია“. განსაკუთრებით გაფართოვდა „ლიბერალიზაციის“ მასშტაბი 1949 წლიდან. „ლიბერალიზაციის“ გაფართოებით განსაკუთრებით ისარგებლეს აშშ-ის მსხვილმა მავნატებმა. „ორგანიზაციის“ მონაწილე ზოგიერთი ქვეყანა იძულებულიც კი გახდა შეენელებინა „ლიბერალიზაცია“ და გაეძლიერებინა პროტექციონისტული ღონისძიებანი.

„ევროპის ინტეგრაციის“ ლოზუნგით გამოდიოდა „ევროპის საბჭო“ — 15 კაპიტალისტური ქვეყნის რეაქციული ძალების ორგანიზაცია, რომელიც 1949 წ. შეიქმნა. „საბჭო“ წარმოადგენს ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის დამატებას და მიზნად ისახავს „ევროპის გაერთიანებას“, „ევროპის რეალური პოლიტიკური ხელისუფლების“ შექმნას.

„ევროპის საბჭოს“ შექმნის იდეა დაკავშირებულია „ევროპის შეერთებული შტატების“ პროექტთან, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში წამოაყენეს II ინტერნაციონალის თეორეტიკოსებმა. ჯერ კიდევ 1920-იან წლებში შეიქმნა „პანევროპის“ გეგმა.

„პანევროპული მოძრაობის“ დამაარსებელია გრაფი რიჰარდ კულდენგოვე-კალერგი, რომელმაც 1923 წ. ვენაში გამოსცა წიგნი „პანევროპა“. „პანევროპის“ იდეების პრაქტიკულად განხორციელებას ხელმძღვანელობდა ფრანგი დიპლომატი არისტიდ ბრიანი („ბრიანის გეგმა“).¹⁵ მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში „დიდი ინტერესით“ განიხილავდა „ევროპის შეერთებული შტატებისა“ და „პანევროპის“ საკითხებს ლიბერალური მიმართულების წარმომადგენელი ლ. მიზესი. მისი წიგნის — „ლიბერალიზმის“ III განყოფილების („ლიბერალური საგარეო პოლიტიკა“) მე-9 პარაგრაფი — „ევროპის შეერთებული შტატები“ — გაქლენთილია ძველი ვულგარული ლიბერალიზმის — „პალეოლიბერალიზმის“ იდეებით.¹⁶

გ. მიურდალი წერს: „პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში კაპიტალის თითქმის სრულიად თავისუფალი ბაზარი არსებობდა. და ამ ქვეყნებმა შექმნეს უმთავრესად შრომის საერთო ბაზარი.“¹⁷ იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ევროპის „ეკონომიურ ინტეგრაციას“ ხელი შეუშალა ფაშისტური გერმანიის „ახალმა წესრიგმა ევროპაში“, „ახალმა ევროპამ“. „ახალი წესრიგი ევროპაში იყო აგრეთვე იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თავისებური ვარიანტი, რომელიც სამარცხვინოდ ჩაიშალა.

„ევროპის გაერთიანების“, „პანევროპის“ გეგმის სულისჩამდგმელები იყვნენ და არიან საფრანგეთისა და გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის თეორეტიკოსები. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის გერმანელ იმპერიალისტებს. მათ დაიწყეს აგიტაცია „მცირე ევროპის“, როგორც „დიდი ევროპის“ შექმნის საშუალების შესახებ. მათი გეგმით „დიდი ევროპა“ შეიქმნება მაშინ, როცა მასში „ინტეგრირებული“ იქნებიან ევროპის სოციალისტური ქვეყნებიც (ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვ.).¹⁸ „ინტეგრაციონალისტების“ ვარაუდით კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაცია“, ე. ი. „დიდი ევროპა“ „ბორდოდან ოდესამდე“ უნდა გავრცელდეს. თანამედროვე ეტაპზე დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული ეკონომისტები, მემარჯვენე სოციალისტები, სოციალ-რეფორმისტები — ძველი „პანევროპის მოძრაობის“¹⁹ პროპაგანდისტები — ბევრს ქადაგებენ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციას“ „საერთო ბაზრის“ პროპაგანდის მიზნით. „საერთო ბაზრის“ თვლიან კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა „ქრობისა“ და მშრომელი მასების კეთილდღეობის საშუალებად.

ამგვარად, „მარშალის გეგმა“ წარმოადგენდა ევროპის ეკონომიური გაერთიანების, დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“, „საერთო ბაზრის“ შექმნის საფუძველს.²⁰

ამერიკის იმპერიალიზმი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე იწყებს ზომების მიღებას ევროპის „უნიფიკაციისათვის“, „ევროპის შეერთებული შტატების“ შესაქმნელად. ამერიკის იმპერიალიზმის ცდა კაპიტალისტურ ევროპაზე ბატონობის მისაღწევად ტარდებოდა ევროპის „ერთიანობის“ ლოზუნგით. მონოპოლისტური კაპიტალის, ვაშინგტონის მოთხოვნას „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის შესახებ მხარი დაუჭირეს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებმა — არქირეაქციონერებმა უ. ჩერჩილმა და მისმა თანამოაზრეებმა²¹.

დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ — „საერთო ბაზრის“ შექმნას წინ უძღოდა აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების მოლაპარაკება საბაჟო პოლიტიკის საკითხებზე. განზრახული იყო საბაჟო კავშირის შექმნა „ფრანციტას“ (საფრანგეთ-იტალია), „ფინიბელის“ (საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი), „ფრიტალუქსის“ („ფინიბელის“ ქვეყნებს პლუს დასავლეთ გერმანიის) სახელწოდებით.

გადაიდგა ნაბიჯები შვეიცარიისა და ბენილუქსის, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და სკანდინავიის ქვეყნების საბაჟო კავშირების

შექმნის შესახებ. თავისებური ისტორია აქვს ბენილუქსს — ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის კავშირს. ბენილუქსის შექმნაც დასავლეთ ევროპის „ეკონომიური ინტეგრაციის“ პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთი პირველი ცდა იყო. ბენილუქსის ეკონომიური კავშირი შეიქმნა 1958 წლის 3 თებერვალს ჰააგაში. შეთანხმება ძალაში შევიდა 1960 წლის 3 ოქტომბერს. თვით ბენილუქსის შექმნას კი წინ უძღოდა სხვადასხვა სახის ეკონომიური შეთანხმებანი. ბელგიასა და ლუქსემბურგს შორის ეკონომიური კავშირი დამყარდა 1921 წ. შემდეგ მათ შეუერთდა ნიდერლანდებიც. ამ სამი კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებმა ჯერ კიდევ 1943—1944 წლებში (მათი ტერიტორია მაშინ ოკუპირებული იყო გერმანელ ფაშისტთა ჯარების მიერ, ხოლო მთავრობები — ევაკუირებული ინგლისში). ლონდონში მოითათბირეს საბაჟო კავშირის შექმნის თაობაზე, 1944 წლის 5 სექტემბერს კი ხელი მოაწერეს კონვენციას. ხელშეკრულებით უქმდებოდა ბაჟები, სამივე ქვეყანას უნდა ევაჭრა ერთიანი საბაჟო ტარიფით. კონვენცია ძალაში უნდა შესულიყო გერმანელ ოკუპანტებისაგან ამ ქვეყნების განთავისუფლებისთანავე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. აღნიშნულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, გაძლიერდა წინააღმდეგობანი და უთანხმოებანი. შეთანხმება რატიფიცირებულ იქნა 1947 წლის აგვისტოში, ხოლო ძალაში შევიდა 1948 წლის 1 იანვრიდან. ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი 1948 წლიდან გაერთიანდნენ საბაჟო კავშირში (ბენილუქსი)²².

ბენილუქსის შეთანხმება ითვალისწინებდა „ინტეგრაციას“, თავისუფალი ვაჭრობის“ თანდათან შემოღებას ვაჭრობის „ლიბერალიზაციის“ გატარებით. ბენილუქსის შეთანხმების მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ კაპიტალის (1954 წ.) და სამუშაო ძალის (1956 წ.) თავისუფალი მოძრაობისა და გადაადგილების თაობაზე. მიუხედავად მრავალი შეთანხმებისა, მთელი ათეული წლის მანძილზე მათ ვერ შეძლეს ვაჭრობის „ლიბერალიზაციის“ განხორციელება და, რა თქმა უნდა, კვლავ მიმართავდნენ სხვადასხვა პროტექციონისტულ ღონისძიებებს.

ბენილუქსის ეკონომიური კავშირი — დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, თავის მხრივ, აწინააღმდეგებდა პირობებს უფრო დიდი „საერთო ბაზრის“ შექმნისათვის. ბენილუქსის ეკონომიური კავშირის მმართველი ორგანოებია მინისტრების კომიტეტი. საპარლამენტაშორისო საკონსულტაციო საბჭო, ეკონომიური კავშირის საბჭო, საარბიტრაჟო კომისია, გენერალური სამდივნო (ადგილსამყოფელი — ბრიუსელი) და სხვ. უმაღლეს ორგანოს შეადგენს მინისტრთა კომიტეტი.

მიუხედავად ამ შეთანხმებებისა, წინააღმდეგობანი დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის კიდევ უფრო ძლიერდება და ბაზრის პრობლემა კვლავ ერთ-ერთ უმწვევეს პრობლემად რჩება. მონოპოლისტური კაპიტალის მესვეურებმა მიმართეს აგრეთვე „ინტეგრაციის“ გატარებას ქვეყნებს შორის დარგობრივი პრინციპით, „დარგობრივი ინტეგრაცია“²³ — „ინტეგრაცია სექტორების მიხედვით“ (გ. მიურდალი). ე. პოისიცი „დარგობრივი პრინციპით“ განიხილავს საკითხს. იგი განასხვავებს „ფუნქციონალურ ინტეგრაციასა“ და „ინსტიტუციონალურ ინტეგრაციას“²⁴.

დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“, „საერთო ბაზრის“ შექმნას დარგობრივი პრინციპით ითვალისწინებდა შეთანხმება „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების“ შესახებ, რომელიც 1952 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 50 წლით.²⁵

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებას“ დიდი ისტორია აქვს. დასავლეთ ევროპის ზემონოპოლიური გაერთიანების — საერთაშორისო ტრესტის შექმნის იდეა მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში წარმოიშვა. რურის მაგნატებმა მოითხოვეს რურ-ლოტარინგიის მეტალურგიული გაერთიანების შექმნა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, როცა განსაკუთრებით გაიზარდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, იმპერიალისტური ბურჟუაზია შეეცადა სახელმწიფო-მონოპოლისტურ გაერთიანებათა შექმნას. „დასავლეთ ევროპის ამ ზემონოპოლიის აკვანთან იდგა ორი ფრანგი პოლიტიკოსი — ჟან მონე და რობერ შუმანი“²⁶. ე. მონე და რ. შუმანი, ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენლები, სათავეში ჩაუდგნენ „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებას“ — ევროპის ეკონომიური ინტეგრაციის პირველი ნაბიჯის განხორციელებას²⁷. რ. შუმანი მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და მან შეიტანა ოფიციალური წინადადება მთავრობაში აღნიშნული გაერთიანების შექმნის შესახებ.

1951 წლის გაზაფხულზე პარიზში დასავლეთ ევროპის 6 კაპიტალისტურმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა შეთანხმებას „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების“ შექმნის შესახებ. „გაერთიანების“ ადგილსამყოფელად მიჩნეულ იქნა ლუქსემბურგი, ხოლო უმაღლესი ორგანოს პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ჟან მონე.²⁸ „რამდენიმე წლით ადრე, ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შექმნამდე, რომელიც „პანევროპიზმის პირველი პრაქტიკული გამოხატულება იყო. მოდური სიტყვა გახდა „ინტეგრაცია“. მის გარშემო ლაპარაკობდნენ ყველგან — დაწყებული დიპლომატიური სალონებით და გათავებული ქალაქის სავაჭროებით, სადაც

გამყიდველები ანგარიშობდნენ იმას, თუ რამდენად ამაღლდება ფასები „ინტეგრირებულ“ ევროპაში, ხოლო მყიდველები ანგარიშობდნენ, რამდენად შემცირდება ფასები“²⁹.

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანება“ წარმოადგენს გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანების ფორმას, კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაციის“ დაბალ საფეხურს. ესაა მონოპოლისტური კაპიტალის ერთ-ერთი უმსხვილესი გაერთიანება. ამ მონოპოლიურ გაერთიანებაში შევიდა დასავლეთ ევროპის 6 კაპიტალისტური ქვეყნის მეტალურგიული, ქვანახშირისა და სხვა დარგების წარმოება და გასაღება. გარდა ეკონომიური კავშირისა, იგი მიზნად ისახავს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ბლოკის არსებობას.

„შუმანის გეგმა“ დააჩქარა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია; იგი მოაწაფებს სამხედრო წარმოების გაფართოებას; რომელსაც ახალი უბედურება მოაქვს მშრომელი მასებისათვის³⁰.

ევროპის „ინტეგრაციის“ საქესთან დგას „ბონის ელიტა“. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ კაპიტალისტური ევროპის სამხედრო „ინტეგრაცია“ ნიშნავს არა ბუნდესვერის გაერთიანებას ნატოსთან, არამედ ნატოს „ინტეგრაციას“ ბონის არმიასთან³¹, — შენიშნავს ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი გერჰარდ დენგლერი.

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებაში“ შემავალმა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ ისინი მიზნად ისახავენ „ვაჭრობის ლიბერალიზაციას“, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალ მოძრაობას. სინამდვილეში კი ამ მონოპოლიურ გაერთიანებას — საერთაშორისო მეტალურგიულ ტრესტს — ჰქონდა და აქვს იმპერიალისტური ბუნება და მიზნები.

მიუხედავად იმისა, რომ „გაერთიანებაში“ შემავალმა ქვეყნებმა გამოაცხადეს „ვაჭრობის ლიბერალიზაცია“ და სხვა, მათ შორის ახალი ანტაგონისტური წინააღმდეგობანი წარმოიშვა. ეს პირველ რიგში ეხება გფრ-ისა და საფრანგეთის მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლებს. ამას ვერც ამ ქვეყნების ოფიციალური პრესა ფარავს. მრავალთაგან დაეასახელებთ ერთს — ჰამბურგის „დი ანდერე ცაიტუნგს“, რომელშიც აღნიშნული იყო: „ყველა ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების შიგნით კვლავ მწვევადება კონკურენცია შავი მეტალურგიისა და ფოლადსასხმელ მრეწველობაში. განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს ეს დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის ფოლადსასხმელ მრეწველობას შორის“³².

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანების“ მესვეურები ყოველნაირად ჩქმალავენ „გაერთიანებით“ წარმოშობილ წინააღმდეგობებს და დემაგოგიურად აცხადებენ, რომ დასახელებული საერთაშორისო მეტალურგიული ტრესტის მიზანი თითქოს იყოს ეკონომიური განვითარებისათვის ხელშეწყობა, დასაქმებისა და ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფა და სხვ. „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანება“ ეს არის დასავლეთ ევროპის იმპერიალისტთა გაერთიანება. დროებითი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს „საერთო ბაზრის“ შექმნასა და არსებობას, ხოლო შემდეგ — „საერთაშორისო ინტეგრაციას“. აღნიშნული გაერთიანება ითვლება მთელი „ინტეგრაციის“ ფუნდამენტად,³³ გზად „სრული ინტეგრაციისაკენ“³⁴. აღნიშნულ მონოპოლიურ გაერთიანებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ დასავლეთგერმანელი მონოპოლისტები — რევანშიტები და საფრანგეთის უმსხვილესი მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები. „საერთო ბაზრის“ საყრდენს, საფუძველს და მასთან ერთად წინააღმდეგობათა კვანძს შეადგენს საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური ბურჟუაზიის იმპერიალისტური შეთანხმება — კავშირი დე გოლის ავტორიტარულ რეჟიმსა და ბონის კლერიკალურ-მილიტარისტულ დიქტატურას³⁵ შორის, „ბონ-პარიზის ლერძი“.

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანება“ გარეგნულად დემოკრატიულ საწყისებზეა ჩამოყალიბებული. გაერთიანების ხელშეწყობისათვის ორგანოა უმაღლესი ორგანო 9 წევრის შემადგენლობით. გფრ-ს, საფრანგეთსა და ბელგიას მასში ჰყავთ ორ-ორი წარმომადგენელი, ხოლო დანარჩენებს (იტალიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს) — თითო წარმომადგენელი. უმაღლესი ორგანოს სათავეში დგას პრეზიდენტი და ორი ვიცეპრეზიდენტი. უმაღლეს ორგანოსთან არის მინისტრთა სპეციალური საბჭო, საკონსულტაციო კომიტეტი, ასამბლეა და სასამართლო.

„ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებამ“ 1953 წლის მაისიდან გამოაცხადა „საერთო ბაზარი“ ფოლადისა და თუჩისათვის, ხოლო 1954 წლის 1 აგვისტოდან — სპეციალური ფოლადისათვის. ასე იწყო წინაპირობების მომზადება აღნიშნულმა „გაერთიანებამ“ უფრო დიდი ნაბიჯისათვის — დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური „ინტეგრაციისათვის“. „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანება“ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც „საერთო ბაზრის“ თავისებური სახის ემბრიონი. ამ გაერთიანებაში შევიდა 6 სახელმწიფო, რომლებმაც რამდენიმე წლის შემდეგ დადეს ხელშეკრულება „საერთო ბაზრის“ შექმნის შესახებ“³⁶.

მართლაც, 1955 წ. „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებაში“ შემაჯავლი 6 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ მესონაში და სპეციალურად განიხილეს საკითხი „ევროპის საერთო ბაზრის“ შექმნის შესახებ. „ევროპის საერთო ბაზრის“ ორგანიზაციის მომზადება დაევალა სპეციალურ კომისიას, რომლის სათავეში იყო ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანრი სპააკი. კომისიამ მოამზადა მოხსენება, რომელიც საფუძვლად დაედო რომის ხელშეკრულებას „საერთო ბაზრის“ შექმნის შესახებ. ასე მოხდა ეროვნული ბაზრების „გაერთიანება“ ერთ „საერთო ბაზრად“. თითქმის ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაგრამ დავა „საერთო ბაზრის“ შექმნის გარშემო დიდხანს გაგრძელდა და დღესაც მწვავე ბრძოლა მასში შემავალ სხვადასხვა მონოპოლიურ გაერთიანებებს შორის.

ამრიგად, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებამ დიდი როლი შეასრულა იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ფარგლების, მასშტაბის გაფართოებაში. იგი დღესაც არსებობს და, როგორც შემადგენელი ნაწილი, შედის „ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში“³⁷.

„საერთო ბაზრის“ შექმნა ემთხვევა კაპიტალიზმის საერთო კრაზისის მესამე ეტაპის დაწყებას. 6 კაპიტალისტური სახელმწიფოს წარმომადგენლები შეთანხმდნენ „საერთო ბაზრის“ ფარგლებში „პირთა, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებაზე“. ეს შეთანხმება მიზნად ისახავს საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის „თავისუფალი ბაზრის“ შექმნას. ამდენად იგი ულტრაიმპერიალიზმის პრაქტიკული რეალიზაციის³⁸ ცდაა. ეკონომიური ერთიერთობის დარგში „საერთო ბაზარი“ წარმოადგენს კარდახშულ ეკონომიურ ბლოკს, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით იგი თავისებური სახის ახალი „საღვთო კავშირია“, რომელიც დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურმა ქვეყნებმა შექმნეს³⁹.

„საერთო ბაზრის“ შექმნა განზრახულია 12—15 წლის განმავლობაში. „საერთო ბაზარზე“ „გარდამავალი პერიოდი“ დაყოფილია სამ ეტაპად. თვითეული ეტაპი მოიცავს 4 წელს. გაერთიანების მონაწილე ქვეყნებს შესაძლებლად მიაჩნიათ „გარდამავალი პერიოდის“ გადიდება, მაგრამ არა უმეტეს 15 წლისა.

„გარდამავალი პერიოდის“ ცალკეულ ეტაპზე განზრახულია განსაზღვრული ღონისძიებების გატარება. „ევროპის საერთო ბაზარს“ აქვს თავისი წესდება. მისი მთავარი ორგანოებია: ასამბლეა („ევროპის საპარლამენტო ასამბლეა“); საბჭო („მინისტრთა

საბჭო“), კომისია, სასამართლო, ეკონომიური და სოციალური საკონსულტაციო კომიტეტი, სავალუტო კომიტეტი. მთელი ძალაუფლება ფაქტიურად კომისიის ხელშია. კომისიაში 9 წევრია. მისი ამოცანებია შეთანხმებებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე თვალყურის დევნება, „საერთო ბაზრის“ პოლიტიკის დაცვა და ცხოვრებაში გატარება. კომისია უფლებამოსილია გამოსცეს განკარგულებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც სავალდებულოა „საერთო ბაზრის“ ყველა წევრი ქვეყნისათვის, ცალკეული კომპანიებისა და პირებისათვის. კომისიის სტრუქტურა ჰგავს სამინისტროს. მასში შედიან გენერალური დირექტორები (საგარეო ურთიერთობის, ეკონომიკისა და ფინანსების, საშინაო ბაზრის, სოფლის მეურნეობის და სხვ.).

„ევროპის ეკონომიური გაერთიანების“ — „საერთო ბაზრის“ ხელშეკრულებათა ცხოვრებაში გატარების მიზნით შექმნილია „ევროპის ინვესტიციური ბანკი“, „ევროპის სოციალური ფონდი“, „ზღვისიქითა ტერიტორიების განვითარების ფონდი“⁴⁰ და სხვ.

„საერთო ბაზრის“ ხელშეკრულებით ორგანოებში შედიან მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტები. მაგალითად, კომისიის თავმჯდომარეა მონოპოლიების მსახური, აღენაუერის ახლობელი, პროფესორი ვალტერ ჰალშტაინი, მოადგილეები — ჯ. კარონი (იტალია) და ლ. მანსპოლტი (ნიდერლანდები)⁴¹. „ევროპის ეკონომიური გაერთიანების ორგანოები — ეგრეთწოდებული ანამბლეა („ევროპის პარლამენტი“), რომელიც მოწოდებულია კონტროლს უწევდეს გაერთიანების მუშაობას, საბჭო, რომელიც უმაღლესი ორგანოა „საერთო ბაზრის“ პოლიტიკის გამომუშავების დარგში, კომისია, რომელიც გაერთიანების მთავარ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს, სასამართლო — შედგებიან იმ პირებისაგან, რომელთა დანიშვნა სავსებით მოწონებულია მონოპოლიების მიერ და რომლებიც მთლიანად მათი ინტერესებისათვის მოქმედებენ“⁴².

აშკარად ჩანს, რომ „საერთო ბაზარი“ „ევროპის გაერთიანებათა“ სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია. ჩვენ უკვე ნაწილობრივ აღვნიშნეთ, რომ „ევროპის გაერთიანების“ სახეები მრავალფეროვანია. დასავლეთ ევროპის 6 კაპიტალისტური სახელმწიფოს „გაერთიანება“ მოიცავს „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებას“, „ევრატომს“ (ევროპის გაერთიანება ატომური ენერჯის დარგში) და, რაც მთავარია, „დასავლეთ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას“ ანუ „საერთო ბაზარს“. იგი წარმოადგენს არა მარტო კარდახშულ სავაჭრო-ეკონომიურ. არა-

მედ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკურ და აგრესიულ ბლოკს. „ამრიგად, „საერთო ბაზარი“. დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს ფინანსური ოლიგარქიის სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანება — ეკონომიური და პოლიტიკური რეალობა გახდა“⁴³. მაგრამ ეს „გაერთიანება“ — „ინტეგრაცია“ არ შეიძლება მყარი და ჰარმონიული იყოს; არ შეიძლება იმიტომ, რომ იმპერიალიზმის პერიოდში მოქმედებს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის, წარმოების ანარქიისა და კონკურენციის, ჰარბზარმოების ეკონომიური კრიზისებისა და სხვა ობიექტური ეკონომიური კანონები. ეს გარემოება შეუძლებელს ხდის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა, მონოპოლისტური კავშირების შეთანხმებას ხანგრძლივი პერიოდისათვის.

„საერთო ბაზარში“ „ინტეგრირებული“ ევროპა არც ზენაციონალური სახელმწიფოა და არც „ევროპის შეერთებული შტატები“, თუმცა „საერთო ბაზარს“ უქვევლად აქვს „ევროპის შეერთებული შტატების“ ზოგიერთი ნიშანი⁴⁴.

„საერთო ბაზარი“ არის ევროპის უმსხვილესი მონოპოლიების დროებითი შეთანხმება, რომელსაც უამრავი ანტაგონისტური წინააღმდეგობა ღრღნის და უთხრის ისედაც შერყეულ ძირს. „საერთო ბაზარი“ არის იმპერიალისტური ექსპლოატაციის ახალი, შენიღბული ფორმა, ახალი უღელი პროლეტარიატისათვის. „დღემდე განხორციელებულია „საერთო ბაზრის“ ღონისძიებათა პროგრამის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია შედარებით მცირე სიძნელეებთან. „ინტეგრაციის“ პროგრამის ამ ყველაზე ადვილი ნაწილის განხორციელებაც კი მწვავე წინააღმდეგობებს წააწყდა. ევროპის ეკონომიურმა გაერთიანებამ არათუ არ გამოიწვია ჰარმონიულად განვითარებული ეკონომიური კომპლექსის შექმნა, არამედ, პირიქით, ბაზრებისათვის კონკურენციული ბრძოლის გამწვავების წყარო გახდა. ძველ წინააღმდეგობებს ახლები დაემატა“⁴⁵.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ თვალს გადავავლებთ „საერთო ბაზრის“ ოფიციალურ მიზნებს, რომლებიც ასე წარმოგვიდგება:

1. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების მიერ ვაჭრობაში შეზღუდვების თანდათანობითი ლიკვიდაცია, კაპიტალის თავისუფალი, დაუბრკოლებელი გადაადგილება, ერთიანი საბაჟო ტარიფის შემოღება იმ ქვეყნებთან ვაჭრობაში, რომლებიც არ შედიან საერთო ბაზარში“:

2. შეთანხმებული, ერთიანი პოლიტიკის გატარება სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, სამუშაო ძალის გადაადგილებისა და სხვა საკითხებში;

3. ისეთი წესების შემოღება, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდეს „საერთო ბაზარში“ „თავისუფალ“ და „თანასწორ კონკურენციას“;

4. „საერთო ბაზარში“ შემავალი წევრი ქვეყნების რესურსების განვითარებისა და სრული გამოყენების უზრუნველყოფა⁴⁶. რომის ხელშეკრულება „საერთო ბაზრის“ შექმნის შესახებ თვალთმაქცურად აცხადებს, რომ „ევროპის ეკონომიური გაერთიანების“ მიზანია „ცხოვრების დონის სწრაფად ამაღლება“⁴⁷. ასეთია „საერთო ბაზრის“ ოფიციალური პროგრამა, რომლის დემაგოგიური შინაარსი ძნელი გამოსაცნობი არ არის.

კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, ვაჭრობის შეზღუდვათა ლიკვიდაცია გამიზნულია მსხვილი მონოპოლისტური კავშირების სასარგებლოდ, სოფლის მეურნეობის „ინტეგრაცია“ კი — მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ. „თავისუფალი და პატიოსანი კონკურენცია“ მოასწავებს წვრილმწარმოებელთა გაჩანაგებას, კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის გაძლიერებას. „საერთო ბაზრის“ მესვეურთა ხმაური იმის შესახებ, რომ „ინტეგრაცია“ სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას ქმნის, გამოწვეულია იმით, რომ ეს ღონისძიებაც მუშათა კლასის წინააღმდეგაა მიმართული. მაგალითად, თუ მუშები არ დათანხმდებიან დაბალ ხელფასს გფრ-ში ან ბელგიაში, მაშინ მონოპოლისტები მუშახელს შემოიყვანენ სხვა ქვეყნიდან, სადაც ხელფასი შედარებით უფრო დაბალია.

ამრიგად, „სოციალური დემპინგი“ საშუალებას აძლევს „ინტეგრირებული“ ქვეყნების მონოპოლიებს, რომ ხელფასის ნიველირება მოახდინონ. ხელფასის ყველაზე დაბალი ღონის მიხედვით და გაადიდონ მაქსიმალური მოგება. „საერთო ბაზრის“ მიზანია ერთიანი მონოპოლისტური კაპიტალის შექმნა⁴⁸, კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა „ინტეგრირებული“ ევროპის მთავარი პოლიტიკური კრეძოა.

მონოპოლიების პრესა კი ქება-დიდებას ასხამს „საერთო ბაზრის“. ნეოლიბერალმა ვ. რეპკემ „საერთო ბაზარს“ უწოდა „ევროპის ეკონომიური გაერთიანების ახალი ფაზა“⁴⁹. მონოპოლისტური კაპიტალის აბოლოგეტთა განცხადებით „საერთო ბაზარი“ შესაძლებლობას იძლევა წარმოების ხარჯების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, სამუშაო ძალის სპეციალიზები-

სათვის, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისათვის და ა. შ. და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს თითქოს ხდება მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის, ყველა მომხმარებლის ინტერესებისათვის. მოხდენილად შენიშნავდა „დი ვირჩაფტი“, რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანება არის მომხმარებელთა მოტყუება⁵⁰.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი დონ ჰემფრი მაღალ შეფასებას აძლევს „საერთო ბაზარს“. XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად სთვლის „ექვსეულის საერთო ბაზარს“. „ინტეგრაციის“ პროპაგანდისტთა აზრით, „საერთო ბაზარმა“ მოახდინა „სამი სასწაული“ — დასავლეთ გერმანული, ფრანგული და იტალიური. განსაკუთრებით ბევრს ხმაურობენ გფრ-ის ნეოლიბერალები „ეკონომიური სასწაულის“⁵¹. ანუ „ერპარდული სასწაულის“ გარშემო. „ილუზიები ეგრეთწოდებული „ეკონომიური სასწაულის“ შესახებ, არის ხალხის შეგნების მოწამლვა ანტიკომუნისმის იდეებით“⁵². „საერთო ბაზრის“ მესვეურები „არგუმენტებად“ კი ასახელებენ იმას, რომ თურმე იაფი ფრანგული ქვედაკაბები იყიდება „საერთო ბაზრის“ ყველა რაიონში, რომ გერმანელები ყიდულობენ იტალიურ ფეხსაცმელს, იტალიელები — გერმანულ ავტომობილებს, ფრანგები — იტალიურ და პოლანდიურ მზატანსაცმელს და ა. შ. აი, როგორ ესმით „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსებს „საერთო ბაზარი“.

საინტერესოა მოკლედ შევჩერდეთ „საერთო ბაზრის“ მიერ გატარებულ სხვა „ლონისძიებებზეც“. ცნობილია, რომ ტარიფების შემცირების პირველი ეტაპი დაიწყო 1959 წლის 1 იანვრიდან. ბაჟები შემცირდა 10%-ით. მეორე შემცირება გატარდა 1960 წლის 30 ივლისს, მესამე კი — 1961 წლის 1 იანვარს. განვლილ პერიოდში „საერთო ბაზრის“ წევრმა ქვეყნებმა შეამცირეს საბაჟო გადასახადები ურთიერთ ვაჭრობაში: სამრეწველო საქონელზე — 50%-ის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო საქონელზე — 30—35%-ით⁵³.

„საერთო ბაზარი“ ითვალისწინებს კიდევ უფრო მყარ ეკონომიურ კავშირის შექმნას. 1962 წლის ოქტომბერში კომისიამ შეიმუშავა შემორანდუმი, რომელიც 125 გვერდს მოიცავს. მასში მოცემულია „საერთო ბაზრის“ პროგრამა მეორე ეტაპისათვის. პროგრამა ითვალისწინებს „ინტეგრაციულ“ ლონისძიებათა შემდგომ გაძლიერებას⁵⁴ (ერთიანი სავალუტო კავშირის შექმნას, „ერთიან დაპროგრამებას“, „დაგეგმვას“ და სხვ.).

ისმება კითხვა: ვისთვის ტარდება ეს ლონისძიებები? ჯერ ერთი, უკვე ცნობილია, თუ რას წარმოადგენს „საერთო ბაზრის“ ლონისძიებათა სისტემა; მეორეც, ის, რაც „ინტეგრაციის“, „საერთო

ბაზრის“ ლოზუნგით ტარდება, მხოლოდ საზოგადოების უმცირეს ნაწილს — იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს ემსახურება. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“, „საერთო ბაზარი“ — ეს არის „ტრესტების ევროპა“,⁵⁵ რომელიც მიმართულია მშრომელი მასების დასატყვევებლად, სოციალიზმის სისტემის წინააღმდეგ. ამას ბურჟუაზიის ზოგადი წარმომადგენელიც ვერ ფარავს: მაგალითად, საფრანგეთის ერთ-ერთი კონსერვატიული გაზეთი წერდა, რომ „საერთო ბაზრის“ შექმნა წარმომადგენდა დასავლეთის ახალ პირველ იდეას მას შემდეგ, რაც კონკურენციამ აღმოსავლეთთან მსოფლიო ხასიათი მიიღო.

კაპიტალიზმი, თავისუფალი მეწარმეობა, ლიბერალიზმი. პარლამენტარიზმი მოძველდა და უკვე აღარ წარმოადგენს საექსპორტო საგანს. მსოფლიოს დასატყვევებლად დასავლეთისათვის აუცილებელია „ვიტრინის განახლება“. ასე წარმოიშვა „საერთო ბაზარი“.

გამოხატავენ რა გფრ-ის მონოპოლიების ნება-სურვილს, ნეოლიბერალები მოუწოდებენ „ევროპის ინტეგრაციის“ სრულ განხორციელებას. „ინტეგრაცია“ უნდა ემყარებოდეს რაღაც „საერთაშორისო წყობილებას“, „რომელიც საუკეთესოდ და ყველაზე უფრო სრულად პოულობს თავის გამოხატულებას ვალუტის თავისუფალ კონვერტირებაში. იგულისხმება, რომ ვალუტის კონვერტირება მოიცავს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების სრულ თავისუფლებასა და უფლებას“⁵⁶. იმპერიალისტური „ინტეგრაციით“ ყველაზე უფრო დაინტერესებულია გფრ-ის მონოპოლისტური კაპიტალი. დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი გამოდის როგორც ევროპის „ინტეგრაციის“ მთავარი მამოძრავებელი ძალა და „საერთო ბაზრის“ უმნიშვნელოვანესი რგოლი⁵⁷.

„ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები და პროპაგანდისტები ახალ-ახალი ბუტაფორიებით ახდენენ კაპიტალიზმის „ვიტრინის განახლებას“. მათი განცხადებით „საერთო ბაზარი“ დასავლეთ ევროპაში უზრუნველყოფს „სამოთხეს ყველასათვის“. თითქოს „საერთო ბაზარზე“ შესაძლებელი იქნება ყოველგვარი საქონლის ყიდვა იაფად (ასე ანუგეშებენ მყიდველებს) და გაყიდვა ძვირად (გამყიდველებისათვის ნუგეშის მიცემა). ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს „საერთო ბაზრის“ პროპაგანდისტთა მტკიცებები. გამოდის, რომ კაპიტალისტურ ბაზარზე ერთდროულად მყიდველებიც და გამყიდველებიც მოგებული რჩებიან. ეს იმას ჰგავს, რომ ადა-

მიანს სასწაულები სჯეროდეს. თუკი ყველა მოგებულა „ინტეგრაციით“, დასავლეთ ევროპის „ინტეგრირებით“, მაშინ რატომ მწვევდება კლასობრივი ბრძოლა? „ინტეგრირებულ“ საფრანგეთში 1963 წლის დასაწყისში ღიდი მასშტაბი მიიღო მაღაროელთა გაფიცვამ. ახალი საგაფიცვო მოძრაობით შეხვდა დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასი 1 მაისს. 140 ათასი მეღითონე იღებდა მონაწილეობას გაფიცვაში, რომელიც გფრ-ში დაიწყო 1963 წლის აპრილის ბოლოს⁵⁸.

„საერთო ბაზარმა“ მართლაც მოახდინა „სასწაული“ უმსხვილესი მონოპოლიებისათვის, მილიარდერებისათვის. ერჰარდისეულმა „ეკონომიურმა სასწაულმა“ მარტო 50-იანი წლების პირველ ნახევარში 200 ახალი მილიონერი წარმოშვა⁵⁹. საფრანგეთის უმსხვილესი კორპორაციების აქციათა პორტფელის ღირებულება მარტო 1958—1961 წლებში 68,6%-ით გადიდდა. გფრ-ის 50 უმსხვილესი სააქციო კომპანიის მოგება 1959—1961 წლებში 2,2-ჯერ გაიზარდა. იტალიის კონცერნმა „ფიატმა“ კი თავისი მოგება 19,7 მილიარდი ლირიდან 24,6 მილიარდ ლირამდე გაადიდა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მოხდა მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე. ამის ნათელი დადასტურებაა „ინტეგრირებული“ ქვეყნების მუშათა კლასის გამოსვლები კაპიტალის წინააღმდეგ.

ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი „საერთო ბაზრის“ მესვეურთა მიერ დასახულ ღონისძიებებს. შეთანხმებით გათვალისწინებულია ბაყების შემცირება მომავალშიც, საშუალოდ ერთჯერ ყოველ 18 თვეში. ასე რომ, მესამე ეტაპის დამთავრების შემდეგ უნდა გაუქმდეს ყველა საბაჟო გადასახადი, რომლებიც ღდემდე არსებობს „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებს შორის. ასევე გათვალისწინებულია საიმპორტო კვოტებისა და სხვა შეზღუდვების გაუქმება. ერთგვარი ნაბიჯებიც გადადგეს სავალუტო შეზღუდვების შერბილების მიზნით. შემოიღეს ვალუტების ნაწილობრივი შექცევადობა, გააუქმეს სამრეწველო საქონლის იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები. „ინტეგრირებული“ ქვეყნები შეთანხმდნენ აგრეთვე საერთო საბაჟო ტარიფების დაწესების საკითხში. მიიღეს ერთიანი საბაჟო ტარიფი სხვა ქვეყნების (რომლებიც არ შედიან „საერთო ბაზარში“) მიმართ და სხვ.

ვისთვის არის გათვალისწინებული აღნიშნული „ინტეგრაციული ღონისძიებები? „საერთო ბაზრის“ ავტორებს რომ ჰკითხოთ (თუმცა კითხვაც არ სჭირდებათ), აცხადებენ, რომ „ერთიანი ევროპა“, ე. ი. „შეთანხმებული ევროპა“, „ინტეგრირებული ევრო-

პა“ — „საერთო ბაზარი“ უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და მთელი საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას. ფაქტები კი სრულიად საწინააღმდეგოს მოწმობენ.

„ევროპის ინტეგრაცია“, „საერთო ბაზარი“ მიმართულია ძირ-მომპალი კაპიტალიზმის შენარჩუნებისაკენ, მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესების დასაცავად, თავისებური, ფარული კოლონიური იმპერიის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ასე რომ არ იყოს, მაშინ არც შექმნიდნენ „საერთო ბაზარს“ მონოპოლისტები. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ „საერთო ბაზარი“ ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების ეროვნული ბაზრების უბრალო არითმეტიკული ჯამი როდია. თავის მაზინჯ კაპიტალისტურ ფორმებშიც კი ეკონომიურ „ინტეგრაციას“ შეუძლია ბიძგი მისცეს წარმოების, შინა და საგარეო ვაჭრობის მოცულობის გადიდებას. მაგრამ ამ ფაქტორის მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ. დამახასიათებელია, რომ იაპონია, რომელსაც „საერთო ბაზართან“ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, წარმოებისა და ექსპორტის გადიდების ტემპებით მნიშვნელოვნად უსწრებს ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნებს“⁶⁰.

„საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების უმსხვილესმა მონოპოლიებმა გაიფართოვეს თავიანთი ბაზრები სხვების — უფრო სუსტი პარტნიორების ხარჯზე. მაგრამ ეს, ცხადია, არ ხსნის ბაზრის პრობლემას, პირიქით, იგი კიდევ უფრო ამწვავებს წინააღმდეგობას ბაზრებისათვის ბრძოლაში. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პირმშო „საერთო ბაზარი“ უძლურია ობიექტური კანონზომიერების წინაშე. წინააღმდეგობა წარმოებასა და გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის იყო და არსებობს კაპიტალისტურ ქვეყნებში. „საერთო ბაზარი“ არ სპობს და ვერც მოსპობს ამ ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს. ეს წინააღმდეგობა რჩება და კიდევ უფრო მწვავედ გამოვლინდება „საერთო ბაზრის“ ფარგლებში.

„საერთო ბაზარი“ კიდევ უფრო მაზინჯ ფორმას აძლევს ბაზრების გადანაწილებისათვის ბრძოლას. „ინტეგრაციონალისტთა“ მტკიცება „ინტეგრაციით“, „საერთო ბაზრით“ იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა შერბილებისა და მოსპობის შესახებ წააგავს ცდას — ბენზინით იქნეს ჩაქრობილი ხანძარი. რა თქმა უნდა, „საერთო ბაზრის“ ცოტად თუ ბევრად შეთანხმებული ეკონომიური პოლიტიკის გავლენით გაძლიერდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების ტენდენციები⁶¹, მაგრამ ეს დროებითია.

„საერთო ბაზარი“, დასაუღეთ ევროპის „ინტეგრაცია“ მიზნად ისახავს ბაზრის პრობლემის გადაჭრას, დაშლისა და ლიკვიდაციის

პროცესში მყოფი კოლონიალიზმის შენარჩუნებას, კოლონიური და სუსტად განვითარებული ქვეყნების ძარცვის გაგრძელებას „ახალი“ „ინტეგრირებული მეთოდებით“. დროზე შენიშნა ვ. ი. ლენინმა, რომ „ევროპის შეერთებული შტატები“—ეს არის ევროპის კაპიტალისტთა დროებითი შეთანხმება კოლონიების გაძარცვისათვის, ბაზრებით უზრუნველყოფისათვის. თანამედროვე ეტაპზე იმპერიალისტები, „ინტეგრაციის“ მესვეურები იმავე მიზნებს ისახავენ. „ინტეგრაციონალისტთა“ გუნდში აქტიურობენ მემარჯვენე სოციალისტები, ყველა ჯურის ოპორტუნისტები. „ოპორტუნისტები“ (სოციალ-შოვინისტები) მუშაობენ იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან ერთად სწორედ იმ მიმართულებით, რათა შექმნან იმპერიალისტური ევროპა აზიისა და აფრიკის ზურგზე. რომ ოპორტუნისტები ობიექტურად წარმოადგენენ წვრილი ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ზოგიერთი ფენის ნაწილს. რომელიც მოსყიდულია იმპერიალისტური ზემოგებობის სახსრებით და გადაქცეულია კაპიტალიზმის მოდარაჯე ქოფაკებად, მუშათა მოძრაობის გამხრწნელებად“⁶². ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები, გამოთქმული ჯერ კიდევ 1916 წ. შრომაში — „იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა“, მთელ თავის ძალასა და მნიშვნელობას ინარჩუნებს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა, „საერთო ბაზრის“ აპოლოგეტთა მიმართ.

„საერთო ბაზართან“ დაკავშირებულ პრობლემებს საარსებო მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის მშრომელთა ფართო მასისათვის. ფინანსური კაპიტალი, იყენებს რა „საერთო ბაზარს“, ისწრაფვის მოაწყოს ახალი შეტევა მუშათა კლასზე ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროში. მონოპოლიებს საქმე ისე მიჰყავთ. რომ შექმნან დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის გაერთიანებული ფრონტი. მონოპოლისტური კაპიტალი ცდილობს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა დაძლევის მშრომელთა ხარჯზე. „საერთო ბაზარს“ აგრეთვე სერიოზული უარყოფითი შედეგები მოჰყვება გლეხობისათვის, ხელოსნებისათვის, წვრილი და საშუალო ვაჭრებისა და მეწარმეებისათვის. ევროპის ეკონომიური გაერთიანება მონოპოლიების მორიგებაა ხალხების. ზურგს უკან მათი ძირეული ინტერესების წინააღმდეგ“⁶³.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ და „საერთო ბაზარი“ ხელს უწყობს კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. „ინტეგრაცია“ სოფლის მეურნეობაში სასარგებლოა პირველ რიგში მსხვილი კაპიტალისათვის. რადგან

„როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში განუხრელად მიმდინარეობს წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცი-
ცენტრალიზაცია. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება ანადგურებს
და აჩანაგებს წვრილ, განსაკუთრებით, მარტივ საქონლურ წარმოე-
ბას, სოფლად იგი სულ უფრო აძლიერებს ფერმერების, გლეხობის
დიფერენციაციას“⁶⁴.

ეს ძალიან მკაფიოდ ჩანს ღვინის წარმოების დარგში. განსაკუთ-
რებით გამწვავდა კონკურენციული ბრძოლა ღვინის ბაზარზე. ღვი-
ნის წარმოება საფრანგეთში მწვავე კრიზისს განიცდის. მთავრობა
სახსრებს ხარჯავს „ზედმეტი“ ვაზის განადგურების დასაფინანსებ-
ლად⁶⁵. ეს იწვევს წვრილ მწარმოებელთა გაღატაკებასა და გაჩანა-
გებას. მთავრობის მიერ სოფლის „გასაჯანსაღებლად“ გატარებუ-
ლი პოლიტიკის („მწვანე გეგმა“) შედეგად გაღატაკებულ ფერმერ-
თა რაოდენობამ საშუალოდ წელიწადში 100 ათასს მიაღწია⁶⁶.

ანალოგიურ მდგომარეობაშია გერ-ის გლეხობა. რომლის პრო-
ლეტარიზაცია „ინტეგრაციისა“ და „ეკონომიური სასწაულის“ პი-
რობებში უფრო სწრაფად და მწვავედ მიმდინარეობს, ვიდრე ფა-
შინის დროს⁶⁷. „ეკონომიურმა სასწაულმა“ დასავლეთ გერმანიაში
კიდევ უფრო გააძლიერა საშუალო ფენების პროლეტარიზაციის
პროცესი. წვრილი და საშუალო საწარმოების გაჩანაგების ბაზაზე
იზრდება მუშათა კლასის რიგები. უკანასკნელ წლებში (1960 წლა-
მდე) გაჩანაგდა დაახლოებით 300 ათასი მეურნეობა, რომლებშიც
დასაქმებული იყო 1 მილიონამდე კაცი. ბონის მთავრობის „ინ-
ტეგრაციული“ ღონისძიებები მსხვილი კაპიტალისტური სასოფ-
ლო-სამეურნეო წარმოების შექმნის მიზნით გამოიწვევს კიდევ 1,200
ათასი გლეხური მეურნეობის გაჩანაგებას⁶⁸.

„საერთო ბაზარი“ უმსხვილესი მონოპოლიების იარაღია გასა-
ღებისა და ნედლეულის წყაროების გადანაწილებისათვის ბრძოლა-
ში, იგი ეკონომიური საფუძველია ახალი, აგრესიული, ატომური
ომის მომზადებისათვის. „ინტეგრაცია“ და „საერთო ბაზარი“, „თა-
ნასწორობისა“ და თავისუფალი „სამართლიანი კონკურენციის“
დროშით ნიშნავს თვით „ინტეგრირებული“ კაპიტალისტური ქვეყნე-
ბის მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერებას, დამოკიდებული,
ეკონომიურად სუსტად განვითარებული და კოლონიური ქვეყნების
დატოვებას იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრარულ დანამა-
ტად, „მსოფლიო სოფლად“.

„საერთო ბაზარი“ მონოპოლისტური „ინტეგრაციის“ თეორე-
ტიკოსებმა გამოაცხადეს დალუპვის გზაზე მდგომი კაპიტალისტუ-
რი წყობილების გადამრჩენ „ნოეს კიდობნის“ მსგავს სასწაულად.

საღად მოაზროვნე ადამიანებისათვის კი ნათელია, რომ „საერთო ბაზარში“ არსებული „თავისუფლება“, „თანასწორობა“, კონკურენციის პირობების „ჰარმონიზაცია“ და „სამართლიანი კონკურენცია“ მხოლოდ უსამართლობა და მონოპოლისტური კაპიტალის აღვირახსნილი მოქმედების, მაქსიმალური მოგების ამოქაჩვის თავისუფლებაა. ამასთან ერთად, როგორც უკვე ითქვა, „საერთო ბაზარი“ იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა ახალი კვანძია. მსოფლიო კაპიტალისტური ბაზარი დაყოფილია მთელ რიგ ურთიერთსაწინააღმდეგო რეგიონალურ ბაზრებად; ამ რეგიონალურ ბაზრებს აქვთ ვაჭრობის სხვადასხვა პირობები. მათ შორის წინააღმდეგობაა, წარმოებს სავაჭრო ომები სხვადასხვა კარდახშულ ბაზრებს შორის. ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ მსოფლიო კაპიტალისტური ბაზარი დაქუცმაცებულია ერთიმეორის საწინააღმდეგო ბლოკებად.

ჯერ ერთი, წინააღმდეგობაა „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებს შორის — „ექვსეულის“ შიგნით, ე. ი. პატიონორებს შორის და, რაც დრო გადის, ეს წინააღმდეგობა კიდევ უფრო მწვავედება;

მეორე, წინააღმდეგობაა „ექვსეულსა“ და „შვიდეულს“ შორის — დასავლეთ ევროპის ამ ორ კარდახშულ ბლოკს შორის;

მესამე, წინააღმდეგობათა ახალი კვანძი გაჩნდა „საერთო ბაზარსა“ და აშშ-ს შორის;

მეოთხე, წინააღმდეგობანი განუწყვეტლივ მატულობს „საერთო ბაზარს“ და „ასოციირებულ ქვეყნებს“, აგრეთვე „საერთო ბაზარსა“ და ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის და სხვ.

მონოპოლისტური კაპიტალის მსახურნი ძალ-ღონეს არ იშურებენ „ერთიანი ევროპის“, „ინტეგრაციის“, „ატლანტიკის თანამეგობრობის“ იდეების გატარებისათვის. გახშირდა თათბირები კაპიტალისტური ქვეყნების მმართველ წრეებს შორის. მარტო 1953 წლის მაისში 4 სესია ჩატარდა: 1. ბრიუსელში მიმდინარეობდა ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს სესია; 2. ლისაბონში თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაციის მიწისტრთა საბჭო თათბირობდა; 3. სტრასბურგში ევროპის საბჭოს სესია იყო; 4. ჟენევაში საბაჟო ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ საერთო შეთანხმების მონაწილე ქვეყნების მინისტრთა სესია გაინარჩა. ყველა სესიამ მიზნად დაისახა „ინტეგრაციის“ განაორ კელება, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო ურთიერთსაწინააღმდეგო ბლოკების წარმომადგენელთა შეკრება. ამ სესიებზე ერთხელ იდევე გამოაშკარავდა, რომ ღრმა ანტაგონისტური წინააღმდეგობანია

კაპიტალისტურ ქვეყნებსა და ამ ქვეყნების სსვადასხვა დაჯგუფებებს შორის და მათი დაძლევა „ინტეგრაციით“ შეუძლებელია. პეტრე „საერთო ბაზარმა“, „ინტეგრაციამ“ წარმოშვა ახალი წინააღმდეგობანი და შეხლა-შემოხლა იმპერიალისტებს, პთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის⁶⁹.

2. წინააღმდეგობანი „საერთო ბაზრის“ წაპრავს („ამჰსაშულს“) შორის

„საერთო ბაზარს“, იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“, რა თქმა უნდა, არ შეუძლია ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა შერბილება და, მით უმეტეს, მათი ლიკვიდაცია. კაპიტალისტური დასავლეთ ევროპის ნამდვილი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ იგი მწვავე ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანხმოებათა, წინააღმდეგობათა, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის კონკურენციისა და კონფლიქტთა ასპარეზად რჩება. კ. მარქსი წერდა: „თანამხანაგები თვითთულს მხოლოდ მანამდე აინტერესებს, სანამ მათთან ერთად ყოფნით მეტ მოგებას იღებს, ვიდრე მათ წინააღმდეგ ყოფნით. მოქმედების ერთიანობა მაშინვე ისპობა, როდესაც მოცემული მხარე, როგორც ასეთი, მოწინააღმდეგეზე უფრო სუსტი ხდება, მაშინ ყოველი ცალკეული პიროვნება ცდილობს, რაც შეიძლება უკეთესად მოეწყოს საკუთარი ძალ-ღონით“⁷⁰. განა შეიძლება „თანასწორობა“ და „სამართლიანი კონკურენცია“ გფრ-სა და ლუქსემბურგს შორის? წამყვანი მდგომარეობა „საერთო ბაზარში“ გფრ-ისა და საფრანგეთის მონოპოლიებს უკავიათ. რომის შეთანხმების (მუხლი 138) თანახმად, გაერთიანების ასამბლეაში უფროს პარტნიორებს — გფრ-ს. საფრანგეთს, იტალიას ჰყავთ 36 წარმომადგენელი თვითთულს, ხოლო უმცროს პარტნიორებს — ბელგიას, ნიდერლანდებს — 14 თვითთულს, ლუქსემბურგს კი — 6. დასავლეთ გერმანია „ინტეგრირებული ევროპის“ ყველაზე უფრო ძლიერი და მტაცებელი წევრია, რომელიც მთელი „ექვსეულის“ სამრეწველო პროდუქციის თითქმის ნახევარს აწარმოებს.

„პატიოსანი კონკურენცია“, „ლოიალური კონკურენცია“ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა მიხედვით „თანასწორობას“ ნიშნავს, სინამდვილეში კი „პატიოსანი კონკურენცია“ არის უმსხვილესი მონოპოლისტური კავშირების მიერ წვრილი მწარმოებლების განადგურება და შთანთქმა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე გერმანიის ყველაზე აგრესიული ფინანსური

წრეების წარმომადგენელმა ი. გოლდშმიტმა ასე განსაზღვრა „პატიოსანი კონკურენცია“: „პატიოსანი კონკურენცია არის ის, რომელსაც მე ვეწევი ჩემი კონკურენტის წინააღმდეგ, ხოლო არაპატიოსანი კონკურენციაა—რომელსაც ის ეწევა ჩემს წინააღმდეგ“⁷¹.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ მესვეურებმა შეიმუშავეს დებულება „კონკურენციის წესების“ შესახებ. დებულების პროექტი წარმოდგინეს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, გფრ-ის მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლებმა. დებულება დაამტკიცა „საერთო ბაზრის“ საბჭომ 1961 წლის ბოლოს. ბუნებრივია, „კონკურენციის წესები“ შეესაბამება მონოპოლიების ინტერესებს. დასავლეთ გერმანიაში მიღებულ „ანტიკარტელურ კანონებს“.

„კანონი კარტელების შესახებ“ ემყარება ნეოლიბერალების „ანტიმონოპოლისტურ“ დემაგოგიას. იქმნება მოჩვენებითობა, რომ „ინტეგრაციონალისტები“, ნეოლიბერალები თითქოს მონოპოლიების მტრები არიან და იცავენ თავისუფალ კონკურენციას, „პატიოსან კონკურენციას“. მათი „ანტიკარტელური კანონი“ და „კანონი თავისუფალი კონკურენციის დაცვის შესახებ“ ემსახურება მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს, კიდევ უფრო აჩქარებს კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას. „ინტეგრირებული ევროპის“ 10 ყველაზე მსხვილი ტრესტიდან 8 გფრ-ს ეკუთვნის. დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის დამყარებას ცდილობს „მწვიდობიანი“ საშუალებით — „ინტეგრაციის“ ლოზუნგით. „ინტეგრაციის“ საფარით ცდილობენ ბონელი რევანშისტები თავიანთი აგრესიული გეგმების განხორციელებას. დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზია „საერთო ბაზრით“, „ინტეგრაციით“ ფიქრობს იმის გაკეთებას, რაც ფაშისტებმა ვერ შეძლეს იარაღით. გერმანელი მილიტარისტები განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებენ „ინტეგრაციაზე“. ისინი ცდილობენ „ევროპის ეკონომიური გაერთიანების“ გამოყენებას თავიანთი გავლენის გასავრცელებლად მთელ დასავლეთ ევროპაზე“⁷², — წერს ცნობილი გერმანელი ეკონომისტი. პროფესორი ოტო რაინჰოლდი.

„ექვსეულს“ შორის დიდი წინააღმდეგობაა. „ინტეგრირებული“ ქვეყნების მმართველი წრეები ბევრს ლაპარაკობენ „ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე“, „საერთო ბაზარზე“, ერთიანი საბაჟო ტარიფების შემოღებაზე და სხვა, მაგრამ ამას დემაგოგიურად აკეთებენ და შენიღბული ფორმით ინარჩუნებენ სხვადასხვა პროტექციონისტულ ღონისძიებებს. „ექვსეულს“ ყველა წევრი ფარულად, ზოგჯერ აშკარად იყენებს პროტექციონიზმის, უფრო სწორად, ზეპრო-

„ექველულის“ მდგომარეობა „საერთო ბაზარში“⁷⁶ (1900 — 1901 წწ.)

(პროცენტობით)

	ნ ფ	საფრანგე- თი	იტა- ლია	კოლა- ნდია	ა ნ გ ე	ლუქსემ- ბურგო	წ წ
მოსახლეობა	31,7	26,9	29,0	6,8	5,4	0,2	100
ტერიტორია	21,3	47,3	25,8	2,8	2,6	0,2	100
სამრეწვე წარმოება	44,7	24,5	20,0	5,9	4,8	0,1	100
ელექტროენერგია	42,0	26,1	20,4	6,1	4,9	0,5	100
ფაბრიკები	45,8	24,3	12,4	2,7	9,2	5,6	100
თუჯი	46,0	27,0	4,0	3,0	13,0	7,0	100
ავტომობილები	51,3	31,7	17,0	—	—	—	100
ცემენტი	40,4	23,3	26,1	3,0	7,2	—	100
ქვანახშირი	61,0	25,0	—	5,0	9,0	—	100
ალუმინი	32,2	52,2	15,6	—	—	—	100
პლასტმასა	56,2	19,9	17,5	4,5	1,9	—	100
აბოტოვანი სასუქები	50,9	15,9	17,0	8,7	7,5	—	100
გუმების მშენებლ.	40,7	18,3	13,8	23,8	3,4	—	100
იმპორტი	35,0	21,0	14,0	16,0	14,0	—	100
ექსპორტი	39,0	23,0	12,0	14,0	13,0	—	100
ოქროს მარაგი (მლნ. დოლ.)	3242	1883	2217	1451	1132	—	

ტექციონიზმის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია „პარტნიორის“, „საერთო ბაზარში“ გაერთიანებული „მეგობრის“ წინააღმდეგ. ამ პროტექციონისტული ღონისძიებების გატარების მიზანია თვითნებური მათგანის ეროვნული ბაზრის დაცვა პარტნიორების კონკურენციისაგან. ამასთან დაკავშირებით, კონფლიქტები, რაც დრო გადის, კიდევ უფრო მატულობს. ეს კონფლიქტები იქამდე მიდის, რომ „ინტეგრირებული“ ქვეყნები „სავაჭრო ომების“ ხერხებსა და მეთოდებსაც კი იყენებენ. მაშასადამე, „ახლო მომავალში, როცა „საერთო ბაზრის“ ქვეყნები შეუდგებიან რომის ხელშეკრულებით დასახული, შემდგომი, უფრო რთული ღონისძიებების რეალიზაციას, წარმოიშობა კიდევ უფრო დიდი წინააღმდეგობანი და დაბრკოლებანი, გარდა ამისა, „საერთო ბაზრის“ სიმტკიცეს ჯერ კიდევ არ შეხვედრია ეკონომიური კრიზისის გადატანა“⁷³.

„საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების მმართველი წრეები, პირველ რიგში კი გფრ და საფრანგეთი, ბევრს ლაპარაკობენ „ლიბერალიზაციაზე“ და „პროტექციონიზმის შესუსტებაზე“. ე. ი. ლენინი თავის შრომაში — „II ინტერნაციონალიზმის კრაზი“, ეხება რა თავისუფალი ვაჭრობის და პროტექციონიზმის საკითხებს, პირდაპირ მიუთითებს, რომ „სასაცილოც კია იმის ფიქრი, თითქოს პროტექციონიზმის შესუსტებას ორ ქვეყანაში შეეძლოს აქ რაიმეს შეცვლა“⁷⁴.

„საერთო ბაზარშიც“ ასე დგას საკითხი. „ინტეგრირებული“ ქვეყნების მიერ ვაჭრობის „ლიბერალიზაცია“ — ფრიტრედეროხისა კენ გადადგმული ნაბიჯები სრულიადაც არ მოასწავებს თანასწორობასა და „პატიოსან კონკურენციას“ პარტნიორებს — „ექვესეულის“ წევრებს შორის. თუ თვალს გადავავლებთ „საერთო ბაზარში“ შემაჯავლი ქვეყნების მდგომარეობას, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის, და არა მარტო მათ შორის, არამედ საერთოდ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, გააფთრებული კონკურენცია და წინააღმდეგობაა⁷⁵ (ცხრილი 3).

ცხრილიდან აშკარად ჩანს დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის მონოპოლისტური კაპიტალის უპირატესობა სხვა პარტნიორებთან შედარებით. ეკონომიური განვითარების მხრივ დასავლეთ გერმანია ყველა დანარჩენ პარტნიორზე მაღლა დგას. ექვს არ იწვევს, რომ „ექვესეულს“ შორის ყველაზე ძლიერია გფრ. მას ბევრად ჩამორჩება საფრანგეთი და იტალია, რომ არაფერი ვთქვათ ბენილუქსის ქვეყნებზე. დასავლეთგერმანული მარკა ასუსტებს სტერლინგისა და დოლარის პოზიციებს. მას მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის ყველაზე უფრო სტაბილური ვალუტის მდგომარეობა უქირავს.

გფრ-ის მონოპოლიური გაერთიანებები ავიწროებენ და ახრჩობენ პარტნიორი ქვეყნების საწარმოებს. საფრანგეთი, იტალია და სხვა „ინტეგრირებული“ ქვეყნები ვერ უძლებენ გფრ-ს კონკურენციულ ბრძოლაში. ტარიფების შემცირებამ, „საერთო ბაზრის“ ფარგლებში არსებულმა „თანასწორობამ“ კი არ შეამცირა, არამედ გააძლიერა კონკურენცია და მეტოქეობა პარტნიორებს შორის. უმსხვილესი მონოპოლიები ანადგურებენ წვრილ და საშუალო საწარმოებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საფრანგეთის მრეწველობა, რომელსაც „ინტეგრაციის“ გატარებამდე იცავდა მაღალი საბაჟო გადასახადები. გფრ-თან კონკურენციულ ბრძოლაში დამარცხდა და არსებობა შეწყვიტა ელექტროენერგეტიკული კომპანიების თითქმის მესამედმა ნაწილმა (30%), დაიხურა წვრილი საფეიქრო საწარმოების 20% და მრავალი შახტი. ბელგიაში 1961 წლის ბოლოსათვის დახურეს ქვანახშირის 46 შახტი, რომლებიც 7 მლნ ტონა ქვანახშირს იღებდნენ წლის განმავლობაში. გფრ ჩამორჩება საფრანგეთს ალუმინის წარმოების მხრივ.

კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედება და მისგან გამოწვეული წინააღმდეგობანი აძლიერებს მეტოქეობას პარტნიორებს შორის. სამრეწველო პროდუქციის ინდექსმა 1953—1961 წლებში შეადგინა (1953 წ.-100): დასავლეთ გერმანიაში —

191, საფრანგეთში — 184, ნიდერლანდებში — 159, ლუქსემბურგში — 141, ბელგიაში — 135. მხოლოდ იტალია უსწრებდა გფრ-ს⁷⁷. დასავლეთ გერმანია უსწრებდა თავის პარტნიორებს ელექტროენერჯის, თუჯის, გოგირდმეყვას, ავტომობილებისა და პროდუქციის სხვა სახეობათა წარმოების ტემპების მხრივაც. 1954 წ. ელექტროენერჯიას აწარმოებდა მლრდ კვ (საათებში : გფრ — 68,5, საფრანგეთი — 65,6; იტალია — 35,6; ბელგია — 10,6; ჰოლანდია — 10,6; 1961 წლისათვის გფრ-ში ელექტროენერჯის გამოიმუშავება თითქმის 2-ჯერ გაიზარდა (122,4 მლრდ კვ (საათი), ხოლო საფრანგეთში — 76,2 მლრდ კვ (საათამდე), იტალიაში — 58,7 მლრდ კვ (საათამდე) და ა. შ.⁷⁸.

„ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ უკანასკნელ პერიოდში ადგილი ჰქონდა წარმოების ზრდას „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში. ეს არის კიდევ ერთი „არგუმენტი“ „ინტეგრაციით“ მომხდარი „ეკონომიური სასწაულებისა“. მაგრამ „ინტეგრაციასა“ და „საერთო ბაზარს“ არავითარი სასწაულების მოხდენა არ შეუძლია. თქმა იმისა, რომ „საერთო ბაზარმა“ ერთობ აამაღლა „ექსპეულის“ წარმოების ზრდის ტემპები, არ არის სწორი, რადგან იგი ეწინააღმდეგება ფაქტებს, სინამდვილეს. „საერთო ბაზარში“ შევიდა ქვეყნები, რომელთა წარმოების ზრდის ტემპები „საერთო ბაზრის“ შექმნამდეც მაღალი იყო. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ „ექსპეულის“ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა ძირითადი კაპიტალის მასობრივ განახლებას, შეიქმნა სრულიად ახალი დარგები, რომლებშიც გამოყენებულ იქნა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და სხვ. ამგვარად, „საერთო ბაზარიც“ რომ არ შექმნილიყო, წარმოების ერთგვარ ზრდას ისედაც ექნებოდა ადგილი „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში. „საერთო ბაზარში“ არ არის გაერთიანებული ავსტრია, მაგრამ სამრეწველო პროდუქციის ინდექსმა 1961 წელს იქ შეადგინა 186 (1953 წ. = 100), რომ არაფერი ვთქვათ იაპონიაზე, რომელიც ბევრად უსწრებდა წინ ამ მხრივ დასავლეთ ევროპის „ინტეგრირებულ“ ქვეყნებს. და კიდევ ერთი მომენტი. თუკი „საერთო ბაზარი“ სასწაულებს ახდენს, ეს „სასწაულები“ უნდა შეხებოდა ბელგიასა და ნიდერლანდს, მაგრამ ასე არ მოხდა.

„საერთო ბაზრის“ წევრები სინამდვილეში არიან მეტოქეები პარტნიორების როლში. დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალი გააფთრებით იბრჯვის ჰეგემონიისათვის დასავლეთ ევროპაში. უნდა ითქვას, რომ „საერთო ბაზრის“ ფარგლებში კიდევაც მიაღწია ამას. ამან კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობანი

დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. ეს პარველ რიგში ეხება გფრ-სა და საფრანგეთს. განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობაა სოფლის მეურნეობის „ინტეგრაციის“ გატარების მხრივ. „საერთო ბაზარში“ სოფლის მეურნეობის „ინტეგრაცია“ წარმოადგენს განსაკუთრებით ძნელ ამოცანას. ეს პრობლემა იწვევს უდიდეს წინააღმდეგობებს „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით კი საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის. ამ გარემოებას გვერდს ვერ უვლის თვით ნეოლიბერალების წელიწდეულიც. „საერთო ბაზარი“ ითვალისწინებს „აგრარულ ინტეგრაციას“ „საერთო აგრარული ბაზრის“ შექმნას, მაგრამ ფაქტიურად ძლიერდება „სოფლის მეურნეობის დეზინტეგრაცია“⁷⁹.

საფრანგეთი მოითხოვს „ინტეგრაციის“ განხორციელებას სოფლის მეურნეობაშიც. ეს არ აწყობს დასავლეთ გერმანიის მმართველ წრეებს. დასავლეთ გერმანიის სოფლის მეურნეობისათვის, უფრო სწორად, მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობისათვის, ხელსაყრელია პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარება — აგრარული პროტექციონიზმი. სხვა პარტნიორებთან შედარებით გფრ არის აგრარული პროტექციონიზმის განვითარებული სისტემის ქვეყანა. ცხადია, აგრარული პროტექციონიზმი დასავლეთ გერმანიაში ემსახურება მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესებს და არა მთელ სოფლის მეურნეობას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ აგრარული პროტექციონიზმი ზიანს აყენებს თვით დასავლეთ გერმანიის წვრილგლეხურ მეურნეობას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გფრ-ის გლებობა გამოდის ბონის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ. დასავლეთ გერმანიის 70 000-ზე მეტი გლეხი გამოვიდა ბონის რეჟიმის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ⁸⁰.

„მწვანე წიგნის“ მონაცემების მიხედვით 1946—1958 წლებში გაქრა 191 300 გლეხური მეურნეობა. რომლებსაც 10 ჰექტარამდე მიწის ფართობი ჰქონდათ. გადატაკებულ გლეხურ მეურნეობათა რიცხვი წლითიწლობით იზრდება. 1959 წ. გაჩანაგდა 220 ათასამდე მეურნეობა. გფრ-ის ბურჟუაზიული ჟურნალი „ნოიე პოლიტიკი“ იძულებული გახდა აგრეთვე ელიარებინა, რომ 1949—1962 წლებში ლიკვიდირებულია 300 ათასი მეურნეობა⁸¹.

აგრარულ პროტექციონიზმს მიმართავენ საფრანგეთი და სხვა „ინტეგრირებული“ ქვეყნებიც. სიტყვით ყველა პარტნიორი თანახმაა იმისა, რომ გატარდეს სოფლის მეურნეობის „ინტეგრაცია“. ფაქტიურად კი ყველა მიმართავს აგრარულ პროტექციონიზმს, რათა თავი დაიცვას კონკურენციულ ბრძოლაში და გაიმარჯვოს პარტნიორზე. ამ მხრივ უპირატესობა აქვს საფრანგეთს და სწორედ

იგი ცდილობს სოფლის მეურნეობაში ჰეგემონიის მოპოვებასა და შენარჩუნებას. „საერთო ბაზრის“ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში 1961 წ. საფრანგეთზე მოდიოდა 37,6%, იტალიაზე — 27,2%, ხოლო დასავლეთ გერმანიაზე — 23,7%⁸². რა თქმა უნდა, ეს მონაცემები ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საფრანგეთს თითქოს უზრუნველყოფილი აქვს ჰეგემონია. არა. გფრ-ის სოფლის მეურნეობა თავისი პროდუქტიულობით უსწრებს საფრანგეთსა და იტალიასაც. დასავლეთ გერმანიას პირველი ადგილი უჭირავს „ექვსეულში“ ტრაქტორების გამოყენების მსრივაც. 1959 წ. ყოველ 100 მეურნეობაზე მოდიოდა: იტალიაში — 8,5, ბენილუქსის ქვეყნებში — 23, საფრანგეთში — 33, ხოლო დასავლეთ გერმანიაში — 50 ტრაქტორი⁸³. ეს მონაცემები მოწმობს, რომ კონკურენტული ბრძოლა გრძელდება პარტნიორებს შორის. მეტიც: სოფლის მეურნეობის „ინტეგრაციის“ თაობაზე წინააღმდეგობაა თვით „ინტეგრირებული“ ქვეყნების შიგნით — აგარაული და სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლებს შორის. ამ მხრივ შეიძლება მოვიგონოთ „პუარის კანონების“ გარშემო გამართული ბრძოლა ინგლისში XIX საუკუნის პირველ ნახევარში აგარაულ არისტოკრატებსა და სამრეწველო ბურჟუაზიას შორის.

სოფლის მეურნეობაში „ინტეგრაციის“ განხორციელებას განსაკუთრებით ართულებს მიწაზე კერძო საკუთრების მონოპოლიის არსებობა, აგრეთვე რიგი ქვეყნების მიწათსარგებლობის სისტემაში კაპიტალისტურამდელი გადმონაშთების შენარჩუნება⁸⁴. გფრ-ის აგარაული წრეები მოითხოვენ აგარაული პროტექციონიზმის გაძლიერებას, მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზია კი ამჯობინებს „ინტეგრაციის“ განხორციელებას. ცხადია, ორივე იბრძვის საკუთარი ინტერესებისათვის, მაქსიმალური მოგების უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, თუ მრეწველობის დარგებში „ინტეგრაცია“, ვაჭრობის „ლიბერალიზაცია“ შედარებით „უმტკივნეულოდ“ მიმდინარეობს, სოფლის მეურნეობაში „საერთო ბაზრის“ პირველ ეტაპზე (1957—1961 წწ) „ინტეგრაცია“ პრაქტიკულად არც კი დაძრულა ადგილიდან. 1963 წლის მაისში ბრიუსელში კვლავ შეიკრიბნენ „ექვსეულის“ სოფლის მეურნეობის მინისტრები. თათბირზე განსილულ იქნა „საერთო ბაზრის“ სოფლის მეურნეობის პრობლემა. თათბირის მონაწილეებმა მთავარი ყურადღება მიაქციეს რძის პროდუქტებითა და მარცვლეულით ვაჭრობის პოლიტიკის საკითხებს. საინტერესოა ეგრეთწოდებული „ქათმის ომი“. ცნობილია, რომ აშშ-დან „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნებში შეაქვთ დაკ-

ლული ფრინველი. საფრანგეთის მონოპოლიებმა თავდაპირველად მიაღწიეს იმას, რომ აამაღლეს ტარიფები შემოტანილ ფრინველზე. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებმა მოითხოვეს ტარიფების შემცირება „მესამე ქვეყნიდან“ შემოტანილ ფრინველზე. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა აშშ-მა. 1963 წლის ოქტომბერში ბრიუსელში ჩატარდა „საერთო ბაზრის“ სესია. სესიამ გააკეთა ზოგიერთი დათმობა „ქათმის ომის“ საკითხში აშშ-ის სასარგებლოდ, მაგრამ წინააღმდეგობანი კვლავ რჩება. მეტიც, არის იმის ნიშნები, რომ „ქათმის ომი“ შეიძლება „ფოლადის ომად“ (კონკურენციული ბრძოლა ფოლადის მწარმოებელ მონოპოლიებს შორის) იქცეს. „საერთო ბაზარმა“ უკვე მიიღო გადაწყვეტილება იმპორტირებულ ფოლადზე 6—9%-ით ტარიფების გადიდების შესახებ. ამჟამად გახშირად ლაპარაკი აგრეთვე „კარაქის ომის“, „ავტომობილის ომის“ შესახებაც.

დისკუსიები და თათბირები, რა თქმა უნდა, ვერც შემდგომში მოსპობენ იმ წინააღმდეგობებს, რომლებსაც „ინტეგრაცია“ ბაღებს.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ დოლარისა და სტერლინგის ზონებთან ერთად არის სხვადასხვა ზონები თვით „საერთო ბაზრის“ შიგნით. მაგალითად, არის ფრანგული ფრანკის ზონა, ბელგიური ფრანკის ზონა, პოლანდიური გულდენის ზონა. მაშასადამე, „საერთო ბაზარმა“, „ინტეგრაციამ“ ვერ უზრუნველყო ერთიანი მტკიცე ვალუტის შექმნა. კაპიტალისტურ სამყაროში, როგორც წინათ, არც ამჟამად არის მიმოქცევის ერთიანი და მტკიცე ფულადი საფუძველი — ერთიანი ოქროს სტანდარტი და ერთიანი მტკიცე ვალუტა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია დასავლეთგერმანული მარკის, როგორც კაპიტალისტური ბაზრის ყველაზე უფრო სტაბილური ვალუტის, აქტიურობა. გფრ-ის მარკა სულ უფრო მეტად მიიწევს იმ ქვეყნების ბაზარზე, რომლებიც „დოლარის“ და „სტერლინგის“ ზონაში შედიან. ფულის საგრძნობმა გაუფასურებამ გამოიწვია სავალუტო შეზღუდვის შემოღება რიგ ქვეყნებში.

„საერთაშორისო ვაჭრობას ათასნაირი დაბრკოლება ელოპებოდა და ელობება, ძლიერდება სავალუტო ქაოსი“⁸⁵.

დაუძლეველი წინააღმდეგობანი წამოიჭრა პოლიტიკური და სამხედრო „ინტეგრაციის“ თაობაზე (მაგალითად, ნატოს წევრთა სესიაზე ოტავაში, 1963 წ. მაისი). პოლიტიკური „ინტეგრაციის“ მიზანდასახულობა აშკარად ჩანს, მაგრამ, როგორც საერთოდ იმპერიალიზმს, მონოპოლისტურ „ინტეგრაციას“ სჩვევია, ამ საკითხშიც არ არის აზრთა ერთიანობა პარტნიორებს შორის. პირიქით, რაც დრო

გადის და ევროპის პოლიტიკური „ინტეგრაციის“ პრაქტიკულ განხორციელებაზე დგება საქმე, მით უფრო მეტი ახალი წინააღმდეგობა წამოიჭრება. ეს მოსვენებას არ აძლევს „ინტეგრირებული“ ევროპის მესვეურთ. იმპერიალისტური „ინტეგრაციით“ გამოწვეული წინააღმდეგობების თავის სასარგებლოდ გამოყენება სურს გფრ-ს. რევანშისტები გფრ-ს აცხადებენ ევროპაში „ანტიკომუნისტური მთავარ ბასტიონად“ და ამ ლოზუნგის გამოყენებით კიდევაც მიაღწიეს ზოგიერთ დათმობას ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი კონკურენტებისაგან. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ბრძოლას გფრ-ს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ევროპაში ჰეგემონიისათვის.

კაპიტალისტური ევროპის პოლიტიკური „ინტეგრაციის“⁸⁶ საკითხში სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო გეგმა არსებობს „ევროპის ფედერაციისა“ (გფრ). დე გოლმა კი წამოაყენა აზრი — „სამშობლოთა ევროპა“; რომელიც დაუპირისპირა „ევროპის ფედერაციის“⁸⁷ ბონის გეგმას. პოლიტიკური „ინტეგრაციის“ დეგოლისეული გეგმა ითვალისწინებს „ინტეგრირებული“ სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების შემადგენლობით საკონსულტაციო საბჭოს შექმნას, პოლიტიკურ კონფედერაციას, რომელსაც ექნება კონსულტაციური ხასიათის ფუნქციები. თვითეულ წევრს უნდა ჰქონდეს ვეტოს უფლება, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა ენიჭება იმას, ვინც სამხედრო-ეკონომიური თვალსაზრისით უფრო ძლიერია. ერთი სიტყვით, დე გოლის გეგმით „ინტეგრირებული“ ევროპის სათავეში უნდა იყოს საფრანგეთი, რადგან მას აქვს ატომური იარაღი და „საერთო ბაზარში“ შევიდა აფრიკის კოლონიებითურთ. დე გოლის გეგმა ითვალისწინებს „საფრანგეთის დიდების აღდგენას“. ასეთ პირობებში ითვალისწინებს დე გოლი „ბონ-პარიზის ლერძის“ არსებობას.

„დე გოლის გეგმას“ უპირისპირდება კაპიტალისტური ევროპის პოლიტიკური „ინტეგრაციის“ „მეორე გეგმა“; რომელსაც იცავენ „საერთო ბაზრის“ — „ექსეკულის“ უმცროსი პარტნიორები — ბელგია, პოლანდია, ლუქსემბურგი. ისინი არ იწონებენ „დე გოლის გეგმას“ და მოითხოვენ „გაერთიანებული ევროპის პარლამენტის“ შექმნას, ე. ი. „საერთო ბაზრის“, „ქვანანშირისა და ფოლადის გაერთიანების“, „ევრატომის“ შეგსებას და დასრულებას ზენაციონალური პარლამენტითა და მთავრობით. „საერთო-ეროვნული მთავრობის“ არჩევა უნდა ხდებოდეს პირდაპირი არჩევნებით.

ბრძოლა დე გოლსა და „ინტეგრალისტებს“ (ბელგია, პოლანდია, ლუქსემბურგი) შორის სასურველია გფრ-ისათვის. დასავლეთ

ვერმანის მმართველი წრეები უფრო შორს იხედებიან. მათ მაინცა და მაინც არც აწუხებთ წინააღმდეგობანი პოლიტიკური „ინტეგრაციის“ თაობაზე. ისინი ცდილობენ „ბონ-ვაშინგტონის ლერძის“ შექმნას, სადაც, რა თქმა უნდა, აცხადებენ, რომ პირველი ვიოლინო გფრ-ის უნდა იყოს.

„ექვსეულის“ შიგნით არის სხვა დაჯგუფებაც — „ტრიუმვირატი“ (საფრანგეთი, გფრ, იტალია) და სხვ. ამრიგად, კაპიტალისტური ევროპის „პოლიტიკური ინტეგრაცია“ კრიზისულ მდგომარეობაშია. 1961 წ. 18 ივლისს გამოცხადდა „ექვსეულის“ მთავრობათა მეთაურების (გოლდესბერგის) მანიფესტი, რომელიც „პოლიტიკურ ინტეგრაციას“ ეხება. „ბონის მანიფესტი“ წარმოადგენდა კაპიტალისტური ევროპის „პოლიტიკური ინტეგრაციის“ კომპრომისულ ვარიანტს.

„პოლიტიკური ინტეგრაციის“ საკითხების ირგვლივ მწვავე კამათი გაიმართა 1962 წ. აპრილში. ტურინში ერთმანეთს შეხვდნენ დე გოლი, ფანფანი და ვერნერი. იტალიის პრემიერ-მინისტრი ფანფანი შეხვდა კურორტზე დასასვენებლად მყოფ ადენაუერს. რამ აიძულა პარტნიორები, რომ სასწრაფოდ შეხვედროდნენ ერთმანეთს ალბებში? ამის მიზეზი იყო სწორედ კაპიტალისტური ევროპის პოლიტიკური „ინტეგრაციის“ სხვადასხვა ვარიანტის წამოყენება: „სამშობლოთა ევროპა“ და „ფედერაცია“. ახალმა კანცლერმა ლ. ერჰარდმა თავის სიტყვაში ბუნდესტაგის სხდომაზე დიდი ყურადღება დაუთმო ევროპის „ინტეგრაციის“ საკითხებს. მას არ აკმაყოფილებს „ეკონომიური ინტეგრაცია“ და შეშფოთებულია იმ უთანხმოებათა გამო, რომლებიც „ექვსეულს“ შორისაა „პოლიტიკური ინტეგრაციის“ თაობაზე. ბონის ახალი კანცლერი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ „ევროპის ეკონომიური გაერთიანება ამჟამად კრიტიკულ სტადიაში იმყოფება⁸⁸. ამ მიძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით ეწვივნენ ერჰარდი და შრედერი პარიზში დე გოლს 1963 წლის 21 ნოემბერს.

ამრიგად, წინააღმდეგობანი კვლავ რჩება „ერთიან უკონფლიქტო ალიანსში“, ევროპის „პოლიტიკური ინტეგრაციის“ გეგმები, როგორც „ფედერალისტური“, ასევე „კონფედერალისტური“, თავიანთი არსით ერთი და იგივეა. ისინი ითვალისწინებენ კაპიტალისტური ევროპის რეაქციული ძალების გაერთიანებას. „ფედერალისტური გეგმის“ მიზანია გფრ-ის ჰეგემონია „ინტეგრირებულ ევროპაში“, ხოლო „კონფედერალისტური გეგმა“ ითვალისწინებს საფრანგეთის ჰეგემონიას „მცირე ევროპაში“. ნეოლიბერალები (რეპუკე) ჭადაგებენ „ფედერალური ევროპის“ შექმნის იდეას⁸⁹.

8. სავაჭრო-ეკონომიური ომი „ეკსპულსა“ და
„შვიდულს“ შორის

დიდი წინააღმდეგობაა „საერთო ბაზარსა“ და იმ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ შედიან „ექსპულსში“. ეს პირველ რიგში ეხება გფრ-სა და საფრანგეთს, ერთი მხრივ, და ინგლისს, მეორე მხრივ. წინააღმდეგობა და ბრძოლა „საერთო ბაზარსა“ და ინგლისს შორის დღითიდღე მწვავედება და საბაჟო ომის⁹⁰ ხასიათს ღებულობს.

დიდი ბრიტანეთი შეეცადა „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ შექმნას ევროპის 17 კაპიტალისტური სახელმწიფოს შემადგენლობით, რათა იგი დაეპირისპირებინა „საერთო ბაზრისათვის“, მაგრამ ვერ შეძლო. ამის შემდეგ, 1959 წელს, მან შექმნა „თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონა“ და იგი დაუპირისპირა „ევროპის ეკონომიურ გაერთიანებას“ — „საერთო ბაზარს“.

1959 წლის 20 ნოემბერს სტოკჰოლმში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ინგლისსა, შვეციასა, ნორვეგიასა, შვეიცარიასა, დანიასა, პორტუგალიასა და ავსტრიას შორის „თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონის“⁹¹ შექმნის შესახებ.

თავისუფალი ვაჭრობის დიდი ზონის შექმნის პროექტი იმით განსხვავდებოდა „საერთო ბაზრისაგან“, რომ იგი ითვალისწინებდა „ინტეგრაციას“ სავაჭრო რეჟიმის დარგში. „საერთო ბაზარი“ კი წარმოადგენს სავაჭრო, ეკონომიურ, პოლიტიკურ „ინტეგრაციას“. ამრიგად, „თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონა“, ანუ „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია“ წარმოადგენს „საერთო ბაზრის“ კონტრბლოკს, „კონტრინტეგრაციას“. შეიძლება ითქვას, რომ ევროპის „ინტეგრაცია“ შევიდა ახალ ფაზაში.

საქმე ის არის, რომ „საერთო ბაზარმა“ უკონფლიქტო, პარამონიული კაპიტალისტური ევროპის შექმნა არ გამოიწვია. დასავლეთ ევროპა „ინტეგრირებული“ კი არ აღმოჩნდა, არამედ ფაქტიურად გათიშული ერთიმეორის საწინააღმდეგო და მეტოქე დაჯგუფებებად — ევროპის გაერთიანებად და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციად. ამრიგად, „ინტეგრაციონალისტების“ მტკიცებამ „ერთიანი“, „უკონფლიქტო“, „პარამონიული“ ევროპის შექმნის შესახებ კრახი განიცადა. 1960 წლის შუა ხანებში დასავლეთი ევროპა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ბლოკად გათიშული აღმოჩნდა. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დოქტრინა საპნის ბუშტივით გასკდა.

„თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონას“ სათავეში ჩაუდგა დიდი ბრიტანეთი. მასში შევიდა დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, დანია. ნორვეგია, პორტუგალია, შვეიცარია და შვეცია; ე. ი. შვიდი კაპიტალისტური სახელმწიფო, და აქედან მიიღო სახელწოდებაც — „შვიდეული“. „შვიდეული“ არის სავაჭრო ბლოკი, რომელსაც უწოდებენ აგრეთვე „თავისუფალ ბაზარს“, „თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაციას“ — „თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონას“. აი, კიდევ ერთი პრაქტიკული ნაბიჯი „საერთაშორისო ინტეგრაციისაკენ“.

თვით ფაქტი, რომ შეიქმნა კიდევ ერთი სავაჭრო ბლოკი „შვიდეულის“ სახით, ადასტურებს არა „საერთაშორისო ინტეგრაციას“, ე. ი. „ჭარმონიული“ კაპიტალისტური სამყაროს შექმნას, არამედ, პირიქით, „ღეზინტეგრაციას“. კიდევ 7 ქვეყნის „ინტეგრაცია“ მოასწავებს „ღეზინტეგრაციას“, ურთიერთსაწინააღმდეგო კარდახშული ბლოკების შექმნას. „შვიდეულის“ და „ექვსეულის“ წარმომადგენლები ვერც კი მალავენ, რომ „თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია“ მიმართულია „საერთო ბაზრის“ წინააღმდეგ. „შვიდეულის“ წარმომადგენლის — ნორვეგიის ოფიციალური პრესა წერდა, რომ „ექვსეულსა“ და „შვიდეულს“ შორის კიდევ უფრო მწვავედება წინააღმდეგობანი, ხოლო „ფრანს პრესის“ სააგენტომ აშკარად განაცხადა, რომ „შვიდეულის“ ორგანიზაციის მიზანია „სავაჭრო ომის წარმოება ევროპაში“⁹².

ამერიკელი პროფესორი დონ ჰემფრი სინანულით დასძენს, რომ „საერთო ბაზრის“ შექმნამ გამოიწვია ევროპის გათიშვა. „საერთო ბაზრის“ საპირისპიროდ წარმოიშვა ევროპის „თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია“ („შვიდეული“). უპირატესობა ჰემფრის აზრითაც „საერთო ბაზრის“ მხარეზეა⁹³.

„გაერთიანებული ევროპა“, როგორც „ექვსეული“, ასევე „შვიდეული“, ამჟამად მწვავე კრიზისს განიცდის. — დასძენს პოლ კასტელი⁹⁴ „ტრიბიუნ დე ნასიონში“⁹⁵.

„საერთო ბაზრის“ („ექვსეულის“) წინააღმდეგ „ლაშქრობას“ სათავეში ჩაუდგა ინგლისი. იგი ცდილობდა „საერთო ბაზრის“ გათქვეფას უფრო ფართო „თავისუფალი ვაჭრობის ზონაში“. ამას აკეთებდა იმ განზრახვით, რომ აშშ-ის მხარდაჭერით თვითონ ყოფილიყო ლიდერი დიდი „გაერთიანებისა“. ეს არ მოხერხდა. ამ ორი დაჯგუფების ბრძოლაში „შვიდეულმა“ ინგლისის მეთაურობით, როგორც „მკვდრადშობილმა ქმნილებამ“, არსებითად მარცხი განიცადა.

ამრიგად, „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ შექმნის ცდა ჩაფ-

ლავდა. მეტიც: „შვიდეულმა“ ვერ გაუძლო „ექვსეულთან“ კონკურენციულ ბრძოლას და დაშლა იწყო. „შვიდეული“ „საერთო ბაზართან“ ეკონომიურ ჭიდილში მარცხდება. „ექვსეული“ უფრო მყარი, უფრო კომპაქტური და კონცენტრირებული გაერთიანებაა „შვიდეულთან“ შედარებით. „ექვსეული“ თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით 1,5—2-ჯერ უფრო ძლიერია „შვიდეულთან“ შედარებით, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები (ცხრილი 4).

ც ხ რ ი ლ ი 4

ძალთა თანფარდობა „ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასა“ და „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას“ შორის 1980 წ.96

	მისახლეობა (მლნ)	კაპიტალისტური სამყაროს სავაჭრე პროდუქტის წილი %-ით	ელექტროენერჯის გამოშვება (მლრდ კვ. საათი)	ფილადის გამოდნობა (მლნ ტ)	ექსპორტი (მლრდ დოლარი)	ოქრისა და სავაჭრული რეზერვები (მლრდ დოლარი)
ევროპის ეკონ. გაერთიანება („ექვსეული“)	169	20	263	73	30	15
ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია („შვიდეული“)	90	13	225	32	18	8

„შვიდეულის“ დაშლას თვალნათლივ ადასტურებს აგრეთვე ამ დაჯგუფების ზოგიერთი წევრის, პირველ რიგში ინგლისის ცლა „საერთო ბაზარში“ შესვლისა. ინგლისური გაზეთი „ფაინეიშლ ტაიმსი“, წერდა, რომ „შვიდეულის“ ორგანიზაცია „საკმარისად სუსტია“ „საერთო ბაზართან“ შედარებითო.

ინგლისის მმართველმა წრეებმა იწყეს ახალი გზების გამოძებნა. ისინი ააფორიაქა „შვიდეულის“ დასუსტებამ. ამას ისიც დაემატა, რომ აშშ-ის სიმპათია „ექვსეულის“ მხარეზეა. ინგლისმა შეიცვალა ბრძოლის ტაქტიკა. ნაცვლად „ექვსეულთან“ „შვიდეულის“ პირდაპირი ბრძოლისა იგი შეეცადა თვითონ შესულიყო „საერთო ბაზარში“ და შიგნიდან ებრძოლა თავისი კონკურენტების წინააღმდეგ. დიდი ხანია გრძელდება „ვაჭრობა“ „შვიდეულისა“ და „ექვსეულის“ ლიდერებს შორის „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის თაობაზე⁹⁷. ეს ბრძოლა არც მამინ შეწყდება, როცა,

ვთქვათ, ინგლისი გახდება „საერთო ბაზრის“ წევრი. პირიქით, მოსალოდნელია ამ კონკურენციული ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერება. ის ფაქტი, რომ ინგლისმა ითხოვა შესვლა „საერთო ბაზარში“, ჭეղჩეობით იმაზე მეტყველებს, რომ თვით ინგლისმა აღიარა თავისი დამარცხება „საერთო ბაზართან“ ბრძოლაში⁹⁸. ინგლისის განზრახვა — შევიდეს „საერთო ბაზარში“, შიგნიდან „ააფეთქოს“ იგი — გამოიცნეს საფრანგეთის მონოპოლისტური კაპიტალის მესვეურებმა. მოხდა საფრანგეთისა და გერმანიის მონოპოლიების შეთქმულება ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ინგლისისათვის რაიმე დათმობების წინააღმდეგ. ამით ისარგებლა ადენაუერმა და მხარი დაუჭირა საფრანგეთს უფრო ძლიერი კონკურენტის — ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში. ადენაუერმა განაცხადა: ინგლისელებმა უნდა იცოდნენ, რომ კონტინენტის საქმეებში მათ უკვე აღარ შეუძლიათ წამყვანი როლის შესრულება.

იბალება კითხვა: რატომ მოხდა, რომ ინგლისი, რომელიც 1956 წ. შემოდგომაზე გამოვიდა „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ შექმნის იდეით და შეძლო კიდევ „თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონის“ შექმნა, დარჩა „საერთო ბაზრის“ გარეთ? რა თქმა უნდა, ამაზე პასუხს იძლევიან თვით კაპიტალიზმის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი. რომლებიც ღრღნიან იმპერიალიზმს.

„ექვსეულთან“ ინგლისის და, მაშასადამე: მთელი „შვიდეულის“ ურთიერთობა განისაზღვრება იმით, რომ ინგლისმა და მთელმა „შვიდეულმა“ მარცხი განიცადეს „საერთო ბაზართან“ „საეაჭრო ომში“. ინგლისის მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს, რომ შემდგომი ბრძოლა უპერსპექტივოა ძველი მეთოდებით და ამიტომ შეიცვალეს პოზიცია⁹⁹.

კაპიტალიზმის დროს, როგორც უკვე ითქვა, მოქმედებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია — იმპერიალისტური ქვეყნების გაერთიანებისა (ცენტრისკენული) და განკერძოებულობისა, ურთიერთსაწინააღმდეგო ბლოკებისა და დაჯგუფების შექმნისა (ცენტრიდანული).

„ექვსეულსა“ და „შვიდეულს“ შორის წინააღმდეგობათა უკიდურესად გამწვავებამ განგაში გამოიწვია იმპერიალიზმის ციტადელში — აშშ-ში. აშშ ჩააფიქრა ნატოს შესუსტების შიშმა, ამიტომ აშშ-ის ზეგავლენით ინგლისმა, რომელიც „თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონით“ უპირისპირდებოდა „საერთო ბაზარს“, სცადა „ექვსეულთან“ გაერთიანება. ამით თითქოს გადაწყდა წინააღმდეგობა ინგლისსა და „ექვსეულს“ შორის. ნაცვლად საეაჭრო

ომისა „ექვსეულსა“ და „შვიდეულს“ შორის უნდა დამყარებულიყო მჭიდრო კავშირი, პარმონია, მაგრამ ასე არ მოხდა. ამ გარემოებამ ახალი წინააღმდეგობანი წარმოშვა.

ერთი შეხედვით, „ინტეგრაციის“, „საერთო ბაზრის“ თეორეტიკოსები თითქოს იცავენ „ვაჭრობის თავისუფლებას“, „თავისუფალ მეწარმეობას“, „თავისუფალ საბაზრო მეურნეობას“, სინამდვილეში კი „ექვსეული“, ასევე „შვიდეული“, წარმოადგენს კარდანშულ დაჭვუფებას, სადაც უკიდურესად ძლიერდება იმპერიალისტური პროტექციონიზმის ღონისძიებანი. სწორად შენიშნავს პოლონელი ეკონომისტი დ. სოკოლოვი, რომ „ვაჭრობის ლიბერალიზაცია“, რომელიც „ინტეგრაციისა“ და „საერთო ბაზრის“ აღმით ხორციელდება, არსებითად წარმოადგენს ჭვუფური პროტექციონიზმის თანამედროვე ფორმას¹⁰⁰. ნეოლიბერალი ვ. რეპკეც ვერ უვლის გვერდს ამ ფაქტს. მან განაცხადა, რომ ადგილი აქვს „საერთო პროტექციონიზმს“¹⁰¹. მწარე აღიარებაა „დუზინტეგრაციის“ მსგავსად. ამრიგად, ამას ვერც „ინტეგრაციონალისტები“ უარყოფენ. 1957 წ. ბად-გოდესბერგში (დასავლეთ გერმანია) ჩატარდა „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ საზოგადოების სესია. სესიაზე ენევიდან ჩამოვიდა „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობისა“ და „საერთაშორისო ინტეგრაციის“ ერთ-ერთი თეორეტიკოსი, ნეოლიბერალი ვ. რეპკე, რომელიც ძალიან ააფორიაქა წინააღმდეგობის გამწვავებამ „ექვსეულსა“ და „შვიდეულს“ შორის. ვ. რეპკემ განაცხადა, რომ „საერთო ბაზარი“ მისი იდეის საწინააღმდეგო იქნება, თუ არ შეიქმნება „თავისუფალი ვაჭრობის ზონა“, ე. ი. თუ არ მოხდება „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ „ინტეგრაციაო“.

ნეოლიბერალმა მიულერ-არმაკმა შეიმუშავა სპეციალური გეგმა (ე. წ. „მიულერ-არმაკის გეგმა“). რომელიც ითვალისწინებს „სრულიად ევროპის საბაზრო კავშირის“ შექმნას, ე. ი. „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ „ინტეგრაციას“. „ექვსეულისა და „შვიდეულის“ შეკავშირებას მოითხოვენ ე. ჰოსი¹⁰² და სხვები. „გეგმები“ რჩება ქალაღზე, ხოლო წინააღმდეგობანი ძლიერდება.

ინგლისის ცდამ — შესულიყო დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზარში“ — გამოიწვია იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ახალი კვანძის გახლართვა. ეს წინააღმდეგობანი შეეხო არა მარტო ინგლისსა, გფრ-სა და საფრანგეთს შორის ურთიერთობას, არამედ „შვიდეულის“ წევრებს. გაძლიერდა „შვიდეულის“ სხვა წევრების უკმაყოფილება ინგლისის მიმართ. რომელმაც უღალატა მის მიერვე შექმნილ ბლოკს.

„შვიდეულის“ მონაწილე ქვეყნები წინააღმდეგი არიან

„საერთო ბაზარში“ შესვლისა. მათი შესვლა „საერთო ბაზარში“ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ეს ქვეყნები დაკარგავდნენ ნეიტრალიტეტს, დამოუკიდებლობას და მათი ტერიტორია „საერთო ბაზარში“ ინტეგრირებული უმსხვილესი კაპიტალის სათარეშო არედ გახდებოდა.

„საერთო ბაზარში“ „შვიდეულის“ წარმომადგენლებს — შვეციის, შვეიცარიის, ავსტრიის¹⁰³, დანიის, ნორვეგიის „ინტეგრირება“ ნიშნავს ამ ქვეყნების ეროვნული, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების სერიოზულ შელახვას. ამ ქვეყნების ჩათრევა „საერთო ბაზარში“ ნაკარნახევია აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში მათ ჩასაბმელად. ნეიტრალური ქვეყნების ჩაბმას ნატოს სამხედრო აგრესიულ ბლოკში საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქცია ცდილობს „ეკონომიური ინტეგრაციის“ დროშის საფარით. ხალხის ფართო მასები კარგად ხედავენ ამას, ამიტომ გამოდიან ისინი „ეკონომიური ინტეგრაციის“, „საერთო ბაზარში“ გაერთიანების წინააღმდეგ. ნეიტრალური ქვეყნების მმართველი რეაქციული წრეები და მემარჯვენე ძალები კი, მოქმედებენ რა უმსხვილესი მონოპოლიების კარნახით, ბუნებრივია, დაინტერესებული არიან „საერთო ბაზარში ინტეგრირებით“. რეაქცია ყოველნაირად ცდილობს მასების შეყვანას შეცდომაში.

მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები შენიღბულად მოქმედებენ, დაეძებენ „საერთო ბაზართან“ ასოციაციის მოხერხებულ და შენიღბულ ფორმებს. მათ კარგად იციან, რომ მშრომელი მასები, პროგრესული ძალები წინააღმდეგი არიან „საერთო ბაზარში ინტეგრირებისა“. „ამ ქვეყნების ნეიტრალიტეტის ხელყოფა აწყდება მათი ხალხების წინააღმდეგობას, რომლებსაც ნეიტრალიტეტი თავიანთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად მიაჩნიათ. ამიტომ ამ ქვეყნების მმართველი წრეების ნაწილი, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმპერიალისტები უბიძგებენ, შემოვლითს გზებს ეძებს იმისათვის. რომ ევროპის გაერთიანებას შეუერთდეს ეგრეთწოდებული ასოციაციის ფორმით, ცდილობს შენიღბოს „საერთო ბაზარის“ პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. იგი ისახავს ილუზიებს იმის შესახებ, რომ შეიძლება გამოინახოს „საერთო ბაზართან“ ასოციაციის ისეთი ფორმა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მათ გადაკრან თავიანთი ეკონომიური პრობლემები და ამავე დროს შეუნარჩუნებდა ნეიტრალიტეტს. ამ ილუზიებს სერიოზული ლახვარი ჩასცა ამერიკის დიპლომატიის ხელმძღვანელებისა და „მცირე ევროპის“ ზოგიერთი ლიდერის გულახდილმა

განცხადებებმა იმის შესახებ, რომ ნეიტრალური ქვეყნები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნენ „საერთო ბაზარში“, თუ მის „პოლიტიკურ ფილოსოფიას“ მიიღებენ¹⁰⁴.

ინგლისის პროგრესული ძალები, მემარცხენე პროფკავშირები, ბევრი ლეიბორისტი დიპლომატი, ფერმერთა კავშირები და სხვა ორგანიზაციები, აგრეთვე ზოგიერთი კონსერვატორიც კი, აქტიურად გამოდიან ევროპის „ინტეგრაციაში“ ინგლისის მონაწილეობის წინააღმდეგ. ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო კომიტეტმა თავის 1962 წლის 25 სექტემბრის დახურულ თათბირზე, მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტში ორდღიანი კამათის მოწყობის შესახებ. კომიტეტმა უარყო ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში“ იმ პირობით, რომელსაც „ექვესული“ აყენებს. „საერთო ბაზარში“ შესვლის საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის თავმჯდომარემ პაროლდ ვილსონმაც. 1962 წლის იანვარში, თავის ყოველწლიურ კონფერენციაზე ინგლისის ფერმერთა ეროვნულმა კავშირმა მიიღო „აგარარული ინტეგრაციის“ პირობებით „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საწინააღმდეგო რეზოლუცია.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის წინააღმდეგ გაპოვიდნენ პარლამენტის ლეიბორისტი დეპუტატი რიჩარდ მარში, მბეჭდავთა პროფკავშირის გენერალური მდივანი რიჩარდ ბრიგინ შოუ (იგი ამავე დროს თავმჯდომარეა ორგანიზაციისა „ინგლისო, წინ!“) და სხვ. ბრიგინ შოუმ განაცხადა, რომ „საერთო ბაზარში“ შესვლა ინგლისელებისათვის კატასტროფა იქნებაო. ორგანიზაცია „ქემ-მარტი ტორების“ ლიდერმა რ. ჰილტონმა „საერთო ბაზარში“ შესვლა დაახასიათა „არა როგორც ეკონომიური გარიგება, არამედ როგორც პოლიტიკური კაპიტულაცია“. „საერთო ბაზრის მოწინააღმდეგეთა კავშირის“ თავმჯდომარემ ნ. დ. სმიტმა განაცხადა, რომ „ექვესულთან“ შეერთება ინგლისის იდეა კი არ არის, არამედ ამერიკის იდეა და მიზნად ისახავს „ცივი ომის“ გაძლიერებას. მაკმილანმა ან კენედიმ კი არ უნდა გადაწყვიტოს, შევიდეს თუ არა ინგლისი „საერთო ბაზარში“, არამედ ინგლისელმა ხალხმაო.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის ნამდვილ ბუნებას, მის იმპერიალისტურ არსს თანმიმდევრულად და მარქსისტულად ამხელს დიდი ბრიტანეთის კომპარტია. იგი რაზმავს პროგრესულ ძალებს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ ბრძოლაში. 1962 წლის 20 სექტემბერს „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა. „ბრძოლამ „საერთო ბაზარის“ წინაშე

ინგლისის კაპიტულაციის წინააღმდეგ კულმინაციურ წერტილს მიაღწია“ — ნათქვამია განცხადებაში. კომპარტიამ მოუწოდა დემოკრატიულ ძალებს, ლეიბორისტულ პარტიას, რომ ცხოვრებაში გაატარონ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის სურვილი — ინგლისი არ შევიდეს „საერთო ბაზარში“.

ეწყობა „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. 1962 წლის 26 აგვისტოს მასობრივი მიტინგი გაიმართა ლონდონის უდიდეს საკონცერტო დარბაზში „ალბერტ-ჰოლში“. შეიქმნა სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც ატარებენ „საერთო ბაზარში“ ინგლისის „ინტეგრირების“ საწინააღმდეგო მიტინგებს. ორგანიზაციის — „არ დავუშვათ ინგლისის შეერთება“ (თავმჯდომარეა ოლივერ სმილდი) — ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ვინც მოითხოვს ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“, ისინი „მეხუთე კოლონას“ წარმოადგენენო.

ისმება კითხვა: ვინ არის დაინტერესებული „საერთო ბაზარში“ ინგლისის „ინტეგრირებით“? მხოლოდ მონოპოლისტური კაპიტალის განსაზღვრული — ყველაზე უფრო რეაქციული და აგრესიული ჯგუფები, რომლებსაც საკუთარი ექსპანსიონისტური მიზნები ამოძრავებთ. „საერთო ბაზარში“ შესვლას მოითხოვს ს. პ. ჩემბერსი კონცერნ „იმპირიელ კემიკალ ინდასტრიის“ გამგეობის თავმჯდომარე. მან განაცხადა, რომ ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში“ ახალი ჰაერის ნაკადს შეიტანს ეკონომიურ ცხოვრებაში და დააჩქარებს მრეწველობის განვითარებას. „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლას მოითხოვენ სტიუარტ მათიერი და სხვები. მათიერის აზრით, „საერთო ბაზარში“ შესვლით მოიგებს ინგლისისა ქიმიური, საავტომობილო, ელექტროტექნიკური, მანქანათმშენებლობის, კაუჩუკისა და მრეწველობის სხვა დარგები¹⁰⁵. „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლას ქადაგებს აგრეთვე უ. კიტცინგერი, რომელმაც ოქსფორდში გამოაქვეყნა წიგნი „საერთო ბაზარის“ გამოწვევა“¹⁰⁶.

მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის დიქტატიითა და უშუალო მხარდაჭერით მაკმილანმა შეძლო პარლამენტისაგან თანხმობის მიღება იმის თაობაზე, რომ ინგლისის მთავრობამ აწარმოოს მოლაპარაკება „ექვსეულთან“ შეერთების შესახებ.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით აქტიურობენ ლანკაშირის მაგნატები. ეს იმით აიხსნება, რომ ლანკაშირის მრეწველებს კონკურენციას უწევს აზიის ქვეყნების საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია, უმთავრესად თანამეგობრობის ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქცია,

რომელიც პრეფერენციული სისტემის გამო არ იბეგრება მაღალი ბაჟით. „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლა გამოიწვევს პრეფერენციული სისტემის გაუქმებას, მაშასადამე, აზიის ქვეყნების საქონელზე დაწესებული იქნება მაღალი ბაჟი. ეს კი სარგებლობას მოუტანდა ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობას¹⁰⁷.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლას მოითხოვს ლიბერალური პარტია (გარდა რამდენიმე წევრისა, რომლებიც პროტესტის ნიშნად გავიდნენ პარტიიდან). ლიბერალური პარტიის ლიდერი გრიმონდი 1961 წლის მარტში ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლა ლიბერალური პარტიის საპროგრამო მოთხოვნაა¹⁰⁸. ეს გასაგებია. ამ პარტიის სახელწოდება და იდეალები მოითხოვენ „ინტეგრაციას“. „ლიბერალიზაციას“, ეკონომიური ლიბერალიზმის პრინციპებს.

ინგლისის მთავრობა, მონოპოლისტური კაპიტალის ნებასურვილს რომ ასრულებს, ყველა საშუალებით ცდილობს მასების დარწმუნებას „საერთო ბაზართან“ ინგლისის „ინტეგრირების“ საჭიროებაზე.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლა სათარეშო ასპარეზს გაუფართოებდა სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, ინგლისის უმსხვილეს მონოპოლისტურ კავშირებს. ინგლისის მმართველი წრეები ცდილობენ „ლირნეული ადგილის“ დაკავებას „ინტეგრირებულ ევროპაში“. ეს არ მოსწონთ „ბონ-პარიზის ღერძის“ მესვეურებს. იმპერიალისტური ქვეყნების გავლენიანი წრეები კარგად ხედავენ. რომ „საერთო ბაზარი“, „თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონა“, „ინტეგრაციის“ სხვა ნაარსახეობანი კაპიტალისტური ბაზრის დანაწილებ-სა და ხელახალი გადანაწილების მხოლოდ ახალი, უფრო შენიღბული ფორმაა. ამიტომ ყველა აწარმოებს ომს ყველას წინააღმდეგ, თვითულ მათგანს საკუთარი აგრესიული და ექსპანსიონისტური მიზნები ამოძრავებს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლას მოითხოვს აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალიც. ეს გაპირობებულია ამერიკის იმპერიალიზმის საერთო ინტერესებით. აშშ-ის მიზანია, ჯერ ერთი, „საერთო ბაზრის“, როგორც ნატოს ბაზის, გაფართოება და გაძლიერება. წინააღმდეგობათა შერბილება ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში და, მეორე, ამერიკის შეერთებული შტატები ვარაუდობს, რომ „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლით გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცემა ბრიტანეთის საიმპერიო პრეფერენციების¹⁰⁹ სისტემას და რომ იმ ბაზარზე, სადაც რედესლაც ინგლისის მონოპოლიები ბატონობდნენ, სერიოზულად

გაფართოვდება ამერიკის მონოპოლიების პოზიციები. ამ გარემოების გამო დიდი წინააღმდეგობანია ინგლისში. ლეიბორისტმა შინუელმა ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში“ დაახასიათა; როგორც სუვერენიტეტის დაკარგვის საშიშროება, ხოლო კონსერვატორმა ჰინჩინბრუკმა „ექვესეულთან“ გაერთიანებას უწოდა „თავისებური ძალდატანებითი ქორწინება ევროპასთან პრეზიდენტ კენედის ბრძანებით“. ასეთივე შეფასებას აძლევს ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“ ეურნალისტი სიდნი ხაიამი¹¹⁰.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის წინააღმდეგი არც კონსერვატორები (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) არიან. კონსერვატორებს საკუთარი მიზნები ამოძრავებთ. ისინი იმიტომ მოითხოვენ „საერთო ბაზარში“ შესვლას, რომ თუ ინგლისიც გახდებოდა „საერთო ბაზრის“ წევრი, მაშინ იგი დაემორჩილებოდა „საერთო ბაზრის“ წესებს, ე. ი. ლეიბორისტები ვეღარ განახორციელებდნენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც კაპიტალისტური ეკონომიკის „რეგულირებას“ ითვალისწინებს და „თავისუფალი მეწარმეობის“ წინააღმდეგაა მიმართული¹¹¹. ამრიგად, „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა ინგლისის თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ორ მთავარ მიმდინარეობას შორის — „რეგულირებადი კაპიტალიზმისა“ და „თავისუფალი მეწარმეობის“ დამცველებს შორის.

ამერიკელი ეკონომისტი და პუბლიცისტი ჯიმს ალენი „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის შესახებ წერს: „ამერიკის მონოპოლიები ვარაუდობენ სხვა სახის სარგებლობასაც, ამავე დროს ინგლისელი კონსერვატორები ამის წინააღმდეგ არ გამოდიან. თუ ინგლისი დაემორჩილება „საერთო ბაზრის“ წესებსა და კონტროლს, მაშინ უფრო ძნელი იქნება ნაციონალიზაციისა და სოციალურ დარგებში იმ ზომიერი ღონისძიებების გატარებაც, რომლებსაც აპირებს ლეიბორისტული პარტია და რომელთა წინააღმდეგ ილაშქრებენ“ თავისუფალი მეწარმეობის მომხრეები „უოლსტრეტიდან“¹¹².

როგორც ვხედავთ, „საერთო ბაზრის“ გაფართოებით, „საერთაშორისო ინტეგრაციით“ პირველ რიგში დაინტერესებული არიან „თავისუფალი მეწარმეობის“ დამცველები როგორც აშშ-ში, ისევე ინგლისშიც. ეს ბუნებრივია. „ინტეგრაციის“ აპოლოგეტური თეორია მკიდრო კავშირშია „თავისუფალი მეწარმეობის“ დემაგოგიურ იდეებთან. როცა აშშ-ის მმართველი წრეები ინგლისს უბიძგებენ „საერთო ბაზრისაკენ“, ამით ისინი საკუთარ იმპერიალისტურ მიზნებს ითვალისწინებენ. ამერიკის შეერთებული შტა-

ტების მონოპოლისტურ კაპიტალს, იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ეშინია დასავლეთ ევროპის „ერთიანობის“ დაშლისა, ამიტომ ცდილობს იგი „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ შერიგებას. ევროპაში ორი დაჯგუფების წარმოშობა მიმდინარეობს აშშ-ის ინტერესთა საწინააღმდეგოდ. ამერიკის იმპერიალიზმს ეშინია „ექვსეულსა“ და „შვიდეულს“ შორის არსებული წინააღმდეგობებისა იმდენად, რამდენადაც ეს წინააღმდეგობანი ძირს უთხრიან დასავლეთის ერთიანობას. სოციალიზმის მსოფლიო სისტემასთან შეჯიბრების ვითარებაში აშშ დანტერესებულია ორივე დაჯგუფების გაერთიანებით ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ შორის კომპრომისის მიღწევით. ამასთანავე აშშ-ს აწუხებს, მოსვენებას არ აძლევს „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ გაერთიანება და კონკურენციის გაძლიერება „გაერთიანებულში“, ანუ „ინტეგრირებულში“ ევროპის მხრიდან. ეს წინააღმდეგობათა კიდევ ახალი კვანძია. რომელზეც შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

მიუხედავად წინააღმდეგობათა გამწვავებისა, ვაჭრობა „საერთო ბაზარსა“ და „შვიდეულს“ შორის კვლავ გრძელდება.

1963 წლის მაისში პარალელურად მიმდინარეობდა ამ ორი დაჯგუფების წარმომადგენელთა სესია ბრიუსელსა და ლისაბონში. ეს იყო კიდევ ერთი ცდა. რათა მომხდარიყო ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო იმპერიალისტური დაჯგუფების „ინტეგრაცია“. ნაცვლად „ინტეგრაციისა“ ფაქტი გახდა „დუზინინტეგრაცია“. „შვიდეულის“ წარმომადგენელთა ლისაბონის სესიამ ფაქტიურად ეკონომიური ომი გამოუცხადა „საერთო ბაზარს“, ე. ი. კაპიტალისტურ ევროპაში დაიწყო ეკონომიური ომის ახალი ტური. ამასთან დაკავშირებით, „შვიდეულმა“ გადაწყვიტა საბაჟო ტარიფების შეეცლა „საერთო ბაზრის“ მსგავსად 1966 წლისათვის¹³, რათა ხელსაყრელი პირობები შეიქმნას „ექვსეულთან“ კონკურენციულ ბრძოლაში.

ბრიუსელის სესიამ, რა თქმა უნდა, მიიღო კონტროლისძიებები — პროგრამა, რომელიც 7 პუნქტისაგან შედგება. მან განიხილა „პრობლემათა პრობლემა“ და დასახა ღონისძიებანი ეკონომიური ომის ახალი ტურის წარმატებით ჩატარებისათვის.

„შვიდეულის“ სათავეში ინგლისი დგას და „შვიდეულის“ გაერთიანება „საერთო ბაზართან“ ძირითადად დამოკიდებულია ინგლისზე. აქ მხედველობაშია მისაღები ის, რომ თუ ინგლისი შევიდოდა „საერთო ბაზარში“, მაშინ თითქოს „შვიდეულის“ დანარჩენი წევრებიც აღმოჩნდებოდნენ „საერთო ბაზართან“ „ინტეგრირებულში“. აქაც წინააღმდეგობანია და ცხადია. ისინი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

„შვიდელის“ ერთ-ერთი აქტიური წევრის — შვეციის აგრესიული წრეები ყოველ ზომებს იღებენ „ქვეყნის ინტეგრირებისათვის“, „საერთო ბაზარში“ შესვლისათვის. „საერთო ბაზარში“ შვეციის „ინტეგრირებას“ პროპაგანდისტები იქამდე მივიდნენ, რომ მასებს ამინებდნენ: თუ შვეცია „საერთო ბაზარში“ არ შევიდა, მას ეკონომიური კატასტროფა ემუქრებაო. მიუხედავად ამისა, შვეციის ფართო მასები მაინც წინააღმდეგი არიან „საერთო ბაზარში“ შესვლისა. შვეციის რეაქცია ხალხის მოტყუების მიზნით ცდილობს „საერთო ბაზართან“ შვეციის „ინტეგრირება“ შეცვალოს „ასოციაციით“, მაგრამ არც ეს შველის საქმეს. „ასოციაციის“ შესახებ ხმაური წარმოადგენს შვეციის აგრესიული წრეების დემაგოგიას, რადგან უქვევლია, რომ შვეციისათვის „საერთო ბაზარში“ შესვლა „ასოციაციის“ საფუძველზე შეიძლება ყოფილიყო ნაბიჯი სრული წევრობისაკენ მომავალში.

ცნობილი შვედი ბურჟუაზიული ეკონომისტი, „ინტეგრაციის“ დიდი თეორეტიკოსი გ. მიურდალი. ტ. ექსტრიომი და პუბლიცისტი რ. პოლსონი (შვეციის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები) იძულებული გახდნენ ამ ბოლო დროს გამოსულიყვნენ „საერთო ბაზარში“ შვეციის „ინტეგრირების“ წინააღმდეგ, მათ არ მოსწონთ „პოლიტიკური ინტეგრაცია“. მათთვის აშკარა გახდა, რომ ეროვნულ სუვერენიტეტს, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისას, დიდ საფრთხეს უქმნის „პოლიტიკური ინტეგრაციის“ სხვადასხვა ვარიანტები. მათ გამოაქვეყნეს წიგნი „ჩვენ და დასავლეთი ევროპა“, რომელშიც გამოდიან „პოლიტიკური ინტეგრაციის“, „საერთო ბაზრის“ იმ გეგმების წინააღმდეგ, რომლებსაც მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები აყენებენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ გ. მიურდალიც კი—ცნობილი „ინტეგრაციონალისტი“, „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსი, გამოდის იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ. ზემოთ დასახელებული წიგნის ავტორები ამტკიცებენ, რომ შვეციას არ ემუქრება „ეკონომიური კატასტროფა“. მეტიც, ისინი მოითხოვენ კიდევაც „ვაჭრობის თავისუფლებას“ და ვაჭრობის გაფართოებას სოციალისტურ ქვეყნებთან.

ფაქტებმა გ. მიურდალიც კი აიძულა, რომ „პოლიტიკური ინტეგრაციის“ წინააღმდეგ გამოსულიყო. ბურჟუაზიული ეკონომისტი მიურდალი კარგად ხედავს, რომ შვეციის „ინტეგრირება“ „საერთო ბაზართან“ მოახდენდა შვეციის ნეიტრალიტეტის ლიკვიდაციას.

ამრიგად, გ. მიურდალი უარს არ აცხადებს „ინტეგრაციაზე“, მაგრამ იგი ოცნებობს „გაერთიანებაზე“ „პოლიტიკური ინტეგრა-

ციის“ გარეშე, რაც, ცხადია, კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია, სინამდვილეში კი პირიქითაა. „ინტეგრაციაში“ უფრო დიდი როლი ენიჭება „სამხედრო პოლიტიკურ ინტეგრაციას“. მაგალითად, კანადის პრემიერ-მინისტრმა თემთა პალატის სხდომაზე თქვა „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლას პოლიტიკური შედეგები გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანია, ვიდრე კომერციული“.

ნორვეგიის აგრესიულმა წრეებმა სცადეს ქვეყნის გაერთიანება ნატოს აგრესიულ ბლოკში „ინტეგრაციის“ ლოზუნგით. „ექვსეულთან“ „ეკონომიური ინტეგრირების“ საფარით სურთ მათ თავიანთ ტერიტორიაზე ბაზების მიცემა ახალი ომის გამჩალებლები-სათვის და, მაშასადამე, სუვერენიტეტის დაკარგვა. ნორვეგიელი ხალხისთვისაც ნათელია, რომ „საერთო ბაზარში“ შესვლას აქვს პოლიტიკური მხარე. რეაქციული წრეები კი წინა პლანზე აყენებენ მხოლოდ ეკონომიურ მომენტებს, „ეკონომიური ინტეგრაციას“, „ინტეგრაციის“ სამხედრო-პოლიტიკურ და იმპერიალისტურ ბუნებას განგებ ჩქმალავენ.

ნორვეგიის „ინტეგრირებას“ „საერთო ბაზართან“ ხალხი აღშფოთებით შეხვდა. გაამართა საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები, რომლებზეც აღინიშნა, რომ ქვეყნის „ინტეგრირება“ ნიშნავს ნორვეგიის ბედის გადაცემას დასავლეთგერმანელი რევანშისტებს ხელში, რომ ესაა ნორვეგიის შესვლა ნატოში, ე. ი. ნორვეგიის „სამხედრო და პოლიტიკური ინტეგრაცია“. მიუხედავად ფართო მასების დიდი წინააღმდეგობისა, ნორვეგიის აგრესიულმა წრეებმა 1962 წლის მარტში მოახერხეს კონსტიტუციაში ცვლილებები შეეტანათ და, ერთი შეხედვით, გზა გაიკაფეს „ინტეგრაციისაკენ“.

„საერთო ბაზარში“ შესვლა მოსინჯეს აგრეთვე შვეიცარიისა და ავსტრიის მმართველმა წრეებმაც. მიმდინარეობდა ხანგრძლივი მოლაპარაკება-ვაჭრობა. ამ ქვეყნების ფართო მასების წინააღმდეგობისა და პროტესტის გამო რეაქციული წრეები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. შვეიცარიის პრეზიდენტი შოდეც მასების პროტესტის გამო იძულებული გახდა 1962 წლის 26 აგვისტოს ბერნში გაეკეთებინა განცხადება, რომელიც ცენტრალურ ადგილზე დაბეჭდა გაზეთმა „არბაიტერ ცაიტუნგმა“. სტატის სათაურია: „ნეიტრალიტეტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ევროპის ბაზარი“.

ამრიგად, შვეიცარიის ფედერალური პრეზიდენტიც კი იძულებული გახდა ელიარებინა „პოლიტიკური ინტეგრაციის“ საშიშროება ქვეყნისათვის. რა თქმა უნდა, „ეკონომიური ინტეგრაცია“ არ

აშინებს შოდეს. მაგრამ „პოლიტიკური ინტეგრაცია“ და შეეცა-
რიის ტრადიციული ნეიტრალური სტატუსი მას შეუფერებლად
ღიანია.

„საერთო ბაზარში“ შესვლა ითხოვეს კაპიტალისტურმა ქვეყ-
ნებმა, რომლებიც არ შედიან „შვიდეულში“ — ირლანდიამ, ესპა-
ნეთმა, საბერძნეთმა, თურქეთმა¹⁴, ლიბანმა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი თურხან ფეიზიოღლი სპეცია-
ლურად ჩავიდა ბრიუსელში და მოლაპარაკა „საერთო ბაზრის“
კომისიის თავმჯდომარეს ვ. ჰალშტაინს. 1962 წლის ივლისში
„საერთო ბაზრის“ მინისტრთა საბჭომ მოიხმინა საკითხი „ექვსე-
ულთან“ თურქეთის „ინტეგრირების“ შესახებ. თითქოს მიღწეულ
იქნა შეთანხმება. თურქეთის დაჟინებით თხოვნას „საერთო ბაზარ-
ში“ გაერთიანების შესახებ მხარი დაუჭირეს პოლანდიისა და
გფრ-ის წარმომადგენლებმა, ხოლო იტალია წინააღმდეგი გამოვი-
და. იტალიის მონოპოლისტურ კაპიტალს აშინებს ის, რომ „საერ-
თო ბაზარში“ თურქეთის შესვლით მას გაუჩნდება კონკურენტი
თამბაქოს ნაწარმისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების
წარმოებისა და გასაღების დარგში.

დიდი წინააღმდეგობაა იტალიასა და სხვა პარტნიორებს შო-
რის, აგრეთვე „ასოცირებულ პარტნიორებს“ — თურქეთსა და
საბერძნეთს შორისაც. გფრ და საფრანგეთი მოითხოვენ „საერთო
ბაზრის“ გაგრძელებას ხმელთაშუა ზღვის ისეთი ქვეყნებისაგან,
როგორცაა საბერძნეთი, ესპანეთი, თურქეთი, იზრაილი. ეს ხელ-
საყრელი არ არის იტალიისათვის. იტალიის კონტრწინადადებაა
„საერთო ბაზართან“ იმ ქვეყნების შემოერთება, რომლებსაც
თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ იტალიის საგარეო ვაჭრობაში
(ინგლისი, შვეიცია, და „შვიდეულის“ სხვა ქვეყნები).

„საერთო ბაზარში“ ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყ-
ნების „ინტეგრირების“ გარშემო მოლაპარაკება კვლავ გრძელდება
და მას ბოლო აღარ უჩანს. მოლაპარაკება დიდხანს მიმდინარეობ-
და ბრიუსელში, შემდეგ ლონდონს ეწვივნენ ლუქსემბურგის საგა-
რეო საქმეთა მინისტრი ევენ შაუსი, პოლანდიის საგარეო საქმეთა
მინისტრი ლუნსი და თვით სპააკიც (ბელგიის საგარეო საქმეთა
მინისტრი, რომის შეთანხმების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე).
ვაჭრობა კვლავ გრძელდება, ინგლისის წინაშე დგას არჩევანი: ან
ერთა თანამეგობრობა, თანამეგობრობის¹⁵ ქვეყნებს შორის არსე-
ბული კავშირი და მისგან გამომდინარე პრეფერენციათა სისტემის
შენარჩუნება, ან „საერთო ბაზარი“.

1963 წ. მაისში სტრასბურგში მიმდინარეობდა ევროპის საბჭოს

სხლომა. ევროპის საბჭოს სტრასბურგის სესიაზე მონოპოლისტური ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა კვლავ სცადეს კაპიტალისტური ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანება. კაპიტალისტური ევროპის პოლიტიკური „ინტეგრაციის“ გეგმა კვლავ განუხორციელებელი დარჩა. ახალი წინააღმდეგობანი წამოიჭრა არა მარტო „შვიდეულსა“ და „ექვსეულს“ შორის, არამედ თვით ამ ბლოკების შიგნითაც. ეს პირველ რიგში ეხება წინააღმდეგობათა გაძლიერებას გფრ-სა და საფრანგეთს შორის.

ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“ „შვიდეულის“ წევრებთან ერთად ელობებიან „ერთა ბრიტანული თანამეგობრობის“ ქვეყნები. ამ ქვეყნების უარყოფითმა დამოკიდებულებამ „საერთო ბაზრისადმი“ ხელი შეუწყო ბრიუსელისა და ლონდონის 1962 წლის აგვისტო-სექტემბრის მოლაპარაკებების უშედეგოდ დაშთავრებას. თითქოს დათმობებსაც ჰქონდა ადგილი „საერთო ბაზრისა“ და „შვიდეულის“ ლიდერებს შორის, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. ინგლისი ცდილობს დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებთან ვაჭრობაში პრეფერენციული სატარიფო სისტემისა და სტერლინგის ზონის შენარჩუნებას, გფრ და საფრანგეთი კი სწორედ ამ პრეფერენციული სისტემის გაუქმებას მოითხოვენ.

პრეფერენციული სისტემის გაუქმება კი კიდევ უფრო გააუარესებს ინგლისის მდგომარეობას მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარზე. „ფასების ზრდა ინგლისის კაპიტალს აყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში დასავლეთ გერმანიის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების მხრივ მზარდი კონკურენციის პირისპირ.

ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა შეუძლებელია კაპიტალიზმის დროს“.¹¹⁶

დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ — „საერთო ბაზარი“ ითვალისწინებს „საერთო ბაზრის“ წევრი იმპერიალისტური ქვეყნების კოლონიური სამფლობელოების „ინტეგრაციასაც“, საფრანგეთის, ბელგიისა და სხვათა კოლონიების გადაქცევას „საერთო ბაზრის“ „ასოცირებულ წევრებად“. ბუნებრივია, ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში“ გამოიწვევდა ინგლისის ახლანდელი კოლონიებისა და მასზე დამოკიდებული ქვეყნების გადაქცევას „საერთო ბაზრის“ „ასოცირებულ წევრად“. მაშინ, ცხადია, ინგლისი უნდა გამოემშვიდობოს საიმპერიო პრეფერენციებს, ე. ი. უარი თქვას განსაკუთრებულ პრივილეგიებზე. აი რა მოჰყვება შედეგად „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლას და ე. წ. ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის „ასოციაციას“. თანამეგობრობის ქვეყნები თავიანთი ნების წინააღმდეგ ჩათრეული აღმოჩნდებიან დასავლეთ ევროპის

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ორბიტაში. ცხადია, „თანამეგობრობის“ სუსტად განვითარებული ქვეყნები ვერ გაუძლებენ გფრ-ის, საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის მონოპოლიების კონკურენციას და აღმოჩნდებიან „ინტეგრირებული ევროპის“ კოლონიური ულლას ქვეშ. კოლექტიური ექსპლოატატორის („საერთო ბაზრის“) ბრქყალებში.

ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების საქმიანი წრეებიც ეწინააღმდეგებიან „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლას. ეს დაადასტურა ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა ლონდონის კონფერენციამ (1962 წ. სექტემბერი). „თანამეგობრობის“ პრემიერ-მინისტრებმა მკაფიოდ აღნიშნეს, რომ ამ ქვეყნების 700-მილიონიანი მოსახლეობა წინააღმდეგია „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლისა. „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის საწინააღმდეგო აზრი გამოთქვეს აიუბ-ხანმა (პაკისტანის პრეზიდენტი), დიფენბეიკერმა (კანადის პრემიერ-მინისტრი) ჰოლიოკმა (აზალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი), ნერუმ (ინდოეთის პრემიერ-მინისტრი), მეზისმა (ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი) და სხვებმა. განის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კვამე ნკრუმამ კი მკამილანს აცნობა, რომ მონაწილეობას არ მიიღებდა კონფერენცია მუშაობაში.

პაკისტანის პრეზიდენტმა აიუბ-ხანმა კონფერენციაზე განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზარი“ აიძულებს სუსტად განვითარებულ ქვეყნებს იყვნენ ნედლეულის მიმწოდებლები, რომ „საერთო ბაზარი“ ფაქტიურად გზას უკეტავს სუსტად განვითარებული ქვეყნების საქონელსო.

ლეიბორისტმა ბლაიტონმა ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში“ და პრეფერენციების დაკარგვა დაახასიათა, როგორც „თანამეგობრობის მთლიანად გაყიდვის დაწყება“.

ასე, რომ ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში“ გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს ინგლისისა და თანამეგობრობის ეკონომიურ კავშირს.

ამრიგად, „წარმოიშვა იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ახალი კვანძი. „საერთო ბაზრის“ ქვეყნები ინგლისისაგან მოითხოვენ უშენიშვნოდ მიიღოს რომის ხელშეკრულების ყველა პირობა, ინგლისი კი ცდილობს დათმობები მიიღოს მათგან. ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში შესვლისას ინგლისი „საერთო ბაზრის“ მოთხოვნებზე რომ დათანხმებულყო, საფრთხეში აღმოჩნდებოდა მისი სავაჭრო ურთიერთობა ბრიტანეთის თანასაზოგადოების (თანამეგობრობის — გ. ჰ.) ქვეყნებთან, პრეფერენციული ტარიფების სისტემა და სტერლინგის ზონა“.¹¹⁷

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თანამეგობრობ-ს ქვეყნების ექსპორტი ინგლისში შეადგენს კოლოსალურ თანხას (მაგალითად, მარტო 1960 წ. შეადგინა 1754 მლნ გირვანქა სტერლინგი). თანამეგობრობის ქვეყნებისათვის ინგლისი ძირითადი ბაზარია. ამ ქვეყნებიდან ინგლისში შეტანილი საქონლის $\frac{1}{5}$ ბაჟით არ იბეგრება. თუ ინგლისი გახდება „საერთო ბაზარში“ წევრი. მაშინ, რა თქმა უნდა, ეს პრივილეგიები აღარ იქნება.

რ. პალმ დატი აყენებს კითხვას: რას დაკარგავს თანამეგობრობის ქვეყნები „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლით? და უპასუხებს:

ა) თავისი ექსპორტის მეოთხედს კანადა გზავნის ინგლისში, ხოლო $\frac{1}{12}$ ნაწილზე უფრო ნაკლებს — „ექვსეულში“. 1961 წ. კანადის ექსპორტის 97% ინგლისში შევიდა უბაჟოდ. „საერთო ბაზარში“ შესვლის შემდეგ კი ბაჟები, რა თქმა უნდა, გადიდდება.

ბ) ავსტრალიის ექსპორტის $\frac{1}{4}$ -ზე მეტი ინგლისში მიდის „ინტეგრირების“ შემდეგ ექსპორტის დიდი ნაწილი დაიბეგრება მაღალი ბაჟებით, ე. ი. ავსტრალიის ექსპორტი დაკარგავს პრეფერენციებს;

გ) ახალი ზელანდია ყველაზე მეტად იზარალებს „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლით, რადგან მისი ეკონომიკა მთლიანადაა დამოკიდებული ინგლისის ბაზარზე;

დ) ინდოეთსა და პაკისტანს, გარდა სურსათისა და ნედლეულისა, ინგლისში შეაქვთ თავიანთი მსუბუქი მრეწველობის პროდუქტია. ბუნებრივია, პრეფერენციების გაუქმება და მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესება უარყოფითად იმოქმედებს ინდოეთისა და პაკისტანის საფეიქრო მრეწველობაზე.

ამიტომაც, რომ „თანამეგობრობის წამყვანი ქვეყნებს მთავრობები აშკარად გამოვიდნენ „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის წინააღმდეგ. ამასთანავე მათი ოპოზიციის დონე განისაზღვრება თვითნებური მათგანის ეკონომიური მდგომარეობით“¹¹⁸.

ყოველგვარ ზომებს იღებდა მაკმილანი „საერთო ბაზარში“ გაერთიანებისათვის. თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი დანკენ სენდისი იყო ავსტრალიაში, კანადასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ლორდი ედვარდ ჰიტი, (რომელიც სპეციალურად მუშაობს „საერთო ბაზარში“ საკითხებზე), მაგრამ „ექვსეულთან“ „ინტეგრირების“ მხრივ დიდი წინააღმდეგობანია. მეტიც, თანამეგობრობის ეკონომიური საბჭოს კონფერენციამ, რომელიც 1961 წ. ჩატარდა აკრაში (განა), მიიღო ერთსულოვანი რეზოლუცია „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის წინააღმდეგ.

კაპიტალისტურ ევროპაში წინააღმდეგობანია აკრეთვე „საერთო ბაზარსა“ და „ჩრდილოეთის საბჭოს“ (ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია) შორის. „ჩრდილოეთის საბჭო“ 1952 წ. შეიქმნა, მასში შედის დანია, ისლანდია, ნორვეგია, ფინეთი. შვეცია. როგორც ვხედავთ, „საბჭოს“ ზოგიერთი წევრი არის „შვიდეულის“ მონაწილეც (დანია, შვეცია, ნორვეგია). „საბჭომ“ გადაწყვიტა საკუთარი „საერთო ბაზრის“ — „ერთიანი ჩრდილოეთის ბაზრის“ შექმნა.

„ჩრდილოეთის ბაზრის“ შექმნას ძირს უთხრის დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზარი“. „ჩრდილოეთის ბაზარი“ „შვიდეულის“ მსგავსად უპერსპექტივოა, „ჩრდილოეთის საბჭო“ იშლება, ჩადგან მისი წევრი ქვეყნების — ნორვეგიის, დანიის, შვეციის და სხვ. აგრესიული წრეები „ექვსეულისაკენ“ მიილტვიან. „ჩრდილოეთის საბჭოს“ საიუბილეო XX სესია შედგა 1962 წ. მარტში, ჰელსინკში. ზესიაზე აშკარა გახდა, რომ ნორვეგიისა და დანიის შესვლა „საერთო ბაზარში“ ნიშნავს „ერთიანი ჩრდილოეთის ბაზრისათვის“ ჯვარის დასმას. სესიაზე გამოაშკარავდა დანიისა და ნორვეგიის მმართველი წრეების გადაწყვეტილება „საერთო ბაზარში“ უსიტყვოდ შესვლის შესახებ.

„საერთო ბაზარში“ შესვლის წინააღმდეგია ფინეთი. 1960 წლის 20 ივნისს ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ა. კარილაინენმა დაგმო „საერთო ბაზარი“ და განაცხადა, რომ ფინეთმა არც კი უნდა იფიქროს „ექვსეულთან“ გაერთიანება, მიუხედავად იმისა, რომ ფინეთის ექსპორტის დაახლოებით ერთი მესამედი მიდის „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნებში. „საერთო ბაზრის“ რეაქციულ ხასიათს ააშკარავებენ ფინელი კომუნისტები. ისინი განუმარტავენ მშრომელ მასებს ევროპის „ინტეგრაციის“ ხამდვილ მიზნებს, — განაცხადა თავის გამოსვლაში მარქსისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე ე. ტუმინენმა¹¹⁹.

ამრიგად, „ექვსეულსა“ და „შვიდეულის“ გაერთიანებას ელობება მრავალი წინააღმდეგობა. მიუხედავად ამისა, იმპერიალიზტური „ინტეგრაციის“ დამცველები ყოველ ღონეს იღებენ „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განხორციელებს, „საერთაშორისო საბაზრო ბურჟუაზიის“ შექმნის მიზნით. ძალიან აქტიურობენ გფრ-ის, ნეო-ლიბერალები. მათ სურთ „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ ისეთი „ინტეგრირება“, როცა ჰეგემონია იქნება დასავლეთ გერმანიის მხარეზე. ამ საკითხის ირგვლივ თითქმის ყველა ერთი აზრისაა გფრ-ის ბურჟუაზიის ბანაკში, მაგრამ აქაც არის აზრთა სხვადასხვაობა. მაგალითად, ბონის საგარეო პოლიტიკაში შეიმჩნეოდა

ორი ხაზი: პალშტაინისა და ერპარდის. „პალშტაინის გეგმა“ ითვალისწინებდა „საერთო ბაზრის“ ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებათა სწრაფად გატარებას, ერპარდი კი მოითხოვდა „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ დაუყოვნებლივ „ინტეგრირებას“.

ლ. ერპარდი და მისი მომხრეები „ევროპის გაერთიანებას“, „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ „ინტეგრაციის“ დაჩქარებას ასაბუთებენ „აღმოსავლეთში კომუნისტური საფრთხის“ არსებობით. ლ. ერპარდი გაიძახის, რომ XX საუკუნის მეშვიდე ათწლეულში თუ არ მოხდა „ევროპის გაერთიანება“, მაშინ ევროპა შეწყვეტს არსებობას. ორივე მიმართულების საერთო მიზანი ერთია — გფრ-ის მონოპოლიების სამსახური. განსხვავება ტაქტიკური ხასიათისაა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოს ერპარდს მხარს უჭერს ბევრი ნეოლიბერალი (მაგალითად, მიულერ-არმაჯი და სხვ.), რომლებიც ამასთანავე „პალშტაინის გეგმასაც“ იზიარებენ.

4. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ ევროპაში და აშშ

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ დასავლეთ ევროპაში და „საერთო ბაზრის“ შექმნა აშშ-ის აქტიური მონაწილეობით დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ „საერთო ბაზრის“, კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაციის“ ინიციატორი აშშ-ია.¹²⁰ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ წარმოადგენს მონოპოლისტური „ინტეგრაციის“, აშშ-ის იმპერიალიზმის „დიდი სტრატეგიის“ შემადგენელ ნაწილს. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ აშშ-ის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას სჭირდება, როგორც ნატოს აგრესიული ბლოკის ბაზა.

ამრიგად, იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ლოზუნგით გამოდიან არა მარტო დასავლეთ ევროპის, არამედ აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალის დამცველებიც. ეს ბუნებრივია. „საერთო ბაზრის“ მექანიზმი ამერიკა-ევროპის რეაქციის ძირგამომხრელი სტრატეგიისა და პოლიტიკის“ კოორდინაციის საშუალებად იქცევა“¹²¹.

„საერთო ბაზარი“ შეიქმნა იმ პერიოდში, როცა ძირეული ცვლილებები მოხდა სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების ძალთა თანათარღობაში, როცა ეკონომიური შეჯიბრება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის შევიდა გადამწყვეტ ეტაპში. კაპიტალიზმის ძალები და პოზიციები სუსტდება, სოციალიზმისა კი ძლიერდება. ასეთ პირობებში საერთაშორისო რეაქცია, რომლის დასაყრდენია აშშ-ის იმპერიალიზმი, ცდილობს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ მასშტაბის გაფართოებას ატლანტიკის ფარგლებში,

ახალი „საღვთო კავშირის“ შექმნას. რომელიც „ინტეგრაციის“ ლოზუნგით მიმდინარეობს.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“, რომელსაც აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალი ქადაგებს, მოწოდებულია ერთიან ფრონტად. ანტი-სოციალისტურ ფრონტად გააერთიანოს ამერიკა-ევროპის რეაქციული ძალები და ამით შეაჩეროს კაპიტალიზმის დამსხვრევა, სოციალიზმის ტრიუმფალური სვლა.

აშშ-ის მიერ ნაკარნახევი „ინტეგრაცია“ წარმოადგენს პასუხს სსრ კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში გამოწვევაზე. აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ და მისი გაგრძელება — ატლანტიკის ეკონომიური კავშირი „თავისუფალი სამყაროს“ „კონსტრუქციული პასუხია“. აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალი ევროპის იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან ერთად ცდილობს ბაზრის პრობლემის გადაწყვეტას, წარმოების ტემპების დაჩქარებას, კაპიტალიზმის „გაჯანსაღებას“.

აშშ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციით“ ერთდროულად ორი კურდღლის შოკლას ლამობენ: ჯერ ერთი, დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ სჭირდებათ, როგორც ატლანტიკის სამხედრო-აგრესიული ბლოკის ეკონომიური და პოლიტიკური ბაზა. „საერთო ბაზარი“, „ევრატომი“, მონოპოლისტური „ინტეგრაცია“ მიმართულია მშვიდობისა და სოციალიზმის წინააღმდეგ. მეორეც, აშშ სარგებლობს წინააღმდეგობებით, რომლებიც ღრღნიან „ინტეგრირებულ“ ევროპას (წინააღმდეგობანი „საერთო ბაზარში“ „ინტეგრირებულ“ ქვეყნებს — პარტნიორებს შორის, „ექვესეულსა“ და „შვიდეულს“ შორის“ და სხვ.). ამ წინააღმდეგობათა საერთო ფონზე აშშ-ს არბიტრის როლის შესრულება სურს.

დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“, როგორც აშშ-ის იმპერიალიზმის „დიდი სტრატეგიის“ შემადგენელი ნაწილი, გამიზნულია მსოფლიოზე გაბატონებისათვის. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ პირველი ყლორტები — „მარშალის გეგმა“, დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების „მარშალიზაცია“, „ტრუმენის დოქტრინა“, „ევრატომი“ და სხვ. — აშშ-ს დასჭირდა მსოფლიოზე გაბატონებისათვის. „დოქტრინა ამერიკის „ხელმძღვანელობისა მსოფლიოსადმი“ სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ვაშინგტონს აღარ შეუძლია ისეთი ფორმით, როგორც წინათ, ახვევდეს თავს თავის ნებას დასავლეთ ევროპას. ეკონომიური ძალების თანაფარდობა იმპერიალიზმის ბანაკში შეიცვალა არა ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ. „მარშალის გეგმისა“ და „ტრუმენის დოქტრინის“

დროინდელი დაუფარავი დიქტატის ენა ახლანდელ პირობებში უკვე გამოუსადეგარია. თანაც შეერთებული შტატები ისწრაფვიან დასავლეთ ევროპას დააკისრონ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სამხედრო ხარჯების ტვირთის სულ უფრო მეტი ნაწილი.

დასავლეთ ევროპასთან „თანასწორუფლებიანი პარტნიორობის“ შესახებ დეკლარაციების საფარით ამერიკის მმართველი წრეები ცდილობენ შეერთებული შტატების ინტერესებს დაუქვემდებარონ. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ განვითარება და ამ საფუძველზე განამტკიცონ თავიანთი პოზიციები კაპიტალისტურ სამყაროში“¹²².

აი რისთვის სჭირდება აშშ-ს „ინტეგრაციის“ ყალბი ლოზუნგი. აშშ დიდ იმედებს ამყარებს „საერთო ბაზარზე“, დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციაზე“. მსოფლიო სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ სათავეში უდგას აშშ, რომელსაც ანტიკომუნისმის შავი დროშა უქირავს ხელში. ანტიკომუნისმის შავი დროშის ქვეშ გაერთიანებული რეაქციული ძალებიდან აშშ დიდ იმედებს ამყარებს „ინტეგრირებულ“ ქვეყნებზე, „ინტეგრირებულ ევროპაზე“. ეს დიდად ახარებს ამერიკის იმპერიალიზმს. ამასთან ერთად დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციას“ უარყოფითი შედეგები მოაქვს თვით აშშ-ისათვის. „შეერთებულ შტატებს დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ მიაჩნიათ ერთსა და იმავე დროს პოლიტიკურ აუცილებლობადაც და თავიანთთვის საფრთხედაც“¹²³.

მწვევდება წინააღმდეგობანი თვით აშშ-სა და „ინტეგრირებულ“ ევროპას შორის. ამერიკის მონოპოლიებიც „საერთო ბაზრის“ დამცველები არიან. აშშ-ის ინიციატივით დაიწყო დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“. აშშ-ს სრული უფლება აქვს თვლიდეს თავის თავს ევროპის „ინტეგრაციის“ ნათლიად. აშშ-ს სურს დააკისროს „ინტეგრირებულ“ ევროპას ნატოს სამხედრო მანქანის დაფინანსების სიმძიმე. აშშ-ის ეკონომიკას ძვირად უჯდება „თავისუფალი სამყაროს დაცვა“. თავისი სამხედრო ბაზებისა და შეიარაღებული ძალების შესანახად. რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან, აშშ ყოველწლიურად დაახლოებით 3 მლრდ დოლარს ხარჯავს. ამას ემატება კიდევ კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიული წრეებისათვის სამხედრო დახმარების ხარჯები (500 მლნ დოლარი)¹²⁴.

ცნობილია, რომ „ექვსეული“ წარმოადგენს ნატოს ძირითად დამკვერელ ძალას.

ვაშინგტონი საფუძველიანადაა აფორიაქებული იმით, რომ „სა-

ერთო ბაზარი“ განდება ამერიკის მონოპოლიათა სერიოზული და საშიში კონკურენტი. „საერთო ბაზარი“ აშშ-ის ძირითადი კონკურენტია ფოლადის წარმოების დარგში. ეგრეთწოდებული „ქათმის ოპი“ უკვე გადადის „ავტომობილების ოპიში“. ფოლადის ოპიში. ამრიგად, „ინტეგრაციის“ გარშემო იკვრება იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგობათა ახალ-ახალი კვანძი. სხვაგვარად არც შეიძლება. იმპერიალიზმი გაყენთილია ანტაგონისტური წინააღმდეგობებით და შეთანხმებებს, გაერთიანებებს, „ინტეგრაციას“ იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დროებითი და არამყარი ხასიათი. „ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით შექმნილი აგრესიული სამხედრო ბლოკები ხშირად კრიზისის მდგომარეობაში არიან. საერთაშორისო სახელმწიფო-მონოპოლისტური ორგანიზაციები, რომლებიც იქმნებიან „გაერთიანების“, ბაზრის პრობლემის შერბილების ლოზუნგით, სინამდვილეში წარმოადგენენ მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის გადანაწილების ახალ ფორმებს, იქცევიან მწვავე უთანხმოებისა და კონფლიქტების კერებად“¹²⁵.

აღნიშნულის დადასტურებაა სწორედ იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ დასავლეთ ევროპაში („საერთო ბაზარი“), რომელმაც ახალი წინააღმდეგობებით შეავსო სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ფაქტია, რომ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ პროცესს დირიჟორობდნენ და დირიჟორობენ აშშ-ის მმართველი წრეები.

„იმპერიალისტურ ორკესტრში“ პირველი ვიოლინოსთვის, აგრეთვე სხვა ადგილებსათვისაც დიდი ბრძოლაა (გფრ, საფრანგეთი, ინგლისი), ამიტომ ნაცვლად „პარმონიული კაპიტალიზმის სიმფონიისა“ გამოდის კაკაფონია. გფრ-ის მონოპოლისტური ბურჟუაზია ჭერჭერობით იბრძვის „პირველი ვიოლინოსათვის“; როცა ამას მიაღწევს, თუ ეს შეძლო, შემდეგ, როგორც ეს ჩვევია საერთოდ გერმანიის მტაცებლურ იმპერიალიზმს, წაეპოტინება „დირიჟორის ჯოხსაც“. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც გერმანიის იმპერიალიზმი მსოფლიოზე გაბატონების დიდი პრეტენზიებით გამოდიოდა.

თუ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან თითქმის 1957 წლამდე კაპიტალისტური ევროპა განიცდიდა „დოლარის შიმშილს“, აქემად იცვლება მდგომარეობა და თვით აშშ განიცდის „დოლარის შიმშილს“. აშშ-ის დიპლომატია ზოგჯერ თითქოს განზე დგას, არ მონაწილეობს კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაციით“ წამოჭრილ კამათში. ეს მხოლოდ მოჩვენებითია. „საერთო ბაზრის“

კონკურენციამ აიძულა აშშ-ის მმართველი წრეები, რათა აქტიურად ემოქმედათ „საერთო ბაზრის“ მონაწილეებთან. აშშ-ის დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ თავიანთი მიზნებისათვის სურს წარმართოს, ამერიკის იმპერიალისტური ბურჟუაზიას სურს ამერიკა-ევროპის რეაქციული ძალების გაერთიანება სოციალიზმის წინააღმდეგ. ამ საკითხში, რა თქმა უნდა, აზრთა ერთიანობაა აშშ-სა და „ინტეგრირებულ“ ევროპას შორის. ამერიკელი ეკონომისტი პროფესორი დონ ჰემფრი თავის წიგნში — „აშშ და „საერთო ბაზარი“¹²⁶ — წერს, რომ „საერთო ბაზარი“ სასურველია აშშ-ისათვის პოლიტიკური თვალსაზრისით, რამდენადაც იგი მიმართულია კაპიტალისტური სამყაროს ერთიანობისაკენ და „კომუნისმის საფრთხის“ წინააღმდეგ, ამიტომ, — განაცხადობს დ. ჰემფრი, მიუხედავად იმისა, რომ „საერთო ბაზარი“ ზიანს აყენებს იმ ქვეყნების ექსპორტსა და იმპორტს, რომლებიც არ შედიან „საერთო ბაზარში“, აშშ იწონებს დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციას“, როგორც „საერთაშორისო კომუნისმის“, სუბტად განვითარებულ ქვეყნებში „კომუნისმის გავრცელების“ წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებას.

აშშ-ს ზიანს აყენებს უკვე „ინტეგრირებული“ ევროპის კონკურენცია. „საერთო ბაზარში“ შემავალი ქვეყნების ეკონომიური განვითარების ტემპებმა გაუსწრეს აშშ-ისას, იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მსოფლიო კაპიტალისტურ წარმოებაში, საგარეო ვაჭრობაში და ოქროს მარაგში „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების წილის ზრდით აშშ დაკარგავს უპირატესობას. „ინტეგრაციის“ პროპაგანდისტთა ევროპის ეკონომიური გაერთიანების ჩარჩოებში იქმნება „მეორე ამერიკის“ მსგავსი და „საერთო ბაზარი“ განიხილება, როგორც „მესამე მსოფლიო ძალა“ სსრ კავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად¹²⁷.

აშშ-ის იმპერიალიზმს, ერთი მხრივ, ახარებს დასავლეთ გერმანიის სამხედრო-ეკონომიური ძლიერების ზრდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მოსვენებას არ აძლევს ის, რომ გფრ პრეტენზიებს აცხადებს კაპიტალისტური ხორაგით სავსე მაგიდის გარშემო თბილი და კარგი ადგილის მოსაპოვებლად. ეს ობიექტურად გარდუვალია. იმპერიალიზმის პერიოდში მოქმედებს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი, ე. ი. „წონასწორობა“, „პარამონიული განვითარება“, „ინტეგრაცია“ და შეთანხმება ხანგრძლივი დროით იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის შეუძლებელია. „ვინაიდან კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია ცალკეული საწარმოების. ტრესტების, მრეწველობის დარგების,

ქვეყნების თანაბარი განვითარება“...¹²⁸ „ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია“¹²⁹.

„ინტეგრირებული ქვეყნები“ ნებით თუ უნებლიეთ სახავენი დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური „ძალის ცენტრის“ შექმნას, რომელაც აშშ-ის უმცროსი პარტნიორის სახით კი არ იქნებოდა. არამედ თანაბარი ან, უკიდურეს შემთხვევაში, მიახლოებული იქნებოდა თავისი ადამიანთა და მატერიალური რესურსებით, სამხედრო-ეკონომიური ძალებითაც კი აშშ-თან. საფრანგეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ახლა აშკარად ისწრაფვიან იმისაკენ, რომ საკუთარი „ატომური სტრატეგიული ძალა“ ჰქონდეთ. ამიტომ, ბუნებრივია, „ინტეგრაციას“ თან სდევს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დასავლეთ ევროპის მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობის გამწვავება.

კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებამ კვლავ შეცვალა მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური ძლიერება. დღის წესრიგში კვლავ ისმება საკითხი გასაღების ბაზრების ხელახალი გადანაწილებისათვის. გფრ გასაღების ბაზრების გადანაწილებას ჯერჯერობით მოითხოვს არა ტრადიციული მეთოდით — ძალით, არამედ „საერთაშორისო ინტეგრაციისა“ და „საერთაშორისო თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ შენიღბული ლოზუნგით, „მშვიდობიანი გზით“. დღესაც მთელ თავის ძალას ინარჩუნებს ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული აზრი იმპერიალისტური სახელმწიფოების მიმართ. ვ. ი. ლენინი სტატიის — „ომი და რევოლუცია“ — აღნიშნავდა, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯგუფს „დაუპირისპირდა კაპიტალისტების მეორე ჯგუფი. კიდევ უფრო მტაცებლური, კიდევ უფრო ყაჩაღური — ჯგუფი კაპიტალისტებისა. რომლებიც კაპიტალისტური ხორავით გაწყობილ მაგიდასთან მოვიდნენ მაშინ, როდესაც ადგილები უკვე დაკავებული იყო“¹³⁰.

ჯერჯერობით „ინტეგრირებულ“ იმპერიალისტურ ყაჩაღებს შორის „ლზინი“ ერთი შეხედვით პარამონიულად მიდის, ერთად ნთქავენ ნაძარცვს, თუმცა ძალებივით უღრენენ ერთიმეორეს და ალბათ, მალე დაერევიან ურთიერთს. ბრძოლის ლოგიკას თავისი გააქვს და გაიტანს. უთანაბრო განვითარებისა და შუღლის აღმოფხვრა იმპერიალისტურ ქვეყნებს, სახელმწიფო-მონოპოლისტურ და ჯგუფებებს შორის შეუძლებელია. ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტისა და პუბლიცისტის გ. ველტონის განცხადებით კი „მესამე მსოფლიო ომი უკვე წარმოებს“. იარაღად გამოიყენება საქონელი — ავტომობილები, ტრაქტორები, სამრეწველო მოწყობი-

ლობანი, ელექტროსადგურები. არმია შედგება არა ჯარისკაცები-საგან, არამედ ვაჟებისაგან, რომლებიც გამოდიან, როგორც ორგანიზებული ძალა. მათ მიცემული აქვთ მითითება — შეაღწიონ მსოფლიო ბაზრებზე და გამოადევნონ მათგან დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების საქონელი“, — აცხადებს გ. ველტონი.¹³¹

დასავლეთ გერმანიის საქონელი იყიდება იტალიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში და პირიქით. იქმნება ახალი საერთაშორისო კარტელები. საფრანგეთის მონოპოლიები აგებენ ფაბრიკა-ქარხნებს იტალიაში, ბელგიაში, იტალიის მონოპოლიები — საფრანგეთში. განსაკუთრებით ფართოდ გაუხსნა სათარეშო ასპარეზი „საერთო ბაზარმა“ გფრ-ის მონოპოლიებს. ისინი ფაბრიკა-ქარხნებს აგებენ საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში. გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალი კარგა ხანია გასცდა ევროპის ფარგლებს და აღვირახსნილი მიიწევს კაპიტალისტური სამყაროს ყველა რაიონისაკენ. „გერმანიის ბანკს“ ფილიალები აქვს 7 სახელმწიფოში (მექსიკა, ჩილი, არგენტინა, ბრაზილია, თურქეთი და სხვ.); „დრეზდენის ბანკს“ — 12 სახელმწიფოში (ვენესუელა, კოლუმბია, ესპანეთი და სხვ.); „კომერციულ ბანკის“ — 8 სახელმწიფოში (ლიტანი, იაპონია, სამხრეთ აფრიკის კავშირის რესპუბლიკა, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა და სხვ.). დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტურმა კაპიტალმა თვით აშშ-იც კი შეაღწია.

კონცერნი „ფრიდრიხ კრუპი“ თავის კაპიტალს აბანდებს ინდოეთში (მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა), პაკისტანში (ფოლადსადნობი ქარხანა), საბერძნეთში (ბრიკეტის ქარხანა), ბრაზილიაში (მსხვილი მანქანათმშენებლობის კომბინატი), თურქეთში (მეტალურგიული ქარხნის მოდერნიზაცია ყარაბიუქში), ჩილაში (გამამდიდრებელი ფაბრიკა და მოტორსამშენებლო ქარხანა სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის), კოლუმბიაში, ცეილონში, მექსიკასა და კიდევ სხვა მრავალ სახელმწიფოში.¹³²

გააფთრებული კონკურენციული ბრძოლა სხვადასხვა მონოპოლიურ გაერთიანებებსა და იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. ი. ჭავჭავაძის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ეს ახალი სამტრო სახსარი იგივე ომია და ზოგჯერ ომზედაც უარესი, მაგრამ სისხლდაუღვრელი ომი კია, იმისთანა ომი, როცა არც ზარბაზნის გრიალია, არც ზმალის ტრიალია.

ამისთანა ომის მოედნად საეკონომიო ყოფა-ცხოვრებაა...“¹³³

კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა შეუძლებელს ხდის იმპერიალისტური ქვეყნების პარამონიულ განვითარებას. „პატიოსან კონკურენციას“ მათ შორის, გაერთიანებას — „ინტეგრაციას“ ხან-

ვრძლივი პერიოდით. კაპიტალიზმის ჰარმონიული განვითარება შეუძლებელია იმიტომ, რომ მოქმედებს კაპიტალიზმის განვითარებას უთანაბრობის კანონი, რომლის „შეცვლა“, „დაძლევა“, „უკუქცევა“ არავის და არაფერს არ ძალუძს. ამ კანონის მოქმედება ძალეს დაკარგავს მხოლოდ მაშინ, როცა მოისპობა კაპიტალიზმი. კაპიტალიზმის პირობებში კი „ინტეგრაციის“ ლოზუნგით კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების დაძლევა და „ჰარმონიული კაპიტალიზმის“ შექმნა მოგონილო ზღაპარია, ილუზიაა.

გ. მიურდალი სხვების დარწმუნებას ცდილობს იმაში, რომ თითქოს „ინტეგრაცია“ სპობს ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, მაგრამ საკუთარი თავიც ვერ დაარწმუნა ამ საკითხში. იგი ზოგჯერ შესაძლებლად თვლის „საერთაშორისო ინტეგრაციას“, მაგრამ აბოლო დროს აღარ სჯერა თავისივე მტკიცება. „თუმცა აზღანდელ სამყაროში, როგორც ლაპარაკობს ედლარ სტივენსონი, მხარადამხარ ვდგევართ და წყალბადის ბომბი ჯიბეში გვიდევს მომართული მქანაზმით“, — აცხადებს გ. მიურდალი.¹³⁴

მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის დანაწილება ურთიერთსაპირისპირო სავაჭრო-ეკონომიურ ბლოკებად, „საერთო ბაზრებად“ ფაქტიურად „დეზინტეგრაციას“ აძლიერებს. „საერთო ბაზარი“ არის კაპიტალისტური ევროპის ეკონომიური გათიშვის დაძლევის იმპერიალისტური გეგმა, რომლის შემუშავებაში აშშ-მა დიდი ენერჯია დახარჯა. „საერთო ბაზარი“ რეალობა გახდა. მას ისეთი სოციალურ-ეკონომიური შედეგებიც მოჰყვა, რომლებმაც შეაშფოთა საერთაშორისო რეაქცია. კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაცია“ ახლა მოსვენებას აღარ აძლევს აშშ-ს. ამერიკის იმპერიალიზმს აფიქრებს „საერთო ბაზრით“, ე. ი. დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციით“ გამოწვეული „დეზინტეგრაცია“. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ-ს დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციით“ სურდა „ინტეგრირებული ევროპის“ შექმნა, მაგრამ ამას მოჰყვა „დეზინტეგრაცია“. „საერთო ბაზარმა“ ფაქტიურად გამოიწვია დასავლეთ ევროპის გათიშვა ურთიერთსაწინააღმდეგო, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სავაჭრო-ეკონომიურ ბლოკებად. „დეზინტეგრაციამ“ საფრთხეში დააყენა ნატოს — „თავისუფალი სამყაროს“ ბასტიონის ერთიანობა“. ასეთ ვითარებაში აშშ უჭირავს კურსი, რათა შექმნას პოლიტიკური „სახურავი“, რომელიც დაავიცრგვინებდა „ევროპის ინტეგრაციის“ მთელ შენობას. პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნამ, ვაშინგტონის აზრით, უნდა გააძლიეროს ნატო და წარმოადგენდეს საფენურს „ატლანტიკის თანამეგობრობისაკენ“.

აშშ-ის „დიდი სტრატეგიის“ მიზანდასახულობა ნათელია, მაგრამ მისი განხორციელება თვით იმპერიალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს აწყდება.

აშშ-ის მმართველი წრეები გამოუვალ წინააღმდეგობაში მოექცნენ, დაიწყეს „თავისუფალი სამყაროს“ „ინტეგრაცია“ და შედეგად მიიღეს „დეზინტეგრაცია“. ეს, ერთი მხრივ, სასარგებლოა მათთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, მოსვენებას არ აძლევს მათ.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“, როგორც კაპიტალისტური მმართველობის მეთოდი, შინაგანად წინააღმდეგობრივი ცნებაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ, ერთი მხრივ, ფართოვდება ტენდენცია მონოპოლისტური ჯგუფების, იმპერიალისტური ქვეყნების გაერთიანებისაკენ (ამას ცდილობს აშშ-ის იმპერიალისტური ბურჟუაზია, ეს არის მისი იდეალი), მეორე მხრივ, უკიდურესად მწვავედება წინააღმდეგობა და ბრძოლა იმპერიალისტურ ქვეყნებსა და დაჯგუფებებს შორის (ეს არ მოსწონს აშშ-ის მონოპოლისტურ კაპიტალს, მაგრამ არც მასზეა დამოკიდებული ასეთი კანონზომიერება, იგი ობიექტური დამახასიათებელი მოვლენაა იმპერიალიზმისათვის).

აშშ-ის იმპერიალისტური ბურჟუაზია და მისი იდეოლოგია კარგად ხედავს, რომ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე ურთიერთშორის გადახლართულია ორი საწინააღმდეგო ტენდენცია — ერთი, იმპერიალიზმის რეაქციული ძალების გაერთიანებისა აშშ-ის მეთაურობით და, მეორე, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისა. ეს წინააღმდეგობანი არათუ არ მცირდება, არამედ: რაც დრო გადის, უფრო ძლიერდება. ძლიერდება იმიტომ, რომ იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“ აჩრდილივით დასდევს „დეზინტეგრაცია“ და დეზორგანიზაცია კაპიტალისტურ სამყაროში, რადგან იქმნება წინააღმდეგობათა ახალი კვანძები. რა თქმა უნდა, ამერიკის იმპერიალიზმი უძლურია ამ წინააღმდეგობათა წინაშე. იგი მიმართავს თითქოს „ვაჭრობის თავისუფლებას“, მაგრამ აშინებს „ინტეგრირებულ“ ევროპის მზარდი კონკურენცია. პროტექციონიზმის პოლიტიკის პროპაგანდა უარყოფითად მოქმედებს „თავისუფალი სამყაროს“, „თავისუფალი მეწარმეობის“ მედროშე აშშ-ის ისედაც შერყეულ ავტორიტეტზე. „თავისუფალი მეწარმეობა“ და პროტექციონიზმი „გამორიცხავს“ ერთიმეორეს. ამიტომაც, რომ აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგები მიმართავენ სოციალურ დემაგოგიას — თავი მოაქვთ „ვაჭრობის თავისუფლების“ დამცველებად და პრაქტიკულად იყენებენ მონოპოლისტური პროტექციონიზმისა და ულტრაფრიტრე-

დერობის პოლიტიკას. „პროტექციონიზმისა და იზოლაციონიზმის პოზიციებზე უკან დახვევა მსოფლიო ბატონობის პრეტენზიის მქონე ამერიკის იმპერიალიზმს არ სურს. ვაჭრობის სრული თავისუფლების გზაზე დადგომა, თუნდაც აგრესიული ბლოკების მიხედვით: პარტნიორებს შორის. მას არ შეუძლია. მაშასადამე, პროტექციონიზმი არა, მაგრამ არც ვაჭრობის თავისუფლება! რომ ვცადოთ ამ გზის მოკლედ ჩამოყალიბება, იგი შეიძლება დაყვანილ იქნეს ასეთ ფორმულანდე: ძველებურად გაგრძელდეს „ცივი ომის პოლიტიკა“. მაგრამ საგადასახადო ბალანსის პასივის გარეშე“, — წერს ს. ა. დალინი.¹³⁵

მიუხედავად წინააღმდეგობათა გამწვავებისა, ამერიკის იმპერიალიზმი, — მსოფლიო ექსპლოატატორი და მსოფლიო უანდარმი, საერთაშორისო რეაქციის დასაყრდენი, — არ შორდება მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის საჭეს. მეტიც, სათავეში უდგას საერთაშორისო რეაქციულ ძალებს, ყოველ ზომას იღებს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ გატარებისათვის და მონოპოლისტური ბურჟუაზიის კლასობრივ სოლიდარობას მიმართავს. აშშ-ის იმპერიალიზმი ზოგჯერ შენიღბულად მოქმედებს. აშშ-ის იმპერიალისტური ბურჟუაზია „ინტეგრაციის“ დროშას იყენებს „საერთო ბაზრის“ გაფართოების მიზნით, მისი მიზანია დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ გავრცელება „ატლანტიკის მასშტაბამდე“.

აშშ-ს აშინებს რა „საერთო ბაზრის“ კონკურენცია, მიმართავს „ინტეგრირებულ“ ევროპასთან კავშირს. ასე. მაგალითად, 1962 წლის მარტში ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასა და აშშ-ს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ურთიერთვაჭრობაში საბაჟო გადასახადების 20%-მდე შემცირების შესახებ. 1961 წლის ბოლოს პრეზიდენტმა კენედიმ წამოაყენა კანონპროექტი „ვაჭრობის გაფართოების შესახებ“, რომელიც 1962 წლის სექტემბერში მიიღო აშშ-ის კონგრესმა. კანონი ითვალისწინებს ეკონომიურ წინააღმდეგობათა შერბილებას აშშ-სა და „საერთო ბაზარს“ შორის. ამერიკელი პროფესორი დ. ჰემფრი რჩევას აძლევს აშშ-ის მთავრობას, რომ აშშ-ისათვის უმჯობესია „საერთო ბაზართან“ კავშირი, ვიდრე მის გარეშე დარჩენა.

ვაჭრობის „ლიბერალიზაციის“ ახალი კანონპროექტი შეიმუშავა ჯ. ბოლმა. მან განაცხადა, რომ ამ კანონის მიზანია ექსპორტის გადიდება კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

ამერიკელ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა მტკიცება ვაჭრობის „ლიბერალიზაციის“, „პატიოსანი კონკურენციის“, „პატიოსანი ვაჭრობის“¹³⁶ შესახებ დემაგოგიური განცხადებებია. თავისი მიზან-

დასახელობით პერტერისა და კლეიტონის გეგმები წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის წინ აშშ-ში „პატიოსანი ვაჭრობის“ შესახებ მიღებული კანონების გაგრძელებას და სხვ. აშშ დაეძებს „საერთო ბაზართან“ კავშირურობის ხელსაყრელ ფორმებს. ჯერ კიდევ პრეზიდენტმა კენედიმ წამოაყენა ატლანტიკის ეკონომიური თანამშრომლობის შექმნის იდეა. რაც იმას ადასტურებს. რომ აშშ-ის იმპერიალიზმი ცდილობს „ინტეგრაციის“ მასშტაბის გაფართოებას, „ატლანტიკის ინტეგრაციის“, „საერთაშორისო ინტეგრაციის“ განხორციელებას.

„ინტეგრაციის“ მასშტაბის გაფართოება აშშ-ს სჭირდება სოციალიზმის სისტემისა და ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის შესანარჩუნებლად, კაპიტალიზმის გადასარჩენად. მსოფლიოზე გაბატონებისათვის. „მან იკისრა კაპიტალიზმის „მსწენლის“ როლი. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მაგნატები აკოწიწებენ იმპერიალისტების „საღვთო კავშირს“, ქმნიან აგრესიულ სამხედრო ბლოკებს. ამერიკის ჯარები და სამხედრო ბაზები განლაგებულია კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე დიდმნიშვნელოვან პუნქტებში“¹³⁷. აი რუსეთის სჭირდება ამერიკის იმპერიალიზმს „საერთო ბაზარი“, საგარეო ვაჭრობის „ლიბერალიზაცია“, „საერთაშორისო ინტეგრაცია“.

ამერიკის იმპერიალიზმი დამარცხებას დამარცხებაზე განიცდის. თუნდაც ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური ევროპა ურთიერთსაწინააღმდეგო ბლოკებადაა დაყოფილი, მეტყველებს აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალის „ინტეგრაციონალისტური“ გეგმების გაკოტრებაზე. მიუხედავად ამისა, მას ჯერ კიდევ არ აუღია ხელი თავის პრეტენზიებსა და გეგმებზე — იბატონოს მსოფლიოზე. სწორედ ამ მიზნით აყენებს იგი ამჟამად იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორიას, „ინტეგრაციისა“ და „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“ ყალბი ლოზუნგით ფარავს თავის ნამდვილ მიზნებს. აშშ-ის მმართველი წრეები ბევრს ლაპარაკობენ „ინტეგრირებულ“ ევროპასთან დამოკიდებულების საკითხებში „თანასწორუფლებიანობაზე“, „თავისუფალ სამყაროზე“, სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის „დახმარებაზე“, „კომუნისტურ საფრთხეზე“ და სხვ.

ამერიკის იმპერიალისტური ბურჟუაზიის აპოლოგეტთა სოფისტიკა, რა თქმა უნდა, ვერ ფარავს წინააღმდეგობებს. 1963 წლის მაისში ჟენევაში ჩატარებულმა სესიამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ 50-ზე მეტი ქვეყნის ვაჭრობისა და ეკონომიკის მინისტრები, ნატოს წევრთა ოტავის სესიამაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს.

რომ მოლაპარაკება აშშ-სა და „ექვსეულის“ წევრებს, აგრეთვე სხვა „პარტნიორებს“ შორის დაძაბულად მიმდინარეობდა. „ექვსეულის“ წევრებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა აშშ-ს შეემცირებინა მაღალი საბაჟო ტარიფები და პირიქით.

1962 წლის ნოემბერში ბრიუსელში მიმდინარეობდა მოლაპარაკება „საერთო ბაზარსა“ და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. აშშ-ის დელეგაციას მეთაურობდა ჰერტერი, დელეგაციაში შედიოდა აგრეთვე აშშ-ის მიწათმოქმედების მინისტრი ო. ფრიმენი; მან გაილაშქრა „საერთო ბაზრის“ პოლიტიკის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ თუ „საერთო ბაზრის“ სისტემა მეტისმეტი პროტექციონისტული გახდება, მაშინ აშშ-იც კონტროლისძიებებს მიიღებს.

საბაჟო ტარიფებისა და ვაჭრობის საკითხთა საერთო შეთანხმების ორგანიზაციის ენევის 1963 წლის მაისის თათბირზეც მკვეთრმა უთანხმოებებმა იჩინა თავი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ეს პირველ რიგში ეხება აშშ-სა და „ექვსეულს“. აშშ-ის წარმომადგენელმა ჰერტერმა მოითხოვა, რომ 50%-ით შემცირდეს ტარიფები საგარეო ვაჭრობაში ყველა საქონელზე. ამით აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალი ცდილობს საგარეო ვაჭრობის იმ დაბრკოლებათა გადალახვას, რომლებიც თვით აშშ-ის კარნახით შექმნილმა „საერთო ბაზარმა“ გამოიწვია. „ექვსეულმა“ გადაჭრით უკუაგდო ჰერტერის წინადადება. „საერთო ბაზრის“ წევრმა ქვეყნებმა წამოაყენეს თავიანთი კონტრპროექტი, რომელიც აშშ-ისაგან მოითხოვს მაღალი საბაჟო ტარიფების შემცირებას. ასეთი წინადადება აშშ-ის წარმომადგენლებმა უარყვეს.

თათბირი ჩაფუშვამდე მივიდა. აქ თავი ისახელა გფრ-ის ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსმა ლ. ერჰარდმა. მან მიზნად დაისახა თათბირის ჩაფუშვის თავიდან აცილება და წამოაყენა კომპრომისული პროექტი. პროექტი გადაეცა შვეიცარიის ეკონომიკის მინისტრს შაფნერს, რომელიც ენევის დასახელებულ სესიას თავმჯდომარეობდა. ვერც ერჰარდის პროექტმა უშველა საქმეს. აშშ-ის დელეგაციამ არც ეს პროექტი მიიღო იმ სახით, როგორც იგი შემუშავებული იყო ერჰარდის მიერ.

ამრიგად, იმპერიალისტური სახელმწიფოების მოლაპარაკების „ენევის რაუნდმა“ კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა „ინტერაციონალისტთა“ შორის.

თვით ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებულია აღიაროს, რომ წინააღმდეგობანი აშშ-სა და „საერთო ბაზარს“ შორის უკიდურესად გამწვავებულია. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ კი პირდაპირ წერდა, რომ აშშ-სა და ევროპის „საერთო ბაზარს“ შორის ნამდვილი კრიზისია.

ამრიგად, აშშ-ის დიქტატით კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიური და პოლიტიკური „ინტეგრაცია“ კრახს განიცდის. აშშ-ის დოქტრინა — „ხელმძღვანელობა მსოფლიოსადმი“, „მსოფლიოს რეგულირება“ როგორც წინათ, ასევე ამჟამადაც — „ინტეგრაციის“ საფარით, კვლავ იფუშება. ამერიკის შეერთებულ შტატებს დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ მიაჩნია ერთსა და იმავე დროს პოლიტიკურ აუცილებლობადაც და თავისი თავის საფრთხედაც.

აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალი დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციას“ უპირველეს ყოვლისა საკუთარი მიზნებისათვის აჩქარებს. მაგრამ ასევე საკუთარი მიზნები აქვს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ ბურჟუაზიასაც. „მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული იმპერიალისტური სახელმწიფოების ეკონომიკის აღდგენა იწვევს იმპერიალისტური მეტოქეობისა და კონფლიქტების ძველი კვანძების აღორძინებას და ახალი კვანძების წარმოშობას. განსაკუთრებით მწვავედება ინგლის-ამერიკის, ამერიკა-საფრანგეთის, საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის, ამერიკა-დასავლეთ გერმანიის, ინგლის-დასავლეთ გერმანიის, იაპონია-ამერიკის და სხვა წინააღმდეგობანი. გარდუვალად წარმოიშობა და გაღრმავდება ახალი წინააღმდეგობანი იმპერიალიზმის ბანაკში“¹³⁸. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ უკიდურესობაში ამწვავებს და ააშკარავებს ამ ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“, რომელსაც აშშ დირიჟორობს, ნაცვლად „ინტეგრირებული“, „პარმონიული“ კაპიტალიზმისა გამოკვეთილად ყოფს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სხვადასხვა ნაწილებად.

ჯერ ერთი, აშშ თავისი ლიდერობის შენარჩუნების სურვილით თანახმაა „საერთო ბაზართან“ თანამშრომლობისა, მაგრამ მისი ოცნებაა „საერთო ბაზრის“ ეკონომიურ ღონისძიებათა ანტიამერიკული მახვილის დაჩლუნგება და ტენდენციების შესუსტება. ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს თავისუფალი გზის გახსნას „ინტეგრირებული“ ევროპის სახელმწიფოებისა და მათი ყოფილი კოლონიებისაკენ. თითქმის იმავე მიზნებით გამოდის კანადის მონოპოლისტური კაპიტალიცი;

მეორე. აშშ-ს უპირისპირდება „ინტეგრირებული ევროპა ტრესტებისა“. სადაც ბრძოლა არ ცხრება იმპერიალისტურ ქვეყნებს — ინგლისსა, საფრანგეთსა და ფერ-ს შორის ლიდერობისათვის;

მესამე. საკუთარი მიზნები ამოძრავებს იაპონიას. ისიც ცდილობს აზიის კაპიტალისტური ქვეყნების „ინტეგრაციას“ და „ინტეგრირებული აზიის“ დაპირისპირებას ევროპელი და ამერიკელი

კონკურენტებისადმი. ეს მოსვენებას არ აძლევს აგრეთვე აშშ-ს. აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალი, იმპერიალისტური ბურჟუაზია ცდილობს ყველგან და ყველა აგრესიულ ბლოკში ჰქონდეს გაბატონებული მდგომარეობა. აშშ ცდილობს „წყნარი ოკეანის ბაზრის“ შექმნას აშშ-ის, იაპონიისა და ფილიპინების შემადგენლობით, რა თქმა უნდა, აშშ-ის დირიჟორობით.

ამრიგად, იმპერიალისტური „ინტეგრაცის“ კვალდაკვალ ევროპის ცენტრში კვლავ იქმნება აგრესიის, ახალი ომის საშიში კერა. შორეულ აღმოსავლეთში კი ამერიკის მონოპოლიების უშუალო დახმარებითა და მხარდაჭერით ღორძინდება იაპონიის მილიტარიზმი, ე. ი. აქაც იქმნება მსოფლიო ომის კიდევ ერთი საშიში კერა. ომის ახალი კერები ევროპასა და აზიაში ემუქრება მშვიდობას, მსოფლიო სოციალისტურ სისტემას, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალებს.

საერთაშორისო რეაქცია აშშ-ის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მეთაურობით ამას უწოდებს არაკომუნისტური სამყაროს — „თავისუფალი სამყაროს“ დაცვას, ჯანსაღი ეკონომიკის შექმნას. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯ. ფ. კენედი კონგრესისადმი მიმართვაში აღნიშნავდა: „ჩვენ უნდა სრულყოთ ჩვენი ეკონომიური საშუალებანი, ჩვენ ვასრულებთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს მთელი არაკომუნისტური სამყაროს ჯანსაღი და განვითარებადი ეკონომიკის შექმნაში, ვეხმარებით სხვა ქვეყნებს იმისათვის, რომ დააგროვონ თავიანთი ძალები იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც საჭიროა ამ ქვეყნების იმედოვნების დაკმაყოფილებისა და იმ საშიშროებათა დაძლევისათვის, რომლებიც მათ ემუქრება“¹³⁹. აი რისთვის სჭირდება იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ მონოპოლისტურ ბურჟუაზიას!

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ აძლიერებს მილიტარიზაციას, საერთაშორისო დაძაბულობას. საერთაშორისო რეაქცია „ინტეგრაცია“ იყენებს მშვიდობისა და სოციალიზმის წინააღმდეგ. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ და მისი ნაშიერი „საერთო ბაზარი“ ხელს უწყობენ სახალხო მეურნეობის ცალმხრივ და მახინჯ განვითარებას. „ცივი ომის“ გაძლიერებას. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაცია“ სასურველი და სასარგებლოა საერთაშორისო რეაქციისათვის, რომლის ავანგარდში აშშ-ის, გფრ-ის, ინგლისის, საფრანგეთის იმპერიალისტები დგანან. ყველასათვის ნათელი ხდება, რომ კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაცია“ სინამდვილეში წარმოადგენს ნატოს აგრესიული ბლოკის „ევროპის არსენალს“.

დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ იმპერიალისტური ქვეყნების „მონოპოლისტური კომბინაცია“, იგი უმსხვილესი მონოპოლების შეთქმულება და ახალი ომის მომზადებაა. 1962 წლის დამლევისათვის „საერთო ბაზრის“ წევრ ქვეყნებში თოფქვეშ იდგა 2241 ათასი კაცი. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამ „ინტეგრირებულ ქვეყნებში“ განლაგებულია 350 ათასზე მეტი ამერიკელი და ინგლისელი ჯარისკაცი. კაპიტალისტური დასავლეთ ევროპა გადაქცეულია სამხედრო პლაცდარმად, სადაც გიგანტური მასშტაბით მიმდინარეობს სამხედრო-საინჟინრო მშენებლობა. განსაკუთრებით აქტიურობს გფრ-ის მილიტარიზმი. აშშ-ის მხარდაჭერითა და წაქეზებით სისტემატურად იზრდება ბუნდესვერი. 1957 წ. ბუნდესვერში 68,5 ათასი კაცი იყო, ხოლო 1962 წ. — 395 ათასი კაცი. საგულსხმოა ის ფაქტი, რომ ერთ უნტეროფიცერზე მოდიოდა სულ 2 რიგითი ჯარისკაცი. ცხადია, იზრდება სამხედრო ხარჯებიც. „ექვსეულის“ სამხედრო სპექტრები 25,6%-ით გაიზარდა, ხოლო მარტო გფრ-ისა 1961 წელს 50%-ით აღემატებოდა 1957 წლს დონეს: აშშ-ის იმპერიალისტური წრეების წაქეზებით გათამამებულმა რევანსისტმა ი. შტრაუსმა განაცხადა: ატლანტიკის კავშირის წინაშე აჟამად სამი ამოცანა დგას: 1) პოლიტიკის კოორდინაცია; 2) კიდევ უფრო მჭიდრო, სისტემატური თანამშრომლობა ეკონომიკის დარგში. ამ თანამშრომლობის მიზანი უნდა გახდეს ეკონომიკის საერთო ზონა, ე.ი. საერთო ბაზარი; 3) სამხედრო კავშირის განმტკიცება. აი სადამდე მიდის ბონელი რევანსისტების აღვირაბსნილი მოქმედება, რომელთა ლაგამი ჯერჯერობით აშშ-ის ხელშია.

ბუნდესვერის შეიარაღებას დიდი დახმარება გაუწიეს აშშ-ის მონოპოლისტებმა. ამერიკის იმპერიალიზმი ამით საკუთარ საქმეს აკეთებდა, — უზრუნველყოფდა, ჯერ ერთი, მილიტარიზმის აღდგენას დასავლეთ გერმანიაში და, მეორე, კოლოსალური მოგების მიღებას საომარი მასალების წარმოებითა და ექსპორტით. აშშ-ს აფიქრებს ის, რომ გფრ „თანაბარ უფლებებს“ მოითხოვს ატომური იარაღის წარმოებასა და შეიარაღებაში. გფრ „ინტეგრაციის“ ლოზუნგით თანდათან ისაკუთრებს ხელმძღვანელ პოზიციებს ნატოს და „ინტეგრირებულ“ ორგანიზაციებში („ევროატომი“, „ევროპის კოსმოსური კვლევის ორგანიზაცია“ და სხვ.). აშშ-ის იმპერიალიზმი ცდილობს მსოფლიო კაპიტალიზმის რეაქციული ძალების გაერთიანებას. ამ საქმეში კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კაპიტალისტური ევროპისა და აშშ-ის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ „ინტეგრაციას“. თითქოს ყველაფერი „პარმონიულად“ მიდის, მაგრამ სინამდვილეში ანტაგონისტური წინააღმდეგობები ღრღნიან „ატლანტიკის თანამეგობრობის“ შექმნას. გააფთრებული

ბრძოლაა ლიდერობისათვის. ჯ. კენედი კაპიტალისტური სამყაროს წინაშე მდგომ ამოცანას ასე განსაზღვრავდა: „იქნება თუ არა ჩვენი ძლიერება გაერთიანებული და შეთანხმებული, თუ დანაწილებული? და მაშინ ჩვენ თვითონ მივაყენებთ ჩვენ თავს დამარცხებასა“¹⁴⁰.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აშშ უბიძგებს ინგლისს „საერთო ბაზრისაკენ“ და აქტიურობს, რათა „ექვსეულსა“ და „შვიდეულს“ შორის დამყარდეს კავშირი, მოხდეს ამ ორი კაპიტალისტური ბლოკის „ინტეგრაცია“. აშშ-ის მონოპოლისტურმა კაპიტალმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ „ინტეგრაცია“ კიდევ უფრო გააძლიერებს კონკურენციულ ბრძოლას. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაციის“ მთავარი დირიჟორი — აშშ-ის მონოპოლისტური ბურჟუაზია — ყველა ზომას იღებს იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო და პოლიტიკური „ინტეგრაციის“ განხორციელებისათვის, რაც აუცილებლად გულისხმობს აგრეთვე ეკონომიურ „ინტეგრაციასაც“.

იბადება კითხვა: „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ ინტეგრაციით“ მოიხსნება თუ არა წინააღმდეგობანი მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის? ცხადია, არა. ეს, თავის მხრივ, ახალ წინააღმდეგობებს წარმოშობს. ეს წინააღმდეგობანი იქმნება პირველ რიგში „ინტეგრირებულ“ კაპიტალისტურ ევროპასა და აშშ-ს შორის. თვით აშშ-ის პრეზიდენტმა ჰრეწველთა ეროვნული ასოციაციის ყრილობაზე აღიარა „საერთო ბაზრით“, დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციით“ წარმოშობილ წინააღმდეგობათა საშიშროება. ამიტომ მან დასვა საკითხი, რათა აშშ-მა შეცვალოს სავაჭრო პოლიტიკა იმ მიმართულებით, რომ მოხდეს „საერთო ბაზართან“ დაახლოება, „ინტეგრირებული ევროპისა“ და აშშ-ის გაერთიანება.

ჯ. კენედი ამბობდა: „მოკლედ რომ ვთქვათ, მე შემომამქვს წინადადება, რათა ამერიკამ წამოაყენოს ახალი სავაჭრო ინიციატივა. რომლის შემსწვობითაც შესაძლებელი გახდება ამ ორი უზარმაზარი ბაზრის (ევროპის გაფართოებული „საერთო ბაზრის“ და აშშ ეკონომიური პოტენციალის) ერთიანად შეერთება, რომელსაც შეეძლება მთელი ჩვენი სამხედრო-ეკონომიური და პოლიტიკური მიზანდასახულობის ტვირთს გაუძლოს“¹⁴¹.

კენედის განცხადებაში აშკარად ჩანს „ინტეგრაციის“ აგრესიული, ექსპანსიონისტური, იმპერიალისტური ბუნება და მიზანდასახულობა. ჯერ ევროპის „ინტეგრაცია“, ე. ი. „ექვსეულისა“ და „შვიდეულის“ გაერთიანება (ევროპის გაფართოებული „საერთო ბაზარი“), ხოლო შემდეგ „ინტეგრირებული“ კაპიტალისტური ევ-

რობისა და აშშ-ის სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური ძალების შეერთება სოციალიზმის წინააღმდეგ, ე. ი. ჯერ „ინტეგრაცია“ ქვეყნის შიგნით („ევროვნული ინტეგრაცია“), შემდეგ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ („საერთო ბაზარი“), „ევრაფრიკა“ (ევროპისა და აფრიკის „ინტეგრაცია“), „ევრაფრიკისა“ და აზიის „ინტეგრაცია“ და, ამრიგად, „საერთაშორისო ინტეგრაცია“ აშშ-ის იმპერიალიზმის მეთაურობით, — აი იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ საბოლოო მიზანი.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ თანამედროვე პირობებში ელთხელ კიდევ მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ იგი „მსოფლიოს იმპერიალიზმთა გაერთიანების“ — ულტრაიმპერიალიზმის ანტიმარქსისტული თეორიის უახლესი ვარიანტია.

„ინტეგრაციისაკენ“ მიმართული ტენდენცია ევროპის ფარგლებით არ ამოიწურება. 1959 წლის ბოლოს ამერიკელმა ბიზნესმენებმა წამოაყენეს „დასავლეთ ნახევარსფეროს საერთო ბაზრის“ შექმნის იდეა, ბაზრისა, რომელშიც უნდა შედიოდეს აშშ, კანადა და ლათინური ამერიკის 20 სახელმწიფო. „საერთო ბაზრის“ გაფართოება „ატლანტიკის“ მასშტაბით წარმოადგენს თავისებურ „საღვთო კავშირს“, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკა-ევროპის რეაქციული ძალების ერთიან ფრონტად გაერთიანებას სოციალიზმის წინააღმდეგ, დრომოკმული კაპიტალისტური წყობილების გადარჩენას.

„ევრაპერიკის ინტეგრაციის“ — „ინტეგრირებული ევროპისა“ და ამერიკის ბაზრების გაერთიანების მიზნით პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს აშშ-ში. ამერიკის უმსხვილესი მონოპოლიების კარნახით თეთრმა სახლმა გაატარა ზოგიერთი ღონისძიება. „საერთო ბაზრის“ შესახებ სპეციალური მოხსენება მოამზადეს ჯ. ჰერტერმა და უ. კლეიტონმა. დიდი ბიზნესის წარმომადგენელთა მიერ შედგენილი ეს მოხსენება, რომელიც ამერიკის უმსხვილესი მონოპოლიების ინტერესებს გამოხატავს, ჯერ კიდევ 1961 წლის 31 ოქტომბერს გამოქვეყნდა. დასახელებული დოკუმენტი ითვალისწინებს კავშირურთიერთობის გაძლიერებას ევროპის „საერთო ბაზართან“ და „საევაკრო ამხანაგობის“ შექმნას. ვაშინგტონის „დიდი გეგმა“ არ მოსწონს გენერალ დე გოლს.

ჰერტერისა და კლეიტონის გეგმა იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ შესახებ არის „მარშალის გეგმის“ გაგრძელება, ე. ი. იგი ემსახურება აშშ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, უმსხვილეს მონოპოლისტურ კავშირებს. მაგრამ ამავე დროს ეს „გეგმა“ განსხვავდება „მარშალის გეგმისაგან“. ჯერ ერთი, „მარშალის

გეგმის“ დროს ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები იყვნენ აშშ-ის „კლიენტები“, მეორეც, „მარშალის გეგმა“ ხორციელდებოდა. „დახმარების“ სახით. ჰერტერისა და კლეიტონის გეგმა „საეკონომიკური ამხანაგობის“ შექმნის, „ევრაპერიკის საერთო ბაზრის“ მოწყობის შესახებ კი დაფარულია „ინტეგრაციის“ დემაგოგიური ლოზუნგით. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგანაც გფრ, საფრანგეთი, იტალია და დასავლეთ ევროპის სხვა კაპიტალისტური ქვეყნები დღეს ის აღარ არიან, რაც იყვნენ 1945—1950 წლებში. მიიღეს რა მხედველობაში ეს ფაქტები. „ევრაპერიკის ინტეგრაციის“ თეორეტიკოსებმა ჰერტერმა და კლეიტონმა თავიანთ გეგმაში „ინტეგრირებული“ ევროპის ქვეყნებს მიუჩინეს „პარტნიორების“ ადგილი, მაგრამ, ბუნებრივია, უმცროსი „პარტნიორების“ სახით.

ამრიგად, კლეიტონისა და ჰერტერის მიერ შედგენილი „ევრაპერიკის ინტეგრაციის“ გეგმა, რომელიც ფაქტიურად აშშ-ის მთავრობის პროგრამას წარმოადგენს, გულისხმობს: 1) „საერთო ბაზრისა“ („ექსპლუა“) და „თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონის“ („შვიდეული“) ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებას ისე, რომ „შვიდეული“ ექვემდებარებოდეს „საერთო ბაზარს“; 2) ევროპის გაფართოებული „საერთო ბაზრისა“ და ამერიკის ბაზრის გაერთიანებას, „საეკონომიკური პარტნიორობის“, „საეკონომიკური ამხანაგობის“ შექმნას, ატლანტიკის ორივე მხარის „ინტეგრაციას“, „ევრაპერიკის“ ბაზრის შექმნას აშშ-ის იმპერიალიზმის მეთაურობით. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის დიდი ბიზნესი ფაქტიურად უკვე მიემხრო ევროპის „საერთო ბაზარს“, — დასკვნის ჭეიმეს აღენი.

თითქოს ყველაფერი რიგზე აქვთ მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგეტებს; იქმნება მოჩვენებითობა, რომ კაპიტალისტური ევროპისა და ამერიკის „ინტეგრაცია“ უმტკივნეულოდ მიდის¹⁴². თუ თვალს გადავავლებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებულ ნამდვილ ურთიერთობას, მაშინვე დავინახავთ, რომ „ევრაპერიკის ინტეგრაცია“ გარეგნულად მოჩანს პარამონიული. საკმარისია ითქვას, რომ აშშ-ს დიდ ზიანს აყენებს მარტო „ექსპლუა“ კონკურენცია, რაც უკვე აღვნიშნეთ.

მსოფლიო ბაზარზე აშშ-ის საქონელს კონკურენციას უწევს „ინტეგრირებული“ ევროპის ქვეყნების, პირველ რიგში გფრ-ის სამრეწველო ნაწარმი. წარმოების ხარჯები ამერიკული საქონლის წარმოებაზე სჭარბობს „ინტეგრირებული“ ქვეყნებისას (ხელფასი აშშ-ში უფრო მაღალია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით¹⁴³). ამერიკული საქონლის სიძვირის ერთ-ერთი მიზეზია ინფლაცია. მართალია, მთლიანად შრომის ნაყოფიერება აშშ-ში

ჯერ კიდევ მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ეს განსხვავება თანდათან მცირდება. მეტიც, „ინტეგრირებული“ ქვეყნების რიგ დარგებში შრომის ნაყოფიერება უკვე უფრო მაღალია აშშ-თან შედარებით. აშშ უკვე ჩამორჩება კონკურენტებს საფეიქრო, მინის, კერამიკული, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოების დარგში როგორც შრომის ნაყოფიერების, ასევე წარმოების ხარჯების დონის მხრივ. მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარზე გფრ-ის უპირატესობის ერთ-ერთი პირობა ის არის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიის განახლებულ მრეწველობას კონკურენტის უფრო მეტი უნარი აქვს.

კონკურენციული ბრძოლა „ინტეგრირებულ ევროპეის“ შორის კიდევ უფრო გააწვავდება, თუ „ექსკლუსისა“ და „შვიდეულის“ „ინტეგრაცია“ მოხდება. ეს პროცესი გამოიწვევს, ერთი მხრივ, წინააღმდეგობათა მოჩვენებით „შერბილებას“ „ინტეგრირებული ევროპის“ ქვეყნებს შორის. ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში“ შეცვლის ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის (გფრ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვ.) კონკურენციული ბრძოლის მხოლოდ ფორმებს; მეორე მხრივ, კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დააყენებს აშშ-ის წარმოებას, უპირატესობა კონკურენციულ ბრძოლაში გადაიხრება „ინტეგრირებული ევროპის“ მხარეზე. მაშინ, რა თქმა უნდა, აშშ უფრო ცუდ პირობებში აღმოჩნდება. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარების უთანაბრობა იმპერიალიზმის ეპოქაში ობიექტური კანონზომიერებაა. რაკი შეიძლება ეკონომიური ძლიერება, დღის წესრიგში დადგება იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის ადრე დადებულ შეთანხმებათა გადასინჯვის აუცილებლობა ძალთა არსებული თანაფარდობის შესაბამისად და თუ დღეს გფრ აშშ-ის „დამჭერ პარტნიორია“, შემდეგ იგი კვლავ მოითხოვს „საპატიო ადგილს“.

აშშ-ის წილი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოებაში მცირდება, „ინტეგრირებული“ ევროპისა კი — იზრდება. აი ფაქტებიც. კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოებაში 1953 წ. მოდიოდა: აშშ-ზე 51,6%; „ექსკლუსზე“ — 15,6%, მარტო დასავლეთ გერმანიაზე — 6,7%, ხოლო ინგლისზე — 10,1%. 1961 წლისათვის მდგომარეობა შეიცვალა. აშშ-ზე მოდიოდა 43,3%. (შემცირდა 8,3%-ით), „საერთო ბაზარზე“ — 20,1% (გაიზარდა 4,5%-ით), დასავლეთ გერმანიაზე — 8,95%, (გაიზარდა 2,25%-ით), ინგლისზე — 9,04 (შემცირდა 0,96%-ით¹⁴). 1962 წ. კი ასეთი სურათი იყო: აშშ-ზე მოდიოდა 41,11% (ე. ი. 1,8%-ით ნაკლები 1961

წელთან შედარებით), ხოლო „საერთო ბაზარზე“—20,37% (0,27%-ით მეტი 1961 წელთან შედარებით).¹⁴⁵

1960—1961 წლისათვის „ექვსეული“ და „შვიდეული“, ერთად აღებული, უკვე დიდად უსწრებდნენ აშშ-ს მოსახლეობის რაოდენობის, ფოლადის გამოდნობის, თუჯისა და ფეროშენადნობის, ცემენტის, ხელოვნური და სინთეზური ბოქვოს და სამრეწველო პროდუქციის ზოგიერთი სხვა სახეობის წარმოების მხრივ (ცხრილი 5).

ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით (მაგალითად, კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო პროდუქციის წილი, ელექტროენერჯის წარმოება, მარცვლეული და სხვ.) აშშ კვლავ ინარჩუნებს უპირატესობას, მაგრამ მხედველობაშია მისაღები შემდეგი: წარმოების ზრდის ტემპების მხრივ აშშ ჩამორჩება „საერთო ბაზარს“; სამრეწველო წარმოების საშუალო წლიური ზრდის ტემპები უკანასკნელ ათწლეულში შეადგენდა: იაპონიაში — 14,7%-ს, გერ-ში — 8,2%-ს, საფრანგეთში—3,6%-ს, ინგლისში 2,5%-ს, ხოლო აშშ-შიც 2,5%-ს, ე. ი. აშშ უკანასკნელ ადგილზეა.¹⁴⁷ კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციაში აშშ-ის წილი შეადგენდა: 1948 წელს — 53,87%-ს, 1953 წელს — 51,92%, 1959 წელს — 47,38%-ს,¹⁴⁸ ხოლო 1962 წელს 42%-მდე დაეცა. „ინტეგრირებული“ ევროპის ქვეყნების წილი კი მატულობს. სამრეწველო პროდუქციის წარმოების დინამიკა 1953—1961 წლებში ასეთ სურათს იძლევა: (1953 წ. = 100) მთელი კაპიტალისტური სამყარო — 144,0, მათ შორის დასავლეთი ევროპა — 162,0; ჩრდ. ამერიკა — 119; იაპონია 317. 1962 წ. სამრეწველო პროდუქციის ინდექსმა (1958 წ. = 100) შეადგინა: აშშ-ში — 126%, ხოლო „ექვსეულის“ ქვეყნებში — 132%.¹⁴⁹ აი რატომ აშინებს აშშ-ს კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაცია“. ამერიკელი ეკონომისტი და პუბლიცისტი უ. ლიპმანი შეშფოთებულია „გაერთიანებული ევროპის“ მზარდი კონკურენციით და რჩევას აძლევს აშშ-ის მთავრობას, რათა მიღებულ იქნეს გადაამწყვდეთი ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში. დაასკვნის უ. ლიპმანი, მომავალი წლები უმძიმესი იქნება აშშ-ისთვისო.

ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და კანადის¹⁵⁰ პრესა უკვე სერიოზულად განიხილავს საკითხს, რათა აშშ-თან ერთად შეიქმნას წყნარი ოკეანის „საერთო ბაზარი“, რომელიც დაუპირისპირდება ევროპის „საერთო ბაზარს“.

აშშ-ის მმართველი წრეები სინანულით ლაპარაკობენ იმაზე, რომ კაპიტალისტური ევროპის ქვეყნებს ომის შემდეგ დიდად და-

ქალთა თანაფარდობა აშშ-სა და „ინტეგრირებულ“ ევროპას (ჩიქსი) და „შეიღებულ“ და „შეიღებულ“ შორის 1980—1981წ.სს

	(სყიდვად ვაშლ) -ნიმუხის ადგილ -ნიმუხის რაოდენობა	17063	24863
	(-♀ რაოდ.) სამედიცინო რეკორდები	14415	42654
	(-♀ რაოდ.) სამხედრო	11318	53420
	(-♀ რაოდ.) სამხედრო	173750	60226
	(-შინი რაოდ.) სფ -ნიმუხის რაოდენობა -ნიმუხის რაოდენობა	6732	5738
	(-♀ რაოდ.) ანტი-სფ -ნიმუხის რაოდენობა	473	872
	(-♀ ვაშლ) სფ	54,4	81,3
	(-♀ რაოდ.) ვაშლ -ნიმუხის რაოდენობა	59202	70308
	(-♀ ვაშლ) სფ -ნიმუხის რაოდენობა	92	105
	(-შინი რაოდ.) -ნიმუხის რაოდენობა	871	488
	(%) -ნიმუხის რაოდენობა -ნიმუხის რაოდენობა	43	33
	(ვაშლ) სფ	180,7	259
აშშ	...		
„ინტეგრირებული“ და „შეიღებულ“	...		

ეხმარა ამერიკული კაპიტალი და დღეს „ინტეგრირებული“ ევროპა თვით აშშ-ის მრისხანე კონკურენცია. ასეთია კაპიტალისტური ქვეყნების წარმოების განვითარების დიალექტიკა. იმპერიალიზმი სავსეა ანტაგონისტური წინააღმდეგობებით, რომელთა შერბილება კაპიტალისტურ „ინტეგრაციას“, რა თქმა უნდა, არ შეუძლია. პირიქით, კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაციამ“ გააძლიერა სავაჭრო და საბაჟო ომი აშშ-სა და „ინტეგრირებულ“ ევროპას შორის. აშშ ფორმალურად კიდევ ქადაგებს ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“, მაგრამ „ინტეგრირებული“ ევროპის კონკურენცია მოსვენებას არ აძლევს. აშშ იყენებს მონოპოლისტური პროტექციონიზმის — ზეპროტექციონიზმის არსენალში არსებულ ყველა საშუალებას, რათა ხელსაყრელი პირობები შექმნას თავის საგარეო ვაჭრობაში.

კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაციამ“ გამოიწვია არა ვაჭრობის ლიბერალიზაცია, არამედ მონოპოლისტური პროტექციონიზმის ღონისძიებათა გაძლიერება აშშ-სა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. რაც დრო გადის და მწვავედება კონკურენცია აშშ-სა და „საერთო ბაზრას“ შორის, მით უფრო ძლიერდება იმპერიალიზმის პროტექციონისტული პოლიტიკის ღონისძიებანი. ჰერტერისა და კლეიტონის „გეგმა“, აგრეთვე „დილონის გეგმა“ „ატლანტიკის საერთო ბაზრის“ შექმნის შესახებ მარცხს მარცხზე განიცდის. იმპერიალისტური ქვეყნების სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის გააფთრებული ბრძოლა წარმოებს არა მარტო ბაზრებისათვის, არამედ პოლიტიკური ბატონობის მოპოებისათვისაც. „ინტეგრირებულ ევროპას“ აღარ სურს „მარშალის გეგმის“ დროინდელი მეურვეობა აშშ-ის მხრივ და „საერთო ბაზრის“ მონაწილეებში მოქმედებს ტენდენცია „მესამე ძალის“ შესაქმნელად.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დროშით გამოდის „კომისია წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის ქვეყნებისათვის“. „კომისიის“ წევრებია ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, აშშ, საფრანგეთი. აღნიშნულ გაერთიანებაში შემავალი იმპერიალისტური ქვეყნების ძირითადი ამოცანაა სამხედრო-სტრატეგიული ბაზების შექმნა, სამხედრო-პოლიტიკური „ინტეგრაცია“ და ნეოკოლონიალიზმის შენარჩუნება.

„კომისია“ შენიღბულად მოქმედებს. იყენებს რა „ინტეგრაციის“ ყალბ ლოზუნგს, მთავარ ამოცანად აცხადებს წყნარი ოკეანის სამხრეთ რაიონის „სოციალურ და ეკონომიურ განვითარებას“.

აზიის „ინტეგრაციას“ ემსახურება „კოლომბოს გეგმა“. იგი შედგენილია ინგლისის მიერ და „სუსტად განვითარებული ქვეყნების დახმარების“ შემადგენელი ნაწილია.

1950 წ. კოლომბოში (ცეილონი) ჩატარდა ერთა ბრიტანულ-თანამეგობრობის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელმაც შეიმუშავა „სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ერთობლივი ეკონომიური განვითარების გეგმა“, მან მიიღო „კოლომბოს გეგმის“ სახელწოდება.¹⁵¹

„კოლომბოს გეგმის“ მესვეურთა მიზანია იმპერიალისტური ქვეყნების მიერ კოლონიალიზმის შენარჩუნება ამ რაიონში. „კოლომბოს გეგმის“ მონაწილენი არიან ავსტრალია, ბირმა, ჩრდ. ბორნეო, ინგლისი, ინდონეზია, ინდოეთი, კამბოჯა, კანადა, მალაია, ნეპალი, სარავაკი, სამხრეთი ვიეტნამი, ლაოსი, პაკისტანი, აშშ. ტაილანდი, სინგაპური, ფილიპინები, ცეილონი და იაპონია.

„კოლომბოს გეგმის“ მონაწილეთა შორის არ არის აზრთა ერთიანობა. „დონორი — ქვეყნები“ — აშშ, ინგლისი, ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია და იაპონია — იბრძვიან საკუთარი ინტერესებისათვის ერთიმეორის ხარჯზე. „კოლომბოს გეგმის“ მონაწილე ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები კი გამოდიან იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ. კოლომბოს გეგმაც თავისი არსით ნეოკოლონიალისტურია. მისი მონაწილე იმპერიალისტური ქვეყნები ექსპანსიონისტურ მიზნებს ისახავენ. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ „კოლომბოს გეგმით“ გათვალისწინებული ეკონომიური დახმარების“ 42% სამხედრო დანიშნულებისაა!¹⁵²

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ კიდევ ერთი პირობაა „კარიბის კომისია“. მასში შედის იმპერიალისტური ქვეყნები, რომლებსაც გავლენის სფეროები აქვთ კარიბის ზღვის რაიონში; ეს ქვეყნებია დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, აშშ, საფრანგეთი. „კარიბის კომისიის“ და მალაიზიის ფედერაციის მიზანია აგრეთვე ნეოკოლონიალიზმის შენარჩუნება.

**მონოპოლისტური „ინტეგრაცია“ და ეკონომიურად
სუსტად განვითარებული ქვეყნები**

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის გაერთიანებები, რა ლოზუნგითაც უნდა იყოს ისინი დაფარული, მიმართულია მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ. „იმპერიალისტური სახელმწიფოების მცირე ჯგუფის ინტერესები შეუთავსებელია დანარჩენი ქვეყნების ინტერესებთან. ყველა ხალხის ინტერესებთან. ღრმა ანტაგონიზმი თიშავს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და იმ ქვეყნებს, რომლებმაც ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს, იმ ქვეყნებს, რომლებიც თავიანთი განთავისუფლებისათვის იბრძვიან“².

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ მიმართულია ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების, ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ტალღა სპობს იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას. იქმნება ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც იბრძვიან ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის. ყველა ხალხს ჭერ კიდევ არ მოუშორებია კოლონიური წაგვრის უღელი. იმპერიალიზმზე ეკონომიურად დამოკიდებული ქვეყნები ჭერ კიდევ რჩებიან „მსოფლიო სოფლის“ როლში და ნახევრად კოლონიური ექსპლოატაციის ობიექტად.

იმპერიალისტური ბურჟუაზია ახალი მეთოდებითა და მოსწრხებული ფორმებით ცდილობს ყოფილი კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ძველებურად ექსპლოატაციას. იმპერიალისტები იყენებენ სამხედრო ბლოკებს, შეთქმულებებს, ტერორს, ძირ-გამომთხრელ საქმიანობას, მოსყიდვას, ეკონომიურ ზეგავლენასა და კოლონიურ ომებსაც კი.

განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებს მონოპოლისტური კაპიტალი „ინტეგრაციისა“ და მისგან გამომდინარე სხვა აპოლოგეტურ თეორიებზე. „ინტეგრაციის“ დახმარებით სურს იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ძველი კოლონიური პრივილეგიების შენარჩუნება და ახლის მიღება. „დახმარებისა“ და „ინტეგრაციის“ აღმით ფიქრობს იმპერიალიზმი ძველი პოზიციების შენარჩუნებას და ახალი ხელსაყრელი მდგომარეობის მოპოვებას. „ინტეგრირებული“ იმპერიალისტური ქვეყნები ფაქტურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ერთობლივ კოლექტიურ ექსპლოატაციას ეწვეიან. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას „საერთო ბაზრის“ კავშირს ნეოკოლონიალიზმთან.

ამრიგად, იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ კოლექტიური კოლონიალიზმის ახალი ფორმაა. „ინტეგრაციის“ იმპერიალისტური ლოზუნგი, რა თქმა უნდა, გავრცელებას პოულობს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში, აგრეთვე წვრილი ბურჟუაზიისა და, ცხადია, მუშათა არისტოკრატიის მაღალ ფენებში, იგი ვრცელდება აგრეთვე თვით ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნების ეროვნულ ბურჟუაზიის იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია მონოპოლისტურ კაპიტალთან. ეს ბუნებრივია. ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში — „II ინტერნაციონალის კრახი“ — წერდა: „იმპერიალიზმის პერიოდი არის მათფლიოს გაყოფა „დიდ“, პრივილეგიურ ერებს შორის, რომლებიც ჩაგრავენ ყველა დანარჩენ ერს. ამ პრივილეგიებისა და ამ ჩაგვრის ნადავლის ნამცეცები, უმკველია, ხედება წვრილი ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებს და აგრეთვე მუშათა კლასის არისტოკრატისა, ბიუროკრატისა“³.

თანამედროვე კოლონიალიზმის — ნეოკოლონიალიზმის მთავარი დასაყრდენია აშშ-ის, გფრ-ის, ინგლისისა და სხვა „ინტეგრირებული“ ქვეყნების იმპერიალიზმი. ნეოკოლონიალიზმისა და რეაქციის მთავარი საფარია ანტიკომუნისმი, რომელსაც იმპერიალისტური ბურჟუაზია იყენებს სოციალიზმის, სოციალისტური ბანაკის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ სულ უფრო დიდ როლს ასრულებს ანტიკომუნისმის იდეოლოგიურ არსენალში. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი განსაკუთრებით აძლიერებს მილიტარიზმს. მილიტარიზმი კი, რომელიც იმპერიალისტურა „ინტეგრაციის“ დროშით ხორციელდება („სამხედრო ინტეგრაცია“), ამდიდრებს მონოპოლისტური ბურჟუაზიის ცალკეულ ჯგუფებს.

მონოპოლისტური ბურჟუაზია ამიტომ ეფარება „თავისუფლებსა“ და „დემოკრატიის“ ყალბ ალაშს, „ინტეგრაციის“ ლოზუნგს და ასე ცდილობს თავისებური, ფარული კოლონიური იმპერიის შენარჩუნებას.

კოლონიების ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის ამჟამად დამთავრების სტადიაში იმყოფება. ამიტომ ნეოკოლონისტები მიმართავენ კოლონიური იმპერიის შენარჩუნების ახალ ფარულ და მოქნილ ფორმებს. იმპერიალისტთა ოცნება ფარული კოლონიური იმპერიის შექმნისა და შენარჩუნების შესახებ უნადაგოა, რადგან სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტით გამოდის.

„ინტეგრაცია“ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას სჭირდება სწორედ იმისათვის, რომ კოლონიური ჩაგვრის მახეში იყოლიოს სუსტად განვითარებული ქვეყნები. ეს პირველ რიგში ეხება ინგლისის, ბელგიის, პოლანდიის, საფრანგეთის ყოფილ კოლონიებს, რომლებმაც, მართალია, მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შექმნეს ეროვნული სახელმწიფოები, მაგრამ იმპერიალისტურ ქვეყნებზე ეკონომიურად არიან დამოკიდებული, ისინი ფაქტიურად ასრულებენ „მსოფლიო სოფლის“ როლს და, მაშასადამე, ნახევრად კოლონიური და კოლონიური ექსპლოატაციის ობიექტად იქცევიან.

სუსტად განვითარებული ქვეყნების დაკაბალება ხორციელდება „თავისუფლებისა“ და „თანასწორობის“, სუსტად განვითარებულ ქვეყნებზე „ეკონომიური დახმარების“, ამ ქვეყნებთან „პარტნიორობის“ დემაგოგიური ლოზუნგებით. „ინტეგრაციონალისტები“ აყენებენ მოჩვენებით წარმტაც პირობებს და ასე ცდილობენ სუსტად განვითარებული ქვეყნების „ინტეგრირებას“.

„საერთო ბაზართან“, „ინტეგრირებულ ევროპასთან“ სუსტად განვითარებული ქვეყნების „დაკავშირების“ მიზნით მრავალი ორგანიზაცია შექმნეს მონოპოლისტებმა; მაგალითად, „გამოკვლევათა და სამრეწველო თანამშრომლობის საერთაშორისო საზოგადოება“, „ევრაფრიკის ასოციაცია“, „აფრიკის ბუნებრივი რესურსების განვითარებისათვის ევროპის კონსორციუმი“ („კონსაფრიკა“), „ზღვის-იქითა ტერიტორიების განვითარების ევროპის ფონდი“ და მრავალი სხვა. „ევროპის ფონდიდან“, რომელიც „ექვესულმა“ შექმნა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის (730 მლნ დოლარის ოდენობით),⁴ „ინტეგრაციის“ მედროშენი „ეხმარებიან“ ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. ფაქტიურად ეს ფონდი

ხმარდება მსხვილ მონოპოლისტურ კავშირებს. ამ ფონდის ძირითადი სახსრები მიდის „ინფრასტრუქტურას“ (გზები, ხიდები, ნავსადგურები, ელექტროსადგურები) შექმნაზე, ე. ი. იმაზე, რაც თვით „ინტეგრირებული“ ევროპის მონოპოლისტურ კაპიტალს სჭირდება სუსტად განვითარებული ქვეყნებიდან მაქსიმალური მოგების ამოსაქაჩავად, აგრეთვე სამხედრო ბაზების ასაგებად. მრავალრიცხოვანი სამხედრო ბაზები, რომლებიც იმპერიალისტური ქვეყნების მიერაა აგებული აფრიკის სხვადასხვა ნაწილში, შეადგენს კოლონიალისტურა პოლიტიკის თავისებურ „ინფრასტრუქტურას“.

ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი უ. როსტოვი სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ურჩევს მთავარი ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობასა და მოპოვებით მრეწველობას.

„ევრაფრიკა“, ევროპა-აფრიკის ალიანსი — დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ შემდეგი ნაბიჯი — აფრიკის კონტინენტზე მონოპოლისტური ბურჟუაზიის პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცების უზრუნველყოფის გეგმაა. იგი ითვალისწინებს „საერთო ბაზრის“ გაგრძელებას სამხრეთის მიმართულებით. „ინტეგრირებული“ იმპერიალისტური ქვეყნები „კოლექტიურად მიუდგნენ“, „კოლექტიურად წყვეტენ“ აფრიკის პრობლემებს და იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ მეშვეობით ფიქრობენ სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის „აღორძინებას“. აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის სუსტად განვითარებული ქვეყნების „კოლექტიური“ კოლონიზატორის სათავეში „ინტეგრირებულ ევროპას“ უდგება გფრ. ეს შემთხვევითი არაა. გფრ გამოდის „ანტიკოლონიალიზმისა“ და „ინტეგრაციის“ ყალბი დროშით. „ინტეგრაციის“ წამოსახამს ამოფარებული მისი მონოპოლისტური კაპიტალი ყველგან მიძვრება; მაგალითად, იმპორტი აფრიკიდან გერმანიაში 1938 წ. შეადგენდა 385,5 მლნ მარკას, 1961 წ. (არასრული ცნობებით) კი—2054 მლნ მარკას; ექსპორტმა 203,1 მლნ მარკიდან 1930 წ. შეადგანა 1890 მლნ მარკა 1961 წ.. ე. ი. 9-ჯერ გაიზარდა.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ საშუალებით მონოპოლისტური კაპიტალი იქითკენ მიისწრაფვის, რომ დამორჩილებულ მდგომარეობაში იყოლიოს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, მთელი მსოფლიოს სუსტად განვითარებული ქვეყნები და ამას აკეთებს შენიღბულად, ვითომც „დახმარებისა“ და „მეგობრობის“, „პარტნიორობის“ სახით. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ გვევლინება, როგორც სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-

განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ სახელმწიფო-მონო-პოლისტურ გაერთიანებათა მოქმედების კოორდინაცია.

იმპერიალისტები შენიღბულად და დემაგოგიურად მოქმედებენ. თუ „საერთო ბაზრის“ შექმნის პერიოდში სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთობას დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ, თანამედროვე ეტაპზე „საერთო ბაზრის“, იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ერთ-ერთი მთავარი „საზრუნავია“ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა „ევრაფრიკის“ სამხედრო-სტრატეგიულ „ინტეგრაციას“. ნატოს მესვეურები თვლიან, რომ თანამედროვე იარაღი აუცილებელს ხდის „ევრაფრიკის“ იდეის სისრულეში მოყვანას. მათ სურთ საპარის გამოყენება სამხედრო-სტრატეგიული მიზნებისათვის.

საკმარისია მოვიგონოთ ანრი სპააკის მოხსენება „საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით. ამ მოხსენებაში თითქმის არაფერი იყო ნათქვამი (გარდა „ასოციაციისა“) აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ეს, ცხადია, იმას როდი ნიშნავს, რომ იმპერიალისტებმა ხელი აიღეს კოლონიების, სუსტად განვითარებული ქვეყნების ექსპლოატაციაზე. „საერთო ბაზრის“ შექმნის, დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის“ დაწყების პროცესში იმპერიალისტებმა და მათმა იდეოლოგებმა განგებ აუარეს გვერდი სუსტად განვითარებული ქვეყნების საკითხებს, შემდეგ კი გააძლიერეს „ყურადღება“ ამ ქვეყნებისადმი. ეს პირველ რიგში ეხება აფრიკის ქვეყნებს. „ექვსეულმა“ დიდი ადგილი დაუთმო „ევრაფრიკის“ „ინტეგრაციის“ პრობლემებს. რომის ხელშეკრულება მიზნად ისახავს აფრიკაში საფრანგეთს, ბელგიისა და იტალიის ყოფილი კოლონიების „ასოციაციას“ ევროპის „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან. „ინტეგრაციონალისტები“ აპირებენ ამ ყოფილი კოლონიების გადაქცევას „საერთო ბაზრის“ სფეროს „სამხრეთ გაგრძელებად“.

„ევრაფრიკის“ გეგმები გამიზნულია დამბლადაცემული დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის „გასაჯანსაღებლად“, „ექვსეულისათვის“ ნელღელულისა და გასაღების ბაზრების უზრუნველსაყოფად.

მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოების ბურჟუაზიული ეკონომისტების „დიდი ყურადღება“ სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი აიხსნება არა ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხებზე მზრუნველობით, არამედ იმით, რომ შეინარჩუნონ დაშლის პროცესში მყოფი იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა.

„ევრაფრიკის“ იდეა მეორე მსოფლიო ომამდეც არსებობდა. მაგრამ მისი პროპაგანდა განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „საერთო ბაზრის“ შექმნისა და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის პროცესში. „ევრაფრიკის“ შექმნის ინიციატორებად გამოვიძინენ დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის მონოპოლისტური კავშირები. პარადოქსულად მოჩანს საფრანგეთის ინიციატივა „საერთო ბაზართან“ მისი ყოფილი კოლონიების შემოერთების თაობაზე. საფრანგეთის მონოპოლიები იშველიებენ აფრიკის ქვეყნებს „ფრანგულ თანამეგობრობას“, „ასიმილაციის თეორიას“ და სხვ. საფრანგეთის მონოპოლისტური კაპიტალის დამცველები კარგად ხედავენ, რომ კოლონიალიზმის აპოლოგიის ძველი დოგმები გაკოტრდა, ამიტომ აპოლოგეტიკის უფრო მოხერხებულ ფორმებს დაეძებენ. ამ მიზნით საფრანგეთის იმპერიას შეუცვალეს სახელი „საფრანგეთის კავშირით“, ხოლო შემდეგ — „თანამეგობრობით“, „ასოციაციით“.

„ასიმილაციის თეორია“ ალყირში საფრანგეთის კოლონიალური პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძველია, რომელმაც კრახი განიცადა. „ასიმილაციის“ ფესვები შორს მიდის. ამ დოქტრინის ერთ-ერთი პირველ იდეოლოგთაგანია ნაპოლეონ III, რომელმაც წამოაყენა „არაბული სახელმწიფოს“ შექმნის გეგმა.⁶ თანამედროვე ეტაპზე კი „ასიმილაციის“ „თეორია“ წარმოადგენს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ შემადგენელ ნაწილს. „ასიმილაციის“ თეორეტიკოსებმა ალყირი გამოაცხადეს საფრანგეთის განუყრელ ნაწილად, საფრანგეთთან „ინტეგრირებულად“. „ასიმილაციის“ დოქტრინით ალყირელები ფორმალურად გამოაცხადეს ფრანგებად. „ასიმილაციის“ დოქტრინა, როგორც იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ გეგმის შემადგენელი ნაწილი. ჩაფლავდა. ალყირელმა ხალხმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწია.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი პირობაა ერთა თანამეგობრობის ქვეყნები და სიმპერიო პრეფერენციების დაკარგვის შიში. საფრანგეთი კი, პირიქით, კოლონიების „ინტეგრაციის“ იდეის ინიციატორად გამოდის, ე. ი. საფრანგეთი მოითხოვს „ინტეგრირებას“ კოლონიებითურთ. ეს იმიტაც აიხსნება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებამ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, სუეცის ავანტიურის ჩაშლამ და სხვ. ფრანგი კოლონიზატორები აიძულა მიემართათ სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანებისათვის. მათ წამოაყენეს კოლონიზატორთა მოქმედების კოორდინაციის გეგმა და დახმარება სთხოვეს

სხვა კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიზატორებს. რათა საერთო ძალით დაეთრგუნათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. „საერთო ბაზარში“ საფრანგეთის შესვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლონიური იმპერიის დაშლის შეჩერება.

იმპერიალისტებმა კარგად იციან, რომ ცალ-ცალკე, დაქსაქსულად აღარ შეუძლიათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტი-იმპერიალისტური მოძრაობის ჩახშობა და ამიტომ, რა თქმა უნდა, ამკობინეს გაერთიანება, იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ განხორციელება. ფრანგ კოლონიზატორებს მიბაძეს ბელგიელმა და პოლანდიელმა კოლონიზატორებმაც. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“, „საერთო ბაზრის“ შექმნა უდიდეს ზიანს აყენებს ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს, ამ ქვეყნების ეკონომიკას საზარალო პირობებში აგდებს⁷.

ამრიგად, „საერთო ბაზარი“, კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაცია“ კოლექტიური კოლონიალიზმის ახალი ფორმაა. „საერთო ბაზარი“ წარმოადგენს თანამედროვე კოლონიალიზმის არამარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ ორგანიზაციასაც. „საერთო ბაზარიც“ არის „კოლექტიური კოლონიალიზმის“ ფორმა⁸. დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ და „საერთო ბაზართან“ აფრიკის სუსტად განვითარებული ქვეყნების „ინტეგრირების“ იდეა არის აფრიკის ბაზრის დანაწილების შენიღბული გეგმა, აფრიკის ხალხთა კოლექტიური ექსპლოატაციის ფორმა.

აფრიკის რიგი კოლონიური ქვეყნები „საერთო ბაზრის“ — კოლექტიური ექსპლოატატორის — ბრჭყალებში აღმოჩნდნენ მეტროპოლიების მეშვეობით. მეტროპოლიები — იმპერიალისტური ქვეყნები — „საერთო ბაზარში“ გაერთიანდნენ თავიანთი კოლონიებითურთ. აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა, რომლებიც „საერთო ბაზრის“ შექმნის პროცესში საფრანგეთისა და ბელგიის კოლონიებს წარმოადგენდნენ, „ავტომატურად“, ძალდატანებით გახდა „საერთო ბაზრის“ ასოცირებული“ წევრი. მათმა უმრავლესობამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ ეკონომიურად „ინტეგრირებული“ ევროპის, „ექვეულის“ ექსპლოატაციის ობიექტია. „საერთო ბაზართან“ აფრიკის 18 სახელმწიფოს „ასოციაციის“ შესახებ დადებული კონვენცია ნეოკოლონიალისტებს ემსახურება; განსაკუთრებით ხარობენ გფრ-ის მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლები. დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი თანდათან სულ უფრო ღრმად იჭრება სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ლ. ერჰარდის მოხსენების ერთ-ერთი მთავარი საკითხი (ბუნდესტაგის სხდომაზე 1963 წლის 18 ოქტომბერს) იყო ევრო-

პის „ინტეგრაცია“ და „ევრაფრიკან ასოციაცია“. ახალმა კანკლერმა განაცხადა: „გფრ-ის მთავრობა მიესალმება აგრეთვე აზრს საბერძნეთსა და თურქეთთან, აგრეთვე აფრიკის 18 სახელმწიფოსა და მადაგასკართან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე“.

„ყბადაღებული ევრაფრიკის ასოციაცია“ ევროპის „საერთო ბაზრის“ სისტემაში სხვას არაფერს ნიშნავს; თუ არა ნეოკოლონიალიზმის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გაწაფულ ფორმას. — წერდა ფრანგული ჟურნალი „ფრანს ნუველი“. ნეოკოლონიალისტები კი „ევრაფრიკას“, „საერთაშორისო ინტეგრაციას“ სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის სასარგებლო და აუცილებელ მოვლენად აცხადებენ. ფრანგმა გასტონ შაპაზმა განაცხადა, რომ „ევრაფრიკა კოლონიური საკითხის გადაწყვეტა არის“⁹. აი როგორ „წყვეტენ“ ნეოკოლონიალიზმის თეორეტიკოსები სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ პრობლემებს.

კონვენცია „საერთო ბაზართან“ აფრიკის ქვეყნების (კოლონიების) „ასოციაციის“ შესახებ დაიდო 1957 წელს 5 წლის ვადით. ეს დრო უკვე გავიდა, მაგრამ „ინტეგრირებული ევროპა“ მოითხოვს აფრიკის იმ ქვეყნების დატოვებას „საერთო ბაზარში“, რომლებმაც მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა განვლილი პერიოდის მანძილზე. „საერთო ბაზართან“ „ასოცირებული აფრიკის 18 სახელმწიფოს ეკონომიკას აქვს აშკარად ცალმხრივი მონოკულტურის ხასიათი.¹⁰ მაშასადამე, ისინი კვლავ რჩებიან „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში. „ასოციაცია“ წინააღმდეგ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების გამოწველამ დიდი სამუშაო გაუჩინა „ექვსეულს“. 1962 წლის ბოლოს დადებულ იქნა ახალი „შეთანხმება ასოციაციის“ შესახებ, რომელიც სიტყვით. ფორმალურად აღიარებს „ასოცირებული“ ქვეყნების „სუვერენიტეტსა“ და „თანასწორუფლებიანობას“. „საერთო ბაზართან“ შეიქმნა „ასოციაციის საბჭო“, რომელშიც შეიყვანეს აგრეთვე „ასოცირებული“ ქვეყნების ერთი წარმომადგენელი. არსებობს „ასოციაციის კომიტეტიც“, „საპარლამენტო კრება“ და სხვ. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ნეოკოლონიალისტებს უძნელებათ ნეოკოლონიალიზმის შენარჩუნება.

საკითხი ეხება აფრიკის მრავალ ახალგაზრდა სახელმწიფოს (სენეგალი, კამერუნი, ტოგო, სომალი. რუანდა, მალი და სხვ.). დაავლეთ ევროპის იმპერიალისტები იძულებული ხდებიან გაითვალისწინონ ამ ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნების აზრიც. თუ წინათ კოლონიზატორები კოლონიების, სუსტად განვითარებუ-

ლი ქვეყნების საკითხებს თვით ამ ქვეყნების წარმომადგენელთა გარეშე წყვეტდნენ. დღეისათვის ასეთი მოქმედება აღარ შეუძლიათ. არ შეუძლიათ იმიტომ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები თავიანთ ბრძოლაში უნაგარო დახმარებასა და მხარდაჭერას ლებულობენ მხარდი სოციალიზმის მძლავრი ბანაკიდან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ იმპერიალისტებმა მოიშველიეს „ინტეგრაციის“ დემაგოგიური ლოზუნგი.

მრავალი კონფერენცია და თათბირი ჩატარეს იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ მესვეურებმა აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებთან. შეიქმნა აფრიკის ქვეყნების საკითხთა შემსწავლელი სპეციალური კომისია. 1961 წლის ზაფხულს სტრასბურგში ჩატარდა „ევროპა-აფრიკის საპარლამენტო კონფერენცია“ და სხვ.

„სტრასბურგის რეზოლუცია“ „ევრაფრიკის ასოციაციის“ შესახებ დამოუკიდებლობას ართმევს დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზართან“ „ასოცირებულ“ აფრიკის ქვეყნებს, მათ უფლება არა აქვთ ითანამშრომლონ სხვა ქვეყნებთან (გარდა „ექვსეულისა“).

კოლონიზატორები ყველა ზომას იღებენ, რათა მორჩილებაში ჰყავდნენ სუსტად განვითარებული ქვეყნები. საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქცია განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს „ინტეგრაციაზე“, რომელიც დიდ როლს ასრულებს ანტიკომუნისმის პროპაგანდაში. ანტიკომუნისმის პროპაგანდისტები ახალ-ახალ აპოლოგეტურ თეორიებს თხზავენ იმისათვის, რომ მორჩილებაში იყოლიონ სუსტად განვითარებული ქვეყნები. ბურჟუაზიულ პრესაში გაზვირდა მსჯელობა არამართო „ინტეგრაციის“, არამედ „ინტეგრაციასთან“ კავშირში მყოფი კონცეფციების გარშემო, რომლებსაც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ქადაგებს და რომლებიც ნეოკოლონიალიზმის იდეოლოგიას, იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დაცვას ემსახურება. ყველა ეს აპოლოგეტური თეორია საბოლოოდ თავს იყრის იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დოქტრინაში.

სუსტად განვითარებული ქვეყნების პროგრესული ძალები. პირველ რიგში კი კომუნისტები, ააშკარავებენ „ინტეგრაციისა“ და ნეოკოლონიალიზმის სხვა აპოლოგეტური თეორიების ნამდვილ ბუნებას და მიზანდასახულებას. წინააღმდეგი არიან „საერთო ბაზარში“ შესვლისა.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას თანმიმდევრულ ხასიათს აძლევს სუსტად განვითარებული ქვეყნების პროლეტარიატის ზრდა და რევოლუციური წრთობა. აფრიკის პროლეტარიატის რი-

გებში დაახლოებით 15 მილიონი კაცია. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის პროლეტარიატის საერთო რაოდენობამ 100 მილიონს გადააშტეტა. სუსტად განვითარებული ქვეყნების პროლეტარიატი აძლიერებს რევოლუციურ ბრძოლას. მარტო ხუთი წლის განმავლობაში (1958—1962) აზიისა და აფრიკის ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების პროლეტარიატის საგაფიცო მოძრაობაში მონაწილეობდა დაახლოებით 9 მილიონი კაცი. თუ 1919 წ. აზიისა და აფრიკის სუსტად განვითარებულ ქვეყნებში არ იყო არც ერთი კომუნისტური პარტია, ამჟამად 30-მდეა, რომლებიც თავიანთ რიგებში 2,5 მილიონზე მეტს წევრს აერთიანებენ. აი რატომ მიმართავს იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის იდეოლოგია ახალ-ახალ აპოლოგეტურ — დემაგოგიურ „თეორიებს“.

იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და მასთან უშუალოდ კავშირში მყოფ სხვადასხვა ეულგარულ-აპოლოგეტურ თეორიებს მხარს უჭერენ მხოლოდ რეაქციული ძალები თვით სუსტად განვითარებულ ქვეყნებში (ფეოდალები, კომპრადორული ბურჟუაზია — პროიმპერიალისტური ჯგუფები). „იმპერიალისტური იდეოლოგია უკავშირდება კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული ქვეყნების ფეოდალური, პროიმპერიალისტური ელემენტებისა და ბურჟუაზიის რეაქციული ჯგუფების იდეოლოგიას“¹¹.

ეს მართლაც ლოგიკურია. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ არის რეაქციული გეგმა და, ცხადია, მას მხარს დაუჭერს ყველა რეაქციული ძალა, სადაც უნდა იყოს ისინი — მეტროპოლიებში თუ თვით სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

სუსტად განვითარებული ქვეყნების რეაქციულ. პროიმპერიალისტურ ძალებს სურთ ძველებურად რჩებოდეს მათი ქვეყნები იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრარულ-სანედლეულო დანამატის, „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში. ამ ქვეყნების „თანასწორობა“ „ინტეგრირებულ“ ქვეყნებთან ნიშნავს: სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვებას არა რომელიმე ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს აგრარულ-სანედლეულო დანამატად, არამედ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჯგუფის, „ტრესტების ევროპის“, ე. ი. კოლექტიური ექსპლოატატორის ეკონომიკის დანამატის მდგომარეობაში.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ ნეოლიბერალური თეორიების პროპაგანდისტთა აზრით, „ინტეგრირება“ სასარგებლოა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის. ისინი გაიძახიან, რომ „ინტეგრაცია“ ნიშნავს „თავისუფალ და პატიოსან კონკურენციას“. „თანასწორობას“, „ურთი-

ეროლამოკედებულებასა“ და სხვ. განა შეიძლება სუსტად განვითარებულ და „ინტეგრირებულ“ ე. ი. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის „თანასწორფლებიანი პარტნიორობა“; „პატიოსანი კონკურენცია“ და „თანასწორობა“? ცხადია, არა. მაგალითად, „პარტნიორობა“ ფგრ-სა და განას შორის შეიძლება იყოს მხოლოდ „ნეოკოლონიალისტური პარტნიორობა“. ¹² „ინტეგრირებული“ ქვეყნებიდან სამრეწველო საქონლის თავისუფალი შეტანა სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ძირს გამოუთხრის, მოსპობს ისედაც სუსტ ეროვნულ მრეწველობას და ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს დაუბზობს ინდუსტრიალიზაციის გატარების გზას.

მაშასადამე, სუსტად განვითარებული ქვეყნების შესვლა „საერთო ბაზარში“. მათი „ინტეგრირება“ მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოების იმპერიალისტურ კავშირთან ნიშნავს: ა) სუსტად განვითარებული ქვეყნების ახალგაზრდა მრეწველობის, მათი სახელმწიფო სექტორის ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრას; ბ) მეურნეობის ძველი, კოლონიური სტრუქტურის შენარჩუნებას; გ) მონოპოლისტური კაპიტალის მიერ ამ ქვეყნებიდან ზედმეტი ღირებულების დამატებით ამოქაჩვას; დ) სოფლად ნახევრად ფეოდალური ურთიერთობის კონსერვაციას; ე) სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვებას კოლონიური ექსპლოატაციის ობიექტად. „მსოფლიო სოფლის“ როლში.

ამრიგად, იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ მთავარი მტერი და დაბრკოლებაა იმ საერთო-ეროვნული ამოცანების გადაჭრის გზაზე. რომლებიც ისტორიამ დააყენა სუსტად განვითარებული ქვეყნების წინაშე. სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა თავი უნდა დააღწიონ იმპერიალიზმის ყოველგვარ ზრიკს, რა სამოსელშიც უნდა იყოს ის განხვეული, ომი უნდა გამოუცხადონ იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“ და მასთან კავშირში მყოფ სხვა აპოლოგეტურ თეორიებსა და მათგან გამომდინარე ეკონომიურ პოლიტიკას.

სუსტად განვითარებული ქვეყნები მიმართავენ პროტექციონიზმს „ინტეგრირებული“ ქვეყნების მიმართ. ეს, ჩვენი აზრით, სწორი და პროგრესული ღონისძიებაა. „საბაჟო განიარაღება“ დამლუპველი იქნებოდა სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის. სიკეთე კი არა, ნეოკოლონიალიზმის გამოვლინება, სუსტად განვითარებული ქვეყნების დამკვიდრება „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში — ასეთია „ინტეგრაციის“ ნამდვილი არსი ამ ჯგუფის ქვეყნებისათვის“. ¹³

სუსტად განვითარებული ქვეყნების კოლექტიური ექსპლოატა-

ცია იმპერიალისტების მიერ „ეკონომიური ინტეგრაციისა“ და „ვაჭრობის თავისუფლების“ ყალბი ლოზუნგით ხდება. „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები ირწმუნებიან, რომ „ინტეგრირება“, ვაჭრობის „ლიბერალიზაცია“ სასარგებლოა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის. „ინტეგრაციონალისტთა“ მტკიცებით „ინტეგრაცია“ ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო სახსრებისაგან გაათავისუფლებს სუსტად განვითარებულ ქვეყნებს და ამ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციას კი „ინტეგრირებული“ ქვეყნები განახორციელებენ. ერთი შეხედვით, ამაზე უკეთესი რა შეიძლება იყოს? იმპერიალისტები სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ინდუსტრიის შექმნას ჰპირდებიან. სწორად შენიშნავს ჯ. ალენი, რომ იმპერიალისტური ქვეყნები „ინტეგრაციის“ ალაშს იყენებენ იმისათვის. რათა სუსტად განვითარებული ქვეყნები სამუდამოდ დარჩნენ ნედლეულის მიმწოდებლებად.

კლეიტონი და ჰერტერი კი გამოდიან ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ეს ქვეყნები წარმოადგენენ „მცირე ერთეულებს“, მათ არა აქვთ „საამისო რესურსები“, „ჩვევები“. „გამოცდილება“ და სხვ.

ნეოლიბერალმა ვ. რეპკემ გამოაქვეყნა სტატია „სუსტად განვითარებული ქვეყნები“.¹⁴ რომელშიც ქადაგებს ეკონომიური ლიბერალიზმის ვულგარულ პრინციპებს მოდერნიზებული ფორმით და აკრიტიკებს სუსტად განვითარებული ქვეყნების მიერ გატარებულ მფარველობით ღონისძიებებს. იგი წინააღმდეგია ამ ქვეყნების ინდუსტრიალიზაციისა და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“. საგარეო ვაჭრობის „ლიბერალიზაციის“ ყალბ ლოზუნგს ქადაგებს.

ძნელი გამოსაცნობი არ არის მონოპოლისტური კაპიტალის თეორეტიკოსთა მსჯელობის აპოლოგეტური ბუნება. ეს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ნათელია, ასეთი განცხადებების უსაფუძვლობას ვერც ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი უარყოფს. „მტკიცებები, რომ თითქოს სუსტად განვითარებულ ქვეყნებს არა აქვთ ინდუსტრიალიზაციისათვის აუცილებელი რესურსები, კლიმატი ან ჩვევები, სისულელეა“, — წერს ჯ. ოზერი¹⁵.

კლეიტონი და ჰერტერი, რომლებმაც სპეციალური მოხსენება შეადგინეს „საერთო ბაზრისა“ და „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“ შესახებ, აცხადებენ, რომ ტყუილუბრალოდ დროს დაქარგვაა სუსტად განვითარებული ქვეყნების მიერ ინდუსტრიალიზაციის დაწყება და საკუთარი მრეწველობის დაცვა პროტექციონისტული ბაჟებით. აქ ყველაფერი ნათელია. კლეიტონი და ჰერტერი მონოპოლისტური ბურჟუაზიის მსახურები არიან, ამიტომ, ბუნებრივია,

ისინი წინააღმდეგი არიან სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციის გატარებისა, მოითხოვენ სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვებას „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში.

იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“, ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“ მთელი რიგი ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნები უპირისპირებენ პროტექციონიზმს — მშობლიური მრეწველობის მფარველობის პოლიტიკას — და ცდილობენ ერთიან ანტიმონოპოლისტურ, ანტი-იმპერიალისტურ ფრონტად გაერთიანებას. თვით სუსტად განვითარებული ქვეყნებიც მიმართავენ რეგიონალურ კავშირებს, „ინტეგრაციას“, მაგრამ მათი „ინტეგრაცია“ ძირფესვიანად განსხვავდება იმპერიალისტური „ინტეგრაციისაგან“¹⁶. ასეთი ღონისძიებანი სუსტად განვითარებული ქვეყნების მხრიდან, მათი პროტექციონისტული პოლიტიკა, საკუთარი „საერთო ბაზრის“ შექმნა, საბაჟო შეზღუდვები და სხვ. ამ შემთხვევაში პროგრესულ როლს ასრულებს. საკპარისია მოვიგონოთ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება პროტექციონიზმისა და ფრიტრედერობის შესახებ. მარქსიზმის კლასიკოსები ამ საკითხს ყოველთვის დიალექტიკურად, ე. ი. კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით განიხილავდნენ¹⁷.

სუსტად განვითარებული ქვეყნები მიმართავენ აგრეთვე იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ საწინააღმდეგო ღონისძიებებს. აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიის ახალგაზრდა სუსტად განვითარებული ქვეყნებიც ცდილობენ საკუთარი ბაზრის შექმნას. მას შემდეგ, რაც ინგლისმა გადაწყვიტა „საერთო ბაზარში“ შესვლა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რიგ ქვეყნებში გავრცელდა აზრი ახალი ბაზრების შექმნის თაობაზე. არის ცდები იმისა, რომ ამ რაიონში შეიქმნას ორი სავაჭრო-ეკონომიური ბლოკი: 1. სიამი. მალაია. ფილიპინები და 2. ინდოეთი, ცეილონი, პაკისტანი. ამ აზრს იზიარებენ ავსტრალიაშიც. ერთი სიტყვით, „საერთო ბაზარმა“, დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციამ“ გააძლიერა დაბნეულობა და შიში ე. წ. ერთა ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნებში (არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ, ერაყმა, იორდანია, კუვეიტი და სირიამ კი უკვე შექმნეს „არაბეთის საერთო ბაზარი“).

კ. ნკრუმამ განაცხადა, რომ „უმჯობესია და უფრო მიზანშეწონილია ერთიანი აფრიკის საერთო ბაზრის შექმნა, ვიდრე ევროპის საერთო ბაზრისადმი დანაშაულის სახით სამსახური“. 1963 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოვიდა კ. ნკრუმას წიგნი — „აფრიკა უნდა გაერთიანდეს“. ავტორი მოითხოვს აფრიკის სახელმწიფოთა ფედერაციის შექმნას. კ. ნკრუმას აფრიკის ხალხთა

ერთიანობა საჭიროდ მიაჩნია შემდეგი სამი ძირითადი მიზნის მისაღწევად: 1. ყოველმხრივი ეკონომიური დაგეგმვა კონტინენტალურ საფუძველზე; 2. „საერთო თავდაცვითი სტრატეგია“, 3. მესამე მიზანი გამომდინარეობს პირველი ორიდან¹⁸.

1963 წ. 5 ივლისს აღმოსავლეთ აფრიკის სამი ქვეყნის — ტანგანიკის, უგანდისა და კენიის ლიდერებმა ქ. ნაირობაში (კენიის დედაქალაქი) ხელი მოაწერეს დეკლარაციას აღმოსავლეთ აფრიკის ფედერაციის შექმნაზე.

სუსტად განვითარებული ქვეყნების ეროვნული ბურჟუაზია „ინტეგრირებული“ ქვეყნების სახით ხედავს ძლიერ კონკურენტს; მას არც უმცროსი პარტნიორობა სურს თავის ქვეყანაში და ამიტომ გამოდის იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ. სუსტად განვითარებული ქვეყნების ეროვნული ბურჟუაზია იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მანამ, სანამ ეს ბრძოლა საფრთხის წინაშე არ დააყენებს საკუთრივ მის, როგორც ექსპლოატატორული კლასის, არსებობას¹⁹.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა განცხადებაში ნათლად არის მითითებული. რომ „სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების კვალობაზე ეროვნული ბურჟუაზია სულ უფრო მეტად იხრება შინაურ რეაქციასა და იმპერიალიზმთან შემთანხმებლობისაკენ, ხალხის მასები კი რწმუნდებიან, რომ საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საუკეთესო გზაა არაკაპიტალისტური განვითარების გზა. მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ხალხები თავის დახანას ექსპლოატაციისაგან, სიღატაკისა და შიმშილისაგან. ამ ძირეული სოციალური საკითხის გადაჭრაში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულონ მუშათა კლასმა და გლეხობის ფართო მასებმა“²⁰.

მონოპოლისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები შეუფოთებული არიან სუსტად განვითარებული ქვეყნების მიერ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით. ასეთ ღონისძიებებს უწოდებენ „ეროვნულ ეგოიზმს“, „ეკონომიურ ნაციონალიზმს“, „ავტარკიას“, „დუბინტეგრაციას“ და ა. შ. ჰერტერმა იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რომლებსაც სუსტად განვითარებული ქვეყნები მიმართავენ, „ეროვნული ეგოიზმი“ უწოდა, ხოლო ნეოლიბერალიზმის სკოლამ (ვ. ოიკენი, ვ. რეპკე და სხვ.) — „ეკონომიური ნაციონალიზმი“. აი როგორ არ მოსწონთ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ საწინააღმდეგო ღონისძიებები „ინტეგრაციონალისტებს“,

რომლებსაც თავი „ინტერნაციონალისტებადაც“ კი მოაქვთ, ხოლო ვინც მათი წინააღმდეგია. ე. ი. ვინც იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ ნაშვლად მიზანს ამხელს, მათ ნაციონალისტებს უწოდებენ. „ვაპოლიტიკებული ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა ბევრ ქვეყანაში ნაციონალიზმის აღმით მიმდინარეობს. მარქსისტ-ლენინელები განასხვავებენ ჩაგრული ერების ნაციონალიზმსა და მჩაგვრელი ერების ნაციონალიზმს. ჩაგრული ერის ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი, რომელიც მიმართულია ჩაგვრის წინააღმდეგ, და კომუნისტები მხარს უჭერენ მას. მიაჩნიათ ისტორიულად გამართლებულად გარკვეულ ეტაპზე. იგი გამოხატება ჩაგრული ხალხების მისწრაფებით განთავისუფლდნენ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან. მოიპოვონ ეროვნული დამოუკიდებლობა და მიაღწიონ ეროვნულ აღორძინებას“²¹.

აი რაკუთხით უნდა განვიხილავდეთ ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოების მიერ გატარებულ პროტექციონისტულ და სხვა „ანტიინტეგრაციულ“ ღონისძიებებს, რომლებიც იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ არის მიმართული. სუსტად განვითარებული ქვეყნების „ეროვნული ეგოიზმი“, „ეკონომიური ნაციონალიზმი“ და სხვა „ანტიინტეგრაციული“ ღონისძიებანი მიმართულია იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ საპირისპიროდ, ამიტომ და ამდენად ისინი პროგრესულია თანამედროვე ეტაპზე.

აღნიშნულ ფაქტს ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტიც კი საღი თვალით უცქერის. მაგალითად, ჯ. ოზერმა განაცხადა: „აუცილებელია რაიმეს შექმნა სუსტად განვითარებული სახელმწიფოების ლიგის სახით, რომელიც დააწესებდა მათთვის საექსპორტო ფაქებს. მონოპოლისტური ხასიათის ეს ღონისძიება მიმართული უქნება სამრეწველო სახელმწიფოების მონოპოლისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ“²².

სავსებით სწორად შენიშნავს ჯეიმს ალენი, რომ „ვაპრობის თავისუფლებისა“ და პროტექციონიზმის საკითხები უნდა განვიხილოთ დიფერენცირებულად. თუმცა ამ დებულებას იგი ყოველთვის ვერ იცავს და არ უპირისპირებს ერთიმეორეს იმპერიალისტურ ზეპროტექციონიზმსა და სუსტად განვითარებულ ქვეყნების პროტექციონისტულ ღონისძიებებს.²³ მათ შორის კი ძირეული განსხვავებაა.

ანალოგიური სახის უზუსტობა გვხვდება აგრეთვე წიგნში „საერთაშორისო ვაჭრობა“²⁴.

სუსტად განვითარებული ქვეყნების საერთო ღონისძიებანი. მათი „ინტეგრაცია“ ღიდად განსხვავდება იმპერიალისტური „ინ-

ტეგრაციისაგან“. იმპერიალისტურ „ინტეგრაციასა“ და სუსტად განვითარებული ქვეყნების „ინტეგრაციას“ შორის არის ძირეული განსხვავება და ამავე დროს მათ აქვთ საერთო ნიშანიც. „ინტეგრაცია“ აფართოებს მსხვილი კაპიტალის საქმიანობის სფეროს.²⁵

1961 წლის მარტში კაიროში ჩატარდა აფრიკის ხალხთა მესამე კონფერენცია, რომელზეც მხილებულ იქნა „ინტეგრაციისა“ და „საერთო ბაზართან“ სუსტად განვითარებული ქვეყნების „ასოციაციის“ იმპერიალისტური, კოლონიზატორული ზრახვები.

„საერთო ბაზართან“ ასოციაციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ეკონომიური კომისიაც (აფრიკისათვის) კი გამოვიდა. 1963 წლის 22—25 მაისს ადის-აბებაში ჩატარდა აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების მეთაურთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 32 სახელმწიფოს წარმომადგენელი, აქედან 17 — ადრე იყო საფრანგეთის კოლონია, 8 — ინგლისისა, 3 — ბელგიისა და 2 — იტალიისა, კონფერენციამ მიიღო აფრიკის ერთიანობის ქარტია და რეზოლუცია. აფრიკის სუვერენულმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს დახმარების ფონდის შექმნა. 1964 წ. ივლისში კაიროში ჩატარდა მეორე კონფერენცია.

კონფერენციამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ნეოკოლონიალიზმს. აფრიკის ქვეყნები წინააღმდეგი არიან იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და ამის შესახებ მათ პირდაპირ განაცხადეს როგორც ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის პრემიერ-მინისტრთა კონფერენციაზე, ასევე პრესაში, პარლამენტის სხდომაზე და სხვ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა კონფერენციაზე, რომელიც 1962 წლის სექტემბერში ჩატარდა, სუსტად განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათთვის „საერთო ბაზარი“ — დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ — სიღარიბის წყაროა. ინდონეზიის დელეგაციის მეთაურმა პრაკოსომ თქვა: „საერთო ბაზრის“ საქმიანობა „პირდაპირ და არაპირდაპირ დარტყმას აყენებს სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. ჩვენ არ უნდა შევქმნათ ეკონომიური ჯგუფები სხვა ქვეყნების ხარჯზე ზოგიერთი ქვეყნის აყვავების მიზნით“.

ეკონომიურად სუსტად განვითარებული სახელმწიფოები კარგად სედავენ, რომ იმპერიალისტურმა „ინტეგრაციამ“ დამორჩილებულ მდგომარეობაში ჩააყენა ის ქვეყნები, რომლებიც იძულებული გახდნენ და „შუერთდნენ“ „საერთო ბაზარს“ „ასოცირებული“ წევრების უფლებით. „საერთო ბაზართან“ „ასოციაცია“ ანიჭებს მათ უფლებას, რათა შელავათიანი ბაეებით შეიტანონ თავიანთი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები „ინტეგრირებულ“ ევროპაში, მაგრამ ისინი ვალდებული არიან იმისა, რომ შეამცირონ აგრეთვე თავიანთი ბაზები „ექვესულის“ წარმომადგენლებთან. აფრიკის ზოგიერთი „ასოცირებული“ ქვეყანა იძულებული გახდა 1962 წ. 30%-ით შეემცირებინა საბაჟო განაკვეთები „საერთო ბაზრიდან“ შემოტანილ საქონელზე. სუსტად განვითარებული ქვეყნები ძალიან ზარალობენ სამრეწველო და სანედლეულო საქონლის „ფასების მაკრატლით“. არაეკვივალენტური გაცვლით. რასაც კიდევ უფრო აძლიერებს „საერთო ბაზარი“.

არაეკვივალენტური გაცვლის შედეგად ეკონომიურად სუსტად განვითარებულმა 70-მა ქვეყანამ მარტო 1948—1952 წლებში 62 მილიარდი დოლარი იზარალა.²⁶ არაეკვივალენტური გაცვლის შედეგად სუსტად განვითარებული ქვეყნები ყოველწლიურად კარგავენ 14—16 მილიარდ დოლარს. 1958—1961 წლებში ინდუსტრიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მიერ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში გატანილი საქონლის ფასები 1%-ით გაიზარდა, ხოლო ამ ქვეყნებიდან „ინტეგრირებულ“ სახელმწიფოებში შეტანილი საქონლის ფასები 5%-ით შემცირდა. აი როგორ ესმით ინტეგრაციონალისტებს „თავისუფალი ვაჭრობა“, „პატიოსანი კონკურენცია“, „თანასწორობა“.

კოლონიური და სუსტად განვითარებული ქვეყნების ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის ფასების დაშორება, რასაც საფუძვლად უდევს არაეკვივალენტური გაცვლა, კიდევ უფრო ძლიერდება. ფასების „მაკრატელი“ სუსტად განვითარებული ქვეყნების მიერ გატანილ და შემოტანილ საქონელზე კიდევ უფრო გააფართოვა იმპერიალისტურმა „ინტეგრაციამ“. „ინტეგრირებული“ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის მეტადრე ხელსაყრელ პირობებს ქმნის „საერთო ბაზარი“. „ხელსაყრელ პირობებში მყოფი ქვეყანა გაცვლისას მეტ შრომას იღებს ნაკლებ შრომაში“, — წერს კ. მარქსი.²⁷ ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს „ექვესულსა“ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში, რომელსაც „თავისუფალ ვაჭრობას“ უწოდებენ „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები.

„თავისუფალი ვაჭრობის“ და „თავისუფალი კონკურენციის“ ნეოლაბერალური თეორია და პოლიტიკა მიმართულია ნეოკოლონიალიზმის შენარჩუნებისაკენ, რადგან იგი უცვლელად ტოვებს იმპერიალისტურ და კოლონიალისტურ ეკონომიურ ურთიერთობებს.

„ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები კარგად ხედავენ, თუ რა დიდ

ზარალს აყენებს სუსტად განვითარებულ ქვეყნება „საერთო ბაზართან“ „ასოციაცია“. ამიტომ განიზრახეს სპეციალური ფონდის შექმნა ვითომდა „ასოცირებულ“ ქვეყნების დანაქარგების კომპენსაციისათვის. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ღონისძიებისათვის გათვალისწინებულია უმნიშვნელო თანხა იმ კოლოსალურ სახსრებთან შედარებით, რომლებსაც „ინტეგრირებული“ ქვეყნები იღებენ არაეკვივალენტური გაცვლის²⁸ შედეგად.

მონოპოლისტური კაპიტალი იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ „საერთაშორისო თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“, ვაჭრობის „ლიბერალიზაციის“ საფარით სერიოზულ საფრთხეს უქმნის. დისკრიმინაციას უწევს ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებს — სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. აფრიკის სუსტად განვითარებული ქვეყნების „ასოციაცია“ „ინტეგრირებულ ევროპასთან“ ნეოკოლონიალიზმის ქსელში მოაქცევს მათ. „საერთო ბაზართან“ აფრიკის ქვეყნების „ასოციაციის“ შემთხვევაში სუსტად განვითარებული ქვეყნები კვლავ დარჩებიან მონოპოლისტური კაპიტალისათვის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიმწოდებლის მდგომარეობაში და ამასთანავე აფრიკის ქვეყნების „ინტეგრაციას“ „საერთო ბაზართან“ ექნება ნატოს ეკონომიურ დანამატში შესვლის სამზედრო ასპექტიც. ამას კარგად ხედავენ სუსტად განვითარებული ქვეყნების პროგრესული ძალები და ილაშქრებენ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ.

სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევისათვის მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს ეკონომიური როლის გაძლიერება²⁹.

სუსტად განვითარებული ქვეყნები გადამწვეტ ზომებს იღებენ ნეოკოლონიატორთა, „ინტეგრაციონალისტთა“ მოგერიებისათვის. ამ ქვეყნებს დიდ დახმარებას უწევენ სოციალიზმის ბანაკი, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები. სუსტად განვითარებული ქვეყნები ქმნიან საკუთარ რეგიონალურ სავაჭრო-ეკონომიურ გაერთიანებებს, რათა თავი დაიცვან იმპერიალისტური „ინტეგრაციისაგან“ და უზრუნველყონ ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ე. წ. ერთა ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნების ლონდონის კონფერენციასზე ინგლისის მთავრობამ ვერ დაარწმუნა აფრიკის ქვეყნები იმაში, რომ თათქოს „საერთო ბაზართან“ ამ ქვეყნების „ასოციაცია“ შეესაბამება მათსავე ინტერესებს. ეკონომიურად სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა (განა, ტანგანია, უგანდა და სხვ.) უკვე გამოაცნეს კაპიტალისტური „ინტეგრაციის“ იმპერიალისტური ბუნება და არ მიიღეს წინადადება დასავლეთ

ევროპის „საერთო ბაზარში“ შესვლის შესახებ. მეტიც, რიგმა სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ საპირისპიროდ უფრო გააძლიერეს სახელმწიფო კონტროლის მტკიცე სისტემა საგარეო ვაჭრობისა და სავალუტო ოპერაციებისადმი. ზოგიერთ მათგანში უკვე შემოღებულია საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია და სხვ. „ეროვნული სახელმწიფოები სულ უფრო აქტიურად გამოდიან დამოუკიდებელ ძალად მსოფლიო აპარტუხზე, ამასთან ობიექტურად ეს არის ძირითადად პროგრესული, რევოლუციური და ანტი იმპერიალისტური ძალა. კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქვეყნები და ხალხები მოწოდებული არიან თვალსაჩინო როლი შეასრულონ თანამედროვეობის ცენტრალური პრობლემის გადაჭრაში — ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებაში. წავიდა ის დრო, როცა იმპერიალიზმს შეეძლო დაუბრკოლებლად გამოეყენებინა ამ ქვეყნების ადამიანთა და მატერიალური რესურსები მძარცველურ ომებში, რომლებსაც იგი აჩაღებს“³⁰.

ამრიგად, „ევრაფრიკის“ განხორციელებას წინ ეღობება ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგობა. ისინი უარს აცხადებენ შეურიგდნენ დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზარს“ „ასოცირებული“ წევრის სახითაც კი. აფრიკის ახალგაზრდა ქვეყნები ხედავენ, რომ „ევრაფრიკა“, როგორც „საერთაშორისო ინტეგრაციის“ იმპერიალისტური გეგმის შემადგენელი ნაწილი, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის შენარჩუნებას ემსახურება.

„ინტეგრაციონალისტები“ აცხადებენ, რომ ისინი კოლონიალიზმის წინააღმდეგი არიან, რომ თითქოს მათ სურთ კოლონიალიზმის მოსპობა და თანასწორობის დამყარება. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ ნეოლიბერალები ფრ-იდან, მათი ლოზუნგია „ანტიკოლონიალიზმი“ და „თანასწორუფლებიანი პარტნიორობა“ — „სოციალური ინტეგრაცია“. ბონელი რევანშისტები ასე თვალთმაქცურად ცდილობენ სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში შეჭრას და თავისებური, ფარული კოლონიური იმპერიის — ნეოკოლონიალიზმის შექმნას. „ექვესულის“ იმპერიალისტები მარტო ეკონომიური ექსპანსიით როდი კმაყოფილდებიან. ისინი მოითხოვენ სამხედრო-პოლიტიკურ „ინტეგრაციასაც“. მეტიც, „საერთო ბაზართან“ „ასოცირებულ“ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ეკრძალებათ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის დამყარება სხვა ქვეყნებთან. „საერთო ბაზრის“ კომისიაში ფრ-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „საერთო ბაზართან“ „ასო-

ცარებულ“ აფრიკის ქვეყნებს უფლება არ აქვთ ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაო.

სუსტად განვითარებული ქვეყნების წინაშე ისახება ახალი. უღმობელი, მტაცებლური იმპერიალისტური კოლონიალიზმის აჩრდილი. „ინტეგრაციის“ ლოზუნგით კოლონიალიზმის შენარჩუნება შენიღბულ ფორმას ატარებს, ამიტომ იგი მით უფრო საშიშია.

განის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კვამე ნკრუმამ განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია „ევრაფრიკის“ იდეისა და მტკიცედ გაატარებს დამოუკიდებლობის პოლიტიკას. უგანდის პრემიერ-მინისტრმა აპოლო მატონ ობოტემ ლონდონის კონფერენციაზე თქვა: „მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანება არა მარტო ეკონომიური ორგანიზაცია, არამედ პოლიტიკური ორგანიზაციაც არის, რომელიც მნიშვნელოვან სამხედრო მიზნებს ისახავს“. ობოტემ, რომელიც უგანდის სახალხო კონგრესის პარტიას მეთაურობს, გამოააშკარავა „ინტეგრაციის“ ულტრა-რეაქციული არსი და მიუთითა, რომ იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ ნიშნავს არა აფრიკის ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას, არამედ „საერთო ბაზარი“ დაინტერესებულია იმით, რომ გამოიყენოს აფრიკის იაფი ნედლეული. „საერთო ბაზარს“ ობოტემ უწოდა: „იმ მდიდართა და გასუქებულთა კრება, რომელთაც თვალი უჭირავთ სხვის დოვლათზე“.

ლონდონის კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ნიგერიის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი აქუბაბარ ტაფავა ბაღევა. რომელმაც უარყო „საერთო ბაზართან“ სუსტად განვითარებული ქვეყნების „ასოციაციის“ იდეა. კონფერენციიდან დაბრუნების შემდეგ მან ნიგერიის პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, რომ „ნიგერია არავითარ გარემოებაში არ ეცდება განახორციელოს ასოციაცია ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან“. მან „საერთო ბაზარი“, დასავლეთ ევროპის „ინტეგრაცია“ დაახასიათა როგორც არა მარტო კარდახშული ეკონომიური დაჯგუფება, არამედ როგორც სამხედრო-პოლიტიკური კავშირი.

კენიის წარმომადგენელმა ეკონომისტმა მვაი კიბაკიმ სწორად შეამჩნია, რომ „ინტეგრირებულ“ ევროპასთან „ასოციაცია“ შეუძლებელს გახდის სუსტად განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას. მან მიუთითა: სუსტად განვითარებულ ქვეყნებს სახსრებიც რომ ჰქონდეთ ინდუსტრიალიზაციისათვის, მათი მრეწველობა ვერ გაუძლებს კონკურენციას ევროპის ეკონომიური გაერთიანების ფარგლებშიო. ფ. გოკამ (განის ფინანსთა მინისტრი) „საერთო ბაზარი“, იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ დაახასიათა როგორც

წილაბი, რომელიც სუსტად განვითარებული ახალგაზრდა ქვეყნების ექსპლოატაციას ფარავს.

იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ გამოდიან არა მარტო აფრიკის, არამედ სხვა სუსტად განვითარებული ქვეყნებიც. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებიც შედიან ე. წ. ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში, ილაშქრებენ არა მარტო „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლის, არამედ საერთოდ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ წინააღმდეგაც. ცნობილია, რომ აფრიკის სუსტად განვითარებული ქვეყნების მსგავსად მათაც ემუქრება იმპერიალისტური „ინტეგრაცია“.

დიდი აღშფოთება გამოიწვია „ინტეგრირებულ“ ევროპასთან გაერთიანების იდეამ ინდოეთში. ინდოეთი წინააღმდეგია „საერთო ბაზარში“ შესვლისა. ინდოეთში აცხადებენ, რომ „საერთო ბაზარში“ შესვლა უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. ინდოეთის მმართველი პარტიის — ეროვნული კონგრესის ოფიციალურმა ორგანომ „ეკონომიკ რევიუ“ მიუთითა, რომ „საერთო ბაზარში“ ინდოეთის შესვლა უარყოფით გავლენას მოახდენს ინდოეთის სახალხო მეურნეობაზე. ასეთივე აზრია გამოთქმული ეურნალში „ოლ ინდია კონგრეს კომიტი ეკონომიკ რევიუ“ და სხვ.

პაკისტანიც არ არის „საერთო ბაზართან“ გაერთიანების თანახმა. მრეწველობის მინისტრმა აბდულ ყასიმ-ხანმა განაცხადა, რომ „საერთო ბაზარში“ შესვლა დამლუბველი იქნება პაკისტანისათვის.

„საერთო ბაზართან“ „ასოციაციის“ წინააღმდეგი არიან ცეილონი, ავსტრალია და სხვები. ავსტრალიის პროგრესული ძალები „ინტეგრაციის“ წინააღმდეგ გამოდიან. თვით ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა მენზისმა და ოპოზიციის ლიდერმა უიტლამმა აღიარეს, რომ ევროპის „ინტეგრაციას“ პოლიტიკური ხასიათი აქვს.

ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების მშრომელ მასებს კომუნისტები სწორად განუმარტავენ კაპიტალისტური ევროპის „ინტეგრაციის“ იმპერიალისტურ არსს. ავსტრალიის კომპარტიის გაზეთმა „ტრიბუნამ“ მასებს მოუწოდა უარი თქვან „საერთო ბაზარში“ შესვლაზე.

სუსტად განვითარებული ქვეყნები „საერთო ბაზართან“ კავშირის წინააღმდეგი არ არიან იმ შემთხვევაში, თუ გამომუშავდება ახალი სტატუსი. ისინი მოითხოვენ პრეფერენციულ მდგომარეობას „საერთო ბაზრის“ შიგნით, საკუთარი ნაწარმის გასაღებას სასარგებლო საბაჟო პოლიტიკის პირობებში, სპეციალური ფონდის

გამოყოფას სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებისათვის. სუსტად განვითარებული ქვეყნები განსაკუთრებით წინააღმდეგი არიან სამხედრო-პოლიტიკური „ინტეგრაციისა“, ე. ი. ისინი მოითხოვენ უნაგარო ეკონომიურ დახმარებას, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონთ იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსებს.

ამგვარად, დიდი წინააღმდეგობა „საერთო ბაზარსა“ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის იმას ადასტურებს, რომ „საერთაშორისო ინტეგრაცია“, როგორც ნეოკოლონიალიზმის საფარი, განუხორციელებელ იდეად რჩება. იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“ წინ აღუდგენენ არა მარტო აფრიკისა და აზიის, არამედ ლათინური ამერიკის სუსტად განვითარებული ქვეყნების პროგრესული ძალები.



დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზარი“ გამოდის, როგორც კოლექტიური ექსპლოატატორი. ეს იწვევს წინააღმდეგობას „საერთო ბაზარსა“ და სხვა გაერთიანებებს შორის. ნაცვლად „საერთაშორისო ინტეგრაციისა“ ძლიერდება „დეზინტეგრაცია“, რასაც ადასტურებს აგრეთვე დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზრის“ საპირისპირო სავაჭრო-ეკონომიური ბლოკების შექმნა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, აზიასა თუ აფრიკაში.

ლათინური ამერიკის ქვეყნებმაც შექმნეს საკუთარი „საერთო ბაზარი“. 1959 წლის სექტემბერში სამხრეთ ამერიკის 7 სახელმწიფო შეთანხმდა ლათინურ ამერიკაში „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ შექმნის შესახებ. თავისუფალი ვაჭრობის ლათინური ამერიკის ასოციაცია შეიქმნა 1960 წლის 18 თებერვალს მონტევიდეოში. ეს სავაჭრო-ეკონომიური დაჯგუფება მიზნად ისახავს ლათინური ამერიკის ქვეყნების „ინტეგრაციასა“ და საკუთარი „საერთო ბაზრის“ შექმნას.

ლათინური ამერიკის „საერთო ბაზარში“ მონტევიდეოს ხელშეკრულებით გაერთიანდნენ არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, პარაგვაი, ურუგვაი, პერუ და ჩილი, ე. ი. 7 სახელმწიფო, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 140 მლნ კაცს შეადგენს³¹.

შეთანხმება ლათინური ამერიკის „საერთო ბაზრის“ შესახებ ძალაშია 1962 წლის ივნისიდან. დასახელებული ასოციაციის ოფიციალურ მიზნებში შედის: 1. ბუნებრივი რესურსების სრული ვა-

მოყენება, სამრეწველო წარმოების ტემპების დაჩქარება და ცხოვრების დონის ამაღლება; 2. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გაცვლა, 12 წლის განმავლობაში უნდა მოხდეს საბაჟო ტარიფებისა და საგარეო ვაჭრობის სხვა შეზღუდვათა შეცვლა; 3. თავისუფალი ვაჭრობის ლათინური ამერიკის ასოციაცია ითვალისწინებს აგრეთვე სოფლის მეურნეობის საკითხებსაც.

ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოებია კონფერენცია და მუდმივი აღმასრულებელი კომიტეტი. ასოციაციის სათავეში დგას პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური აღმასრულებელი მდივანი (ამ პოსტზე დანიშნულია ბრაზილიელი პროფესორი რომულო ალმეიდა); ასოციაციის ადგილსამყოფელია ქ. მონტევიდეო (ურუგვაი).

ლათინური ამერიკის ქვეყნების „საერთო ბაზარს“ დიდი ისტორია არა აქვს. 1955—1956 წლიდან დაიწყო მზადება აღნიშნული ვაერთიანების შესაქმნელად. 1956 წ. ვაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური კომისიის (ლათინური ამერიკისათვის) სესიაზე გადაწყდა ექსპერტთა კომისიების შექმნა. მათ დაევალი ხელშეკრულების პროექტის შემუშავება. პროექტის შედგენამ საკმაოდ დრო წაიღო, რაც გამოწვეული იყო წინააღმდეგობით ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და აშშ-ს შორის. აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალი შეეცადა თვითონაც შესულიყო ამ ვაერთიანებაში. მაგრამ მას წინ აღუდგნენ ლათინური ამერიკის ქვეყნები. 1958 წ. ჩატარდა ექსპერტთა თათბირი სანტ-იაგოში. თათბირმა გადაწყვიტა შექმნილიყო „საერთო ბაზარი“ ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, ე. ი. აშშ-ის გარეშე.

საბოლოოდ პროექტი გამზადებულ იქნა 1959 წლის დასაწყისში. წინააღმდეგობებმა თავი იჩინა თვით პროექტის შემდგენლებს შორისაც. ხელშეკრულება ითვალისწინებს ვაჭრობას 1000-მდე დასახელების საქონლით, ამიტომ, ბუნებრივია, წამოიჭრა წინააღმდეგობანი და გადაწყდა ნაცვლად „საერთო ბაზრისა“ ჯერ შექმნილიყო თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია. ასოციაციის შექმნის შესახებ ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1960 წლის დასაწყისში, ხოლო 1961 წლის შუა ხანებში რატიფიცირებულ იქნა ასოციაციაში შემავალი შეიდივე სახელმწიფოს მიერ. თავისუფალი ვაჭრობის ლათინური ამერიკის ასოციაციაში ახლა შედის 9 სახელმწიფო: არგენტინა, ბრაზილია, კოლუმბია, ჩილი, ეკვადორი, მექსიკა, პარაგვაი, პერუ და ურუგვაი.³² ლათინური ამერიკის რეგონალური კავშირების გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის ცდილობს აშშ.

თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის შექმნით ლათინური ამერიკის ბურჟუაზიას საკუთარი მიზნები ამოძრავებს. მსხვილი ბურჟუაზია კავშირშია აშშ-ის მონოპოლისტურ კაპიტალთან. ბურჟუაზია ცდილობს მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებას. ეროვნულ ბურჟუაზიას თავისი ბუნებით ორჭოფული ხასიათი აქვს.

ლათინური ამერიკის ქვეყნების „საერთო ბაზარი“ დიდად განსხვავდება დასავლეთ ევროპის „საერთო ბაზრისაგან“. ამ უკანასკნელს აშკარა იმპერიალისტური ხასიათი აქვს, ხოლო ლათინური ამერიკის „საერთო ბაზარი“ უმთავრესად მიზნად უნდა ისახავდეს მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების კონკურენციისაგან თავის დაცვას, ე. ი. დანტიერესებულია ანტიიმპერიალისტური საქმიანობით. „მაგრამ რაც უფრო იზრდება წინააღმდეგობანი მშრომელებსა და მქონებელ კლასებს შორის და მწვავედება კლასობრივი ბრძოლა ქვეყნის შიგნით, მით უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენს ეროვნული ბურჟუაზია იმპერიალიზმთან და შინაურ რეაქციასთან შემთანხმებლობისაკენ“³³.

ლათინური ამერიკის „საერთო ბაზარი“ ერთგვარად ზელს წეუწყობს მასში შემავალი ქვეყნების საწარმოო ძალთა განვითარებას, სასურსათო პრობლემის გადაჭრას, საქონელბრუნვის გადიდებასა და სხვ. ამას კარგად ხედავს აშშ-ის მონოპოლისტური ბურჟუაზია და ხელს უშლის სუსტად განვითარებული ქვეყნების თავისთავად განვითარებას. აშშ-ის პრეზიდენტმა კენედიმ დახმარება აღუთქვა ლათინური ამერიკის ქვეყნებს, მაგრამ ამ „დახმარების“ უკან სხვა რამ იმალება. აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალი „თავისუფალ მეწარმეობას“ მოითხოვს ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ე. ი. ახალი მეთოდებით, შენიღბულ ფორმებში ცდილობს ხალხთა კოლონიური ჩაგვრის შენარჩუნებას. ლათინური ამერიკის „საერთო ბაზარი“, რამდენადაც იგი იმოქმედებს იმპერიალისტური ქვეყნების ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, სასარგებლო იქნება მასში შემავალი ქვეყნებისათვის.

მრეწველობის განვითარების საშუალო წლიური ტემპები ლათინურ ამერიკაში შეადგენდა: 1938—1948 წლებში — 4,95%-ს. 1948—1953 წლებში — 4,2%-ს 1953—1957 წლებში — 8%-ს. ხოლო 1957—1960 წლებში — 6,25%-ს, ე. ი. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის მხრივ ლათინური ამერიკის ქვეყნები აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებსაც კი ბევრად ჩამორჩებოდნენ.

არგენტინაში სამრეწველო წარმოების საერთო ინდექსმა შეადგინა (1913 წ. = 100) 1961 წ. (ოქტომბ.) 136. ბრაზილიის დამუშა-

ვებელი მრეწველობის პროდუქცია 1961 წ. 14%-ით გადიდა³⁴. წარმოების ზრდის ტემპი დაბალი არ არის, მაგრამ მხედველობაში მისაღებია, რომ არგენტინა და ბრაზილია სუსტად განვითარებული ქვეყნებია, მათი შინაური ბაზარი კი მეტად შეზღუდულია. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თავისუფალი ვაჭრობის ლათინური ამერიკის ასოციაციაში შემავალი სამი დრდი ქვეყნის წილი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოებაში 1957 წ. შეადგენდა 1,6%-ს; არგენტინისა — 0,8%, ბრაზილიისა — 0,7% და ჩილისა — 0,1%,³⁵ მაშინ როცა ამ სამი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 1960 წ. 34 326 000 უდრიდა³⁶.

ბრაზილიასა და არგენტინაში, ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანაში მრეწველობის მთავარ დარგებს კონტროლს უწევს მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლისტური კაპიტალი. სუსტად განვითარებული ქვეყნები ვერ უძლებენ უცხოური კაპიტალის კონკურენციას. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ წინააღმდეგობა და კონკურენციული ბრძოლა თვით ასოციაციაში შემავალ ქვეყნებს შორის. ურუგვაის აშინებს არგენტინისა და ბრაზილიის კონკურენცია და სხვ.

1958 წლის ივლისში კიდევ ერთი საკუთარი „საერთო ბაზარი“ შექმნა ცენტრალური ამერიკის ოთხმა სახელმწიფომ (გვატემალამ, ჰონდურასმა, ნიკარაგუამ და სალვადორმა), რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 10 მლნ შეადგენს.³⁷

„ცენტრალური ამერიკის ინტეგრაციას“, სავაჭრო-ეკონომიური გაერთიანების შექმნას ამ რაიონში ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველი ეკონომიური შეთანხმება სალვადორმა და ჰონდურასმა დადეს 1918 წ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცენტრალური ამერიკის ქვეყნებმა გადაწყვიტეს უფრო ფართო გაერთიანების შექმნა. სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო სხვა ქვეყნებს შორისაც. ამ ხელშეკრულებას არ შეეძლო კონკურენციული ბრძოლის მოსპობა ცენტრალური ამერიკის რაიონში. კოსტა-რიკა დიდხანს განზე იდგა, მას მოსვენებას არ აძლევდა კონკურენცია სალვადორის მხრიდან. მიუხედავად ამისა, შეთანხმება დაიდო 1956 წელს, მაგრამ არც ის აღმოჩნდა მყარი. 1960 წლის დეკემბერში ცენტრალური ამერიკის „საერთო ბაზრის“ შექმნის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ოთხმა სახელმწიფომ: გვატემალამ, ჰონდურასმა, ნიკარაგუამ და სალვადორმა. კოსტა-რიკამ კი უარი განაცხადა „საერთო ბაზარში“ შესვლაზე³⁸.

შეთანხმებები ითვალისწინებს „საერთო ბაზრის“ შექმნას, ერთიანი საბაჟო ტარიფების შემოღებას მესამე ქვეყნის მიმართ და ცენტრალური ამერიკის ბანკის დაარსებას.

ამრიგად, ცენტრალური ამერიკის ქვეყნებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ რაიონის ქვეყნების „ეკონომიური ინტეგრაციისა“ და კიდევ ერთი „საერთო ბაზრის“ შექმნის შესახებ. ასე გაფორმდა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების თავისუფალი ვაჭრობის ზონა ანუ ცენტრალური ამერიკის „საერთო ბაზარი“, რომელშიც ამჟამად კოსტა-რიკაც შედის.

ცენტრალური ამერიკის „საერთო ბაზარი“ ბევრს ვერაფერს ვერ ცვლის მასში შექმავალი სუსტად განვითარებული ქვეყნების მდგომარეობაში. ამ ქვეყნებში მოქმედების სრული თავისუფლება აქვთ აშშ-ის მონოპოლისტურ კავშირებს. ამ ქვეყნების პლანტაციური მეურნეობა ეკუთვნის აშშ-ის მონოპოლიებს („იუნაიტედ ფრუტ კომპანს“). ცენტრალური ამერიკის „ინტეგრირებული“ ქვეყნები ფაქტიურად კვლავ რჩებიან მონოპოლისტური კაპიტალის გავლენაში. განსაკუთრებით დაღ როლს ასრულებს ამ ქვეყნების ეკონომიკაში აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალი, ავიტომია, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა მოიწონა ცენტრალური ამერიკის „საერთო ბაზარი“.

ამერიკის „ინტეგრაციის“ იდეებს ემსახურება „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია“, რომლის სათავეშია აშშ. ამერიკის მონოპოლიები თავიანთი ნება-სურვილის შესაბამისად იყენებენ „ორგანიზაციას“. ამ „ორგანიზაციის“ შექმნას დიდი ისტორია აქვს. 1889—1890 წლებში ვაშინგტონში ჩატარდა პირველი კონფერენცია, რომელზეც შეიქმნა „ამერიკის რესპუბლიკების საერთაშორისო კავშირი“, მის ბაზაზე ჩამოყალიბდა „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია“, რომლის წესდება 1948 წ. იქნა მიღებული, ხოლო შეთანხმება ძალაში შევიდა 1951 წლიდან. „ორგანიზაციაში“, გარდა აშშ-ისა, შედის ლათინური ამერიკის 20 სახელმწიფო, „ორგანიზაციის“ მიზანია „მშვიდობისა და განვითარების“ უზრუნველყოფა ამერიკის კონტინენტზე, სინამდვილეში კი იგი აშშ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს ემსახურება.

1962 წლის დასაწყისში ამერიკის იმპერიალიზმმა ახალი ღონისძიებები დასახა ლათინური ამერიკის ქვეყნების დაკაბალების მიზნით. აშშ-ის მმართველი წრეები აცხადებენ, რომ „თავისუფალი ვაჭრობის“ მომხრეები არიან, მაგრამ საქმით ძირს უთხრიან ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების დამოუკიდებლობას. აშშ-ის იმპერიალისტური ბურჟუაზია ყველა ზომას იღებს რევოლუციური კუბის წინააღმდეგ. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩანშობას ისახავს მიზნად აშშ-ის გეგმა „პროგრესის კავშირი“ („კავშირი პროგრესი-

სათვის). „კავშირი პროგრესისათვის“ არის აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალის იარაღი. „კავშირი“ გამოდის ლატიფუნდიზმისა და მსხვილი ბურჟუაზიის უაღრესად რეაქციულ ძალებთან ერთად. „კავშირი პროგრესისათვის“ ეგრეთწოდებული „დახმარების“ გაწვევს ამერიკული პროგრამაა³⁹. იგი წარმოადგენს ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში აშშ-ის მონოპოლიათა შეღწევის ახალ ფორმას. ა. პარნიანმა კი ამ „კავშირს“ „დიადი კონტინენტური პარტნიორობა“ უწოდა. 1962 წლის იანვარში, პუნტა-დელ-ესტეში ჩატარდა ამერიკის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. აშშ-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს „დახმარებას“ გაუწევენ იმის მიხედვით, თუ რა პოლიტიკას გაატარებენ ლათინური ამერიკის ქვეყნები. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რასკმა თათბირის მონაწილეებისაგან მოითხოვა სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა კუბასთან და რეპრესიული პოლიტიკური ღონისძიებების მიღება რევოლუციური კუბის მიმართ.

ამრიგად, აშშ-ის „ეკონომიური დახმარება“ ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი, აშშ-ის კაპიტალდაბანდებანი ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში მიზნად ისახავს მხოლოდ კოლონიზატორულ მიზნებს⁴⁰.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ კრიზისს განიცდის. მან ვერ შეაჩერა და არც შეიძლება შეაჩეროს იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა. ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: 1919 წლისათვის ყველა კოლონიის, ნახევრად კოლონიისა და დომინიონის ტერიტორია შეადგენდა 104,5 მლნ კვ. კმ (მთელი მსოფლიოს ტერიტორიის 77,2%), ხოლო მოსახლეობა 1 230 მლნ კაცს (მსოფლიოს მოსახლეობის 69,2%), 1962 წლის ბოლოსათვის კი შესაბამისად 10,3 მლნ კვ. კმ (მსოფლიოს ტერიტორიის 7,6%), ხოლო მოსახლეობა — 49 მლნ კაცს (მსოფლიოს მოსახლეობის 1,5%).

**იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ და კოლონიალიზმის
აპოლოგიის ახალი ფორმები**

ნეოკოლონიალისტები დაეძებნენ ნეოკოლონიალიზმის „დასაბუთებისა“ და შენარჩუნების ახალ, შენიღბულ და უფრო მეტად აპოლოგეტურ თეორიებს. ასეთ ვითარებაში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმპერიალიზმის კოლონიური სისტემისა და ნეოკოლონიალიზმის აპოლოგიის ახალი ფორმებისა და „თეორიების“ მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკას.

ნეოკოლონიალიზმისა და სუსტად განვითარებული ქვეყნების საკითხებზე ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიების კრიტიკას დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტური პარტიები, მარქსიზმ-ლენინიზმი. იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და მასთან უშუალოდ კავშირში მყოფი ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიები გაკრიტიკებულია სკკპ და მოძმე კომპარტიების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში — ყრილობების მასალებში, სკკპ პროგრამაში, მუშათა და კომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა თათბირების დოკუმენტებში.

სუსტად განვითარებული ქვეყნების საკითხებზე ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიების კრიტიკამ დიდი ადგილი დაიკავა მარქსისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ბერლინში ჩატარდა 1960 წლის 18—21 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეკონომიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ინიციატივით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, გერ-ის, ბელგიის, დანიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ეკონომისტებმა.

სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემებზე გამართულ

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ვ. გ. სოლოდოვნიკოვმა (სსრ კავშირი), ე. კლევერმა, ი. ზავადსკიმ (პოლონეთი), ე. ალენიუსმა (ფინეთი), ზ. სვენერმა (ჩეხოსლოვაკია), ი. ნატანმა (ბულგარეთი), ვ. კუნცმა, გ. შილინგმა, რ. ზიბერმა, კ. დომდეიმ, ი. ლ. შმიდტმა (ბერლინი), პ. ტალმა (პალე) და სხვ.

ე. კლევერმა მთელი ბურჟუაზიული ლიტერატურა სუსტად განვითარებული ქვეყნების შესახებ დაყო ოთხ ჯგუფად: 1. აღწერილობით — სტატისტიკური ხასიათის შრომები; 2. ნეოკლასიკური თეორიები, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ტრადიციული თეორიები საგარეო ვაჭრობისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების შესახებ; 3. შრომები, რომლებიც აგებულია კეინს-პაროდის მეთოდების გამოყენებაზე; 4. შრომები, რომლებიც წარმოადგენენ სუსტად განვითარებული ქვეყნების „დაბალანსებული განვითარების ზოგად თეორიას“. ამ ჯგუფში მოაქცია ე. კლევერმა „სიდატაის ჯადოსნური წრისა“ და „სტარტის“ თეორიებზე დაწერილი შრომები³.

1. ნეოკლონიალიზმის აპოლოგეტიკური თეორიები

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლასთან ერთად კრახი განიცადეს იმ ბურჟუაზიულ-აპოლოგეტურმა თეორიებმაც, რომლებიც კოლონიების ექსპლოატაციას ამართლებდნენ. „კლასიკური კოლონიალიზმის“ ადგილი დაიკავა ნეოკოლონიალიზმმა. იმპერიალისტები და მათი ლაქიები ახალი მეთოდებით და ახალ ფორმებში ცდილობენ სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხთა კოლონიური ექსპლოატაციის შენარჩუნებას. რეაქციული ძალები, რომლებიც ანტიკომუნისმის დროშით გამოდიან, თხზავენ „ახალ“ აპოლოგეტურ თეორიებს, რათა შეინარჩუნონ და დაიკავონ ახალი პოზიციები ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ამ საქმეში ნეოკოლონილისტებს დიდ სამსახურს უწევს ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომია — ნეოკოლონიალიზმის იდეოლოგია.

„იმპერიალიზმი ცდილობს შეინარჩუნოს ყოფილი კოლონიები და ნახევრად კოლონიები კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში, განამტკიცოს მათი არათანასწორუფლებიანი მდგომარეობა ამ მეურნეობაში“⁴.

ბურჟუაზიული ეკონომისტები, სოციოლოგები, იურისტები თხზავენ ახალ-ახალ აპოლოგეტურ თეორიებს სუსტად განვითარებული ქვეყნების საკითხებზე. ისინი ემყარებიან იმპერიალისტური

„ინტეგრაციის“, „ეკონომიური დახმარების“. „თანასწორობის“, „კავშიარი პროგრესისათვის“, „პატიოსანი კონკურენციის“, „პარტნიორობის“ ყალბ ლოზუნგებს.

ნეოკოლონიალიზმი — ესაა იმპერიალისტური ქვეყნების კოლონიალიზმი, როცა ხდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მსოფლიო მასშტაბით გადასვლა და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა. ნეოკოლონიალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია კოლექტიური კოლონიალიზმი, რომელიც მონოპოლისტურა „ინტეგრაციის“ პროცესში წარმოიშვა.

„ახალი“ კოლონიალიზმი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიური „დახმარების“ გზით⁵ ეკონომიურად და პოლიტიკურად იქნეს დაკაბალეებული სუსტად განვითარებული ქვეყნები, რომლებმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს. „ნეოკოლონიალიზმი არის განმათავისუფლებელი მოძრაობის დაუძინებელი მტერი“⁶.

ნეოკოლონიალიზმის დამცველებმა იწყეს უახლესი აპოლოგეტური თეორიების გავრცელება. ნეოკოლონიალიზმის თეორეტიკოსები შენიღბულად იმიტომ გამოდიან, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების მძლავრი ტალღა, რომელსაც მხარს უჭერს მძლავრი სოციალისტური სისტემა, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები, სპობს კოლონიურ სისტემას, არყევს იმპერიალიზმის საყრდენებს. ასეთ ვითარებაში იმპერიალიზმის აპოლოგეტებისათვის ცხადი ხდება, რომ შეუძლებელია აშკარად დაიკვან ძველი კოლონიალური წესები. მონოპოლისტური კაპიტალი ცდილობს თავისებური კოლონიური იმპერიის შექმნასა და შენარჩუნებას.

თანამედროვე კოლონიზატორები — ნეოკოლონიალისტები — კოლონიური ჩაგვრის ძველ „კლასიკურ“ ფორმებსა და მეთოდებზეც არ ამბობენ უარს, მაგრამ ნეოკოლონიალიზმის იდეოლოგიურ არსენალში დიდი როლის შესრულება იწყეს ახალმა, უფრო შენიღბულმა აპოლოგეტურმა თეორიებმა — „ახალი კოლონიალიზმის“ მეთოდებმა. ამ „თეორიების“ ცენტრში დგას „სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემა“. „კოლონიური სისტემის დაშლის პროცესი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იმპერიალიზმი უარს ამბობს სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი ჰეგემონიაზე. მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებულ თეორიებსა და პოლიტიკაში შეიმჩნევა მიდრეკილება ძველი კოლონიალიზმის შეცვლისა ახლით, ე. ი. მისწრაფება, რომ ძველი ადმინისტრაციული ფორმები შეიცვალოს „ეკონომიური დახმარების“ სისტემით და მორჩილი მთავრობებით. ძველმა კოლონიალიზმმა სახელი გაი-

ტება ხალხთა თვალში, მაგრამ ბერეუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი მიმართულება იცავს ძველ კოლონიალიზმს. ისინი ამტკიცებენ, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩამორჩენილობა შეიძლება ლიკვიდირებულ იქნეს კაპიტალისტური სისტემისა და კოლონიალიზმის მოუსპობლად. სხვები ცდილობენ დაამტკიცებინ, ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიური განვითარების პროგრამების შესრულება შეუძლებელია და უმჯობესია ყველაფერი დარჩეს ისე, როგორც არის“⁷.

„ახალი კოლონიალიზმის“ ანუ ნეოკოლონიალიზმის თეორეტიკოსები ძალიან ბევრს წერენ სუსტად განვითარებულ ქვეყნებსა და მათთვის „დახმარების“ გაწევაზე. ისინი არ ივიწყებენ აგრეთვე „პროგრესს“, რომელიც კოლონიზატორებმა მოუტანეს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებს. კოლონიალიზმის დამცველები ვ. როსტოვი და რ. ემერსონი უტიფრად აცხადებენ: „რომ არ ყოფილიყო დასავლეთის კოლონიალიზმი, მაშინ ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების ხალხები, რომლებიც კოლონიური უღლის ქვეშ გმინავდნენ, აქამდე დარჩებოდნენ ველურობის სტადიაზე“⁸.

1949 წ. ზაფხულში ინგლისის მთავრობამ ლონდონში მოაწყო კოლონიური გამოფენა⁹. გამოფენა მიზნად ისახავდა კოლონიურ ქვეყნებში კოლონიზატორთა „ცივილიზატორული მისიის“ შედეგების ჩვენებას. გამოფენაზე არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ კოლონიზატორებმა მილიარდობით მოგება ამოქაჩეს კოლონიებიდან, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრია მძიმე ექსპლოატაცია და შიმშილი.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1907 წ. სტატიაში — „შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესი“ — წერდა, რომ „ბურეუაზიას ფაქტიურად მონობა შეაქვს კოლონიებში, გაუგონრად დასაცინის მკვიდრ მცხოვრებთ და ძალმომრეობას მიმართავს მათ წინააღმდეგ, „ცივილიზაცია“ შეაქვს მათში არაყისა და ათაშანგის გავრცელებით“¹⁰. ნეოკოლონიალიზმის აპოლოგეტები ახლაც ბევრს ლაპარაკობენ მეტროპოლიების „ცივილიზებულ მისიაზე“, „კულტურაზე“, რომელიც მათ შეიტანეს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. არ შეგვიძლია ამ საკითხთან დაკავშირებით არ მოვიგონოთ აგრეთვე ბერტრან რასელის სიტყვები. „აფრიკის ქვეყნებში — წერს ბ. რასელი, — ბამბის ქსოვილებთან ერთად დამატებით უფასოდ შევიტანეთ ტუბერკულოზი და სიფილისი“.

კოლონიალიზმის გამართლებისა და ნეოკოლონიალიზმის აპოლოგიის ერთ-ერთი გავრცელებული ნაირსახეობაა „ნ ა ა დ რ ე ვ ი

დამოუკიდებლობის" დოქტრინა, რომელიც დეკოლონიზაციის ბურჟუაზიული თეორიის გადაძვრებას წარმოადგენს. დეკოლონიზაციის „თეორიის“ მოთხოვნა კი არის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეწყვეტა. დეკოლონიზაციის თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ კოლონიური ქვეყნები „თანდათანობით უნდა განვითარდნენ“ და შემდეგ მიიღებენ დამოუკიდებლობას.

აღნიშნული დოქტრინის დამცველები ცდილობენ იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის შენარჩუნებას კვლავ ძველ ფორმებში და ამას თეორიულადაც „ასაბუთებენ“. „ნაადრევი დამოუკიდებლობის“ თეორეტიკოსების ჯ. კ. კინგის, ჯ. ფ. დალესის და მათი მიმდევრების აზრით, რომლებიც ფაქტიურად გამოდიან, როგორც ძველი ტიპის კოლონიალიზმის დამცველები, სუსტად განვითარებული ქვეყნები ჯერ კიდევ არ ყოფილან მომზადებული თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარებისათვის. კოლონიალიზმის ამერიკელი და ევროპელი თეორეტიკოსების აზრით, სუსტად განვითარებული ქვეყნები, რომლებმაც მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ჯერ არ „მომწიფებულან“ დამოუკიდებელი განვითარებისათვის, მათ აკლიათ „მეწარმეობრივი სულისკვეთება“¹¹ და ნაადრევად მიენიჭათ დამოუკიდებლობა.

ინგლისელი კოლონიზატორების აზრით, კოლონიებს, ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს უნდა მიეცეთ დამოუკიდებლობა მაშინ, როცა ისინი „დედა-ქვეყნების“ ხელმძღვანელობით მომწიფდებიან ამისათვის¹². „დედა-ქვეყნების“ როლში კი გამოჰყავთ მეტროპოლიები, იმპერიალისტური სახელმწიფოები.

„ნაადრევი დამოუკიდებლობის“ დოქტრინერთა გოდება ნათელია. მათი არგუმენტაციის მიხედვით სუსტად განვითარებული ქვეყნები კვლავ უნდა დარჩნენ კოლონიური ექსპლოატაციის უღელქვეშ, მეტროპოლიების სანედლეულო ბაზად, „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში, კოლოსალური მოგება აძლიონ უცხოეთის მონოპოლისტურ კაპიტალს და ანე უნდა „მომწიფდნენ“ დამოუკიდებლობისათვის.

ნეოკოლონიალიზმის აპოლოგეტები არგუმენტად ასახელებენ იმას, რომ თანამედროვე ტექნიკის გამოყენება მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, ცოდნას, რაც სუსტად განვითარებულ ქვეყნებს არა აქვთ, ისინი ჯერ საამისოდ არ „მომწიფებულანო“.

ამას აცხადებენ არა მარტო ბურჟუაზიული ეკონომისტები, არამედ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ლიდერებიც კი. მაგალითად, კ. შმიდმა განაცხადა, რომ შავკანიანები,

როგორც წესი, ძალიან ცოტას ერკვევიან საკითხებში, ისინი უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენენ იმის მოხმარებისაკენ, რაც მათ გააჩნიათ, ვიდრე იქიდან სარგებლობის მიღებისაკენო. დასავლეთგერმანელმა ბანკირმა ცანმა განაცხადა: „ეკონომიურად სუსტად განვითარებული ბევრი ქვეყანა თავისი ეკონომიური, კლიმატური და კულტურული სტრუქტურის გამო გამოუხსადეგარია იმისათვის, რომ ინდუსტრიული ქვეყანა გახდესო“¹³. დასავლეთ გერმანიის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი გატარებულია აზრი, რომ „ზანგს თვითონ არასოდეს არ შეეძლება პლანტაციის გაშენება“ და მრავალი სხვა. მარქსისტ-ლენინელებისათვის ამგვარი მსჯელობისა და არგუმენტაციის ნამდვილი მიზანი ერთობ ნათელია. თვით ბურჟუაზიის წრიდანაც კი გაიჭმის ხმები ამგვარი არგუმენტაციის უსაფუძვლობის შესახებ, მაგალითად, სირაკუზის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეკობ ოზერი, რომელიც მარქსისტი არ არის, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წარმომადგენელია, წერს: „არ არის ხალხი, რომელსაც, მიუხედავად თავისი რასისა ან ბუნებრივი მონაცემებისა, არ შესწევდეს თანამედროვე ტექნიკისა და მანქანური წარმოების დაუფლების უნარი“¹⁴.

ნეოკოლონიალისტთა მტკიცება, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნები „მომწიფებული“ არ არიან განვითარებისათვის, რომ აზიისა და აფრიკის რაიონების ეკონომიური ჩამორჩენილობის მიზეზი თითქოს არის გეოგრაფიული მდებარეობა, კანის ფერი და სხვა, უკუგდებულია თვით ცხოვრების მიერ. ამერიკელი ეკონომისტი პ. ბარანი მაგალითისათვის ასახელებს იაპონიას, რომელიც არ წარმოადგენდა კოლონიას და რომელმაც მიაღწია კიდევაც დამოუკიდებელ განვითარებას. ნეოკოლონიალისტთა მტკიცებას აბათილებს ჩინეთის, კორეის, ვიეტნამისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სწრაფი განვითარება, რაც შესაძლებელი შეიქმნა ამ ქვეყნებში სახალხო რევოლუციის გამარჯვების შედეგად.

აშშ-ისა და გფრ-ის „ანტიკოლონიალიზმი“ სინამდვილეში არის ნეოკოლონიალიზმის დაცვა. ამერიკელი და დასავლეთგერმანელი იმპერიალისტები ისეთივე მტრები არიან სუსტად განვითარებული ქვეყნებისა, როგორც ინგლისელი, ფრანგი, ბელგიელი, პოლანდიელი, პორტუგალიელი და სხვა კოლონიზატორები. იმპერიალისტთა სტრატეგია სუსტად განვითარებული ქვეყნების მიმართ ერთია, მაგრამ მათ შორის არის ზოგიერთი ტაქტიკური და ფორმალური ხაზით განსხვავება. ამერიკელი და გფრ-ის კოლონიზატორები დეჰავოგიას მიმართავენ. აშშ-სა და გფრ-ის იმპერიალისტებს სურთ სუსტად განვითარებული ქვეყნების შეყვანა შეცდომაში. ამ მიზნით

ნეოკოლონიზატორები იყენებენ იმ ფაქტს, რომ „აშშ-ს იურიდიულად არა აქვს კოლონიები გარდა პუერტო-რიკოსი“¹⁵. ასე იქცევიან გფრ-ის იმპერიალისტური წრეებიც. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ „ანტიკოლონიალიზმის“ ბურჟუაზიულ კონცეფციებს უმთავრესად დიდი გავრცელება აქვთ აშშ-სა და გფრ-ში. გერმანელი და ამერიკელი ნეოკოლონიზატორები გამოდიან ინგლისელი, ფრანგი, პოლანდიელი და სხვა ქვეყნების კოლონიზატორთა „კრიტიკით“ და თავი მოაქვთ სუსტად განვითარებული ქვეყნების „მეგობრებად“, „თანასწორუფლებიან პარტნიორებად“. ნეოკოლონიალისტების კოლონიური პოლიტიკა უფრო „კულტურულია“, უფრო „ელეგანტური“ და „დელიკატურია“, უფრო მოხდენილი, მოქნილი და შენიღბულია.

აშშ-ის პრეზიდენტმა სუსტად განვითარებული ქვეყნების მიმართ წამოაყენა „ახალი კურსი“, რომელსაც უწოდეს „კავშირი პროგრესისათვის“. იგი გამიზნულია ნეოკოლონიალიზმის შენარჩუნებისა და არა „პროგრესისათვის“.

დიდი ხმაურია ატეხილი ეგრეთწოდებული „მშვიდობის კორპუსის“ გარშემო. „მშვიდობის კორპუსის“ წევრები ნატოს ჯაშუშები არიან. 1963 წლის 23 სექტემბერს ჯ. კენედი სიტყვით გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე და ხოტბა შეასხა „მშვიდობის კორპუსს“. მან თქვა: „ზუსტად ორი წლის წინათ ჩვენ შევქმენით „მშვიდობის კორპუსი“ დაინტერესებული ქვეყნების მოთხოვნისა და დასაკმაყოფილებლად კვალიფიციური და გამხნევებული კადრებით“.

ამერიკელი და გერმანელი ნეოკოლონიალისტები და მათი იდეოლოგები სოციალურ დემაგოგიას მიმართავენ. მათ თავი მოაქვთ კოლონიალიზმის მტრებად. ცნობილია, რომ XIX საუკუნის ბოლოს აქტიურ კოლონიურ ექსპანსიას მიმართავდნენ გერმანელი და ამერიკელი იმპერიალისტებიც. 1884 წელს გერმანიამ დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, ტოგო, კამერუნი, ახალი გვინეა (1885 წ.), მარშალის, სოლომონისა და ბისმარკის კუნძულები, სამოა (1899 წ.) და სხვ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1898 წ. დაიპყრო ჰავაის კუნძულები, ფილიპინები, პუერტო-რიკო, გუამი, კუბა (1901 წ.), ხოლო 1903 წ. მოახდინა პანამის არხის ოკუპაცია და სხვ.

კოლონიების „უქონლობა“ განაპირობებს აშშ-ისა და გფრ-ის ნეოკოლონიალისტთა თვალთმაქცურ „ანტიკოლონიალიზმს“.

გფრ-ის ბურჟუაზიული ეკონომისტები მოხდენილად იყენებენ სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხთა სიძულვილს ინგლისე-

ლი, ფრანგი, ბელგიელი და სხვა კოლონიზატორებისადმი. ნეოლიბერალები „აკრიტიკებენ“, „გმობენ“ ძველ კოლონიალიზმს და ქადაგებენ „პარტნიორობას“, „თავისუფალ მეწარმეობას“, „პატიოსან კონკურენციას“, ვაჭრობაში ღია კარების პოლიტიკას“, ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“, „ორმხრივ ინტეგრაციას“ და ასე ცდილობენ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების დამორჩილებას. მათ ერთგვარი წარმატებებიც აქვთ ინგლისელ და ფრანგ ნეოკოლონიალისტებთან შედარებით.

დიდ ყურადღებას აქცევენ გერმანელი ნეოლიბერალები სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემებს. მრავალი წიგნი იწერება აღნიშნულ საკითხებზე. საინტერესოა აფრიკელი ახმედ მუდატირის წიგნი¹⁶, რომელიც ეხება აფრიკის ინდუსტრიალიზაციის პრობლემებს. მუდატირი აფრიკის ეროვნული ბურჟუაზიის წარმოქმადგენელია. იგი აღიარებს ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობას აფრიკის ქვეყნებისათვის, მაგრამ, ეტყობა, მუდატირის კონცეფცია იმყოფება ნეოლიბერალების გავლენაში. ამიტომაც, რომ მუდატირი „იწონებს“ ინდუსტრიალიზაციის სოციალისტურ მეთოდს და იწონებს ნეოლიბერალების პრინციპებს¹⁷.

დასავლეთგერმანელი და ამერიკელი „ნეოკოლონიალისტები“ მოითხოვენ მრეწველობის განვითარებას ყოფილ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, კერძოდ, მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც მოხმარების საგნებს ამზადებენ. გფრ-ის ბურჟუაზიული ეკონომისტი მ. შმიტი ირწმუნება, რომ სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა განავითარონ სოფლის მეურნეობა, ხე-ტყის წარმოება, ხელი უნდა მოჰკიდონ პირველადი გადამუშავების საქმესა და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას. სუსტად განვითარებულ ქვეყნებში მძიმე მრეწველობის განვითარების წინააღმდეგი არიან გერმანელი ნეოლიბერალები, პირველ რიგში კი ლ. ერჰარდი, რომლის აზრით, ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში ჯერ უნდა შეიქმნას „მყიდველობითი უნარიანობა“. კიდევ უფრო გულახდილია ნეოლიბერალების ლიდერი ვ. რეპკე, რომელიც აცხადებს, რომ ინდუსტრიალიზაცია სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის საშიშია გზა არის, მაშასადამე, მიუღებელია. იგი ამას იმით „ასაბუთებს“, რომ ინდუსტრიალიზაცია გაზრდის პროლეტარიატის რიგებს და „კომუნისმის ბაცილები“ ადვილად გავრცელდება ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. აი რა აწუხებს ვ. რეპკეს და როგორ იბრძვის იგი კოლონიალიზმის წინააღმდეგ! დიდი გამოცნობა არ სჭირდება იმას, რომ ლ. ერჰარდისა და ვ. რეპკეს „ანტიკოლონიალიზმი“, რომელსაც ანტიკომუ-

ნიზმის დროშით ქადაგებენ, სხვა არა არის რა, თუ არა სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვება „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში, ე. ი. დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის ნეოკოლონიალიზმის გენერალური ხაზი.

ნეოლიბერალების მიზანია ეგრეთწოდებული „პარტნიორობისა“ და სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი „ეკონომიური დახმარების“ საფარით შექმნან ფარული კოლონიური იმპერია, ნეოკოლონიალიზმი. დასავლეთგერმანელი ეკონომისტი მ. შმიტი თავის წიგნში — „პარტნიორობა სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან“¹⁸ — იძლევა ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში მონოპოლისტური კაპიტალის ეკონომიური ექსპანსიის შენიღბულ გზებს.

გფრ-ის ბურჟუაზიული ეკონომისტები სუსტად განვითარებული ქვეყნების დამორჩილები მიზნით ფართოდ იყენებენ სოციალურ დემაგოგიას, რომლის ერთ-ერთი ფორმაა სწორედ გერმანიის „ანტიკოლონიალიზმის“ პროპაგანდა. გფრ-ის ნეოკოლონიალისტების მტკიცებით გერმანია არასოდეს არ ატარებდა კოლონიურ პოლიტიკას, რომ თითქოს გფრ „თანამშრომლობს“, „პარტნიორობს“ სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან და კოლონიალიზმის წინააღმდეგაც გამოდის. ცხოვრება: ფაქტები კი აქარწყლებს „ანტიკოლონიალიზმის“ ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა მტკიცებებს.

გდრ-ის ეკონომისტებმა პ. ფრიდლენდერმა და ჰარტმუტ შილინგმა გამოაქვეყნეს წიგნი „დასავლეთ გერმანიის ნეოკოლონიალიზმი“¹⁹, რომელშიც მოცემულია გერმანიის იმპერიალიზმის კოლონიური პოლიტიკის ეტაპების დახასიათება: 1. ვილჰელმის გერმანიის ყაჩაღური კოლონიალიზმი (1884—1914), 2. გერმანიის იმპერიალიზმი ძველი კოლონიების დაბრუნებისა და ახალი კოლონიური სამფლობელოების დაპყრობისათვის ბრძოლაში (1919—1945) და ვ. ბონის ნეოკოლონიალიზმი როგორც გერმანიის იმპერიალიზმის კოლონიური პოლიტიკის უკანასკნელი ეტაპი.

გფრ აქტიური კოლონიალიზმის ქვეყანაა. დასავლეთ გერმანიის ნეოკოლონიალიზმის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი მომენტებია: 1. გდრ-ის არსებობა, რომელიც განაპირობებს გფრ-ის ნეოკოლონიალიზმის უპერსპექტივობას; 2. განსაკუთრებული მისწრაფება ექსპანსიისაკენ; 3. უკიდურესი ანტიკომუნიზმი; 4. დასავლეთ გერმანიას ოფიციალურად არა აქვს კოლონიები, აქედან — გფრ-ის თვალთმაქცური „ანტიკოლონიალიზმი; 5. დასავლეთგერმანელი ნეოკოლონიალისტების მიერ „ეკონომიური სასწაულის“ ლეგენდის გამოყენება; 6. ნეოკოლონიალისტური მეთოდების „მექანიზ-

მი.“ და მათი თავისებურებანი („დახმარება“ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, ვაქრობის „ლიბერალიზაცია“, „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“, „სოციალური პარტნიორობა“, „ორმხრივი რენტეგრაცია“, „თანამშრომლობა“, „ასოციაცია“).

გერმანელი ნეოკოლონიალისტები თვალთმაქცურად იყენებენ იმას, რომ დასავლეთ გერმანიას არა აქვს კოლონიები, და გამოდიან, როგორც კოლონიალიზმის „მტრები“, „ანტიკოლონიალიზმის“ მქადაგებლები.

„ანტიკოლონიალიზმის“ ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა მიზანია ნეოკოლონიალიზმის შენიღბული დაცვა. „ანტიკოლონიალიზმის“ დასავლეთგერმანელი პროპაგანდისტები ქადაგებენ ნეოკოლონიალისტურ „პარტნიორობას“²⁰. ბონის „ანტიკოლონიალიზმი“ შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

1. კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ და კოლონიური ქვეყნების ხალხთა შეყვანა შეცდომაში.

2. ნამდვილი ანტიკოლონიალიზმის პოლიტიკის გავლენის დაჩაღუნება.

3. ფფრ-ის მონოპოლიები „ანტიკოლონიალიზმის“ აღმით ცდილობენ თავიანთი „პარტნიორობის“ („ექვესეულის“ სხვა წევრების) გამოდევნას სუსტად განვითარებული ქვეყნების ბაზრებიდან;

4. გერმანიის ფინანსური კაპიტალის ინტერესების შესაბამისად „კოლექტიური კოლონიალიზმის“ ამოცანების აღება თავის თავზე.

5. საკუთარი ქვეყნის მშრომელი მასების შეყვანა შეცდომაში²¹.

გფრ-ის იმპერიალისტთა „ანტიკოლონიალიზმის“ დემაგოგიური ხასიათი გამოააშკარავა გდრ-ის ეკონომისტმა კ. ჰ. ლომდეიმ, რომელმაც პირდაპირ მიუთითა, რომ „ანტიკოლონიალიზმი“, „პარტნიორობა“ არის ნეოკოლონიალისტთა ახალი მეთოდი, ხოლო მიზნები ძველი დარჩა — კოლონიური ექსპლოატაციის უღელქვეშ დატოვოს ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები.

ლ. ერჰარდის „კეთილი ნების“ მისია ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ითვალისწინებდა ნეოკოლონიალისტურ მისწრაფებებს. ლ. ერჰარდმა იმოგზაურა ლათინური ამერიკის ქვეყნებში (1954 წ.), აღმოსავლეთში, იგი იყო ინდოეთში, პაკისტანში, ბირმაში, ცეილონში, ტაილანდსა და სხვა ქვეყნებში. ლ. ერჰარდის „კეთილი ნების“ მისია მიზნად ისახავდა „სოციალური პარტნიორობის“, „ორმხრივი პარტნიორობის“, „ურთიერთდამოკიდებულები“ და ნეოკოლონიალიზმის სხვა ნეოლიბერალური აპოლოგეტური კონცეფციების პროპაგანდას.

ვანსაკუთრებით აქტიურობს კრუპის კონცერნი. 1956 წ. წამო-

ყენებულ იქნა ეგრეთწოდებული „კრუპის“ დოქტრინა — „კრუპის გეგმა“²² — ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის მონოპოლისტური კაპიტალის „დახმარების“ ნეოკოლონიალისტური პროგრამა. ფირმა „ფრიდ კრუპი“ გფრ-ის ყველაზე უმსხვილეს ფირმა-ექსპორტიორთა რიცხვს ეკუთვნის. იგი კაპიტალს აბანდებს ინდოეთში, პაკისტანში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში. თუ 1947 წ. დასავლეთ გერმანია ექსპორტის მხრივ 26-ე ადგილზე იყო კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, 1952 წ. მე-4 ადგილზე, ხოლო 1953 წ. მესამე ადგილზე გამოვიდა.

„იმპერიალიზმის შემდეგ დროინდელი საზოგადოების“ პროპაგანდისტები აცხადებენ, რომ კოლონიალიზმი დამახასიათებელი იყო წარსული დროისათვის, ხოლო ამჟამად არც კოლონიალიზმი და არც იმპერიალიზმი. „იმპერიალიზმის შემდეგ დროინდელი საზოგადოების“²³ ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსია ინგლისელი ლეიბორისტი ჯონ სტრეჩი, რომელიც იბრძვის იმპერიალიზმის ლენინური თეორიის წინააღმდეგ. იგი აცხადებს, რომ თითქოს ვ. ი. ლენინის დებულება — იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია — არ გამართლდაო. ამ ყალბ მსჯელობას ჯ. სტრეჩი აკეთებს იმის დახმარებით, რომ მისთვის კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი ერთი და იგივეა. კოლონიალიზმი ჯ. სტრეჩის განმარტებით არის მეტროპოლიების მიერ კოლონიების პოლიტიკური დამორჩილება.

ყოფილი „მემარცხენე“ ლეიბორისტი სტრეჩი უარყოფს კლასებსა და კლასობრივ ბრძოლას „იმპერიალიზმის შემდეგ დროინდელ საზოგადოებაში“, ე. ი. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. იგი „დითირაჰებებს უმღერის კლასობრივ წინააღმდეგობათა არმქონე „სოციალურ კაპიტალიზმს“²⁴.

ინგლისის ლეიბორიზმის თეორეტიკოსი ჯ. სტრეჩი არსებითად იმეორებს იმპერიალიზმის კაუცკიანურ განსაზღვრას. კაუცკის მსგავსად მას იმპერიალიზმი დაჰყავს მხოლოდ პოლიტიკამდე. სტრეჩი თვითნებურად აშორებს იმპერიალიზმის პოლიტიკას ეკონომიკისაგან და სხვ.²⁵

ამრიგად, კოლონიალიზმის განმარტება, რომელსაც ჯ. სტრეჩი იძლევა, ვოლუნტარისტულია და მიმართულია იმპერიალიზმის ლენინური თეორიის წინააღმდეგ. სტრეჩიმ იმიტომ გააიგივა კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი, რომ აქედან გაეკეთებინა კიდევ ერთი აპოლოგეტური, მაშასადამე. მცდარი დასკვნა. სახელდობრ, მისი მსჯელობიდან გამოდის, რომ იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მოსპობით აღარ იქნება თვით იმპერიალიზმი, მონოპოლისტურ-

რი კაპიტალიზმი, რომ თითქოს ინგლისი ერთი ხელის დაკვრით გამხდარა „იმპერიალიზმის შემდეგდროინდელი საზოგადოება“.

ჯ. სტრეჩი თავის წიგნებში — „თანამედროვე კაპიტალიზმში“, (1956 წ.) და „იმპერიის დასასრულში“ (1959 წ.) ამახინჯებს იმპერიალიზმის ლენინურ თეორიას და ქადაგებს „დეკოლონიზაციის“, „იმპერიალიზმის თვითლიკვიდაციის“, „კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის“ აპოლოგეტურ თეორიებს. მან იმპერიალიზმის ლენინურ თეორიას დაუპირისპირა „იმპერიალიზმის თვითლიკვიდაციის“ ვულგარული თეორია, რომელიც უშუალო კავშირშია კაუცკელობისა და „ინტეგრაციის“ დოქტრინასთან. სტრეჩიმ დაამახინჯა თვით ცნება „იმპერიალიზმი“. იმპერიალიზმი მან დაიყვანა მეტროპოლიების მიერ კოლონიების პოლიტიკურ დამორჩილებაზე. რამდენადაც იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა იშლება და მრავალმა კოლონიურმა ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, აქედან სტრეჩიმ გააკეთა მცდარი დასკვნა, რომ კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი უკვე აღარ არსებობს. მისი აზრით, არსებობს „იმპერიალიზმის შემდეგდროინდელი საზოგადოება“.

სტრეჩიზე უფრო „შორს“ წავიდა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი, ეკონომისტი, ვულგარული ეკლექტიკოსი ვალტერ ტაიმერი, ავტორი მრავალი ანტიმარქსისტული წიგნისა (მაგალითად, „მარქსიზმი — მოძღვრება — გავლენა — კრიტიკა“²⁶, „ბებელიდან ოლენჰაუერამდე“²⁷ და სხვ.). ტაიმერი სტრეჩის მსგავსად უარყოფს იმპერიალიზმის ლენინურ თეორიას, იმპერიალიზმის არსებობას. „განსხვავება“ იმაშია, რომ იმპერიალიზმის დამახასიათებელი ნიშნები ტაიმერმა „შენიშნა“ „კომუნისტურ ბლოკში“ და ასე „აღმოაჩინა“ „სლავიანურ-კომუნისტური იმპერიალიზმის“ არსებობა. დიდი ხმაური ატეხა „რუსეთის იმპერიალიზმზე“ მსხვილმა ამერიკელმა მონოპოლისტმა დ. სარნოვმა. ნეოლიბერალმა ვ. რეპკემ კი სოციალიზმის მსოფლიო სისტემას „კომუნისტური დიდი სივრცე“ უწოდა²⁸.

ჯ. სტრეჩის მცდარი შეხედულებები გააკრიტიკა პალმ დატმა სტატიაში — „ლენინი, იმპერიალიზმი და ბ-ნი სტრეჩი“²⁹. ჯ. სტრეჩისა და მისი თანამოაზრეების რ. კროსმენის, ნ. კროსლენდის, ჰ. ჰეიტაკელისა და სხვათა შეხედულებების მარქსისტული კრიტიკა მოცემულია ინგლისელი კომუნისტის ემილ ბერნსის წიგნში — „მემარჯვენე ლეიბორისტების თეორია და პრაქტიკა“. ყველაზე პრეტენზიული ცდა სიტყვებით იმპერიალიზმის ლიკვიდაციისა გააკეთა ჯონ სტრეჩიმ. თავის წიგნში — „თანამედროვე კაპიტა-

ლიზში“ (1956), ბოლო მოუღო რა კაპიტალიზმს ან, უკიდურეს შემთხვევაში, „შეუცვალა კაპიტალიზმს მისი ხასიათი“, სტრეჩიმ სამი წლის შემდეგ გააკეთა იგივე ოპერაცია იმპერიალიზმზე წიგნში — „იმპერიის დასასრულში“³⁰. სტრეჩის მოსწონს იუგოსლაველი რენეგატის ჯილასის შეხედულებები. სხვადასხვა აპოლოგეტური დოგმების მოშველიებით სტრეჩი შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ თითქოს ინგლისმა „ნებაყოფლობით გაათავისუფლა“ კოლონიები და ინგლისში იმპერიალიზმის ნაცვლად არის „იმპერიალიზმის შემდეგდროინდელი საზოგადოებაო“³¹. ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო აღნიშნავდა: „ჩვენ ხშირად გვეუბნებიან, რომ „კოლონიალიზმი მოკვდაო“. ნუ მოვიტყუებთ თავს და ნუ მივეცემით ამით დამშვიდებას. გეუბნებით, რომ კოლონიალიზმი ჯერ კიდევ არ მომკვდარა. როგორ შეგვიძლია თქმა ამისა, რომ იგი მკვდარია, როცა აზიისა და აფრიკის უზარმაზარი რაიონები ჯერ კიდევ არაა თავისუფალი... კოლონიალიზმიც მოირთო თანამედროვე სამოსელში“³².

მართალია, ყოფილი კოლონიების დიდმა რაოდენობამ დაძაბული ბრძოლით უკვე მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ „სამაგიეროდ იმპერიალიზმის ეკონომიკური ბატონობა მეტ ხანს დარჩება არა მარტო ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში, არამედ სუსტად განვითარებულ ქვეყნებშიც, პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნება კი დამოკიდებული იქნება ამ ქვეყნებს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, რაც მათ დაუყოვნებლავ უნდა განახორციელონ“³³.

იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ კოლონიებზე ბატონობა დამახასიათებელია იმპერიალიზმისათვის, მაგრამ არ შეიძლება იმპერიალიზმის დაყვანა მხოლოდ კოლონიურ პოლიტიკამდე. ასეთი პოლიტიკა იმპერიალიზმამდეც არსებობდა. სტრეჩისა და მისი მიმდევრებისათვის იმპერიალიზმი არის კოლონიური პოლიტიკა. მარქსიზმ-ლენინიზმი აღნიშნავს, რომ იმპერიალიზმი არის მონოპოლისტური კაპიტალიზმი, იმპერიალიზმის არსს შეადგენს მონოპოლიების ბატონობა. „სანამ არსებობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, კოლონიალიზმიც იარსებებს. მართალია, ის დებულობს სხვაგვარ ფორმებს. საქმე ეხება ნეოკოლონიალიზმს“. — წერს პროფ. ვ. გ. სოლოდოვნიკოვი³⁴.

ამრიგად, ჯ. სტრეჩის მცდარი დებულება თავისი არსით იმპერიალიზმის კანუცისეული განსაზღვრის გაუარესებელი ვარიანტია.

„ვ ა კ უ უ მ ი ს დ ო ქ ტ რ ი ნ ა“³⁵ წარმოადგენს იმპერიალის-

ტურ სახელმწიფოთა მიერ სუსტად განვითარებული ქვეყნების და-
მორჩილებისა და ექსპლოატაციის დემაგოგიურ და აპოლოგეტურ
დაცვას. „ვაკუუმის დოქტრინის“ პროპაგანდისტები აცხადებენ,
რომ მსოფლიოს რიგ რაიონებში კოლონიალიზმის მოსპობამ თით-
ქოს წარმოშვა „ვაკუუმი“, „სიცარიელე“ და საჭიროა მისი შევსება.
„ვაკუუმის“ შევსება ნეოკოლონიალიზმის თეორეტიკოსების მი-
ხედვით ნიშნავს სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ
დამორჩილებას და სხვადასხვა სამხედრო-აგრესიულ ბლოკებში
ჩაბმვას.

ამრიგად, „ვაკუუმის დოქტრინა“ არის კოლონიალიზმის აღორ-
ძინებისა და თეორიულად მისი დასაბუთების ცდა. იგი ემსახურება
იმ სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვებას „მსოფლიო
სოფლის“ მდგომარეობაში, კოლონიურ მდგომარეობაში, რომლე-
ბმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

„ვაკუუმის შევსების“ საკუთარი პროგრამა აქვთ ნეოკოლონია-
ლისტებს. მათი აზრით, ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში უნ-
და განვითარდეს „ინფრასტრუქტურა“, სოფლის მეურნეობა, მაგ-
რამ გამორიცხავენ ახალი მანქანა-იარაღების გამოყენებას, რადგან
ეს გამოიწვევს უმუშევრობასო. თავიანთ „თეორიებში“ ბურჟუა-
ზიული ეკონომისტები ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ არსებულ
პირობებში შეუძლებელია სუსტად განვითარებული ქვეყნების სა-
ხალხო მეურნეობის რომელიმე მხარის შეცვლა. თითქოს შეუძლე-
ბელია სუსტად განვითარებულ ქვეყნებში თანამედროვე მანქანების
შეტანა, რადგანაც ისინი გაადიდებენ ისედაც დიდ უმუშევრობა-
სო“.

იამება კითხვა: როგორ უნდა შეივსოს ვაკუუმი? ნეოკოლონია-
ლიზმის რეცეპტის მიხედვით სუსტად განვითარებული ქვეყნები
უნდა დარჩნენ „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში, ხოლო ძვე-
ლი კოლონიზატორების ადგილი უნდა დაიკავონ ნეოკოლონიალის-
ტებმა, რომლებსაც თავი სუსტად განვითარებული ქვეყნების „მე-
გობრად“ და „პარტნიორებად“ მოაქვთ.

„პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხალ-
ხები ეძებენ პასუხს ცხოვრების მიერ დაყენებულ სოციალურ
პრობლემებსა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების
საკითხებზე. სხვადასხვა კლასი და პარტია სხვადასხვა გადაწყვეტას
იძლევა. განვითარების რა გზა აირჩიონ — ეს თვითონ ხალხების
საშინაო საქმეა“³⁶. „ვაკუუმის თეორია“ იმპერიალისტური თეო-
რია არის. იგი ემყარება იმას, რომ იმპერიალისტური ქვეყნის ად-
გილს, რომლის გავლენა კოლონიებსა და ეკონომიურად სუსტად

განვითარებულ ქვეყნებში ლიკვიდირებულია, იკავებენ სხვა იმპერიალისტური ქვეყნები. „ვაკუუმის დოქტრინას“ მოხერხებულად იყენებენ ამერიკელი ნეოკოლონიალისტები. ქვეყნებს, რომლებმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ინგლისელი, ფრანგი, ბელგიელი და სხვ. კოლონიზატორებისაგან განთავისუფლდნენ, „ეკონომიური დახმარების“ ყალბი დროშით ეპოტინება აშშ-ისა და გფრ-ის მონოპოლისტური კაპიტალი. „ვაკუუმის თეორია“ მჭიდრო კავშირშია „ეიზენჰაუერის დოქტრინასთან“.

„ვაკუუმის თეორიის“ მიზანდასახულობა კარგად დაახასიათა მუხამედ აბას სეიდ ახმადმა თავის ბროშურაში — „ეიზენჰაუერის დოქტრინა — ახალი აგრესია“, რომელიც კაიროში გამოვიდა 1957 წ. „ვაკუუმის თეორია“, — წერს იგი, — არის იმპერიალიზმის აგრესიული, ექსპანსიონისტური თეორია, რომლის მიზანია ამერიკის ბატონობის დამკვიდრება მსოფლიოზე“³⁷.

დოქტრინა „უ რ თ ი ე რ თ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს“ შესახებ სუსტად განვითარებული ქვეყნების დაკაბალებისა და ჩაგვრის კიდევ უფრო მეტად შენიღბული ფორმაა, ამიტომ იგი დიდ როლს ასრულებს ნეოკოლონიალისტთა იდეოლოგიურ არსენალში. „ურთიერთდამოკიდებულების თეორიის“ პროპაგანდისტთა მსჯელობით, მართალია, მონოპოლისტური კაპიტალისათვის, იმპერიალისტური ქვეყნებისათვის საჭიროა ბაზრები სამრეწველო ნაწარმის გასაღებისა და ნედლეულის შესყიდვისათვის, მაგრამ სუსტად განვითარებულ ქვეყნებსაც სჭირდებათ როგორც სასოფლო-სამეურნეო ნაწარმისა და ნედლეულის გასაღების ბაზარი, ასევე სამრეწველო ნაწარმის შესყიდვა. აქედან აკეთებენ დასკვნას, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნები და იმპერიალისტური სახელმწიფოები „ურთიერთდამოკიდებული“ არიან, „პარტნიორები“ არიან, რომ მათ თითქოს საერთო ინტერესები აქვთ.

მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგები „სოციალური პარტნიორობის“ პროპაგანდით ცდილობენ კლასობრივი ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასუსტებას. გ. შპინდლერმა „მენციერულად“ დაასაბუთა „პარტნიორობის“ აუცილებლობა და კლასობრივი ბრძოლის უარყოფა. მან სპეციალური წიგნი³⁸ დაწერა მუშასა და კაპიტალისტს, იმპერიალისტურ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და გააკეთა აპოლოგეტური დასკვნა — „პარტნიორობა კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად“³⁹. ანალოგიური აპოლოგეტური განცხადებები გააკეთა თავის წიგნში — „პარტნიორობა სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან“⁴⁰, — ბანკირმა და უნივერსიტეტის მასწავლებელმა

მათიას შმიტმა. „პარტნიორობა“, — განაცხადა მან, — ნიშნავს მისწრაფებას მეგობრობისაკენ და ბრძოლას მეგობრობისათვის“.

„ურთიერთდამოკიდებულების თეორიის“ დამცველთა მტკიცებით სუსტად განვითარებული ქვეყნები კვლავ უნდა დარჩნენ „სოფლიო სოფლის“ როლში, ხოლო მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები — პრივილეგიურ მდგომარეობაში და ექსპლოატატორებად. ასეთია „შრომის ახალი საზოგადოებრივი დანაწილების“ აპოლოგეტური არსი. ძნელი გამოსაცნობი არ არის „შრომის ახალი საზოგადოებრივი დანაწილების თეორიისა“ და „ურთიერთდამოკიდებულების“ დოქტრინერთა მიზანი. „ურთიერთდამოკიდებულების თეორია კოლონიალიზმის ახალი ფორმების გამართლების მეთოდია“⁴¹.

„ურთიერთდამოკიდებულების“ აპოლოგეტურმა თეორიამ დიდი გავრცელება პოვა აშშ-სა და გფრ-ში. განსაკუთრებით მოსწონთ იგი გერმანელ ნეოკოლონიალისტებს. ისინი აცხადებენ, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნები და იმპერიალისტური ქვეყნები „მეგობრები“, „პარტნიორები“ არიან და მათი ინტერესები შეერწყმის ერთმეორეს. სწორად მიუთითებს გერმანელი ეკონომისტი კ. ჰ. დომდეი, რომ დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკას ახორციელებს „პარტნიორობის“ ნეოკოლონიალისტური პოლიტიკით.

აპრიგად, დასავლეთგერმანელი ნეოკოლონიალისტები „ურთიერთდამოკიდებულების დოქტრინას“ ქადაგებენ გფრ-ში გავრცელებული „სოციალური პარტნიორობის“ — „ორმხრივი ინტეგრაციის“ აპოლოგეტური თეორიის სახით. „პარტნიორობა“ გფრ-ის მონოპოლისტურ კაპიტალსა და ტანგანიკას შორის ნიშნავს იმას, რომ „ცხვარი და მგელი ერთად ძოვდეს.“

„ურთიერთდამოკიდებულებისა“ და „პარტნიორობის“ განსაკუთრებული ვარიანტია „ევრაფრიკის“ „ინტეგრაცია“. ნეოკოლონიალისტთა პროპაგანდისტების მტკიცებით ურთიერთობა „ინტეგრირებულ“ ქვეყნებსა და ეკონომიურად სუსტად განვითარებულ სახელმწიფოებს შორის გამორიცხავს ყოველგვარ ექსპლოატაციას და ორივე მხარისათვის სასარგებლო ყოფილა („ორმხრივი ინტეგრაცია“.) ნეოკოლონიალიზმის თეორეტიკოსები აცხადებენ: ჩვენ ისე გვჭირდება ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხები, როგორც ჩვენ ვჭირდებით მათ. ჩვენ ვთავაზობთ მათ იმას, რის ნაკლებობასაც განიცდიან (მანქანები, კრედიტი, ტექნიკური და კომერციული ცოდნა და წარმოების ხელმძღვანელობის ცოდნა), ისინი კი გვაძლევენ ჩვენ ნედლეულს, რომლის ნაკლებობას განიცდის ევროპა და ამავე დროს ბაზარს უხსნიან ჩვენი მრეწველობის სხვადა-

სხვა დარგების ნაწარმის გასაღებას. მათი საბოლოო დასკვნა ასეთია: „აფრიკა ევროპისათვის არის ეკონომიური საეკუქნაო (საწყობი), ხოლო ევროპა აფრიკისათვის — ტექნიკური სახელოსნო“⁴².

ნეოკოლონიალიზმის ზოგიერთი თეორეტიკოსი უფრო „შორს“ მიდის სცილდება „წმინდა ეკონომიურ ფარგლებს“ და აცხადებს, რომ „შავი და თეთრი ავსებენ ერთმანეთს, მაგრამ არასოდეს არ შეუძლიათ ერთმეორის შეცვლაო“. „ეკონომიური დინამიკის“ თეორეტიკოსი ინგლისელი ნეოკეინსელი რ. ფ. ჰაროდიც ანალოგიურ თვალსაზრისზე დგას. იგი წერს: „მდიდარ ადამიანს შეუძლია მეტი გონებრივი ენერჯის მიძღვნა აზრებისადმი მომავლის შესახებ“⁴³.

ნეოკოლონიალიზმის ზოგიერთი პროპაგანდისტი კი უფრო უცნაურ განცხადებას აკეთებს, მაგალითად, ვინმე ფ. მიშკემ მოახდინა ასეთი „საინტერესო აღმოჩენა“: თურმე სუსტად განვითარებულ ქვეყნებში თეთრკანიანი კოლონიზატორი კი არ ყოფილა ექსპლოატატორი, არამედ თვითონ გამხდარა ექსპლოატირებული. ინგლისელი კოლონიზატორების აზრით, დიდი ბრიტანეთი კი არ უწევს ექსპლოატაციას კოლონიებს, არამედ პირიქით, კოლონიები აწევს „მძიმე ტვირთად“ ინგლისს.⁴⁴

რამდენიც უნდა ილაპარაკონ ნეოკოლონიალისტებმა მეტროპოლიებსა და ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის „პარტნიორობაზე“, — „ოკმხრივ ინტეგრაციაზე“, „პუშანურ პარტნიორობაზე“, „ურთიერთდამოკიდებულებაზე“ და ა. შ. მათი პროპაგანდა ნათელია. იგი მიმართულია სუსტად განვითარებული ქვეყნების დაკაბალებისაკენ. სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური ზრდის ბურჟუაზიული თეორიები წარმოდგენს კოლონიალური ჩაგვრის გამართლების ცდას, ე. ი. ეს აპოლოგეტური თეორიები მკიდრო კავშირშია იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ დოქტრინასთან.

კეინსელობასა და „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიებთან ერთად თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიური აზრის უფრო გავრცელებული გავლენიანი მიმდინარეობიდან შეიძლება დასახელებულ იქნეს „ეკონომიური ზრდის თეორიაც“.

განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე „ეკონომიური ზრდის“ — „ეკონომიური დინამიკის თეორია“, რომელმაც მიიღო სახელწოდება: „ზრდის პოლიტიკური ეკონომია“ (რ. ფ. ჰაროდი, ე. დომარი). ამ თეორიის შემქმნელად გარმანელი ეკონომისტი ჰ. მაისნერი ასახელებს ი. შუმპეტერს.⁴⁵

ეკონომიურ განვითარებას, ანუ ეკონომიურ ზრდას ბურჟუაზიული ეკონომისტები (კ. კლარკი, ა. პიგუ) სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ, მაგრამ მათ საერთო მიზანდასახულობა აქვთ. კოლინ კლარკი ეკონომიურ ზრდას, ეკონომიურ პროგრესს განსაზღვრავს, როგორც „ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესებას“. პიგუ კი ეკონომიურ ზრდას განსაზღვრავს, როგორც „იმ საქონლისა და მომსახურების სიუხვეს, რომლებიც იცვლებიან ფულზე“. ასეთი განმარტებანი არ მოსწონს ამერიკელ პროგრესულ ეკონომისტს პ. ბარანს, რომელიც მოითხოვს: „განვსაზღვროთ ეკონომიური განვითარება (ანუ ეკონომიური ზრდა), როგორც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური დოვლათის წარმოების გადიდება“⁴⁶.

ამ ბოლო ხანებში ძალიან გავრცელდა ბურჟუაზიულ ეკონომიურ ლიტერატურაში სხვადასხვა აპოლოგეტური თეორიები და კონცეფციები სუსტად განვითარებული ქვეყნების „ეკონომიური ზრდის“⁴⁷ პრობლემებზე. ყველა ეს „თეორია“ და დოქტრინა მიზნად ისახავს ნეოკოლონიალიზმის დაცვას და შენარჩუნებას. „ეკონომიური ზრდის თეორია ემყარება საერთო კეინსურ პოზიციას, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკას „ავტომატური თვითრეგულირების“ უნარი არა აქვს და აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა“⁴⁸.

სუსტად განვითარებული ქვეყნების „ეკონომიური ზრდის“ პრობლემებზე თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია აძლიერებს მუშაობას. ამას აკეთებს, ცხადია, ნეოკოლონიალიზმის აპოლოგიისათვის, მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებისათვის. თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თეორიები, რომლებიც სუსტად განვითარებული ქვეყნების „ეკონომიური ზრდის“ პრობლემებს ეხება, მიზნად ისახავენ ნეოკოლონიალიზმის იდეოლოგიურ დაცვას. ამ „თეორიების“ („დიდი ნახტომის“, „სტადიათა თეორია“, ჰაროდის „ეკონომიური მოდელი“ და სხვ.) მიზანია დამტკიცება იმისა, რომ:

1. სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის აუცილებელია XX საუკუნის შუა ხანებში იმ გზის გავლა, რომელიც განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა გაიარეს XIX საუკუნეში;

2. სუსტად განვითარებული ქვეყნები თითქოს არ საჭიროებენ ღრმა სოციალურ გარდაქმნებს და მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას;

3. სუსტად განვითარებულ ქვეყნებს თითქოს არ ძალუძთ ეკონომიური და სოციალური პრობლემების გადაჭრა დასავლეთის ქვეყნების კაპიტალის გარეშე;

4. ვითომ ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საბჭოთა გზა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის მიუღებელია;

5. ყოველგვარი საშუალებით საჭიროა სუსტად განვითარებული ქვეყნების შენარჩუნება კაპიტალიზმის სისტემაში, ამ ქვეყნების ხალხები უნდა აიძულონ, რათა შეურიგდნენ კაპიტალიზმს და ელოდონ მათი ეკონომიკის ბუნებრივ სიმწიფეს“.⁴⁹

ამრიგად, თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის თეორიები სუსტად განვითარებული ქვეყნების განვითარების შესახებ წარმოადგენს ნეოკოლონიალიზმის იდეოლოგიას და ემსახურება ნეოკოლონიალისტებს.

ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემებთან დაკავშირებით ძალიან დიდი ხმაური ატყდა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტის უოლტ უიტმან როსტოვის „ეკონომიური ზრდის თეორიის“ გარშემო.

უ.უ. როსტოვმა ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი „ეკონომიური ზრდის სტადიები“, რომელიც გააკრიტიკა შვედმა მარქსისტმა ეკონომისტმა ბო გ. გუსტაფსონმა.⁵⁰ როსტოვის ეგრეთწოდებული „არაკომუნისტური მანიფესტი“⁵¹ მიმართულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ.

უ. როსტოვის წიგნმა „ეკონომიური ზრდის სტადიები“, რომლის ქვესათაურია „არაკომუნისტური მანიფესტი“, დიდი გავრცელება პოვა ჟურნალისტებში, ბურჟუაზიულ რეაქციულ პრესაში. „როსტოვის წიგნის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური ნაკლი ის არის, რომ იგი არ ცნობს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიაში სხვადასხვა სოციალური და ეკონომიური სისტემების არსებობას. როსტოვი განზრახ ვერ ამჩნევს განსხვავებებს ეკონომიურ სისტემებში იმიტომ, რომ მისი წიგნის მიზანია, საერთო მნიშვნელზე დაიყვანოს კაპიტალისტური და სოციალისტური ეკონომიკა.

ამრიგად, როსტოვი ქმნის უკიდურესად არარეალისტურ თეორიულ სქემას, რომელსაც არა აქვს რამდენადმე მაინც ისტორიულად გამართლებული სოციალური და ეკონომიური შინაარსი“⁵², — ასე მატერიალისტური პოზიციებიდან გააკრიტიკა ამერიკელმა ეკონომისტმა და ფილოსოფოსმა პ. კროსერმა როსტოვის მცდარი კონცეფცია.

„ეკონომიური დინამიკის თეორია“ ანუ „ეკონომიური ზრდის თეორია“, „ზრდის პოლიტიკური ეკონომია“ წარმოადგენს მონო-

პოლისტური კაპიტალიზმის „გაჯანსაღების“ კიდევ ერთ ახალ ვარიანტს.⁵³

„ეკონომიური ზრდის თეორია“, რომელსაც როსტოვი ქადაგებს, მონოპოლისტური კაპიტალის, ნეოკოლონიალისტების ინტერესებს ემსახურება. როსტოვის მიერ შეკოწიწებული „ეკონომიური ზრდის თეორია“ ოთხ მთავარ ნაწილად იყოფა: 1. ეკონომიური განვითარების დაყოფა ხუთ სტადიად; 2. აშშ-ისა და სსრ კავშირის ინდუსტრიული ზრდის შედარება; 3. იმპერიალიზმის ანალიზი; 4. მარქსიზმის დამახინჯებულად გადმოცემა და ვულგარული კრიტიკა.⁵⁴

როსტოვის „თეორიის“ ალფა და ომეგა არის მარქსიზმის გაყალბება და კაპიტალის აპოლოგეტიკა. თანამედროვე კოლონიალიზმის შენიღბულად დაცვის მიზნით როსტოვი იქამდე მივიდა, რომ განაცხადა თითქოს კ. მარქსმა თავის მოძღვრებაში მთლიანად გამოიყენა ზალხთმოსახლეობის მალთუსური თეორია. როსტოვი ამითაც არ კმაყოფილდება. იმისათვის, რომ ნეოკოლონიალიზმის ნამდვილი ბუნება დაფაროს, იგი გაიძახის: ლენინიზმი, ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ მარქსისტული არ არისო. მისი აზრით, „კოლონიალიზმი უკვე მკვდარია“ და სხვ. როსტოვი, ჰაროდი, დომარი და მისი მიმდევრები თავისებურად, აპოლოგეტურად განიხილავენ გაფართოებული კვლავწარმოების პრობლემებს.⁵⁵ მათ მიერ შეკოწიწებული „ეკონომიური ზრდის თეორია“ მიმართულია კვლავწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ.

როსტოვს, როგორც კაპიტალიზმის დამცველს, არ მოსწონს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. იგი საზოგადოებას სთავაზობს „საკუთარ თეორიას“ — „განვითარების სტადიათა თეორიას“ ანუ „ეკონომიური ზრდის თეორიას“. ეს „თეორია“ მთავარია როსტოვის აპოლოგეტურ მოძღვრებაში.

საზოგადოების ეკონომიური განვითარების პროცესს როსტოვი ყოფს ხუთ ნაწილად: 1. „ტრადიციული საზოგადოება“; 2. გარდამავალი სტადია ანუ „გარდამავალი პერიოდის საზოგადოება“; 3. „ნახტომის“ ანუ „სტარტის საზოგადოება“; 4. მოძრაობა სიმწიფისაკენ — „მომწიფებადი საზოგადოება“; 5. მაღალი მასობრივი მოხმარების საზოგადოება — „მასების მაღალი მოხმარების საზოგადოება“.

ეკონომიური ზრდის ფაქტორიდან როსტოვი ყურადღების ცენტრში აყენებს ადამიანის ფსიქოლოგიურ მომენტებს, ადამიანის მიდრეკილებებს. იგი იძლევა „მიდრეკილების“ კატეგორიათა კლასიფიკაციას: 1. მეცნიერებათა განვითარებისაკენ მიდრეკილება;

2. ეკონომიური მიზნით მეცნიერების გამოყენებისაქენ მიდრეკილე-
ბა; 3. ტექნიკურ სრულყოფათა შემოღებისაქენ მიდრეკილება; 4. მა-
ტერიალური ბაზის გაფართოების უზრუნველყოფისაქენ მიდრეკი-
ლება; 5. მოხმარებისაქენ მიდრეკილება; 6. შეილოსნობისაქენ მიდ-
რეკილება.⁵⁶ როგორც ვხედავთ, როსტოვის „თეორიაში“, გარდა
მეტაფიზიკური და თვითნებური, უსაფუძვლო „კლასიფიკაციისა“,
არაფერი არაა. მისი „კლასიფიკაცია“, ნაცვლად საზოგადოების
განვითარების კანონზომიერებათა მეცნიერული ანალიზისა, ემყა-
რება შემთხვევით და ზერელე მოვლენებს. მასში უხვადაა კეინსური
და მალთუსური, აგრეთვე ნეოლიბერალური დებულებები. მოვლე-
ნათა არსის გამოკვლევისათვის როსტოვი თავს არ იტკივებს. თუ
რაოდენ პრიმიტიული და ზერელეა როსტოვის კლასიფიკაცია, თვალ-
ნათლივ ჩანს ყოველ ნაბიჯზე, მაგალითად, „მაღალი მასობრივი
მოხმარების საზოგადოების“ თვისებრივ კრიტერიუმად როსტოვი
ასახელებს ავტომობილს, ავტომანქანის „მასობრივ მოხმარებას“ და
„ცალკე სახლს თვითეული ოჯახისათვის“. „მასობრივი მოხმარების
საზოგადოებაზე“ აშშ, როსტოვის განცხადებით, გადასულა მიმდი-
ნარე საუკუნის 20-იან წლებში, ხოლო ევროპის მთავარი კაპიტა-
ლისტური ქვეყნები და იაპონია — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.
50-იან წლებში. რუსეთმა კი „ნახტომის სტადიას“ მიაღწია 1890
წელს, ხოლო 1920-იანი წლებიდან დღემდე იმყოფება „მომწიფე-
ბადი საზოგადოების“, ე. ი. IV სტადიაზეო, — დასკვნის როსტო-
ვი⁵⁷. ლ. ერპარდი კი თვლის, რომ სუსტად განვითარებულ ქვეყ-
ნებს „მაღალი მასობრივი მოხმარების საზოგადოებაზე“ გადასე-
ლსათვის 150 წელი დასჭირდება.

დასავლეთგერმანელმა ეკონომისტმა ვ. გუტმა მოიწონა როსტო-
ვის „განვითარების სტადიათა თეორია“ და მასზე დაყრდნობით
საკუთარი ვარიანტი შეიმუშავა. ვ. გუტი თავის წიგნში — „კაპი-
ტალის ექსპორტი სუსტად განვითარებულ ქვეყნებში“⁵⁸ — ქება-
დიდებას ასხამს როსტოვის ყბადაღებულ „განვითარების სტადიათა
თეორიას“ და ფაქტიურად იცავს ნეოკოლონიალიზმს. ამავე მიზნებს
ისახავს როზენშტეინ-როდანიცა და რ. ნურქსეს „ჰარმონიული
ზრდის თეორია“⁵⁹, რომელიც აგრეთვე როსტოვის კონცეფციას
ემყარება.

„ტრადიციული საზოგადოება“. როსტოვის აზრით, მოიცავს
ყველა საზოგადოებას, რომლებიც არსებობდნენ კაპიტალისტურ და
სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციამდე ან მის შემდეგ. როსტოვი
ვერ „ამჩნევს“ განსხვავებას კაპიტალისტურ და სოციალისტურ
ინდუსტრიალიზაციას შორის. მისი მტკიცებით საზოგადოება ვითარ-

დება ავტომატურად. რუსეთი, აცხადებს როსტოვი, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში შესულა „ნახტომის“ სტალიაში.

„გარდამავალი პერიოდის საზოგადოება“, როსტოვის აზრით, წარმოადგენს გარდამავალ პერიოდში მყოფ საზოგადოებას, რომელშიც თურმე უკვე არის საზოგადოების შემდგომი ცვლილებებისა და განვითარების წინაპირობები. ძნელი გამოსაცნობი არაა როსტოვის „კლასიფიკაციის“ აბოლოგეტური მიზანდასახულობა. იგი მოგვავაგონებს გერმანელი ნეოლიბერალების (ვ. თიკენი) „მეურნეობის იდეალურ ტიპებს“. ნეოლიბერალების მსგავსად როსტოვი ერთ ქვაბში აქცევს ანტიკური ეპოქის რომის იმპერიას, ეგვიპტის ფარაონთა მეურნეობას, მონათმფლობელურ ლათიფუნდიებს, ფეოდალურ მეურნეობასა და ა. შ.

როსტოვი თიკენის მსგავსად უყურადღებოდ ტოვებს ისტორიაში ცნობილ წარმოებით ურთიერთობათა ხუთ ძირითად ტიპს. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სოციალურ რევოლუციებს. მის მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს „ნახტომის“ სტადიის აღწერას. „ნახტომი“, როსტოვის მიხედვით, მოასწავებს ინდუსტრიალიზაციის დასაწყისს.

„ამრიგად როსტოვის თეორია არ წარმოადგენს არც ეკონომიური განვითარების ზოგად თეორიას და არც თანამედროვე ისტორიის თეორიას. მისი პრეტენზია მარქსიზმის ალტერნატივის შექმნაზე ყოველად გაუმართლებელია“, — დაასკვნის შვედი ეკონომისტი ბ. გ. გუსტაფსონი.⁶⁰

ჩვენ აქ „ეკონომიური ზრდის“ ანუ „ეკონომიური დინამიკის“ თეორიას (უ. როსტოვი, რ. ფ. ჰაროდი, ე. დომარი და სხვ.) ვეხებით იმდენად, რამდენადაც ეს ბურჟუაზიულ-აბოლოგეტური თეორია დიდ როლს ასრულებს ნეოკოლონიალისტთა იდეოლოგიურ სამსახურში. „ეკონომიური ზრდის“, „ეკონომიური დინამიკის“ საკითხებზე ბევრი ბურჟუაზიული ეკონომისტი წერს, მაგალითად, ე. დომარი („ეკონომიური ზრდის თეორიის ნარკვევები“), რ. ფ. ჰაროდი („ეკონომიური დინამიკის თეორიისათვის“);⁶¹ ვრცლად ეხება „ზრდის თეორიის“ საკითხებს თავის კაპიტალურ შრომა „მათემატიკური ეკონომიაში“ ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ლონდონის სკოლის“ წარმომადგენელი რ. ალენი.⁶² განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს „ეკონომიური ზრდის“ პროპაგანდის საქმეში უ. როსტოვი.

როსტოვის მიერ მოცემული „კლასიფიკაცია“ ფაქტიურად წარმოადგენს ნეოკოლონიალისტების მიერ ეკონომიურად სუსტად გან-

ვითარებული ქვეყნების ექსპლოატაციის გამართლებას. უ. როსტოვი მიმართავს სოციალურ დემაგოგიას. იგი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ თითქმის სუსტად განვითარებული ქვეყნების მიმართ სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოები მიზნად ისახავდნენ „ილენტურ ეკონომიურ მიზნებს“. მეტიც. როსტოვი თავის სტატიაში — „საბჭოთა გამოწვევა და ამერიკის შეერთებული შტატები“⁶³ — აცხადებს, რომ „სსრ კავშირში ბატონობს ისეთივე სულისკვეთება, როგორც თავის დროზე იყო ფაშისტურ გერმანიასა და იაპონიაში“. აი სადამდის მიდის როსტოვის ანტისოციალისტური, ცილისმწამებლური გამოხდომები.

„ეკონომიური ზრდის თეორია“ მიმართულია იქითკენ, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნები დატოვოს „ინტეგრირებული“ იმპერიალისტური სახელმწიფოების „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში. როსტოვი რჩევას აძლევს სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, რათა მათ განავითარონ სოფლის მეურნეობა და მშრომლებითი მრეწველობა. ამით აიხსნება ის, რომ ბურჟუაზიული პრესა დიდ ადგილს უთმობს როსტოვის „თეორიას“ „ეკონომიური ზრდის სტადიათა“ შესახებ. „ამ თეორიის გაცნობა გვიჩვენებს, რომ მის ერთადერთ მიზანს შეადგენს სუსტად განვითარებულ ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობის გამართლება და ამ ქვეყნებში უცხოეთის კაპიტალის ბატონობის შენარჩუნება, სოციალური ფაქტორების პოზიტიური როლის უარყოფა“⁶⁴.

იმ მიზნით, რომ სახელი გაუტეხოს ინდუსტრიალიზაციის სოციალისტურ მეთოდს და ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები უცხოეთის მონოპოლისტურ კაპიტალზე დამოკიდებული დატოვოს; ე. დომარი იქამდე მივიდა, რომ თავის წიგნში — „ეკონომიური ზრდის თეორიის შესავალი“ — გააიგივა მეურნეობის სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემები. „ამ წიგნის ყველაზე უფრო დიდი ნაკლი, — წერს ამერიკელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი პ. კროსერი, — იმაში მდგომარეობს, რომ დომარი ცდილობს განიხილოს კაპიტალისტური და სოციალისტური ეკონომიკის განვითარება, როგორც ილენტური მოვლენა“.⁶⁵

როსტოვს არ ჩამორჩებიან გფრ-ის ნეოლიბერალები, რომლებიც ნეოკოლონიალიზმს იცავენ „სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“, აგრეთვე „სოციალური პარტნიორობისა“ და „სოციალური ინტეგრაციის“ აბოლოგეტური თეორიით. დასავლეთ გერმანიის ნეოლიბერალებიც წინააღმდეგნი არიან სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციის გატარებისა და ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და ქადაგებენ, რომ კაპი-

ტალის დაგროვება ამ ქვეყნებში უნდა მოხდეს სტიქიურად, „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ თეორიაზე დაყრდნობით. ნეოლიბერალების მტკიცებიდან გამომდის, რომ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები უნდა დარჩნენ მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ბაზრებისა და „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში. ნეოკოლონიალისტების მიზანი ნათელია: მათ სურთ „მეცნიერულად“ დაამტკიცონ, რომ ჩამორჩენილი ქვეყნები უნდა „მოძრაობდნენ ნელა“ (ან კიდევ უკეთესია, სრულიად არ იმოძრაონ) ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიური განვითარების გზაზე.⁶⁶ ასეთია მათი აპოლოგეტური მოძღვრება „მრავალსტადიური ინდუსტრიალიზაციის თეორიის“ შესახებ.

„სილატაკის ჯადოსნური წრის“⁶⁷ თეორიამ ფართო გასავალი პოვა იმ ბურჟუაზიულ ეკონომისტებსა და სოციოლოგებს შორის, რომლებიც ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემებს იკვლევენ. „სილატაკის ჯადოსნური წრის“ ბურჟუაზიულ თეორიას დიდი ადგილი უკავია თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების წიგნებში. დასახელებული „თეორიის“ მთავარი წარმომადგენლები არიან ამერიკელი ეკონომისტები ელისი, ბიუკენენი, ჰიგენსი, რენდოლი, ნურქსე და სხვ. .

„სილატაკის ჯადოსნური წრის“ თეორია იმპერიალიზმის აპოლოგეტური თეორია არის, რომელიც უარყოფს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის თავიანთი ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევისა და ოდესმე სრული დამოუკიდებლობის მიღწევის ყოველგვარ შესაძლებლობას.⁶⁸

„სილატაკის ჯადოსნური წრის“ ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, მართალია, აღიარებენ სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ ჩამორჩენილობას, მაგრამ არასწორად, აპოლოგეტურად განმარტავენ ამ ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობის მიზეზებსა და ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის გზებსა და საშუალებებს. მათი რეცეპტები და პროგნოზები ეკონომიური ჩამორჩენილობის „ლიკვიდაციის“ უზრუნველსაყოფად ხელსაყრელია მონოპოლისტური კაპიტალისათვის.

„შეიძლება ითქვას, რომ ჩამორჩენილი ქვეყნები ნამდვილად მოხვდნენ „სილატაკის ჯადოსნურ წრეში“. ბურჟუაზიული ეკონომისტების ამ დებულებას შეიძლება დაეთანხმო, მაგრამ ჩამორჩენილობის მიზეზების ახსნაში — არა. ბურჟუაზიული ეკონომისტები მიუთითებენ ბევრ ისეთ ფაქტორზე, რომლებსაც აქვთ ერთგვარი მნიშვნელობა, მაგრამ უყურადღებოდ ტოვებენ მთავარს — დასავლეთის კაპიტალიზმის როლს ჩამორჩენილ ქვეყნებში და ადგილობ-

რივი მქონებელი კლასების როლს განვითარების პროცესში—უფრო ზუსტად, ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩამორჩენაში“⁶⁹ — აღნიშნავს პოლონელი ეკონომისტი ეეი კლევერი.⁷⁰

„სილატაკის ჯადოსნური წრის“ აპოლოგეტური თეორიის დამცველები უარყოფენ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების დამოუკიდებლობას და ამართლებენ ნეოკოლონიალიზმს, სუსტად განვითარებული ქვეყნების „ასოციაციას“, „ინტეგრირებას“ იმპერიალისტურ ქვეყნებთან. „სილატაკის ჯადოსნური წრის“ თეორეტიკოსების მტკიცებით ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნები იმიტომ ვერ ვითარდებიან, რომ ღარიბები არიან. სიღარიბის მიზეზად აცხადებენ კაპიტალის სიმცირეს, შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს. ბურჟუაზიული ეკონომისტები უ. ტაიხმანი (დასავლეთ გერმანია), უ. ტომსონი, ჯ. ბონერი, ვ. ლეონტიევი (აშშ), ლ. ბიუჟე (საფრანგეთი) და მათი მიმდევრები კაპიტალის სიმცირეს აცხადებენ ხალხის ცხოვრების დაბალი დონისა და ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩამორჩენილობის მიზეზად.⁷¹ ამრიგად, „სილატაკის ჯადოსნური წრის თეორიის მიხედვით. ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები გაბმული არიან „წონასწორობის მახეში“, ისინი ჩამორჩენილი არიან იმიტომ. რომ არა აქვთ კაპიტალი და ღარიბები არიან. სიღარიბის ლიკვიდაციისა და კაპიტალის დაგროვებისათვის საჭიროა ეკონომიური ჩამორჩენილობის მოსპობა, ეს კი შესაძლებელია სიღარიბის მოსპობით. მართლაც, გამოდის რაღაც ჯადოსნური წრე, რომლის გარღვევა ნეოკოლონიალიზმის დამცველთა აზრით შეუძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სუსტად განვითარებული ქვეყნები დახმარებისათვის არ მიმართავენ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მონოპოლისტური კაპიტალის „ეკონომიური დახმარება“ კი ნიშნავს ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვებას „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში. აშკარად ჩანს „სილატაკის ჯადოსნური წრის“ თეორიის აპოლოგეტურობა. იგი გამიზნულია იმისათვის, რომ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები მუდმივი კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ დარჩნენ.

ისმება კითხვა: რატომ აღმოჩნდნენ სუსტად განვითარებული ქვეყნები „მახეში“, „სილატაკის ჯადოსნურ წრეში“? კოლონიურმა ჩაგვრამ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნები უმწეო მდგომარეობამდე მიიყვანა. ამის მიზეზი იყო და არის კაპიტალიზმი, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა, კოლონიალიზმი.⁷²

ნეოკოლონიალიზმის დამცველები კი აპოლოგეტურად უპასუ-

ხებენ ზემოთ დასმულ კითხვას. რ. ნელსონის აზრით, „სილატაკის ჯადოსნური წრე“ და „წონასწორობის მახე“ გამოიწვია არა კაპიტალიზმმა, არამედ შემდეგმა პირობებმა: 1. დიდმა განსხვავებამ მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალსა და მოსახლეობის ზრდას შორის; 2. სუსტმა მისწრაფებამ იქითკენ, რომ დამატებითი შემოსავალი გამოყენებულ იქნეს ინვესტიციების გასადიდებლად; 3. დასამუშავებლად ვარგისი გამოუყენებელი მიწების არასაკმარისობამ და 4. წარმოების მცირე ეფექტურობა მეთოდებმა.

ნელსონის მიერ დასახელებული „არგუმენტები“ უსაფუძვლოა, რადგან ფაქტები სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებენ. მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ თვით ბურჟუაზიული ეკონომისტიცა და პუბლიცისტის ჯეკობ ოზერის წიგნზე „აღამიანებმა უნდა იზიმშილონ?“ ან კიდევ ლ. ჰეისტედის და ჯ. ფაიტის შრომაზე „აშშ-ის სასოფლო-სამეურნეო რაიონები“.⁷³

„დიდი ნახტომის თეორია“ უშუალო კავშირშია „სილატაკის ჯადოსნური წრის“ აპოლოგეტურ თეორიასთან. „დიდი ნახტომის თეორიის“ დამცველებიც (როზენშტეინ-როდანი) ამართლებენ იმპერიალისტურ „ინტეგრაციას“, სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვებას კოლონიური ჩაგვრის ქვეშ. დასახელებული აპოლოგეტური თეორიის წარმომადგენლებიც მთავარ საკითხად აცხადებენ კაპიტალის დაგროვების პრობლემას. სუსტად განვითარებულ ქვეყნებს არა აქვთ კაპიტალი ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, კაპიტალის დაგროვება სუსტად განვითარებულ ქვეყნებში სიღარიბის გამო შეუძლებელია, ე. ი. იმეორებენ „სილატაკის ჯადოსნური წრის“ აპოლოგეტური თეორიის „არგუმენტებს“.

„დიდი ნახტომის თეორიას“ რ. ნ. როზენშტეინ-როდანი (მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი) შემდეგნაირად განმარტავს: ქვეყნის გადაყვანა დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარების გზაზე მოგვაგონებს თვითმფრინავის მოწყვეტას მიწიდან. თვითმფრინავი რომ მოწყდეს მიწას და აფრინდეს ჰაერში, — წერს როზენშტეინ-როდანი, — ამისათვის ჯერ საჭიროა კრიტიკული სიჩქარის მიღწევა მიწაზე.⁷⁴

„ნახტომის ფაზა“, როსტოვის განსაზღვრით, ვარაუდობს შემდეგ სამ პირობას: 1. დაგროვების ნორმის გადიდება მრეწველობაში ეროვნული შემოსავლის ან წმინდა სოციალური პროდუქტის 5%-დან 10%-მდე; 2. გადამმუშავებელი მრეწველობის ერთი ან რამდენიმე მნიშვნელოვანი სექტორის განვითარების მაღალი ტემპებით; 3. პოლიტიკური, სოციალური ანუ ინსტიტუციონალური სა-

ფუძვლის სწრაფად შექმნას, პოტენციური დაგროვების სტარტზე ზემოქმედებას და სხვ.“⁷⁵.

უდავოა ის ფაქტი, რომ ქვეყნის ეკონომიური განვითარება მოითხოვს სათანადო სახსრებსა და სხვა საშუალებებს, მაგრამ მათი გამოძებნა შეიძლება თვით ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ეს თვალნათლივ დაამტკიცა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გატარებამ სსრ კავშირში. საგულანხმოა ის ფაქტი, რომ ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს უანგარო დახმარებას უწევენ სოციალისტური ქვეყნები და სხვ. ეს მომენტები ყურადღების გარეშე რჩებათ „დიდი ნახტომის“ თეორეტიკოსებს და ისინი სუსტად განვითარებულ ქვეყნებს უბიძგებენ (კაპიტალის დაგროვებისათვის) ინფრასტრუქტურის განვითარებისავე, „ჩითის ინდუსტრიალიზაციისავე“, ე. ი. სურთ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვება მეტროპოლიების სანედლეულო დანამატად. „დიდი ნახტომის“ თეორიის ნამდვილი მნიშვნელობა ის არის, რომ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს მოუწოდებს პირველ რიგში იმ დარგების განვითარებას, რომლებიც შეადგენენ ეკონომიკის ეგრეთწოდებულ ინფრასტრუქტურას ან, როგორც მას პროფ. როზენშტეინი უწოდებს „სოციალური და საერთო საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სფეროს.“⁷⁶

„დიდი ნახტომის“ თეორეტიკოსთა მიზანი ნათელია. ჯერ ერთი, ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩამორჩენას ისინი ხსნიან არა იმპერიალიზმითა და კოლონიალიზმით, არამედ რაღაც „ბუნების კანონებით“ (მათი განცხადებით სუსტად განვითარებულ ქვეყნებში არ იყო „სინქრონიზებული დიდი ნახტომი“). მეორე, ისინი ცდილობენ სუსტად განვითარებული ქვეყნების შენარჩუნებას ნეოკოლონიალიზმის ბრჭყალებში. იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის თეორეტიკოსები ცდილობენ სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობის „დაკონსერვებას“.⁷⁷ მაგალითად, „ამერიკის საგარეო პოლიტიკის პოლიტიკური ეკონომიის“ ავტორები ცდილობენ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების მრეწველობის განვითარების ყოველმხრივ შეზღუდვას. აშშ-ის მონოპოლისტური კაპიტალის თეორეტიკოსების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ საჭიროა ლათინური ამერიკის ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია, მაგრამ „ინდუსტრიალიზაციის“ გატარება იმგვარად, რომ იგი ხელსაყრელი იყოს მონოპოლისტური კაპიტალისათვის.

„დიდი ნახტომისა“ და „სილატაკის“ ჯაღოსნური წრის“ დოქტ-

რანის შევსებას წარმოადგენს „სტარტის“ ანუ „იმპულსის თეორია“.

„სტარტის“ ანუ „იმპულსის“ უახლესი ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორია იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და ნეოკოლონიალიზმის შენიღბული დაცვაა. იგი ემყარება თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკურ ეკონომიის ისეთ თეორიებს, როგორცაა „მულტიპლიკატორის“, „აქსელერატორის“, „ეკონომიური დინამიკის“ და სხვ. მსგავსი თეორიები.

„სტარტის“ ანუ „იმპულსის“ თეორეტიკოსები ირწმუნებიან, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნები იმყოფებიან „სილატაკის ჯადოსნური წრის“ მდგომარეობაში. ამ „ჯადოსნური წრიდან“ გამოსვლა შეიძლება „დიდი ნახტომის“ გაცემებით, მაგრამ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ „ნახტომის გაცემა“, მაშასადამე, აცემებენ ისინი დასკვნას, ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს „ბიძგი“, „იმპულსი“ უნდა მიეცეს „გარედან“. „გარედან ბიძგის მიმცემ ძალად“ კი მულტიპლიკატორის თეორეტიკოსები თვლიან „ინტეგრირებული“ ქვეყნების მონოპოლისტურ კაპიტალს.

„გარედან ბიძგის მიცემის“ შემდეგ სუსტად განვითარებული ქვეყნები აიღებენ „სტარტს“ და შემდეგ გადავლენ „მაღალი მასობრივი მოხმარების საზოგადოებაში“, — ასეთია „სტარტის“ თეორეტიკოსთა რეცეპტი ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის.

ძნელი გამოსაცნობი არაა „სტარტის“ თეორიის აპოლოგეტური ხასიათი. მართალია, იგი თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის უახლესი თეორიაა, მაგრამ მასში გარკვევით მოჩანს სენს „ბაზრის კანონისა“ და სხვა ვულგარული თეორიების ნამსხვრევები.

„სტარტის საზოგადოება“ როსტოვის მიერ მოცემულ საზოგადოების ისტორიის კლასიფიკაციაში მესამე სტადიას წარმოადგენს. საზოგადოება ამ ეტაპზე იწყებს განვითარებას გარედან „იმპულსის“ მიცემით, გარეგანი ბიძგის მეშვეობით. „სტარტის“ საზოგადოება“ ანუ როსტოვის კლასიფიკაციის მესამე სტადია წინა სტადიებისაგან განსხვავდება ინვესტიციის მაღალი ნორმით. ინვესტიციებს მასშტაბისა და ნორმის გადიდებისათვის როსტოვი აუცილებლად თვლის მონოპოლისტური კაპიტალის ჩარევას სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. „სტარტის ფაზა“ როსტოვის კლასიფიკაციაში წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს ჩამორჩენილი საზოგადოებიდან განვითარებულისაკენ.

„სტარტის საზოგადოების“ თეორეტიკოსები სწორად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნები იმყოფებიან „წონასწორობის მახეში“, რომ მათ საკუთარი ძალებით გაუძნელდებთ „სილატაკის ჯაღოსნური წრის“ გარღვევა. მეტიც. ბურჟუაზიული ეკონომისტების ერთი ნაწილი, რომელიც იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ პოზიციებიდან განიხილავს ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების საკითხებს. სრულიად უარყოფს „სილატაკის ჯაღოსნური წრის“ გარღვევის შესაძლებლობას, თუ გარედან არ იქნება მიცემული „ბიძგი“, „ძლიერი იმპულსი“. ამ „ძლიერი იმპულსისათვის“, „თავდაპირველი იმპულსისათვის“ როზენშტეინ-როდანი აუცილებლად თვლის „ინვესტიციების მინიმუმს“, რომელიც, მისი აზრით, სუსტად განვითარებულ ქვეყნებს მისცემს „ძლიერ იმპულსს“ და ისინი თვითმფრინავის მსგავსად მოსწყდებიან უძრავობას, „სტაგნაციას“. ამ „თავდაპირველ სტიმულს“ პროფ. გ. ჰაბერლერი უწოდებს სწორედ „სტარტერს“⁹⁸. „თავდაპირველი იმპულსის“, „სტარტერის“, „პირველი ბიძგის თეორიის“ დამკველთა მიხედვით საჭიროა ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს გარედან მიეცეთ თავდაპირველი ბიძგი და შემდეგ ისინი ავტომატურად განვითარდებიანო. თუ როგორი უნდა იყოს „თავდაპირველი ბიძგი“, ამის შესახებაც პირდაპირ მიუთითებენ, რომ საჭიროა მეტროპოლიების კაპიტალის ჩარევა, მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ინვესტიციები და ინფრასტრუქტურის განვითარება. კომენტარები ზედმეტია.

„ინტეგრაციონალისტები“, მართალია, აღიარებენ კაპიტალის სიმცირეს ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. მაგრამ გვერდს უვლიან კაპიტალის დაგროვების შინაგანი წყაროების არსებობას. ისინი ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ურჩევენ, რომ განავითარონ არა წარმოების საშუალებათა წარმოება (ამას უწოდებენ აგრეთვე „გიგანტომანიას“), არამედ ინფრასტრუქტურა. ბურჟუაზიულ ეკონომისტთა იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსთა „გულისტკივილი“, რომ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნები იმყოფებიან „სილატაკის ჯაღოსნურ წრეში“, არაფერს არ ცვლის. მათი რეცეპტები ნიშნავს: „სილატაკე — უმნიშვნელო დაგროვება — სილატაკე“. ე. ი. „სილატაკის ჯაღოსნური წრის“ დატოვებას გაურღვევლად.

ამერიკელი პროგრესული ეკონომისტი პ. ბარანი აკრიტიკებს „ეკონომიური ზრდის“ ბურჟუაზიულ თეორიებსა და რეცეპტებს და აღნიშნავს, რომ „ეკონომიური განვითარების ტემპი და მიმართულება რომელიმე ქვეყნისათვის მოკემულ დროში დამოკიდებულია

„ეკონომიური ნაშეტი“ სიდიდესა და მისი გამოყენების წესზეო. „ეკონომიური ნაშეტი“ ცნებაში პ. ბარანი გულისხმობს დაგროვებას. „ფაქტიური ეკონომიური ნაშეტი“, პ. ბარანის მიხედვით, ნაკლებია ზედმეტ ღირებულებაზე. „ფაქტიური ეკონომიური ნაშეტი“. — წერს პ. ბარანი — წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც დაგროვებას ხმარდება“.79 პ. ბარანი ააშკარავებს მონოპოლისტური და „ოლიგოპოლისტური“ კაპიტალის აპოლოგეტა „თეორიების“ ნაპღვილ მიზანდასახულებას და აღნიშნავს, რომ ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს იმპერიალისტთა „დახმარების“ გარეშეც შეუძლიათ განვითარება. თუ მიღებული იქნება რევოლუციური ხასიათის სოციალური ღონისძიებები.

2. ნეომალთუსელობა ნეოკოლონიალიზმის სამსახურში

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის სხვადასხვა მიმდინარეობათა და მიმართულებათა რიგებში დგას თანამედროვე მალთუსელობა — ნეომალთუსელობა.⁸⁰ იგი ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი რეაქციული სკოლაა. ნეომალთუსელობა, როგორც ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის რეაქციული მიმდინარეობა, დიდ როლს ასრულებს ნეოკოლონიალიზმის იდეოლოგიურ არსენალში. სუსტად განვითარებული ქვეყნების სილატაკისა და ეკონომიური ჩამორჩენილობის მთავარ მიზეზად ნეომალთუსელები მოსახლეობის სწრაფ გამრავლებას ასახელებენ.

მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ეკონომიური განვითარების ტემპები ნელდება და ისინი ძლივს უსწრებენ წინ მთელ რიგ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდას. ცნობილია, რომ უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების საშუალო წლიური ტემპი არ აღემატებოდა 5%-ს, სოციალისტურ საყაროში კი ეს ტემპი შეადგენდა თითქმის 14%-ს. როგორია მოსახლეობის ზრდის ტემპები? დედამიწის მოსახლეობა 2314,1 მილიონი ადამიანიდან (1947 წ.) გაიზარდა 2962,6 მილიონამდე (1960 წ.), ე. ი. მოსახლეობის ზრდამ 13 წლის განმავლობაში შეადგინა 648,5 მილიონი კაცი, მოსახლეობის საშუალო წლიური მატება შეადგენდა დაახლოებით 40—50 მილიონ კაცს (1,6%). მსოფლიოს მოსახლეობა 1963 წ. დასაწყისში იყო 3150 მლნ. კაც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოგრაფიული წელიწ-

დეულის ცნობებით. რომლებიც შვეიცარიის გაზეთებში გამო-
ქვეყნდა. დედამიწის მოსახლეობის წლაურმა ზრდამ შეადგინა 1957
წ. 45 მილიონი კაცი. ხოლო 1959 წ. — 48 მილიონი კაცი, 1961
წელს — 61 მილიონი კაცი. 1950—1961 წლებში მოსახლეობა გაი-
ზარდა 560 მილიონი კაცით. საშუალო წლიური მატება 1950—1961
წლებში იყო 1,8%. განსაკუთრებით საგრძნობი იყო მატება
1960—1961 წლებში (2%). ამ წლებში მოსახლეობის საშუალო
წლიური მატება შეადგენდა: სამხრეთ ამერიკაში — 3,5%-ს.
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში — 3,2-%, ცენტრალურ ამერიკაში —
3%-ს.⁸¹ შობადობის ყველაზე მაღალი დონე აღინიშნებოდა აფრი-
კაში, ხოლო ყველაზე დაბალი (1961 წ.) — დასავლეთ ბერლინში.
ყოველ ათას კაცზე შობადობა შეადგენდა: გვინეაში 60 კაცს, შუა
აღმოსავლეთის ქვეყნებში — 40—50, აშშ-ში — 24,8. ნიდერლან-
დებში — 21,5, გერ-ში — 16,3, დიდ ბრიტანეთში — 15,9, დასავ-
ლეთ ბერლინში — 10,6 (1961 წ.), ხოლო სამხრეთ კორეაში —
მხოლოდ 10 კაცს. ერთი წუთის განმავლობაში დედამიწის მოსახ-
ლეობა იზრდება 85 კაცით, ე. ი. 5100 კაცით ერთ საათში. ყოველ
ათას კაცზე საშუალოდ დედამიწაზე იბადება (1957 წ.) 34, ხოლო
კვდება 18 კაცი, ე. ი. სუფთა მატება ყოველ ათას კაცზე წლის გან-
მავლობაში შეადგენდა 16 კაცს, ანუ 1,6%-ს, ხოლო 1950—1961
წლებში — 1,8%-ს.

მალთუსისა და ნეომალთუსელების „გაანგარიშებით“ კი მოსახ-
ლეობის რაოდენობა ყოველ 25 წელიწადში უნდა ორკეცდებოდეს,
რაც არ შეეფერება სინამდვილეს. აი დამატებითი ფაქტებიც⁸²
(ცხრილი 6).

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ დედამიწის მოსახლეობა 60
წლის მანძილზე (1900 — 1960 წწ.) 1593,4 მილიონი კაციდან გაზრ-
დილია 2962,6 მილიონამდე.

მართალია, ამ პერიოდში ორჯერ იყო მსოფლიო ომი, რომლებ-
მაც მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა და უარყოფითად
იმოქმედა მოსახლეობის ზრდაზე, მაგრამ მშვიდობიან პერიოდშიც
კი მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა არ აღემატება 1,5 —
1,8%-ს, სურსათის წარმოების საშუალო წლიური მატება კი შეად-
გენს 3%-ს. მაშასადამე, მოსახლეობა იზრდება, მაგრამ მალთუსისა
და ნეომალთუსელების ვარაუდები გეომეტრიული პროგრესიით
მოსახლეობის ზრდის შესახებ არ მართლდება. თანამედროვე მალ-
თუსელები დგანან იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის იდეო-
ლოგთა უკიდურესად მემარჯვენე და რეაქციულ ფლანგზე. მათი

	1900 წ.		1923 წ.		1938 წ.		1947 წ.		1960 წ.	
	გადასახადების -ის რაოდენობა	საერთო დასახელება	გადასახადების -ის რაოდენობა	საერთო დასახელება	გადასახადების -ის რაოდენობა	საერთო დასახელება	გადასახადების -ის რაოდენობა	საერთო დასახელება	გადასახადების -ის რაოდენობა	საერთო დასახელება
მეობა	9,7	392,3	5,4	345,8	5,4	392,9	4,9	381,5	4,9	427,2
აზია	44,2	819,6	27,1	980,1	27,1	1155,5	26,9	1226,8	26,9	1645,1
აფრიკა	29,8	140,7	30,1	132,6	30,1	155,1	30,1	191,0	30,1	252,3
ამერიკა	38,6	144,2	42,0	209,9	42,0	272,1	42,0	309,8	42,0	406,1
ავსტრალია და ოკეანეთი	10,5	6,6	8,6	8,2	8,6	10,6	8,6	12,0	8,6	15,6
სსრ კავშირი	—	—	21,7	134,9	21,7	170,6	22,4	193,0	22,4	216,2
ს უ ლ	132,8	1503,4	134,9	1811,5	134,9	2156,5	134,9	2314,1	134,9	2962,2

მიზანია მონოპოლისტური კაპიტალის მიერ კაპიტალისტური ქვეყნებისა და განსაკუთრებით კი ეკონომიურად სუსტად განვითარებული სახელმწიფოების მოსახლეობის ექსპლოატაციის გამართლება.

ისმება კითხვა: მაინც რატომ არიან მოსახლეობის ზრდით ასე შეშფოთებული ნეომალთუსელები? განსაკუთრებით მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ნეომალთუსელები? რატომ გაიძახიან ისინი, რომ ცივილიზაციას, კაცობრიობას, ემუქრება „გენეტური კატასტროფა“, „გენეტური ეროზია“? პასუხი ერთია მხოლოდ. ნეომალთუსელები არ ღალატობენ თავიანთ წინამორბედს — მალთუსსა და მის „ხალხთმოსახლეობის“ რეაქციულ კანონს. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის წინააღმდეგობებით გამოწვეული წყლულების ახანა და შელამაზება მათ ამჭერადაც მალთუსური რეაქციული თეორიის გამოყენებით სურთ. ნეომალთუსელები მონოპოლისტური კაპიტალიზმის ლაობისა და პარატიზმის მიჩქმალვას ცდილობენ „ბუნების კანონებით“. მათი აზრით, უმუშევართა არმიების არსებობის, სუსტად განვითარებულ ქვეყნების ჩამორჩენილობის, სიღატაკისა და სხვა უბედურებათა მიზეზია არა კაპიტალისტური ურთიერთობანი, კაპიტალისტური წყობილება, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა, არამედ მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა.

შეშფოთებულნი არიან რა აზრის. აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის სწრაფი ზრდითა და მისი „კატასტროფული“ შედეგებით, ნეომალთუსელები გამოსავალს ხედავენ მოსახლეობის სელოვნურ შენეობაში. ხოტბას ასხამენ სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციაზე და იმპერიალისტურ ომებს. აი ნეომალთუსელობის, როგორც იმპერიალისტური რეაქციული წრეების იდეოლოგიის, ნამდვილი მიზანი.

ამრიგად, ნეომალთუსელობის, როგორც თანამედროვე ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ურეაქციულესი მიმდინარეობის. მიზანია მონოპოლისტური კაპიტალის აღვირახსნილი მოქმედებისა და დესპოტიზმის, ნეოკოლონიალიზმის იდეოლოგიური დასაბუთება, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტიკა.

მალთუსელობის თანამედროვე დამცველები დღესაც ფიქრობენ პროგრესული საზოგადოების დაშინებას მოსახლეობის მეტისმეტი ზრდით (გეომეტრიული პროგრესით) და საარსებო საშუალებათა უმნიშვნელო მატებით. „ხალხთმოსახლეობის“ რეაქციულ თეორიას ისინი უკავშირებენ ე. წ. ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების „კანონს“. „კლებადი ნაყოფიერების ცნობილი კანონი“ ძველი ბურჟუაზიული ნაგავია, რომელიც ემსახურება კაპიტალიზმის გა-

მართლებას უმეცართა და ბურჟუაზიის დაქირავებულ მეც-
ნიერთა ხელში. მარქსმა დიდი ხანია გააბათილა ეს „კანონი“, რო-
მელიც ბრალს აკისრებს ბუნებას (შრომის ნაყოფიერება ეცე-
მა, — აქ ვერაფერს ვერ იზამო!), მაშინ როცა სინამდვილეში ბრალი
მიუძღვის კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობი-
ლებას⁸⁴. ნეომალთუსელები სწორედ იმ უეჭველი ფაქტის მიჩქ-
მალვას ცდილობენ, რომ თითქოს კაპიტალისტური წყობილება, მისი
კოლონიური სისტემა კი არაა უმუშევრობის, შიმშილისა და სიღა-
ტაკის მიზეზი, არამედ ბუნება, ბუნების კანონები. ნეომალთუსელები
განსაკუთრებით ბევრს ხმაურობენ ნიადაგის ეროზიისა და ნაყო-
ფიერების შემცირების შესახებ. ამას მართლაც აქვს ადგილი, მაგრამ
მისი მიზეზია მიწის კაპიტალისტურად გამოყენება, კაპიტალისტურ-
ი წარმოებითი ურთიერთობა. სწორი არიან ნეომალთუსელები,
როცა აღნიშნავენ კაპიტალიზმის პირობებში ტყეების ბარბაროსუ-
ლად გაჩეხვას, ნიადაგის ეროზიას. მიწის კაპიტალისტურად გამოყე-
ნების შედეგად ხელოვნური უდაბნოები იქმნება და სხვ. ვ. ფოგტი
თავის შრომაში — „მიწა შურს იძიებს“⁸⁵ — ლაპარაკობს ეროზიისა
და გამოფიტვის შესახებ და აცხადებს, რომ „მიწა შურს იძიებს“. ამ
უბედურებათა მიზეზებს კი არასწორად განმარტავს. ცნობილია,
რომ მათი მიზეზია არა ადამიანთა სწრაფი გამრავლება, „ბუნების
კანონები“, არამედ თვით კერძო საკუთრებაზე დამყარებული კაპი-
ტალისტური წყობილება, „რომ არ არსებობს მოსახლეობის არავი-
თარი სხვა ზეისტორიული, აბსტრაქტული საყოველთაო კანონი,
რომელიც სავალდებულოა კაცობრიობის განვითარების ყველა
ფორმაციისა და ეპოქისათვის. ეს იმიტომ, რომ მოსახლეობის ამ
ობიექტური კანონის განმსაზღვრელია თვით წარმოების წესი, სათა-
ნადო საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობა, რომელთა რეა-
ლურ გამოხატულებას წარმოადგენს ეს კანონი“⁸⁶.

ცნობილია, რომ კაპიტალისტურ სოფლის მეურნეობაში ადგილი
აქვს მექანიზაციასაც. მაგრამ იგი ცალმხრივი ხასიათისაა. „სოფლის
მეურნეობის ცალმხრივი მექანიზაცია კაპიტალისტური ეკონომიკის
ერთ-ერთი ტიპური ნიშანია... ცალმხრივი მექანიზაცია აჩქარებს
ეროზიას“⁸⁷. ბრაზილიელი დემოგრაფის ჟოზე დე კასტროს ცნო-
ბით, ყოველწლიურად 60 მილიონი ადამიანი კვდება, აქედან 30 —
40 მილიონი კაცი იხოცება შიმშილისა და სიღატაკის გამო. მაგალი-
თად, პაკისტანში, რ. ალი შაჰის (დღეათა და ბავშვთა დაცვის პაკის-
ტანის ასოციაციის თავმჯდომარე) ცნობით, ყოველწლიურად თანა-
მედროვე სამედიცინო საშუალებათა უქონლობის გამო კვდება 450
ათასი ბავშვი და 21,6 ათასი ორსული ქალი. გაერთიანებული ერე-

ბის ორგანიზაციის ცნობით ლათინური ამერიკის 200 მილიონზე მოსახლეობიდან 50 მილიონი შიმშილობს. ერნან სანტა კრუსმა 1962 წ. ნოემბერში განაცხადა, რომ დედამიწაზე შიმშილობს 300 — 500 მილიონი ადამიანი, ხოლო კვების ნაკლებობას განიცდის 1 მილიარდზე მეტი ადამიანი⁸⁸.

ამ უბედურებათა მოსპობა ნეომალთუსელებს შესაძლებლად მიაჩნიათ არა კაპიტალისტური წყობილებას ლიკვიდაციით, არამედ შობადობის შემცირებითა და სრკვილიანობის გაღივებით, ე. ი. მოსახლეობის ხელოვნური შემცირებით. განსაკუთრებით გააქტიურდნენ ნეომალთუსელები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ძალიან დიდი გასაჯვარი აქვს ნეომალთუსელობას მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში კი აშშ-ში. გერ-ში კი ნეომალთუსური იდეების პროპაგანდა ხდება გერმანული გეოპოლიტიკის საბით. კ. ჰუსპოფერი, რასიზმის ფაშისტური ფანტიკოსი გიუნტერი, ჰ. გრიმი და სხვები ნეომალთუსური იდეებით გამოდიოდნენ. გერმანული გეოპოლიტიკის წარმომადგენელთა მოძღვრება იყენებდა და იყენებს მალთუსელებისა და ნეომალთუსელების რეაქციულ იდეებს. ნეომალთუსელობა და გეოპოლიტიკა ბონელი რევანშისტების სამსახურში დგას. ნეომალთუსელობის რეაქციული, კაცთმოძულე თეორიის სამსახურშია ჩაყენებული 20-მდე სხვადასხვა ორგანიზაცია აშშ-ში. მაგალითად, მალთუსელობის „ხალხთ-მოსახლეობის“ რეაქციული თეორიის პროპაგანდას ეწევიან „ადამიანთა გაუმჯობესების ამერიკის ასოციაცია“, „მალთუსური ლიგა“, „ბავშვთწარმოების დაგეგმვის ფედერაცია“, „ამერიკის ევგენიკური საზოგადოება“, „ამერიკის გენეტიკური ასოციაცია“ და სხვ. ერთ-ერთი ამ ორგანიზაციის პრეზიდენტია ნეომალთუსელი ვილიამ ფოგტი. ორგანიზაციის ფილიალები აქვს შტატებში და მათი საშუალებით ავრცელებს მალთუსური იდეებით გაყვნილ ინსტრუქციებსა და რჩევა-დარიგებებს.

ვ. ფოგტის მალთუსურ, რეაქციულ ფედერაციას აქვს საკუთარი ჟურნალი, რომელიც ყოველთვიურად გამოდის. 1951 წ. იანვრიდან დასავლეთ გერმანიაშიც გამოდის ანალოგიური ყოველთვიური ჟურნალი⁸⁹, 1944 წლამდე ამ ჟურნალის გამოცემას ხელმძღვანელობდნენ გერმანული გეოპოლიტიკის თეორეტიკოსი კარლ ჰუსპოფერი და მისი შვილი ალბერტ ჰუსპოფერი. კვლავ აღორძინდა ნაციტური „გეოპოლიტიკის კავშირი“.

თანამედროვე მალთუსელები თავიანთ იდეებს ავრცელებენ არა მარტო მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებშიც, მსოფლიო მასშტაბით. ამე-

რეკლ ნეომალთუსელებს თავიანთი ბიუროები აქვთ შექმნილი ინდოეთში (აზიისათვის), ლონდონში (ევროპისათვის) და ნიუ-იორკში (ჩრდილოეთ ამერიკისათვის). ამერიკელი ნეომალთუსელების ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით 1952 წლის ნოემბერში ბომბეში ჩატარდა ნეომალთუსელთა ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო მოსახლეობის გამრავლების შეზღუდვა და მოსახლეობის შემცირება. განტვირთვა „ზედმეტი“ მოსახლეობისაგან. ნეომალთუსელთა ბომბეის ყრილობის მთავარი მიზანი იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგობებით გამოწვეულ უბედურებათა — უმუშევრობის, შიმშილის, სიღატაკისა და სხვ. მიზეზების აპოლოგეტური ახსნა, ე. ი. მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვა.

ნეომალთუსელობის იდეებით გამოდიან ვ. ფოგტი, რ. კუეი, უ. ტოპსონი, ფ. პირსონი, ფ. პარპერი (აშშ-ში), ბ. ჩისპოლმი — „თანამედროვე კანადელი მალთუსი⁹⁰“, ა. ბერტუისლი, ჩ. ლოუ, ჯ. ჰაქსლი (ინგლისში), პ. რებუ, ა. სოვი (საფრანგეთში) და სხვ. მალთუსისა და ნეომალთუსელების (ჯ. ჰაქსლის, უ. ფოგტის) თვალსაზრისზე დგას გერმანელი ა. ვებერი⁹¹, რომელმაც გამოაქვეყნა წიგნი „მესამე თუ მეოთხე ადამიანი. ისტორიული ყოფიერების აზრის შესახებ“⁹². ნეომალთუსურ იდეებს იზიარებენ და ქადაგებენ გეოპოლიტიკის თეორეტიკოსებიც⁹³.

ვ. ფოგტმა 1948 წ. გამოაქვეყნა კაცთმობულე წიგნი „გზა გადარჩენისაგან“. ვ. ფოგტის მიხედვით ცივილიზაციას, ადამიანთა სამყაროს ემუქრება კატასტროფა. კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში სიღატაკისა და შიმშილის მოსპობა ვ. ფოგტს შესაძლებლად მიაჩნია მალთუსელობის რეაქციული რეცეპტით — შობალობის შემცირებითა და სიკვდილიანობის გადიდებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით რ. მალთუსი მოსახლეობის შემცირებას მოითხოვდა უმთავრესად დაბედებისა და გამრავლების შეზღუდვით. ვ. ფოგტი კი უფრო „შორს“ მიდის და მის „ნეომალთუსურ მოძღვრებაში“ ცენტრალური ადგილი უკავია სიკვდილიანობის გადიდებას, როგორც „ჭარბმოსახლეობის“ შემცირებისა და „სრული დასაქმების“ მთავარ საშუალებას. ვ. ფოგტმა თავის წიგნში — „გზა გადარჩენისაგან“ — სპეციალური განყოფილება დაუთმო საკითხს „სიკვდილიანობის მნიშვნელობის შესახებ“.

ამრიგად, თვით ვ. ფოგტი გამოდის პროგრესის, ცივილიზაციის, მედიცინის მიღწევათა ცხოვრებაში დანერგვის წინააღმდეგ. ოღონდ მოსახლეობა შემცირდეს და კაპიტალიზმი განიტვირთოს „ჭარბი მოსახლეობისაგან“ და ვ. ფოგტისათვის სულ ერთია, რა საშუალებები იქნება გამოყენებული. ნეომალთუსელები ადამიანთა საზოგა-

დობაზე აგრელებენ „ბრძოლას არსებობისათვის“. ამართლებენ აგრესიულ ომებს და ქადაგებენ „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნას. „მსოფლიო სახელმწიფოს“ წინაშე კი აყენებენ ამოცანას — მოახდინოს „მოსახლეობის გამრავლების რეგულირება“.

განსაკუთრებით ილაშქრებს ვ. ფოგტი მედიცინის წინააღმდეგ. ფოგტი და მისი თანამოაზრეები აცხადებენ: „ძირს მედიცინა“. ვ. ფოგტი წერს: „ადამიანებმა გამოძებნეს სერიოზულ ავადმყოფობათა მკურნალობის საშუალება, რის წყალობითაც იწყო გაქრობა მოსახლეობის ზრდის ყველაზე ეფექტურმა ბუხარუქმა“. ექიმების, მედიცინის მიერ დაავადებათა განკურნება ვ. ფოგტს მიაჩნია უბედურებად და ცივილიზაციის კატასტროფად. აი სადამდე მიჰყავს ნეომაღთესელები მონოპოლისტური კაპიტალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის აპოლოგეტიკას.

ვ. ფოგტმა „ცივილიზაციის“ გადარჩენის, უფრო სწორად, აშშ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის „გაჯანსაღებას“ მიზნით მსოფლიოს მოსახლეობას ხელოვნური შემცირების პროექტაც შეიმუშავა. ევროპის მოსახლეობა, ვ. ფოგტის პროექტით უნდა განახევრდეს ან ერთ მესამედამდე დავიდეს. აშშ-ის მოსახლეობა დაყვანილ უნდა იქნას 100 მილიონამდე, დანარჩენ 80 მილიონ კაცს კი იგი „ზედმეტად“ თვლის. ვ. ფოგტი მოითხოვს ჩინეთის, სსრ კავშირისა და სუსტად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის შემცირებას. მსოფლიოს მოსახლეობის შემცირება და „ნორმალურ დონემდე“ დაყვანა ვ. ფოგტს შესაძლებლად მიაჩნია ძირითადად აზიელთა და აფრიკელთა ხელოვნურად შემცირების ხარჯზე.

განსაკუთრებით შეშფოთებულია ვ. ფოგტი ჩინეთის მოსახლეობის ზრდითა და „შემშლლობის მოახლოებით“ ჩინეთში. აქ ჩვენთვის ყველაფერი ნათელია. ვ. ფოგტს აწუხებს სახალხო დემოკრატიული ჩინეთის წარმატებანი, მრავალმადლიონიანი ჩინელი ხალხის მიღწევები და არა „ჩინელი ხალხის შიმშილი“. აი რას წერს ვ. ფოგტი თავის წიგნში — „გზა გადარჩენისაკენ“. „ჩინეთის მოსახლეობა, რომელიც გეომეტრიული პროგრესიით მრავლდება, აუცილებლად უბედურებად იქცევა მთელი მსოფლიოსათვის“. ამერიკელმა გეოგრაფ-მაღთესელმა ბეკერმა რეაქციულ „გეოგრაფიის ჟურნალში“ განაცხადა, რომ 100 წლის შემდეგ ჩინეთის მოსახლეობა მიაღწევს 900 მილიონს, ხოლო სსრ კავშირისა 400 — 450 მილიონს⁹¹. ეს მრავალმილიონიანი კომუნისტური ქვეყნები წალეკავენ აშშ-ს, მის ცივილიზაციასო. ამიტომ ის მოითხოვს ომის დაწყებას „აღმოსავლეთის წინააღმდეგ“. აი ანტიკომუნისტური კიდევ ერთი საფრთხობელა. აი როგორ სურს „ცივილიზაციის“ გადარჩენა. ე. ი. სახელმწიფო-

მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადარჩენა ვ. ფოგტს კომუნისტური სამყაროსაგან, კომუნიზმისაგან და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის შენარჩუნება.

ვ. ფოგტი თავის წიგნს ანთავრებს სიტყვებით: „ადამიანთა მოდგმა ჩავარდა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეიძლებოდა შეგვედარებინა იმ ადამიანის მდგომარეობასთან, რომელსაც ორი ნომრით პატარა ფეხსაცმელი აცვიოა“. ამერიკელი პროგრესული ეკონომისტი პ. ბარანი კი შენიშნავს: „ფრიად მოხდენილი შედარებაა! მაგრამ ეს ფეხსაცმელი არის მონოპოლისტური კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი“⁹⁵. მაშასადამე, საჭირო არაა მოსახლეობის გაუღეტა და ხელოვნურად შემცირება. სიღატაკის, შიმშილის, კრიზისების, უმუშევრობის, ომების, ადამიანის ჩაგვრისა და ტანჯვის ლიკვდაციისათვის საჭიროა თვით ამ უბედურებათა ნანდვილი მიზეზის — კაპიტალიზმის მოსპობა.

რობერტ კუკიც ნეომალთუსელია. ის ნეომალთუსური ჟურნალის („მემკვიდრეობის ჟურნალი“) მთავარი რედაქტორია. რ. კუკმა 1951 წ. გამოაქვეყნა კაცთმოდულე, მალთუსური იდეებით გაუღენთილი წიგნი „ადამიანის გამრავლების უნარი — თანამედროვე დღემ“ (1951). რ. კუკის აზრით, ძალიან სწრაფად მრავლდებიან ღარიბები და უმუშევრები, სუსტად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა. ამიტომ იგი მოითხოვს „საგანგებო ჰოციალური ხასიათის ღონისძიებებს“ გატარებას. რ. კუკის გაანგარიშებით 1995 — 2100 წწ აშშ-ის მოსახლეობას უმუქრება „გენეტური კატასტროფა“. „გენეტური ეროზია“. უმუშევრობისა და სიღატაკის მოსპობა და „სრული დესაქმების“ უზრუნველყოფა რ. კუკს შეუძლებლად მიაჩნია, თუ ხელოვნურად არ შემცირდა მოსახლეობა. ნეომალთუსელები, როგორც იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის იდეოლოგები. მოითხოვენ სასწრაფო ზომების მიღებას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში შობადობის შესამცირებლად. მოსახლეობის გამრავლებას შემცირებას ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ისინი „საბაბუთებენ“ იმით, რომ გაიძინან „ყვეთელი კალიბის“ საშიშროებაზე, იმის „საფრთხეზე“, რომ „აზიელები წალეკავენ თეთრკანიანებს“ და სხვ.

რ. კუკი ყურადღებას არ აქცევს საწარმოო ძალთა განვითარებას. ტექნიკური პროგრესის საკითხებს და საერთოდ თვლის, რომ მოსახლეობის გამოკვება შეუძლებელია. ზუსტად განვითარებული ქვეყნების ჩამორჩენილობის მიზეზად იგი აცხადებს არა კოლონიურ ჩაგვრას, არამედ მოსახლეობის სწრაფად გამრავლებას.

აქ ყველაფერი ნათელია. რ. კუკი ნეომალთუსელია და მისი მი-

ზანია მონოპოლისტური კაპიტალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის დაცვა. ამიტომ მიმართავს იგი დემაგოგიასა და სინამდვილის დამახინჯებას. აი როგორ ცინიკურად დასცინის იგი თავის წიგნში — „თანამედროვე დილემა“ — მეცნიერებას, მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობას, ადამიანებს. რ. კუკი წერს: „მეცნიერებმა ზღვის წყლისაგან პურისა და ბიფტექსების დამზადების წესის გამოძენაც რომ შეძლონ, განა შეიძლებოდა ამდენი ადამიანის გამოკვება“⁹⁶?

„ხალხთმოსახლეობის“ რეაქციული თეორიის პროპაგანდისტი „ქარბმოსახლეობის“ წარმოშობას ჩვეულებრივად, ბუნებრივად თვლის ყველა ფორმაციაში. ცხადია, აქ იგი სიყალბეს ქადაგებს და ცილისმწამებლური გამონდომებით გამოდის სოციალიზმის წინააღმდეგ. ფაქტია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს უმუშევრობა, ქარბწარმოების კრიზისები, შეფარდებითი ქარბმოსახლეობა და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სხვა უბედურებანი.

რ. კუკი რეაქციული კაცთმოძულე თეორიითა და შეხედულებებით ძალიან ახლოს დგას ფეშისტების იდეოლოგიასთან. სამართლიანად შენიშნავს პროგრესული ამერიკელი ეკონომისტი პ. ბარანი რ. კუკისა და ა. ჰიტლერის შეხედულებათა ანალოგიაზე⁹⁷.

რ. კუკის შეხედულებებს აწონებს ამერიკელი ნეომალთუხელი ე. პენდელი, ავტორი წიგნისა „მოსახლეობის შეუჩერებელი ზრდა“ (1951 წ.). ელმარ პენდელი ადამიანებს ორ ჯგუფად ყოფს: ა) „ზეადამიანები“, რომლებიც წყვეტენ პრობლემებს და ბ) ადამიანები, რომლებიც „სოციალურ ტვირთს“ წარმოადგენენ. პენდელს ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის (ე. ი. მონოპოლისტური კაპიტალიზმის შენარჩუნებისათვის) აუცილებლად მიაჩნია „ადამიანთა დახარისხება“ და „ზედმეტა ადამიანების“, ე. ი. მილიონობით მშრომელი, პატიოსანი ადამიანის მოსპობა. ადამიანთა გამრავლების შეჩერების ერთ-ერთ საშუალებად მას მიაჩნია ქორწინების აკრძალვა იმათთვის, ვინც ღარიბია, ვინც 100 დოლარზე ნაკლებს იღებს თვეში. პენდელი მოითხოვს აგრეთვე სტერილიზაციის ჩატარებას და მაღალი, კეთილშობილი რასის მოშენებისათვის ადამიანთა ხელოვნური განაყოფიერების სპეციალური პუნქტების შექმნას. ამასვე იზიარებენ უ. პიტკინი, ე. მონტენო, რ. ჯერარდი და სხვები. ერთგვარ „ლიბერალურ ზომიერებას“ ჩვენს შვედი ეკონომისტი გ. მიურდალი. იგი მოითხოვს დროებითი სტერილიზაციის ჩასატარებელი იაფი და მარტივი პრეპარატის დამზადებას. ასეთი პრეპარატის აღმოჩენას იგი ადარებს ატომის გახლეჩის საიდუმლოების

ვასხნას. მეტიც, დროებითი სტერლიზაციის ინექციისათვის საჭირო პრეპარატის გამოგონებას უფრო მაღლა აყენებს⁹⁸. ცნობილია, რომ კერძანელმა და იაპონელმა იმპერიალისტებმა მალთუსელობა გამოიყენეს თავიანთი აგრესიული ომებისათვის. ნეომალთუსელობასა და „სოციალურ დარვინიზმს“⁹⁹ დღესაც იყენებს მონოპოლისტურა კაპიტალს ნეოკოლონიალიზმის შენარჩუნებისა და ახალი აგრესიული ომის მომზადებისა და გაჩაღებისათვის.

აგრესიული ომების მომზადების იდეოლოგიური დასაბუთების ცდას წარმოადგენს ამერიკელი ნეომალთუსელების ვ. ფოტის, რ. კუკისა და სხვათა წიგნები და მათში ჩამოყალიბებული რეაქციული იდეები. ნეომალთუსელობის პროპაგანდას წარმოადგენს პირსონისა და ჰარპერის წიგნი „მსოფლიო შიმშილი“ (1946 წ.), ბარჩისა და პენდელის — „ომისა თუ მშვიდობისაკენ მივყავართ ჭარბმოსახლეობას“, ტომპსონის — „მოსახლეობა და მშვიდობა წყნარ ოკეანეზე“ (1946 წ.), „ხალხთმოსახლეობა და პროგრესი აღმოსავლეთში“ (1959 წ.), ა. სოვის „მალთუსი და ორი მარქსი“ (1963) და სხვ. ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით აქტიურობს ამერიკელი დემოგრაფი და სოციოლოგი დოქტორი უორენ ტომპსონი. იგი 1929 — 1953 წლებში ხელმძღვანელობდა „მოსახლეობის პრობლემათა შემსწავლელი სკრიპსის ფონდს“, წლებს განმავლობაში იყო „ხალხთმოსახლეობის საკითხთა ამერიკის ასოციაციის“ პრეზიდენტი, „ხალხთმოსახლეობის პრობლემათა მეცნიერული გამოკვლევის საერთაშორისო კავშირის“ ვიცე-პრეზიდენტი, აშშ-ის მთავრობის კონსულტანტი და სხვ.

ამერიკელი ნეომალთუსელები პირსონი და ჰარპერი ამახინჯებენ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლას, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიას. მათი მტკიცებით კაცობრიობის ისტორია — ესაა მჭამელთა და კვების პროდუქტებს შორის არსებული შეუსაბამობის ისტორია. პოლიტიკური ეკონომიის როგორც მეცნიერების საგანი, ნეომალთუსელობა აზრით, არის იმ წინააღმდეგობის შესწავლა, რომელიც არსებობს ადამიანთა სწრაფად გამრავლებასა და საარსებო საშუალებათა ნელი ტემპით წარმოებას შორის. „თანამედროვე ნეომალთუსელები პოლიტიკური ეკონომიის საგნის განსაზღვრისას გამოდიან მოსახლეობის კაცთმოდულე აპოლოგეტური თეორიიდან. ამერიკელ ეკონომისტს რ. ბლომდეტს მიაჩნია, რომ პოლიტიკური ეკონომია არის მეცნიერება, რომელიც აღწერს ადამიანის მოქმედებას მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მეტად განსაზღვრული ბუნებრივი რესურსების გამოყენების გზით, რომ პოლიტიკური ეკონომიის საგანი განისაზღვრება წინააღმდეგობით.

აღაპიანთა მოთხოვნის სიფართოვესა და მათი დაკმაყოფილების საშუალებათა არასაკმარისობას შორისო“¹⁰⁰.

„ცივილიზაციის“ გადარჩენა პირსონისა და ჰარპერის გეგმით შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ „მეცნიერები“ (ე. ი. კაპიტალიზმის აპოლოგეტები), ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია შეიქმნავენ „მოსახლეობის შემცირების მეცნიერულ პროგრამას“. პირსონი და ჰარპერი თავიანთ წიგნში — „მსოფლიო შიმშილი“ აშკარად და კატეგორიულად მოითხოვენ დედამიწის მოსახლეობის შემცირებასა და დაყვანას 900 მილიონ კაცამდე. აი „მოსახლეობის შემცირების მეცნიერული გეგმის“ ერთი მთავარი საკონტროლო ციფრი; აი როგორ ესმით ნეომალთუსელებს პოლიტიკური ეკონომიის საგანი, ცივილიზაცია და საზოგადოების განვითარება.

ამერიკელ ნეომალთუსელებს არ ჩამოუვარდებიან გფრ-ის გეოპოლიტიკის თეორეტკოსები, რომლებიც თავიანთ ნეოკოლონიზისტურ და რევანშისტულ განზრახვებს „საბუთებენ“ „სასიცოცხლო სივრცის“, „დღი სივრცისა“ და სხვა აპოლოგეტურ-რეაქციული თეორიებით. „სასიცოცხლო სივრცე“, „ხალხი უსივრცოდ“ და სხვა ამგვარი მონაპორები ნეომალთუსელობის გადამღერებაა, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალისადმი სამსახურს. ნეომალთუსურ იდეებს იცავს გერმანელი ფაშისტების თეორეტიკოსი ჰანს გრიმი თავის წიგნში „რატომ — საიდან — მაგრამ საითკენ“¹⁰¹?

ნეომალთუსელები მოსახლეობის გამრავლებით იმეტომ არიან შეშფოთებული, რომ რაც უფრო სწრაფად იზრდება მოსახლეობა და მატულობს უმუშევართა არმიები, — ხოლო სოციალისტური სისტემის წარმატებით და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლით საერთაშორისო კაპიტალის სათარეშო არე იკვეცება, — მით უფრო აშკარად ჩანს არა კაცობრიობის კატასტროფის, არამედ იმპერიალიზმის კატასტროფის გარდუვალობა. ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში — „მუშათა კლასი და ნეომალთუსიანობა“ — მიუთითებდა: „მუშათა კლასი კი არ იღუპება, არამედ იზრდება, მაგრდება, ვაჟკაცდება, მკიდროვდება. ცნობიერდება და კაჟდება ბრძოლაში. ჩვენ პესიმიისტები ვართ ბატონყმობის, კაპიტალიზმისა და წვრილწარმოების მიმართ, მაგრამ ჩვენ მხურვალე ოპტიმისტები ვართ მუშათა მოძრაობისა და მისი მიზნების მიმართ... ჩვენ უეჭველი მტრები ვართ ნეომალთუსიანობისა, ამ მიმდინარეობისა, რომელიც სანუკვარია მეშხანურა წყვილისთვის, ჩამორჩენილი და თავმოთნე წყვილისათვის, რომელიც შეშინებული ბუზღუნებს: ღმერთმა ჰქნას, რომ როგორმე თავი გავიტანოთ, შვილები კი უმჯობესია არ ვიყოლიოთო...“

ახვია ნეომალთუსიანობის სოციალური მოძღვრება, შეგნებულა მუშები ყოველთვის ფრიად დაუნდობლად შეებრძოლებიან იმის ცდას, რომ ეს რეაქციული და ლაჩრული მოძღვრება თავს მოახვიონ თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ყველაზე ძლიერ დიდი გარდაქმნებისათვის ყველაზე უფრო მზადყოფ კლასს¹²².

ვ. ი. ლენინის სიტყვები ნეომალთუსელების ბუზღუნისა და წუწუნის, მათი იდეების რეაქციულობის შესახებ დღესაც ძალაშია. ამერიკელი ნეომალთუსელი რ. კუკი ძალიან შეშინებულია მუშების, მუშათა კლასის, ღარიბების, სუსტად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის გამრავლებით და მდიდრების „უმოქმედობით“. რ. კუკი, როგორც „სოციალური დარვინიზმის“ მომხრე, განუწყვეტლივ წუწუნებს და გაჰყვირის, სუსტად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა, ღარიბები სწრაფად მრავლდებიან და ეს „ცეცილიზაციის“ (უფრო სწორად, მდიდრების — გ. კ.) მოსპობას გამოიწვევსო. „დღეს აშშ-ში, — წერს რ. კუკი, — ჰკვიანები ღებულობენ სამეცნიერო ხარისხს, უნარიანი და ბეჯითი ადამიანები იძენენ სახლებს, საბანკო ანგარიშებს და კუჭის წყლულს. მაგრამ მრავლდებიან ღარიბები და გაუნათლებლებიო“. ნეომალთუსელები ჰკვიან და ნიკიერ ადამიანებად თვლიან იმათ, ვისაც ბევრი ფული და ქონება აქვთ, პატიოსან მშრომელებს, პროგრესულად მოაზროვნეებს კი ბრიყვებად და სულელებად აცხადებენ. ვ. ფოგტის წიგნის — „გზა გადარჩენისაკენ“ — წინასიტყვაობის ავტორმა ბ. ბარუხმა ცინიკურად განაცხადა: „...ეკონომისტები, როგორც წესი... დამტკიცებულად თვლიან, რომ მათ უამრავი რამ იციან. მაგრამ მათ მართლაც რომ ამდენი იცოდნენ, მაშინ მთელი ფული მათ ექნებოდათ და არა ჩვენ. ამ ადამიანებს (ეკონომისტებს) — განაგრძობს ბარუხი, — შეუძლიათ ცალკეული ფაქტებისა და ციფრების ერთად თავმოყრა; მიუხედავად ამისა, მათი პროგნოზები ჩვენსაზე უკეთესი მაინც არაა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მთელი ფული მათ ექნებოდათ, ჩვენ კი არაფრის მქონენი ვიქნებოდით“¹⁰³. ბარუხი ერთში უეჭველად მართალია, სახელდობრ, სიმდიდრე და ფული დიდი რაოდენობით აქვთ მილიონერებს, მაგრამ „ბევრი ფული, მცირე სინდისი“ — ასე დაახასიათა კანადელმა პუბლიცისტმა ფ. უ. პარკმა მონოპოლისტების საქმიანობა¹⁰⁴.

ნეომალთუსელები მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას, „სრული დასაქმების“ უზრუნველყოფას, უმუშევრობისა და სიღატაკის მოსპობას ცდილობენ სამი მთავარი გზით: 1) დამზადებული პროდუქციის გეგმაზომიერად განაწილებით (რაც კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია), 2) პროდუქტთა წარმოების მასშ-

ტაბის გადიდებით (რაც კაპიტალიზმის პირობებში ხშირად წყდება ქარბწარმოების ეკონომიური კრიზისების გამო) და 3) ადამიანთა, მოსახლეობის ხელოვნური შემცირებით.

ნეომალთუსელები ყველაზე უფრო სანუშაულებად თვლიან მესამე ვხას — მოსახლეობის ხელოვნურ შემცირებას. ვ. ფოგტი, რ. კუკი, პირსონი და სხვები მოსახლეობის შემცირებას მოითხოვენ როგორც ბავშვთა დაბადების შემცირებით (ამ საქმეში მათ ჩააბეს ექიმებიც), ასევე სიკვდილიანობის გადიდებით. ე. ი. მოსახლეობის ხელოვნური შემცირებით. სერ ჩარლზ დ. დარვინმა (დიდი დარვინის შვილი-შვილმა) ატომურ ბომბზე უფრო საშიშ მოვლენად გამოაცხადა მოსახლეობის სწრაფი ზრდა. მან თქვა, რომ მოსახლეობა მრავლდება, როგორც ბოცვერი და ატომური ბომბის გარეშეც დავილუბებითო. ბ. ჩისპოლმის განცხადებით კი კაცობრიობას ატომური ბომბი არ ემუქრება იმდენად, რამდენადაც „მოსახლეობის ზრდის ბომბი“¹⁰⁵. პირსონი და ჰარპერი აშკარად აცხადებენ, რომ ომები და ეპიდემიები, შინშილი და სიღატაკე მოსახლეობის შემცირების საუკეთესო ფაქტორებია. კოლინ კლარკიც ასეთივე აზრისაა. ის თვლის, რომ მოსახლეობასა და საარსებო საშუალებებს შორის თანაფარდობას წონასწორობას მხოლოდ და მხოლოდ ომები და მძალი სიკვდილიანობა შევლისო. კ. კლარკი და ტომპსონი გაიძახიან, რომ აზიის მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდა ემუქრება ცივილიზაციას. ტომპსონი პირდაპირ მიუთითებს, რომ ჩამორჩენილი და დამოკიდებული, ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხები გაუნათლებელი არიან, დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუძლიათო. იგი აშშ-ის წინაშე აყენებს ამოცანას, რათა მიიღოს ზომები ჩამორჩენილი და დამოკიდებული ქვეყნების მოსახლეობის ზრდის შესაჩერებლად.

იმპერიალისტური ომებით კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა შენელება, ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვება ნეოკოლონიალიზმის უღელში — ასეთია მონოპოლისტურა კაპიტალის იდეოლოგიების კიდევ ერთი რაზმის — ნეომალთუსელების რეაქციული პროგრამა.

ნეომალთუსელობის რეაქციულ და იმპერიალისტურ არსს ამხელს მარქსიზმ-ლენინიზმი. „ადამიანები ძალიან ცოტას აწარმოებენ, ამაშია საქმე. მაგრამ რატომ აწარმოებენ ასე ცოტას? არა იმიტომ, რომ წარმოებენ საზღვრები — თვით დღეისთვისა და დღევანდელი საშუალებების დროსაც კი — თითქოს ამოწურული იყოს. არა! იმიტომ რომ წარმოებენ საზღვრები განისაზღვრება არა იმიტომ, რომ კუჭების რაოდენობით, არამედ, პირიქით, შემსყიდველი, გადა-

ხდის უნარიანი ქისეების რაოდენობით. ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ სურს, არც შეუძლია სურდეს, მეტი აწარმოოს¹⁰⁶.

მალთუსელობის — ამ კაცთმოძულე თეორიის წინააღმდეგ ხმას იმაღლებდა და იმაღლებს ყველა კეთილი ნების ადამიანი. მალთუსელობის „ხალათმოსახლეობის“ რეაქციული თეორია გააკრიტიკეს ნ. ჩერნიშევსკიმ, დ. პ. პისარევმა, მენდელეეევმა, კ. ტიმირიაზოვმა, ნ. ნიკოლაძემ და სხვებმა. ნ. ნიკოლაძემ ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების „კანონს“ აბსურდული¹⁰⁷, ხოლო მალთუსის „თეორიას“ უცნაური და მიუღებელი აზრი უწოდა¹⁰⁸. თვით კაპიტალისტურ ქვეყნებშიც ბევრი მეცნიერი გამოდის მალთუსელობის წინააღმდეგ (მაგალითად, დე კასტრო, დევისი, ბოიდ-ორი და სხვ.).

ჩვენ დავინახეთ, რომ მალთუსელთა გაანგარიშებანი გეომეტრიული პროგრესიით მოსახლეობის ზრდის შესახებ სინამდვილეს არ ასახავს. მართალია, მოსახლეობა მატულობს, მაგრამ საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ზოგიერთი გარემოება და ნეომალთუსელობის რეაქციული ბუნება აშკარა გახდება.

1. სრული ჭეშმარიტებაა, რომ მოსახლეობის ფართო მასების სილტაკის, სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობის მიზეზია კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა, წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობაა სწორედ იმის მიზეზი, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განუწყვეტლივ მეორდება ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისები. ეკონომიური კრიზისების შედეგად ნადგურდება და იფლანგება მილიონობით და მილიარდობით დოლარის ღირებულების მატერიალური დოვლათი, საკმარისია დავასახელოთ ერთი ფაქტი და ყველაფერი აშკარა გახდება. მარტო 1929 — 1933 წლების ჭარბწარმოების ეკონომიური კრიზისით გამოწვეულმა მატერიალურმა ზარალმა აშშ-ში 300 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2. კაპიტალიზმმა, მისმა უკანასკნელმა სტადიამ — იმპერიალიზმმა — ორჯერ გადაიხეხა კაცობრიობა ომებში. ნეომალთუსელების აზრით, ომების მიზეზი ყოფილა მოსახლეობის სწრაფი ზრდა.

მსოფლიო ომით გამოწვეული ზარალი კი აურაცხელია. უკანასკნელი 45 წლის განმავლობაში ომებისა და მათთვის მზადების ხარჯება (ომებით გამოწვეული ნგრევისა და ზარალის გარეშე) შეადგენდა დაახლოებით 2500 მილიარდ დოლარს¹⁰⁹. ჭეშმარიტად ასტრონომიული ციფრია. რამდენი მილიონი და მილიარდი ადამიანისთვის უზრუნველყოფდა ეს სახსრები ცხოვრების მაღალ დონეს.

კაპიტალიზმს რომ არ შეეშალა ხელი. ამ სახსრებით შესაძლებელი იქნებოდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში უფასოდ მიეღო პური ჩვენი პლანეტის მთელ მოსახლეობას. ამ სახსრებით შეიძლებოდა კეთილმოწყობილი ბინების აშენება 500 მილიონი ოჯახისათვის, ინდუსტრიულიზაციისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის და სხვ. ნეომალთუსელები ასე არ მსჯელობენ. მათი აზრით, ომი ამდღებს ცხოვრების დონეს, რადგან მოსახლეობა მცირდება ომის დროს და ვინც რჩება, მისი შემოსავალი იზრდება. ასეთი „საზომით“ უდგებიან ისინი ომების საკითხს. მათი მსჯელობიდან გამოდის, რომ მსოფლიო ომების მიზეზი ყოფილა სუსტად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის სწრაფი გამრავლება. ნეომალთუსელებს რომ დავუჯეროთ, პირველი და მეორე მსოფლიო ომი თითქოს აფრაიკისა და აზიის სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა დაიწყეს.

3. ჩვენი პლანეტის ფართობი, ცხადია, განსაზღვრულია, მოსახლეობა კი იზრდება, მაგრამ ნეომალთუსელებს არ სურთ დაინახონ ის აშკარა ფაქტი, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობა ხელს უშლის სათესი ფართობებისა და საწარმოო სიმძლავრეთა მთელი დატვირთვით გამოყენებას ხალხის კეთილდღეობისათვის. საილუსტრაციოდ დავასახელებთ თვით ბურჟუაზიული ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ გამოქვეყნებულ ზოგიერთ ცნობას.

პირველ რიგში საჭიროა შევჩერდეთ იმაზე, რომ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ბოჭავენ და ამუხრუჭებენ საწარმოო ძალთა განვითარებას როგორც ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, ასევე მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც. მაგალითად, წარმოების საშუალო წლიური მატება კაპიტალისტურ სამყაროში მხოლოდ 5%-ს შეადგენს, სოციალისტურ სამყაროში კი — 14 — 15%-ს. აბა, გაიანგარიშონ ნეომალთუსელებმა საზოგადოებრივი წარმოების მაღალი, სოციალისტური ტემპებით მიღებული პროდუქციის კოლოსალური ზრდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მისი შედეგების გამოყენება მოსახლეობისათვის. ბუნებრივია, ამას ისინი არ აკეთებენ და არც გააკეთებენ განგებ. ისინი ხომ კაპიტალიზმის, ნეოკოლონიალიზმის აპოლოგეტები არიან. კაპიტალიზმი, მისი კოლონიური სისტემაა სწორედ იმის მიზეზი, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი შიმშილობს, რომ აზიის, აფრიკის, ლათინურა ამერიკის ბევრი ქვეყანა ეკონომიურად ჩამორჩება და სუსტად განვითარებულია.

ე. ვარგას გამონაგარიშებით ტექნიკის თანამედროვე განვითარე-

ბის პირობებშიც კი, თუ ლიკვიდირებული იქნებოდა კაპიტალიზმი, შესაძლებელია 20 — 30-ჯერ მეტი პროდუქციის წარმოება. ¹¹⁰.

ბურჟუაზიული საზოგადოების ზოგიერთი ისეთი წარმომადგენელიც კი, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმთან საერთო არაფერი აქვს, თვლის, რომ აგროტექნიკის გამოყენების თანამედროვე პირობებშიც კი დედამიწაზე მიღებული მოსავალი კარგად გამოკვებავდა 3 — 4-ჯერ უფრო მეტ მოსახლეობას¹¹¹.

გერმანელმა დემოგრაფმა რ. კუჩინსკიმ ჯერ კიდევ 1930 წ. გამოაქვეყნა წიგნი „ხალხთმოსახლეობა“, რომელშიც განაცხადა, რომ შეიძლება 11 მილიარდი ადამიანის გამოკვება. ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის ლ. სტემპის გამოანგარიშებით კი შესაძლებელია 10 მილიარდი ადამიანის გამოკვება; დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული ეკონომისტის ფ. ბურგდორფის გამოანგარიშებით დედამიწას თანამედროვე ტექნიკის პირობებშიც შეუძლია გამოკვებოს 16 მილიარდამდე ადამიანი; ბრაზილიელი პროფესორი ვაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვებისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე უოზუე დე კასტრო თავის წიგნში „შიმშილის გეოგრაფიაში“ წერდა, რომ ამჟამად მუშავდება მთელი ვარგისი ფართობების მხოლოდ 10%. ცნობილი კანადელი პუბლიცისტი, მწერალი და მოღვაწე დ. კარტერი კი აღნიშნავს, რომ ჩვენს პლანეტაზე არის 33 მილიარდი აკრი მიწა. აქედან გამოიყენება მხოლოდ 3 მილიარდი აკრი. დანარჩენი 30 მილიარდი აკრი მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი კი გამოუყენებელია¹¹². ლათინურ ამერიკაში, სადაც 50 მლნ ადამიანი შიმშილობს. გამოიყენება მიწების მხოლოდ 5% და სხვ. ესმება კითხვა: რატომ არ ამუშავებენ მიწებს, მაშინ როცა მილიონობით ადამიანები შიმშილობენ? სწორი პასუხი მხოლოდ ერთია: კაპიტალიზმი, კაპიტალისტური წყობილება არ იძლევა მიწების მთლიანად და რაციონალურად დამუშავების საშუალებას. სრულად არ გამოიყენება მიწის ნაკვეთები არგენტინაში, ინდოეთში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. აშშ-ის მონოპოლიებმა მონოპოლიურად მაღალი მოგების მიზნით მიაღწიეს იმას, რომ არგენტინაში მარცვლეულის სათესი ფართობები 1940 — 1950 წლებში შემცირდა 32 %-ით, ხოლო ურუგვავიში მესაქონლეობის დონე დაყვანილ იქნა 1908 წლის დონემდე¹¹³ და სხვ.

4. შიმშილისა და ჰილატაკის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე წარმოების ხელოვნურად შეკვეცა, დამზადებული პროდუქციის მოსპობა, რასაც „ეკონომიურ მალთუსელობა“ უწოდებენ. მონოპოლიური გაერთიანებები მონოპოლიური ფასების შენარჩუნებისა და მაქ-

სიმაღური მოგების მიღების მიზნით ზოგჯერ კვებენ წარმოებას. მეტიც, ზღვაში ყრიან ყავას, ფოიერვერკებს აწყობენ ბამბის გროვისაგან, წვავენ მარცვლეულს, ჩეხენ ვაზსა და სხვ. საფრანგეთში აკრძალეს ვენახების მორწყვა, რათა შეემცირებინა მოსავალი. ყურძნის დიდ მოსავლიანობაზე დაწესებულ იქნა ჯარიმები, ხოლო მევენახეებს, რომლებიც გაჩეხდნენ ვაზს და არ დარგავდნენ 30 წლას განმავლობაში, შესთავაზეს კომპენსაციები 2800 ფრანკის ოდენობით 1 აკრ მიწაზე. ამ ღონისძიების შედეგად 75 ათასი აკრი ვენახი იქნა განადგურებული.

საფრანგეთში მარცვლეულზე ფასის ხელოვნურად ამღობების მიზნით მარცვლეული შეღებეს მეთილის საღებავით, რათა ადამიანისათვის არ ყოფილიყო შესაძლებელი მისი გამოყენება. ბრაზილიაში მარტო 1931 — 1942 წლებში დაწვეს 77 მლნ ტომარა ყავა. ხელოვნურად განადგურეს ბრინჯი ტაივანზე, ინდოეთში, ბირმასა და სხვა ქვეყნებში. ერთ-ერთ ყურხალში მოხდენილად იყო ნათქვამი: „ძალიან ბევრი ბრინჯია მშიერ აზიაში“. თვით „ნიუ-იორკ ტაიმსი“ (1952 წ.) წერდა: „ინდოეთის საწყობები სავსეა, ხოლო 20 მლნ ადამიანი შიმშილობს“¹¹⁴.

განა ამას ვერ ხედავენ ნეომალთუსელები? ხედავენ, მაგრამ განგებ გვერდს უვლიან ამ ფაქტებს, რათა კაპიტალიზმის, მისი კოლონიური სისტემით გამოწვეული უბედურებანი მიაწერონ არა თვით კაპიტალიზმს, კოლონიალიზმს, არამედ ბუნებას, ბუნების „კანონებს“. ბურჟუაზიული ეკონომისტი ე. ჟამსიცი კი იძულებული იყო ელიარებინა „ეკონომიური მალთუსელობის“ მწვავე შედეგები. რგი წერდა: „სამწუხაროდ, მოგებისადმი გამოდევნება ძალიან ხშირად უბიძგებს კერძო მეწარმეს წარმოების შეგნებულად შეკვეცისა და ზოგჯერ საქონლის მარაგისა და წარმოების საშუალებათა მოსპობისაკენ. მეტი მოგების მიღებისათვის ზოგჯერ დანგრევაა საჭირო და არა წარმოების გაფართოება“¹¹⁵. ან როგორ ესმით „ხალხთმოსახლეობის პრობლემა“ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს და როგორ „ზრუნავენ“ ისინი ცივილიზაციის გადარჩენისათვის.

5. ნეომალთუსელები „ივიწყებენ“, რომ შიმშილისა და სიღატაკის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმპერიალისტური ომები, ბრძოლა ბაზრებისათვის, კოლონიალიზმი, სახალხო მეურნეობის მილიტარიზაცია და არა მოსახლეობის ზრდა „გეომეტრიული პროგრესით“.

იმპერიალიზმია იმის მიზეზი, რომ კაცობრიობა იძულებული ხდება ყოველწლიურად სამხედრო მიზნებისათვის 100 მილიარდი დოლარი ხარჯოს. სამხედრო მრეწველობაში დასაქმებული არიან საუკეთესო სპეციალისტები და მაღალკვალიფიციური მუშები.

უმუალოდ სამხედრო მიზნებისათვის მუშაობს 100 მილიონი კაცი¹¹⁶. მილიონობით შრომისუნარიანი მამაკაცი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ნაცვლად იმისა, რომ მატერიალური წარმოების სფეროში იყოს დასაქმებული. სამხედრო არმიის რიგებშია და სხვ.

აშრიგად. მილიონობით და მილიარდობით კაცდღე ტყუილუბრალოდ იკარგება. იკარგება იმიტომ, რომ მისი გამოყენება ხალხთა ინტერესებისათვის შეუძლებელი ხდება. იმპერიალისტურ ქვეყნებში წარმოების მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, რასაც ემსახურება სახალხო მეურნეობის მილიტარიზაცია. იმპერიალისტური ქვეყნების ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ცალმხრივი, მახინჯი განვითარება. ამ ქვეყნების ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიარაღებასა და ომებს მომზადებაზე იხარჯება. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს. აშშ-ის არმიის შეიარაღებას დიდძალი სახსრები ხმარდება. ტანკი „პატონი“ 133280 დოლარი ჯდება. 280 მმ-იანი ქვემეხი — 437027 დოლარი, რეაქტიული ბომბდამშენი — 1874 ათასი დოლარი, ატომური წყალქვეშა ნავი — 32,7 მილიონი დოლარი, ავიამზიდი — 200 მილიონი დოლარი;¹¹⁷ მარტო აშშ-ის სამხედრო წარმოებაში, „ზე-შეიარაღების“ წარმოების სფეროში (ატომგულისა და რაკეტული იარაღების წარმოებაში) ჩაბმულია 6 მილიონი მუშა და ტექნიკური პერსონალი, აშშ-ის ბიუჯეტის $\frac{2}{3}$ ნაწილი შეიარაღებას ხმარდება. სამხედრო წარმოების სფეროში დასაქმებულია მუშებისა და ტექნიკური კადრების საუკეთესო ნაწილი, რომელიც ამზადებს არა მოხმარების საგნებს, არამედ ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღს. „3—17“ ტიპის ბომბდამშენის დამზადებაზე იხარჯება 200 000 „ინჟინერსაათი“, „3—52“ ტიპის ბომბდამშენის დამზადებაზე — 1 085 000 „ინჟინერსაათი“, ხოლო „3—70“ ტიპის ბომბდამშენის დამზადებაზე — 14500000 „ინჟინერსაათი“¹¹⁸. აშშ-ის „სამოქალაქო თავდაცვამ“ გააჩნდა თერმოატომური ომის თავშესაფრების მშენებლობის გაფართოების ფსიქოზი. 300 ფირმამ ხელი მოჰკიდა თავშესაფრების მშენებლობას და დიდ მოგებასაც იღებს. აი რამდენი შრომა იკარგება ტყუილუბრალოდ.

რაკეტული და ატომური იარაღის, აგრეთვე სხვა სახის იარაღის დანიშნულებაა ადამიანთა და უკვე შექმნილი მატერიალური ფასეულობის მოსპობა და განადგურება. სსრ კავშირმა რამდენჯერმე მოითხოვა შეიარაღების მოსპობა, არმიების შემცირება და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა. იმპერიალისტურმა ქვეყნებმა არ მიიღეს სსრ კავშირის წინადადება. ეს იმიტომ, რომ სამხედრო წარმოება სახალხო მეურნეობის მილიტარიზაცია მონოპოლისტთა მაქსიმა-

ლური მოგების წყაროა, „დიდი ბიზნესია“. „სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი უმაგალითოდ აძლიერებს მილიტარიზმს. იმპერიალისტური სახელმწიფოები მშვიდობიან დროშიც ინახავენ უდიდეს შეიარაღებულ ძალებს. სამხედრო ხარჯები ნთქავენ სახელმწიფო ბიუჯეტების სულ უფრო მეტ ნაწილს. იმპერიალისტური სახელმწიფოები მილიტარისტულ, სამხედრო-პოლიციურ სახელმწიფოებად იქცევიან; მილიტარიზაციით გამსჭვალულია ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრება.

მილიტარიზმი ამდიდრებს მონოპოლისტური ბურჟუაზიის ცალკეულ ჯგუფებს და იწვევს ერების დაუძლურებას, ხალხების გაჩანაგებას, რომლებსაც გადასახადების, მზარდი ინფლაციისა და სიძვირის ტვირთი ტანჯავს. ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე იმპერიალიზმმა კაცობრიობა გადაჩეხა ორი გამანადგურებელი მსოფლიო ომის უფსკრულში¹¹⁹.

6. ნეომალთუსელებს არ სურთ უმუშევრობის ნამდვილი მიზეზის დანახვა. უმუშევრობის მიზეზი, მათი აზრით, მოსახლეობის სწრაფი გამრავლებაა. აქედან ისინი აკეთებენ კიდევ ერთ აპოლოგეტურ დასკვნას: უმუშევრობის ლიკვიდაცია და „სრული დასაქმების“ უზრუნველყოფა მოსახლეობის გამრავლების ხელოვნურად შეზღუდვით. უმუშევრობა რომ მოისპოს, უნდა მოისპოს მისი წარმოშობი მიზეზი — კაპიტალიზმიც. სამრეწველო სარეზერვო არმია — უმუშევართა არმია — კაპიტალიზმის მუდმივი კუთვნილება და თანამგზავრია. უმუშევართა მილიონიანი არმიების არსებობა ნიშნავს მილიარდობით სავშუაო საათებისა და კაცდღეების ტყუილუბრალოდ დაკარგვას, საწარმოო ძალთა მფლანგველობას. ამას ემატება მუშათა გაფიცვებით დაკარგული კაცდღეებიც. მაშასადამე, უმუშევრობა და გაფიცვები, რაც კაპიტალიზმის შედეგია, იწვევს მილიონობით მუშახელის მოცდენას, აურაცხელ ზარალს. ლ. კაიზერლინგიც კი (ტრუმენის პრეზიდენტობის პერიოდში თავმჯდომარეობდა ეკონომიური მრჩეველების კომიტეტს) აღიარებს, რომ აშშ-მა მარტო 1953—1960 წწ. დაკარგა 18,5 მილიონი სამუშაო კაცწელი (დაახლოებით 200 მილიარდი დოლარის პროდუქცია). 1961—1965 წლებში კი აშშ ტყუილუბრალოდ 20 მილიონ სამუშაო კაცწელს (დაახლოებით 390 მილიარდი დოლარის პროდუქციას) დაკარგავსო. აი კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ააშკარავებს ნეომალთუსელობის რეაქციული თეორიის აპოლოგეტურ ხასიათს.

7. ნეომალთუსელები იმეორებენ მალთუსის „ხალხთმოსახლეობის“ რეაქციულ თეორიას და მხედველობაში არ იღებენ საწარმოო

ძალთა და ტექნიკის განვითარებას, მეცნიერული მიღწევების გამოყენებას მატერიალური წარმოების სფეროში და მთელი ხალხის ინტერესებისათვის. მხოლოდ რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ. რადიდი შედეგების მოტანა შეუძლია ტექნიკურ პროგრესს. ატომური ენერჯის გამოყენებას მშვიდობიანი მიზნებისათვის? ამერიკელი ქიმიკოსები როზენი და ისტმენიცი კი აღიარებენ, რომ თანამედროვე ქიმიას, თუკი იგი მთლიანად იქნება ჩაყენებული ხალხის სამსახურში. შეუძლია კვების პროდუქტების კოლოსალურად გაზრდა. ინგლისელი მეცნიერი დ. ბერნალი წერს, რომ ქიმიასა და მეცნიერების მიღწევათა გამოყენება მშვიდობიანი მიზნებისათვის შესაძლებელს გაზდის ადამიანთა განუსაზღვრელი რაოდენობის გამოკვებას დედამიწაზე. ეოზუე დე კასტროს აზრით, ქლორელას, ბროელიციას და სხვა მცენარეებს, რომელთა გამოყენება ამჟამად არ ხდება, დიდი სარგებლობის მოცემა შეუძლია. არის ქლორელის ფაბრიკების შექმნის პროექტები. ერთ ფაბრიკას შეუძლია ცილებით უზრუნველყოს 3 მილიონი ადამიანი, ხოლო ცხიმებით — 1,5 მილიონი ადამიანი, ე. ი. მას შეუძლია შეცვალოს 150 ათასი აკრი კარგი სახნავ-სათესი მიწის ფართობი.

8. ნეომალთესელებს არ სურთ იმის გაგება, რომ სილატაკისა და შიმშილის მიზეზია თვით კაპიტალისტური წარმოების წესი, სადაც მოქმედებენ ზედმეტი ღირებულების, წარმოების ანარქიისა და კონკურენციის, კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი და სხვა ეკონომიური კანონები. ავიღოთ კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის მოქმედება. ეს კანონი ზედმეტი ღირებულების კანონის მოქმედების კონკრეტული გამოხატულებაა. კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის მოქმედებას შედეგად მოსდევს მშრომელი მასების ცხოვრების პირობების გაუარესება. „იმდენად, რამდენადაც კაპიტალი გროვდება, მუშის მდგომარეობა უნდა გაუარესდეს, როგორც უნდა იყოს — მაღალი თუ დაბალი — მისი ხელფასი“.¹²⁰ მართლაც, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ერთ პოლუსზე, ერთი მუჭა მილიონერებისა და მილიარდერების ხელში, გროვდება სიმდიდრე, ხოლო მეორე პოლუსზე, პროლეტარიატის მხარეზე — სიღარიბე და სილატაკე. აი რა არის სიღარიბისა და შიმშილის ნამდვილი მიზეზი!

ინგლისში, აშშ-სა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მოსახლეობის ერთი პროცენტის — მილიონერებისა და მილიარდერების ხელშია ეროვნული სიმდიდრის ნახევარზე მეტი. მილიონერ და მილიარდერ მონოპოლისტთა ვიწრო ჯგუფი ჩაფლულია ფუფუნებაში, ხოლო მილიონობით უბრალო ადამიანი ვაჭირვებასა და სილატაკეში ცხოვრობს.

აშშ სოციალური უთანასწორობის პირამიდის განსახიერებაა. ამ პირამიდის მწვერვალზე იმყოფება 8 მთავარი ფინანსური ჯგუფი, რომელთა შორის ყველაზე მაღლა დგას მორგანებისა (აქტივის საერთო ჯამი 1955 წ. შეადგენდა 65316 მილიონ დოლარს) და როკფელერების (აქტივის საერთო ჯამი 1955 წ. შეადგენდა 61409 მილიონ დოლარს) ჯგუფები¹²¹. ეს ჯგუფები ფუფუნებაში არიან და არ იციან, რა აკეთონ; დევასახლებთ ერთ ფაქტს: ნიუ-იორკში, ერთ-ერთ ქუჩაზე, სადაც მდიდრები ცხოვრობენ, არის სილამაზის სალონი — „პულტაუნი“. სალონი ემსახურება მილიონერთა ძაღლებს. ძაღლებს უკეთებენ მანიკიურს, უხესავენ კბილებს, უვარცხნიან ბალანს-და სხვ. აქვე იყიდება ნეილონის პიჟამოები ძაღლებისათვის — 12—30 დოლარის ღირებულებისა, ბეწვეულის წაშოსასხამი — 300 დოლარის ღირებულებისა, საწვომრები, ბერეტები, პალტოები, სპეციალური კოსტიუმები ძაღლების ბალ-მასკარადისათვის, ავეჯი ძაღლის ოთახისათვის და ა. შ. ერთ-ერთი მილიონერის ცოლმა (როკფელერების ჯგუფიდან) თავისი ძაღლისათვის შეიძინა წითელი ხისგან დამზადებული ძვირფასი საწოლი. გენერალ-მაიორმა ალენმა ბრძანება გასცა, რათა 1200 დოლარი დაეხარჯათ (არმიის სახსრებიდან) საძაღლის მოსაწყობად და სხვ.

რა მდგომარეობაა ეკონომიურად სუბტად განვითარებულ ქვეყნებში? საუდის არაბეთის მეფის ოჯახი მილიონობით სახსრებს ხარჯავს ფუფუნებისათვის. იბნ-საუდს 100 ცოლი და 140 ბავშვი ჰყავდა. პირადად მას ემსახურებოდა რამდენიმე კომფორტული თვითმფრინავი და ავტომანქანა. მეფის სასახლეს ემსახურება 10 ათასი კაცი. ალა-ხანის (ისმაილისტური ორდენის სულიერი ბელადი) წლიური შემოსავალი შეადგენს 20—25 მლნ დოლარს. მან მოაწყო მიღება, რომელსაც 3 ათასი სტუმარი ესწრებოდა. მისი შვილი დაქორწინდა პოლივედის კინოვარსკვლავ რიტა ჰეიუორდზე და საჩუქრად მიართვა 5 მლნ დოლარის თამასუქი. როცა ალა-ხანს 78 წელი შეუსრულდა, მიართვეს მისი წონის პლატინა და სხვ.¹²²

აი სადამდე მიდის მილიონერთა ფუფუნება, როცა კაპიტალისტურ სამყაროში უამრავი უმუშევარია და მილიონობით ადამიანი შიმშილსა და გაჭირვებაში კვდება. ამიტომაც, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ებრძვის და გმობს ნეომალთუსელობას, როგორც რეაქციულ და კაცთმოძულე მოძღვრებას.

ნეომალთუსელები დიდად ეხმარებიან ნეოკოლონიალისტებს. „ნეომალთუსელები ამტკიცებენ, რომ თითქოს სუბტად განვითარებული ქვეყნების ჩამორჩენილობა არის მოსახლეობის განსაკუთრებულად ზრდის გარღვევალი შედეგი“. გფრ-ის ეკონომისტი

კ. ბილერბეკი¹²³ თავის წიგნში — „გერმანიის შეწირულება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის“ — წერს, რომ ინდოეთში, პაკისტანში. ინდონეზიასა და სხვა ქვეყნებში მოსახლეობის მატება წარმოების ზრდას წინ უსწრებს და „წარმოების ნამეტი“ აღარ რჩება განვითარებისათვის. „ეკონომიური ზრდის“ ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა წარმომადგენელი უ. ტაიხმანი თავის წიგნში — „ეკონომიური ზრდისა და მოსახლეობის ზრდის შესახებ“¹²⁴ — აღნიშნავს, რომ თითქმის არსებობს ალტერნატივა. ან მოსახლეობის ზრდა, ან ეკონომიური ზრდა. უ. ტაიხმანი ემყარება ნეოლიბერალიზმის ლიდერის ვ. რეპკეს მოძღვრებას. ასეთი მტკიცებების უნიადაგობა საყოველთაოდ ცნობილია. „ეს წმინდა წყლის მალთუსელობაა, რომელიც ზრდის თეორიის ნიღბით გამოდის“¹²⁵.

ამრიგად, ნეომალთუსელები „ეკონომიური ზრდის“ თეორეტიკოსთა მხარდამხარ გამოდიან. ისინი ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩამორჩენილობის მიზეზს ხედავენ მოსახლეობის სწრაფად გამრავლებასა და მოსახლეობის სიმჭიდროვეში. ასეთი მტკიცებები უსაფუძვლოა, რადგან ფაქტები სრულიად სხვას ადასტურებენ.

ნეომალთუსელთა რეაქციულობა იქამდე მიდის, რომ ისინი საერთოდ უარყოფენ ინდუსტრიალიზაციას სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. მათი აზრით, მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები ეკონომიურად სუსტად განვითარებულ სახელმწიფოებს უნდა დაეხმარონ მხოლოდ ერთ საქმეში — შობადობის შემცირებასა და მოსახლეობის მატების შეჩერებაში.

ნეომალთუსელები დემაგოგიურ ხერხებსაც მიმართავენ. მათი შიში სუსტად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის სწრაფად გამრავლებისა და ინდუსტრიალიზაციის გამო აიხსნება იმით, რომ თუ ინდუსტრიალიზაცია გატარდება ამ ქვეყნებში, ეს გამოიწვევს უმუშევრობის გადიდებას. გამოსავალს კი იმაში ხედავენ, რომ მოითხოვენ სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვებას „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში, შობადობის შემცირებას.

„ეკონომიური ზრდის“ თეორეტიკოსმა როსტოვმა შეიმუშავა ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის აპოლოგეტური პროგრამა, რომელიც გაუღენთილია მალთუსური იდეებით. როსტოვის „გეგმის“ თანახმად, ეკონომიურად სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა ცხოვრებაში უნდა გაატარონ ნეომალთუსური რეცეპტები. თუ ასე არ მოიქცევიან, — დაასკვნის როსტოვი, — ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს არ ექნებათ ეკონომიური განვითარების შანსები. ნეო-

მაღალსეღიანობა რეცეპტი კი ასეთია: ყურადღების გამახვილება ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტებზე, შობადობის შემცირება და სიკვდილიანობის გადიდება. ნეომალთუსელები „კლასიკურ“ მალ-თუსელობასთან შედარებით უფრო შორს წავიდნენ.

ნეომალთუსელები — სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტა-ლიზმისა და ნეოკოლონიალიზმის დამცველები — თავიანთი რეაქ-ციული თეორიებით ცდილობენ კაპიტალიზმით გამოწვეულ წინა-აღმდეგობათა ნამდვილი მიზეზების მიჩქმალვას. საკპარისია მივ-მართოთ ფაქტებს, რომ ამჟამად გამოჩნდეს ნეომალთუსელობისა და მთელი ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის მტკიცებათა უსაფუძვლოება და აპოლოგეტური ხასიათი. ჩვენ მხო-ლოდ რამდენიმე მომენტი დავასახელებთ მრავალთაგან, რომლებიც ააშკარავენ თანამედროვე მალთუსელების, ანუ ნეომალთუსელებ-ის მოძღვრებათა აპოლოგეტურობას. ნეომალთუსელობა ბურ-ჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისის შემდგომი გაღრმავების დადასტურებაა.

„იმპერიალისტური რეაქციის ინტერესებს ემსახურება კაცთ-მოძულე მალთუსის ვულგარული თეორიის მოდიფიცირება და პროპაგანდა ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში მონოპოლისტური ბურჟუაზია იყენებს მალთუსელობას, როგორც იდეოლოგიურ იარაღს, მშრომელი ხალ-ხის ჩაგვრის გაძლიერებისა და იმპერიალისტური ექსპანსიის გამარ-თლებისათვის...

თანამედროვე მალთუსელები ანუ ნეომალთუსელები კაპიტა-ლისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში აშშ-ში, გულმოდგინედ იცავენ მალთუსის რეაქციულ თეორიას და ეწევიან მის მოდიფიცირებას. ისინი უხამებენ მას რასობრივ „თეორიას“, კლასმოპოლიტიზმს და წერენ, თითქოს დედამიწაზე უკვე ადგილი აქვს მოსახლეობის აბსოლუტურ სიჭარბეს, თხზავენ სხვადასხვა რეცეპტს სხვა ქვეყ-ნებში მოსახლეობის შემცირების შესახებ. ამ რეაქციულ თეორიას ფართოდ იყენებს იმპერიალისტური ბურჟუაზია ეკონომიკის მი-ლიტარიზაციისა და ექსპანსიის გამართლებისათვის“.¹²⁶ ბურჟუა-ზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის აპოლოგეტები, რა „თეორიებიც“ უნდა შეთხზან, მაინც ვერ იხსნიან კაპიტალიზმს, ვერ შეაჩერებენ იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლასა და საბოლოო ლიკვიდაციას. ჩვენი დროის ყველაზე უფრო გავლენიანი პოლიტიკური ძალა კომუნისმი გახდა. მომავალიც მას ეკუთვნის. XX საუკუნე კაპიტალიზმის დაღუპვისა და კომუნისმის გა-მარჯვების საუკუნეა.

ნეოლიბერალიზმის მოძღვრებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადვილი უჭირავს „თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობის“ დოქტრინას. იგი ემყარება კათოლიკური კლერიკალიზმის დოგმებსა და გერმანელი ნეოლიბერალების მთავარი თეორეტიკოსის ვ. ოიკენის აპოლოგეტურ თეორიას „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ, აგრეთვე ე. წ. „მეურნეობის დიდ სივრცეთა“ და „გაერთიანებული ევროპის“ იდეას. „კათოლიკურ-კლერიკალურ შეხედულებებს“ ევროპის ერთიანობის შესახებ ერწყმის ლიბერალიზმის თეორიები, რომლებიც პროფესორმა ვ. რეპკემ საფუძვლად დაუდო ერჰარდისეულ „სოციალურ-საბაზრო ეკონომიკას“. მთავარი როლი ამ თეორიების დამუშავებაში შეასრულა ესპანეთის ყოფილმა ელჩმა ვაშინგტონში სალვადორ-ი-მადარიგამ.

რეპკეს იდეის მიხედვით აუცილებელია მუდმივად გაფართოებადი ბაზარი. მის შექმნისაკენ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საბაჟო ტარიფების გაუქმება. ამგვარად შექმნილი ევროპის ბაზარი შემდეგ უნდა შეუერთდეს ამერიკის ბაზარს.¹²⁷

უკვე ითქვა, რომ ნეოლიბერალები უგულებელყოფენ საკუთრებისა და წარმოებითი ურთიერთობის ანალიზს და პოლიტიკური ეკონომიის მთავარ საგნად აცხადებენ „ეკონომიური პროცესების მიმართულების ფორმებს“. ნეოლიბერალიზმის მიხედვით მეურნეობის ტიპი განისაზღვრება არა ადამიანთა ურთიერთობით წარმოების პროცესში, არამედ „მეურნეობის მართვის“ ფორმებით. ნეოლიბერალები განგებ უვლიან გვერდს წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმებს და ნაცვლად ისტორიაში ცნობილი წარმოებითი ურთიერთობის ხუთი ძირითადი ტიპისა, ლაპარაკობენ „მეურნეობის იდეალური ტიპების“ შესახებ (მათი მტკიცებით არსებობს მეურნეობის შემდეგი იდეალური ტიპები: 1. „ცენტრალურ-მართული მეურნეობა“¹²⁸ და 2. „საბაზრო მეურნეობა“).

თუ ყოველდღიურ ეკონომიურ ცხოვრებას, პროცესს მართავს ცენტრალური ორგანო, მაშინ მეურნეობის ტიპი, მეურნეობა „ცენტრალურ-მართულია“, ხოლო როცა სამეურნეო ცხოვრებას ცენტრალური ორგანო კი არ წარმართავს, არამედ ცალკეული ადამიანები იღებენ საკუთარ გადაწყვეტილებას (ცენტრალური ორგანოს გარეშე), მაშინ ადგილი აქვს „საბაზრო მეურნეობას“, — აცხადებენ ნეოლიბერალები.

ნეოლიბერალები (ვ. ოიკენი, ვ. რეპკე, ა. რიუსტოვი და სხვ.)

დამახინჯებულად და აპოლოგეტურად ხსნიან საზოგადოების განვითარებას კანონზომიერებას. მათი აზრით, შეიძლება არსებობდეს „ცენტრალურ-მართული მეურნეობა“ ან „საბაზრო მეურნეობა“. ნეოლიბერალი ა. რიუსტოვი ასე აყენებს კითხვას: „საბაზრო მეურნეობა“ თუ გეგმიანი მეურნეობა?!¹²⁹ საერთოდ კი ბურჟუაზიული ეკონომისტები საზოგადოების ეკონომიური განვითარების ისტორიას ყოფენ აგრეთვე სამ საფეხურადაც: 1. კარჩაკეტილი მეურნეობა, 2. ნაციონალური მეურნეობა და 3. მათელი მეურნეობა.¹³⁰

ვ. თიკენსა და მის ნეოლიბერალურ სკოლას „ცენტრალურ-მართულ მეურნეობად“ მიაჩნიათ მონათმფლობელური ლატიფუნდიები (მონათმფლობელური წყობილება), ფეოდალური მეურნეობა, ფაშისტური ტოტალიტარული მეურნეობა და გეგმიანი სოციალისტური მეურნეობაც კი. „მეურნეობის იდეალური ტიპებს“ მეორე ნაირსახეობად ისინი ასახელებენ „საბაზრო მეურნეობას“. რომელშიც შეჰყავთ განვითარებული საქონელწარმოების მქონე მეურნეობა, ე. ი. კაპიტალისტური ქვეყნები.

ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები ემყარებიან ექსისტენციალიზმის¹³¹ იდეალისტურ ფილოსოფიას და აცხადებენ: „ტოტალიტარიზმი თუ თავისუფლება?“ „ტოტალიტარიზმი“ ექსისტენციალისტ კ. იასპერსისათვის არის სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების სინონიმი. „ტოტალიტარიზმი“, კ. იასპერსის განცხადებით, არის სოციალისტური წყობილება და ფაშისტური დიქტატურა. ვ. რეპკე, რომელიც ექსისტენციალიზმის ფილოსოფიას ემყარება, სოციალისტურ წყობილებას უწოდებს „ტოტალიტარიზმს“, „პოლიტიკურ და ეკონომიურ დესპოტიას“,¹³² ხოლო „თავისუფლების სამყაროდ“ წარმოდგენილი აქვს „თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობა“. ნეოლიბერალები „თავისუფლების განსახიერებად აცხადებენ „საბაზრო მეურნეობას“. ისინი ცნება „კაპიტალიზმს“ არც კი იყენებენ. მათი „საბაზრო მეურნეობა“ ნიშნავს საქონელწარმოებას, თავისუფალ და „პატიოსან კონკურენციას“, „ვაჭრობის ლიბერალიზაციას“ და ა. შ. რეპკეს აზრით, „საბაზრო მეურნეობა“ და „კოლექტივიზმი“ ანტითეზაა¹³³, ხოლო გეგმიანი მეურნეობა ნიშნავს მონობას¹³⁴.

ნეოლიბერალების მიზანი ნათელია. ისინი განგებ აყალბებენ სინამდვილეს, რათა ბურჟუსში გახვიონ იგი და ასე დაიცვან სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ნეოლიბერალები თანახმანი არიან სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისა, ოღონდ იმ მიზნით, რომ ამ ჩარევამ უზრუნველყოს „თავისუფალი და პატიოსანი კონკურენცია“, „საბაზრო მეურნეობის“ არსებობა.

„პატიოსანი კონკურენცია“, „პარტნიორობა“. „თავისუფალი ვაჭრობა“ ანარქიული კაპიტალისტური წარმოების პირობებში, კაპიტალისტური „ბაზრის კოსმოსში“ ყალბი ლოზუნგებია, რადგან ეკონომიური ლიბერალიზმის პოლიტიკის კონკურენცია — „პატიოსანი კონკურენცია“ უთანასწოროთა შორის ნიშნავს იმას, რომ ძლიერი იმორჩილებს და სპობს სუსტს. ამას ადგილი აქვს როგორც ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, ასევე მთელი მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის მასშტაბითაც.

ნეოლიბერალების „თეორიებს“ მიხედვით „მეურნეობის იდეალური ტიპები“, „პატიოსანი კონკურენცია“, „პარტნიორობა“ შეიძლება არსებობდეს მსოფლიო მეურნეობაშიც. მათი აზრით. როგორც ერთი ქვეყნის, ასევე მსოფლიო მასშტაბით შეიძლება იყოს „ცენტრალურ-მართული მეურნეობა“ ან „საბაზრო მეურნეობა“. მათი მიზანია „საბაზრო მეურნეობა“ მსოფლიო მასშტაბით ანუ „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“. შვეიცარიელი ბურჟუაზიული ეკონომისტი — „საერთაშორისო ინტეგრაციის“ თეორეტიკოსი ემილ ა. შმიდი „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობასთან“ ერთად მოითხოვს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა „მსოფლიო ფედერაციის“ შექმნას, რა თქმა უნდა, „საერთაშორისო კომუნისმის საფრთხის“ წინააღმდეგ. „ამ მიზნით ცდილობენ ისინი „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ თეორიის გამოყენებასაც, ამ თეორიისათვის მოქმედების უნივერსალური ხასიათის მიცემას მთელი მსოფლიო კაპიტალისტური ბაზრის ჩარჩოებში. ნეოლიბერალები ისწრაფოდნენ ამ თეორიის საფუძველზე უპირველეს ყოვლისა „ევროპის ინტეგრაციის“ აუცილებლობის დასაბუთებას“¹³⁵.

„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ პროპაგანდისტები იყენებენ როგორც ძველ, ასევე ახალ აპოლოგეტურ თეორიებს (ძველი ლიბერალიზმის ფრიტრედერობა, მოთხოვნა-მიწოდებისა და „წონასწორობის“ თეორია, „მეურნეობის იდეალური ტიპები“ და სხვ.). განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ თეორიაში იმპერიალისტური „ინტეგრაცია“. „საერთაშორისო ინტეგრაცია“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“ ერთიპიროვნად ავსებს. მათი დახმარებით ცდილობს რეპკე „თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიო ღია სივრცის“ შექმნას¹³⁶.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“ თავისი დანიშნულებითა და მიმართულებით ერთი და იგივეა. იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ თეორეტიკოსებს თავი ერთნაირად მოაქვთ

„ინტერნაციონალისტებად“, „თავისუფალი ვაჭრობის“ დამცველებად. მათი „ინტერნაციონალიზმი“ კი გამოიხატება მონოპოლისტური კაპიტალიზმის სამსახურში.

ჩვენ შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ ითვალისწინებს ერთი მთლიანი, პარამონიული მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის — „ინტეგრირებული კაპიტალიზმის“ შექმნას. „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ ნეოლიბერალური თეორია კი გვევლინება, როგორც „საერთაშორისო ინტეგრაციის“ ნეოლიბერალური ვარიანტი.

„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ თეორეტიკოსთა „ინტერნაციონალიზმი“, ვ. ოიკენის განცხადებით, გამოიხატება თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის გაძლიერებაში¹³⁷. ნეოლიბერალები მიმართავენ სოციალურ დემაგოგიას. მათ თავი ზოგჯერ ა. სმიტსა და დ. რიკარდოს მიმდევრებადაც კი მოაქვთ და აცხადებენ: „უკან! რიკარდოსაკენ!“, რომ ყველა ქვეყნის სახელმძღვანელო პოლიტიკა უნდა იყოს „ვაჭრობის ლიბერალიზაცია“, „თავისუფალი ვაჭრობა“.

ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლები ილაშქრებენ პროტექციონისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, რადგან ეს „დეზინტეგრაცია“ იწვევსო. მათი სახელმძღვანელო დებულებაა „ვაჭრობის ლიბერალიზაცია“, „თავისუფალი მეწარმეობა“, „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“, „თავისუფალი შეჯიბრება“, „საერთაშორისო შეჯიბრება“, „შეჯიბრების წყობილება“¹³⁸. ისინი ეკონომიური ლიბერალიზმის პრინციპებს აცხადებენ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის მისაღებად და სასარგებლოდ. ექვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეკონომიური ლიბერალიზმის პრინციპების გატარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დამლუპველი იქნებოდა. ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჯეკობ ოზერმაც კი უარყო ასეთი სისტემა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის, ხოლო პროტექციონისტული ლონისძიებანი გონივრულად ჩათვალა.

„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“ და „ვაჭრობის ლიბერალიზაცია“ ეწინააღმდეგება არა მარტო სუსტად განვითარებული ქვეყნების ინტერესებს, არამედ „თავისუფალი ვაჭრობის“ პოლიტიკა ნიშნავს ახალ შეტევას მშრომელთა ხელფასზე. ვ. ოიკენის, ა. რიუსტოვის, ლ. ერჰარდის, ალ. მიულერ-არმაკის — ნეოლიბერალური სკოლის „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ მთელი სიმშვენიერე იმაშია, რომ იგი ემსახურება კაპიტალიზმს¹³⁹.

„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ ნეოლიბერალური თეორიის პროპაგანდის საქმეში ძალიან აქტიურობს ნეოლიბერალიზ-

მის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი ვალკელმ რეპკე. მან სპეციალური წიგნი დაწერა „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ საკითხზე. ამ წიგნის სახელწოდებაა „საერთაშორისო წყობილება“¹⁴⁰. ვ. რეპკე ცილისმწამებლური გამოხდომებით გამოდის გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის, მეურნეობის სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ და ხოტბას ასხამს „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობას“, ვ. ოიკენის, ვ. რეპკესა და მათი მიმდევრების „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“ არის მსოფლიო-კაპიტალისტური ეკონომიკა, დამყარებული „პატიოსან კონკურენციაზე“. „თავისუფალ მეწარმეობაზე“, „ვაჭრობის თავისუფლებაზე“. ნეოლიბერალ რეპკეს განმარტებით „საერთო ბაზარი“ არის „თავისუფალი ვაჭრობა“¹⁴¹.

ნეოლიბერალების „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“ იგივეა, რაც „საერთაშორისო ინტეგრაცია“, იმპერიალისტური „ინტეგრაცია“. ნეოლიბერალები ზოგჯერ „შორს“ მიდიან და აცხადებენ, რომ „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“ არც გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკაა და არც კაპიტალისტური. „საბაზრო მეურნეობას“ ისინი ზოგჯერ უწოდებენ „შეჯიბრების წყობილებას“¹⁴². ეგრეთწოდებული „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მალაღმკვიდრებული სისტემის შენიღბვა. ნეოლიბერალი ვ. რეპკე კი თავის წიგნში — „ჰუმანური საზოგადოება“ — „საბაზრო მეურნეობას“ განმარტავს, როგორც „ბაზრის თავისუფლება, თავისუფალ ფასებსა და ელასტურ ხარჯებს“.

„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ ნეოლიბერალური თეორიის დანიშნულება ნათელია. იგი ავსებს „ინტეგრაციის“ ულტრარეაქციულ თეორიას და ემსახურება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ინტერესებს.

„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ თეორეტიკოსებიც წინააღმდეგი არიან სუსტად განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციისა და ამ ქვეყნების მიერ გატარებული პროტექციონისტული პოლიტიკისა. სუსტად განვითარებული ქვეყნების მიერ გატარებულ მფარველობით სისტემას ნეოლიბერალები უწოდებენ „ეკონომიურ ნაციონალიზმს“¹⁴³. ეს „ეკონომიური ნაციონალიზმი“, ნეოლიბერალების აზრით, შლის „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობას“, არღვევს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს“¹⁴⁴. „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ თეორეტიკოსები ქადაგებენ შრომის ისეთ საერთაშორისო დანაწილებას, როცა სუსტად განვითარებული ქვეყნებიც უნდა იყვნენ „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეო-

ბაში, ე. ი. მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოების სახელმწიფო-ლო ბაზა. ამას კი რეპკე უწოდებს „შრომის საერთაშორისო რაციონალურ დანაწილებას“¹⁴⁵. აი რატომ ქადაგებენ ნეოლიბერალები „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“.

ჩვენ აქ აღარ შევუდგებით იმის დეტალურ განხილვას, თუ რას წარმოადგენს „საერთაშორისო ინტეგრაცია“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“. ამაზე უკვე ითქვა. მივუთითებთ მხოლოდ, რომ ნეოლიბერალებიც იმასვე ქადაგებენ დღეს, რასაც კაუცკი და კაუცკელები, აგრეთვე ფაშისმის თეორეტიკოსები. ნეოლიბერალების „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“ ითვალისწინებს „ინტეგრირებული მსოფლიოს“ შექმნას ლიბერალური გზით.

„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ თეორია ემყარება აგრეთვე „მეურნეობის დიდ სივრცეთა“ იდეას, რომელიც გერმანიის იმპერიალიზმმა წამოაყენა მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლისას. ამ ღოზუნგით ცდილობდა კაიზერის გერმანია „გაერთიანებული ევროპის“ შექმნას. დასახელებული იდეის შემდეგი გამგრძელებლები და პრაქტიკულად ცხოვრებაში გამტარებლები იყვნენ ჰიტლერული „მესამე რაიხის“ წარმომადგენლები. ფაშისმის გეოპოლიტიკა მოასწავებდა „მეურნეობის დიდ სივრცეთა“ გადაკეთებას „სასიცოცხლო სივრცის“ ფაშისტურ დოქტრინად.¹⁴⁶ ამ დოქტრინას II მსოფლიო ომის წინ ქადაგებდნენ ფაშისტური გერმანია, იტალია და მილიტარისტული იაპონია.

„სასიცოცხლო სივრცის“ ფაშისტური თეორიის პრაქტიკული განხორციელება იყო ყბადაღებული ჰიტლერული „ახალი წესრიგი“ ევროპაში. „საერთო ბაზარი“ პლუს ევრატომი, — წერს პ. ვ. აუგუსტი, — ტოლია ნაცისტური ევროპისა.¹⁴⁷

ფაშისტურ დოქტრინას „მეურნეობის დიდ სივრცეთა“, „სასიცოცხლო სივრცის“ შესახებ დღესაც იყენებენ „ინტეგრაციის“ თეორეტიკოსები. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“ არის „მეურნეობის დიდ სივრცეთა“ და „სასიცოცხლო სივრცის“ ფაშისტური კონცეფციების გადამღერება. ძალიან აქტიურობენ ამ საქმეში ნეოლიბერალები. მაგალითად, ამას ადასტურებს ვ. რეპკეს „თავისუფალი ვაჭრობის სივრცე“, „მეურნეობის დიდი სივრცე“¹⁴⁸. ნეოლიბერალები სოციალურ დემაგოგიას მიმართავენ. ისინი „აკრატეებენ“ ფაშისტურ „დიდ სივრცეს“ და მას უწოდებენ „დირიჟისტულ-კოლექტივისტურ ინტეგრაციას“. მათი დემაგოგია იქამდეც კი მივიდა, რომ ე. წ. „დირიჟისტულ-კოლექტივისტური ინტეგრაციის“ მეორე ნაირსახეობად ვ. რეპკემ გამოაცხადა მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რომელსაც „კომუნისტური

დიდი სივრცე“ უწოდა¹⁴⁹. ნეოლიბერალიზმი ოფიციალური სახელმწიფო დოქტრინაა დასავლეთ გერმანიაში. ეს შემთხვევითი არ არის. ნეოლიბერალიზმი იცავს მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს და დემავაგიური ლოზუნგებით ცდილობს სუსტი პარტნიორებისა და სუსტად განვითარებული ქვეყნების დამორჩილებას. სწორად შენიშნავს რ. ნაუმანი, რომ ნეოლიბერალები გერმანელი ხალხის მტრები არიან.¹⁵⁰ ნეოლიბერალები სიტყვით ეწინააღმდეგებიან პროტექციონიზმს, მაღალ საბაჟო ტარიფებს და მოითხოვენ „ვაჭრობის ლიბერალიზაციას“, „თავისუფალ ვაჭრობას“. სინამდვილეში კი ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ „საერთო ბაზარი“, „შვიდეული“ და სხვ. წარმოადგენენ კარდახშულ ბლოკებს, რომლებიც იყენებენ იმპერიალისტურ პროტექციონიზმს და ერთიმეორეს ებრძვიან ბაზრებისათვის.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობა“ ერთ საბოლოო მიზანს ემსახურება, მაშასადამე, ისინი ერთტიპურია. მათ შორის არის განსხვავებაც, მაგრამ იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს. იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ პროგრამა ერთი და იგივეა. ორივესთვის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა პროტექციონიზმის „ლიკვიდაცია“ და „ვაჭრობის ლიბერალიზაცია“.

„ინტეგრაციის“ პროპაგანდისტების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, „ვაჭრობის თავისუფლება“, ანუ, როგორც თვითონ უწოდებენ, სავაჭრო პოლიტიკის „ლიბერალიზაცია“¹⁵¹. გდრ-ის ეკონომისტი პროფ. რ. ნაუმანი თავის შრომაში — „ნეოლიბერალიზმის თეორია და პრაქტიკა“¹⁵² — წერს: „ნეოლიბერალების სათაყვანებელი არსება არის საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ის შეადგენს ნეოლიბერალების მთავარ მოთხოვნასა და სოციალური საბაზრო მეურნეობის პროგრამის განუყრელ შემადგენელ ნაწილს“.¹⁵³

„ვაჭრობის ლიბერალიზაციით“, „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ მოთხოვნით ცდილობს გფრ-ის მონოპოლისტური კაპიტალი ბაზრების დაპყრობას. ამიტომაც, რომ მონოპოლისტური ბურჟუაზია ყოველმხრივ უჭერს მხარს ნეოლიბერალების მოწოდებას „თავისუფალი ვაჭრობის“, „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“, „თავისუფალი კონკურენციისა“ და სხვათა შესახებ.

„საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა“ და „ინტეგრაციის“ განხორციელების საქმეში გერმანელ ნეოლიბერალებთან ახლოს დგას გ. მიურდალი. ამას თვითონაც აღნიშნავს. ჩვენი აზრით, გ. მიურდალი ეკუთვნის „თავისუფალი მეწარმეობის“ თანამედროვე დამცველებს, ნეოლიბერალურ მიმართულებას. „მე მინდოდა დამემატე-

ბინა, — წერს იგი, — რომ საერთოდ ვიზარებთ ლიბერალურ მიმართულებას¹⁵⁴. გერმანელ ნეოლიბერალებთან ერთად „საერთაშორისო ინტეგრაციის“ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გ. მიურდალსაც „საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია“ მიაჩნია. მისი აზრით, „საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია“ აფართოებს მსოფლიო ვაჭრობის მოცულობას და სასარგებლო ყოფილა როგორც მთავარი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, ასევე სუსტად განვითარებულ ახალგაზრდა სახელმწიფოებისათვისაც.

გ. მიურდალი პროტექციონიზმის წინააღმდეგია და, როგორც ძველი ყაიღის „კლასიკური ტრადიციის ეკონომისტი“, იცავს „თავისუფალი ვაჭრობის“ ლოზუნგს, ე. ი. უკან დაბრუნებას ფრიტრედერობისაკენ, ეკონომიური ლიბერალიზმის პრინციპებისაკენ. ამ მხრივ ერთგვარ სიფრთხილეს იჩენს ნეოლიბერალიზმის ზოგიერთი წარმომადგენელი. ისინი მოითხოვენ, რომ „ვაჭრობის თავისუფლებისაკენ“ დაბრუნება უნდა მოხდეს ახლებურად, ე. ი. „ინტეგრაციის“ გზით. ე. ჰოსმა სწორედ ამ მიზნით გამოაქვეყნა სტატია — „კლასიკური თავისუფალი ვაჭრობა თუ ინტეგრაცია?“¹⁵⁵ თავისუფალი კონკურენციის ძველი პრინციპებისაკენ, ძველი ფრიტრედერობისაკენ დაბრუნება იმპერიალიზმის პერიოდში განუხორციელებელი ოცნებაა, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ურთიერთსაწინააღმდეგო კარდახშული სავაჭრო-ეკონომიური ბლოკების არსებობა. ეს ბლოკები („საერთო ბაზარი“, „თავისუფალი ვაჭრობის მცირე ზონა“ და სხვ.) თითქოს ვაჭრობის თავისუფლების მომხრეებად გამოდიან, მაგრამ სინამდვილეში ისინი წარმოდგენენ მწვავე ეკონომიური და პოლიტიკური დაძაბულობის, ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა და კონფლიქტების ასპარეზს. საერთაშორისო სახელმწიფო-მონოპოლისტურ გაერთიანებებს შედეგად მოჰყვა კაპიტალისტური ბაზრის გადანაწილებისათვის მწვავე კონკურენციული ბრძოლის ახალი ფორმები და არა „ეკონომიკის ლიბერალიზაცია“ — „კონკურენციული ბრძოლის შესაძლებლობათა გათანაბრება“.

იმპერიალისტური „ინტეგრაციისა“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“, ვაჭრობის „ლიბერალიზაციის“ აპოლოგეტური თეორიები კრანს განიცდის. იმპერიალისტური „ინტეგრაცია“, „ვაჭრობის ლიბერალიზაცია“ სინამდვილეში აძლიერებს „დეზინტეგრაციას“ იმპერიალიზმის დროს. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ლაპარაკი ვაჭრობის თავისუფლების, „პატოსანი კონკურენციის“, „თანასწორობის“, „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ შესახებ ლიტონი სიტყვებია. თანასწორობის, თავისუფლების დამყარებისათვის საჭიროა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის მოს-

პობა, კაპიტალის მიერ დაჭირავებული შრომის ექსპლოატაციის ლიკვიდაცია. „მთელი მსოფლიოს ინტეგრაცია მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა ეს ბედკრული ქვეყანა, რომლებიც დასახლებული არიან (მრავალი ხალხის) სხვადასხვა სახის, კანის ფერის, რელიგიის, ფოლკლორის, კულტურული მემკვიდრეობის მქონე მრავალნაირი ხალხებით, მიაღწევს შესაძლებლობათა თანასწორობას“,¹⁵⁶ — აცხადებს გ. მიურდალი. მაგრამ მას ავიწყდება, რომ ამისათვის საჭიროა იმპერიალიზმის მოსპობა და არა კლასობრივი ბრძოლის შეწყვეტა, „კლასობრივი ზავი“, „ეროვნული ინტეგრაცია“, „პატიოსანი კონკურენცია“, „ვაჭრობის ლიბერალიზაცია“.

გ. მიურდალს „საერთაშორისო ინტეგრაცია“ და „საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია“ შესაძლებლად მიაჩნია იმპერიალიზმის ეპოქაში. იგი გერმანელ ნეოლიბერალებთან დგას ამ საკითხში. თავისი წიგნის — „მსოფლიო ეკონომიკის“ ბოლო ნაწილში იგი განიხილავს „ეკონომიური ინტეგრაციისა“ და „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ ურთიერთობის საკითხებს. გ. მიურდალი ვ. ოიკენტან და ვ. რეპკესთან ერთად აუცილებლად თვლის „ეკონომიური ინტეგრაციის“, „იდეალური ბაზრისა“ და „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“ ურთიერთდაკავშირებას. ნეოლიბერალებთან ერთად გ. მიურდალი „წონასწორობის თეორიას“ უკანა პლანზე აყენებს და ნაცვლად „სტატეიკური თეორიისა“ მოითხოვს „დინამიკური თეორიის“ საფუძველზე „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ სრულყოფას. „იდეალური ბაზარი“ გ. მიურდალის ყურადღების ცენტრში დგას.

დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალები აცხადებენ, რომ „მეურნეობის იდეალური ტიპები“ და „თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობა“ მათი აღმოჩენაა. გ. მიურდალი კი წერს: საუკუნის წინათ აღიარებული იყო ის ფაქტი, რომ „თავისუფალი საბაზრო მეურნეობა“ საჭიროებს სრულყოფას. გ. მიურდალი მიუთითებს, რომ დაწყებული ჯონ სტიუარტ მილიდან „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის თეორია“ საჭიროებს სრულყოფას და დასრულებას. ამ სრულყოფას იგი ხედავს ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომლებსაც ნეოლიბერალები მოითხოვენ „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ შექმნისათვის, „ვაჭრობის თავისუფლებისათვის“.

„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ და „ვაჭრობის თავისუფლების“ მოთხოვნა ნეოლიბერალების მიერ წარმოადგენს მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესების დაცვას, კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის გაძლიერებას. „თავისუფალი ვაჭრობის“ პოლიტიკა, — წერს ჯემს ალენი, — ხელს უწყობს ეკო-

ნომიური ძლიერების შემდგომ კონცენტრაციას, რადგან იგი წარმოადგენს სტიმულს, რომელიც ემსახურება წვრილ ფირმების შთანთქმასა და ახალი კაპიტალისტური გაერთიანებების წარმოქმნას, ე. ი. იმ პროცესს, რომლის განვითარებამ ამ ბოლო წლებში მიიღო უპრეცედენტო გაქანება.¹⁵⁷

ჯ. სტ. მილმა ი. რიკარდოსგან ისესხა მცდარი დებულება „შედარებითი ხარჯების“ შესახებ. „ამასთან ერთად მილმა ისესხა რიკარდოსგან „შედარებითი ხარჯების“ მცდარი თეორია და შეავსო იგი დებულებით ეგრეთწოდებული „ურთიერთმოთხოვნის“ შესახებ, რომლის მიხედვით საქონლის ღირებულება ბაზარზე განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების თანათარღობით“.¹⁵⁸

ჯ. სტ. მილის დებულება „ურთიერთმოთხოვნის“ შესახებ საფუძვლად უდევს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთშეფარდებას და საქონლის ღირებულების არასწორ განსაზღვრას ბაზარზე. მოთხოვნა-მიწოდების კანონი, ჯ. სტ. მილის მიხედვით, განსაზღვრავს საქონელბრუნვას ქვეყნებს შორის და საქონლის ფასებს საგარეო ბაზარზე. „შედარებითი ხარჯების თეორიის“ თანახმად, საგარეო ვაჭრობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის თავისუფალი კონკურენციით ავტომატურად რეგულირდება და განაპირობებს შრომის საერთაშორისო დანაწილებას, საგარეო ვაჭრობას ყველა ქვეყნისათვის ხელსაყრელ პირობებში.

ზოგჯერ თვით ბურჟუაზიულ პრესაშიც კი ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ შრომის დანაწილება „საერთო ბაზარში“, „პატიოსანი კონკურენცია“, „თავისუფალი ვაჭრობა“ ხელს უწყობს არა ყველა საწარმოს, არამედ ეკონომიურად ძლიერებს („სიცოცხლისუნარიანებს“, „კონკურენციის უნარმქონე საწარმოებს“). არარენტაბელური, ეკონომიურად სუსტი საწარმოები კი უნდა დაიღუპონ. განა შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი „საერთო ბაზარში“ ვითომდა არსებულ „პატიოსან კონკურენციაზე“, შრომის ისეთ დანაწილებაზე, რომელიც ხელსაყრელია ყველასათვის? ცხადია, არა.

„შედარებითი ხარჯების კანონი“ გამოცხადებულია მუდმივ და ბუნებრივ კანონად, საგარეო ვაჭრობის რეგულირების კანონად. „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ შრომის კაპიტალისტური საზოგადოებრივი დანაწილება ემყარება წარმოების შედარებით ხარჯებს, რომ ყოველი ქვეყანა აწარმოებს და საექსპორტოდ გააქვს ის საქონელი, რომლის დამზადება მას შეუძლია უმცირესი ხარჯებით. ნეოლიბერალების მიზანი აშკარად ჩანს. მათ სურთ სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ცალმხრივი, მანინჯი განვითარება, ამ ქვეყნების დატოვება „მსლ-

ფლო სოფლის“ მდგომარეობაში. „შედარებითი ხარჯების კანონს“ თავგამოდებით იცავს ვფრ-ის ეკონომისტი ვ. გუტი.¹⁵⁹

ვულგარულმა ეკონომისტებმა აპოლოგეტურად გამოიყენეს აგრეთვე დ. რიკარდოს დებულება „საგადასახადო ბალანსის თვითრეგულირების“ შესახებ. თუ ა. სმიტი და დ. რიკარდო ვაჭრობის თავისუფლებას, ლიბერალურ სისტემას განიხილავდნენ დრომოქმული ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლის ასპექტში. ვულგარულმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გააყალბა ა. სმიტისა და დ. რიკარდოს მოძღვრების მეცნიერული ელემენტები, ხელი ჩასჭიდა ვულგარულ ელემენტებს და გააღრმავა, კიდევ უფრო ვულგარული და აპოლოგეტური გახადა ისინი.

ვულგარულმა ეკონომიამ „დასრულებული“ სახე მისცა დ. რიკარდოს მოძღვრებას ეკონომიური ლიბერალიზმის შესახებ, პირველ რიგში კი საგარეო ვაჭრობის თავისუფლების შესახებ და უწოდა მას „სმიტისა და რიკარდო-მილის თეორია“, რომელსაც დღესაც იყენებს აპოლოგეტური მიზნით. „რიკარდოს საგარეო ვაჭრობის თეორია მილის ინტერპრეტაციითა და დამატებით ბურჟუაზიულ ეკონომიურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ გვხვდება რიკარდო-მილის თეორიის სახელწოდებით. ეს თეორია დაედო საფუძვლად მთელ რიგ შემდგომ, მათ შორის თანამედროვე ბურჟუაზიულ მოძღვრებას საგარეო ვაჭრობის შესახებ ინგლისში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. სმიტისა და რიკარდო-მილის საგარეო ვაჭრობის თეორია მიმართული იყო უპირველეს ყოვლისა ვაჭრობის თავისუფლების დასაბუთებისაკენ, იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ თითქოს საგარეო ვაჭრობის განვითარებას მსოფლიო ბაზარზე და ქვეყნის შიგნით კონკურენციის კანონების თავისუფალი სტიქიური მოქმედების დროს მოქმონდეს ყველა ქვეყნისათვის უდიდესი სარგებლობა¹⁶⁰“.

„სმიტისა და რიკარდო-მილის“ თეორია საგარეო ვაჭრობის შესახებ კიდევ უფრო გააყალბეს ჟ. ბ. სეიმ და თანამედროვე ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა, რომლებიც ნეოლიბერალიზმის დროშით გამოდიან. თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები — „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“ პროპაგანდისტები — ქადაგებენ, რომ თითქოს იმპერიალისტურ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობა ყველასათვის ხელსაყრელია. „ინტეგრაციისა“ და „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“ პროპაგანდისტები დემაგოგიურად მოქმედებენ. ისინი არ დალატობენ ძველ ტრადიციას. საკმარისია მოვიგონოთ „ღია კარების“ დოქტრინა, რომელიც იმპერიალიზმმა წამოაყენა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამერიკის იმპერიალიზმის კარნახით აშშ-ის სახელმწიფო მდი-

ვანმა ჰეიმ 1899 წ. წამოაყენა „ღია კარების“ პოლიტიკა ჩინეთის მიმართ („ჰეის დოქტრინა“). ეს პოლიტიკა ნიშნავდა ჩინეთის კოლონიური ჩაგვრის თავისუფლებას იმპერიალისტებისათვის.¹⁶¹ თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამჟამად ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნების მიმართ. „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“, „საერთაშორისო ინტეგრაციისა“ და „ვაჭრობის თავისუფლების“ თანამედროვე დამცველები მოითხოვენ მოქმედების თავისუფლებას, „ღია კარებს“,¹⁶¹ „ვაჭრობის თავისუფლებას“ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

სავსებით სწორად შენიშნავს ამერიკელი ბურჟუაზიული პუბლიცისტი, ეკონომისტი ჯ. ოზერი, რომ მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოების, „აშშ-ის სავაჭრო პოლიტიკა აძნელებს და ანელებს ეკონომიურ პროგრესს სუსტად განვითარებულ ქვეყნებში“.¹⁶³

ნეოკოლონიალიზმის აპოლოგეტთა აზრით კი სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა კარები უნდა გაუღონ ნეოკოლონიალისტებს, არ უნდა შექმნან მრეწველობის ახალი დარგები, ისინი უნდა დარჩნენ იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყვნენ კოლონიად ყოფნის დროს. ნეოკოლონიალიზმის აპოლოგეტები შრომის საერთაშორისო დანაწილებაში სუსტად განვითარებულ ქვეყნებს მიუჩენენ ნედლეულის დამზადების ადგილს, მაშასადამე, სურთ სუსტად განვითარებული ქვეყნების დატოვება „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში. ნეოკოლონიალიზმის დამცველები (სტილიტჩერი, ვაინერი, კონდლიფი, ჩეიზი, პოუტრი) აპოლოგეტურად იყენებენ სმიტისა და რიკარდოს შეხედულებებს საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ („შედარებითი ხარჯების კანონი“, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვ.). სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა ნეოკოლონიალიზმის აპოლოგეტთა რეკეპტები რომ მიიღონ, მაშინ ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას მიეცემა მეტისმეტად ცალმხრივი ხასიათი, ისინი დარჩებიან მეტროპოლიების აგარაულ-სანედლეულო დანამატად.

ამრიგად, თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა მიერ შრომის კაპიტალისტური საერთაშორისო საზოგადოებრივი დანაწილება წმინდა წყლის აპოლოგეტიკაა.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა ლოზუნგები „საერთაშორისო თავისუფალი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობისა“ და „თავისუფალი ვაჭრობის“ შესახებ მიმართულია ნეოკოლონიალიზმის შენარჩუნებისაკენ. სმიტისა და რიკარდოს შეხედულებებს ნეოკოლონიალისტთა თეორეტიკოსები იყენე-

ბენ აპოლოგეტურად. „შედარებითი ხარჯების თეორიის“ თანამედროვე დამცველები სუსტად განვითარებულ ქვეყნებს მოუწოდებენ, რომ დარჩნენ იმპერიალისტთა ექსპლოატაციის ობიექტებად და გამოაცხადონ კაპიტულაცია იმპერიალიზმის წინაშე. „წარმოების ხარჯების“¹⁶⁴, „შედარებითი ხარჯებისა“ და „შედარებითი ხელსაყრელობის“ თანამედროვე ცრუმეცნიერული თეორია ეყრდნობა „წარმოების სამი ფაქტორის“ ვულგარულ კონცეფციას. „შედარებითი ხარჯების“ თეორიას ნეოლიბერალებთან ერთად ქადაგებენ თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები ბ. ოლინი, ფ. ტაუსინგი, ჯ. ვაინერი, პ. სამუელსონი, ტ. სციტოვსკი, ჯ. კონდლიფი, პ. ბაუერი, ე. მასონი, ს. ჰარისი, რ. ფ. ჰაროდი და სხვ.

„შედარებითი ხარჯების თეორიისა და ვაჭრობის თავისუფლების“ დამცველთა მიხედვით ვაჭრობა იმპერიალისტური და სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ერთნაირად ხელსაყრელია. ეს გარეგნულად მოჩანს ასე. მარტო ის ფაქტი, რომ შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალია „ინტეგრირებულ“ ქვეყნებში, ნიშნავს იმას, რომ „პატროსანი კონკურენციისა“ და „თავისუფალი ვაჭრობის პირობებში“ „თანასწორობა“ არ შეიძლება არსებობდეს მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის. ამ შემთხვევაში ხელსაყრელ პირობებში არიან მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები. კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი გაცვლისას „მეტ შრომას იღებენ ნაკლებ შრომაში“. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს იმპერიალიზმის ეპოქაში, სადაც გაცვლა იმპერიალისტურ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის არაეკვივალენტურია. სუსტად განვითარებულ ქვეყნებში წარმოების ხარჯები უფრო მაღალია, შრომის ნაყოფიერება კი — დაბალი, ვიდრე მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მიერ კოლონიურ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან „საგარეო ვაჭრობაში დაბანდებულ კაპიტალს შეუძლია მოგების უფრო მაღალი ნორმის მოცემა, რადგან, ჯერ ერთი, აქ წარმოებს კონკურენცია ისეთი საქონლით, რომელსაც სხვა ქვეყნები ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში აწარმოებენ, ასე რომ უფრო დაწინაურებული ქვეყანა თავის საქონელს მის ღირებულებაზე უფრო მეტად ყიდის, თუმცა უფრო იაფად, ვიდრე მეტოქე ქვეყნები... სრულიად ისე, როგორც მეფაბრიკე, რომელმაც ახალი გამოგონებით სარგებლობს, სანამ ეს უკანასკნელი საყოველთაო ხმარებაში შევიდოდეს, თავის კონკურენტებზე უფრო იაფად ყიდის და, მიუხედავად ამისა, ყიდის მაინც თავისი საქონლის ჩნდივიდუალურ ღირებულებაზე მეტად, ე. ი. მის მიერ გამოყენებული

შრომის შედარებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას ზედმეტ შრომად აქცევს... ხელსაყრელ პირობებში მყოფი ქვეყანა გაცვლისას მეტ შრომას იღებს ნაკლებ შრომაში¹⁶⁵.

ამრიგად, „წარმოების შედარებით ხარჯების“ ბურჟუაზიული თეორიის, „საერთაშორისო სოციალური ანუ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ და „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“ ლოზუნგების აპოლოგეტური სასიათი აშკარად ჩანს. ამას ისიც ადასტურებს, რომ თვით ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი წარმომადგენელიც კი (გ. მიურდალი, მინტი და სხვ.) ექვს ქვეშ აყენებს „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობისა“ და „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“ დოქტრინას. მაგალ-თად, ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი და პუბლიცისტი ჯ. ოზერი ზოგიერთი რადიკალური მოსაზრებით გამოდის სუსტად განვითარებული ქვეყნების მომავლის შეფასების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ იგი „ლიბერალის სიფრთხილეს“ იჩენს და, შეიძლება ითქვას, ლიბერალიზმის პოზიციაზე დგას,¹⁶⁶ „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“ წინააღმდეგ გამოდის და სუსტად განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციას მოითხოვს. ჯ. ოზერი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ვაჭრობის პირობები სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის არახელსაყრელად მყარდება“.¹⁶⁷

„თავისუფალი ვაჭრობის“ ლოზუნგი ანუ ვაჭრობის „ლიბერალიზაცია“ ნეოკოლონიალისტებს იმისათვის სჭირდებათ, რომ მსხვილი კაპიტალისთვის იყოს ღია კარები მთელ „თავისუფალ სამყაროში“ თავისუფალი გადაადგილებისათვის. ნეოლიბერალები დემაგოგიას მიმართავენ. „ნეოლიბერალებს“ „ლიბერალიზაციის“ მოსწრებული სიტყვის ქვეშ ესმით ყველა ღონისძიება, რომლებიც ემსახურებიან თავისუფალი კონკურენციის აღდგენას საერთაშორისო ვაჭრობაში“.¹⁶⁸

იმპერიალისტურმა „ინტეგრაციამ“ გამოიწვია არა ვაჭრობის „ლიბერალიზაცია“, არამედ მონოპოლისტური პროტექციონიზმის— ზებროტექციონიზმის ღონისძიებათა უკიდურესად გაძლიერება მთელ კაპიტალისტურ სამყაროში. „პროტექციონიზმი მონოპოლისტური და, მით უმეტეს, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში უკვე აღარ წარმოადგენს საკმარის საშუალებას უცხოეთის კონკურენციისაგან თავდასაცავად და არც საგადასახადო ბალანსის პასივის აღმოსაფხვრელად. სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი, იყენებს რა პროტექციონიზმის სისტემას, მიმართავს საგარეო ვაჭრობის, საგადასახადო ბალანსისა და ვალუტის კურსის რეგულირების უფრო ეფექტურ ღონისძიებებს. საგარეო ვაჭრობის

სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს კვოტები და ლიცენზიები.¹⁶⁹

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე, როცა განსაკუთრებით განვითარდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი და მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა დაყოფილია ერთიმეორის საწინააღმდეგო სავაჭრო-ეკონომიურ ბლოკებად, ვაჭრობის „ლიბერალიზაციაზე“, „ვაჭრობის თავისუფლების“ მოთხოვნაზე ლაპარაკი ცარიელი ფრაზებია.

იმპერიალისტური „ინტეგრაცია“ ნიშნავს იმპერიალისტური სახელმწიფოების დაჯგუფებათა ერთ მთლიან სამეურნეო ერთეულად ვაერთიანების ცდას. იმპერიალისტური „ინტეგრაციის“ და „საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის“ პროგრამის მიხედვით უნდა მოხდეს „ექვესეულისა“ და „შვიდეულის“ გაერთიანება, ხოლო შემდეგ — მათი შეერთება დასავლეთ ნახევარსფეროს „საერთო ბაზართან“ და „ატლანტიკის საერთო ბაზრის“, „მეურნეობის დიდი სივრცის“ შექმნა, ე. ი. „საერთაშორისო ინტეგრაცია“ და მთელი კაპიტალისტური სამყაროს ფარგლებში „თავისუფალი ვაჭრობის“ პოლიტიკის გატარება.

„საერთაშორისო საბაზრო მეურნეობისა“ და „ვაჭრობის ლიბერალიზაციის“ თეორეტიკოსთა აზრით, კაპიტალისტური სამყარო უნდა დაუბრუნდეს თავისუფალი კონკურენციის ეპოქის კაპიტალიზმის ფრიტრედერულ პოლიტიკას, რაც ობიექტურად შეუძლებელია. პრაქტიკულად ეს ნიშნავს მთელი კაპიტალისტური სამყაროს დაბრუნებას უკან, გასული საუკუნის 50—70-იან წლებში არსებული მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი თავისუფალი ვაჭრობის სისტემისაკენ. ვაჭრობის თავისუფლება მონოპოლისტური კაპიტალიზმის და, მით უმეტეს, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია.

